ა. კ. ტოლსტოი

თავადი სერებრიანი

ივანე მრისხანის დროის ამბავი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თ ბ ი ლ ი ს ი — 1 9 7 6

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

ეს მოთხრობა მხოლოდ იმისთვის არ დაწერილა, რომ აღწეროს ესა თუ ის ამბავი. მისი უპირველესი მიზანია ასახოს მთელი ეპოქის საერთო ხასიათი და აჩვენოს XVI საუკუნის მეორე ნახევრის რუსული საზოგადოების წარმოდგენათა, რწმენათა, ზნე-ჩვეულებათა და განათლებულობის დონე.

ავტორი ერთგულია ისტორიისა და არ ამახინჯებს მის მთლიან სურათს, ოღონდ იმის უფლებას კი აძლევს თავს, ნებისაებრ მოეპყრას ზოგ-ზოგ წვრილმანს, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა არა აქვთ. ასე, სხვათა შორის, თხზულება რომ არ გაჭიანურებულიყო, ვიაზემსკისა და ორივე ბასმანოვის სიკვდილით დასჯა, რაც ნამდვილად 1570 წელს მოხდა, მან 1565 წლისთვის გადმოიტანა. ეს წინაგანზრასული ანაქრონიზმი არა გვგონია მკაცრი გაკიცხვის საბაბი შეიქნეს, თუ გავიხსენებთ, რომ ურიცხვი ხალხის სიკვდილით დასჯა, რაც სილვესტრისა და ადაშევის დამხობას მოჰყვა, თუმცა ბევრის მეტყველია თვითონ იოანეს დახასიათებისთვის, მაგრამ გავლენას ვერ ახდენს მოვლენათა საერთო მსვლელობაზე.

იმ დროის საშინელებებს ავტორი ისტორიაზე უფრო მკრთალად აღწერს. ხელოვნებისა და მკითხველის გრძნობებისადმი პატივისცემის გამო, მან ჩრდილი მიჰფინა ამ ამბებს და შეძლებისდაგვარად შორიდან დაგვანახა. თუმცა, მაინც აღიარებს, რომ წყაროების კითხვისას არაერთგზის გავარდნია ხელიდან წიგნი, აღშფოთებით მოუსროლია კალამი და მწარედ ჩაფიქრებია მარტო იმ ამბავს კი არა, თუ როგორ შეიძლებოდა იოანე IV არსებულიყო, არამედ უფრო მეტად იმას, თუ როგორ შეიძლებოდა ისეთი საზოგადოება არსებულიყო, რომელიც აღუშფოთებლად ითმენდა მის სიავკაცეს. ეს განუშორებელი მძიმე გრძნობა ხელს უშლიდა ეპიკური თხზულებისთვის აუცილებელ ობიექტურობას და ნაწილობრივ ამის გამოცაა, რომ ათ წელ-

ხვა არ ასცდებოდა, თუ რომ, მისდა საბედნიეროდ, იმავე დღეს არ მოსვლოდა მოსკოვიდან მოლაპარაკების შეწყვეტისა და ომის განახლების მაუწყებელი უმაღლესი განკარგულება. სიხარულით წამოვიდა სერებრიანი ვილნოდან, ხავერდის სამოსის ნაცვლად ელვარე ბეგთარი ჩაიცვა და, იცოცხლე, ურტყა ლიტველებს, სადაც კი ღმერთმა შეახვედრა იმათი თავი. ბრძოლის ველზე უფრო ღირსეული გამოჩნდა ნიკიტა, ვიდრე დესპანის სარბიელზე, და უზომო ქებაც ისმოდა მისი ყველგან, რუსებსა და თვით ლიტველთა შორისაც.

თავადის გარეგნობა მისივე გუნება-ხასიათის შესაფერი იყო. ამ კაცის სახე, რომელსაც სასიამოვნო უფრო ეთქმოდა, ვიდრე ლამაზი, გამოცხადებული მიამიტობა და გულახდილობა იყო. შავი წამწამებით მოჩრდილულ მუქ-ნაცრისფერ თვალებში დამკვირვებელი უჩვეულო, გაუცნობიერებელ და თითქოსდა უნებლიე გაბედულებას ამოიკითხავდა, რომელიც წამიერი დაფიქრების საშუალებასაც არ აძლევს მის პატრონს მოქმედების ჟამს. უსწორმასწორო, აჩხორილი წარბები და მათ შუა ირიბი ნაოჭი იმაზე მიუთითებდნენ, რომ იგი მთლად ჭკუადამჯდარი და გონებადადინჯებული კაცი არ იყო. მაგრამ ნატიფად და მკაფიოდ მოყვანილი ტუჩები მის ნამუსსა და პატიოსნებაზე მეტყველებდნენ, ხოლო ღიმილი — უზაკველ, თითქმის ბავშვურ გულკეთილობას ააშკარავებდა; ასე რომ, ზოგ-ზოგნი, ალბათ გონებაშეზღუდულობასაც შესწამებდნენ, მაგრამ მის ყოველ ნაკვთში მფეთქავი კეთილშობილება იმის თავდები იყო, რომ ამ ადამიანს შეუძლია ყოველთვის გულით იაზროს ის, რასაც ვერ სწვდება ხოლმე მისი გონება. საერთო შთაბეჭდილებით უსათუოდ მოიწონებდით თავადს და კიდევაც დაასკვნიდით გუნებაში, რომ ამ კაცს შეიძლება თამამად ენდო, როცა გაბედულება და თავგანწირვაა საჭირო, მაგრამ რაც შეეხება თავისი საქციელის მოფიქრებასა და გონებით განსჯას, ეტყობა, მისი საქმე არ არის და არც ეხერხებაო.

სერებრიანი ასე ოცდახუთი წლის ვაჟკაცი იყო. ტანად საშუალო, მხარბეჭიანი, წელწვრილი. ღია ფერის ხშირი ქერა თმა შუქს მატებდა მის მზენაკრავ სახეს და მკვეთრად გამოირჩეოდა ყომრალი წარბებისა და შავი წამწამებისგან. თმაზე ოდნავ მუქი მოკლე წვერი მსუბუქად უჩრდილავდა ტუჩებსა და ნიკაპს.

თავადი ახლა გახალისებული და გულმხიარული იყო, სამშობლოში რომ ბრუნდებოდა. ნათელი, მზიანი დღე იდგა, ერთი იმ დღეთაგანი, როცა მთელი ბუნება როგორღაც სადღესასწაულოდ სუნთქავს, ყვავილები უფრო ბდღვრიალა ჩანან, ცა — უფრო ლაჟვარდოვანი, შორით გამჭვირვალე ჭავლებად ლივლივებს ჰაერი, და კაცი ისეთ შვებას

ზე მეტი ხნის წინათ დაწყებული რომანი მხოლოდ ახლა დასრულდა. უკანასკნელმა გარემოებამ, ეგების, ოდნავ მაინც გაამართლოს სტილის გაურანდაობა, რაც, ალბათ, შეუნიშნავი არ დარჩება მკითხველს.

დასასრულს, ავტორს საჭიროდ მიაჩნია იმის თქმაც, რომ რამდენადაც სითამამით ეპყრობოდა მეორეხარისხოვან ისტორიულ ამბებს, იმდენად მეტი სიმკაცრით ცდილობდა სიმართლისა და სიზუსტის დაცვას ხასიათებისა და ყოველივე იმის აღწერაში, რაც ხალხის ყოფასა და არქეოლოგიას შეეხება.

თუ შეძლო და თვალდასანახად გააცოცხლა მისგან აღწერილი ეპოქის სახე, ავტორი არ ინანებს გაწეულ შრომას და მიღწეულად ჩათვლის სასურველ მიზანს.

1862

I თავი

ოპრიჩნიკები

დასაბამითგან სოფლისა შვიდი ათას სამოცდაცამეტ, ანუ ქრისტეს შობით 1565 წელს, ზაფხულის მცხუნვარე დღეს, 23 ივნისს, ახალგაზრდა ბოიარმა — თავადმა ნიკიტა რომანოვიჩ სერებრიანიმ სოფელ მედვედევკამდე მოაღწია. აქედან ოცდაათიოდე ვერსიღა იყო მოსკოვამდე.

თავადს მხედარ-მეომართა და მსახურთა გუნდი მოჰყვებოდა.

სერებრიანიმ მთელი ხუთი წელი უცხოობაში გაატარა. ის ლიტვაში წარგზავნა ხელმწიფე ივან ვასილევიჩმა, რათა იმჟამინდელი ომის შეწყვეტასა და ხანგრძლივი ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკებოდა მეფე ჟიგიმონტს. მაგრამ ამჯერად მეფის არჩევანი მარცხიანი გამოდგა. მართალია, თავადი ნიკიტა თავგამოდებით ირჯებოდა თავისი მიწა-წყლის სასიკეთოდ და, თითქოს, უკეთეს შუამავალს ვერც ინატრებდი, მაგრამ სერებრიანი არ იყო მოლაპარაკებებისთვის გაჩენილი ადამიანი. ის არად აგდებდა სადესპანო ხელოვნების კანონ-წესებს, აშკარა გულახდილობით ცდილობდა საქმის გარიგებას და, მის თანმხლებ დიაკთა ერთობ სავალალოდ, ოდნავი სიეშმაკის უფლებასაც არ აძლევდა მათ. ჟიგიმონტის მრჩევლებმა, რომლებიც უკვე აპირებდნენ ზოგ-ზოგი რამის დათმობას, სულ მალე აუღეს ალღო თავადის გულუბრყვილობას, ჩვენი სისუსტის ამბები დასტყუეს მას და უფრო თამამი მოთხოვნები წამოაყენეს. მაშინ კი სერებრიანიმ ვეღარ მოითმინა: მთელი სეიმის თვალწინ მუშტი დაჰკრა მაგიდას და გადაფხრიწა უკვე ხელმოსაწერად გამზადებული სამშვიდობო ხელშეკრულება. „თქვენცა და თქვენი მეფეც მზაკვრები და მუხთლები ხართო! მე ნამუსიანად გელაპარაკებით, თქვენ კი სულ იმას ცდილობთ, როგორმე ცბიერებით დამიბრიყვოთო! მაგრამ, ნურას უკაცრავად, ვერ ეგების საქმე ეგეო!“ ამ გულფიცხობამ ერთ წამში გააქარწყლა ამდენი ხნის მოლაპარაკების წარმატება და სერებრიანის შერის-

გრძნობს, თითქოს მისი სული ბუნებას შეერთო და ნეტარებით თრთის თვითეულ ფოთოლზე, ტკბილად ნანაობს თვითეულ ბალახზე.

ნათელი იყო ეს ივნისის დღე, მაგრამ თავადს, ლიტვაში ხუთ წელს ცხოვრების შემდეგ, კიდევ უფრო ნათელი ეჩვენებოდა. ველ-მინდვრებიდან და ტყეებიდან ყველაფერი რუსული შემოსცინოდა.

უფარისევლოდ და უეშმაკოდ ემსახურებოდა თავადი ნიკიტა ყმაწვილ იოანეს. მტკიცედ იცავდა ჯვარზე მთხვევით დადებულ ფიცს და ვერაფერი შეარყევდა ხელმწიფისადმი მის უზომო ერთგულებას; თუმცა გული და ფიქრი რახანია სამშობლოსკენ მოუწევდა, მაგრამ ახლავე რომ ებრძანებინათ ლიტვაში გაბრუნება, უდრტვინველად შეაბრუნებდა ცხენს, მოსკოვისა და ახლობლების უნახავი, და ადრინდელი გულფიცხობით გადაეშვებოდა ახალ ბრძოლებში. თუმცაღა, მხოლოდ ნიკიტა არ სჯიდა ასე. ყველა რუსს უყვარდა იოანე, ერთობლივად ყველა მხარეში. ეგონათ, მისი სჯულიერი მეუფებით ახალი ოქროს ხანა დაუდგა რუსეთსო, და ბერ-მონაზვნები, რამდენსაც არ ჩაჰკირკიტებდნენ მატიანეებს, ვერ ჰოულობდნენ შიგ იოანეს ტოლ-სწორ ხელმწიფეს.

სოფლიდან ჯერ კიდევ კარგა მოშორებით თავადსა და მის ამალას მხიარული სიმღერები შემოესმათ, ხოლო როცა მიუახლოვდნენ, დაინახეს, რომ სოფელში დღესასწაული იყო. ორღობის თავსა და ბოლოში გოგო-ბიჭებს ფერხული ჩაებათ, ორივე გუნდს ჭრელაჭრელა ნაკუწებით შემკული თითო არყის ხის ტოტი ეჭირა. ბიჭებსა და გოგოებს თავზე კოხტად დაწნული მწვანე გვირგვინები დაედგათ. მოფერხულენი ხან ერთად მღეროდნენ, ხან რიგრიგობით, მოსწრებულ სიტყვა-პასუხში ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს და სახუმარო შაირებით ჰკენწლავდნენ ურთიერთს. ისმოდა გოგოების გულიანი კისკისი, ხალისიანად ელავდა ყმაწვილკაცების ფერად-ფერადი ხალათები. მტრედები გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ სახურავიდან სახურავზე. სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა, მხიარულობდა მართლმორწმუნე ხალხი.

სოფლის მიდამოებთან თავადს მოხუცი ჯილავდარი წამოეწია და მხარდამხარ მიჰყვა.

— ეჰაა! — მხიარულად თქვა მან, — შეხედე ერთი, თავადო, როგორ დღესასწაულობენ აგრაფინობას, მგლის კბილი და ქორის კლანჭი მაგათ! რა იქნება, ცოტა შეგვესვენა აქ? ცხენები მთლად გასავათდნენ და, ჩვენ თვითონაც, დანაყრებულნი, უფრო ხალისიანად დავადგებოდით გზას. ამოყორილ სტომაქზე, ბატონის ჭირიმე, ნაჯახის ყუაც რომ ურტყა კაცს, იმას გაუძლებს!

— ჰო, მაგრამ რაღა დარჩა მოსკოვამდე! — თქვა თავადმა და შეეტყო, რომ არ სურდა აქ გაჩერება.

— ეჰ, ბატონის ჭირიმე, შენ დღეს უკვე ბარე ხუთჯერ იკითხე ეგა. აკი გითხრა კეთილმა ხალხმა, აქედან კიდევ ორმოციოდე ვერსი იქნებაო. ბრძანე დასვენება, თავადო, ღმერთმანი, ცხენები დაიღალნენ!

— მაშ კარგი, — თქვა თავადმა, — დაისვენეთ!

— ეი, თქვენ! — მეომრებს მიუბრუნდა და გასძახა მიხეიჩმა, — აბა, ჩამოდით ცხენებიდან, ქვაბები გადმოიღეთ, ცეცხლი გააჩაღეთ!

მეომრებიც და მსახურნიც მიხეიჩის გამგებლობაში იყვნენ; ისინი ჩამოქვეითდნენ და საპალნეების შეხსნა დაიწყეს. თვითონ თავადიც ცხენიდან გადმოვიდა და მუზარადი მოიხადა. კეთილშობილი კაცი რომ დაინახეს, ახალგაზრდებმა ფერხული შეწყვიტეს, მოხუცებმა ქუდები მოიხადეს და იდგნენ ერთ ხანს ნირწამხდარნი, თან თვალებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, განეგრძოთ თუ არა მხიარულება.

— ნუ გვიუცხოვეთ, კეთილო ხალხო, — ალერსიანად თქვა თავადმა ნიკიტამ, — სონღული შეეარდნებს ხელს ვერ შეუშლის!

— მადლობელი ვართ, ბატონო, — უპასუხა ხნიერმა გლეხმა, — თუკი შენი მოწყალება არ გვიუკადრისებს, მორჩილად გთხოვთ, ჩამოჯექი აგერ ამ ზვინულზე, ჩვენ კი, თუ ინებებ, თაფლუჭით გაგიმასპინძლდებით: გვეცი პატივი, თავადო, დაგვილიე სადღეგრძელო! სულელებო! — გოგოებს მიუბრუნდა და განაგრძო მან, — რას დაფეთდით? ვერ ხედავთ ბოიარი და მისი შინაკაცები რომ არიან, და არა წყეული ოპრიჩნიკები?! ა, ასეა, ბატონო, მას აქეთ, რაც ოპრიჩნინა გაჩნდა სარუსეთოში, ყველაფრისა ეშინია გლეხკაცს; აღარ ეცხოვრება საწყალ ადამიანს! დღესასწაულზეც კი შენ გემოზე ვერ დაგილევია, ვერც გიმღერია, სულ იქით-აქეთ უნდა აცეცო თვალები, ფხიზლად იყო. თორემ, ისე გამოტყვერებიან ხოლმე, სულ რო არ მოელი კაცი, მეხის დაცემასავით!

— რაო, რაო? ოპრიჩნინაო? ოპრიჩნიკებიო! ეს რაღა ღვთის წყრომაა? — იკითხა თავადმა.

— ჯანდაბას მაგათი სახსენებელი! მეფის კაცებს ეძახიან თავის თავს. ჩვენაო მეფის კაცები, ოპრიჩნიკები ვართო! თქვენ კიდევ ზემშჩინაო! ჩვენაო უნდა გძარცვოთ და გღლიტოთო, თქვენ კი ითმინოთ და ფეხქვეშ გაგვეგოთო. ასე ბრძანა მეფემაო!

თავადი სერებრიანი აენთო:

— მეფემ ბრძანა ხალხის დაწიოკებაო? დახეთ მაგ წყეულებს! ვინ ოხრები არიან, ამდენს რომ ბედავენ? რატომ არ გათოკავთ მაგ ავაზაკებს?

— ვინა, ოპრიჩნიკები გავთოკოთ? ეეპ, ბატონო! გეტყობა შორიდან მოდიხარ, რომ არ გცნობია ოპრიჩნინა! აბა სცადე ერთი, და თითი ახლე მაგათ! ამასწინებზე ბარე ათიოდე ოპრიჩნიკი შეესია სტეფანე მიხაილოვის კარ-მიდამოს, აგე იმ ეზოში, ჭიშკარს რომ ურდული ადევს; თვიოონ სტეფანე მინდვრად იყო და დედაბერს მიეძალნენ: აბა ეს მოგვართვი, ის მოგვართვიო. დედაბერიც ყველაფერს სუფრაზე ულაგებს და მორჩილად ხრის თავს. მერე ეუბნებიან: დედაკაცო, ფული მოიტაო! ატირდა დედაბერი, მარა რაღას იზამდა, გახსნა ზანდუკი, ამოიღო ჭინჭებში გაკრული ორი უზალთუნი, გაუწოდა ცრემლმორეულმა: აჰა, წაიღეთ, ოღონდ ცოცხალი დამარჩინეთო. ისინი კი ეუბნებიან: ცოტააო! ჰოდა, ერთმა ოპრიჩნიკმა ისე ჩასცხო საფეთქელში, იქვე გააფრთხობინა სული! დაბრუნდა სტეფანე მინდვრიდან, რას ხედავს: მკვდარი გდია მისი დედაბერი. გამწარდა საწყალი. მისდგა და ლანძღა მეფის კაცები: ღვთის შიში დაგიკარგავთ, თქვე წყეულებოო! არ გეღირსებათ იმ ქვეყნად სიმშვიდე და მოსვენება, არაწმინდებოო! იმ უკუღმართებმა კი უბედურ სტეფანეს ყულფში გააყოფინეს თავი და ჭიშკარზე ჩამოკიდეს!

თავადს სიბრაზისგან შეაჟრჟოლა. გული ძალუმად აუჩქროლდა.

— როგორ, სამეფო გზაზე, ზედ მოსკოვის ყურთან, ავაზაკები გლეხებს ძარცვავენ და კლავენ?! მერედა, რას აკეთებენ თქვენი ასეულებისა და გუბების მამასახლისები? როგორ ითმენენ, რომ შარაგზის ყაჩაღებს მეფის კაცებად მოჰქონდეთ თავი?

— აბა, — დაუდასტურა გლეხმა, — ჩვენაო მეფის კაცები, ოპრიჩნიკები ვართო; ჩვენაო ჩვენ ქეიფზე დავდივართო, აი თქვენ კი ზემშჩინა ხართო! უფროსებიცა ჰყავთ მაგათ; ნიშნებიც უკეთიათ: ცოცხი და ძაღლის თავი. ეინ იცის, იქნებ მართლაც მეფის კაცები არიან.

— ყეყეჩო! — შესძახა თავადმა, — აღარ გაბედო მაგის თქმა. სად გაგონილა, რომ ავაზაკები მეფის კაცები იყვნენ! — „ვერაფერი გამიგია, — გაიფიქრა მან. — საგანგებო ნიშნები? ოპრიჩნიკები? რას ნიშნავს ეს სიტყვა? ვინ არის ეს ხალხი? როგორც კი მივალ მოსკოვს, ყველაფერს მოვახსენებ მეფეს. დაე, მევე მიბრძანოს მათი მოძებნა! არ შევარჩენ ავკაცობას, იცოდეს ღმერთმა, არ შევარჩენ!“

ამასობაში ფერხული თავისი წესით გრძელდებოდა.

ყმაწვილი ბიჭი სასიძოს განასახიერებდა, ყმაწვილი გოგო კი — საპატარძლოს. ბიჭი მდაბლად უკრავდა თავს საცოლოს მშობლებსა და ნათესავებს, რომელთაც ასევე გოგო-ბიჭები განასახიერებდნენ.

— შამავ ბატონო, ჩემო სიმამრო, — შეეროდა სასიძო გუნდთან ერთად, — ლუდი მომიხარშე, გეთაყვა!

— დედავ ბატონო, სიდედრო ჩემო, ნამცხვრები დამიცხვე, გეთაყვა!

— ბატონო ქვისლო, ჩემო კეთილო, ცხენი შემიკაზმე, გეთაყვა!

მერე გოგო-ბიჭები ხელიხელჩაკიდებულნი უვლიდნენ წრეს სიძე-პატარძლის გარშემო ჯერ ერთი, შემდეგ მეორე მიმართულებით.

სასიძომ ლუდი დალია. ნამცხვრები მიირთვა, ცხენი გააჭენ-გამოაჭენა და ახლა სახლიდან მიერეკება თავის ცოლეურებს:

— აბა, სიმამრო, შე მუდრეგო, გასწი აქედან!

— აბა სიდედრო, შე როკაპო, გასწი აქედან!

— აბა, ქვისლო, შე მგლის კერძო, გასწი აქედან!

იძახდა იგი და ყოველ დაძახილზე კისრისტეხით აგდებდა მოფერხულეთა გუნდიდან ხან ვოგოს, ხან კიდევ ბიჭს.

გლეხები ვულიანად ხარხარებდნენ.

უცებ ყურთასმენის წამღები ყვირილი გაისმა. თორმეტიოდე წლის მთლად გასისხლიანებული ბიჭი მოფერხულეთა წრეში შევარდა.

— მიშველეთ! დამმალეთ! — ყვიროდა ის და კალთებზე ეპოტინებოდა გლეხებს.

— რა მოგივიდა, ვანია? რა გაღრიალებს? ვინ გაგლახა, ბიჭო? ემანდ, ოპრიჩნიკებმა ხომ არა?

წუთის უმალ მოფერხულეთა ორივე გუნდი ერთმანეთში აირია. ყველანი ბიჭუნას შემოეხვივნენ. მაგრამ შიშით გალეული ბავშვი ენას ძლიეს აბრუნებდა.

— იქ, იქ, — ამოთქვა მან მთრთოლვარე ხმით, — ბოსტნების გადაღმა, ხბორებს ვმწყემსავდი... საიდანღაც ისინი გამოტყვრნენ, ხბორებს დაერევნენ, ხმლებით ჩეხავდნენ... დუნკა მოვიდა, ხვეწნა დაუწყო, იმათ კი ხელი სტაცეს დუნკას და წაათრიეს, იქით წაათრიეს, მე კი...

ამ დროს კვლავ გაისმა ყვირილი და ბიჭუნას სიტყვა გაუწყდა. სოფლის მეორე ბოლოდან ქალები მორბოდნენ.

— დავიღუპეთ, დავიღუპეთ! — კიოდნენ ისინი, — ოპრიჩნიკები! გაიქეცით, გოგოებო, ყანებში დაიმალენით! დუნკა და ალიონკა დაიჭირეს, სერგეევნა კი იქვე მოკლეს.

ამასობაში ცხენოსნები გამოჩნდნენ. ორმოცდაათიოდე კაცი, ხმალშემართულნი მოჯირითობდნენ. წინ შავწვერა ოტროველა მოუძღოდათ წითელი ხიფთანითა და ფოცხვერის ბეწვის ქუდით. უნაგირზე შავწვერას ცოცხი და ძაღლის თავი ეკიდა.

— ჰაიდა! ჰაიდა! — ყიოდა იგი. — გაწყვიტეთ საქონელი, დაჩეხეთ გლეხუჭები, დაიჭით გოგოები, გადაწვით სოფელი! მომყევით, ბიჭებო! არავინ დაინდოთ!

გლეხები თავგზააბნეულნი გარბოდნენ ვინც საით მოასწრო.

— შენი მუხლების ჭირიმე, ბატონო! — ვედრებით გაიძახოდნენ ისინი, რომლებიც ახლოს იდგნენ თავადთან, — ნუ დაანებებ ჩვენს ობოლ-ოხერ თავს ამ უკეღმართებს! დაგვიცავი ბედკრული ხალხი!

მაგრამ თავადი უკვე აღარსად ჩანდა იმ არემარეს.

— სად გაქრა ბოიარი? — იკითხა ხნიერმა გლეხმა და თვალი მოავლო იქაურობას. — თითქოს ცამ ჩაყლაპაო! მისი ხალხიც აღარსად ჩანს! თავს უშველეს, ალბათ, საწყლებმა! ოჰ, არ აგვცდება უბედურება, ოჰ, დაგვიდგა სიკვდილის ჟამი!

წითელხიფთანიანმა ოტროველამ ცხენი შეაყენა.

— ეი, შენ, მყრალო ბებერო! აქ ფერხული იყო გაჩაღებული, საით გაიქცნენ გოგოები?

გლეხკაცი მდაბლად ხრიდა თავს და ხმას არ იღებდა.

— ხეზე დაჰკიდეთ ეგ ძაღლიშვილი! — დაიღრიალა შავწვერამ. — დუმილი ჰყვარებია, ჰოდა, იყოს დადუმებული ამ არყის ხეზე!

რამდენიმე მხედარი ცხენიდან ჩამოხტა და ყელზე ყულფი ჩამოაცვეს გლეხს.

— გამჩენებო, მარჩენალებო! ნუ გამწირავთ ბერიკაცს, გამიშვით, თქვენი ჭირიმე, ნუ გამწირავთ ბერიკაცს!

— აჰა! ამოიდგი ენა, ბებერო?! გვიანლაა, ძმობილო, მეორედ აღარ იხუმრებ! ხეზე დაჰკიდეთ ეგ ძაღლიშვილი!

ოპრიჩნიკებმა არყის ხისკენ წაათრიეს ბერიკაცი. იმავ წუთს ქოხის უკნიდან სროლა მოისმა და ათიოდე ქვეითმა ხმლებით შემოუტია მტარვალებს, ხოლო მოსახვევიდან თავად სერებრიანის მხედრები გამოიჭრნენ და ყიჟინით დააცხრნენ ოპრიჩნიკებს. თავადის ხალხი რიცხობრივად მათი ნახევარიც ძლივს იყო, მაგრამ თავდასხმა ისე სწრაფად და უეცრად მოხდა, რომ ერთ წამში იფრინეს ოპრიჩნიკები. თვითონ თავადმა ხმლის ვადის დარტყმით გადმოანარცხა ცხენიდან მათი წინამძღოლი. გონს მოსელაც არ აცალა, მყისვე ჩამოხტა ბედაურიდან, მკერდზე მუხლი დააბჯინა და ყელი გაუძაგრა.

— ეინა ხარ, შე არამზადავ? — ჰკითხა თავადმა.

— შენ თვითონ ვინ ხარ? — უპასუხა ოპრიჩნიკმა ხრიალით, თან თვალებს აბრიალებდა.

თავადმა დამბაჩის ლულა დააღირა ზედ შუბლზე.

— მიპასუხე, წყეულო, თორემ ახლავე ჩაგაძაღლებ!

— მე შენი მსახური როდი ვარ, ყაჩაღო, — მიუგო შავწვერამ, რომელსაც შიშის ნატამალიც არ ემჩნეოდა სახეზე, — შენ კი ძელზე დაგკიდებენ, რომ მეფის კაცების ხელის ხლება ველარ გაბედო!

გაიტკაცუნა დამბაჩის სასხლეტმა, მაგრამ კაჟმა არ დაკვესა და შავწვერა ცოცხალი დარჩა.

თავადმა ირგვლივ მიმოიხედა. რამდენიმე ოპრიჩნიკი მკვდარი ეგდო, სხვებს თავადის კაცები თოკავდნენ, დანარჩენები მიმალულიყვნენ.

— ესეც გათოკეთ! — თქვა ბოიარმა და, ამ კაცის მხეცური, მაგრამ უშიშარი სახის შემყურემ, გაოცება ვეღარ დამალა. „მართლაც გულადი ბიჭი ჩანს! — გაიფიქრა თავადმა. — აფსუსია, ეგ ყაჩაღი იყოს!“

ამ დროს თავადს მისი ჯილავდარი, მიხეიჩი მიუახლოვდა.

— შეხედე, ბატონო, — უთხრა მან და მარყუჟიანი წვრილი და მაგარი თოკების კონა დაანახვა, — აი რანაირ ქამანდებს დაატარებენ თურმე! ჩანს, უცხო ხილი არ უნდა იყოს ამათთვის მტარვალობა, მგლის კბილი მაგათ და ქორის კლანჭი!

ამ დროს თავადთან მისი მეომრები მოვიდნენ და ორი ცხენი მოიყვანეს, რომლებზედაც გათოკილი და უნაგირებზე მიკრული ორი კაცი იჯდა. ერთი მათგანი თმახუჭუჭა და გრძელწვერა ჭაღარა მოხუცი იყო. მისი ამხანაგი, შავთვალა ვაჟკაცი, ოცდაათიოდე წლისა ჩანდა.

— ეგენი ვინღა არიან? — იკითხა თავადმა. — ან უნაგირებზე რისთვის ჩიგიბამთ?

— ჩვენ არა, ბატონო, ყაჩაღებს მიუბამთ უნაგირებზე. ჩვენ ბაღჩებს გადაღმა ვიპოვეთ ეგენი, ყარაულებიც ყავდათ მიჩენილი!

— მაშ რაღას უყურებთ, ახსენით და გაუშვით თავის გზაზე!

განთავისუფლებული ტყვეები დაბუჟებულ ხელ-ფეხს იზელდნენ, სახსრებს მართავდნენ, მაგრამ არ ჩქარობდნენ თავისუფლებით სარგებლობას და იქვე დარჩნენ დამარცხებულთა სეირის საცქერლად.

— გესმით, თქვენ, არამზადებო, — უთხრა თავადმა გათოკილ ოპრიჩნიკებს, — აბა თქვით ერთი, როგორ გაბედეთ, მეფის მსახურებად რომ მოგაქვთ თავი? ვინ ოხრები ხართ?

— შენ რა, თვალები დაგეკვესო თუ რა ჯანდაბა გჭირს? — გამოეპასუხა ერთი მათგანი. — განა ვერ ხედავ, ვინცა ვართ? ამას რა კითხვა უნდა! ცხადია, მეფის კაცები, ოპრიჩნიკები ვართ!

— წყეულებო! — შეჰყვირა სერებრიანიმ, — თუ სიცოცხლე რამედ გიღირთ, მართალი მითხარით!

— ეჰ, ჩანს, შენ ციდან ჩამოვარდნილხარ, შვილოსან, — გამქირდავად თქვა შავწვერა ოტროველამ, — კაცო, ჯერ არ გინახავს ოპრიჩნიკები? მართლა რა ციდან ჩამოვარდნილივით იქცევი! მაინც სად ჯანდაბიდან გამოტყვერი, მიწა რომ გაგისკდეს და თან ჩაგიტანოს.

ყაჩაღების უტეხობამ გააცეცხლა თავადი ნიკიტა.

— მისმინე, მამაცო, — უთხრა მან, — შენი შეუპოვრობით ლამის თავი მომაწონე და გუნებაში უკვე შენი დანდობაც დავაპირე. მაგრამ, თუ ახლავე არ გითქვამს ვინცა ხარ, ღმერთია მოწამე, ვუბრძანებ, ხეზე დაგკიდონ!

ყაჩაღი ამაყად გასწორდა.

— მე მატვეი ხომიაკი გახლავარ! — უპასუხა მან. — გრიგორი ლუკიანოვიჩ სკურატოვ-ბელსკის ჯილავდარი. ერთგულად ვემსახურები ჩემს ბატონსა და მეფეს ოპრიჩნიკად. ცოცხი, რომელსაც ჩვენს უნაგირებთან ხედავ, იმის ნიშანია, რომ რუსეთსა ვგვით, ღალატს მივხვეტავთ მეფის საბრძანებლიდან; ძაღლის თავი კი ნიშნავს, — რომ მეფის მტრებსა ვგლეჯთ. ახლა შენ უწყი, ვინცა ვარ! მაშ შენც მითხარი, რა გიწოდო, როგორ მოგმართო, რა სახელით მოგიხსენიო, როცა შენი კისრის მოგრეხის ჯერი დადგება!

თავადი ალბათ აპატიებდა ოპრიჩნიკს ამ თავხედურ ლაპარაკს. მას მოსწონდა სიკვდილის წინაშე ამ კაცის ესოდენი გულუშიშრობა. მაგრამ მატვეი ხომიაკი ცილს სწამებდა მეფეს, ამის მოთმენა კი არ შეეძლო ნიკიტა რომანოვიჩს. მან ნიშანი მისცა თავის მხედრებს. ბოიარის მორჩილებას ნაჩვევმა და ყაჩაღების თავხედობით გაღიზიანებულმა მეომრებმა ყულფები ჩამოაცვეს ტყვეებს და უკვე აპირებდნენ იგივე სასჯელი მიეზღოთ მათთვის, რაც სულ ახლახან საბრალო გლეხიკაცს ემუქრებოდა, მაგრამ ამ დროს სერებრიანის ის შავთვალა ვაჟკაცი მიუახლოვდა, მოხუც ამხანაგთან ერთად უნაგირიდან რომ გადმოახსნევინა თავადმა.

— ნება მომეცი, თავადო, ორიოდე სიტყვა გითხრა.

— მითხარი, გისმენ!

— თავადო, დღეს შენ სიკეთე გვიყავი, ამ ძაღლისშვილების ხელიდან გვიხსენი, ჰოდა ჩვენც გვინდა სიკეთე სიკეთით გადაგიხადოთ. შენ, როგორც ჩანს, კარგა ხანია არ ყოფილხარ მოსკოვს. ჩვენ კი ვიცით, რა ამბებიც იქა ტრიალებს. გაგვიგონე, თავადო, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია, ნუ ბრძანებ ამ შეჩვენებულების ჩამოხრჩობას. გაუშვი ეგენი, და ეგ ქაჯი ხომიაკიც გაუშვი. ეგენი კი არავის ეცოდება, შენ გვებრალები, თავადო. მაგათი მოვლა ჩვენ გვაცალე. ერთიც იქნება, ჩაგვივარდებიან ხელში და, ქრისტე ღმერთია მოწამე, თვითონ ჩამოვახრჩობ. არასგზით არ ასცდებათ ქამანდი, ოღონდ სჯობს, შენ კი არა, ისევ ჩვენმა ძმამ გაუყენოს ეგენი ბოუსავლეთში!

თავადმა გაოცებით შეხედა უცნობს. მას მტკიცედ გამომზირალი და ბამჭრიახი შავი თვალები ჰქონდა, მუქი წვერი სახის მთელ ქვედა ნახევარს უფარავდა, საღი და მწყობრი კბილები თვალისმომჭრელი სითეთრით უელავდა. ტანთ ისე ეცვა, კაცი იფიქრებდა ვაჭარ-ხელოსანთაგანი ან

ვიღაც წელღონიერი გლეხიაო; ის დაჯერებით ლაპარაკობდა და, როგორც ჩანდა, გულწრფელად სურდა ხიფათი აეცდინა თავადისთვის. სერებრიანი ძომეტებული ყურადღებით დააკვირდა მისი სახის ნაკვთებს და დაინახა, რომ მათ არაჩვეულებრივი გონიერებისა და საზრიანობის კვალი აჩნდა, ხოლო გამოხედვა ისეთი ჰქონდა, უცებ იგრძნობდით, ეს კაცი ერთი იმათ-განია, ვინც სხვათა წინამძღოლობასა და მბრძანებლობასაა ნაჩვევიო.

— ვინ ხარ, ვაჟკაცო? — ჰკითხა თავადმა, — და რისთვის ექომაგები იმ ხალხს, ვინც შენ თვითონ უნაგირზე მიგაბა?

— სწორეა, თავადო, შენ რომ არა, დასტურ არ ამცდებოდა ხეზე კონ-წიალი! მაგრამ მაინც დაუჯერე ამ ჩემ სიტყვას, გაუშვი ეგენი. სანანებ-ლად არ დაგრჩება, როცა მოსკოვს მიხვალ. იქ, თავადო, ის კი არ გეგო-ნოს, რაც წინათ იყო, ახლა სხვა დროა! იცოცხლე, მაგათ სუყველას რო ჩამოახრჩობდე, მეც არ ვიქნებოდი დამშლელი, რატომაც არ უნდა ჩამოახ-რჩო! მაგრამ მარტო ამათი დასჯა რა ბედენაა, ისედაც სამყოფად დარჩება მაგათი ჯილაგი ამ ჩვენ მიწაზე; ახლაც ბარე ათი მაგნაირი დაგიძვრათ ხე-ლიდან; ჰოდა, თუ ეს ქაჯის ნაშობი ხომიაკი არ მიბრუნდა მოსკოვს, ისი-ნი სხვას კი არა, პირდაპირ შენ დაგადებენ ხელს!

თავადს, ალბათ, ვერ დაარწმუნებდა უცნობის ავისმანიშნებელი ლაპა-რაკი, მაგრამ ამასობაში უკვე დაუცხრა სიბრაზე. ნიკიტამ განსაჯა, რომ მტარვალებზე ნაჩქარევი სამართლის ქმნა მაინცდამაინც დიდ სარგებლო-ბას ვერ მოიტანდა, მაშინ როცა, თუ მართლმსაჯულებას გადასცემდა მათ, შესაძლოა, ამ იდუმალი მძარცველების მთელი ხროვა გამოეაშკარავებინა. სერებრიანიმ დაწვრილებით გამოიკითხა, სად იყო უახლოესი გუბის მამა-სახლისის სამყოფელი და მეომართა ზემდეგს უბრძანა ამხანაგებთან ერ-თად მიეცილებინა იქამდე ტყვეები, თვითონ კი გამოაცხადა, აქედან მარ-ტო მიხეიჩის თანხლებით განვაგრძობ გზასო.

— შენი ნებაა, თავადო, გაგზავნო ეგ ძაღლები გუბის მამასახლის-თან, — უთხრა უცნობმა, — ოღონდ ენდე ჩემს სიტყვას, მამასახლისი მა-შინვე ბრძანებს ხელები შეუხსნან ამ ძაღლთაპირებს. სჯობდა თვითონ გა-გეშვა ეგენი თავიანთ გზაზე. თუმცა, ჩემგან რა გესწავლება, თავადვე იცი, როგორც მოიქცე.

მიხეიჩი ჩუმად უსმენდა მას და მხოლოდ ყურის ძირს იქექდა. რო-ცა უცნობი გაჩუმდა, მოხუცი ჯილავდარი თავადს მიუახლოვდა და მდაბლად ეთაყვანა.

— შენი მუხლების ჭირიმე, თავადო, — უთხრა მან, — რა ვიცი, ეს ყმაწვილი ეგებ არც ტყუოდეს: ვაითუ მამასახლისმა მართლა გაუშვას ყაჩაღები. ჰოდა, რახან შენი გულმოწყალების გამოისობით ყულფში თა-

ვის გაყოფა ააშორე მაგათ, რისთვისაც, შემოგეელოს მიხეიჩი, არც შენ გაგწირავს უფალი ღმერთი, იმის ნება მაინც დაგვრთე, რომ სანამ მამასახლისთან გაგზავნიდე, ყოველი შემთხვევისთვის, ერთი ორმოცდაათ-ორმოცდაათი მათრახი მივცხოთ, ვინძლო აწი მაინც ველარ გაბედონ კაცისკვლა და ავაზაკობა, მგლის კბილი მაგათ და ქორის კლანჭი!

რაკი თავადმა არაფერი უპასუხა, მიხეიჩმა თანხმობად მიიჩნია მისი ღუმილი და მაშინვე გააყვანინა ტყვეები ცოტა მოშორებით, სადაც ზუსტად და სწრაფად აღასრულეს მისგან შეთავაზებული სასჯელი, მიუხედავად ხომიაკის მუქარისა და ცოფისყრისა.

— ეგ ყველაზე მარგებელი რამაა!.. — თქვა მიხეიჩმა, როცა კმაყოფილი სახით დაბრუნდა თავადთან. — ჯერ ერთი, არაფერს უშავებს კაცს, მეორეც ისა, რომ — მისდღემჩი არ ამოუვათ მახსოვრობიდან.

უცნობი, ჩანდა, თვითონაც იწონებდა მიხეიჩის იღბლიან მოაზრებას. იგი წვერზე ისვამდა ხელს და ჩუმად იცინოდა, მაგრამ მალე კვლავ ადრინდულად დაუდინჯდა სახე.

— თავადო, — თქვა მან, — თუ შენ აქედან, როგორცა თქვი, მარტო ჯილავღარი გინდა იახლო გზაში, მაშინ მე და ჩემს ამხანაგს მაინც დაგვრთე ნება დაგემგზავროთ. ჩვენც იქით მოვდივართ, ერთად კი უფრო ხალისიანად ვიელით. ესეც არ იყოს, ვინ რა იცის, თუ კიდევ მოგვიხდა ხელებით მუშაობა, მაშინ რვა ხელი ოთხზე მეტს გამოცეხვავს.

თავადს არ ჰქონდა იმის მიზეზი, ეჭვით შეეხედა ახალშეძენილი ამხანაგებისთვის. მან უარი აღარ უთხრა უცნობებს და ხანმოკლე დასვენების შემდეგ ოთხივენი გაუდგნენ გზას.

II თავი

ახალი ამხანაგები

გზაში მიხეიჩი რამდენჯერმე შეეცადა უცნობთა ვინაობის შეტყობას, მაგრამ ისინი სიტყვას ბანზე უგდებდნენ, ან კიდევ ქილიკაობით იძერენდნენ თავს პასუხისგან.

— ფუი, მგლის კბილი თქვენა და ქორის კლანჭი! — თქვა ბოლოს გუნებაში მიხეიჩმა. — ეს ვის გადავეყარეთ! ხალხი კი არა, ხლაკუნები არიან, ღმერთმანი! გგონია ეს არის ვტაცე ხელი კუდშიო, ეკენი კი თითებშუა გისხლტებიან!

ამასობაში საღამო ხანმაც მოაღწია, სიბნელე მოეძალა მიდამოს. მიხეიჩი თავადს წამოეწია.

— ბატონო, — უთხრა მან, — ნეტავი კარგი ვქენით, ეგ უცნობები რომ დავიმგზავრეთ? ნამეტანი გაქნილი ვიღაცეები ჩანან, ასავალ-დასავალს ვერ გაუგებ კაცი, სულ უკულმართად აბრუნებენ სიტყვას. მხარ-ბეჭიც კაი გვარიანად დასქელებიათ, რაღა ეგენი და რაღა ხომიაკი. ვაითუ ვიღაც გავარდნილები არიან?

— თუნდაც გავარდნილები იყვნენ, — უდარდელად მიუგო თავადმა,— მაინც ჩვენი მშველელები იქნებიან, თუ ვინიცობაა კიდევ გადავეყარეთ ოპრიჩნიკებს.

— ჯანდაბას მაგათი თავი. გგონია მართლა გვიშველიან, თავადო? ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო, უთქვამთ; მე კიდე გავიგონე, როგორ ჩურჩულებდნენ ერთმანეთში, ეშმაკმა იცის რა ენაზე, სულ ვერაფერი გავუგე, ისე კი სიტყვები თითქოს რუსული იყო! გაფრთხილდი, ბატონო, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, თავადაც გაგეგონება!

უფრო ჩამობნელდა. მიხეიჩი გაჩუმდა. თავადიც ასევე მდუმარედ იყო. მხოლოდ ცხენების თქაფათქუფი და ხანგამოშვებით ფრთხილი ფრუტუნი ისმოდა ბნელში.

ტყით მიდიოდნენ. ერთმა უცნობთაგანმა სიმღერა წამოიწყო. მეორე აჰყვა.

ღამით, ტყის წიაღში დარხეულმა ამ სიმღერამ, იმ დღით შემთხვეული ამბების შემდეგ, უცნაურად იმოქმედა თავადზე: მას ნაღველი შემოაწვა, წარსული მოაგონდა, ხუთი წლის წინათ მოსკოვიდან თავისი გამგზავრება გაახსენდა, წარმოსახვამ კვლავ იმ საყდარში გადაიყვანა, სადაც გამგზავრების წინ პარაკლისი მოისმინა და საზეიმო გალობასა და მრევლის ჩურჩულში ნეტარებით გააოგნა ნაზმა, ჟღერადმა ხმამ, რომელიც ვერც ხმლების ჩახაჩუხმა ჩაახშო და ვერც ლიტველთა სიათების ქუხილმა. „ნახვამდის, თავადო, — იდუმალად ჩაჰღუღუნებდა ნიკიტას ეს ხმა. — მე შენთვის მლოცველი ვიქნები!..“ ამასობაში უცნობები თავის სიმღერას განაგრძობდნენ, მაგრამ მის სიტყვებს საერთო არა ჰქონდათ რა ბოიარის ფიქრებთან. სიმღერა ქებას უძღვნიდა სტეპების სილაღესა და უსაზღვროებას, დედა-ვოლგას, ბურლაკების თავაწყვეტილ ცხოვრებას. ხმები ხან ერთმანეთს ეხლართებოდნენ, ხანაც ცალკ-ცალკე მორაკრაკებდნენ, ხან სავსე ნაკადად მოირწეოდნენ, ფართო მდინარესავით, ხანაც მშფოთვარე ტალღებად მოასკდებოდნენ, ზვირთდებოდნენ და კვლავ ცხრებოდნენ, ბოლოს კი მაღლა, სულ მაღლა აიჭრებოდნენ და ცის შორეთში დანავარდობდნენ, ფრთებგაშლილი არწივებივით.

სევდისა და ხალისის მომგვრელია ზაფხულის წყნარ ღამეში, ტყის

უსიერ მდუმარებაში ლაღად დარხეული რუსული სიმღერა. მასში გაისმის უსასრულო, უნუგეშო ნაღველიც, უტეხი ძლიერების ყიჟინაც და ბედისწერის გარდუვალობის, ბედის მოწოდების უცვალებლობის ღაღადისიც, — ეს ერთ-ერთი ძირითადი საწყისი ჩვენი ეროვნული ხასიათისა, რითაც შეიძლება აიხსნას ბევრი რამ, რუსეთის ცხოვრებაში გაუგებარი რაც გვეჩვენება. და კიდევ რას არ ეუბნება კაცს გაბმული სიმღერა, ზაფხულის ღამესა და ტყის მდუმარებაში!

გამაყრუებელმა სტვენამ ფიქრი გაუკრთო ბოიარს. ხეების საფარიდან ორი კაცი გამოხტა და ლაგამში სწვდა მის ცხენს, ორმა სხვამ კი ხელები გაუკავა მხედარს. წინააღმდეგობა უკვე შეუძლებელი იყო.

— უჰ, თაღლითებო! — შეჰყვირა მიხეიჩმა, რომელსაც ასევე შემოეხვივნენ უცნობი ადამიანები, — უჰ, მგლის კბილი თქვენ და ქორის კლანჭი! ჰაი დედასა, მაინც მოგვაღორეს ამ წყეულებმა!

— ვინ მოდის? — იკითხა უხეშმა ხმამ.

— ბებიას თითისტარი! — უპასუხა იმან, რომელიც უმცროსი იყო თავადის ახლადშეძენილ ამხანაგთაგან.

— ბაბუას ქალამნებით! — თქვა უხეშმა ხმამ.

— რომელ ქარს მოჰყვებით, ჩვენებურებო?

— ნუ არხეე ვაშლის ხეებს! აცალე ამოვიდეს საფუარი, ერთი-ოთხად მოვიდეს მოსავალი! — განაგრძობდა თავადის თანამგზავრი.

მომხდურებმა მაშინვე უშვეს ხელი თავადს, და ცხენიც, რაკი თავისუფლება იგრძნო, კვლავ ფრუტუნ-ფრუტუნით გაუყვა გზას ხეებს შორის.

— ხედავ, თავადო, — თქვა უცნობმა და სერებრიანის წამოეწია, — ხომ გეუბნებოდი, ოთხნი უფრო ხალისიანად ვივლით, ვიდრე მარტო ორნიმეთქი! ახლა ბარემ ისიც დაგვანებე, წისქვილამდე მიგაცილოთ, იქ კი დავემშვიდობოთ ერთმანეთს. წისქვილში ღამესაც გაათევთ და ცხენებსაც დაანაყრებთ. იქამდე ორიოდე ვერსი იქნება, მეტი არა, იმას იქით კი მოსკოვიც შორს აღარაა!

— მადლობელი ვარ, მამაცებო, ამ სამსახურისთვის. თუ ოდესმე კვლავ გვიწერია შეხვედრა, არ დავივიწყებ, ვალს რომ გადახდა შვენის!

— შენ კი არა, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, თავადო, რა სამსახურიც გაგვიწიე. თუმცა, არა მგონია, როდისმე კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს, მაგრამ თუ ღმერთმა ინება და მართლა შეგვახვედრა, ეს ერთი იცოდე: რუს კაცს სიკეთე ახსოვს და ჩვენც მუდამ შენი ერთგული ყმები ვიქნებით!

— მადლობელი ვარ, ბიჭებო, ოღონდ, თქვენ სახელს არ მეტყვით?

— მე სახელი ერთი არა მაქვს, — უპასუხა იმან, რომელიც უფრო

ახალგაზრდა იყო, — ჯერხნობით ვანიუხა პერსტენი ვარ, სამერმისოდ კი იქნებ სხვა სახელიც მოიძებნოს ჩემთვის.

მალე ისინი წისქვილს მიუახლოვდნენ. გვიანი ღამე იყო, მაგრამ ბორბალი მაინც დგაფუნობდა წყალში. პერსტენმა დაუსტვინა და კარებში მეწისქვილე გამოჩნდა. ბნელში შეუძლებელი იყო მისი სახის გარჩევა, მაგრამ ხმაზე მიხვდებოდი კაცი, რომ მოხუცი იყო.

— უი, შენ ხარ, მარჩენალო? — უთხრა მან პერსტენს: — სულ არ მოგელოდი დღეს, ისიც თანამგზავრებით! რა იქნებოდა, ბარემ მოსკოვამდე მისულიყავი? თორემ მე, შემოგევლე, ისეთ ყოფაში ვარ, არც ქერი მაქვს, არც თივა, არც ვახშამი!

პერსტენმა რაღაც უთხრა მეწისქვილეს გაუგებარ ენაზე. მოხუცმაც ასევე გაუგებარი სიტყვებით უპასუხა და ხმადაბლა დააყოლა:

— მოხარულიც ვიქნებოდი, შემოგევლე, მაგრამ რა ვქნა, სტუმარს ველოდები; ისეთ სტუმარს, რომ, ღმერთო დამარჩინე, ნამეტანი ბრაზიანს!

— კი, მარა საგუბართან რომ ნალია გაქვს, არც იქ შეიძლება? — უთხრა პერსტენმა.

— სულ ტომრებითაა გამოტენილი.

— საკუჭნაოში რაღა გიყრია? გეყურება, შენ, შვილოსან, გირჩევნია ახლავე მოუძებნო ღამის გასათევი ამ ხალხს, ქერი ცხენებს და ვახშამი ბოიარს! ჩვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს, ჩემთან იწილო-ბიწილო არ გარგია.

მოხუცი ბუზღუნით წაუძღვა მოსულებს ნალიისკენ, რომელიც წისქვილიდან ათიოდე ნაბიჯზე იდგა. იქ ხორბლისა და ფქვილის ტომრები კი ელაგა, მაგრამ ადგილი მაინც სამყოფად იყო.

სანამ მოხუცი კვარს მოიტანდა, პერსტენი და მისი ამხანაგი ბოიარს დაემშვიდობნენ.

— ბარემ გვითხარით, მამაცებო, — ჰკითხა მიხეიჩმა, — სად გეძიოთ კაცმა, თუ ვინიცობაა დღევანდელი ამბის მერე მოწმეები დასჭირდა თავადს?

— ქარსა ჰკითხე, — უპასუხა პერსტენმა, — საიდან ხარ-თქო? აგორებულ ტალღასა ჰკითხე, სადა ცხოვრობ-თქო? ჩვენ, ძმობილო ჩემო, ლარით გატყორცნილი ისარივით ვართ ამ ქვეყანაზე: სადაც ნაწრთობი ისარი ჩაერჭობა მახვილი წვერით, იქ არის მისი ბინაცა და სამოსახლოც! მოწმეებად, — განაგრძობდა იგი მქირდავი ღიმილით, — ჩვენ ვერ გამოვადგებით მის მოწყალებას. ისე კი, თუ სხვა რამ ამბავმა დაგაჭირ-

ვათ ჩვენი თავი, ამ მეწისქვილეს მოაკითხე, ბერიკაცო. ეგ გეტყვის, სად იპოვო ვანიუხა პერსტენი!

— ამას დამიხედეთ, მგლის კბილი შენა და ქორის კლანჭი! — ცხვირში ჩაიდუდუნა მიხეიჩმა, — რა მოქარგულად ლაპარაკობს!

— თავადო, — უთხრა პერსტენმა განშორებისას, — დაიჯერე ჩემი სიტყვა. მოსკოვს ჩასული, ნუ დაიტრაბახებ, მალიუტა სკურატოვის მსახურის ჩამოხრჩობას რომ აპირებდი და მერე კი ხუნტრუცა თხასავით აუჭრელე ზურგი!

— უყურე ამას, როგორ ჭიკჭიკებს, — კვლავ ჩაიბუზღუნა მიხეიჩმა,— ყაჩაღი გაუშვი, ყაჩაღი არ ჩამოახრჩო, თან კიდევ ნურც იმას დაიტრაბახებ, ჩამოხრჩობა რომ გინდოდაო! ისე გალობს, ეტყობა, ერთი ამქრისანი არიან! ნუ ღელავ, ძმობილო, — დაადევნა მან ხმამაღლა, — ჩვენს თავადს შიში არავისი აქვს; მიუფურთხებია იმას შენი სკურლატოვისთვის; ეგ მხოლოდ მეფის მოპასუხეა და სხვა არავისი!

მეწისქვილემ ანთებული კვარი მოიტანა და კედელში ჩაარჭო. მერე შჩი, პური და ერთი კათხა ლუდიც შემოიტანა. მის ნაკვთებში უცნაურად შერწყმოდა ერთმანეთს გულკეთილობა და თაღლითობა. თმა და წვერი მთლად გაჭაღარავებოდა, თვალები კი ღია-ნაცრისფრად უელავდა. სახე ერთიანად დაეღარა ნაოჭებს.

თავადმა და მიხეიჩმა ივახშმეს, ილოცეს და ტომრებზე წამოწვნენ. მეწისქვილემ ღამე მშვიდობისა უსურვა მათ, მდაბლად დაუკრა თავი, კვარი ჩააქრო და გავიდა.

— ბატონო, — უთხრა მიხეიჩმა, როცა მარტონი დარჩნენ, — გული რაღაც ისე მითხრობს, მგონი კარგი არ ვქენით, აქ რომ შევჩერდით. სჯობდა პირდაპირ მოსკოვის გზას დავდგომოდით.

— მერე იმას აღარ ფიქრობ, ღვთისნიერ ხალხს რომ შევაწუხებდით ამ გვიან ღამეში, წარამარა ცხენიდან ჩამოსვლა და ყოველ ქუჩაზე ხარიხების შეხსნა რომ გაგვაწვალებდა?

— რა დიდი ამბავი ეგ არი, ბატონო! ამ ეშმაკეულ წისქვილში ძილს ისევ ხარიხების შეხსნა მერჩია. არა, რაღა მაინცდამაინც წისქვილში მოგვიყვანეს იმ წყეულებმა! თანაც სწორედ ახლა, ივან კუპალას დღესასწაულის წინაღამით. ფუი, დალახვროს ეშმაკმა!

— აბა რას ამბობ, განა ცუდად ხარ აქ?

— არა, ბატონო, ცუდად არ ვარ. მოსვენებულადაც ვწევარ, შჩიც გემრიელი იყო, ცხენებსაც ქერი დაუყარეს; მარა ცუდი ის არის, რომ მასპინძელი, თავადაც ხედავ, მეწისქვილეა!

— მერე რა, რომ მეწისქვილეა?

— როგორ თუ რა?! — გაცხარებით თქვა მიხეიჩმა. — განა არ იცი, თავადო, მთელ დუნიაზე ვერსად ნახავ მეწისქვილეს, არაწმიდას ჯილაგის რომ არ იყოს? თუ გგონია, უარაწმიდოდ გამართავს საგუბარს? კი, როგორ არა! მგლის კბილი მაგას და ქორის კლანჭი!

— მეც გამიგონია ეგა, — თქვა თავადმა, — მაგრამ განა ყველაფერი მართალია, რასაც კაცის ენა იტყვის. თუ არადა, ახლა რა დროს მაგის ჩხრეკაა, იკმარე, რაც ღმერთმა გიწყალობა, და მოისვენე.

მიხეიჩმა ცოტა ხანს იყუჩა, მერე დაამთქნარა, კვლავ გაყუჩდა და უკვე ძილმორეული ხმით იკითხა:

— როგორ ფიქრობ, ჰა, თავადო, რა კაცია ის მატვეი ხომიაკი, შენ რომ ცხენიდან გადმოანარცხე?

— ვფიქრობ, ყაჩაღია.

— მეც ასე ვფიქრობ. ამაზე კი რაღას ფიქრობ, თავადო, ამ ვანიუხა პერსტენზე, ეგ რა კაცია?

— ვფიქრობ, ეგეც ყაჩაღია.

— მეც ასე ვფიქრობ. ოღონდ ეს ყაჩაღი იმ ყაჩაღზე უფრო ნამუსიანი უნდა იყოს. შენ კი რა გგონია, ბოიარო, რომელი ყაჩაღი უფრო ნამუსიანი იქნება, ხომიაკი თუ პერსტენი?

და, პასუხსაც აღარ დალოდებია, ისე ამოუშვა ხვრინვა. მალე თავადმაც დაიძინა.

III თავი

ჯადოსნობა

ცაზე მთვარე ამოცურდა, ვარსკვლავები აკიაფდნენ. გასაცოდავებული წისქვილი და მოხმაურე ბორბალი ვერცხლისფერ შუქში ცურაედა.

უეცრად ცხენის თქარათქური გაისმა და სულ მალე ზედ წისქვილთან ვიღაცამ მბრძანებლურად დაიყვირა:

— ეი, ჯადოსანო!

ეტყობა, ეს კაცი ნაჩვევი არ იყო ლოდინს, რადგან, პასუხი რომ არ გასცეს, უფრო ხმამაღლა დაიღრიალა:

— ეი, ჯადოსანო! გამოდი, თორემ, იცოდე, ასო-ასო აგქნი!

გაისმა მეწისქვილის ხმა:

— წყნარად, თავადო, წყნარად, ბატონო, ჩვენ ახლა მარტონი არა ვართ, მგზავრები არიან ჩემთან ღამის სათევად; მე კი ახლავე გამოვალ, ბატონო, ოღონდ მაცალე ზანდუკი დავკეტო.

— მე შენ გიჩვენებ ზანდუკის დაკეტვას, შე ეშმაკის მაშხალავ, შენა! — დაიღრიალა იმ კაცმა, რომელსაც მეწისქვილე თავადს ეძახდა, — განა არ იცოდი, დღეს რომ უნდა მოვსულიყავი! როგორ გაბედე ღამისმთევლების მიღება! ახლავე წაეთრიონ აქედან!

— ნუ ყვირიხარ, ბატონო, თუ ღმერთი გწამს, ნუ ყვირიხარ, სულ წაახდენ საქმეს! მაშინაც ხომ გითხარი, ამ ჩვენ ამბავს ხმაური არ უყვარს-შეთქი; ღამისმთევლებს კი ვერ გავაგდებ, არ შემიძლია. ანკი რა საჭიროა, ხელს არ გვიშლიან, სძინავთ თავისთვის, თუ, შემოგევლე, შენი ყვირილით არ გააღვიძე!

— მაშ კარგი, მოხუცო, ოღონდ იცოდე, თუ ცუდუბრალოდ მიხვევ თვალებს, გერჩია სულ არ გაჩენილიყავი ამ ქვეყნად. ჯერაც არ მოუგონიათ, არც გაუგონიათ ისეთი სასჯელი, მე რომ შენთვის გამოვძებნი!

— ნუ მირისხდები, ბატონო! მეტი აბა რაღა ვიღონო, ბერიკაცმა? რასაც ვხედავ, კი გეუბნები, ხოლო სამერმისოდ რაც უნდა მოხდეს, იმის ამბავი ღმერთის მეტმა არავინ იცის! ჰოდა, თუ შენ, მოწყალეო თავადო, დასჯას მიპირებ, მაშინ მირჩევნია სულაც შევეშვა ამ საქმეს!

— კარგი, კარგი, მოხუცო, ნუ გეშინია, გაგეხუმრე მხოლოდ.

ღამის სტუმარმა ცხენი ხეზე დააბა. ის ტანშედგმული ვაჟკაცი იყო და, ეტყობა, ახალგაზრდაც. გრძელკალთიანი ხიფთანის ჩაწიკწიკებულ ღილკილოებზე მთვარის შუქი დასთამაშებდა. მხრებზე მურმოლკა ქუდის ოქროს ფოჩები ულიცლიცებდა.

— ჰოდა ასე, თავადო, — უთხრა მეწისქვილემ, — რა ქენი, დაისწავლე სიტყვები?

— სიტყვებიც დავისწავლე და მერცხლის გულიც შევიბი ყელზე.

— მერე, არც ეგ გშველის, ბოიარო?

— არა, — სინანულით მიუგო თავადმა, — არაფერი არ მშველის! ამასწინებზე ბაღში დავინახე. მიცნო თუ არა, გაფითრდა, პირი შემაქცია, სახლში შევარდა!

— აბა არ გამიბრაზდე, ბოიარო, ცუდუბრალოდ არ წამავდებინო თავი და, ნება მომეცი, რაღაც გითხრა.

— მითხარი, მოხუცო.

— ყური მიგდე, ბოიარო, ოღონდ მეშინია კი ამის თქმა...

— თქვი, ბარემ! — დაიყვირა თავადმა და ფეხი დაუბაკუნა.

— აბა ყური მომიგდე, შენი მუხლების ჭირიმე... სხვა ხომ არავინ უყვარს იმ ქალს?

— სხვა? სხვა ვინ უნდა უყვარდეს? ქმარი? ის ბეხრეკი?

— ეგება... ეგება... — განაგრძობდა მეწისქვილე ენის ბორძიკით, — ეგება ქმარი კი არა, ვინმე სხვა უყვარს?

— ფუ, შეგარცხვენა ღმერთმა, შე მართლა მავნევ! — იყვირა თავადმა, — არა, ეგ რაღამ გაფიქრებინა? ეგ რომ მგონებოდა, ვინმეზე რომ ეგ მეაზრა, ორთავეს ამ ხელებით ამოვგლეჯდი გულებს!

მეწისქვილე შიშმა დააბარბაცა და უკან მიაწყდა.

— ჯადოსანო, — განაგრძო თავადმა და ხმა შეარბილა, — მიშველე რამე! მთლად დამიმონა სიყვარულმა, უწყალო გველმა! რა არ ვიღონე, რა არ ვცადე! მთელ ღამეებს ლოცვა-ვედრებაში ვათენებდი ხატების წინ მუხლმოდრეკილი! მაინც არ იქნა ჩემი საშველი, ვერ გამოვილოცე მოსვენება, ვერა და ვერა! დავაგდე ლოცვა, მინდვრად გავიჭერ, გათენებიდან დაღამებამდე დავჯირითობდი აღმა-დაღმა, სულ დარჩეული ბედაურები შემოვიმარცხე, მოსვენება კი ვერ იქნა და ვერ გამოვხედნე! ღამით ქეიფსა და ღრეობას მივყავი ხელი, აზარფეშებით ვნთქავდი მათრობელ ღვინოს, მაინც ვერ ჩავახრჩე ნაღველი, ვერ ვინუგეშე თავი ლოთობით! ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე და ოპრიჩნიკი გავხდი. დავიწყე ღრეობა მეფის სუფრაზე, გაგრიების გვერდით, გრიაზნოებთან, ბასმანოვებთან! თვითონაც მათზე უარესად ვმტარვალობდი, სოფლებსა და დაბებს ვაწიოკებდი, ქალებსა და გოგოებს ვიტაცებდი, მაინც ვერ ჩავახრჩე სისხლში ჩემი ნაღველი! შიშით ძრწიან ჩემ ხსენებაზე ზემშჩინელებიც, ოპრიჩნიკებიც, მწყალობს მეფე სიმამაცისთვის, მწყევლის და მკრულავს მართლმორწმუნე უბრალო ხალხი. თავად აფანასი ვიაზემსკის სახელი ისევე შემაზრზენი შეიქნა, როგორც სახელი მალიუტა სკურატოვისა! აი რა დღე დამმართა სიყვარულმა, დამღუპა და სული წარმწყმიდა! თუმცა, რას ვაქნევ სულის წარწყმედას! რაც აქ დღეში ვარ, ამის უარესს, სულ ერთია, ჯოჯოხეთის გეენაშიც ვერ დამმართებენ! რაო, მოხუცო, რას მაშტერდები ამ თვალებში? თუ, გგონია, ჭკუას გადავცდი? არა, შვილოსან, აფანასი ივანიჩი ჭკუიდან არ გადამცდარა; თავიც მრთელი აქვს აფანასის და ჯანიც მრთელი აქვს! იმიტომაც არის ჩემი ტანჯვა ასე უღმერთო და საშინელი, რომ არ შეუძლია დამადნოს და ბოლო მომიღოს!

მეწისქვილე თავადს უსმენდა და ტანში ჟრუანტელი უვლიდა. იცოდა მისი სიშმაგის ამბავი და ეშინოდა, ვაითუ სული გამაფრთხობინოსო.

— აბა, რას გაჩუმებულხარ, მოხუცო? ნუთუ არა გაქვს ბანგი რამე, ანდა ფესვები რამენაირი, რომ ის ქალი გრძნებით შეკრას, მოაჯადო-

ვოს? მითხარი, აბა, ჩამომითვალე, რა და რა საგრძნეულო ბალახი იცი? ჰა, ამოიდგი ენა, ჯადოსანო!

— შენი ჭირი შემეყაროს, თავადო, აბა რა გითხრა? ბევრნაირი ბალახი მოიძევება. არის ეკალბალახა, პეტრე-პავლობის მარხვის დროს აგროვებენ. გაბოლავ იმით ისარს და მორჩა — არ აცდება მიზანს. არის შხამა ბალახი, ქაჩალ გორაზე, კიევის ახლოს იზრდება. ვინც იმას ატარებს, თავის დღეში მეფის რისხვა არ დაატყდება. არის კიდევ იასამანა — მტირალა ბალახი, გამოთლი მისი ფესვისგან ჯვარს და ყელზე დაიკიდებ, ცეცხლზე უფრო დიდი შიში ექნება შენი სუყველას!

ვიაზემსკიმ მწარედ ჩაიცინა.

— ჩემი შიში უმაგისოდაც ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი, — თქვა მან, — არ მჭირდება ეგ შენი მტირალა. სხვა, სხვა მითხარი.

— არის კიდევ ვაშლაძილა, ჭაობების მახლობლად იზრდება, მელოგინეს შველის და საჩუქრები მოაქვს. არის ჭაობის ცისფერა; თუ ვინიცობაა დათვზე ნადირობა მოგეგუნება, დალევ ცისფერას ნაყენს და ვერა დათვი ვერ შეგეხება. არის რევანდი — წივანა ბალახი; მიწიდან მოთხრას რომ მოუნდომებ, კვნესის და წივის ადამიანიშვილივით, მარა გულზე რომ დაიკიდებ, თავის დღეში წყალში არ დაიხრჩობი.

— მაგათ მეტი სხვა აღარაფერია?

— როგორ არ არის, ბატონო, არის კიდევ მთის ჩადუნა ანუ გვიმრა; ვინც იმის ყვავილის მოწყვეტას შეძლებს, ყველა საუნჯე სულ მისი იქნება ამ ქვეყანაზე; არის იაჟუჟუნა. ვინც იცის, როგორ მოკიდოს მაგ ბალახს ხელი, მთლად დავარდნილი ჯახრაკი ცხენითაც კი უპირველეს ბედაურს ჩამოიტოვებს.

— ეგ ყველა ყველა, მაგრამ იმნაირი ბალახი არ იცი, ლამაზ პატარძალს მისგან გაწბილებული რომ შეაყვაროს?

მეწისქვილეს ენა დაებორკა.

— არ ვიცი, ბატონო, ნუ გამირისხდები, შემოგევლე, ღმერთია მოწამე, არ ვიცი.

— აბა ისეთი, საკუთარ სიყვარულს რომ მოერიოს კაცი, არც ისეთი იცი?

— არა, არ ვიცი, ბატონო; მარა, ისე, არის კიდევ ერთი, ქვატეხიას ეძახიან: თუ იმით ციხის ან რამე რკინის კარს შეეხე, სულ ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯს მაშინვე!

— ჯანდაბაშიც წასულხარ შენი ბალახებიანად! — ბრაზიანად უთხრა ვიაზემსკიმ და ამღვრეული თვალები მიაშტერა მოხუცს.

მეწისქვილემ თვალები დახარა და ხმას არ იღებდა.

— მოხუცო! — შეჰყვირა უცებ თავადმა და საყელოში სწვდა ბერიკაცს, — ახლავე აქ გააჩინე ის ქალი! გეყურება? აქ გააჩინე, აქ გააჩინე, შე ქაჯო! ახლავე აქ გააჩინე!

იგი საყელოში ჩავლებული ორივე ხელით აყანყალებდა მოხუცს.

მეწისქვილემ გაიფიქრა, ახლა კი დადგა ჩემი აღსასრულის საათიო.

უცებ ვიაზემსკიმ ხელი უშვა ბერიკაცს და მუხლებზე დაემხო მის წინაშე.

— შემიბრალე მე უბედური! — აზლუქუნდა თავადი. — მომარჩინე ამ სატანჯველს! წყალობით აგავსებ, ოქროში გაცურებ, შენი მონა გავხდები! შემიბრალე მე უბედური, მოხუცო კაცო!

ამ ამბავმა უფრო მეტად შეაშინა მეწისქვილე.

— თავადო, ბატონო! რა გემართება? გონს მოდი! ეს მე ვარ, დავიდიჩი, მეწისქვილე!.. გონს მოდი, თავადო!

— არ ავდგები, სანამ არ მომარჩენ!

— თავადო! თავადო! — მთრთოლვარე ხმით უთხრა მეწისქვილემ, — კმარა ახლა, საქმეს უნდა შევუდგეთ. დრო გადის, ადექი! ახლა ბნელა, მე შენ არ დამინახიხარ, არც ის ვიცი, სადა ხარ! აბა, ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ, საქმეს მივხედოთ!

თავადი წამოდგა.

— მაშ დაიწყე, — თქვა მან, — მე მზად ვარ.

ორივენი გაჩუმდნენ. ირგვლივ სიწყნარე იყო. მხოლოდ მთვარით განათებული ბორბალი განაგრძობდა ხმაურსა და ბრუნვას. სადღაც, შორეულ ჭაობში, ღალღა ჭყიოდა. ზოგჯერ ბუც კვნესოდა უდაბურ ტყეში.

მოხუცი და თავადი წისქვილთან მივიდნენ.

— თავადო, შენ ბორბალს ქვემოთ იცქირე, მე კი შელოცვას დავიწყებ.

მოხუცი მიწაზე გაწვა და, ჯერ კიდევ შიშისგან სულშეგუბებული, რაღაც სიტყვების ბუტბუტს მოჰყვა. თავადი ბორბალს ქვემოთ იცქირებოდა. რამდენიმე წუთი გავიდა.

— რას ხედავ, თავადო?

— ვხედავ, თითქოს მარგალიტი მოცვივა საიდანღაც, თითქოს ოქროს თუმნიანები ბრჭყვიალებენ.

— მდიდარი კაცი იქნები, თავადო, რუსეთში ყველაზე მდიდარი კაცი!

ვიაზემსკიმ ამოიხვნეშა.

— კიდევ უყურე, თავადო, რას ხედავ?

— ვხედავ, თითქოს ხმლები გადაჭდობიან ერთიმეორეს, იმათ შორის კი მგონი ოქროს გრივნები მოჩანს!

— გამარჯვებული იქნები ბრძოლებში, ბოიარო, მეფის წყალობა არ მოგაკლდება! ოღონდ უყურე, უყურე კიდევ; თქვი, რას ხედავ ახლა?

— სულ ჩაბნელდა იქაურობა, წყალი აიმღვრა. ახლა კი წითლად იღებება წყალი, აი მეწამულისფრად ჩამუქდა, თითქოს სისხლიაო. ეს რაღას ნიშნავს?

მეწისქვილე ხმას არ იღებდა.

— ეს რაღას ნიშნავს, მოხუცო?

— კმარა, თავადო, დიდხანს ყურება კი არ ვარგა, წავიდეთ ახლა!

— აი, მეწამული ფერის ძაფები გამოჩნდა, თითქოს სისხლის ძარღვები იყოს; აი, თითქოს მარწუხები გადაიხსნენ და ისევ ჩაიწმახნენ, აი...

— წავიდეთ, თავადო, წავიდეთ, იკმარე ახლა!

— მაცალე! — თქვა ვიაზემსკიმ და ხელის კვრით მოიშორა მეწისქვილე, — აი, თითქოს კბილანა ხერხი მიდი-მოდის წინ და უკან, ქვემოთ კი თითქოს სისხლი გამოსჩქეფს!

მეწისქვილეს უნდოდა ძალით გადმოეთრია თავადი.

— მაცალე, მოხუცო, მაცალე, ცუდადა ვარ, სახსრებში მტეხავს... ოჰ, როგორ მტეხავს!

თავადი თვითონ გადმოხტა უკან. ჩანს, მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს მოჩვენება.

კარგა ხანს ორივენი ხმას არ იღებდნენ. ბოლოს ვიაზემსკიმ თქვა:

— მინდა ვიცოდე, უყვარს თუ არა იმას სხვა ვინმე!

— მერე გაქვს კია, თავადო, რამე ნივთი იმ ქალისგან?

— აი ეს ვიპოვე მის ჭიშკართან!

თავადმა ცისფერი ლენტი აჩვენა მოხუცს.

— ბორბალქვეშ ჩააგდე!

თავადიც ასე მოიქცა.

მეწისქვილემ თიხის მომცრო სურა ამოაცურა უბიდან.

— მოსვი! — უთხრა მან და სურა გაუწოდა თავადს.

თავადმა მოსვა. თავბრუ დაესხა, დარეტიანდა, თვალთ დაუბნელდა.

— ახლა ჩახედე იქ, რას ხედავ?

— იმას, იმას!

— მარტოა?

— არა, მარტო არ არის! ორნი არიან: ალისფერხიფთანიანი ქერა ჭაბუკია მასთან, ოღონდ სახე არ უჩანს... მოიცა! აი ისინი ერთმანეთს უახლოვდებიან... სულ ახლოს, ახლოს მიცურდნენ... შეჩვენებულნი!

ერთმანეთს კოცნიან! შეჩვენებულნი! წყეულიმც იყავ, ჯადოსანო, წყეულიმც იყავ, წყეულიმც, წყეულიმც!

თავადმა მჯიღით ფული მიუყარა მეწისქვილეს, ბრაზიანად მოგლიჯა ხეზე გამობმული აღვირი, უნაგირს მოახტა, და ტყეში ცხენის ნალების თქარათქური გაისმა. მალე მისი ხმაც მიწყდა და მხოლოდ ბორბალი ოხრავდა და ბრუნავდა ღამის სიწყნარეში.

IV თავი

დრუჟინა ანდრეევიჩი და მისი მეუღლე

მკითხველს რომ შეეძლოს სამასი წლის წინანდელ წარსულში გადაიხედოს და მაღალი სამრეკლოდან მოავლოს თვალი იმ ხანების მოსკოვს, მცირე მსგავსებას იპოვიდა მაშინდელ და ახლანდელ ქალაქს შორის. მოსკოვ-მდინარის, იაუზასა და ნეგლინაიას ნაპირები დრო-ჟამისგან ჩაშავებული ყავრული ან ჩალური ხის სახლებით იყო უმეტესწილად მოფენილი. ამ ჩაჟამებული სახურავებისგან მკვეთრად გამოირჩეოდა კრემლის, კიტაი-გოროდისა და უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში აგებულ სხვა სიმაგრეთა თეთრად და წითლად მაშუქარი კედლები. მაღლა ცაში იყო ატყორცნილი უთვალავი ეკლესიისა და სამრეკლოს ოქროსფერი გუმბათები. უზარმაზარ ყვითელ-მწვანე ლაქებივით ჩანდა სახლებს შორის ხშირი ჭალები და პურის ყანები. მოსკოვ-მდინარეზე ყანყალა ბონდის ხიდები იყო გაბმული, რომლებიც ძლიერად ირწეოდნენ და წყალში იძირებოდნენ, როცა ზედ ურმები ან მხედრები გადადიოდნენ. იაუზასა და ნეგლინაიაზე ათეულობით წისქვილის ბორბალი ბრუნავდა. შიგ ქალაქში სურათოვნად მიმოფენილი ეს ჭალები, ყანები და წისქვილები შნოსა და ლაზათს ჰმატებდნენ მაშინდელ მოსკოვს. განსაკუთრებით სიამოვნებდა კაცის თვალს მონასტრების ცქერა; თავიანთი თეთრი გალავნებითა და ჭრელ თაიგულებად აზიდული ფერადი და ოქროცურვილი გუმბათებით ისინი ცალკე ქალაქებს მოგაგონებდნენ.

ეკლესიების, სახლების, ჭალებისა და მონასტრების მთელ ამ სიჭრელეში ზვიადად იყო წამომართული კრემლის საყდრები და სწორედ იმ ხანებში დამთავრებული ღვთისმშობლის ტაძარი, რომლის აგება ყაზანის აღების აღსანიშნავად დაიწყო იოანემ რამდენიმე წლის წინათ და რომელიც ახლა ვასილ ნეტარის სახელს ატარებს. დიდი იყო მოსკო-

ველთა სიხარული, როცა ბოლოს ხარაჩოები ჩამოშალეს და აქამდე უცხო თვალისგან დაფარული ეკლესია მთელი თავისი ზღაპრული ბრწყინვალებით, ოქროთი და ფერებით მოელვარე, მრავალნაირი კაზმულობით თვალის მიმტაცი წარმოსდგა მსახველთ წინაშე. კიდევ დიდხანს გამოხატავდა ხალხი ხუროთმოძღვრის დიდოსტატობით გაოცებას, მადლობას სწირავდა ღმერთს და ადიდებდა მეფეს, აქამდე არნახული სახილველით რომ გააჯარა მართლმორწმუნენი. მოსკოვის დანარჩენი საყდრებიც მშვენიერი იყო. მოსკოველები არც ფულს, არც გარჯას არ იშურებდნენ ღვთის სახლების კეთილსახიერებისთვის. ყველგან ნახავდით ძვირფას ფერებს, ოქროს ვარაყებს და გარე კედლებზე მთელი ტანით გამოსახულ ვეება ხატებს. უყვარდათ მართლმორწმუნეთ ღვთის სახლების მორთვა-მოკაზმვა, მაგრამ, სამაგიეროდ, ცოტას ზრუნავდნენ საკუთარი საცხოვრებლების სიკოხტავეზე; თავიანთ ბინებს, თითქმის ერთიან, მკვიდრად და უბრალოდ აგებდნენ ფიჭვის ან მუხის ძელებისგან და მათ შესაფიცრავადაც არ იწუხებდნენ თავს, თანახმად ძველი რუსული ანდაზისა: ქოხს ჩუქურთმები კი არა, ღვეზელები ამშვენებსო.

მხოლოდ ერთი საცხოვრებელი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სილამაზით. ეს იყო ბოიარ დრუჟინა ანდრეევიჩ მოროზოვის სახლი, რომელიც მოსკოვ-მღინარის ნაპირას იდგა. მუხის ძელები საგანგებოდ შერჩეული, ერთნაირად მრგვალი და სწორი იყო. ყველა კუთხე თითნაჭედად შეეჭრათ, სახლი ქორედ-ქორედად, სამ სართულად ამოეყვანათ, თუ სასტუმრო დარბაზს არ ეიგულისხმებთ. წინგარდის მაღალი კიბის სახურავი რუმბებივით დაბერილ იჩხიბ სვეტებზე იყო დანდობილი და ნატიფი ჩუქურთმებით დამშვენებული. დარაბები ლამაზად მოეხატათ ყვავილებითა და ჩიტებით, ხოლო ფანჯრებში დაბინდული ხარის ბუშტები კი არ იყო ჩატანებული, როგორც მეტწილ მოსკოვურ სახლებში, არამედ სუფთა, გამჭვირვალე ქარსი. ვრცელ სამოსახლოში საფარეშოები, საკუჭნაოები, საშრობები, სამტრედე და ბოიარის საზაფხულო განსასვენებელი იდგა. ეზოს ერთი მხრიდან საგვარეულო ქვის ეკლესია ემიჯნებოდა, მეორედან კი — მუხის მესერით შემოზღუდული ვრცელი ბაღი, რომელშიც ასევე მოჩუქურთმებული და მოხატული ლამაზი საქანელა იდგა. ერთი სიტყვით, სახლ-კარი სანაქებოდ იყო გამართული. და მის პატრონს ჰქონდა კიდეც საამისო მიზეზი!

ბოიარმა დრუჟინა ანდეევიჩმა, ტანაბოვანმა, გულფიცხმა დიდებულმა, ხანდაზმულობისდა მიუხედავად, სულ ახლახან ულამაზესი მოსკოველი ქალიშვილი შეირთო ცოლად. ყველა განცვიფრდა, როცა ოცი წლის ელენა დმიტრიევნა, ყაზანთან დაღუპულ ოკოლნიჩ პლეშჩეევ-

ოჩინის ქალიშვილი, მოროზოვს გაჰყვა. ასეთ სასიძოს როდი ჰპირდებოდნენ მას მოსკოველი მაშვლები. მაგრამ გასათხოვარი ელენა უდედმამო იყო, თავისი სილამაზე კი ქალიშვილს, მეფის ახალ მსახურთა ზნეუკულმართობის გამოისობით, თავისდა სავალალოდ უფრო სჭირდა, ვიდრე სასიხარულოდ.

მოროზოვი, რაკი ელენაზე დაქორწინდა, მისი მფარველი შეიქნა, მოსკოვში კი ყველამ იცოდა, ავად ხელს ვერავინ ახლებდა იმას, ვისაც ბოიარი დრუჟინა ქომაგ-მოსარჩლედ დაუდგებოდა!

სანამ ელენა გაუთხოვარი იყო, მეფის ბევრი რჩეული ცდილობდა თავი მოეწონებინა მისთვის, მაგრამ არავინ ისე არ ირჯებოდა, როგორც თავადი აფანასი ივანოვიჩ ვიაზემსკი. ძვირფას საჩუქრებსაც უგზავნიდა ქალიშვილს, ეკლესიებშიც მუდამ თვალწინ უტორლიალებდა, გახელებული ცხენით დაჯირითობდა მისი სახლის წინ, მუშტი-კრივშიც არ ეპუებოდა ერთი მთელ კედელს. მაგრამ ბედი არ სწყალობდა თავადს! მაშვლებს უკანვე მოჰქონდათ მისი საჩუქრები, შეხვედრისას კი ელენა პირს არიდებდა. იმის გამო ერიდებოდა ქალწული, რომ არ მოსწონდა თავადი აფანასი, თუ მის გულში უკვე სხვისი ტრფობა ბუდობდა, არავინ უწყოდა, მაგრამ რამდენს არ ეცადა ვიაზემსკი, მაინც ვერაფერი გაარიგა. ბოლოს გამწარდა თავადი და მეფე ივან ვასილევიჩს ეაჯა ქედდადრეკილი, რათა თავის მარცხიან სიყვარულში შემწეობა გამოეთხოვა. მეფემაც აღუთქვა, მე თვითონ მივუგზავნი შუაკაცებს ელენა დმიტრიევნასო. ეს რომ შეიტყო, ელენა ცრემლად დაიღვარა, ძიძა გაიყოლა და ეკლესიაში წავიდა, მუხლებზე დაემხო ღვთისმშობლის წინაშე, ტიროდა და გულმხურვალედ ევედრებოდა.

ეკლესიაში არავინ იყო. მაგრამ, როცა ელენა წამოდგა და მოიხედა, დაინახა, რომ მის უკან მოროზოვი იდგა. ბოიარს მწვანე ხავერდის ხიფთანი ეცვა, ხოლო გრძელკალთა, მოკლესახელოიანი ფარჩის მოსასხამი კი შეეხსნა და მოეღელა.

— რისთვის ღვრი ცრემლებს, ელენა დმიტრიევნა? — ჰკითხა მოროზოვმა.

მისმა დანახვამ ელენა გაახარა.

ოდესღაც იგი მეგობრობდა ელენას მშობლებს და ახლაც მოიკითხავდა ხოლმე ქალიშვილს, ღვიძლი შვილივით უყვარდა ის. ელენა თითქმის მამად მიიჩნევდა მას და თავის ფიქრებსაც ანდობდა; მხოლოდ ერთი ფიქრი არ გაანდო; ერთი ხვაშიადი დაუმალა დრუჟინას; დაუმალა თავისდა საუბედუროდ, მის დასაღუპავად!

არც ახლა გაუმხილა ბოიარს თავისი სანუკვარი ხვაშიადი და კითხ-

ვის პასუხად მხოლოდ ის უთხრა, მეფის შუაკაცები აპირებენ მოსვლას, უნდათ ძალით მიმათხოვონ ვიაზემსკის და ეს მატირებსო!

— ელენა დმიტრიევნა, — უთხრა მოროზოვმა, — ვითომ მართლა არ გიყვარს ვიაზემსკი? კარგად დაფიქრდი. ვიცი, აქამდე ის კაცი არ ეკარებოდა შენს გულს; მაგრამ, თუ არ ვცდები, შენ ხომ ჯერჯერობით არავინ გამოგირჩევია გუნებაში, მანამდე კი ქალწულის გული — ცვილივითაა: შეეჩვევი — შეგიყვარდება!

— არასოდეს! — მიუგო ელენამ, — არასოდეს არ შევიყვარებ იმას. მირჩევნია საფლავში ჩავიდე!

მოროზოვმა თანაგრძნობით შეხედა ქალწულს.

— ელენა დმიტრიევნა, — უთხრა მან ხანმოკლე დუმილის შემდეგ, — არის შენი გადარჩენის გზა. მომისმინე. მე მოვხუცდი და გავჭაღარავდი, მაგრამ შვილივით მიყვარხარ. იფიქრე, ელენა, თანახმა ხარ, მე მომთხოვდე, მოხუც კაცს?

— თანახმა ვარ! — სიხარულით შეჰყვირა ელენამ და მუხლებში ჩაუვარდა მოროზოვს.

ააღელვა დრუჟინა მოულოდნელმა ნათქვამმა. გაახარა ელენას აღტაცებამ, ვერ მიხვდა, ბებერი, რომ ეს იმ ადამიანის აღტაცება იყო, რომელიც წყალს მიაქვს და ეკლის ბუჩქს ებღაუჭება გადასარჩენად.

მან ალერსიანად წამოაყენა ელენა და შუბლზე ეამბორა.

— უმანკო ბავშვო, — უთხრა მოროზოვმა, — მაშ მემთხვიე ჯვარზე, რომ არ შეარცხვენ ამ ჩემ ჭაღარას! შემომფიცე აი აქ, მაცხოვრის წინაშე!

— გეფიცები, გეფიცები! — წაიჩურჩულა ელენამ.

ბოიარმა ბრძანა მღვდელი მოეყვანათ და მალე ნიშნობის წესიც აღასრულეს; ხოლო როცა მეფის შუაკაცები გაჩნდნენ ელენასთან, ის უკვე დრუჟინა ანდრეევიჩ მოროზოვის დანიშნული იყო.

სიყვარულით არ მისთხოვებია ელენა მოროზოვს. მაგრამ მან ჯვარზე მთხვევით შეჰფიცა დრუჟინას ერთგულება და მტკიცედ გადაწყვიტა, არ გაეტეხა ეს ფიცი; არც სიტყვით, არც ფიქრით არ შეეცოდა თავისი უფალის წინაშე.

ანკი რატომ არ უნდა ჰყვარებოდა ელენას დრუჟინა ანდრეევიჩი? მართალია, მოროზოვი ახალგაზრდა არ იყო, მაგრამ გამჩენმა ჯანიც უწყალობა მას და ახოვანებაც, მეომრული გულოვნობაც და უდრეკი ხასიათიც, ვრცელი მამულებიც მოსკოვ-მდინარის გაღმა მხარეს და ოქროულით, ფარჩეულითა და ძვირფასი ბეწვეულით სავსე საკუჭნაოებიც. მხოლოდ ერთი სიკეთე ვერ გაიმეტა გამჩენმა მოროზოვისთვის: მეფის

წყალობა ვერ გაიმეტა. თავისი შუაკაცების გაწბილების ამბავი რომ შეიტყო, ივან ვასილევიჩი გაურისხდა ბოიარს და მის დასასჯელად აღიძრა. მან თავის სუფრაზე იწვია მოროზოვი და არა მარტო ვიაზემსკი დაუსვა წინ, არამედ გოდუნოვიც, ბორის ფიოდორიჩი, რომელსაც ჯერაც არ დაემსახურებინა მეფის კარზე პატივი და არც რაიმე ხარისხი ჰქონდა ნაბოძები.

ვერ აიტანა ბოიარმა ასეთი შერცხვენა, სუფრიდან წამოდგა: არ შეჰფერის მოროზოვს გოდუნოვის შემდეგ ჯდომაო! მაშინ გულგოროზი მეფე ბრაზით აინთო და მოროზოვი ბორის ფიოდორიჩის სამსჯავროს გადასცა. ეახლა დრუჟინა თავის მტერს კისერხმალკიდებული, მაგრამ უწყალოდ გალანძღა გოდუნოვი და ლეკვი უწოდა მას.

ეს რომ გაიგო, მეფე მთლად გააფთრდა, მოროზოვს უბრძანა თვალთაგან გასცლოდა და ჭაღარა თმა მოეშვა, სანამ შერისხვას არ მიუტევებდა. და დრუჟინაც გაერიდა მეფის კარს; ჰოდა, დადიოდა ახლა ფლასით მოსილი, წვერუვარცხნელი, ამაყ შუბლზე ჩამოშლილი ჭაღარა თმით. ნაღვლობდა ბოიარი, ხელმწიფის თვალებს რომ ველარ ხედავდა, მაგრამ თავისი გვარი არ შეარცხვინა, გოდუნოვზე დაბლა მაინც არ დაჯდა!

მოროზოვის სახლი სიკეთით დუღდა და გადმოდიოდა. მსახურებს შიში და სიყვარული ჰქონდათ თავიანთი ბატონისა. ყველას, ვინც მის ოჯახში ფეხს შეადგამდა, მასპინძელი ხელგაშლით ეგებებოდა. შინაურებსაც და გარეშეებსაც სალაპარაკოდ ჰქონდათ მოროზოვის ალერსიანობა; ყველას სწყალობდა ის თბილი მოპყრობით, ძვირფასი სამოსით და ბრძნული რჩევითაც. მაგრამ არავის არ უალერსებდა, არავის ისე არ სწყალობდა, როგორც თავის ახალგაზრდა ცოლს, ელენა დმიტრიევნას. და ცოლიც ალერსზე ალერსითვე მიუგებდა, ყოველ დილით და ყოველ მწუხრის ჟამს დიდხანს იდგა ხოლმე მუხლმოდრეკილი თავის სახატეში, გულმხურვალედ ლოცულობდა ბოიარისთვის.

და განა დამნაშავე იყო ელენა, თუ დრუჟინას ტკბილ საუბარში, ხატების წინ გულმხურვალე ლოცვაში უეცრივ ეელინებოდა გაფრენილ რაშზე ამხედრებული, ხმალამოწვდილი ჭაბუკი რაინდი და მის წინ უწესრიგოდ მეოტი ლიტველთა პოლკები?

განა დამნაშავე იყო ელენა, თუ ამ მხედრის სახება მუდამ თან ახლდა — შინაც და ეკლესიაშიც, დღითაც და ღამითაც — და ყოველდრებით ეუბნებოდა: „ელენა! შენ არ შეასრულე დანაპირები, არ დაელოდე ჩემს დაბრუნებას, შენ მომატყუე!..“

ათას ხუთას სამოცდა ხუთ წელს, ივნისის ოცდაოთხს, ივანობა

დღეს, მოსკოვში ადრე დილიდანვე დაირხა ყველა ზარი და შეუსვენებლად რეკდა და რეკდა. ეკლესიებში მლოცველების ტევა არ იყო. წირვა რომ დამთავრდა, ხალხი ქუჩებში გამოეფინა. ახალგაზრდებსა და მოხუცებს, ღარიბებსა და მდიდრებს ლენტებით მორთული მწვანე ტოტები, ყვავილები, ნორჩი არყის ხეები მოჰქონდათ შინ. გარშემო ყველაფერი აჭრელებული, აერიამულებული, გახალისებული იყო. მაგრამ შუადღის მოახლოვებისას ქუჩები თანდათან დაცარიელდა. ხალხი ნელ-ნელა სახლებში გაიკრიბა და მალე მოსკოვში ძე-ხორციელს ვერ შეხვდებოდით გარეთ მოსიარულეს. სამარისებური სიჩუმე ჩამოდგა. მართლმორწმუნენი თავიანთ ოჯახებში ისვენებდნენ და არავინ ჩანდა, ქუჩებში სეირნობით ღმერთი განერისხებინა, რამეთუ ღმერთმა ადამიანსაცა და ყველა სულიერს შუადღის ჟამს მოსვენება დაუდგინა. ღვთის უამურად მოქცევა კი დიდი ცოდვაა, თუ ვინიცობაა, რამე გადაუდებელი საქმე არ გვაიძულებს.

ასე და ამრიგად, ყველას ეძინა. მოსკოვი უკაცრიელ ქალაქს დამსგავსებოდა. მხოლოდ ბალჩუგზე, სწორედ იმხანად აგებულ სახამროში, ანუ სამიკიტნოში, ისმოდა ყვირილი, აყალმაყალი და სიმღერები. იქ, შუადღის მიუხედავად, მდიდრულად დამოსილი, თითქმის სულ ახალგაზრდა მეომრები ღრეობდნენ. ყველგან სუფრა იყო გაშლილი: შიგ შენობაშიც, ეზოშიც, ქუჩაშიც კი. ყველანი მთვრალები იყვნენ; ზოგი პირდაპირ მიწაზე წამოწოლილიყო და სასმისიდან ტანისამოსზე იღვრიდა ღვინოს; ზოგიც ჩახრინწული ხმით ცდილობდა სიმღერაში აჰყოლოდა ამხანაგებს, მაგრამ მხოლოდ მოგუდულ უთავბოლო ბგერებს აცოდვილებდა სლოკინ-სლოკინით. შეკაზმული ცხენები ჭიშკართან დაეყენებინათ. თვითეულ უნაგირზე ცოცხი და ძაღლის თავი იყო მიბმული.

ამ დროს ქუჩაზე ორი ცხენოსანი გამოჩნდა. ერთი მათგანი, რომელსაც ალისფერი თხელი მაუდის ოქროსფოჩებიანი ხიფთანი ეცვა, თეთრი ფარჩის ქუდი ეხურა და ჩამოშლილი ქერა ხუჭუჭა თმა მოუჩანდა, თანამგზავრს მიუბრუნდა.

— მიხეიჩ, — თქვა მან, — ხედავ ამ მთვრალ ხალხს?

— ვხედავ, ბატონო, მგლის კბილი მაგათ და ქორის კლანჭი! უყურე მაგ ლოთიფოთებს, რა ამბავში არიან!

— იმას თუ ხედავ, ცხენებს რა ჰკიდიათ უნაგირებზე?

— ვხედავ: ცოცხები და ქოფაკთა დრუნჩები, როგორც იმ ყაჩაღს! ეტყობა, მართლა მეფის კაცები ყოფილან, რაკი მოსკოვში ასე ილხენენ! ეჰ, რა ვქენით ეს, ბოიარო, რა შარი ავიტეხეთ!

თავადს შუბლი შეეჭმუხნა.

— მიდი, ჰკითხე მაგათ, სად ცხოვრობს ბოიარი მოროზოვი!

— ჰეი, კეთილო ხალხო, ღირსო ბატონებო! — გასძახა მიხეიჩმა და მოქეიფეებს მიუახლოვდა, — ვერ მეტყვით, სად ცხოვრობს ბოიარი დრუჟინა ანდრეიჩ მოროზოვი?

— კი მაგრამ შენ რა საქმე გაგჩენია მაგ ძაღლთან?

— ჩემს ბოიარს, თავად სერებრიანის, უსტარი აქვს მოროზოვისთვის ვოევოდა თავად პრონსკისგან, დიდი პოლკიდან.

— მოიტა აქ ეგ უსტარი!

— რას ამბობ, რას, მგლის კბილი შენ და... რას ამბობ? ჭკუაზე ხარ? შენ ვინა ხარ, რომ თავადის უსტარი მოგცე?

— მოიტა უსტარი, ბებერო ბღენძო, მოიტა ახლავე! ვნახოთ ერთი, ღალატს ხომ არ აპირებს ეგ მოროზოვი, ხელმწიფის წახდენას ხომ არ იზრახავს!

— ხმა ჩაიწყვიტე, შე არამზადავ! — შეჰყვირა მიხეიჩმა, რომელსაც უცებ გადაავიწყდა, რომ ფრთხილად აპირებდა ამ ხალხთან ლაპარაკს.— რა სჭირს ჩემს ბატონს მოღალატეებში გასარევი!

— ერიჰაა, შენ ლანძღვასაც ბედავ?! აბა, ბიჭებო, გადმოათრიეთ ცხენიდან ეგ, მათრახი მაგას!

ახლა კი თვითონ სერებრიანი მიიჭრა ცხენდაცხენ ოპრიჩნიკებთან.

— უკან დაიწით! — ისე მრისხანედ შეჰყვირა თავადმა, რომ ისინი უნებურად შედგნენ. — თუ რომელიმე თქვენგანი, — განაგრძო მან,—თუნდაც თითს დააკარებს ამ კაცს, იმას ჩემი ხელით გავუპობ თავს, დანარჩენები კი ხელმწიფესთან აგებენ პასუხს!

ოპრიჩნიკები შეცბუნდნენ; მაგრამ მათ სხვა ამხანაგებიც შემოუერთდნენ მეზობელი ქუჩებიდან და თავადს შემოეხვივნენ. ბრბოდან უკადრისი სიტყვების სეტყვა წამოვიდა. ბევრმა ხმალიც იშიშვლა და კარგი დღე არ დაადგებოდა სერებრიანის, რომ ამ დროს სულ ახლოს ფსალმუნის ხმა არ დარხეულიყო და მოჯადოებულებივით არ მოენუსხა ოპრიჩნიკები. ყველამ იქით მიიხედა, საიდანაც გალობა მოისმოდა. ქუჩაში ტილოს პერანგამარა ვიღაც ორმოციოდე წლის კაცი მოაბიჯებდა. გულზე რკინის ჯვრები და ჯაჭვები უჟღარუნებდა, ხელში კი ხის კრიალოსანი ეჭირა. ფერმკრთალ სახეზე უჩვეულო სიკეთე ეხატა, მეჩხერი წვერით მოჩრდილულ ბაგეებზე ღიმილი დასთამაშებდა, მაგრამ თვალები მღვრიედ და გაურკვევლად იცქირებოდნენ.

სერებრიანი რომ დაინახა, გალობა შეწყვიტა, აჩქარებით გამოსწია მისკენ და შიგ სახეში ჩახედა.

— შენა ხარ, შენ! — თქვა მან თითქოსდა გაოცებით, — რა გინდა აქ, ამათ შორის?

და არც დალოდებია პასუხს, ისე დაიწყო გალობა: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა ცოდვილთასა!“

ოპრიჩნიკები მოწიწებით მიდგნენ უკან, მაგრამ ამ კაცს ყურადღებაც არ მიუქცევია მათთვის, კვლავ სერებრიანის მიუბრუნდა და თვალი თვალში გაუყარა.

— მიკიტავ, მიკიტავ! — თქვა მან თავის ქნევით, — აქ სად მოხვედი, სად?

სერებრიანის არასოდეს ენახა ეს კაცი და გაუკვირდა, სახელს რომ ეძახდა.

— განა შენ მიცნობ? — ჰკითხა თავადმა.

ნეტარს გაეცინა.

— შენ ჩემი ძმა ხარ! — უპასუხა მან. — მე დანახვისთანავე გიცანი. შენც ჩემისთანა ნეტარი ხარ. და არც ჭკუა გაქვს ჩემზე მეტი, თორემ აქ არ მოხვიდოდი. მე გადაშლილივით ვხედავ შენ გულს. იქ სულ სიწმინდე გაქვს ჩაბუდებული, კამკამა სიწმინდე, მხოლოდ სიმართლე გიძევს და სხვა არაფერი. მე და შენ ორივენი სალოსები ვართ! ესენი კი... — განაგრძობდა ის და იარაღასხმულ ბრბოსკენ იშვერდა თითს, — ესენი ჩვენი სისხლ-ხორცნი არ არიან! უჰ!

— ვასია, — უთხრა ერთ-ერთმა ოპრიჩნიკმა, — ხომ არაფერი გინდა? იქნებ ფული გჭირდება?

— არა, არა, არა! — მიუგო ნეტარმა, — შენგან არაფერი არ მინდა! ვასია არაფერს აიღებს შენგან, აი მიკიტკას კი მიეცი, რასაცა გთხოვს!

— ღვთის კაცო, — უთხრა სერებრიანიმ, — მე მაგათ ვთხოვე, ბოიარ მოროზოვის სახლი მიმასწავლეთ-მეთქი!

— აა, დრუჟინკასი? ეგ ჩვენი ძმაა! ეგ ალალი კაცია! ოღონდ ქედი აქვს მოუხრელი! ო, როგორი მოუხრელი! მაგრამ მალე მოიხრება, მოიხრება და ვაი რომ ველარც აიმართება!

— სად ცხოვრობს ბოიარი? — ალერსიანად ჩაეკითხა სერებრიანი.

— არ გეტყვი! — თითქოს გაჯავრებით მიუგო ნეტარმა, — არ გეტყვი, დაე სხვებმა გითხრან. მე კი არ მინდა უკეთურ საქმეზე შენი გაგზავნა!

და აჩქარებით გაშორდა იქაურობას, თან კვლავ მოჰყვა შეწყვეტილი ფსალმუნის ღიღინს.

სერებრიანიმ ვერაფერი გაუგო ნეტარის ქარაგმულ ნათქვამს და არც ჰქონდა ახლა ამაზე ფიქრის დრო. იგი კვლავ ოპრიჩნიკებს მიუბრუნდა.

— აბა, რას იტყვით, — ჰკითხა მან, — მიმასწავლით, ბოლოს და ბოლოს, მოროზოვის სახლს?

— გაჰყევი ამ ქუჩას, — უხეშად უთხრა ერთმა მათგანმა, — იარე სულ პირდაპირ, მერე კი მარცხნივ გაუხვევ და იმ შენი ბებერი ყვავის ბუდესაც მიადგები.

თავადი რომ გაუდგა გზას, სალოსის გამოჩენით დაშოშმინებულმა ოპრიჩნიკებმა ნელ-ნელა კვლავ დაიწყეს შფოთვა და ხმაური.

— ეი! — მიაძახა ერთმა მათგანმა, — მოროზოვს ჩვენი მოკითხვა გადაეცი და უთხარი, მალე სახრჩობელაზე ასვლა მოგიწევს და მზად იყავი-თქო. თორემ ნამეტანი დიდხანს შემორჩა ამ ქვეყანას!

— ჰოდა, ბარემ შენთვისაც მოიმარაგე თოკი! — ხორხოცით დაადევნა მეორემ.

მაგრამ თავადს ყურადღება არ მიუქცევია მათი ლანძღვა-გინებისათვის.

„ნეტავ რის თქმა სურდა იმ ღვთის გლახას? — ფიქრობდა თავჩაქინდრული სერებრიანი. — რატომ არ მიმასწავლა მოროზოვის სახლი, ან ის რატომ მითხრა, არ მინდა უკეთურ საქმეზე შენი გაგზავნაო?“

.გზად მიმავალი თავადი და მიხეიჩი კიდევ ბევრ ოპრიჩნიკს შეხვდნენ. ზოგი უკვე მთვრალი იყო, ზოგი კი მხოლოდ ახლა მიეშურებოდა სამიკიტნოსკენ. ყველანი უტიფრად და თავხედურად ატრიალებდნენ თვალებს, ზოგი კი ისეთ უდიერ სიტყვებს აგონებდა მხედრებს, ადვილად მიხვდებოდა კაცი, რამდენად თავგასულნი და აღვირახსნილნი იყვნენ.

V თავი

შეხვედრა

თუ კაცი ცხენით ჩაივლიდი მოსკოვ-მდინარის ნაპირას, მესერს ზემოდან მოროზოვის მთელ ბაღს დაინახავდი.

კამკამა ტბორი, რომელიც ბარაქიან საზრდოს აძლევდა ბოიარს მარხვის დღეებში, აყვავებული ცაცხვებით იყო გადაჩრდილული. ტბორს იქით მწვანედ ხასხასებდნენ ვაშლის ხეები, ალუბლები და ქლიავები. გაუთიბავ ბალახში ვიწრო ბილიკები მიიკლაკნებოდა. ცხელი დღე იყო. სურნელოვანი ბსკილის ბრიალა ყვავილებს ოქროსფერი ხოჭოები დასტრიალებდნენ. ცაცხვებში ფუტკრები ზუზუნებდნენ. ბალახში კუტკალიები ჭრიალებდნენ. წითელი მოცხარის ბუჩქებს გადაღმა ვეება მზესუმ-

ზირებს აეშვირათ ფართე თავები და თითქოს ნებივრობდნენ შუადღის მზეზე.

ბოიარი მოროზოვი უკვე ერთი საათი იქნებოდა თავის საძინებელში ისვენებდა. ელენა მოახლე ქალიშვილებთან ერთად ცაცხვებქვეშ იჯდა, ბელტების მერხზე, ზედ მესერთან. მას იაგუნდის ღილებიანი ცისფერი ხავერდის საზაფხულო კაბა ეცვა. მარმაშის ფართო, ნაოჭებიანი სახელოები იდაყვს ზემოთ ალმასის დასტანგებით ანუ სამკლავეებით ჰქონდა გადაჭერილი. ალმასისავე საყურეები ზედ მხრისთავებამდე წვდებოდა. თავზე მარგალიტით მოოჭვილი კოკოშნიკი ეხურა, სირმებიანი ტარსიკონის წაღები კი ოქროსფრად უელავდა.

ელენა მხიარული ჩანდა. იცინოდა და ქალიშვილებთან ხუმრობდა.

— ბოიარინა, — უთხრა ერთმა მათგანმა, — აბა ეს სამკლავეებიც გაისინჯე, უფრო სახიანია.

— მაკმარეთ ამდენი კოხტაობა, გოგოებო, — ალერსიანად მიუგო ელენამ, — აგერ უკვე მთელი საათია მრთავთ და მამკობთ, მეყოფა უკვე!

— აი მარტო ეს მანიაკი გაიკეთე! როგორც კი მანიაკს შეიბამ, ღმერთმანი, ნამდვილს ვამბობ, გამოცხადებული წმინდანის ხატი იქნები, პერანგიანი!

— გაჩუმდი, პაშენკა, სირცხვილია მაგის თქმა, ღმერთს ნუ სცოდავ!

— აბა თუ მორთვა-შემკობა არ გინდა, ბოიარინა, მაშინ დაჭერობანა ან ჯაფარობია ვითამაშოთ; თუ არადა, თევზებს საჭმელი ჩავუყაროთ ან საქანელაზე ვიქანაოთ; იქნებ ის გირჩევნია, რამე გიმღეროთ?

— მიმღერე, პაშენკა, მიმღერე ის სიმღერა, ამას წინათ რომ მღეროდი, კენკრის კრეფის დროს!

— იჰ, ბოიარინა, ჩემო თვალისჩინო, ის სიმღერა რა სამხიარულოა! ის ნაღვლიანი სიმღერაა, სადღესასწაულო კი არა.

— მერე რა, იყოს ნაღვლიანი. მე მისი მოსმენა მინდა. მიმღერე, პაშენკა.

— კეთილი, ბოიარინა, თუ ასე გსურს, გიმღერებ, აბა რას ვიზამ; ოღონდ მერე ჩემი ბრალი ნუ იქნება, თუ ვინიცობაა გუნება წაგიხდეს! აბა, გოგოებო, მოდით, ამყევით თქვენებურად!

ქალიშვილები წრედ შემოუსხდნენ ელენას, და პაშენკამ სევდიანი ხმით წამოიწყო:

ოჰ, ნეტავი ყინვა ვარდებს არ აზრობდეს,
ზამთარშიაც სულ ჰყვაოდეს ვარდები;
ოჰ, ნეტავი ნაღველი არ გამჩენოდა,
არაფერზე აღარ დავღონდებოდი,

ნაღვლიანი აქ არ ჩამოეჯღებოდი,
მინდვრებისკენ თვალს არ მივაშტერებდი...

.

მივიპარებოდი შინიდან ჩუმ-ჩუმად,
ავიკეცე კალთა ბეწვის ქურქისა,
რომ გასვლისას ქურქს არ გაეშრიალა,
რომ ჩემს ღილებს არ დაეწყოთ წკარუნი,
პატონს რომ არ ვაეგონა, მამამთილს,
რომ არ ეთქვა მერე თავის ვაჟისთვის!
თავისი ვაჟისთვის, ჩემი ქმრისათვის!

პაშენკამ ბოიარინას შეხედა. ელენას ცრემლის ორი კურცხალი დაჰგორებოდა ღაწვებზე.

— ვაი, რა ვქენი ეს, მე სულელმა! — წამოიძახა პაშენკამ: — რა ჩემდა ჭირად დავუჯერე, მე უბედურმა, ბოიარინას! ანკი როგორ იქნება, ბოიარინა, ამნაირი სიმღერების მოსურვილება!

— ნეტავ რა საშენოა ეგ სიმღერა, რომ მაგას ისმენდე! — აჰყვა დუნიაშა, თვალმარდი და შავწარბა ქალიშვილი. — აი, მე შემოვძახებ ახლა სიმღერას, შენსას კი არ ემგვანება, ნახე, თუ არ გავახალისო ბოიარინა.

თქვა თუ არა ეს, დუნიაშა ფეხზე წამოხტა, ერთი ხელი თეძოზე შემოიდო, მეორე მაღლა შემართა, გვერდზე გადაიზნიქა, გოგმანით დაიძრა ეანდაგან და შემოსძახა:

პანტელეი-ბატონი დადის ეზოში,
დასეირნობს კუზმიჩი ფართო ეზოში,
კვერნის ქურქის კალთები მიწას ეხება,
კოხტად ჰხურავს მაღალი ქუდი სიასამურის,
ღვთის წყალობა ყოველი უხვად მომადლებია,
საბედო კი უყურებს ფარდას მოფარებული;
შორით, ბოიარები ქალაქიდან უჭვრეტენ,
შესცქერიან კოშკიდან მას ბოიარინები.
ბოიარები ამბობენ: ეს მამაცი ვინ არი?
ბოიარინები კიდევ: ვისი მეუფე არის?
საბედო კი ჩურჩულებს: ჩემი საყვარელია!

დუნიაშა მორჩა მღერას და თვითონვე აკისკისდა. მაგრამ ელენას კიდევ უფრო მოერია ნაღველი. მან ერთ ხანს ითმინა, თავი შეიმაგრა, მერე კი სახე ხელებში ჩამალა და აქვითინდა.

— ესეც შენი მხიარული სიმღერა! — თქვა პაშენკამ. — რაღა ვქნათ ახლა! დაინახავს დრუჟინა ანდრეიჩი ბოიარინას ნამტირალევ თვალებს და კიდევ ჩვენზე გაწყრება; აქაოდა, სულ არ იცით, ჩერჩეტებო, მისი გართობაო!

— გოგოებო, დაიები! — უეცრად წამოიძახა ელენამ და ყელზე მოეხვია პაშენკას, — მაცალეთ ტირილი, მაცალეთ ცრემლების დაღვრა!

— ნეტავ რა მოგდის, ბოიარინა? ასე უცებ რამ დაგამწუბრა?

— უცებ არა, გოგოებო! დილიდანვე ამყვა უგუნებობა. როგორც კი ცისკრის ზარს ჩამოჰკრეს და პალატიდან დავინახე, რა მხიარულად მიიჩქაროდა ეკლესიაში ღვთისმოსავი ხალხი, მაშინვე შემომაწვა, გოგოებო, რაღაც კაეშანი... მას მერე სულ საწყალობლად მიკვნესის გული... ჩემდა სავალალოდ, ეს დღეც ასეთი ნათელი, მზიანი დადგა, თქვენ კიდევ სულ სამკაულებით მრთავთ და მალამაზებთ... მომაშორეთ ეს სამაჯურები, გოგოებო, მომაშორეთ ეს კოკოშნიკი, მეც თქვენსავით, ქალიშვილურად დამიწანით თმა!

— აბა რას ამბობ, ბოიარინა, ღმერთს ნუ სცოდავ! ქალიშვილივით როგორ დაგიწნავთ თმას! ღმერთმა დაგვიფაროს! ერთიც ვნახოთ და დრუჟინა ანდრეიჩმა შეიტყოს!

— ვერ შეიტყობს, გოგოებო! მე ისევ კოკოშნიკს დავიხურავ!

— არა, ბოიარინა, ცოდვაა მაგის ქმნა! ნება შენია, მაგრამ ჩვენ სულს ვერ დავიმძიმებთ ასეთი ტვირთით!

„ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა ელენამ, — ნუთუ წარსულის მოგონებაც კი ცოდვად ითვლება?“

— კეთილი, ასე იყოს, — თქვა მან, — არ მოვიხდი კოკოშნიკს, ოღონდ აქ მოდი, ჩემო პაშენკა, შენ მაინც დაგიწნავ თმას, როგორც ერთ დროს მე თვითონ მიწნავდნენ.

კმაყოფილებისგან სახეწამონთებული პაშენკა მუხლებზე დადგა ბოიარინას წინაშე. ელენამ თმა ჩამოუშალა ქალიშვილს, თანაბრად დაუყო და ოთხმოცდაათ კავიანი ფართო ქერა დალალის დაწვნას შეუდგა. დიდი ხელმარჯვეობა მართებს ადამიანს საამისოდ. თმა რაც შეიძლება მსუბუქად უნდა დაიწნას, რომ დალალი მესერივით ჩამოეფაროს მთელ კეფას და მწყობრად დაეფინოს ზურგს, ამასთან თვალისდა შეუმჩნევლად დავიწროვდეს მის დაყოლებით. ელენა დიდი გულმოდგინებით შეუდგა საქმეს, სწრაფად ხლართავდა კოხტა დალალებს, თან თმაში მარჯვედ აწნავდა მარგალიტის ძაფს.

როცა ნაწნავი გასრულდა, ელენამ ბოლოში სამკუთხა ბაფთაც ჩააწნა და ზედ ძვირფასი თვლები დაასხა.

— მზადაა, პაშენკა, — თქვა თავისი ნახელავით კმაყოფილმა და გახარებულმა. — აბა ერთი ადექი და გაიარ-გამოიარე ჩემ წინ. შეხედეთ, გოგოებო, ხომ მართალია, ეს ნაწნავი კოკოშნიკზე ლამაზია!

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, ბოიარინა, — სიცილით უპასუხეს ქალიშვილებმა, — აი, ჩვენი დუნიაშა კი კოკოშნიკზეც არ იტყოდა უარს!

— აბა სხვა რა გეთქმით, თქვე კაჭკაჭებო! — არ დაიბნა დუნიაშა. — შე თუნდაც სულ არ დავიშალო ნაწნავი, არ მედარდება! აი ისეთებს კი ვიცნობ, თვალებით რომ ჭამენ ბოიარის მეკუჭნავეს!

ქალიშვილებს ხმამაღალი სიცილი წასკდათ, ზოგი კი შეცბუნდა და წამოწითლდა. ეტყობა, მართლაც ღმერთივით ბიჭი იყო მეკუჭნავე.

— დაიხარე, პაშენკა, — უთხრა ბოიარინამ, — მე შენ მძივებიან ლენტსაც მოგავლებ თმაზე... გოგოებო, დღეს აკი ივან კუპალობაა, დღეს ხომ ალებიც დალალებს იწნავენ!

— დღეს კი არა, ბოიარინა, ამაღლების სწორზე და სამება დღეს იწნავენ ალები დალალებს. ივანე კუპალას დღესასწაულზე ეგენი დალალ-ჩამოშლილი დარბიან და ჩადუნებიდან შორს იტყუებენ ადამიანებს, რომ ვინმემ მათი ყვავილი არ მოწყვიტოს.

— ფუი ეშმაკს, — თქვა პაშენკამ, — რა არ ხდება ივანობა დღეს, ღმერთმა დაგვიფაროს მათი ხილვისგან!

— გეშინია ალისა, პაშენკა?

— მეშინია, მა რა! დღეს ტყეში შესვლაც კი საშიშია, გინდა დღეს წასულხარ და გინდა სამებობა დღეს ან ალების კვირიაკეში, სულ ერთია. ქალიშვილს ღიტინით ამოხდიან სულს, ვაჟკაცს კიდევ ალერსით დაანელებენ!..

— ლაპარაკობ, თავათ კი არაფერი გაგეგება! — შეედავა მეორე ქალიშვილი. — რა უნდა მოსკოვთან ალებს! აქ მათი სახსენებელიც არასდროს ყოფილა. აი, უკრაინა რომ გეთქვა, სხვა ამბავია, იქ ვერც დათვლი, იმდენი ალია ტყეში. ამბობენ, არა ერთი და ორი სანაქებო ვაჟკაცი შეშალეს ჭკუიდანო. ერთხელაც რომ თვალი შეასწრო ალს, სიკვდილამდე მის დარდში იქნები; თუ ცოლიანია კაცი — ცოლსა და შვილებს დატოვებს, თუ უცოლო — შეყვარებულს დაივიწყებს!

ელენა ჩაფიქრდა.

— გოგოებო, — თქვა მან წამიერი დუმილის შემდეგ, — თუ იცით, ლიტვაშიც არიან ალები?

— მაშ, მაშ, იქაა თუა მაგათი სამშობლო. გინდ უკრაინა გითქვამს და გინდ ლიტვა — სულ ერთია...

ელენამ ამოიხვნეშა. იმავე წუთს ცხენის თქარათქური გაისმა და მესერს ზემოთ სერებრიანის თეთრი ქუდი გამოჩნდა.

მამაკაცი რომ დაინახა, ელენამ დამალვა დააპირა, მაგრამ, კიდევ ერთხელ რომ შეავლო თვალი მხედარს, უცებ გახევდა ადგილზე. თავადმაც აგრეთვე შეაყენა ცხენი. იგი თვალებს არ უჯერებდა. წამის უმალ ათასი ფიქრით დაუმძიმდა გონება და თავგზა აებნა. მის თვალწინ ელენა იდგა, პლეშჩეევ-ოჩინის ქალიშვილი, სწორედ ის, ვინც უყვარდა და ვინც სიყვარულს ეფიცებოდა ხუთი წლის წინათ. მაგრამ რა შემთხვევამ მოიყვანა იგი ბოიარ მოროზოვის ბაღში?

მხოლოდ ახლაღა შეამჩნია თავადმა მარგალიტის კოკოშნიკი ელენას თავზე და გაფითრდა.

ელენა გათხოვილია!

„ხომ არ მეზმანება? — გაიფიქრა და გაქვავებული, თითქოს დამფრთხალი თვალები დააშტერა ქალს. — სიზმარში ხომ არა ვარ?"

— გოგოებო! — ვედრებით ამბობდა ელენა, — წადით აქედან, მე თვითონ დაგიძახებთ, — გამშორდით ცოტა ხანს, მარტო დამტოვეთ! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ყოვლად წმიდა ღვთიშობელო! როგორ მოვიქცე! რა ვუთხრა ახლა!

ამასობაში სერებრიანი გამოერკვა.

— ელენა დმიტრიევნა, — მტკიცე ხმით წარმოთქვა მან, — გარკვევით მითხარი, თქვი ჰო ან არა: გათხოვილი ხარ? ეს სინამდვილეა? ხუმრობა არ არის? მართლა გათხოვილი ხარ?

ელენა სასოწარკვეთილი ეძებდა სიტყვებს, მაგრამ ვერ მოესაზრა, რა ეპასუხა.

— მიპასუხე, ელენა დმიტრიევნა, ნულარ მაწვალებ, ახლა შობის დღეები არ არის!

— მომისმინე, ნიკიტა რომანიჩ, — წაიბუტბუტა ელენამ.

თავადი აცახცახდა.

— მოსასმენი მე აღარაფერი მაქვს, — თქვა მან, — ისედაც ყველაფერს მივხვდი. ცუდუბრალოდ ნულარ დახარჯავ სიტყვებს, მშვიდობით, ბოიარინა!

ეს რომ თქვა, სერებრიანიმ მძლავრად მოზიდა სადავე, ცხენი ყალყზე შეაყენა და შეატრიალა.

— ნიკიტა რომანიჩ! — შეჰყვირა ელენამ, — გემუდარები ქრისტე ღმერთისა და ყოვლად წმიდა ღვთიშობელის სახელით, მომისმინე მე საწყალობელს! გინდა მომკალი მერე, ოღონდ ჯერ მომისმინე!

ქალს ძალა აღარ ეყო, ხმა ჩაუწყდა, მერხზე ჩაიკეცა და მაევდრებელი ხელები სერებრიანისკენ გაიწვდინა.

თავადს სიმწრის ურჟოლამ დაუარა მთელ სხეულში, მაგრამ გული მაინც შეუტოკა სიბრალულმა. იგი შეჩერდა.

ელენამ, რომელსაც ცრემლები ახრჩობდა, დაიწყო მოყოლა, როგორ შეუჩნდა ვიაზემსკი, როგორ მოისურვა ბოლოს თვითონ მეფემ თავისი რჩეულისთვის მისი გარიგება და როგორ მინებდა სასოწარკვეთილი მოხუც მოროზოვს. ქალი ქვითინს ვერ იკავებდა, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა და უნებლიე ღალატში იდანაშაულებდა თავს; ამბობდა, უმალ სასიკვდილოდ უნდა გამეწირა ჩემივე თავი, ვიდრე სხვას მივთხოვდებოდიო, და სწყეულიდა საკუთარ სულმოკლეობას.

— შენ აწი აღარ გეყვარები, თავადო, — ამბობდა ქალი, — არ გწერებია ჩემი შეყვარება! მაგრამ იმის პირობა მაინც მომეცი, რომ არ დამწყევლ; მითხარი, რომ მომიტევებ დიდ დანაშაულს!

თავადი წარბშეჭმუხვნილი უსმენდა, მაგრამ ხმას არ იღებდა.

— ნიკიტა რომანიჩ, — შიშნეულად წაიჩურჩულა ელენამ, — იწამე ღმერთი, ერთი სიტყვა მაინც მაღირსე!

ქალმა შიშითა და მოლოდინით აღსავსე თვალები მიაპყრო თავადს და მთელი სული და გრძნობა მავედრებელ მზერაში გამოესახა.

სერებრიანის არსება ძლიერ ჭიდილს მოეცვა.

— ბოიარინა, — თქვა მან ბოლოს მთრთოლვარე ხმით, — ჩანს, ასეთი იყო ღვთის განგება... შენ მთლად დამნაშავე არ უნდა იყო... ჰო, შენ არ ხარ დამნაშავე... მისატევებელი არაფერი გჭირს, ელენა დმიტრიევნა, და მეც არ გკიცხავ, არა, ხედავს ღმერთი... არ გკიცხავ, ღმერთია მოწამე... მე... მე უწინდებურად მიყვარხარ!

ეს სიტყვები თავისთავად აღმოხდა თავადს.

ელენამ შეჰყვირა, აქვითინდა და მესერს მივარდა.

იმავე წამს თავადიც უზანგებზე წამოიმართა და მესრის მარგილებს მოეჭიდა ხელებით. გადაღმა მხრიდან კი ელენა უკვე მერხზე იყო შემდგარი. დაუფიქრებლად, თავისდა უნებურად, ისინი ერთმანეთს ჩაეხვიენ და ბაგე ბაგეს შეაწებეს...

აკოცა ელენამ ყმაწვილ ბოიარს! მოატყუა ცბიერმა ცოლმა ბებერი ქმარი! დაივიწყა ღვთის წინაშე დადებული ფიცი! რა პირით უნდა ეჩვენოს ახლა ფიცის გამტეხი თავის მეუღლეს! ყველაფერს ამოიკითხავს დრუჟინა ცოლის თვალებში! და ისეთი ქმარი როდია ის, რომ ნამუსის შერცხვენა აპატიოს! სიცოცხლე არად უღირს ბოიარს, მაგრამ თავის პატიოსნებას კი ძვირად აფასებს; მოკლავს ბებერი, ნამდვილად მოკლავს ცოლსაც და ნიკიტა რომანოვიჩსაც!

VI თავი

მიღება

მოროზოვს ჯერ კიდევ ბავშვი ახსოვდა თავადი, მაგრამ მათ დიდი ხანია დაჰკარგეს ერთმანეთი მხედველობიდან. როცა სერებრიანი ლიტვაში გაემგზავრა, მოროზოვი სადღაც შორს ვოევოდობდა; უკვე ათ წელიწადზე მეტი იქნებოდა, რაც ერთმანეთი არ ენახათ, მაგრამ დრუჟინა ანდრეევიჩი თითქმის არ შეცვლილიყო, წინანდებურად მხნედ გამოიყურებოდა, და თავადი დანახვისთანავე იცნობდა მას სადაც არ უნდა შეხვედროდა, რადგან მოხუცი ბოიარი იმ ადამიანთაგან იყო, რომელთა პიროვნებაც ღრმად აღიბეჭდება მეხსიერებაში. ჯერ მარტო მისი ტანადობა და ახოვანება იპყრობდა ყურადღებას. მოხუცი მთელი თავით მაღალი იყო სერებრიანიზე. ჭაღარამორეული წაბლისფერი თმა უწესრიგოდ ჩამოშლოდა ნაიარევებით დაჩეხილ ჭკვიან შუბლზე. თითქმის მთლად ჭაღარა ხშირი წვერი სანახევროდ უფარავდა მკერდს. ჩამოფხატულ მუქ წარბებქვეშ გამჭრიახი თვალები უელავდა, ბაგეებზე კი ალერსიანი ღიმილი დასთამაშებდა, და ამ ღიმილში გამოსჭვიოდა ის, რაზეღაც მდაბიურად იტყვიან — ეს კაცი ჭკუას არ წააგებსო. მის ქცევაში, ამაყ მიხვრა-მოხვრაში ივრძნობოდა რაღაც ლომისებური, როგორღაც გამორჩეული სიდარბაისლე, სიამაყე, ღირსეულობა, სიდინჯე და საკუთარი თავის რწმენა. მისი მნახველი ყოველი კაცი იტყოდა: კარგი იქნება მასთან სიამტკბილობით ყოფნაო! და მაშინვე იმასაც გაიფიქრებდა: არ ივარგებს მასთან უსიამოვნებაო! მართლაც, თუ კაცი კარგად დააკვირდებოდა მოროზოვის ნაკვთებს, ადვილად მიხვდებოდა, რომ მისი მშვიდი სახე მრისხანების ჟამს ძრწოლას მოჰგვრიდა ადამიანს. მაგრამ ალერსიანი ღიმილი და წრფელი, ძალდაუტანებელი გულითადობა მალე აქარვებდა ამ შთაბეჭდილებას.

— გამარჯობა, თავადო, გამარჯობა, ძვირფასო სტუმარო! მშვიდობა შენს მოსვლას! — უთხრა მოროზოვმა და სერებრიანი დიდ ძელურ დარბაზში შეიწვია, სადაც სტუმარს შორენკეცის საწოლი, გრძელი ბუხის მერხები, კედლებზე გამოფენილი ძვირფასი იარაღი და ვრცელ თაროებზე კოხტად შემოწყობილი ოქრო-ვერცხლის ჭურჭლეულობა მოხვდა თვალში. — გამარჯობა, გამარჯობა, თავადო! მადლობა უფალს, შენნაირი სტუმარი რომ მაღირსა! მე ხომ ჯერ კიდევ ბალღი მახსოვხარ, ნიკიტუშკა! ოჰ, დიდი ონავარი ყმაწვილი იყავი, შენმა სიცოცხლემ! მახსოვს, ბიჭები რომ ქალაქობანას თამაშს დაიწყებდით, ვაი იმათი ბრალი,

ვისაც წინ დაუდგებოდი! გამოქანდებოდი ლაღი შევარდენივით, აგიდუღდებოდა ყმაწვილური სისხლი და ისე გაშმაგდებოდი ხოლმე, როგორც კაი მოწონებული დათვის ბელი, მაპატიე, ნიკიტა რომანიჩ, დაურიდებელი სიტყვა! ჰოდა, დაერეოდი ამ ბიჭებს და ისე ისროდი მარცხნივ თუ მარჯვნივ ერთს თუ მეორეს, უკეთეს თავშესაქცევარს ვერას ნახავდა კაცის თვალი! აკი კიდევაც დადგა შენგან სანაქებო ვაჟკაცი, თავადო! მსმენია შენი საქმენი სამამაცონი ლიტველთა მიწაზე! რჯულზე აგუნდავე ისინი, მტერ-მოძულენი, როგორც ადრე ბიჭებს აგუნდავებდი!

მოროზოვმა მხიარულად გაიღიმა და ლომის სახე სიამისგან გაებადრა.

— აბა ის თუ გახსოვს, ნიკიტუშკა, — განაგრძო მან და ცალი ხელი მხრებზე მოჰხვია თავადს, — თუ გახსოვს, ვერანაირ თამაშში მოტყუებას რომ ვერ იტანდი? ვინმეს რომ დაეჭიდებოდი ან მუშტი-კრივში შეებმებოდი, უმალ თავს წააქცევინებდი, ვიდრე სარმის გამოკვრას ან პირობით დაუთქმელ ფანდს იკადრებდი. ყველაფერს აიტანდი ხოლმე, მაგრამ ვერაგობას კი, ნურას უკაცრავად, არც შენ იკადრებდი და არც სხვას აპატიებდი!

თავადმა უხერხულობა იგრძნო მოროზოვის წინაშე.

— ბოიარო, — უთხრა მან, — აი ეს უსტარი მაქვს შენთვის თავად ჰრონსკისგან.

— მადლობელი ვარ, თავადო. მერე წავიკითხავ; რა საჩქაროა; ჯერ ნება მომეცი, გაგიმასპინძლდე! ნეტავ სად არის აქამდე ელენა დმიტრიევნა? ეი, ვინ ხარ მანდ! უთხარით ცოლს, ძვირფასი სტუმარი გვეწვია, თავადი ნიკიტა რომანიჩ სერებრიანი-თქო, და ჩამოვიდეს, პატივი მიაგოს!

კრძალვითა და რიდით შემოვიდა ელენა. მას ორივე ხელით მოჰქონდა სინი, რომელზეც სხვადასხვა ღვინოებით სავსე თასები იდგა. ელენამ მდაბლად დაუკრა თავი სერებრიანის, თითქოს პირველად ხედავდა მას! ბოიარინას მკვდრისფერი ედო.

— თავადო, — თქვა მოროზოვმა, — ეს ჩემი ოჯახობაა, ელენა დმიტრიევნა! გთხოვ გიყვარდეს და პატივს სცემდე! შენ ხომ, ნიკიტა რომანიჩ, კაცმა რომ თქვას, მოყვარედ გვეკუთვნი, მამაშენი და მე ძმებივით ვიყავით, ჰოდა, არც ჩემი მეუღლეა უცხო შენთვის... სთხოვე, ელენა, დაიწვიე ბოიარი!.. მიირთვი, თავადო, ნუ დაგვიწუნებ პურ-მარილს! კეთილი გულიო და ხახვი და პურიო! აი რომანული, აი უნგრული ღვინო, ეს კიდევ ჟოლოზე ნახადი თაფლუჭი, დიასახლისის ხელით შეზავებული!

მოროზოვი მდაბლად ხრიდა თავს სტუმრის წინაშე.

თავადმაც მადლობის ნიშნად თავი დაუკრა ორთავეს და თასი დასცალა.

ელენას თვალიც არ შეუვლია სერებრიანისთვის. გრძელი წამწამები ძირს ჰქონდა დახრილი. მთელი ტანით ცახცახებდა და სინზე დადგმული თასები წკარუნით ეხლებოდა ერთიმეორეს.

— რა მოგდის, ელენა? — ჰკითხა მოროზოვმა, — ავად ხომ არ ხარ? სახე თოვლივით გადაგეფერა! ოლიონუშკა, — ჩურჩულით დაურთო მან, — ნეტავ იმ ვიაზემსკიმ ხომ არ ჩაიარა კიდევ? ასე იქნება! ნამდვილად იმ წყეულმა ჩაიარა ბაღთან! ნუ ინალვლი, ელენა. ეს რა შენი ბრალია. სჯობს, უჩემოდ ნუღარ გახვალ ბაღში. კარგი, ჰო, დამშვიდდი, ჩემო ნიბლიავ, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ! აბა, გაიღიმე, გამხიარულდი, თორემ სირცხვილია, სტუმარი შეგნიშნავს! — შენთან უკაცრავად, ნიკიტა რომანიჩ, უკაცრავად, ყურადღება ვეღარ მოგაპყარ, აგერ ცოლს ვეუბნებოდი, სამზადისი დააჩქარებინოს და დროით გაგიწყონ სუფრა. შენ ხომ ნასადილევი არ იქნები, თავადო.

— მადლობელი ვარ, ბოიარო, უკვე ვისადილე.

— არაუშავს, თავადო, მეორედ ისადილე! — წადი, ელენა, წადი, საქმეს მიხედე! შენ კი, ბოიარო, ჯერ ამ ღვთის ბოძებული საუზმით შეიქციე თავი, ნუ მაწყენინებ შერისხულ მოხუცს! ისეც სამყოფად მაქვს ახლა სამწუხარო და სადარდებელი!

მოროზოვმა ჩამოზრდილ თმაზე ანიშნა თავადს.

— ვხედავ, ბოიარო, ვხედავ და ჩემივ თვალებისა აღარა მჯერა! შერისხული ხარ! რისთვის? მომიტევე უხათრო კითხვა.

მოროზოვმა ამოიხვნეშა.

— იმისთვის, რომ ძველ ადათზე ვდგავარ, ბოიარის ღირსებას ვიცავ და ქედს არ ვუხრი ახალდაჩეკილ უგვარტომო მედროვეებს!

ამ სიტყვებზე მოროზოვს სახე მოეღრუბლა და თვალებში მკაცრი გამომეტყველება ჩაუდგა.

მან გოდუნოვთან წაკიდების ამბავი მოუთხრო სტუმარს, თან მწარედ ჩიოდა მეფის უსამართლობაზე.

— ბევრი, ბევრი რამ აღარ არის, თავადო, მოსკოვსა შინა უწინდებურად, მას აქეთ, რაც ხელმწიფემ ოპრიჩნინა დააწესა რუსეთში!

— ნეტავ რა ღვთის წყრომაა ეს ოპრიჩნინა, ბოიარო? გზაში შევხვდი ოპრიჩნიკებს, მაგრამ მაგათი ამბისა ვერაფერი გამიგია!

— ჩანს, განვარისხეთ ჩვენ უფალი, ნიკიტა რომანიჩ; თვალის ჩინი დაუბნელა ყოვლადძლიერმა კურთხეულ მეფეს! რაც ცილისმწამებლებ-

მა ღალატი დააბრალეს სილვესტრსა და ადაშევს, რაც თვისგან განკვეთა ისინი მეფემ, მასუკან დაგვიდგა სისხლიანი დღეები! აიჩემა უეცრივ ივან ვასილევიჩმა ჩვენზე ურიგო ფიქრი, ჩვენზე, მის ერთგულ მსახურებზე! აიჩემა ეჭვიანობა ღალატზე, შეთქმულებებზე, ისეთ ცოდვებზე, ფიქრადაც რომ არ გაეკარება ადამიანიშვილს! ახალდაჩეკილმა მედროვეებმა კი გაიხარეს, დაუწყეს მეფეს ბოიარებზე ავი სისინი, ვინ ჩტრობით და შურით, ვინ კიდევ აღზევების იმედით, და ისიც ყველას აპყრობდა თავის სასმენელს. ვისაც ვისიმე მტრობა ედო გულში, ახლა დაუდგა ამინდი და, იცოცხლე, მოჰყვა მაბეზღარობას თავის მოძულეზე, უკეთურად იხსენიებს მეფესო, ხანს თუ ლიტველებს ამხედრებს ჩვენზეო. ამ წყეულებმა ღვთის საშინელი სამსჯავროს შიშიც დაივიწყეს და, ვითომც ჭეშმარიტს ვამბობთ, არას ვიგონებთო, ჯვარზეც ჰფიცავდნენ, წერილობითაც ადასტურებდნენ თავის ბეზღებას. ბევრი შეუცოდავი ხალხია ჩაყრილი დილეგებში, ნიკიტა რომანიჩ, და პირში წადგომით ნაწამები. ვისაც მოეგუნებება, ყველას შეუძლია მეფის ღალატი დაგაბრალოს. წინათ, თუ ვინიცობაა მავანი ვინმე დაგაბეზღებდა, კიდევაც უნდა დაემტკიცებინა თავისი ნათქვამი; ახლა კი, რა აბდაუბდაც უნდა მოჩმახონ შენზე, გტაცებენ ხელს და გაწამებენ მხოლოდ ენის მიტანის ნიადაგზე! მძიმე დრო დადგა, ნიკიტა რომანიჩ. ისეთ შიშის ზარს გვატეხს მეფე, ოდითგან რომ არ სმენილა! ხალხის წამებით რომ გული იჯერეს, მერე სიკვდილით დასჯა გაახშირეს. ახლა არ იკითხავ, ვინ დასაჯეს? თუმცაღა, თავადო, ეგებ შენ უკვე გაიგე მათი ამბავი?

— გავიგე, ბოიარო, მაგრამ ყურმოკვრით. ძნელად აღწევს ხმები ლიტვამდე. თუმცა, რა უნდა გაგვკვირვებოდა? მეფეა და მართებს კიდევაც დასაჯოს თავისი ავისმდომლები!

— მაგის მეუნებლიე ვინ იქნება, თავადო. მიტომაც არის მეფე, რომ სჯიდეს და სწყალობდეს. გულსატკენი მხოლოდ ის არის, რომ ავისმდომლები კი არ მოაკვდინეს, არამედ ხელმწიფის ერთგული მსაპურები: ოკოლნიჩი ადაშევი — ალექსის ძმა — ყრმა ვაჟიშვილითურთ; სამივე სატინი; ივან შიშკინი ცოლითა და შვილებითურთ; და კიდევ ბევრი უდანაშაულო მამულიშვილი.

სერებრიანის სახეზე აღშფოთება გამოეხატა.

— ბოიარო, მეფე ალბათ უცოდველია ამ ამბებში, ყველაფერი იმ ენატანიების ბრალი იქნება!

— ეჰ, თავადო! თქმაც კი მიჭირს, ფიქრიც კი მზარავს ამისა! მარტო ენატანიების სისინით როდი მიეძალა მეფე ალალმართალთა სისხლის ღვრას. აი თუნდ ბასმანოვი, ახალი მერიქიფეთუხუცესი მეფისა, ეახლა

ხელმწიფეს და შესჩივლა, თავად ობოლენსკი-ოვჩინამ რაღაც უსიამო სიტყვა მკადრაო. ჰოდა, იცი რა ქნა მეფემ? სადილობისას საკუთარი ხელით მოაკვდინა თავადი — დანა ჩასცა გულში!

— ბოიარო! — შეჰყვირა სერებრიანიმ და ზე წამოიჭრა. — ეს რომ სხვა ვინმესგან გამეგონა, მე იმას ცილისმწამებელს დავუძახებდი! ჩემივ მარჯვენით დავუბნელებდი მზეს!

— ნიკიტა რომანიჩ, ჩემდროულ კაცს აღარ შეჰფერის ცილი დასწამოს ქრისტიანიშვილს. თანაც ვის? ჩემს ხელმწიფეს?

— მომიტევე, ბოიარო, მაგრამ აბა სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა? რას უნდა შეეცვალა ასე ადამიანი? ნეტავ ხომ არ მოაჯადოვეს მეფე?

— ასე უნდა იყოს, თავადო. მაგრამ დაჯექი, სხვაც მოისმინე. ერთხელ ივან ვასილევიჩი გვარიანად გამოთვრა და — ვაი, სირცხვილო! — სახეზე ნიღაბაკრულმა დაიწყო თავის რჩეულებთან ერთად ტლინკაობა. ამ ამბავს ბოიარი მიხაილო რეპნინი შეესწრო. სიმწრისგან ცრემლები წასკდა უბედურს. მეფემ, ეგრე არ უნდაო, და მასაც დაუპირა ნიღბის ჩამოცმა. „არა! — თქვა რეპნინმა, — ეგ არ მოხდება, რომ მე ბოიარის ღირსება შევარცხვინოო!“ — და ფეხებით გათელა ნიღაბი. ხუთიოდე დღის შემდეგ კი რეპნინი მეფის ბრძანებით მოაკვდინეს ღვთის ტაძარში.

— ნამდვილად ღვთის წყრომაა ჩვენს თავს, ბოიარო!

— დაე აღსრულდეს ჩვენსა ზედა უფლის ციური ნება, თავადო. მაგრამ მისმინე კიდევ. სიკვდილით დასჯას ბოლო არ უჩანდა. ისე დღე არ გათენებულა, სისხლი არ დათხეულიყო თუ თხემ-ადგილზე, თუ საპყრობილეებში, თუ მონასტრებში. დღეს არ ჩაუვლია, ბოიართა მსახურები რომ არ შეეპყროთ და საწამებლებში არ ეკრათ თავი. ბევრი იდებდა ცოდვას, შანთებით დანელებული, და თავისსავე ბოიარს ასმენდა, შიშით წამხდარი. იმათ კი, ვისაც არ სურდა ჯოჯოხეთის გეენაში სატანჯველად სულის გაწირვა და ცილს არ სწამებდა ბოიარებს, იმათ თავად გზავნიდნენ სასიკვდილოდ. ბევრი დაისაჯა სიმართლისთვის, ბევრმა დაიდგა მოწამებრივი გვირგვინი, თავადო! დროდადრო მეფეს თითქოს უბრუნდებოდა ცნობა, ნანობდა, ლოცულობდა, ტიროდა და თვითვე ეძახდა თავს მტარვალსა და კაციჭამიას. შეწირულობებს გზავნიდა სხვადასხვა მონასტრებში და პანაშვიდებს ბრძანებდა მოკვდინებულთა მოსახსენებლად. ნანობდა ივან ვასილევიჩი, მაგრამ ცოტა ხანს, მერე კი, იცი რა მოიგონა? მისმინე, თავადო. ერთხელ, დილით, გამომელვიძა და ვხედავ, დიდი შფოთვა-წრიალია გარეთ. ხალხი ქუჩებს მოსდებია, ვინ კრემლისკენ გარბის, ვინ კიდევ იქიდან მოეშურება. ყველანი შეცხადე-

ბით გაიძახიან: ხელმწიფე გეტოვებს, სადღაც მიდისო! ამის გაგონებამ სისხლი გამიყინა! ტანთ ჩავიცვი, ცხენზე შევჯექი; ყოველის მხრიდან ბოიარები კრემლისკენ მიიჩქარიან, ვინ ამხედრებული, ვინ კიდევ თავისი ფეხით, უბრალო კაცივით, პირადი ღირსებაც აღარავის ახსოვდა! ივერიის ჭიშკრამდე მივაღწიეთ, ვხედავთ — მხედრიონი გამოდის იქიდან. ხალხი აქეთ-იქით აწყდება, გზას უტევს მომავლებს. მხედრიონს მარხილი მოჰყვება, შიგ მეფე ზის დედოფლითა და ბატონიშვილითურთ. ხელმწიფის მარხილს მარხილების მთელი ქარავანი მოსდევს და მათზე მეფის მთელი ბარგი-ბარხანა, მთელი ხაზინა, ყოველი სახმარ-სამყოფელია დაზვინული; მარხილებს უკან კი ოკოლნიჩები, კარის აზნაურები, საგანგიოთა მოხელენი, სამხედრონი და ყველანაირი ღირსების მსახურეულნი მოედინებიან — ყველანი სტოვებენ კრემლს. დავაპირეთ მეფის მარხილთან მისვლა, მაგრამ მხედრებმა არ დაგვანებეს, გამოგვიცხადეს: აღგვიკვეთა ხელმწიფემაო! ჰოდა, გადაიარა ქარავანმა მთელი მოსკოვი, გარეუბნებსაც გასცდა და გაუდგა გზას.

დავბრუნდით შინ და დიდხანს ვიყავით მოლოდინში, იქნებ გადაეფიქრა მეფეს, იქნებ დაბრუნებულიყო. გამოხდა კვირა და მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ სიგელი მიიღო. აუწყებდა ხელმწიფე, დიდი გულისწუხილით ვტოვებ სამეფო ტახტს, რამეთუ აღარ მსურს თქვენი მოღალატური საქმიანობის თმენა და მივდივარ, საითაც ღმერთი მიჩვენებს გზასო! ეს ამბავი რომ ხალხის ყურს მისწვდა, დაიწყო ურვა და ვიში მოსკოვსა შინა: მიგვატოვაო მეფე-ბატონმა! ვინღა გვიხელმწიფებსო ამიერიდან!

რა დასამალია, მრისხანე იყო ივან ვასილეევიჩი, გარნა თვითონ ღმერთმა დაადგინა იგი ჩვენ ზედა და, ჩანს, ღვთის განგებითვე გვსჯიდა ცოდვათა ჩვენთაგან განსაწმენდელად. შევიკრიბენით ბოიართა დუმაში და გადავწყვიტეთ ყველანი ერთად ვხლებოდით ხელმწიფე-ბატონს, მდაბლად ქედდადრეკილნი წარვდგომოდით და ცრემლით გვეაჯნა მისთვის. შევიტყვეთ, რომ მეფე ალექსანდრეს სლობოდაში გაჩერებულიყო, ეგ სლობოდა კი აქედან ოთხმოც ვერსზე მეტითაა დაშორებული. ხელაპყრობით ვილოცეთ და გავუდექით გზას. შორიდან დავინახეთ თუ არა სლობოდა, შევჩერდით, ერთხელ კიდევ დავდექით ლოცვად: შიშმა აგვიტანა; იმის შიშმა კი არა, რომ მეფე სიკვდილით დასჯას ბრძანებდა ჩვენსას, არამედ იმისამ, რომ ჩვენს დანახვასაც არ ინებებდა. მაგრამ არა, მიგვიღო მეფემ. ოღონდ, რომ შევედით, გჯერავს თუ არა, ბოიარო, ვერც ვიცანით! სახე თითქოს სხვისი ჰქონდა! თმა და წვერიც თითქმის ერთიანად გასცვენოდა. რა დამართოდა, რას დამსგავსებოდა, მეფეც

იყო და არც იყო მეფე! დიდხანს გველაპარაკა; გვძრახავდა კაცის ყურთაგან ჯერ არსმენილი ღალატისათვის, ისეთ დანაშაულობებს გვიჩხრეკდა, გუნებაშიც რომ არ გაგვივლია არასოდეს; ბოლოს კი გვითხრა, მხოლოდ ჩემი ღვთისმლოცველების, ეპისკოპოსების, თხოვნა-ვედრებით ეტვირთულობ კვლავაც მეფობას, ოღონდ ისიც ერთის პირობითო. ხელზე გვამთხვია და გამოგვისტუმრა.

— ჰო, მაგრამ რა პირობას გულისხმობდა მეფე? — ჰკითხა სერებრიანიმ.

— ახლავე შეიტყობ, თავადო. მისმინე: სამიოდე კვირა გავიდა და იოანე მოსკოვს დაბრუნდა. დიდი ლხენა ჩამოდგა ყველა ოჯახში, ისეთი ლხენა, ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზეც რომ ვერ იხილავ. აი, შეკრიბა მან დუმა, მიგვიწვია ჩვენცა და სამღვდელონიც. ხოლო როცა შევიკრიბენით, ასე გვაუწყა: მხოლოდ იმ პირობით ეტვირთულობ კვლავ მეფობას, რომ სიკვდილით დავსაჯო ჩემი ბოროტისმოქმედნი, შევრისხო მოღალატენი, იავარვჰყო მათი ქონება და საბადებელი და არც მიტროპოლიტმა, არც ხელისუფლებმა არ მომაბეზრონ თავი უმაქნისი ხვეწნა-მუღარით, რომ ლმობიერი ვიყო ვინმეს მიმართო. ჩემთვისო, გვითხრა, მცველთა რაზმს ვიჩენ და ჩემს საგანგებო მეურვეობაში ვიყვან მავან და მავან ქალაქებსა და დაბებს და თავათ მოსკოვშიც მავან და მავან ქუჩებსაო. ამ ქალაქებსა და ქუჩებს, აგრეთვე ჩემს მცველთა რაზმს ოპრიჩნინას ვარქმევო, ყველა დანარჩენი კი ზემშჩინა იქნებაო. ბოიარები და მიტროპოლიტი კი თავიანთი უფლებებით ჩემი სამეურვეოს შინაურ საქმეებში ნუ ჩამერევიანო. აი, ამ პირობით ეტვირთულობ მეფობასაო! ამ დღიდან დაიწყო ახალი ხალხის შემოკრება, თანაც ყველას ისეთს არჩევდა, საჩინო გვარიშვილი არ ყოფილიყო და ჯვარზეც დაეფიცა, რომ პურს არ გატეხდა ბოიარებთან. სულ მათ ჩამოურიგა მთელი მიწა-წყალი, სახლები, სრულად მთელი ავლა-დიდება, რაც რომ თავის მეურვეობაში მიითვალა; სამემკვიდრეო მამულთა ძველი მფლობელნი კი, დაახლოებით თორმეტ ათასამდე, საქონელივით გარეკა ოპრიჩნინიდან. ღმერთმანი, თავადო, ხომ ჩემი თვალით ვიხილე ეს ყოველივე, მაინც დღემდე ვერ დამიჯერებია! დათარეშობენ ახლა რუსეთის წმინდა მიწაზე მათი ეშმაკეული, სისხლისმსმელი რაზმები, დაათრევენ ცოცხებსა და ქოფაკთა თავებს; ფეხქვეშ თელავენ სიმართლეს და, ღმერთო მოგვხედე, ღალატს კი არა, რუსეთის ღირსება-პატიოსნებას ჰგვიან პირისაგან მიწისა; ხელმწიფის მტრებს კი არა, მის ერთგულ მსახურებს ჰკბენენ და გლეჯენ, და არავინ ჩანს, სამართალი ქმნას, საკადრისი მიაგოს ამ წყეულებს!

— ჰო, მაგრამ რად დათანხმდით მაგნაირ პირობას? — შენიშნა სერებრიანიმ.

— რას ამბობ, თავადო! განა შეიძლება მეფეს რამე დაუშალო? განა ივი ღვთისგან არ არის?

— ცხადია, ღვთისგან არის. მაგრამ ის ხომ თვითონვე გეკითხებოდათ? რატომ არ უთხარით, არ გვსურს ოპრიჩნინაო?

— ისევ რომ წასულიყო? მაშინ რაღა გვეშველებოდა? უხელმწიფოდ ხომ ვერ დავრჩებოდით? ხალხი რას იტყოდა?

სერებრიანი ჩაფიქრდა.

— ჰოო, — ჩაილაპარაკა მან ხანმოკლე დუმილის შემდეგ, — უხელმწიფოდ დარჩენა მართლაც არ ივარგებდა. მაგრამ ახლა მაინც რაღას უცდით? რატომ არ ეტყვით, რომ ოპრიჩნინისგან მთელი ქვეყანა იღუპება? რატომ შეჰკურებთ ყველაფერ ამას და ხმას არ იღებთ?

— მე როდი ვარ, თავადო, გაჩუმებული, — სიამაყით მიუგო მოროზოვმა. — მე არასოდეს დამიმალავს ჩემი ფიქრები, ჰოდა, იმიტომაც ვარ ასლა შერისხული. აბა მიმიხმოს მეფემ თავის წინაშე, თუ ყველაფერი არ მოვასხენო დაუფარავად, მაგრამ არა, არ მიმიხმობს არასდროსაც. ჩვენიანი ახლა აღარავინაა მის გვერდით. აბა ნასე ერთი, ვინ შემოიკრიბა გარშემო? რომელი ძველი ვარის კაცი დგას მის გვერდით? არავინაა ძველი ვარისა! სულ უგვანი ტეტიები შემოიკრიბა, რომელთა მამებსაც ჩვენი მამები შინაყმებადაც არ იკადრებდნენ! რომელსაც გნებავს, ლაადე ითი ვამოურჩევლად: ბასმანოვები, მამა და შვილი, — აღარც ვიცი, რომელი უფრო საზიზღარია მაგათ შორის; მალიუტა სკურატოვი — ვიდაც ეპაბი თუ ვამბვინვარებული მსეცი-ნადირი, ღღენიადაგ სისხლით მოსვრილი; ვასკა გრიაზნოი, — ამას ჩირადაც არ უღირს თუნდაც მთლად უკადრისი ბინძური საქმე! ბორის გოდუნოვი — ეგ კიდევ ალალ დედ-მამას გაჰყიდის და შვილებსაც ზედ მიაყოლებს, ოღონდ როგორმე მაღლა აფორთხდეს, ყელში დანას გაგიყრის და პირშიც შემოგცინებს. მარტო ერთი კაცია იქ საჩინო გვარიშვილი, თავადი აფანასი ვიაზემსკი, მაგრამ თვითონაც შეირცხვინა თავი და ჩვენც შეგვარცხვინა, შეჩვენებულმა! ეჰ, რამდენ ვინმეზე უნდა დაიჩივლო ადამიანმა!

მოროზოვმა ხელი ჩაიქნია. სხვა ფიქრები შემოაწვა მოხუცს. სერებრიანიც ჩაფიქრდა. თავადი მეფის საშინელ ფერისცვალებაზე ფიქრობდა და მცირე ხნით გადაავიწყდა, თუ რა საჩოთირო ურთიერთობაში ჩააყენა ის და მოროზოვი ბედის სიბრმავემ.

ამასობაში მსახურებმა სუფრა გააწყვეს.

მიუხედავად დიდი თავპატიჟისა, ბოიარმა მაინც აიძულა თავისი

სტუმარი გადაეღო გულუხვად მორთმეული კერძები: მრავალნაირი ლაბა, შემწვარ-მოხრაკულები, წვნიანები, თევზის სართავიანი ღვეზელები და მუჟუჟი. ხოლო როცა სუფრაზე ნაირნაირი სასმელებიც გამოიტანეს, მოროზოვმა მალვაზიით ააესო სასმისები, ფეხზე წამოდგა, შერისხულის გრძელი თმა უკან გადაიყარა, თასი ასწია და წარმოთქვა:

— დღეგრძელი იყოს დიდი ხელმწიფე, მეფე ივან ვასილევიჩი!

— ღმერთო გაანათლე! ღმერთო აუხილე თვალი! — უპასუხა სერებრიანიმ, სასმისი დასცალა, და ორივემ პირჯვარი გამოისახა.

ელენა არ გამოჩენილა პურისჭამის დროს და არც ბოიარების საუბარს დასწრებია.

კიდევ ბევრი რამ უამბო მოროზოვმა სტუმარს სასელმწიფო საქმეთა თაობაზე, რიაზანის მიწა-წყალზე ყირიმელთა თავდასხმები გაიხსენა, ლიტველებთან ომის ამბებს ეკითხებოდა სერებრიანის და მწარედ ჰკიცხავდა კურბსკის მტერთან გაქცევისთვის. თავადი დაწვრილებით პასუხობდა ყოველ კითხვაზე, ბოლოს კი თვითონაც მოუთხრო მასპინძელს სოფელ მელვედევკაში ოპრიჩნიკებთან შეტაკების, მოსკოვში მათთან წალაპარაკებისა და სალოსთან შეხვედრის ამბავი, თუმცა ის კი ველარ გაბედა, ამ უკანასკნელის გადაკრული სიტყვებიც ეხსენებინა.

მოროზოვმა დიდი გულისყურით მოუსმინა სტუმარს.

— ცუდი ამბავია, თავადო, — თქვა მან და მკაცრი შუბლი მოისრისა, — ძალზე ცუდი ამბავია. ეგენი რომ იმ სოფელს არბევდნენ, გასაკვირი სულაც არ არის: სოფელი ხომ ჩემია, თავადო, შერისხული ბოიარის შამული კი ახლა, ვისაც მოესურვება, მას შეუძლია ძარცვოს და არბიოს. ამაში, იცოცხლე, გაწაფულნი არიან; რისი წაღებაც შეიძლება, მიაქვთ, ხოლო რასაც ვერ აიკიდებენ, ცეცხლით ბუგავენ; საქონელს საღაც წაასწრებენ, იქვე ჰკლავენ. ეს ახლა მაგათი ზნეა. იმ სალოსს კი შეც ვიცნობ. ეგ ჭეშმარიტად ღვთის კაცია. მარტო შენი ვინაობა როდი გამოუცვნია მაგას ერთის ნახვითვე; ეგ ყველას თითქოს გამომზეურებულს სედავს. მაგისი მეფესაც ეშინია. რამდენჯერ უმხილებია პირში ივან ვასილევიჩი. ნეტავ მეტი გვყავდეს მაგნაირი წმინდანი ხალხი, მაშინ იქნებ ოპრიჩნინაც არ გამოჩენილიყო! ერთი ეს მითხარი, თავადო, — განაგრძობდა მოროზოვი, — როდის აპირებ ხელმწიფეს ეახლო?

— ხვალვე, როგორც კი ინათებს, როგორც კი საძინებლიდან გამოვა მისი მოწყალება.

— რას ამბობ, თავადო? ახლა უკვე შებინდებულია, შენ კი ას ვერსზე მეტი გაქვს გასავლელი!

— როგორ, განა მეფე კრემლში არ არის?

— არა, თავადო, არ არის კრემლში. განვარისხეთ ჩვენ უფალი, მიგვატოვა ხელმწიფემ, ალექსანდრეს სლობოდაში დაბრუნდა, იქ ცხოვრობს თავისი ავან-ჩავნებით, გაწყდეს იმათი სახსენებელი.

— რახან ასეა, მშვიდობით, ბოიარო, უნდა ავჩქარდე. ჯერ შინაც არ ვყოფილვარ. ცოტას მივიხედ-მოვიხედავ და ხვალ, მზის ამოსვლისას, გზას გავუდგები.

— ნუ წახვალ, თავადო!

— ნუ წავალ? რატომ, ბოიარო?

— თავის მოკვეთა არ აგცდება, ნიკიტა რომანიჩ.

— ეგ ღვთის ნებაა, ბოიარო; მის განგებას ვერსად წავუვალთ!

— მომისმინე, თავადო. შენ ხომ უკვე დავიწყებული გყავდი, მე კი ჯერ ისევ ბალღი მახსოვხარ. ცხონებული მამაშენი და მე ტკბილი მეგობრები ვიყავით, სულს არ ვიშურებდით ერთმანეთისთვის. ახლა იგი ცოცხალი აღარაა, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, და არავინ გყავს, რომ ხიფათს აგარიდოს, რჩევა მოგცეს, შენი ხვედრი კი სახარბიელო არ არის, ხედავს ღმერთი, სახარბიელო არ არის! სლობოდაში თუ წახვედი, დაიღუპები, თავადო, თავს წააგებ უსათუოდ.

— რა გაეწყობა, ბოიარო, ჩანს, ბედი მქონია ასეთი!

— დარჩი, ჩემო ნიკიტა, საიმედოდ დაგმალავ. კაციშვილი ვერ იპოვის შენს გზა-კვალს, ჩემი მსახურნი არ გაგთქვამენ, ღვიძლი შვილივით იქნები ჩემ ჭერქვეშ.

— ბოიარო, გაიხსენე, რას ამბობდი კურბსკიზე. არ შეშვენის რუს ბოიარს თავის მეფეს ემალებოდეს.

— ჩემო ნიკიტა, კურბსკი — მოღალატეა. ის ხელმწიფის მტერთან წავიდა; მე კი ვინა ვარ? განა მე ხელმწიფის მტერი ვარ?

— მომიტევე, ბოიარო, მომიტევე დაუფიქრებელი სიტყვა, მაგრამ დაე მოხდეს, რაც მოსახდენია!

— ჩემო ნიკიტა, აქ რომ დარჩენილიყავი, ეგებ დამცხრალიყო კიდეც მეფის რისხვა, ეგებ მისი ყოვლადუსამღვდელოესობის შეწევნით გაგვერიგებინა კიდეც შენი ამბავი. ახლა კი შენი იქ მისვლა ცეცხლზე კუპრის დასხმა იქნება, ღმერთმანი!

— ჩვენი სიცოცხლე ღვთის ხელთაა, ბოიარო. და რა საკადრისია, ეშმაკობით გავიხანგრძლივოთ წუთისოფელი იმაზე მეტად, ვიდრე ღმერთს ნებავს. მადლობელი ვარ მასპინძლობისთვის, — დააყოლა სერებრიანიმ და წამოდგა, — მადლობელი ვარ მეგობრობისთვის (ამ სიტყვებზე იგი უნებლიეთ შეცბუნდა), მაგრამ მე მაინც წავალ. მშვიდობით, დრუჟინა ანდრეევიჩ!

მოროზოვმა ნაღელიანი თანაგრძნობით შეხედა თავადს, მაგრამ ჩანდა, რომ სულის სიღრმეში იწონებდა სტუმრის საქციელს და სხვარიგად თვითონაც არ მოიქცეოდა მის ადგილზე.

— მაშ ღმერთი იყოს შენი მფარველი, ნიკიტა რომანიჩ! — უთხრა მან, სკამიდან წამოდგა და ხელი მოჰხვია თავადს. — დაე ღვთის მადლმა გული მოულბოს ჩვენს მეფე-ბატონს. უფალმა ქნას, რომ საღ-სალამათი დაგვიბრუნდე სლობოდიდან, როგორც ყრმა იგი მხურვალე საკირედან, და კვლავ აი ასე, სულით და გულით გადაგეხვიო!

ანდაზაა: ქვეითს ჭიშკრამდე, ცხენოსანს კი ცხენამდე მიაცილებენო. თავადი და ბოიარი წინკარის ზღურბლზე დაემშვიდობნენ ერთიმეორეს. უკვე ბნელოდა. მესერთან ჩავლისას სერებრიანიმ თეთრი კაბა დალანდა ბაღში. თავადს გული აუჩქროლდა. ცხენი შეაყენა. მესერს ელენა მოადგა.

— თავადო, — ჩურჩულით წარმოთქვა ქალმა, — მე გავიგონე, რასაც დრუჟინას ეუბნებოდი, შენ სლობოდაში მიდიხარ... ღმერთმა გაშოროს, თავადო, შენ სასიკვდილოდ მიდიხარ!

— ელენა დმიტრიევნა! ჩანს, უფალს ნებავს, რომ მეფისგან სიკვდილი მერგოს. სასიხარულოდ არ დავბრუნებულვარ სამშობლოში, ბედნიერება არ მოუსჯია ჩემთვის მამაზეციერს; მე როდი მარგუნა შენი თავი, ელენა დმიტრიევნა! ჰოდა, ბარემ აღსრულდეს ჩემზე ღვთის განგება!

— თავადო, ისინი წამებით ამოგხდიან სულს! ლამის შიშით გამათავოს ამაზე ფიქრმა! ღმერთო ჩემო, ნუთუ სიცოცხლე მთლად მოგძულებია?

— რას ვაქნევ სიცოცხლეს! — თქვა სერებრიანიმ და ხელი ჩაიქნია.

— ყოვლადწმიდა ღვთისმშობელო! თუ შენი თავი არ გებრალება, სხვებმა მაინც რა დაგიშავეს! მე მაინც შემიბრალე, ნიკიტა რომანიჩ! გაიხსენე, როგორ გიყვარდი!

ღრუბლებიდან მთვარე გამოცურდა. ელენას სახე, მისი მარგალიტის კოკოშნიკი, ყელსაბამი და ალმასის საყურეები, მისი თვალები, ცრემლებით სავსე, საოცარი შუქით გაბრწყინდა. ტიროდა ელენა, მაგრამ, ცრემლდამდინარი, მზად იყო ღიმილად დაფრქვეულიყო. თავადის ერთი სიტყვა მის წუხილს უსაზღვრო ლხენად გადააქცევდა. მას აღარც ქმარი ახსოვდა ახლა და აღარც სიფრთხილე... სერებრიანიმ ელენას თვალებში ისეთი სიყვარული, ისეთი წუხილი ამოიკითხა, რომ უნებლიეთ შეყოყმანდა. ბედნიერება მისთვის სამუდამოდ დაკარგული იყო. ელენა სხვას ეკუთვნოდა. მაგრამ ქალს მხოლოდ სერებრიანი უყვარდა. ჰოდა, კაცმა რომ თქვას, რატომაც არ უნდა დარჩენილიყო, არ გადაედო სლო-

ბოდაში გამგზავრება? განა თვითონ მოროზოვიც ამას არ ეხვეწებოდა?

ასე ფიქრობდა თავადი და სანეტარო სურათები ესახებოდა თვალწინ, მაგრამ ღირსების ვრცნობა, წამით მიძინებული, მსწრაფლ გაუცოცხლდა.

„არა, — გაიფიქრა მან, — შერცხვენილი ვიყო, ფიქრადაც თუ გავიელო მამიჩვის მეგობრის შეურაცხყოფა! ულირსის მეტი არავინ აკადრებს გულუბვ მასპინძელს ნამუსის შერცხვენას, მხოლოდ მხდალი და მშიშარა გაურბის სიკედილს!“

— ჩემი წაუსვლელობა არ იქნება! — გადაწყვეტით უთხრა მან. — არ შეშიძლია მარტო მე ერთი გავერიდო ჩემს მეფე-ბატონს, როცა ყველაზე ღირსეულები იღუპებიან. ნახვამდის, ელენა!

ეს სიტყვები დანასავით მოხვდა ბოიარინას გულს. იგი სასოწარკვეთილი დაემხო პირქვე.

— ნეტამც მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს! — ამოიკვნესა მან. — რა დამრჩენია ამ ქვეყანაზე! სულ ერთია, თავს არ ვიცოცხლებ! საწამლავს დავლევ! ვერ გადავიტან შენს დაღუპვას, ნიკიტა რომანიჩ! სიცოცხლეზე მეტად, ღვთივდანაბად ქვეყანაზე მეტად მიყვარხარ, მე შენს მეტი არავინ მიყვარს და არც მეყვარება!

თავადს გული უკვდებოდა ამის გამგონეს. უნდოდა ენუგეშებინა ელენა, მაგრამ ქალმა უფრო და უფრო უმატა ქვითინს. ვაითუ ვინმეს გაეგონა მისი გოდება, სერებრიანიც შეენიშნა და ბოიარისთვის მიეტანა ამბავი. თავადი მიხვდა ამას და, ელენა რომ გადაერჩინა, თავს აიძულა სწრაფად გასცლოდა იქაურობას.

— ნახვამდის, ელენა! — უთხრა მან; — ნახვამდის, ჩემო სულისდგმავ, ჩემო სიხარულო! იკმარე ცრემლები, ღმერთი მოწყალეა, ეგებ კიდევ ვნახოთ ერთმანეთი.

მთვარეს ღრუბლები გადაეფარა, ქარმა ცაცხვების კენწეროებს ჩამოუქროლა და თავადსა და ელენას ამო სურნელად დაეფრქვია ყვავილთა წვიმა. შეირხნენ ბებერი ტოტები, თითქოს სურდათ ჩამოეძახნათ: ეჰ, ახლა ვიღასთვის ვიყვავილოთ, ვისთვის ავმწვანდეთ! დაიღუპება ცუდუბრალოდ მამაცი მოყმე, დაიღუპება იმისი სატრფოც!

როცა უკანასკნელად მიიხედა ელენასკენ, სერებრიანიმ ქალის ზურგს უკან, ბაღის სიღრმეში, კაცის ბნელი ხატება დალანდა თვალით. ნეტავ მოეჩვენა ასე, თუ მართლა იდგა იმ ბნელში ვინმე? და თუ იდგა, ნეტავ ვინ იყო: მსახურთაგანი რომელიმე, თუ... თვით მასპინძელი, ბოიარი დრუჟინა მოროზოვი?

VII თავი

ალექსანდრეს სლობოდა

ბოსკოვიდან სამების ლავრამდე და ლავრიდან კიდევ ალექსანდრეს სლობოდამდე მიმავალი გზა დიდად სალხმრავალი და ურიამულიანი იყო. ეარამარა დაჭრიდნენ იქით თუ აქეთ მეფის მალემსრბოლები; ქვეითად მიუყვებოდა გზას სალოცავად მიმავალი ყველა წოდების ხალხი; ოპრიჩნიკთა რაზმები წინ და უკან ეშურებოდნენ, ბაზიერები სლობოდიდან სხვადასხვა სოფლებისკენ მიიჩქაროდნენ ცოცხალი მტრედებისთვის; ურმებზე შემომსხდარი ან გრძელ აღალებს ცხენით ადევნებული ვაჭრები საქონელს ეზიდებოდნენ ზოზინ-ზოზინით. მიმოდიოდნენ ჭრელაჭრულად ჩაცმულ ტაკიმასხარათა ბრბოები საყვირებით, სტვირებითა და ბალალაიკებით, ხელზე გამობმული სასეირო დათვებით. ისინი სიმღერებით ართობდნენ მიმავლებს ან მოწყალებას სთხოვდნენ მდიდარ მგზავრებს.

— გაგვიკითხეთ, ბატონებო, ბეჩავი ხალხი, — იძახდნენ ილაჯგაწყვეტით, — უფალმა ღმერთმა მამულები და ყველანაირი ავლა-დიდება თქვენ დაგილოცათ, ჩვენ კი თქვენი მოწყალებით თავის ღარჩენა ვადაგვიწყვეტა; მაშ ნუ დაგვაგდებთ, ხელმწიფენო, განუკითხავად საწყალ ღატაკებს!

— გამჩენებო, მარჩენალებო! — გაბმით მღეროდნენ სხვები, გზის პირებზე ფეხმორთხმულნი, — ღმერთმა ჯანი და სიმრთელე მოგცეთ! მშვიდობით მიეყვანეთ მამაზეციერს სერგიას სამებაში!

ზოგნი ამ სიტყვებს მარჯვე ნართაულებსაც გამოურევდნენ, ასე რომ, მავანი ჩამვლელი მხიარული ნათქვამის ჯილდოდ ოქროს კორაბლენიკსაც კი იმეტებდა მათთვის.

არცთუ იშვიათად, ტაკიმასხარებს ჩხუბიც მოსდიოდათ ჩამოკონკილი მათხოვრების ბრბოებთან, რომლებიც ქალაქებიდან და მონასტრებიდან მიიჩქაროდნენ სლობოდაში, რათა მოწყალებას გამორჩენოდნენ შეუფეს.

მიმოდიოდნენ აგრეთვე ბრმა მესაკრავენი და მეზღაპრეები, მხრებზე ბარბითებით, ერთიმეორეს ადევნებულნი.

მთელი ეს დუნდგო გნიასობდა, მღეროდა, ილანძღებოდა. ცხენები, ხალხი, დათვები — ჭიხვინებდნენ, ყვიროდნენ, ღრიალებდნენ. გზა ხშირ ტყეში მიემართებოდა და, მიუხედავად ხალხმრავლობისა, ხდებოდა

ხოლმე, რომ შეიარაღებული ყაჩაღები ვაჭრებს გადაუდგებოდნენ და სულს ზევით აღარაფერს უტოვებდნენ.

ძარცვა-რბევა მოსკოვის გარეუბნებში განსაკუთრებით მას მერე გახშირდა, რაც ოპრიჩნიკებმა მხვნელ-მთესველთა მთელი სოფლები, ვაჭარ-ხელოსანთა მთელი გარეთუბნები აჰყარეს და გაატიალეს. უსარჩოოდ და მიუსაფრად დარჩენილი ხალხი ავაზაკთა ბრბოებს მიენდო, ნაკაფებში დაბუნაგდა და, თავისი სიმრავლის გამო, იმდენად საშიში შეიქნა, რომ მათთან ხუმრობა უკვე აღარ გამოდგებოდა. ოპრიჩნიკები შეპყრობილ ყაჩაღებს უმოწყალოდ ჰკიდებდნენ სახრჩობელებზე; სამაგიეროდ, არც ყაჩაღები რჩებოდნენ ვალში, როცა კი ოპრიჩნიკს მოიხელთებდნენ. თუმცა, მარტო ყაჩაღები არ მძარცველობდნენ გზებზე. ტაკიმასხარები და მათხოვრები, ოღონდ კი ფხიზლად დაუცველ აღალს გადაჰყროდნენ სადმე შეღამებულზე, და ხშირად ათავისუფლებდნენ ყაჩაღებს საზრუნავისგან. სხვებზე ცუდი ღღე მაინც ვაჭრებს აღგათ. ყაჩაღებიც, ტაკიმასხარებიც, მათხოვრებიცა და ოპრიჩნიკებიც — ყველანი მათ საძარცვავად იყვნენ მოცლილნი. მაგრამ ისინი თავს ინუგეშებდნენ ანდაზით: მოგება და ზარალი — ორივენი ძმები არიანო, და არ იშლიდნენ სლობოდაში სიარულს. — „ღმერთი მოწყალეა, იქნებ ჩავაღწიოთო", — ამბობდნენ და, საკვირველია, როგორ და რანაირად, მაგრამ ბოლოს მაინც მოგებულნი რჩებოდნენ.

სამების ლავრაში სერებრიანიმ აღსარება უთხრა მოძღვარს და ზიარება მიიღო. მისი მსახურნიც ასე მოიქცნენ. გამომშვიდობებისას არქიმანდრიტმა ისე დალოცა თავადი ნიკიტა, როგორც უეჭველი სიკვდილის გზაზე მიმავალი.

სლობოდიდან სამიოდე ვერსზე საგუშაგო იყო. აქ სამხედრო დაცვა აჩერებდა მიმავლებს და თვითეულ მათგანს ეკითხებოდა: ვინ იყო და რისთვის მიდიოდა ტ ყ ვ ე ო ბ ა შ ი? ამ მეტსახელით შეცვალა ახლა ხალხმა დაცინვით სიტყვა „სლობოდა", რომელიც ძველად „თავისუფლებას" ნიშნავდა. სერებრიანისა და მის მსახურებსაც წვრილად დაჰკითხეს ჩამოსვლის მიზანი. შემდეგ მეუფროსე კაცმა იარაღი ჩამოართვა მათ და ოთხი ცხენოსანი ოპრიჩნიკი აახლა ეტიკად. სულ მალე შორით მეფის სასახლის შეღებილი გუმბათები და უცხოდ ნახელაები ოქროფერილი სახურავები გამოჩნდა. აი რას ამბობს ამ სასახლეზე ჩვენი მეისტორიე, იოანეს უცხოქვეყნელ თანამედროვეთა დამოწმებით:

„ამ მრისხანე მოსალხინარ საცხოვრისში იოანე უმეტეს დრო-ჟამს ღვთისმსახურებას ანდომებდა, რათა გამუდმებული ლოცვა-ვედრებით მოეპოვებინა სულის სიმშვიდე. მეფეს ისიც კი სურდა, სასახლე მონას-

ტრად გადაექცია, ხოლო თავისი რჩეულნი — ბერ-მონაზვნებად: ოპ-
რიჩნიკთაგან 300 კაცი, უბოროტესნი, გამოარჩია და ძმანი უწოდა, ხო-
ლო თავის თავს — იღუმენი, თავად აფანასი ვიაზემსკის — კელარი, მა-
ლიუტა სკურატოვს კი — პარაკლისიარქი; დაურიგა ამ ძმათა დასს არახ-
ჩინები ანუ სკუფიები, და შავი ანაფორები, რომელთა ქვეშაც მათ ოქ-
რომკედით ნაქარგი, სიასამურის ბეწვიანი მდიდრული ხიფთანები ეცვ-
ათ; მეფემ სამონაზვნო წესდებაც შეთხზა ამ ძმათათვის და თვითონვე
იყო მისი სამაგალითო აღმსრულებელი. აი, როგორ აღწერენ ამ სამო-
ნასტრო ცხოვრებას იოანესას. დილის მეოთხე საათზე იგი ბატონიშვი-
ლებითა და მალიუტა სკურატოვითურთ სამრეკლოზე ადიოდა და ცის-
კრის ლოცვისას რეკავდა, ძმანი კი ეკლესიაში მიიჩქაროდნენ; ვინც არ
გამოცხადდებოდა, იმას რვა დღით პატიმარყოფდნენ. წირვა ექვს ან
შვიდ საათამდე გრძელდებოდა. მეფე გალობდა, კითხულობდა, ლოცუ-
ლობდა ისეთის გულმოდგინებით, რომ შუბლზე მუდამ აჩნდა მუხლთ-
მოდრეკით დიდი მეტანიობის კვალი. რვა საათზე კვლავ წირვაზე იკრი-
ბებოდნენ, ათზე კი საძმო ტაბლას მიუსხდებოდნენ, სუყველანი, გარდა
იოანესი, რომელიც, ფეხზე მდგომი, ხმამაღლა კითხულობდა სულის გა-
სანათლებელ შეგონებებს. ამასობაში კი ძმანი მადიანად შეექცეოდნენ
სასმელ-საჭმელს; ყოველ მზის ამოსვლაზე დღესასწაული უთენდებო-
დათ: მათთვის არც ღვინოს, არც თაფლუჭს არ იშურებდნენ; ტაბლის
ნარჩენები სასახლიდან მოედანზე გაპქონდათ ღარიბებისთვის. იღუმენი,
ესე იგი მეფე, სხვების შემდეგ სადილობდა, მერე კი კანონზე ბაასობდა
თავის რჩეულებთან, თვლემდა ან დილეგში მიემართებოდა რომელიმე
უბედურის საწამებლად. ეტყობა, ეს ამაზრზენი სანახაობა ართობდა
მას; იოანე გულით კმაყოფილი კაცის იერით ბრუნდებოდა იქიდან: ხუმ-
რობდა, ჩვეულებრივზე უფრო ხალისიანად ლაპარაკობდა. რვა საათზე
მწუხრის ლოცვაზე მიდიოდნენ; ათზე მეფე საძინებელში მარტოვდებო-
და, სადაც სამი უსინათლო ზღაპრებს უამბობდა. იოანე უსმენდა მეზ-
ღაპრეებს და იძინებდა, მაგრამ სულ ცოტა ხნით: შუაღამისას დგებოდა,
და მისი დღე ლოცვით იწყებოდა. სახელმწიფო საქმეებს ხშირად ეკ-
ლესიაში მოახსენებდნენ ხოლმე მას, ზოგჯერ კი იოანე სწორედ ცის-
კრის ლოცვის ან წირვის ჟამს იძლეოდა ყველაზე სასტიკ და ულმო-
ბელ ბრძანებას. ამ ერთფეროვანი ყოფის გასახალისებლად დროდადრო
ის ეგრეთ წოდებულ მოსახილველ მოგზაურობას მოიგუნებებდა ხოლ-
მე, ახლომახლო და შორეულ მონასტრებს მიაკითხავდა, სასაზღვრო
ციხესიმაგრეებს ათვალიერებდა, ტყეებში და ველებზე ნადირობდა; გა-
მორჩევით უყვარდა დათვებზე მწევარ-მეძებრებით ნადირობა; მაგრამ

არსად და არასოდეს არ ივიწყებდა ხელმწიფურ საქმეთ: რამეთუ, ზემ-
შინიანის ბოიარები, მოსაჩვენებლად ვასწესებული ხელისუფალნი სა-
ხელმწიფოსი, ეერაფრის ვადაწყვეტას ვერ ბედავდნენ მის უნე-
პურად!"

სლობოდაში რომ შეაღწიეს, სერებრიანიმ დაინახა, რომ ხელმწიფის სასახლე თუ მონასტერი ღრმა თხრილითა და ზვინულით იყო გამიჯნული სხვა შენობებისგან. ძნელი აღსაწერია ამ სავანის მშვენიერება და ნაირფეროვნება. არც ერთი ფანჯარა არ ჰგავდა მეორეს, არც ერთი სვეტი არ ედრებოდა ერთმანეთს ფერით ან სახოვანებით. შენობას უამრავი ეუმბათი აგვირგვინებდა. ისინი ერთმანეთზე იყვნენ მიჯრილნი, ერთიმეორეზე აჩხირილნი, და გაბერილი ბუშტებივით კრთოდნენ მზის სხივებში. სასახლეს გუმბათებიდან საძირკვლამდე მოელვარე ქერცლივით ასხდა ოქრო, ვერცხლი და ფერადი შორენკეცი. როცა მზის სხივები დააშუქებდა, შორიდან ვერცკი გაარჩევდა კაცი, სასახლე იყო ეს, ვეებერთელა ყვავილის ბუჩქი, თუ ფასკუნჯების დიდი გუნდი მოფრენილიყო და ცეცხლოვანი ფრთები გაეშალა მზეზე.

სასახლის შორიახლოს სტამბა იყო, ასოთაამომსსმელი სახელოსნოთი, ასოთამწყობთა შრამელით და იოანეს მიერ ინკლისიდან და გერმანიიდან ნამოყვანილი უცხოელი ოსტატების სამყოფი ცალკე შენობით. მერე კი იწყებოდა უსასრულო რიგი მეფის კარის საფარეშოებისა, რომლებშიც ცხოვრობდნენ მეკუჭნავეები, მეკუჭნავეთა ხელქვეითები, მევაყინეები, მზარეულები, მეპურეები, მეჯინიბენი, მეძაღლენი, ბაზიერები და ათასგვარი საქმე-საქნარის აესრულებელი უამრავი სხვა მსახური მეფის კარისა.

არანაკლები სიმდიდრით ბრწყინავდნენ სლობოდის ეკლესიებიც. ღვთისმშობლის დიდებული ტაძარი გარედან თვალწარმტაცად იყო მოხატული. თვითეულ აგურზე ჯვარი ბრწყინავდა და გეგონებოდა ეკლესიას ოქროს ბადე აქვს გადაცმულიო.

ამ თვალწარმტაცმა სახილველმა დროებით გაუფანტა ჯიუტად მოძალებული შავი ფიქრები სლობოდის გზაზე დამდგარ სერებრიანის. ეაგრამ მალე უსიამო სანახაობამ კვლავ მოაგონა თავადს, რა განსაცდელშიც იმყოფებოდა. მათ ერთიმეორის გვერდით აღმართულ რამდენიმე სახრჩობელას ჩაუარეს. იქვე ჩანდა ძელურები თავსაკვეთი კუნძებითა და ბასრი ცულებით. შავად შელებილი ძელურები და სახრჩობელები მტკიცედ და საგულდაგულოდ იყო ნაგები, არა ერთი თუ ორი დღის ან წელიწადისთვის, არამედ სამრავალჟამად!

რაზომ უშიშარიც უნდა იყოს ადამიანი, მაინც ვერ იქნება გულგრი-

ლი იმის გაფიქრებისას, რომ აღსასრულის საათი უახლოვდება და დღეს ან ხვალ უნდა დაიღუპოს, მაგრამ სახელოვნად კი არა, ხშლების ჩახჩუხსა და იარაღის ქუხილში, არაშედ ბნელი და სათაკილო სიკვდილით, საძულველი ჯალათის ხელით. ჩანს, სერებრიანიმ საკვდინებელი მოედნის წინ ნავლისას ვერ შეძლო ღაღოებინა გრძნობები და მის შთაბეჭდილებიან საბუნე უნებლიეთ გამოისახა ძინაგანი მღელვარება: ვეიკეპმა თავადს გადახედეს და გამქირდავად ჩაიცინეს.

— ესენი ჩვენი საქანელები არის, ბოიარო, — თქვა ერთმა მათგანმა და სახრჩობელებზე მიუთითა.—ჩანს, მოგეწონა, რომ თვალი ველარ მოგიწყვეტია!

შიხეიჩს, რომელიც უკან მოპყვებოდა თავადს, არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავისთვის ჩაუსტვინა და თავი გადააქნია.

იხრილს რომ მიადგნენ, თავადი და მისი ამხანავი ჩამოქვეითდნენ და ცხენები ბოძებს გამობაბეს, რომლებშიც სწორედ საამისოდ რვალის რგოლები იყო ჩახრახნილი. მოსულები უზარმაზარ ეზოში შეეიდნენ. ეზო მათხოვრებით იყო სავსე. ისინი ხმამაღლა ლოცულობდნენ, ფსალმუნებს გალობდნენ და თავიანთ საზიზღარ წყლულებს აჩენდნენ. მეფის მსახურთუფროსი კიბისთავზე გაღმომდგარიყო და ხორაგეულსა და ფულად მოწყალებას ურიგებდა მათ მეფის სახელით. დროდადრო ეზოში ოპრიჩნიკები მიმოდიოდნენ; ხვეები მერხებზე ისხდნენ და ჭაღრაკით ერთობოდნენ ან კამათელს აგორებდნენ. დანარჩენები წრედ შეჯგუფულიყვნენ, დანასობიას თამაშობდნენ და გულიანად იცინოდნენ, როცა ზელიზედ რამდენჯერმე წაგებული მიწაში ჩაფლულ ბოლოკს ექაჩებოდა კბილებით. ოპრიჩნიკების სამოსი საოცრად განირჩეოდა მათხოვართა ძონძებისგან: მეფის მცველები სულ ოქროთი ბრწყინავდნენ. თვითეულ მათგანს მარგალიტითა და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ხავერდის ან ფარჩის არახჩინი ეზურა და იფიქრებდით, ეს ხალხი ცოცხალი სამკაულია ამ ჯადოსნური სასახლისაო, რომელთანაც თითქოს ერთ მთელად იყვნენ შერწყმულ-შემსგავსებულნი.

ერთმა ოპრიჩნიკმა მაინც განსაკუთრებით მიიპყრო სერებრიანის ყურადღება. ეს იყო ოცდაოდ წლის ყმაწვილი, უცხო სილამაზისა, მაგრამ უსიამო, თავზეფური სახის იერით. მას სხვებზე მდიდრულად ეცვა, ქუდოსანთათვის უსვეულო გრძელი თმა პქონდა, წვერი სულაც არ აჩნდა, ხოლო მიხვრა-მოხვრასა და საქციელში რაღაცნაირი ქალური სინაზე ემჩნეოდა. ამხანავებიც საკმაოდ უცნაურად ეპყრობოდნენ, თანატოლივით ელაპარაკებოდნენ ამ ყმაწვილს და განსაკუთრებულ თავაზიანობას არ იჩენდნენ მის მიმართ. მაგრამ როცა იგი რომელიმე წრესთან მი-

ვიდოდა, წრე მაშინვე გაიშლებოდა, ხოლო მერხებზე მსხდომარენი ფეხზე დგებოდნენ და ადგილს უთმობდნენ. კაცი იფიქრებდა, უფრთხილდებიან ამ ყმაწვილს ან, იქნებ, უფრთხიან კიდეცაო. სერებრიანი და მიხეიჩი რომ დაინახა, მან უტიფრად აათვალიერა ისინი, ეტიკები მიიხმო და, ეტყობა, მომავლების ვინაობა გამოჰკითხა. შემდეგ თვალმოჭუტულმა გაჰხედა სერებრიანის, უკეთურად ჩაიცინა და რაღაც უჩურჩულა ამხანაგებს. მათაც აგრეთვე ჩაიხითხითეს და აქეთ-იქით გაიკრიფნენ. თვითონ ის ყმაწვილი კი წინგარდზე ავიდა, მოაჯირს გადმოეყრდნო და კვლავ დამცინავად შეჰყურებდა თავადს. უეცრად მათხოვრები აჩოჩქოლდნენ და აირივნენ. ეს ამოდენა ბრბო ზვირთივით მოაწყდა ნიკიტას და კინაღამ გადათქერა ის. მათხოვრები ყვირილით გამორბოდნენ, ცდილობდნენ გასცლოდნენ სასახლეს, სახეზე ყველას ძრწოლვა ეხატა. თავადი გაოცდა, მაგრამ სულ მალე მიხვდა მათი დაფრთხობის მიზეზს — უზარმაზარი დათვი ძუნძულით მოსდევდა მათხოვრებს. წამის უმალ ეზო დაცარიელდა, და თავადი მარტოდმარტო აღმოჩნდა მხეცის პირისპირ. გაქცევა არც უფიქრია მას. სერებრიანი არაერთგზის შებმია დათვს მარტოდმარტო. ასე ნადირობა მისი საყვარელი გართობა იყო. იგი შეჩერდა და, როცა დათვმა ყურები დაძაგრა და დასატორავად შემოუტია, ფიცხლად მოიქნია მარჯვენა, რათა ხმალი ეშიშვლა. მაგრამ საღლაჰქონდა ხმალი! დაავიწყდა, რომ ოპრიჩნიკებს ჩააბარა იარაღი, ვიდრე ტ ყ ვ ე ო ბ ა შ ი შემოვიდოდა. ყმაწვილმა კაცმა, წინგარდიდან რომ იცქირებოდა, გადიხარხარა.

— ასე, ასე, — თქვა მან, — ერთბაშად არ იპოვო ის შენი ხმალი!

დათვის ტორის ერთმა შემოკვრამ მიწაზე განართხო თავადი, მეორე კი ალბათ თავს გაუჭეჭყავდა, მაგრამ, თავისდა გასაოცრად, თავადმა მეორე დარტყმის მაგიერ მხოლოდ ის იგრძნო, რომ თბილი სისხლის შადრევანი შემოეფრქვია.

— ადექი, ბოიარო! — უთხრა ვიღაცამ და ხელი გამოუწოდა.

თავადი წამოდგა და ჩვიდმეტიოდე წლის ოპრიჩნიკი დაინახა თავის წინაშე. ყმაწვილს, რომელსაც პირველად ხედავდა ახლა, გასისხლიანებული ხმალი ეჭირა ხელში, თავგაპობილი დათვი კი გულაღმა ეგდო, ტორებს იქნევდა და სულს ღაფავდა მის ფეხებთან.

ოპრიჩნიკს, როგორც ჩანდა, სულაც არ ეამაყებოდა თავისი გამარჯვება. მის თვინიერ სახეზე ღრმა სევდა იყო აღბეჭდილი. რაკი დაინახა, რომ დათვს არ დაესახიჩრებინა თავადი, მადლობის თქმასაც არ დალოდებია, ისე შებრუნდა და დააპირა გაცლა.

— მამაცო ჭაბუკო! — უთხრა სერებრიანიმ, — მითხარ, ვინა ხარ, სა-

ხელი და ვინაობა გამაგებინე, რომ ვიცოდე, ვისთვის ვილოცო ღვთის წინაშე!

— აბა რად გინდა მაგის შეტყობა, ბოიარო! — უპასუხა ოპრიჩნიკმა.— არ მიყვარს ჩემი ვინაობა, დალახვროს ღმერთმა!

ამ უცნაურმა პასუხმა გააკვირვა სერებრიანი, მაგრამ მისი მხსნელი ამასობაში უკვე თავისი გზით მიაბიჯებდა.

— ეს რა ღვთის წყრომა იყო, ბატონო, — უთხრა მიხეიჩმა, თან ხიფთანის კალთით დათვის სისხლს აცილებდა თავადს, — იცოცხლე, შიში ეჭამე ახლა! გამწარებული ვუღრენდი, ბატონის ჭირიმე, მაგ ოხერ დათვს: იქნებ შენ თავი დაგანებოს და მე მომვარდეს-მეთქი, რომ ამ ყმაწვილმა, ღმერთმა ჯანი და სიმრთელე ნუ მოუშალოს მაგას, თავი გაუპო. ისე კი, რომ იცოდე, ყველაფერი იმ უწვერულის ოინებია, ბილწი თვალებით რომ იყურება წინგარდიდან, მგლის კბილი მაგას და ქორის კლანჭი! არა, ეს სად მოუხვდით, — ჩურჩულით დაურთო მიხეიჩმა, — სად გაგონილა, ბატონო, მეფის კარზე დათვს უსევდნენ ქრისტიანიშვილს?

მიხეიჩის გულისწყრომა სამართლიანი იყო, მაგრამ სლობოდას თავისი ზნე სჭირდა და არაფერი არ ხდებოდა იქ ჩვეულებრივი წესით და რიგით.

მეფეს მხეცების ბრძოლის ცქერა უყვარდა. რამდენიმე დათვი ყოველთვის ჰყავდათ რკინის გალიებში იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა ხელმწიფე ამგვარ გართობას მოისურვებდა. მაგრამ დროდადრო იოანე ან მისი ოპრიჩნიკები გალიებიდან უშვებდნენ მხეცებს, ხალხს უსევდნენ და სეირის ცქერით იქცევდნენ თავს. თუ დათვი ვინმეს დაასახიჩრებდა, მეფე მას ფულით აჯილდოვებდა; ხოლო თუკი მავანს და მავანს სასიკვდილოდ მოაქცევდა, მაშინ ფული მის ჭირისუფალს ეძლეოდა, თვით დაღუპულს კი აღაპის წიგნში სწერდნენ მეფის შექცევის ან მეფის რისხვის დანარჩენ მსხვერპლთა გვერდით მონასტრებში მოსახსენებლად.

მალე სასახლიდან ორი მესუფრე გამოვიდა და სერებრიანის უთხრეს, მეფემ ფანჯრიდან დაგინახა და სურს იცოდეს, ვინა ხარო. როცა მისი ვინაობა მეფეს მოახსენეს, მესუფრენი კვლავ დაბრუნდნენ და თავადს აუწყეს, მეფემ მოკითხვა შემოგითვალა და გიბრძანა დღეს ნადიმზე ეწვიოო.

ამ წყალობას მაინცდამაინც არ გაუხარებია სერებრიანი. იოანემ, შესაძლოა, ჯერ არ იცოდა სოფელ მედვედევკაში ოპრიჩნიკებთან მისი შეტაკების ამბავი. მაგრამ ისიც შესაძლო იყო (და ხშირად ხდებოდა კი-

დეც ასე), მეფეს დრომდე დაემალა თავისი მრისხანება მოჩვენებითი მოწყალეობით, რათა უეცარი სასჯელი, ლხინისა და მხიარულების ჟამს, უფრო თავზარდამცემი ყოფილიყო დამნაშაეისთვის. ასე იყო თუ ისე, სერებრიანიმ ყველაფრის მოლოდინი დაიჭირა და ლოცვაც კი წაიკითხა გუნებაში.

ეს ღღე გამონაკლისი იყო ალექსანდრეს სლობოდაში. მეფემ, რომელიც სუზდალში აპირებდა წასვლას სალოცავად, წინასწარ გამოაცხადა, ძმათა მთელ კრებულთან ერთად ვისადილებო და ბრძანა გარდა სამასი ოპრიჩნიკისა, მისი მუდმივი თანამეინახეებისა, კიდევ ოთხასი ეხმოთ ნადიმზე, ასე რომ, სულ შვიდასი კაცი იყო წვეული.

VIII თავი

ნადიმი

უზარმაზარ ორშუქედ დარბაზში, მოჩუქურთმებულ-მოხატულ სვეტებს შორის, სამ რიგად ჩანდა გრძელი სუფრები. თეითეულ რიგში ათათი სუფრა იდგა, თვითეული სუფრა ოც-ოცი კაცისთვის იყო გაწყობილი. მეფის, ბატონიშვილისა და უახლოესი რჩეულებისთვის ცალკე იდგა სუფრები დარბაზის ბოლოში. სტუმრებისთვის ფარჩისა და ხაეერდის საფენიანი გრძელი მერხები იყო გამზადებული; მეფისთვის კი — ჩუქურთმოვანი მაღალი სავარძელი, მარგალიტისა და ალმასის ფოჩებიანი. სავარძელი ფერხთა ნაცვლად ორი ლომის ქანდაკზე იყო დანღობილი, მის საზურგეს კი ფრთაგაშლილი ორთავიანი არწივი ქმნილა, მოოქროეილი და ფერადოვანი. შუა დარბაზში უზარმაზარი ოთხკუთხი მუხის მაგიდა იდგა. მაგარი იყო მუხის სქელი ფიცრები, მაგარი იყო მოხარატებული ვეება ფერხედი, რომელსაც მაგიდა ემყარებოდა. მათ ვერცხლისა და ოქროს ჭურჭლეულობის მთელი მთისთვის უნდა ეაეძლოთ. აქ ნახავდით სხმულ ჯამ-ბადიებს, რომელთაც ოთხი კაცი ძლივს ასწევდა ჩუქურთმიანი სახელურებით, და მძიმე აზარფეშებს, მარგალიტით დაწინწკლულ თასებსა და ჭედური სახეებით დამშვენებულ სხვადასხვა ზომის სინებს. აქ ეწყო სარდიონის ფიალებიც, სირაქლემას კვერცხის ტოლჩებიც და ოქროთი მოჭედილი ჯიხვის ყანწებიც. ხოლო სინებსა და აზარფეშებს შორის ჩადგმული იყო უცნაური ოქროს სასმისები, რომლებიც დათვებს, ლომებს, მამლებს, ფარშავანგებს, წეროებს, მარტორქებსა და სირაქლემებს გამოსახავდნენ. და ეს ამოდენა მძი-

მე-მძიმე ჭურჭლეულობა, ჯამ-ბადიები, სინები, აზარფეშები, ფიალები, ჩამჩები, მხეცები და ფრინველები ვეება სოლივით იყო აზვინულ-აკოკოლავებული და მისი წვერი თითქმის ჭერს ებჯინებოდა.

დარბაზში ზვიადად შემოვიდა კარისკაცთა ბრწყინვალე კრებული და მერსებზე განლაგდა. მაგიდებზე ამ დროს გარდა სამარილეების, საპილპილეებისა და საძმრეებისა, არავითარი სხვა ჭურჭელი არ ელაგა, ხოლო ხორაგეულიდან მხოლოდ მშრალი ხორცეული, ზეთზე შემწადებული ნაირნაირი შეჭამანდი, მჟავე კიტრი, ქლიავი და ხის ფიალჯამებით არაჟანი იყო გამოტანილი.

ოპრიჩნიკები სუფრას მიუსხდნენ, მაგრამ ხელმწიფის მოლოდინში ჭამა-სმას არ შესდგომიან.

მალე დარბაზში წყვილ-წყვილად შემოვიღნენ მესუფრენი და მეფის სავარძელთან დადგნენ. მესუფრეთ ზვიადად მომავალი მსახურთუხუცესი და მერიქიფეთუხუცესი შემოპყვნენ.

ბოლოს ბუკებმა დასჭექეს, სასახლის ზარებმა დაიგუგუნეს და დინჯად შემობრძანდა თვითონ მეფე ივან ვასილევიჩი.

იგი მაღალი, ტანადი და მხარბეჭიანი იყო. გრძელი, მოქარგული ფარჩის სამოსი გულისპირის დაყოლებითა და კალთების გარშემო მარგალიტითა და პატიოსანი თვლებით ჰქონდა შემოქობილი. ძვირფას საყელოს მაცხოვრის, ღვთისმშობლის, მოციქულებისა და წინასწარმეტყველთა მინანქრული გამოსახულებები უმშვენებდა. ყელზე დიდი შემკული ჯვარი ეკიდა ოქროს ძეწკვით. წითელი ტარსიკონის წაღების მაღალი ქუსლები ვერცხლის კავებით ჰქონდა მოჭედილი. საშინლად შეცვლილი ეჩვენა იოანე თავად ნიკიტას. მისი წყობილი სახე კვლავაც მშვენიერი ხყო, მაგრამ ნაკვთები უფრო გატლანქებოდა, არწივისებურ ცხვირზე კეხი კიდევ უფრო გამაღლებოდა, თვალები ავად უელავდა და შუბლზე ნაოჭები დამჩნეოდა, რასაც წინათ ვერ უნახავდით. ყველაზე მეტად თავადი ხელმწიფის შემეჩხერებულმა წვერ-ულვაშმა გააოცა. იოანე მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლისა იყო, მაგრამ ორმოცზე კარგა ხნის ვადაბიჯებულს ღამსგავსებოდა. სახის იერი მთლად შეცვლოდა. ასე შეცვლილი ჩანს ხოლმე ნახანძრალი მკვიდრი შენობა. კვლავინდებურად დგანან აჩონჩხილი კედლები, მაგრამ კაზმულობა დაცვენილია, ჩაშავებული ფანჯრები ამაზრზენად შემოგცქერიან და ნაპარტახეე პალატებში უკეთურობა დაბუდებულა.

თუმცაღა, როცა იოანე მოწყალედ იცქირებოდა, კვლავაც მიმზიდველი იყო მისი გამოხედვა. ხელმწიფის ღიმილი იმათაც კი ხიბლავდა, ვინც კარგად იცნობდა მას და ზიზღით სწყევლიდა მის სიავკაცეს. ასეთ

ბედნიერ გარეგნობასთან ერთად იოანეს უჩვეულო ენამჭევრობაც ჰქონდა მომადლებული. ხდებოდა ხოლმე, რომ ზნეკეთილი ხალხი, როცა მეფეს უსმენდა, მის შესაზარ ნამოქმედართა აუცილებლობას იჯერებდა და, სანამ იგი ლაპარაკობდა, მის მტარვალურ სასჯელთა მართებულობას აღიარებდა გუნებაში.

იოანეს გამოჩენისთანავე ყველა წამოდგა და ქედდადრეკით ეთაყვანა მას. მეფე დინჯად გაემართა მაგიდებსშუა თავისი ადგილისკენ, შეჩერდა, თვალი მოავლო წვეულებას და სალამი ჩამოარიგა ყოველ მხარეს; მერე გრძელი ლოცვა წარმოთქვა ხმაშემაღლებით, პირჯვარი გადაისახა, ტაბლა დალოცა და სავარძელში მოიკალათა. ყველამ, გარდა მერიქიფეთუხუცესისა და ექვსი მესუფრისა, მეფეს მიბაძა.

ოქრომკედიან იისფერ ხავერდის ხიფთანებში გამოწყობილი უამრავი მსახური ხელმწიფის წინ დადგა, მდაბლად ეთაყვანა მას წელმოხრით, და წყვილ-წყვილად ჩარიგებული გაბრუნდა სანოვაგის შემოსატანად. მსახურები მალე დაბრუნდნენ ხელში შემართული ოქროს სინებით, რომლებზედაც ორ ასეულამდე შემწვარი გედი იყო დალაგებული.

ამით დაიწყო სადილი.

სერებრიანის მეფის სუფრის შორიახლო ერგო დაჯდომა, ზემშჩინის ბოიარებთან, ესე იგი იმათთან, რომელნიც ოპრიჩნინას არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ, როგორც მაღალი ხარისხის მქონენი, ამჯერად ხელმწიფის სუფრაზე ყოფნის პატივით გამოერჩიათ. ზოგ მათგანს სერებრიანი ლიტვაში გამგზავრებამდეც იცნობდა. თავისი ადგილიდან მას მეფის დანახვაც შეეძლო და იმათიც, ვინც მის სუფრას უსხდა. თავადს სიმძიმილი შემოაწვა გულზე, როცა ის იოანე, რომელიც ხუთი წლის წინათ დატოვა აქ, იმ იოანეს შეადარა, თავის ახალ რჩეულთა წრეში რომ იჯღა ახლა მის თვალწინ.

სერებრიანიმ კითხვით მიმართა თავის მეზობელს, ერთ-ერთ იმათგანს, ვისაც იგი ადრევე სცნობდა.

— ნეტავ ვინ არის ის ყმაწვილი, მეფის მხარმარჯვნივ რომ ზის, ასე ფერგალეული და პირქუში?

— ეგ ბატონიშვილი იოან იოანოვიჩია, — მიუგო ბოიარმა, მერე გარშემო მიმოიხედა და ჩურჩულით დაურთო: — ღმერთო მოგვხედე! ნატამალიც არა სცხია რა პაპამისისა, მთლად მშობელ მამას გამოემგვანა, თავისი ასაკისთვის გასაკვირველად აქვს გარდავსილი გული მძვინვარებითა და მტარვალობით. სიამე არ გვიწერია ჩვენ მაგისი მეფობისგან!

— ის შავთვალა ახალგაზრდა ვინღაა, მაგიდის ბოლოში რომ ზის,

ალერსიანად გამომზირალი? სახეზე მეცნობა, მაგრამ არ მაგონდება, სად მინახავს?

— შენ ნანახი გყავს ეგ, თავადო, ხუთი წლის წინათ, როცა რინდა იყო ხელმწიფის კარზე. ოღონდ მას აქეთ დიდად აღზევდა და კიდევ უფრო აღზევდება მომავალში. ეგ ბორის ფიოდოროვიჩ გოდუნოვია, მეფის საყვარელი მრჩეველი. ხედავ... — ხმას დაუდაბლა და ისე განაგრძო ბოიარმა, — ხედავ, მის გვერდით იმ მხარბეჭიან, მწითურ ვაჟბატონს, თვალს რომ არავის უმართავს და წარბშეყრილი ეპოტინება გედის ხორცს გადასაღებად? იცი, ვინ არის ეგა? ეგ გრიგორი ლუკიანოვიჩ სკურატოვ-ბელსკია, მალიუტას ეძახიან მეტსახელად. ეგ არის ხელმწიფის მეგობარიც, მისი თანამდგომელიცა და მისი ქონდაქარიც. ხოლო აქ კი, მონასტერში, უფალო მოგვიტევე, პარაკლისიარქადაც აქციეს. ხელმწიფე თითქოს ბიჯსაც არ დგამს უმაგისოდ; მაგრამ აბა ერთი სიტყვა წაცდეს გოდუნოვს, ნახავ, მალიუტა განზე დარჩება და ბორისისას კი შეისმენენ! აი ის კი, უწვერული, კეკლუც ქალწულს რომ დამგვანებია, პირის მწდედ რომ უდგას მეფეს, ეგ ფიოდორ ალექსეევიჩ ბასმანოვია.

— ეგა? — ჰკითხა სერებრიანიმ და ის ქალაჭუა ყმაწვილი იცნო, ვისმა გარეგნობამაც სასახლის ეზოში გააკვირვა თავადი, ხოლო მოულოდნელმა გახუმრებამ ლამის სიცოცხლეს გამოასალმა.

— სწორედ ეგა. მეტი რომ არ იქნება, ისე უყვარს ეგ მეფეს. უმაგისოდ თითქოს სიცოცხლეც არ შეუძლიაო; მაგრამ აბა ერთი რამე საქმე იყოს, ვის ჰკითხავენ რჩევას? გგონია, მაგას? არა, კეთილო, ისევ ამ ბორისს!

— ჰო, — თქვა სერებრიანიმ, თან გოდუნოვს აკვირდებოდა, — ახლა კი მაგონდება, ვინც უნდა იყოს. ერთი ეს მითხარ, მეფის მეკაპარჭე ხომ არ იყო ეგ ბორისი?

— ეგრეა, თავადო. სწორედ მეკაპარჭე იყო მეფისა. თითქოს, ვერაფერი სადიდებულო სამსახურია, იფიქრებ, აბა აქ რით უნდა გამოიჩინო თავიო? მაგრამ ერთხელაც იყო, ნადირობისას მშვილდოსნობით გართობა მოიგუნებეს. მონადირეთა შორის კი ხანის დესპანი დევლეთ-მურზაც ერია. ჰოდა, ამ დევლეთ-მურზამ რამდენიც კი სტყორცნა ისარი, ერთიც არ ააცდინა თათრულ ქუდს, რომელიც მეფის ბანაკიდან ას ნაბიჯზე ჩარჭობილ მარგილზე იყო შემოდებული. ეს ამბავი კი, მოგეხსენება, ნასადილევს ხდებოდა, როცა აზარფეშამ უკვე ბევრჯერ ჩამოიარა სუფრის გარშემო. ჰოდა, ერთიც ვნახოთ, წამოდგა ეს ჩვენი ივან ვასილევიჩი და იძახის: — მომართვით ჩემი მშვილდი, არც მე გახლავართ ამ თა-

თარზე ნაცლები მაინარიო! — თაოარი კი, იცოცხლე, გაახარა ამ ამბავმა: — ოყორნინე, მეფე-ბატონო! — ეუბნება: — ჩემმა ათასა სლენის ეროგი მოიდა, შენმა კი რა მოიდა? — ესე ივი, ჩვენებურად, სანაძლეოს რას ჩამოდიხარო? — ქალაქ რიაზანს მოვდივარო! — უთხრა მეფემ და ვაიმეორა: — ზომართვით ჩემი მშვილდიო! — გავარდა ბორისი ცხენსაბმელისკენ, საღაც მშვილდ-კაპარჭიანი ცხენი ეყენა, მოახტა უნაგირს; ეს კი დაეინახეთ, რომ ბობოქრობს მის ქვეშ ცხენი, ყალყზე დგება, ლაგამს იწყვეტს, მერე კი ერთბაშად გაეურინდა ადგილიდანვე და, თითქოს ცამ ჩაყლაპა ან დედამიწამ, გაქრა ბორისიანად. საათის ეოთხედი იქნებოდა გასული, რომ დაბრუნდა ბორისი, ვსედავთ — კაპარჭიცა ღა ხილიფაც დაფსრეწილია, მშვილი შუაში გალატეხილი, ისრები მიმობნეული, თვითონ ბორისს კი თავი აქვს გახეთქილი. ცხენიდან ჩამოხტა და ღეებში ჩაუვარდა მეფეს: „დამნაშავე ვარ, ხელმწიფეო, ვერ შევაკავე ცხენი. ვერ გავუფრთხილდი შენს მშვილდ-ისარს!“ მეფეს კი, ჩემო კეთილო, ამ ისობაში ცოტათი გამოუნელდა კიდევაც ღვინო, სიფიზლე დაეტყო. „რა ვაეწყობა, — ამბობს ხელმწიფე, — დღეის იქით ველარ გიხალონ შენ, უმეცარო, ჩემს ნეკაპარჭედ, სხვისი მშვილდით კი მე არ გავეარ!“ ამ დღიდან ღაიწყო ბორისის აღზევება და ალერ ნახეე, თავადო, კიღეე საღამდე აღზევება! არა, მაინც გასაკვირველია ეგ კაცის ამბავი, — ეანაგრძობდა ბოიარი და ვოდუნოეს გაჰყურებდა, — არასოდეს წინ არ ეჩრება, და მაინც ეუდამ სუფრის თავში ზის: თავის დღეში პირღაპირობას არ გამოიჩენს, მეფის უამურს არაფერს მოიმოქმეღებს, მიდის თავისთვის მყუდრო გზაწერილით, არავითარ სისხლიან საქმეში არ გარეულა, არავის დასეაში არ უდევს წილი. მის გარშემო სულ ოქრიალით გადმოსჩქეფს სისხლი, ეგ კი თვითონ უმანკო და შეურყენელია თოთო ბალღივით, ოპრიჩნინაშიც არ არის ჩაწერილი. აი ის, — ეანაგრძო მან და უკეთურად მოღიმარ კაცზე ანიშნა, — ის ალექსეი პასმანოვია, ფიოდორის მამა, მაგის იქით კი, მოშორებით, ვასილი ერიაზნოი ზის, აი იქ კი მამა ლევკი, ჩუდის არქიმანდრიტი; შეუნდოს უფალმა და, ეგ ეკლესიის მწყემსი კი არა, მიწიერ ვნებათა მოძღვარია!

სერებრიანი ცნობისმოყვარეობითა და ნაღვლიანად უსმენდა მას.

— მითხარი, ბოიარო, — ჰკითხა მან, — ვინ არის ის ტანადი, თმასუბუჭა, ოცდაათიოდე წლის შავთვალა კაცი? აგერ უკვე მეოთხე თასი დასცალა ზეღიზედ, თანაც რამოდენა თასები! მაგარი ეხმელი ჩანს, ვიღაცაა, ოღონდ ღვინო მგონი არ უნდა ელხინებოდეს მაგას. უყურე, როგორ იბღვირება, თვალებს კი შმაგივით აბრიალებს. ნეტავ რა მოსდის, ხომ არ შეიშალა? უყურე, კაცო, დანით ფატრავს სუფრას.

— მაგას, თავადო, მე მგონი, უნდა იცნობდე შენ. ეგ ჩვენიანი იყო. თუ-ცა, შეიცვალა კი მას აქეთ, რა რომ, მთელი ბოიარობისდა სასირ-ცხვილოდ, ოპრიჩნიკებში გაერია! ეგ თავადი აფანასი ივანოვიჩ ვიაზემ-სკია. ვაჟკაცობით ვერც ერთი ამათგანი ვერ მოვა მაგასთან, მაგრამ რო-ცა იქნება, არ ასცლება თავის წაკვეთა! რა რომ ტრფიალება ჩაებუდა გულში, მას მერე თავის ჭკუაზე აღარ არის. ვერც ვერას ხედავს, არც რამე ესმის, მარტოკაც ხშირად ლაპარაკობს საკუთარ თავთან, გადარე-ულივით, და მეფესაც ისეთ სიტყვებს აკადრებს, მეტი აღარ იქნება. მაგრამ ჯერხნობით არაფერს ერჩიან; ებრალება ეგ ხელმწიფეს. ისე, აბბობენ, სიყვარულმა რომ გააბელა, სწორედ იმიტომ ჩაეწერა ოპრიჩ-ნიკებშიო.

და ბოიარი სერებრიანისკენ დაიხარა, ალბათ, იმის სურვილით, რომ უფრო დაწვრილებით ეთქვა მისთვის ვიაზემსკის ამბავი, მაგრამ ამ დროს მათთან მესუფრე მიეიდა, სერებრიანის წინ სინით ტაბაკა დადო და წარმოთქვა:

— ნიკიტა-სტა! დიდი ხელმწიფე კერძსა გწყალობს სეფე სუფრიდან!

თავადი წამოდგა და, როგორც წესი იყო, მდაბლად ეთაყვანა მეფეს.

მაშინ თავადის სუფრასთან მსხდომნიც წამოდგნენ, ერთობლივ ყვე-ლანი, და თავი ღაუკრეს სერებრიანის ნიშნად იმისა, რომ მეფის წყა-ლობას ულოცავდნენ. სერებრიანიც მოვალე იყო თავის დაკვრითვე ეთ-ქვა მადლობა რიგრიგობით თვითეული მათგანისათვის. ამასობაში მე-სუფრე მეფესთან დაბრუნდა, წელმოხრით ეთაყვანა მას და უთხრა:

— დიდო ხელმწიფეე! ნიკიტა-სტამ მიიღო კერძი, ქედლადრეკით გე-თაყვანება!

როცა ბეღლებს მორჩნენ, მსასურები წყვილ-წყვილად გავიდნენ დარ-ბაზიდან და სამ ასეულამდე შემწვარი ფარშავანგით დაბრუნდნენ. მათი გაშლილი კულები ბარაოსებრ ირხეოლა თვითეულ სინზე. ფარშავანგებს თევზისა და ქათმის ხორცის ფენა-ფენა სართავიანად ნამცხვრები, ხორ-ცისა და ყველის გულიანი ღვეზელები, ნაირნაირი ბლინები, მოყვანილი ხაბიბგინები და მაჭკატები მოაყოლეს. ვიდრე სტუმრები კერძებს შეექ-ცეოდნენ, მსახურები აზარფეშებითა და თასებით არიგებდნენ ალუბალ-ზე, ღვიაზე და შოთხვზე ნახად თაფლუბებს. სხვებს უცსოური ღვინო-ები მოჰქონდათ: რომანული, რეინული და მუსკატი. საგანგებოდ მიჩენი-ლი მესუფრენი მაღიდებს დასტრიალებდნენ, რათა თვალი ეღევნებინათ სად რა საჭიროება იყო და ხელმწიფის მოსაკითხავი მიერთმიათ ამა თუ იმ სტუმრისთვის.

სერებრიანის პირდაპირ ერთი მოხუცი ბოიარი იჯდა, რომელზედაც

მეფე, როგორც ამბობდნენ, საშინლად გამწყრალი იყო. ბოიარი გრძნობდა, განსაცდელში რომ იყო, მაგრამ არ იცოდა, რა სასჯელი დაატყდებოდა, და მოთმინებით ელოდა თავის წილხვედრს. ყველასდა გასაოცრად, მერიქიფეთუხუცესმა ფიოდორ ბასმანოვმა თავისი ხელით მიართვა მას ღვინით სავსე თასი.

— ვასილი-სუ! — წარმოთქვა ბასმანოვმა, — დიდი ხელმწიფე თასსა გწყალობს სეფე სუფრიდან!

მოხუცი წამოდგა, იოანეს ეთაყვანა და ღვინო დალია, ბასმანოვი კი მეფესთან დაბრუნდა და მოახსენა:

— ვასილი-სუმ დასცალა თასი, ქედდადრეკით გეთაყვანება!

ყველანი წამოდგნენ და თავი დაუკრეს მოხუცს. ელოდნენ, რომ მასაც თავის დაკვრით გადაეხადა მადლობა, მაგრამ ბოიარი გახევებული იდგა. მას სუნთქვა ეკვროდა და მთელი სხეული უცახცახებდა. უცებ მოხუცს თვალებში სისხლი მოაწვა, სახე ჩაულურჯდა, და ზღართანით დაეცა ძირს.

— ბოიარი მთვრალია, — წარმოთქვა ხელმწიფემ, — გაიყვანეთ აქედან!

დარბაზში ჩურჩული დაირხა, ზემშჩინის ბოიარებმა კი ერთმანეთს გადახედეს და თავიანთ თეფშებს მიაყინეს მზერა, ელდანაკრავნი კრინტის დაძვრასაც ვერ ბედავდნენ.

სერებრიანი შეძრწუნდა. აქამდე კიდევ ჰქონდა რაღაც ეჭვისმაგვარი და არ სჯეროდა, რასაც იოანეს სიმხეცეზე ამბობდნენ, ახლა კი თავათ შეიქნა მისი საშინელი შურისძიების მოწმე.

„ნეტავ მეც ასეთი დღე ხომ არ მომელის?“ — გაიფიქრა მან.

ამასობაში მოხუცი გაიტანეს, სადილი კი რიგისამებრ გრძელდებოდა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. ბარბითები ჟღერდნენ, ზარები გუგუნებდნენ, კარისკაცები ხმამაღლა მუსაიფობდნენ და იცინოდნენ. მსახურები, აქამდე რომ სულ ხავერდი ემოსათ, ახლა ყველანი ფარჩის დოლომანებით შემოვიდნენ. სამოსის ასე გამოცვლა მეფის წვეულებების ერთ-ერთი ფუფუნებათაგანი იყო. ახლა სუფრაზე ნაირნაირი ლაბები გააჩინეს; მერე შემოიტანეს ცხარე საწებლიანი წეროები, მწნილის წვნიანში ჩადებული ჯანჯაფილის სანელით შეკაზმული მამლები, ძვალგამოცლილი ქათმები და იხვები კიტრით; შემდეგ მოაყოლეს სხვადასხვაგვარი წვნიანი და სამგვარი უხა: ქათმის გულმკერდისა, ქათმის თავ-ფეხ-კუჭმაჭისა და ქათმისა ზაფრანის სანელით შეზავებული. უხას რომ მორჩნენ, მაგიდებზე ქლიავის საწებლიანი გნოლ-ქათმები, ბურღულის შეჭამანდიანი ბატები და ზაფრანის სანელიანი როჭოები გაჩნდა.

ამის შემდეგ შექცევის ჯერი დადგა და ამ ხნის განმავლობაში სტუმრებს სასმელით მასპინძლობდნენ. მოჰქონდათ თაფლუჭები: მოცხარზე ნახადი, მთავრული და ბოიარული, ხოლო ღვინოებიდან: ალიკანტე, ბასტრი და მალვაზია.

ახლა თანდათან იმატა ხმაურმა, თამამმა ლაპარაკმა, სიცილ-ხარხარმა, შეხურებული თავების ტრიალმა. სერებრიანინმ, რომელიც ოპრიჩნიკების სახეებს აკვირდებოდა, შორეულ მაგიდასთან ის ყმაწვილი შენიშნა, რამდენიმე საათის წინ დათვისგან რომ იხსნა თავადი. ნიკიტამ მეზობლებს ჰკითხა მისი ვინაობა, მაგრამ ვერც ერთმა ზემშჩინელმა ვერ უთხრა, ვინ იყო ის. ჭაბუკი ოპრიჩნიკი იდაყვებით დაყრდნობოდა მაგიდას, თავი ხელებზე ჩამოედო, ჩაფიქრებული იჯდა და საერთო მხიარულებაში არ ერეოდა. თავადს ის იყო გვერდით ჩავლილი მსახურისთვის უნდა ეკითხა მისი ამბავი, რომ უეცრად შემოესმა უკანიდან:

— ნიკიტა-სტა! დიდი ხელმწიფე თასსა გწყალობს სეფე სუფრიდან!

სერებრიანი შეკრთა. მის ზურგს უკან უტიფრად მოღიმარი ფიოდორ ბასმანოვი იდგა და თასი ეჭირა გამოწვდილ ხელში.

თავადი წუთითაც არ შეყოყმანებულა, ისე ეთაყვანა მეფეს და ბოლომდე დასცალა თასი. ყველანი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ მას, თვითონაც გარდუვალ სიკვდილს ელოდა და უკვირდა, სამსალის მოქმედებას რომ არ გრძნობდა. ცახცახისა და შემცივნების მაგიერ საამო სითბომ დაუარა ძარღვებში და სახეზე უნებლიეთ მორეული სიფითრე გაუკრთო. მეფისგან მოკითხული სასმელი ძველი და ხალასი ბასტრი იყო. სერებრიანისთვის ცხადი გახდა, რომ მეფემ ან მიუტევა დანაშაული, ან ჯერ არ იცოდა ოპრიჩნინის შერცხვენის ამბავი.

უკვე ოთხ საათზე მეტი ხანი გრძელდებოდა მხიარულება, სუფრას კი ჯერაც არ უჩანდა დასასრული. ამ დღეს თავი გამოიჩინეს მეფის მზარეულებმა. არასოდეს ასე გემრიელი არ გამოსვლიათ მჟავე სუფები, შამფურზე შემწვარი თირკმლები და გოჭა თევზები ცხვრის ხორცის სართავით. განსაკუთრებით აოცებდა მონადიმეთ გოლიათური თევზები, რომლებიც თეთრ ზღვაში დაეჭირათ და სოლოვეცის მონასტრიდან გამოეგზავნათ სლობოდაში. ისინი ცოცხლად ჩამოიტანეს უზარმაზარი კასრებით. მგზავრობამ რამდენსამე კვირას გასტანა. ეს თევზები ძლივს ეტეოდნენ ვერცხლისა და ოქროს ლანგრებზე, რომლებიც ერთბაშად რამდენიმე კაცს შემოჰქონდა. ამ კერძებმა მთელი ბრწყინვალეებით გამოაჩინეს მზარეულთა ნატიფი ხელოვნება. თართები და ტარაღანები ისე იყო ათლილი და გაწყობილი სინებზე, რომ ფრთაგაშლილ მამლებს ან კიდევ ხახადაღრენილ ფრთოსან გველეშაპებს ჰგავდნენ. კარგი და გემ-

რიელი იყო ატრიის შეჭამანდიანი კურდღლებიც. ასე რომ, სტუმრებს, თუმცა უკვე ყელამდე იყვნენ გამაძღარნი, მაინც არ დაუტოვებიათ კბილგაუკრავი არც ნივრის საწებლიანი მწყერები, არც ხახვისა და ზაფრანის სანელიანი ტოროლები. მაგრამ, აი, მესუფრეთა ნიშანზე მაგიდებიდან აალაგეს მარილი, წიწაკა, ძმარი და პირწმინდად გაზიდეს მთელი ხორაგეული და თევზეული. მსახურები წყვილ-წყვილად ჩარიგებულნი ვავიდნენ დარბაზიდან და სხვარიგად მორთულნი შემობრუნდნენ. ფარჩის დოლობანების საცელად ახლა ვერცხლით მოსირმული და სიასამურის ბენვით გაწყობილი თეთრი ხავერდის საზაფხულო კუნტუშები ეცვათ. ეს სამოსი წინანდელზე უფრო ლაზათიანი და მდიდრული იყო. აგრეგრიგად გამოკოსტაევებულებმა შემოიტანეს დარბაზში შაქარყინულის კრემლი, რომელიც ხუთ ფუთამდე იწონიდა, და მეფის სუფრაზე დადგეს. ეს კრემლი ერთობ ოსტატურად იყო ჩამოსხმული. ქონგურებიანი კედლები და გუმბათები, აგრეთვე ცხენოსნები და ქვეითებიც კი, ზედმიწევნით იყო გამოყვანილი. ასეთივე, ოღონდ უფრო მომცრო, სამ ფუთამდე წონის, კრემლებმა დააშვენეს სხვა სუფრებიც. კრემლებს მაშინვე მოაყოლეს ასიოდე ოქროფერილი და შეღებილი ხე, რომლებზედაც ნაყოფის მაგიერ თაფლაკვერები, ნამცხვრები და ტკბილი ღვეზელები ეკიდა. მათთან ერთად გაჩნდა მაგიდებზე შაქარყინულის ლომები, არწივები და ნაირნაირი ფრინველები. ქალაქებსა და ფრინველებს შორის ვაშლების, კენკრისა და ბერძულა თხილის გროვები იყო აზვინული. მაგრამ სილეულობას უკვე აღარაეინ ეტანებოდა, ყველანი მაძღრები იყვნენ. ზოგი თასებში ჩარჩენილ რომანულს სვამდა ბოლომდე, უვრო ზრდილობისთვის, ვიღრე წყურვილისგან, ზოგი კი თვლემდა, მაგიდაზე ჩამოყრდნობილი; ბევრი მერხებქვეშ იყო გაწოლილი, უკლებლივ ყველას ქამარი შეეხსნა და ხიფთანი გადაეღელა. უფრო მკაფიოდ გამოსნდა თვითეულის ზნე და ბუნება.

მეფეს თითქმის პირი არაფრისთვის დაუკარებია. ვიღრე სხვები სამელ-საჭმელს შეექცეოდნენ, ის ბევრს მსჯელობდა, ხუმრობდა და მოწყალედ საუბრობდა მახლობლად მსხდომებთან. სადილის დასასრულს მის სასეს ოდნავი ცვლილებაც არ ღასტყობია. იგივე შეიძლება ითქვას გოდუნოვზედაც. ბორისი, თითქოს, არც გემრიელ ლუკმაზე ამბობდა უარს და არც მაგარი ღვინით საესე აზარფეშაზე; მსიარულად იყო, ჭკვიანური საუბრით ართობდა მეფესა და მის რჩეულებს, მაგრამ ერთსელაც არ ამჩატებულა, არ დაეიწყნია ღირსეულად თავის დაჭერა. ბორისის სახეზე, ისევე როგორც სადილობამდე, ახლაც გამჭრიახობის, აზრიანი თავდაბლობისა და თავდაჯერების ცხადი ნიშნები იყო აღბეჭ-

დილი. ახალგაზრდა გოდუნოვმა სწრაფი მზერა მოავლო გამომთვრალ და მთვლემარე კარისკაცებს, ჩუმად ჩაიცინა და სახეზე ელვისებრ გაუკრთა ზიზღი.

იოანე ბატონიშვილი ბევრს სვამდა, ცოტას ჭამდა, სდუმღა, სხვებს უსმენდა და უეცრად აწყვეტინებდა სიტყვას ხან ერთს, ხან მეორეს უგვანი ან საწყენი ხუმრობით. ყველაზე მეტად მას მალიუტა ჰყავდა ამოჩემებული, თუმცა გრიგორი სკურატოვი სულაც არ ჰგავდა ისეთ კაცს, დაცინვის ატანა რომ შეუძლია. მისი შესახედაობა თვით ყველაზე გულუბრყვილებსაც ძრწოლვას ჰგვრიდა. დაბალი და ვიწრო შუბლის პატრონს, თმა თითქმის წარბებიდანვე ეწყებოდა; ყვრიმალები და ყბები, პირიქით, შეუსაბამოდ განვითარებული ჰქონდა, თავის ქალა, წინიდან ვიწრო, კეფასთან ყოვლად უკულმართად იყო გადაზრდილი რალაცნაირ ფართო ქვაბუნად, ხილო ყურთუკან ისეთი წამონაზარდები ასხდა, რომ ყურები ჩაცვივნულივით მოუჩანდა. თვალები გაურკვეველი ფერისა ჰქონდა, მუდამ განზე გაურბოდა, კაცს პირდაპირ არასოლეს შეხედავდა, მაგრამ შიშის ზარი უვლიდა იმას, ვინც უნებურად აწყდებოდა მის უჟმურ მზერას. იფიქრებლით, ვერარა სულდიდი გრძნობა, ვერარა აზრი, თვინიერ ცხოველური ტლანქი ვნებებისა, ვერ შეაღწევს სქელი თავის ქალითა და ხშირი ჯაგრით დახშულ ამ ვიწრო ტვინშიო. ამ სახის იერში იყო რალაც ულმობელი და სასოწარმღები. მალიუტას რომ შეჰყურებდი, კაცი გრძნობდი, რომ მის არსებაში ადამიანური თვისების პოვნის ყოველგვარი ცდა ამაო გარჯა იქნებოდა. და, მართლაც, მან ზნეობითად გარიყა თავისი თავი კაცთა მოდგმისგან, განთვისებულად ცხოვრობდა მათ გარემოში, ზურგი აქცია ყოველგვარ მეგობრულ, სიამტკბილურ ურთიერთობას, დაუტევა ადამიანობა და თვითვე გარდიქცა მეფის ქოფაკად, რომელიც მუდამ მზად არის განურჩეველად დაგლიჯოს ყველა, ვიზედაც კი იოანე ბოიგუნებებს მის წაქეზებას.

მალიუტას ერთადერთ კაცურ ღირსებად თითქოს შვილის, ყმაწვილ მაქსიმ სკურატოვის მხურვალე სიყვარული უნდა მიგვეჩნია, მაგრამ ეს იყო სიყვარული გარეული მხეცისა, უმეცრული სიყვარული, თუმცა კი თავგანწირვამდე ვამძაფრებული. ამ გრძნობას კიდევ უფრო აღრმავებდა მალიუტას პატივმოყვარეობა. რაკი თვითონ წარმომავლობით უაზნო, უვვარო კაცი იყო, შური ახრჩობდა ბრწყინვალებისა და ღიდგვაროვნობის ხილვისას და უნდოდა თავისი შთამომავალნი მაინც განედიდებინა საკუთარი ვაჟის მოთავეობით, ვაჟისა, რომელიც უფრო იმიტომაც უყვარდა ასე ძლიერ, რომ არც კი იცოდა რა იყო სხვაგვარი ნათესაური სიახლოვე. მალიუტას აცოფებდა ფიქრი, რომ ხალხი არასდროს

არ მიიჩნევდა მის მაქსიმს იმ ზვიად ბოიართა თანატოლად, რომლებიც მან, გრიგორი სკურატოვმა, ათეულობით დაჰკიდა ძელზე, და ცდილობდა ოქროთი მოეპოვებინა ის პატივ-ღირსება, რასაც დაბადებით ვერ ეღირსა; იგი უდიდესი კმაყოფილებით ეძალებოდა კაცის კვლასა და ჯალათობას: შურს იძიებდა საძულველ ბოიარებზე, მათი მონაგარით მდიდრდებოდა და, მეფის წყალობით განდიდებული, ფიქრობდა თავისი სათაყვანო შვილიც განედიდებინა. მაგრამ, ამ ვარაუდების მიუხედავადაც, სისხლი მისი მოთხოვნილება და ნეტარება იყო. მალიუტამ ბევრჯერ წარიწყმიდა სული ჯალათური კაცისკვლით და, როგორც მატიანეები მოგვითხრობენ, ზოგჯერ თვითონ იმარჯვებდა ხოლმე ნაჯახს, გულქვად ჩეხავდა უკვე დასჯილთა უსულო გვამებს და ძაღლებს უყრიდა შესაჭმელად. ამ მტარვალის სურათს ვერ გავასრულებთ, თუ არ დავურთეთ, რომ, გონებრივი შეზღუდულობის მიუხედავად, ის იყო ტყის ნადირივით გასაკვირველად ეშმაკი, ბრძოლაში თავგამეტებული მამაცი და სხვებთან ურთიერთობაში მიუნდობელი, როგორც დაუმსახურებელ პატივში ჩავარდნილი ყოველი მონა; ამასთან ერთად, არავის შეეძლო ისე ხსომებოდა წყენა, როგორც მალიუტას — გრიგორი ლუკიანოვიჩ სკურატოვ-ბელსკის. ასეთი იყო ადამიანი, ვისაც ესოდენ წინდაუხედავად იგდებდა აბუჩად ბატონიშვილი.

ერთმა შემთხვევამ მაინც დაცინვის განსაკუთრებული საბაბი მისცა იოანე იოანოვიჩს. შურითა და პატივმოყვარეობით გატანჯული მალიუტა დიდი ხანია ბოიარობას ეძიებდა, მაგრამ მეფეს, რომელიც ზოგჯერ პატივისცემით ეკიდებოდა ადათებს, არ სურდა თავისი უაზნო რჩეულის საამებლად დაემცირებინა უმაღლესი რუსული ხარისხი და უყურადღებოდ ტოვებდა მალიუტას მეძიებლობას. სკურატოვმა მხნეობა მოიკრიბა და კვლავ შეახსენა იოანეს თავისი თავი. სწორედ იმ დღით, საძინებელი პალატიდან გამოსვლის ჟამს, ის ქედდადრეკილი ეაჯა მეფეს, გამოწვლილვით მოახსენა, რაც მის წინაშე დამსახურება ჰქონდა და ყველაფრის ჯილდოდ ბოიარის ქუდი ითხოვა. იოანემ მოთმინებით უსმინა მას, ბოლოს კი გაიცინა და ძაღლი უწოდა. ახლა, სუფრასთან, ბატონიშვილმა სწორედ ეს მარცხიანი აჯა-ვედრება გაუხსენა მალიუტას. არ გაუხსენებდა ამ ამბავს ბატონიშვილი, ცოტა უკეთ რომ სცნობოდა გრიგორი სკურატოვ-ბელსკი!

მალიუტა სდუმდა და თანდათან ფითრდებოდა. მეფეს უსიამოდ ხვდებოდა გულზე მალიუტასა და შვილის მტრული დამოკიდებულება. საუბარი რომ სხვა ამბებზე გადაეტანა, იოანე ვიაზემსკის გამოელაპარაკა.

— აფანასი, — უთხრა მან ნახევრად ალერსით, ნახევრად დაცინვით,—

როდემდე უნდა გხედავდეთ ეგზომ შელონებულს? ველარ მიცვნიხარ ჩემი სანაქებო ოპრიჩნიკი! ნუთუ მართლა მთლად დაგანელა სიყვარულმა— უწყალო გველმა?

— ვიაზემსკის არაფერი სცხია ოპრიჩნიკისა, — შენიშნა ბატონიშვილმა. — ეგ სულ ლამაზ გოგოსავით კვნესის და ოხრავს. ბარემ, შენი ნებართვით, მამავ-ბატონო, სარაფანიც ჩააცვან მაგას და წვერიც გაპარსონ ფედკა ბასმანოვივით, ან არადა, უბრძანე მესაკრავეებთან ერთად იმღეროს. ბარბითი, ისე ვატყობ, ხმალზე უფრო დამშვენდებოდა მაგას!

— ბატონიშვილო! — შესძახა ვიაზემსკიმ, — შენ რომ ერთი ხუთიოდე წლით უფროსი იყო და ხელმწიფის შვილადაც არ გაეჩინე დამბადებელს, ამ უპატიურობისთვის მოსკოვს გაგიხმობდი, სამების მოედანზე, იქ შევებმოდით მე და შენ ვაჟკაცობაში და თვითონ ღმერთი განსჯიდა, ჩვენ ორში რომელს სჭეროდა ხმალი, რომელს — ბარბითი!

— აფონკა! — მკაცრად უთხრა მეფემ. — ნუ გავიწყდება, ვის წინაშე ბედავ მაგის თქმას!

— ნება შენია, მეფეე ბატონო, უფალო ივან ვასილევიჩ, — კადნიერად მიუგო ვიაზემსკიმ, — თუ ბრალიანი ვარ შენს წინაშე, უბრძანე თავი წამაგდებინონ, ბატონიშვილს კი არ დავანებებ ჩემს შერცხვენას.

— არა, — უკვე ლმობიერად უთხრა იოანემ, რომელიც ვაჟკაცობისთვის მიუტევებდა ხოლმე ვიაზემსკის უხათრო ქცევას, — ჯერ ადრეა აფონკასთვის თავის მოკვეთა! დე კვლავაც გაისარჯოს მეფის სამსახურში. ახლა კი სჯობს ზღაპარი გითხრა, აფონია, უსინათლო ფილკამ რომ მიამბო გუშინღამ:

„დიდებულ როსტოვში, ლამაზ ქალაქში, ერთი მამაცი ჭაბუკი ცხოვრობდა, ალიოშა პოპოვიჩი. ჰოდა, ამ პოპოვიჩს სიცოცხლეზე მეტად შეუყვარდა ახალგაზრდა თავადის ქალი, სახელი არ მახსენდება მისი. ოღონდ ეს ქალი, ამ ჭაბუკის გადამრეველი, ბებერ ტუგარინ გველეშაპის ძეს ესვა ცოლად. რა არ იღონა, რას არ ეცადა ალიოშა პოპოვიჩი, მაგრამ უარის მეტი ვერაფერი იღირსა იმისგან. — არ მიყვარხარ, მამაცო ჭაბუკოვო; მხოლოდ ჩემი ქმარი, სასურველი, ბებერი ტუგარინი მიყვარსო. — კეთილიო, თქვა ალიოშამ, აბა ენახოთ, თუ მეც არ შემიყვარებ, თეთრო გედუნიავო! — წაიყვანა თორმეტი მსახური, სულ დარჩეული ბიჭები, შეიჭრა იმ გველეშაპის ძის კოშკში და მოიტაცა მისი ახალგაზრდა ცოლიკო. — ბარაქალა შენ, მამაცო ჭაბუკოვო, — უთხრა თავადის ცოლმა, — რომ ჩემი სიყვარულიც გცოდნია და ხმლით ჩემი დანარჩუნებაც შეგძლებიაო; ჰოდა, ამისათვის სიცოცხლეზე მეტად, მზის ნათელზე მეტად, ჩემ ბებერ, წყეულ ქმარზე — ტუგარინზე მეტად მიყვარხარო!“

— აბა, რას იტყვი, აფონია, — დაურთო მეფემ და თვალი თვალში გაუყარა ვიაზემსკის, — ხომ არ გენიშნა უსინათლო ფილკას ზღაპარი?

ხარბად უსმენდა ვიაზემსკი ივან ვასილევიჩს. თვის ზვინში მოსეედრილი ნაპერწკლებივით შეენთო მეფის სიტყვები მის გულს, მკერდში ვნებათაღელვა აუბობოქრდა, თვალებში ხანძარი წაეკიდა.

— აფანასი, — ვანაგრძობდა მეფე, — ამ დღეებში მე სალოცავად მივდივარ სუზდალს, შენ კი ბარემ მოსკოვს წადი ბოიარ დრუჟინა მოროზოვთან, მისი ჯანმრთელობა მოიკითხე და უთხარი, მეფისგან ვარ წარმოგზავნილი, მეფემ შერისხვა გაკმარა და წესის აღსრულება მე მიბრძანა-თქო... ჰოდა, რაკი წახვალ, — მრავალმნიშვნელოვნად დაურთო იოანემ, — რაკი წახვალ, მეტი პატივისთვის, ბლომად ოპრიჩნიკებიც თან იახლე!

სერებრიანიმ თავისი ადგილიდან დაინახა, როგორ შეიცვალა ვიაზემსკი სახეზე და როგორ გაუელვა ველურმა სიხარულმა, მაგრამ არ გაუგონია, რაზე ჰქონდათ საუბარი თავადსა და ხელმწიფეს.

ნიკიტა რომ მიმხვდარიყო, რა ახარებდა ვიაზემსკის, დაივიწყებდა ხელმწიფის სიასლოვეს, იქვე კედლიდან ჩამოგლეჯდა მახვილს და ერთის დაკვრით გაუპობდა ვიაზემსკის იმ შფოთიან თავს. საკუთარ თავსაც დაღუპავდა თავადი ნიკიტა, მაგრამ ამჯერად ის მოწკრიალე ბარბითებმა, სასახლის ზარებმა და ოპრიჩნიკთა ხმაურმა გადაარჩინეს. ვერ შეიტყო თავადმა, რა ახარებდა ვიაზეზსკის.

ბოლოს იოანე წამოდგა. კარისკაცები ერთბაშად ახმაურდნენ, თითქოს სკაში ფუტკრები დააფრთხესო. ვისაც კიდევ ჰქონდა ამისი თავი, ფეხზე დადგა, და ყველამ რიგრიგობით იწყო მისვლა მეფესთან, რომელიც თავისი ხელით აწვდიდა ძმებს ქლიავის ჩირს.

ამ დროს ბრბოში ვიღაც ოპრიჩნიკმა გამოიკვლია გზა და სკურატოვს მიაშურა. ამ კაცმა, რომელიც ნადიმს არ დასწრებია, ყურში რაღაცის ჩურჩული დაუწყო გრიგორი ლუკიანოვიჩს. მალიუტა წამოენთო და სახეზე მძვინვარება გამოეხატა. ეს არ გამოჰპარვია მეფის მახვილ თვალს. იოანემ განმარტება მოსთხოვა.

— ხელმწიფეო! — წამოიყვირა მალიუტამ. — გაუგონარი ამპავია! ღალატია, ჯანყია შენი მეფური მოწყალების წინააღმდეგ!

სიტყვა „ღალატის“ გაგონებაზე მეფე გაფითრდა და მის თვალებში ცეცხლმა დაჰკვესა.

— ხელმწიფეო, — განაგრძო მალიუტამ, — გუშინწინებზე რაზმი წარვგზავნე მოსკოვის სანახების შემოსავლელად, უნდა ენახათ, ხელმწიფეო, როგორ ასრულებენ მოსკოველები შენს მეფურ ბრძანებას. მაგრამ

უცებ ვილაც უცნობი ბოიარი გამოჩნდა მსახურებით და თავს დაესხა შემომველელებს. ბევრი დაჩესეს სასიკვდილოდ, ჩემი ჯილავდარი კი მთლად დაასახიჩრეს. იგი აქ არის, კარსუკან იცდის, უზომოდ ნაცემი! ხომ არ მიბრძანებ მოვიყვანო?

იოანემ ოპრიჩნიკებს მოაველო თვალი და ყველა მათგანის თვალებში მრისხანება და აღშფოთება ამოიკითხა. მაშინ უცნაური კმაყოფილება დაეტყო სახეზე და მშვიდად წარმოთქვა:

— შემოიყვანეთ!

მალე ბრბო გაირღვა და დარბაზში თავშესვეული მატვეი ხომიაკი შემოვიდა.

IX თავი

სამსჯავრო

ხომიაკმა გასინჯლიანებული სახეც არ მოიბანა, სახვევი და სამოსიც განზრახ მოისვარა: ღაე ნახოს მეფემ, როგორ სცემეს მის მსახურსო!

იოანეს რომ მიუახლოვდა, პირქვე დაემხო და მუხლმოდრეკილი ელოდებოდა სიტყვის ნებართვას.

ყველანი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ ხომიაკს. მეფემ პირველმა დაარღვია მდუმარება.

— აბა, მითხარი, ვისი მომჩივანი ხარ? — ჰკითხა მან, — რა ამბავია შენს თავს? მომახსენე დალაგებით!

— ვისი მომჩივანი ვარ, თავადაც არ ვამეგება, ჩვენო იმედო და სასოებავ, მართლმადიდებელო მეფეო! არ უთქვამს ჩემთვის იმ ძაღლს თავისი გვარი და ვინაობა. მიტომაც დავრდომით ვეაჯები შენს მეფურ მოწყალებას და მოვახსენებ, რომ ნაგვემი ვარ და ნასახიჩრები, რომ ვილაც თავბედმა უცნობმა მოძალადემ დამასახიჩრა!

საერთო ყურადღება გაორკეცდა. ყველამ სული განაბა. ხომიაკი განაგრძობდა:

— მივედით ჩვენ, ხელმწიფეო, შემოსაველელად წასულები, სოფელ მედვედეკაში, რომ უცებ საიღანღაც გამოტყვრნენ ის წყეულები და ცხენსეთქით მოგვაწყდნენ, მეხივით დაგვატყდნენ თავს, ბარე ათიოდე კაცი აჰკუწეს, სხვები გაგვთოკეს; იმათ ბოიარს, იმ ავაზაკს, ჩვენი ჩამოხრჩობაც კი უნდოდა, ხოლო ორი ყაჩაღი, შემოვლისას რომ შევიპყარით, გაათავისუფლებინა თავის კაცებს და ნებაზე გააშვებინა!

ხომიაკი გაჩუმდა და გასისხლიანებული სახვევი შეისწორა თავზე. ურწმუნო დრტვინვა დაირხა ოპრიჩნიკთა შორის. მისი ნაამბობი დაუჯერებელი ჩანდა. მეფე დაეჭვდა.

— კმარა, ვითომ მართალს ამბობ ახლა შენ, შვილოსან? — უთხრა მან, თან არწივის თვალებით ბურღავდა ხომიაკს; — ტვინი ხომ არ აგრევია, ნეტავი? ნუნუას წრუპვაში ხომ არ მოგიმკია ეგ ნაგვემები?

— მზად ვარ ჯვარზე დავიფიცო ჩემი სიმართლე, ხელმწიფეო; საკუთარ თავს ვდებ იმის თავდებად, რომ არ ვტყუივარ!

— აბა ის მითხარ, რატომ არ ჩამოგახრჩო იმ უცნობმა ბოიარმა?

— არ ვიცი, ალბათ, გადაიფიქრა; არავინ არ ჩამოუხრჩვია; ოღონდ ის ბრძანა, ყველანი გავემათრახებინეთ!

შეკრებულებს კვლავ დრტვინვამ დაუარა.

— ეს მიბრძანე, ბევრნი იყავით შემოვლაში?

— ორმოცდაათი კაცი, ორმოცდამეთერთმეტე მე ვიყავი.

— ისინი? ისინი ბევრნი იყვნენ?

— ცოდვა გამხელილი სჯობსო, ჩვენზე ცოტანი იყვნენ.... დაახლოებით ოცი ან ოცდაათი კაცი.

— ჰოდა თქვენც დედაკაცებივით გაათოკინეთ და გაამათრახებინეთ თავი?! ასე რამ გამოგალენჩათ? ხელები შეგახმათ თუ სული კუდში გაგეპარათ? სასაცილო ამბავია, ჩემმა მზემ! აბა ვინ ბოიარი უნდა ყოფილიყო ასეთი, დღისით, მზისით ოპრიჩნიკებს რომ დასხმოდა? შეუძლებელია! ისე, იცოცხლე, სახსენებელსაც გაუწყვეტდნენ ოპრიჩნინას, გარნა ეგაა, ხელსა სუსხავთ! იცოცხლე, მეც ალბათ დამანელებდნენ, გარნა სამაგისო კბილები არ ამოსვლიათ! მომისმინე, თუ გინდა შენი მჯეროდეს, მაშინ მითხარი, ვინ იყო ის ბოიარი, თუ არადა, სიცრუეში გამოტყდი ბარემ. ხოლო თუ არც ვინაობას მეტყვი იმისას და არც გამოტყდები, კარგი დღე არ დაგადგება, შვილოსან!

— მოწყალეო ხელმწიფევ! — მტკიცედ მიუგო ჯილავდარმა, — ღმერთია მოწამე, რომ მართალს ვამბობ. ჩემი დასჯა კი შენი ნებაა; სიკვდილი მე არ მაშინებს, მე სიმრუდის შიში მაქვს მხოლოდ; და ამას სრულიად შენი მხედრიონიც დამემოწმება!

ეს რომ თქვა, ხომიაკმა ოპრიჩნიკებს მოავლო თვალი, თითქოს მოწმეებად მოუხმობს მათო. უეცრად მისი მზერა სერებრიანის მზერას წააწყდა.

ძნელი აღსაწერია, რა მოხდა ხომიაკის სულში. გაოცება, დაეჭვება და, ბოლოს, ავკაცური სიხარული გამოისახა მის ნაკვთებზე.

— ხელმწიფეო, — თქვა მან და ფეხზე წამოდგა, — თუ გსურს იცოდე,

თავს ვინ დაგვესხა, აჰკუწა ამხანაგები და მათრახებით ააწვევინა თავისიანებს ჩვენი ზურგები, უბრძანე ეგერ იმ ბოიარს, მოგახსენოს თავისი სახელი და ვინაობა!

ყველამ სერებრიანის მიაპყრო მზერა. მეფემ გაქუცული წარბები შეჰყარა და ჩაციებით დააცქერდა თავადს, მაგრამ ხმას არ იღებდა. ნიკიტა უძრავად იდგა, დამშვიდებული, ოღონდ ფერდაკარგული.

— ნიკიტა! — წარმოთქვა ბოლოს მეფემ, თან დინჯად და აუჩქარებლად მარცვლავდა თვითეულ სიტყვას, — წინ წარმოსდექ. პასუხი გაგვეც. იცნობ შენ ამ კაცს?

— ვიცნობ, ხელმწიფეო.

— მართლა თავს დაესხი ამასა და მის ამხანაგებს?

— ხელმწიფეო, ეგ კაცი თვითონ დაესხა სოფელ...

ხომიაკმა სიტყვა გააწყვეტინა თავადს. მტრის დასაღუპავად, გადაწყვიტა საკუთარი თავიც არ დაეზოგა.

— ხელმწიფეო, — თქვა მან, — ყურს ნუ დაუგდებ ბოიარს. ეგ ჩემი ძვირის მეტს არაფერს დაჰყეფს, მისთვის, რომ მაგასთან პატარა კაცი ვარ, ჰოდა, ეგრე მე და მაგას შორის სამართალი არ გამოვა; ბრძანე ამხანაგებს ჩამოართვან ჩვენება ან, გნებავს, უბრძანე, ორივენი ღდინზე გვაწამონ, აი მაშინ გამოვა სამართალი მე და მაგას შუა.

სერებრიანიმ ზიზღით შეხედა ხომიაკს.

— ხელმწიფეო, — წარმოთქვა მან, — მე არ უარვყოფ ჩემს ნამოქმედარს. მართალია, თავს დავესხი ამ კაცს, ვბრძანე მათრახები ეკრათ მაგისთვის და მაგისი ამხანაგებისთვისაც, მერე კი ვბრძანე...

— კმარა! — მკაცრად წარმოთქვა ივან ვასილევიჩმა. — ჩემს დაკითხვაზე გამეც პასუხი. თუ უწყოდი, ოდეს თავს დაესხი, ჩემი ოპრიჩნიკები რომ იყვნენ ისინი?

— არ ვუწყოდი, ხელმწიფეო.

— ხოლო ჩამოხრჩობა რომ დაუპირე, მაშინ თუ გითხრეს, ვინც იყვნენ?

— მითხრეს, ხელმწიფეო.

— რატომ გადაიფიქრე მათი ჩამოხრჩობა?

— იმიტომ, ხელმწიფეო, რომ ჯერ შენს მსაჯულებს დაეკითხათ ისინი.

— მაშ რატომ თავიდანვე არ გადაეცი ჩემს მსაჯულებს?

სერებრიანიმ ვერაფერი მოისაზრა ამის პასუხად.

მეფემ გამომცდელი მზერა მიაყინა თავადს და ცდილობდა შიგ სულის სიღრმეში ჩაეხედა მისთვის.

— იმიტომ კი არ ვადაიყიქრე... — უთხრა მან, — იმიტომ კი არ ვადაიყიქრე მათი ჩამოხრჩობა, რომ ჩემი მსაჯულებისთვის გადავეცა, არამედ იმიტომ, რომ გითხრეს, მეფის კაცები ვართო. შენ კი... — განაგრძობდა მეფე მომეტებულის მრისხანებით, — შენ კი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე იცოდი ეს ამბავი, მაინც ბრძანე მათი გამათრახება?

— ხელმწიფეო...

— კმარა! — დაიქუხა იოანემ. — ღაკითხვას მოვრჩი. ძმანო, — ვანაგრძო მან თავის რჩეულთა მისამართით, — აბა მითხარით, რისი ღირსია ბოიარი ნიკიტა? მითხარით, როგორც ფიქრობთ. მინდა ვიცოდე თვითეული ოქვენენანის აზრი!

იოანე სარწმუნოდ ამბობდა ამას, მაგრამ მისი თვალები ლაპარაკობდნენ, რომ გულში უკვე გადაეწყვიტა თავადის ბედი და შავი დღე ელოდა იმას, ვისი განაჩენიც მის საკუთარზე ლმობიერი აღმოჩნდებოდა.

— თქვით ბარემ, კაცნო, — გაიმეორა მან და ხმას აუწია, — რისი ღირსია ნიკიტა?

— სიკვდილის! — მიუგო ბატონიშვილმა.

— სიკვდილის! — გაიმეორეს სკურატოვმა, გრიაზნოიმ, მამა ლევკიმ და ორივე ბასმანოვმა.

— ჰოდა, ღე მიეზღოს მაგას სიკვდილი! — გულგრილად თქვა იოანემ. — რამეთუ წერილ არს: ყოველნი, რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ. კაცნო, გაიყვანეთ ბოიარი!

სერებრიანი მდუმარედ ეთაყვანა იოანეს. რამდენიმე კაცი ნაშინვეე ეცა მას და დარბაზიდან გაიყვანეს.

ბევრი კვალდაკვალ მიჰყვა მათ დასჯის საყურებლად. სხვები იქაეე დარჩნენ. დარბაზში ყრუ ბუბუნი გაისმოდა. მეფე ოპრიჩნიკებს მიუბრუნდა. მას სახეიმო იერი ედო.

— ძმანო! — წარმოთქვა მან, — ხომ სწორი იყო ჩემი სამართალი?

— სწორი იყო, სწორი! — წამოიძახეს მასთან ასლოს მყოფმა ოპრიჩნიკებმა.

— სწორი იყო, სწორი! — გაიმეორეს შორს მყოფთაც.

— მრუდე იყო! — წარმოთქვა ერთმა ხმამ.

ოპრიჩნიკები შეშფოთდნენ.

— ვინ ამბობს ამას? ვის დასცდა ასეთი სიტყვა? ვინ იძახის მრუდეა ხელმწიფის სამართალიო? — გაისმა ყოველი მხრიდან.

ყველას გაოცება დაეხატა სახეზე, ყველას აღშფოთებით აენთო თვალები. მხოლოდ ერთი მათგანი, ყველაზე მძვინვარე, არ ამჟღაენებდა მრისხანებას. მალიუტას მკვდრისფერი ედო.

— ვინ ამბობს, რომ მრუდეა ჩემი სამართალი? — იკითხა იოანემ და შეეცადა ყოველად მშვიდი იერი დაეღო სახეზე. — ღაე, ვინც ესა თქვა, აი აქ წარმოსდგეს, ჩემს თვალთ წინაშე!

— ხელმწიფეო, — დიდი მღელვარებით წარმოთქვა მალიუტამ, — შენს ერთგულ მსახურთა შორის ახლა ბევრია მთვრალი, ბევრია ისე გალეშილი, არცკი ახსოვს, რას ბოლავს ეკუაარეული! ნუ ბრძანებ იმ თავქარიანი ლოთის მოძებნას, ხელმწიფეო! გაბოფხიზლება, და თვითონვე არ დაიჯერებს, რაც სიმთვრალეში წამოროშა!

მეფემ უნდობლად შეხედა მალიუტას.

— მამაო პარაკლისიარქო! — დამცინავად უთხრა მან, — როდის აქეთაა, გულლმობიერება რომ დაგჩემებია?

— ხელმწიფეო! — განაგრძობდა მალიუტა, — ნუ ბრძანებ...

მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

მალიუტას ვაჟიშვილი წინ წარმოსდგა და კრძალვით ადგა იოანეს წინაშე. მაქსიმ სკურატოვი სწორედ ის ოპრიჩნიკი იყო, რომელმაც დათვისგან იხსნა სერებრიანი.

— ბაბ შენა ხარ ეს, მაქსიმუშკა, ჩემს სამართალს რომ აბიაბრუებ? — თქვა იოანემ, თან უკეთური ღიმილით აკვირდებოდა ხან მამას, ხან შვილს. — აბა თქვი ბარემ, მაქსიმუშკა, რით ვერ აიმა შენი გული ჩემმა სამართალმა?

— იმით, ხელმწიფეო, რომ შენ სერებრიანის არ მოუსმინე, არ დაანებე შენს წინაშე ვანწმენდილიყო და ისიც არ ჰკითხე, რად უპირებდა ხომიაკს წამოსრჩობას?

— ნუ უსმენ მაგას, ხელმწიფეო, — ეველრებოდა მალიუტა, — მთვრალია ეგა, შენცა ხედავ, მთვრალია! ნუ უსმენ მაგას! გასწი აქედან, შე ლოთო, შენა, ამას უყურე, რანაირად ვალეშილა! გასწი, სანამ თავი ცხრებაზე გაბია!

— მაქსიმი არც ღვინოს სვამდა და არც თაფლუშს, — პოროტად შენიშნა ბატონიშვილმა. — მე სულ ბაგისკენ მეჭირა თვალი, მაგას ულვაშიც არ შეხვალებია!

მალიუტამ ისეთი თვალებით გახედა ბატონიშვილს, რომ ყოველ ალამიანს ტანში გაუცრიდა. მაგრამ ბატონიშვილს ეეონა, მე ვერ მოვწედება მალიუტას შურისგებაო. ივანე ბრისსანის მეორე ვაჟს, ტახტის მემკვიდრეს, ნშობელი მამის ციხეში ყველა მანკიერება აქონდა სისხლში გაშეჯდარი, ბოროტების მაგალითები კი სულ უფრო და უფრო ახშობდნენ მის სულში, თუ რამ კეთილი იპოვებოდა. იოან იოანოვიჩმა უკვე ალარ იცოდა სიბრალული.

— დიახ, — სიცილით დააყოლა მან, — მაქსიმი არც საჭმელს გაჰკარებია, არც სასმელს. მაგას არ ეპრიანება ჩვენი ცხოვრება, ეთაკილება მამისჩემის ოპრიჩნინა!

ამ საუბრის განმავლობაში ბორის გოდუნოვს თვალი არ მოუწყვეტია იოანესთვის, თითქოს ხელმწიფის სახის გამომეტყველებას სწავლობდა, და ფრთხილად, ყველასთვის შეუმჩნეველად გავიდა სასადილო დარბაზიდან.

მალიუტა მუხლებში ჩაუვარდა ხელმწიფეს.

— მეფევ-ბატონო, დიდო ხელმწიფეო! — ამოიძახა მან და მეფის სამოსის კალთებს წაეპოტინა: — ამ დილით მე ბრიყვმა და სულელმა, გაუთლელმა ტეტიამ, გთხოვე ჩემთვის ბოიარობა გებოძებია. ნეტავ სად მქონდა მე ოხერს ჭკუა? ან სად დავკარგე აზრი კაცობრივი? მე რა ღირსი ვარ, სულმყრალი მონა, ბოიარის ქუდის ტარების? დაივიწყე, ხელმწიფეო, უგუნური ჩემი სიტყვები, ბრძანე ეს ოქროქსოვილი ხიფთანი გამხადონ და ჯვალოს ჭინჭები გადამაცვან, ოღონდ მიუტევე ჩემს მაქსიმს ეს შეცოდება! ბალღია ჯერ, ხელმწიფეო, მთლად უჭკუო, არც გაეგება, რას ლაპარაკობს! და თუ ვინმე მაინც დასასჯელია, ისევ მე თვით ვარ ამისი ღირსი, ხელმწიფეო, მე უტვინო, ასე უგონოდ გამოთრობა რომ დავანებე საკუთარ შვილს! მომეცი ნება, ხელმწიფეო, თავსაკვეთ კუნძზე წავდო სულელი თავი! ოღონდ მიბრძანე, და უმალვე საკუთარი ხელით მოვისპობ ჩემს არსებობას!

საცოდავი დასანახი იყო, როგორ მოეღრიცა მალიუტას უგვანი სახე, როგორ დააჩნდა სასოწარკვეთა ტლანქ ნაკვთებზე, არასდროს რომ არ გამოუსახავთ არაფერი, სიმხეცის გარდა.

მეფეს გაეცინა.

— დასასჯელი არაფერი გჭირთ არც შენა და არც შენს ვაჟიშვილს! — თქვა მან. — მაქსიმი მართალია!

— რას ამბობ, ხელმწიფეო! — შეჰყვირა მალიუტამ. — მაქსიმი მართალია? — და ის იყო სასიხარულო გაოცება ყეყეჩური ღიმილით უნდა გამოსახვოდა სახეზე, რომ წამსვე იცვალა ნირი, რადგან მოეჩვენა, თითქოს მეფე მასხრად იგდებდა.

მალიუტას სახის ეს მალ-მალი ნირშეშლა ისე უცნაური დასანახი იყო, რომ მის შემხედვარე მეფეს კვლავ სიცილი წასკდა.

— მაქსიმი მართალია, — გაიმეორა მან ბოლოს და კვლავ ადრინდელი ღირსეული იერი მიიღო, — მართლაც ავჩქარდი. არასდიდებით არ იქნება, რომ სერებრიანიმ ჩემდა მომართ აუგი საქმე მოიმოქმედოს თვითნებურად. ჯერ კიდევ იმ ხანებიდან მახსოვს ნიკიტა, როცა ლიტ-

ვასთან ომის ხსენებაც არ იყო. მე ყოველივის მიყვარდა თავადი. ის ჩემი ერთგული მსახური იყო. სულ თქვენს გამო მჭირს ყოველივე, შეჩვენებულნო, — განაგრძობდა მეფე ახლა უკვე გრიაზნოისა და ბასპანოვების მისამართით, — სულ თქვენ მაცდუნებთ სისხლის საღვრელად! არ კმარა თქვენთვის, რაც მტარვალობა ჩამადენინეთ? ახლა კიდევ ჩემი ერთგული ბოიარიც გინდათ იმსხვერპლოთ? რაღას უდგახართ, თქვე მხეცებო! გასწით საჩქაროდ, შეაჩერეთ სიკვდილით დასჯა! თუმცა არა, ნულარ წახვალთ! გვიანდა არის! გუჯი მითხრობს, უკვე უთავოდ გდია მისი სხეული! ჰოდა, იცოდეთ, სათითაოდ გაზღვევინებთ მისი სისხლის სამაგიეროს!

— არ არის ეგიან, ხელმწიფეო, — თქვა გოდუნოვმა, რომელიც ის იყო შემობრუნდა დარბაზში. — მე ვუბრძანე შეაყოვნონ სერებრიანის სიკვდილით დასჯა. მოწყალების ნიშუში არ არსებობს, ხელმწიფეო; მე კი ეუწყი, რომ მოწყალე ხარ, რომ ზოგჯერ სასჯელს კი გაღაუწყვეტ ადამიანს, მაგრამ კიდეეაც მიუტევებ დანაშაულს. სერებრიანის კი უკვე თავსაკვეთ კუნძზე უდევს თავი, სოლო ჯალათი, ხიფთანგახდილი და მკლაველაკარწახებული, შენს მეფურ განკარგულებას ელოდება!

იოანეს სახე გაუნათდა.

— ბორის, — თქვა მან, — მოშიახლოვდი, ჩემო ერთგულო მსახურო. შენ ერთი იხედები ჩემს გულში. შენ ერთმა უწყი, თავშესაქცევად რომ არ ვლვრი სისხლს, არამედ ღალატის ამოსაძირკვავად. მხოლოდ შენ არ ბოელი კაციჯამიად. მომიახლოვდი, ჩემო ბორის, მინდა გადაგეხვიო.

გოდუნოვი დაისარა. მეფემ თავზე აკოცა მას.

— შენც მომეახლე, მაქსიმ, ხელზე მემთხვიე. პურ-მარილს ნუ შეუგინებ მასპინძელს, სიმართლე კი პირში უძრახეო! დღეის იქითაც ეგ ზნე გეჭირდეს ნიადაგ. სიასამური მიუბოძეთ ამას საქურქედ!

მაქსიმი უდაბლესად ეთაყვანა მეფეს და ხელზე ემთხვია.

— ეკამაგირი რა გაქვს დაწესებული? — ჰკითხა იოანემ.

— რიგით კაცთა თანაბრად, ჩვეულებრივი, ხელმწიფეო.

— მე მეუფროსე კაცთა სწორად განმიწესებიხარ. მეუფროსეთა ჯეროვნად მოგეწონება საზრდელი და სხვა ყოველი სანიადაგო სახმარ-საყოფი. ოჰო, როგორც ვხედავ, მგონი რაღაც სათქმელი გიტრიალებს ენის წვერზე; ნუ გერიდება, გამიმხილე, მთხოვე რაცა გსურს!

— ხელმწიფეო! მე არ დამიმსახურებია შენი დიდი წყალობა, არა ვარ მდიდრული სამოსის ღირსი, ჩემზე უფროსნიც არიან აქ. მხოლოდ ერთსა გთხოვ, ხელმწიფეო, ლიტვასთან საომრად გამიშვი, ლიეონიაში

გამიშვი. ან არადა, ხელმწიფეო, რიაზანში გამიშვი, თათრების საჟ-ლეტად.

რაღაც ეჭვისმაგვარი გამოისახა იოანეს თვალებში.

— რა ამბავია, მამაცო, ასე რომ მოგსურვებია საომრად წასვლა? სლობოდაში ცხოვრება ხომ არ მოგბეზრდა?

— მომბეზრდა, ხელმწიფეო.

— მაინც რატომ? — ჰკითხა იოანემ და დაჟინებით ჩააცქერდა მაქ-სიმს.

მალიუტამ პასუხის თქმა არ აცალა შვილს.

— ხელმწიფეო, — უთხრა მან, — ბიჭს უნდა შენს მოწყალებას ემსა-ხუროს. ნატრობს იმისი ღირსი შეიქნეს, ოქროსძეწკვიანი გრივნა უწყა-ლობოს შენმა მეფურმა ხელმა. სისხლი უდუღს ყმაწვილს, ხელმწიფეო. მიტომაცა გთხოვს თათრებთან თუ გერმანელებთან საომრად წას-ვლას.

— მაგიტომ კი არ სთხოვს, — შეეცილა ბატონიშვილი, — არამედ იმიტომ, რომ თავისი გაიტანოს: არ მსურს ოპრიჩნიკობა და არც ვიქ-ნებიო! დაე მეფის ნება კი არა, ჩემი ასრულდესო!

— აი თურმე რა ყოფილა! — დამცინავად თქვა იოანემ: — მაშ შენ, მაქსიმუშკა, ჩემი მორევნა გსურვებია? დახეთ ამ გოლიათს! აბა სად შე-მიძლია, მე საწყალობელს, შენთან ცილობა! რა გაეწყობა, რახან ოპ-რიჩნიკობა არ გსურს, მაშინ ბარემ შფოთისთავებში ჩავაწერინებ შენს თავს!

— ეჰ, ხელმწიფეო! — აღარ დააყოვნა მალიუტამ, — მაქსიმი შენი მოწყალების ერთგული მსახური იქნება ყველგან, სადაც კი მოინებებ მის ჩაწერას. შენ კი წადი ახლა შინ, მაქსიმ, უკვე გვიანია; დედაშენს უთხარი, ნუღარ დამელოდება; ჩვენ აქ საქმე გვაქვს საპყრობილეში: კო-ლიჩევები უნდა ვაწამოთ. წადი, მაქსიმ, წადი!

მაქსიმი დარბაზიდან გავიდა. მეფემ ბრძანა სერებრიანი მოეხმოთ.

თავადი, რომლისთვისაც ხელები გაეკრათ, ხიფთანი გაეძროთ და ხა-ლათის საყელო გადაეღეღათ, ოპრიჩნიკებმა შემოიყვანეს. თავადს მთა-ვარი ჯალათი ტერეშკაც შემოჰყვა მკლავდაკარწახებული, ხელში ელ-ვარე ნაჯახით. ტერეშკა იმიტომ შემოვიდა, რომ არ იცოდა, სერებრია-ნის შეწყალება ენება მეფეს, თუ მხოლოდ სასჯელის შეცვლა.

— აქ წარმოსდექ, თავადო! — თქვა იოანემ. — ჩემი მამაცები კინაღამ აჩქარდნენ. ნუ გაურისხდები ამისთვის. რას იზამ, ზნე აქვთ ასეთი. არც იკითხავენ რა დღეა, ისე დასცხებენ ზარს! იმას კი ვეღარ იაზრებენ, კა-ცის დასჯა რომ ყოველთვის მოესწრება, ხოლო თუ თავს წააცლი, ვე-

ღარ მოაბამ. მადლობა ბორისს. ეგ რომ არა, გაგიყენებდნენ საიქიოს გზას; და აღარც დარჩებოდა ვინმე, ხომიაკის ამბავი რომ გვეკითხა. აბა, ერთი მიამბე, რისთვის დაესხი თავს?

— იმისთვის, ხელმწიფეო, რომ თვითონ ეგ დაესხა უდანაშაულო ხალხს შუაგულ სოფელში. არ ვიცოდი მაშინ, თუ ეგ შენი მსახური იყო. არც არაფერი მსმენოდა მანამდე ოპრიჩნინაზე. ლიტვიდან შემოქცეული, მოსკოვისკენ ვეშურებოდი, რომ ხომიაკი და მისი ამხანაგები თარეშებივით დაეცნენ სოფელს და ხალხს დაერივნენ!

— ვთქვათ გცოდნოდა, რომ ჩემი მსახურები იყვნენ, მაშინ რაღას იზამდი? მაშინაც იხმარდი იარაღს მათზე?

მეფემ თვალი თვალში გაუყარა სერებრიანის. თავადი წუთით ჩაფიქრდა.

— მაშინაც ვიხმარდი, ხელმწიფეო, — გულმართლად მიუგო მან, — ვერ დავიჯერებდი, რომ შენ უბრძანე კაცისკვლა და ავაზაკობა!

იოანემ პირქუში მზერა დააყინა ნიკიტა რომანოვიჩს და კარგა ხანს იყო მდუმარედ. ბოლოს, როგორც იქნა, დაარღვია დუმილი.

— ჭეშმარიტია შენი პასუხი, ნიკიტა! — უთხრა მან და მოწონებით დაუქნია თავი. — იმისთვის კი არ განვაწესე რუსეთში ოპრიჩნინა, რომ ჩემნი მსახურნი უდანაშაულო ხალხს აწიოკებდნენ. მე ისინი დავადგინე ვითარცა ძაღლნი ერთგულნი, მძვინვარ მგელთაგან დაიცვან ცხოვარნი ჩემნი, რამეთუ დღესა მას საშინელსა განკითხვისასა შეეიძლო თქმად სიტყვისაებრ წინასწარმეტყველისა: აჰა ესერა მე და ყრმანი ჩემნი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან! ჭეშმარიტია შენი პასუხი. დაე მთელმა ქვეყანამ გაიგონოს ჩემი ნათქვამი: შენ და ბორისმა, მხოლოდ თქვენ ორმა შემიცნეთ მე. სხვები თქვენებრ არ განბრჭობენ: სისხლისმსმელს მეძახიან, ის კი აღარ უწყიან, ჩემგან დაღვრილი სისხლის გამო ცხარე ცრემლებით რომ ვიმდურღრები! სისხლს ყველა ხედავს, წითელია, ყველას თვალსა სჭრის; ამ ჩემ მტირალ გულს კი ვერავინ ამჩნევს. უფერული ცრემლი კვალდაუჩნევლად მეწვეთება შიგ სულში, მაგრამ მხურვალ ფისივით დღენიადაგ მიდაგავს და მიღრღნის ატკივებულ გულს! — ამ სიტყვებზე მეფემ ზე აღაპყრო ღრმა წუხილის გამომეტყველი მზერა. — ვითარცა რაქელ იმ ძველ დროში, — განაგრძობდა ის და თვალები თითქმის ზედ შუბლზე დაასხდა, — ვითარცა რაქელ სტიროდა შეილთა თვისთა, ეგრევე დავსტირი მეც, მრავალცოდვილი, ჩემს მეშფოთართ და ბოროტისმოქმედთ. ჭეშმარიტია შენი პასუხი, ნიკიტა. მიპატიებია შენთვის დანაშაული. შეუხსენით თავადს ხელები! გასწი აქედან, ტერეშკა, აღარ გეჭირდები... თუმცა არა, ცოტაც დაიცა!

იოანე ხომიაკს მიუბრუნდა.

— მიპასუხე, — მკაცრად უთხრა მან, — რა ამბავი დაწიეთ მედვედევკას თქვენი მძვინვარე თავქეიფობით?

ხომიაკმა ცერად გაჰხედა ჯალათს, მერე სერებრიანის, მერე კეფა მოიქექა.

— გაეინადირეთ ცოტათი ვლებუშებზე! — ნახევრად ეშმაკურად, ნახევრად თავხედურად უპასუხა მან, — ცოდვა გამხელილი სჯობს; ამაში ბრალიანი ვართ, ხელმწიფეო, რომ შენგან შერისხულებზე გავინადირეთ. ის სოფელი ხომ, ხელმწიფეო, ბოიარ მოროზოვისა არის!

იოანეს ერთბაშად დაუცხრა მრისხანე იერი. მან ჩაიცინა.

— ჯანდაბას შენი თავი, — წარმოთქვა მეფემ, — კმაყოფილი სარ თავადის ტაჯაგანებით? როგორ ფიქრობ, ხომ არ იკმარებს შენთვის ეგა? დაე ასე იყოს, შენც გაპატიებ. გასწი, ტერეშკა, ჩანს, დღე გამოერია ასეთი და რას ისამ კაცი!

სერებრიანისადმი იოანეს შემწყალე მოპყრობამ კმაყოფილებით აავსო ზემშჩინის ბოიარები. ეს ჩურჩული მეფის ფხიზელ ყურს ჩასწვდა, ხოლო მისმა ეჭვიანმა გონებამ თავისებურად განმარტა. როცა ხომიაკი და მთავარი ჯალათი დარბაზიდან გავიდნენ, იოანემ ზემშჩინის ბოიარებს მიაპყრო გამსჭვალავი მზერა.

— თქვენ! — მკაცრად წარმოთქვა მან, — არ იფიქროთ, რაკი ახლა ეს ჩემი სამსჯავრო იხილეთ, თითქოს წყალობის თვალით დაგიწყეთ ცქერა! — ამავე დროს მის შფოთიან სულში ის აზრიც გაჩნდა, რომ სერებრიანიც შემწყნარებლობისკენ მიდრეკად ჩათვლიდა მის ლმობიერებას. მაშინვე ინანა, რად მივუტევე თავადსო, და საკუთარი შეცდომის გამოსწორება მოიწადინა. — მისმინე, — წარმოთქვა მან და თავადს დააცქერდა, — დღეს მართლის თქმისთვის შეგიწყალე და ჩემს სიტყვას აღარ გადავალ. ოღონდ იცოდე, თუ რამე ახალი დანაშაული მოგეკითხა, ამ ძველსაც იმასთან გაზღვევინებ. შენ კი მაშინ, ჩემ წინაშე სიმტყუვნით დამძიმებულმა, არც გაიფიქრო ზოგ-ზოგიეთ ლიტვაში ან ხანთან გაქცევა, არამედ ახლავე შემომფიცე, რომ სადაც უნდა იმყოფებოდე, მორჩილად დაელოდები იმ სასჯელს, რის განჩინებასაც მე მოვინებებ.

— ხელმწიფეო, — მიუგო სერებრიანიმ, — ჩემი სიცოცხლე შენს ხელთაა. შენგან მალვა მე არ მჩვევია. პირობას გაძლევ, თუ რამ შეგცოდო, შენს სამსჯავროს დაველოდო და არსად გავექცე შენს მეფურ ნებას!

— მაშ ჯვარზე მემთხვიე და ემაგ შენი ფიცის სიმტკიცე დამიდასტურე! — ზვიადად უთხრა იოანემ, მკერდზე დაკიდებულ შემკულ ჯვარს

შეავლო ხელი და სერებრიანის გაუწოდა, თან ცერად გაჰყურებდა ზემშჩინის ბოიარებს.

ირგვლივ ჩამომდგარ მდუმარებაში მკაფიოდ ისმოდა ოქროს ძეწკვის წკარუნი, როცა იოანემ ხელი უშვა მაცხოვრის გამოსახულებას, რომელსაც პირჯვრისწერით ემთხვია სერებრიანი.

— ახლა წადი! — უთხრა იოანემ, — და ყოვლადმოწყალე სამებასა და ყველა წმინდანს ევედრე, რომ ახალი, თუნდაც სულ მცირე შეცოდებისგან დაგიფარონ! — თქვენ კი, — დაურთო მან და ზემშჩინის ბოიარებს გადახედა, — ვინაც ეს ჩვენი პირობა გაიგონეთ, ნულარ ელით, კელავაც შეეიწყნარო ნიკიტა, და არც ის იფიქროთ, მასზე ვინაღვლო, თუ ოდესმე ჩემი მრისხანება დაიმსახურა!

რაკი ამრიგად გაჰხვია რაღაც ზნეობრივი უფლებისდაგვარ სამოსელში სერებრიანიზე მომავალი თვითნებობის შესაძლებლობა, იოანეს კმაყოფილება ღაეტყო სახეზე.

— წადით ყველანი, — თქვა მან, — თვითეულმა თქვენ-თქვენ საქმეს მიჰხედეთ! ზემშჩინის ხელისუფლებმა კვლავინდებურად განაგეთ თქვენ-თქვენი საგანგიონი; ოპრიჩნიკებს კი, ჩემს რჩეულ მსახურთ და თანამდგომელთ, — ჯვარზე თქვენი ფიცილი გახსოვდეთ და არ შეგაცბუნოთ იმ ამბავმა, ღღეს ნიკიტა რომ შეეიწყალე: რამეთუ გულმან ჩემმან არ უწყის არც მახლობელთა, არც შორეველთა მიმართ მიკერძოება!

ყველანი ნელ-ნელა გაიკრიფნენ დარბაზიდან. წაყიალდნენ თავ-თავიანთი სახლებისკენ და თან მიჰქონდათ ვის შიში, ვის ნაღველი, ვის სიბოროტე, ვის ასეთი თუ ისეთი იმედი, ვის კიდევ, უბრალოდ, გამომთვრალ-გამობრუჟული თავი. სლობოდას წყვდიადი გადაეფარა, ტყის გადალმიდან მთვარე ამოდიოდა. ამაზრზენი ჩანდა ბნელი სასახლე თავისი ეუმბათებით, კოშკებითა და ქონგურებით. შორიდან ის გორგალივით შეკრულ და წამოსაჯრელად გამზადებულ ურჩხულსა ჰგავდა. ერთი გამოღებული ფანჯარა ურჩხულის თვალივით ანათებდა. ეს მეფის განსასვენებელი იყო. იქ გულმოდგინედ ლოცულობდა იოანე.

ლოცულობდა წმინდა რუსეთის სიმშვიდისთვის, ლოცულობდა, რომ ღვთის შეწევნით დაეთრგუნა ურჩობა და ღალატი და მისი კურთხევით გაესრულებინა საქმე დიღაღ ეასარჯი: დაემცრო ძლიერნი სუსტთა ოდენად, მოეპო რუსეთში განდიდებულთა აღმატება მდაბალთა ზედა, ერთმანეთის თანასწორად ექცია ყველა ღა ეშოლოდ თვითონ მდგარიყო ერთადერთი ყოველთა ზედა, როგორც მუხა ტრიალს მინდორზედ!

ლოცულობს მეფე და მიწას ახლის თავს ღვთისადმი მავედრებელი. შემოსცქერიან ვარსკვლავები წყრთილოვან ფანჯრიდან, შემოსცქერიან

მოციმციმენი და დანისლულნი, — დანისლულნი, თითქო ფიქრობენ: ეჰა, შენ მეფევ! უკუღმართ ფეხზე წამოიწყე ეგ შენი საქმე, წამოიწყე ჩვენს უკითხავად: ვერვინ იხილავს, ორი თავთავი ტოლად იზარდოს; ვერვინ ნახავს, მაღალი მთები ბორცვებს უსწორდნენ; ვერავის ძალუძს ამ ქვეყნიდან ბოიარობა რომ გადააგოს!

X თავი

მამა და შვილი

უკვე ღამე იყო, როცა მალიუტას როგორც იქნა ელირსა ციხიდან გამოსვლა კოლიჩევების, პატივაყრილი მიტროპოლიტის ნათესავებისა და მეგობრების, წამების შემდეგ. სქელი ღრუბლები შავი მთებივით წამოადგნენ სლობოდას და საავდროდ იქუფრებოდნენ. მალიუტას ოჯახში ყველას ეძინა. მარტო მაქსიმი ფხიზლობდა. იგი მამას გამოეგება.

— მამა, — უთხრა მაქსიმმა, — შენ გელოდებოდი; მინდა მოგელაპარაკო.

— რაზე? — ჰკითხა მალიუტამ და უნებურად აარიდა მზერა. გრიგორი სკურატოვმა არ იცოდა, რა იყო მტრის წინაშე თრთოლვა, მაგრამ შვილის პირისპირ მუდამ უხერხულად გრძნობდა ხოლმე თავს.

— ხვალ სახლიდან მივდივარ, — განაგრძობდა მაქსიმი, — ნახვამდის, მამა!

— საით? — ჰკითხა მალიუტამ და ახლა კი ჯიქურ მიაპყრო ჩამქრალი მზერა თავის ვაჟიშვილს.

— საითაც გზა წამიყვანს, მამაჩემო; ქვეყანა ალექსანდრეს სლობოდაზე არ შემდგარა, სხვაც ბევრია ამ ცის ქვეშეთს ადგილ-სამყოფი!

— ერიჰა, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? არა, ნამდვილად რაღაც ხუშტურმა მოგიარა! აბა რა ჩაიდინე დღეს სუფრაზე? ენა როგორ მოგიბრუნდა მეფის საურჩოდ? არ იცი განა, ვინ არის ის და ვინ ხარ შენ?

— ვიცი, მამაჩემო; ისიც ვიცი, მადლობა რომ მითხრა იმ ურჩობისთვის. მაგრამ მაინც არ შემიძლია დარჩენა.

— გაჩუმდი, შე ახირებულო! არა, მაინც რამ გაგაჯიუტა ასე? რა შეგიჩნდა დღეს? რაღა ახლა აიჩემე წასვლა, როცა მეფემ წყალობით მოგხედა, მეუფროსე კაცებთან გაგატოლა? რაღა მაინცდამაინც ახლა?

— კარგა ხანია მიმძიმს თქვენთან ყოფნა, მამაჩემო; თვითონაც იცი ეს, მაგრამ მაინც არ ვენდობოდი საკუთარ თავს; პატარაობიდანვე მხო-

ლოდ იმას ჩამჩიჩინებდა ყველა, მეფის ნება — ღვთის ნებააო, არ არსებობს იმაზე მძიმე ცოდვა, ვიდრე მეფის უნებურად ფიქრიო. მამა ლევკიცა და ყველა აქაური მღვდელიც დიდ სულისწარმწყმედ ცოდვად მითელიდნენ, აზრით თქვენთან რომ არ ვიყავი. ჩემს უნებურად, ზოგჯერ ვფიქრობდი კიდეც, ეგებ მე ერთი ვარ მტყუანი და თქვენ ყველანი მართალი-მეთქი. ჩემს უნებურად ვაჭიანურებდი აქედან წასვლას. დღეს კი... — განაგრძობდა მაქსიმი და ვარდისფრად წამოენთო სახე, — დღეს კი მივხვდი, რომ მართალი ვარ! როცა თავად სერებრიანის მოვუსმინე, როცა გავიგე, როგორ იფრინა შენი შემომვლელი რაზმი ავაზაკობისთვის და, მართლის მქნელი, მეფეს კი არ გაერიდა, არამედ წამებულივით ეახლა სასიკვდილოდ თავგადადებული, — მაშინ ჩემი გული მას მიენდო, როგორც ჯერ არავის მინდობია, და საბოლოოდ ამომივიდა გონებიდან მერყეობა, დღესავით ნათელი გახდა ჩემთვის, რომ თქვენთან არ არის სიმართლე!

— აი თურმე ვინ აგიბნია თავგზა! — შეჰყვირა მალიუტამ, რომელიც უამისოდაც გაბოროტებული იყო სერებრიანიზე. — აი თურმე ვინ აგიბნია თავგზა! დამაცადოს, ოღონდ ხელში ჩამივარდეს და მე ვიცი, რა წვალებითაც ამოეხდი სულს იმ ძაღლს!

— ღმერთი დაიცავს თავადს შენი ხელისგან! — თქვა მაქსიმმა და პირჯვარი გადაისახა. — არ დაგანებებს უფალი, ყოველივე კეთილი გადააშენო დედა რუსეთში! დიახ, — უკვე აღტყინებით განაგრძობდა მალიუტას ვაჟიშვილი, — როგორც კი დავინახე თავადი ნიკიტა, მაშინვე მივხვდი, რა კარგი იქნებოდა მის გვერდით ყოფნა, და გულით მომინდა მასთან სამსახური, მაგრამ მისვლა შემრცხვა: თვალებში შეხედვასაც ვერ გავუბედავ, სანამ ამ სამოსს ვატარებ!

მალიუტა შვილს უსმენდა და მის არსებაში ორი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს. ერთი გული ეუბნებოდა, დაუყვირე მაქსიმს, მაგრად დაუცაცხანე და მუქარით დაიმორჩილეო, მაგრამ შვილისადმი უნებლიე პატივისცემა უოკებდა სიბრაზეს. გუმანით ხვდებოდა, რომ ახლა მუქარა არ გასჭრიდა, და სულმდაბლურად ამჯობინა სხვა რამ სახსარი ეპოვა შვილის დასაშოშმინებლად.

— მაქსიმ, შვილო! — უთხრა და, რამდენადაც თავისი მხეცური სახე ამის საშუალებას აძლევდა, ალერსით გაუტკბა, — აბა რა დროს წასვლაზე ფიქრია ახლა, შვილო! მეფეს მოეწონა დღეს შენი სიტყვა. მართალია, გვარიანად შემაშინე, მაგრამ, ეტყობა, დაგვიფარა ყველა წმიდამ, გული მოულბო ხელმწიფე-ბატონს. დასჯის მაგიერ, ქება გიბრძანა, ჯამაგირიც მოგიმატა, სიასამურის ქურქი გიწყალობა! ნახე, თუ არ აღზევ-

დე აბლა! მანამდე კი, აბა მითხარი ერთი, რით გაგჭირვებია აქ ცხოვრება?

მაქსიმი მუხლებში ჩაუვარდა მალიუტას.

— მიჭირს, მამაჩემო, მიჭირს აქ ცხოვრება! აღარ შემიძლია შინ დარჩენა! ველარ ვუძლებ დღენიადაგ ღრიალისა და ტირილის გაგონებას. ვერ ამიტანია, მამაჩემი რომ...

მაქსიმი შეჩერდა.

— ჰო, რაო? — თქვა მალიუტამ.

— მამაჩემი რომ... ჯალათია! — წარმოთქვა მაქსიმმა და თვალები დახარა, თითქოს იმით დამფრთხალმა, ასეთი სიტყვა რომ ჰკადრა საკუთარ მამას.

მაგრამ მალიუტა არ შეუკრთია ამ სიტყვას.

— ჯალათიც არის და ჯალათიც! — წარმოთქვა მან და თვალი აარიდა შვილს. — მავანი პატარა კაცია, მავანი მეუფროსე; მავანი უბრალო ქურდებს სჯის, მავანი ბოიარებს, მეფის ტახტს რომ ძირს უსრავენ და შერყევას უპირებენ მთელ სახელმწიფოს. მე ავაზაკებთან საქმე არა მაქვს; ჩემი ნაჯახი მხოლოდ მოღალატე ბოიარების თავებს სხეპავს!

— გაჩუმდი, მამა! — უთხრა მაქსიმმა და წამოდგა, — გულს ნუ მიშფოთებ მაგნაირი ლაპარაკით! აბა იმათგან, ვინც შენ დაღუპე, რომელი ერთი ფიქრობდა ხელმწიფის ძვირს? რომელი ამღვრევდა სახელმწიფოს? დანაშაულის კი არა, შენი სიავკაცის გამო სხეპავ ბოიართა თავებს! შენ რომ არა, მეფე უფრო შემწყნარე იქნებოდა. მაგრამ თქვენ ძალით ჩხრეკთ ღალატს, წამებით აიძულებთ გატანჯულ ხალხს მაბეზღარობას, თქვენ თვითონ, თვითონა ხართ მთელი ამ სისხლის თხევის წამომწყები! არა, ღმერთს ნუ არისხებ, მამაჩემო, ცილს ნუ სწამებ ბოიარებს; გიჯობს ისა თქვა, რომ გინდა განურჩევლად ამოაგდო და გადაშენო მათი სახსენებელი!

— მერე შენ რა გულს იწვავ მათთვის? — ბოროტი ღიმილით უთხრა მალიუტამ. — იქნებ ის გახარებს, ასე თვალტანად, ასე კოხტა ბიჭს თავს რომ არ გიყადრებენ, მუდამ კუდში რომ გაქცევენ? აბა რომელი ერთი გაჯობებს იმათგან? რას გვეამაყებიან? ხომ არ ჰგონიათ, სხვა მიწისგან გამოეძერწოს ეგენი ღმერთს? თუ სიმდიდრე ეამაყებათ, ცოტა ჩვენც გვადროვნ, ბატონო! მეფე არ ივიწყებს თავის ერთგულ მსახურებს; როცა კოლიჩევებს სიკვდილით დავასჯევინებთ, მათი ავლა-დიდება სხვას კი არა, ისევ ჩვენ დაგვრჩება. ცოტა კი არ მიწვალია იმ შეჩვენებულებზე დილეგში; კაი კერპები არიან, ბაღლები, თქმა არ უნდა!

მალიუტას სიავით უდუღდა გული, მაგრამ მაინც იმედოვნებდა მაქ-

სიმს დავარწმუნებო, და ალერსიანი ღიმილით დალრიცა პირი. არ შეენოლა მალიუტას ეს ღიმილი და მის შემყურე მაქსიმს შიშით გააჟრჟოლა.

მაგრამ მალიუტას არ შეუმჩნევია ეს.

— შვილო, — უთხრა მან, — აბა ვისთვის ვაგროვებ ამ ფულებს? ვისთვის ვირჯები და ვწვალობ? ნუ მიმატოვებ, დარჩი ჩემთან. ჯერ მთლად ყმაწვილი ხარ, აღრეა შენი ლაშქრად წასვლა. ნუ მიმატოვებ! გაიხსენე, რომ მამა ვარ შენი! რომ დაგინახავ, სული გამინათდება. ისეთ გუნებაზე დავდგები, თითქოს მეფემ შემაქო ან ხელზე მამთხვიაო, ხოლო შენ რომ ვინმემ გაწყენინოს — ასე მგონია, ცოცხალს შევჭამდი!

მაქსიმი დუმდა. მალიუტა შეეცადა მეტი ალერსი გამოეხატა სახეზე.

— ნუთუ, შვილო, სულ არ გიყვარვარ? ნუთუ მაგ გულში სულ არაფერი შევიტოკდება ჩემთვის?

— არაფერი, მამაჩემო!

მალიუტა თავის სიბრაზეს მოერია.

— მაგრამ მეფე რას იტყვის, შენი წასვლის ამბავს რომ შეიტყობს? ის რომ იფიქროს, ჩემგან წავიდაო?

— სწორედ მისგან მივდივარ, აბა ვისგან, მამაჩემო. ლამის გავთავდე შიშით. ვიცი, ღმერთი მის სიყვარულს გვავალებს, მაგრამ რომ გამახსენდება, რასაც ეგ სჩადის, თავში სისხლი მივარდება. ძალიანაც მინდა მიყვარდეს, მაგრამ ძალა არ მყოფნის. აი, სლობოდიდან რომ წავალ და თვალი ველარ დაინახავს უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლს, მაშინ, ღვთის შეწევნით, კვლავ შევიყვარებ მეფეს. ხოლო თუ შეყვარებას ვერ შევძლებ, ისედაც ვემსახურები, ოღონდ ოპრიჩნიკად არა.

— კეთილი, მაგრამ დედაშენს რაღას უპირებ? — უთხრა მალიუტამ, რომელიც ახლა უკანასკნელ ღონეს მიმართავდა. — ვერ გადაიტანს დედაშენი ამ უბედურებას! მოკლავ შენი წასვლით საწყალ მოხუცს! შეხედე, ისედაც ძლივს უდგას სული საცოდავს!

— ყოვლადმოწყალე უფალი ღმერთი მოხედავს დედაჩემს, — ამოოხერით უპასუხა მაქსიმმა. — დედა მაპატიებს ჩემს საქციელს.

მალიუტა წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

როცა მაქსიმის წინ შედგა, უკვე ნატამალიც არ აჩნდა იმ ალერსიანი იერისა, საკუთარ თავზე ესოდენი ძალდატანებით რომ ეხატა სახეზე სულ ახლახან. მისი ტლანქი სახე ახლა მხოლოდ უტეხი ნებისყოფის გამოცხადება იყო.

— ყური მიგდე, ლაწირაკო, — უთხრა მან და მთლად შეეცვალა ხმაც

და ქცევაც, — აქამდე გთხოვდი დაგეჯერებინა მშობლისა, ახლა კი აი რას გეტყვი: ვერ ელირსები ჩემგან გზის დალოცვას. არსადაც არ გაგიშვებ. ხოლო თუ არ დამცხრალხარ, ხვალვე დაგასჯევინებ ემაგ ხელებით მეფის ორგულებს. ვინძლო, როცა თავათაც სისხლით შეისვრები, მაშინ მაინც დაივიწყო შენი გულაზიზობა, მაშინ მაინც აღარ გეთაკილოს მამაშენი!

მაქსიმი გააფითრა მალიუტას სიტყვებმა და ხმას არ სძრავდა. იცოდა, რომ მტკიცე იყო გრიგორი სკურატოვის სიტყვა, რომ მამის სიჯიუტეს ვერ გასტეხდა.

— ბიჭოს, — განაგრძობდა მალიუტა, — კინაღამ გადავყევი შენთან ლაპარაკს: მალე შუაღამე გადავა, დროა მეფესთან წავიდე, საპყრობილის გასაღებები მივუტანო. ოჰო! წვიმაც დაუშვა! მომაწოდე ეგ მოსასხამი. უყურე ამას, რანაირი ჭირვეულობა დასჩემდა! უნდა წავიდე, აქ არ მეცხოვრება! ამას რომ უფლება მისცე კაცმა — ალბათ მეც თავის ყაიდაზე გადამნათლავს! ვერ მოგართვი, შვილოსან, ნაადრევად გაშალე ფრთები! შენ კი არა, უარესები მომირჯულებია! დამაცა, გასწავლი როგორ უნდა გაგონება! ეეჰ, ნეტა ამ ოხერ ამინდს რაღა მოუვიდა! ქუდი მომაწოდე. მაინც რა სასწაულად ელავს! ლამის ცა გაირღვეს! თითქოს მთელ სლობოდას ცეცხლი ეკიდებაო. ჩაგმანე ფანჯარა და წადი, დაიძინე, ეგებ დილამდე გამოგინელდეს ეგ სისულელე და გონს მოეგო. იმ შენს სერებრიანის კი, დამაცადოს, ერთი დღე იქნება, მივწედები რამენაირად! იცოცხლე, გავუხსენო ეს ამბავი!

მალიუტა გავიდა. მარტო დარჩენილ მაქსიმს ფიქრი მოეძალა. სახლში ისეთი სიწყნარე იდგა, ჩამიჩუმი არსით ისმოდა; მხოლოდ ჭექა-ქუხილი ავობდა გარეთ, დროდადრო კი ფანჯარაში შემოჭრილი ქარი კედელზე დაკიდებულ ჯაჭვებსა და ბორკილებს აქანავებდა, ერთმანეთს ახლიდა და ავბედითად აჟღრიალებდა. მაქსიმი ზედა სართულზე, დედამისის პალატისკენ ამავალ კიბესთან მივიდა. წინ წაიხარა და სმენად იქცა. ზევით ჩამიჩუმი არ ისმოდა, ყველაფერი მდუმარებდა. იგი ფრთხილად აჰყვა მაღალ საფეხურებს და იმ კართან შეჩერდა, რომლის იქითაც დედამისს ეძინა.

— ღმერთო დიდებულო! — ფიქრში წარმოთქვა მაქსიმმა. — შენ ხედავ ჩემს გულს, შენ უწყი ჩემი ფიქრები! იცი, უფალო, ჩემი ამპარტავნობის გამო, ჭირვეულობის გამო რომ არ ვიქცევი მამის უნებურად! მომიტევე, უფალო ჩემო, უკეთუ გადავდივარ შენს მცნებას! შენც მომიტევე, ჩემო დედიკო! შენს უკითხავად გტოვებ აქ მარტოს, შენგან დაულოცველი მივდივარ; ვიცი, დედიკო, გულს მოგიკლავს ჩემი ამბავი, მაგ-

რამ რა ვქნა აბა, სხვა გზით არასდიდებით არ გამიშვებდი! ნახვამდის, დედავ-ბატონო, ვეღარ ნახავ დღეის იქით შენს მაქსიმუშკას!

მაქსიმი დედის პალატის ზღურბლს ემთხვია და მრავალგზის დაკოცნა. მერე რამდენჯერმე პირჯვარი გადაისახა, კიბეს ჩამოჰყვა და ეზოში გავიდა. გარეთ წვიმდა. ისეთი დელგმა მოდიოდა, თითქოს მთელი საქრისტიანოს ჯავრი სჭირსო. ეზოში კაცის ჭაჭანება არ იყო. მაქსიმი თავლაში შევიდა, მეჯინიბეებს ეძინათ. მან თვითონ გამოიყვანა ახორიდან საყვარელი იაბო და შეკაზმა. ზღურბლთან დაბმული უზარმაზარი ქოფაკი საძაღლედან გამოძვრა, აწკმუტუნდა და ჯაჭვის აწყვეტას ჰლამობდა, თითქოს პატრონთან განშორება იგრძნოო. იგი მეჯოგეთა ნაგაზების ჯიშის ბომბორა ძაღლი იყო. კვამლა-წაბლისფერი გრძელი და ჯაგარა ბალანი უწესრიგოდ ეყარა შავ დრუნჩზე და თითქმის არ უჩანდა ჭკვიანი თვალები.

მაქსიმი ძაღლს მოეფერა, პირუტყვმა კი მხრებზე გადაადო შავი თათები და სახის ლოკვა დაუწყო.

— მშვიდობით, ბუიან, — უთხრა მაქსიმმა, — აბა შენ იცი, სახლს უდარაჯე, დედაჩემს ერთგულად ემსახურე! — მერე უნაგირს მოახტა, ჭიშკარში გავიდა და ჭენებით გასცილდა მშობლიურ კერას.

ჯერ კიდევ არ მიეღწია მიწაყრილამდე, რომ ხმამაღალი ყეფა შემოესმა და ბუიანი დაინახა. ძაღლი ცხენის გარშემო დახტოდა, გახარებული იყო, ჯაჭვი რომ აიწყვიტა და თავის ბატონს რომ მიჰყვებოდა გზაში.

XI თავი

ღამის ლიტანია

ვიდრე მალიუტა შვილთან საუბრობდა, მეფე ლოცვას განაგრძობდა. მას უკვე ხვითქი გადასდიოდა სახეზე, მუხლმოდრეკით მეტანიობისგან მაღალ შუბლზე ადრევე აღბეჭდილი სისხლიანი ნიშნები კიდევ უფრო მკაფიოდ დაემჩნია ამღამინდელ ლოცვა-ვედრებას. უეცარმა ფაჩუნმა იოანე აიძულა მობრუნებულიყო. მან თავისი გადია, ონუფრევნა, დაინახა.

მოხუცი იყო მისი გადია. ჯერ კიდევ ნეტარხსენებულმა დიდმა მთავარმა ვასილ იოანოვიჩმა მოიყვანა ის სასახლეში; ჯერ კიდევ ელენა გლიანსკაიას ემსახურებოდა ის. იოანე მის ხელში დაიბადა, მის ხელ-

შივე ლალოცა მომაკვდავმა მამამ. ამ ქალზე ამბობდნენ, ბევრი რამ იცის ისეთი, რაზედაც ეპვიც არავის აქვსო. მეფის მცირეწლოვანებაში გლინსკებს ეშინოდათ მისი; შუისკები და ბელსკები ცდილობდნენ ყოველნაირად ეამებინათ მისთვის.

ბევრ საიდუმლოს გებულობდა იოანეს გადია მარჩიელობით და არასოლეს არ ცდებოდა. თავად ტელეპნევს, როცა ის დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა, — იოანე მაშინ ოთხი წლის იყო, — გადიამ მისნურად უწინასწარმეტყველა, შიმშილით ამოგხდება სულიო. ასეც ახდა. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, დროულ ხალხს კი ჯერაც არ ამოსვლოდა მახსოვრობიდან ეს გულთმისნობა.

ახლა გაღია თითქმის ას წელს იყო მიტანებული. წელში თითქმის ორად მოკეცილს, სახის კანი ისე დანაოჭებოდა, რომ ხის ქერქს მიუგავდა და, როგორც ბებერ ქერქზე ამოღის ხავსი, ონუფრევნასაც ისევე წამოზრდოდა ნიკაპზე ბღუჯა-ბღუჯა ჭაღარა ბალანი. კბილები უკვე დიდი ხანია დასცვენოდა, თვალებში თითქოს შუქი ჩაქრობოდა, თავს კრუნჩხვიანივით აკანტურებდა.

დედაბერი ჯოხს ეყრდნობოდა გაძვალტყავებული ხელით. დიდხანს, შეჰყურებდა ის იოანეს, თან ჩაყვითლებულ-ჩატეტკილ ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს რაღაცას ლოღნის ან ჩიფჩიფებსო.

— რაო? — წარმოთქვა ბოლოს გადიამ დაგუდული, ხრიალა ხმით, — ლოცულობ, ბატონო? ილოცე, ილოცე, ივან ვასილეიჩ! კიდევ ბევრი გაქვს სალოცავ-სავედრებელი! რა გიჭირდა, მარტო ძველი ცოდვები რომ გაწვეს სულზე! ღმერთი მოწყალეა, იქნებ მიეტევებინა კიდეც! მაგრამ შენ ხომ ისე დღე არ გაგითენდება, ახალი ცოდვა არ აიკიდო, ზოგჯერ კი ორ-ორსა და სამ-სამსაც ტვირთულობ დღეში!

— კმარა, ონუფრევნა, — უთხრა მეფემ ღა წამოდგა, — თვითონაც არ იცი, რას ჩიფჩიფებ!

— არ ვიცი, რას ვჩიფჩიფებ?! უკაცრავად, ტვინი კი არ გამომლევია, რომ არ მესმოდეს! — და დედაბერს უეცრად წამოენთო უსიცოცხლო თვალები. — აბა თქვი ერთი, რა ჩაიდინე დღეს სუფრაზე? რისთვის მოწამლე ის უბედური ბოიარი? შენ გეგონა, არაფერი ვიცოდი? რაო? რა წარბებს ჭმუხნი? მოიცა, შენი სიკვდილის ჟამიც დადგება; ოღონდ აცალე მოსვლა! ნახავ, ათასუუთიანი ლოღებივით რომ ჩემოგეკიდებიან შენი ცოდვები და ჯოჯოხეთის გეენაში ჩაგიტანენ! ნახავ, ტარტაროზები რომ მოგესვეიან და რკინის კავებზე ჩამოგკიდებენ!

დედაბერმა კვლავ გაბრაზებით განაგრძო ტუჩების ლოღნა.

გულმოდგინე ლოცვამ ღვთისმოშიში ფიქრებისთვის განაწყო მეფე.

ჭირვეულმა წარმოსახვამ უკვე არაერთგზის დაუხატა მომავალი მისაგებელის სურათი, მაგრამ ნებისყოფა თრგუნავდა საიქიოს სატანჯველთა წინაშე შიშს. იოანე საკუთარ თავს არწმუნებდა, ამ შიშსა და თვით სინდისის ქენჯნასაც კაცთა მოდგმის მოძულე, განმცდელი ეშმაკი ჩამაგონებს, რათა ღვთივდამყარებული მეფე მაღალი ზრახვებისგან გადამაცდინოსო. ეშმაკის მძლავრებას იგი ლოცვით ებრძოდა; მაგრამ წარმოსახვის ულმობელი შემოტევები ხშირად ძალ-ღონეს აცლიდა. მაშინ სასოწარკვეთა რკინის ჭანგებით იმორჩილებდა მას. თავის ნამოქმედართა სიმტყუვნე ცხადზე უცხადესად წარმოუდგებოდა და ნამდვილივით ხედავდა შემზარავად ხახადაღრენილ ჯოჯოხეთის უფსკრულებს. მაგრამ ასეთი რამ მცირე ხნით ემართებოდა. იოანე მალე ერკვეოდა შემაზრზენი ბურუსისგან და თავის სულმოკლეობაზე ბრაზობდა. საკუთარ თავსა და ბნელეთის სულზე გაცეცხლებული, ჯოჯოხეთის ჯიბრზე და სინიდისის საჯავრებელად, კვლავ უწყალო სისხლისღვრით, უწყალო მრისხანებით იცხრობდა სიშმაგეს, და არასოდეს არ იყო ხოლმე ისე სასტიკი და ულმობელი, როგორც ამგვარი უნებლიე ღონეშიხლილობის შემდეგ.

ახლა, მოახლოებულ ჭექა-ქუხილში და გადიას მისნურ ჩიფჩიფში, იოანეს კიდევ უფრო გაუცხოველდა ჯოჯოხეთზე ფიქრი. ამ ფიქრმა ციებ-ცხელებასავით დაუარა მთელ სხეულში და სულ მთლად ააცახცახა. ის ლოგინზე ჩამოჯდა. კბილები უკაწკაწებდა.

— რაო, ბატონო? — უთხრა დედაბერმა ხმაშერბილებით, — რა გემართება? ავად ხომ არ ხარ? ნამდვილად ასეა, ავადა ხარ! ნამეტანი შიში განახე ახლა! მაგრამ არა უშავს, იმედს ნუ გადაიწურავ, ბატონო, თუმცა დიდი კია შენი ცოდვები, მაგრამ უფლის სულგრძელობა უფრო დიდია! ოღონდ მოინანიე და ამას იქით ნულარ შესცოდავ. აი, მეც ვლოცულობ, შენთვის ვლოცულობ, დღით და ღამითაც. ამიერიდან კი უფრო მეტს ვილოცებ! აბა რა ვქნა? მირჩევნია ისევ მე არ მეღირსოს სამოთხე, ოღონდ შენ კი გადაგარჩინო ლოცვა-ვედრებით!

იოანემ გადიას შეაკლო თვალი, — დედაბერი თითქოს იღიმებოდა, მაგრამ უამური იყო ეს ღიმილი მის კუშტ სახეზე.

— მადლობელი ვარ, ონუფრევნა, მადლობელი ვარ; უკვე მოვმჯობინდი ცოტათი; ახლა კი წადი, თუ ღმერთი გწამს!

— ჰო, მომჯობინდებოდი, რაღა თქმა უნდა! ცოტას რომ დაგაიმედებს ადამიანი, შიშიც გავიწყდება მაშინვე! ხედავ, უკვე ჩემი გაგდებაც იფიქრე: წადი ახლა, თუ ღმერთი გწამს! შენ, ბატონო, მაინცდამაინც ნუ გექნება ღვთის დიდი სულგრძელობის იმედი. შენთვის, რომ იცოდე, თვითონ უფალსაც გადაელევა მოთმინება. ნახე, თუ არ უარგყოს ყოვ-

ლადძლიერმა, სატანა კი, იცოცხლე, გაიხარებს და... ჰოპ! შემოგიძვრება მაგ სულში! აი, ხედავ, ისევ ცახცახი აგიტყდა! არ გაწყენდა ცოტა სბიტენი შეგესვა. მოსვი სბიტენი, ბატონო! ზოგჯერ მამაშენიც სვამდა ხოლმე სბიტენს ღამღამობით, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს იმას! დედაშენსაც, ღმერთმა აცხონოს, უყვარდა სბიტენი. აკი სწორედ იმ სბიტენით შეაპარეს საწამლავი წყეულმა შუისკებმა!

დედაბერი თითქოს ფიქრში წავიდა. თვალები დაებინდა. კვლავ მოჰყვა ჩამჭკნარი ტუჩების ლოღნას, თან განუწყვეტლივ აკანტურებდა თავს.

უეცრად რაღაც აწკარუნდა ფანჯარაზე. ივან ვასილევიჩი შეკრთა. დედაბერმა პირჯვარი გადაისახა მთრთოლვარე ხელით.

— ხედავ, — უთხრა მან, — წვიმა წამოვიდა! აგერ ელვამაც დაკვესა! აი, მეხიც გავარდა, ბატონო, ღმერთო შენ დაგვიფარე ავისა და ბოროტისაგან!

ჭექა-ქუხილი სულ უფრო ძლიერდებოდა და მალე მთელი ცა შესძრა განუწყვეტელმა გრგვინვა-გრუხუნმა, ძრწოლვისმომგვრელმა ელვამეხმა.

იოანე შიშით კრთებოდა მეხის ყოველ დაქუხებაზე.

— ხედავ, როგორ გამცივნებს, ბატონო! აბა მოითმინე ცოტა ხანს, ვეტყვი სბიტენი მოგიდუღონ...

— არ მინდა, ონუფრევნა, კარგად ვარ...

— კარგად ხარ! სახეზე კი კაცის ფერი არ გაძევს. შენთვის ახლა ისა სჯობს, ლოგინში ჩაწვე და საბანში ჩათბუნდე. მარა, რას ჩათბუნდები ამ შენ ქვეშაგებში! ფიცრებია ცარიელი. ნეტავ ერთი, რას იწვალებ თავს! რა მეფის საფერია ამნაირი ქვეშაგები! ამაში ბერ-მონაზონი უნდა იწვეს, შენ კი ვიღაც მონაზონი ხომ არა ხარ!

იოანეს არაფერი უპასუხნია. ის რაღაცას აყურადებდა.

— ონუფრევნა, — უცებ წარმოთქვა შეშფოთებულმა, — ნეტავ ვინ დადის წინკარში? ვიღაცის ნაბიჯების ხმა მესმის!

— ღმერთს ნუ არისხებ, ბატონო! ვინ იქნება ასეთ ამინდში. მოგეჩვენა რაღაც.

— მოდის, ვიღაც მოდის! აქეთკენ მოდის! აბა გაიხედე, ონუფრევნა!

დედაბერმა კარი გამოაღო. პალატში ცივი ქარი შემოიჭრა. კარს იქით მალიუტა გამოჩნდა.

— ვინ არის? — ჰკითხა მეფემ და ლოგინიდან წამოხტა.

— ვინ იქნება, შენი ქეციანი ქოფაკია, — უპასუხა გადიამ, თან გაჯავ-

რებული შეჰყურებდა მალიუტას, — გრიშკა სკურატოვი; ჯანდაბას ამისი თავი, კინაღამ გული გაგიხეთქა, შეჩვენებულმა!

— ლუკიანიჩ! — წარმოთქვა მეფემ, თავისი რჩეულის მოსვლით გახარებულმა, — მშვიდობა შენს მოსვლას; საიდან?

— საპყრობილედან, ხელმწიფეო; დაკითხვაზე ვიყავი, გასაღებები მოგიტანე! — მალიუტა მდაბლად ეთაყვანა მეფეს, თან ცერად გაჰხედა გადიას.

— გასაღებები! — ჩაიჩიფჩიფა დედაბერმა. — ნახავ შენ სეირს, გახურებული გასაღებებით რომ დაგდაღავენ იმ ქვეყანას, შე ტარტაროზო! ღმერთმანი, ტარტაროზი ხარ გამოცხადებული! სახეც მთლად სატანას მიგიგავს, შე უჯიშოვ! სხვას კიდევ ჰო, მარა შენ არასდიდებით არ აგცდება საუკუნო ცეცხლში წამება! ნახავ, გრიშკა, ენით რომ გალოკვინებენ გახურებულ ტაფებს მაგ შენი ცილისმწამებლობისთვის! ნახავ, შეჩვენებულო, ადულებულ კუპრში რომ ჩაგაგდებენ, დაიხსომე ჩემი ნათქვამი.

ელვამ წამით გააშუქა მაწყევარი დედაბერი და ამაზრზენად გამოკვეთა მისი ქანდაკი შემართული ჯოხითა და მოელვარე თვალებით.

თვითონ მალიუტას შიში შეეპარა; იოანე კი თავისი რჩეულის იქ ყოფნამ გაამხნევა.

— ნუ უსმენ მაგას, ლუკიანიჩ, — უთხრა მან, — შენი საქმე იცოდე, დედაკაცების ყბედობას ყურს ნუ ათხოვებ... შენ კი წადი ახლა, გამოყრუებულო დედაბერო, მარტო დაგვტოვე!

გადიას კვლავ თვალები წამოენთო.

— გამოყრუებულო დედაბერო! — გაიმეორა მან. — მე ვარ ხომ გამოყრუებული დედაბერი? გამიხსენებთ იმ ქვეყანას, თუ ქალი ვარ, ორივენი გამიხსენებთ! შენს ყველა ავან-ჩავანს, ვანია, ყველას მიეზღვება თავისი მისაგებელი, სააქაო ცხოვრებაშივე მიეზღვება, იმ შენს გრიაზნოისაც, შენს ბასმანოვსაც, შენს ვიაზემსკისაც. თითოეული განისჯების საქმეთაებრ თვისთა, აი ამას კი... — განაგრძობდა მოხუცი და მალიუტას აშვერდა ჯოხს, — ამას არ მიეზღვება თავისი მისაგებელი: ამის საქმეთათვის არც იპოვება სატანჯველი დედამიწაზე: ეგ ჯოჯოხეთის გეენაში ნახავს სატანჯველს; უკვე გამზადებულია იქ გრიშკა სკურატოვის ადგილი; ელიან ამას ტარტაროზები და ხარობენ მის მოლოდინში! შენ თვითონაც იქა გაქვს ადგილი, ვანია, უშველებელი, თბილი ადგილი!

დედაბერი ფეხების ფრატუნითა და ჯოხის პაკუნით გავიდა პალატიდან.

იოანე გაფითრებული იყო. მალიუტას ხმა გაეკმინდა. დუმილი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

— რაო, ლუკიანიჩ, — თქვა ბოლოს მეფემ, — გამოტყდნენ კოლიჩევები დანაშაულში?

— ჯერ არა, ხელმწიფეო. მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს, გამოტყდებიან, ჩემთან წილადობილა არ გაუვათ!

იოანემ გამოწვლილვით მოათხრობინა დაკითხვის ამბავი. კოლიჩევებზე საუბარმა სხვა სადინარი მისცა მის ფიქრებს.

ივან ვასილევიჩს მოეჩვენა, რომ დაძინებას შეძლებდა. მალიუტა გაუშვა, ლოგინზე წამოწვა და ბურანში წავიდა.

უეცრად რაღაც ბიძგისმაგვარი იგრძნო და გამოეღვიძა.

პალატს სუსტად ანათებდნენ ხატის კანდელები. დაბალ ფანჯარაში გამოღწეული მთვარის შუქი საწოლის ფერად-ფერად შორენკეცებს დასთამაშებდა. საწოლის უკან ჭრიჭინობელა მოუსვენრობდა. საღლაც თაგვი ხეს ხრავდა.

ამ სიწყნარეში იოანე კვლავ შიშმა აიტანა.

უცებ მოელანდა, თითქოს იატაკის ფიცარი აიწია და მოწამლულმა ბოიარმა ამოჰყო თავი.

ასეთი ზმანებანი არცთუ იშვიათად ევლინებოდა იოანეს. იგი ჯოჯოხეთის ხრიკებს მიაწერდა მათ. მოჩვენება რომ განედევნა, პირჯვარი გადაისახა.

მაგრამ მოჩვენება არ გამქრალა, როგორც აქამდე ხლეპოდა ხოლმე. მკვდარი ბოიარი კვლავ წარბებშეყრილი შემოჰყურებდა. მოხუცს თვალები ისევე გადმოკარკლოდა, სახეც ისევე ჩალურჯებოდა, როგორც სადილობისას, როცა იოანესგან მოკითხული ფიალა შესვა.

„კვლავ ცთუნების მოვლინებაა! — გაიფიქრა მეფემ, — მაგრამ არ ვემონები საცთურთა ეშმაკისათა, შევმუსრავ მძლავრებათ სატანისათა. აღდეგინ ღმერთი და განიბნევნენ ყოველნი მტერნი მისნი“.

მკვდარი ნელ-ნელა ამოიმართა და იოანეს მიუახლოვდა.

მეფეს დაყვირება უნდოდა, მაგრამ ძალა არ ყოფნიდა. ყურები საშინლად უწიოდა.

მკვდარი იოანეს წინ დაიხარა.

— სალამი შენდა, ივანე! — წარმოთქვა ყრუ, არაადამიანურმა ხმამ, — აჰა, წარმოვდექ წინაშე შენსა, რამეთუ შეუცოდარს მომისპე სიცოცხლე!

ეს სიტყვები შიგ სულში გაუხმიანდა იოანეს და ველარ გაარკვია, მოჩვენებამ უთხრა თუ საკუთრივ მისი ფიქრი დაირხა ყურისთვის შესაგრძნობ ბგერებად.

მაგრამ, აი, მეორე ფიცარიც აიწია. იატაკქვეშიდან იოანეს მიერ ოთხი წლის წინათ დასჯილ ოკოლნიჩ დანილა ადაშევის სახე გამოჩნდა.

ადაშევიც ასევე ამოიმართა იატაკიდან, თავი დაუკრა მეფეს და უთხრა:

— სალამი შენდა, ივანე! აჰა, წარმოვდექ წინაშე შენსა, რამეთუ შეუცოდარი დამსაჯე სიკვდილით!

ადაშევის შემდეგ თავის ბავშვებიანად დასჯილი ბოიარინა მარია გამოჩნდა. იგი ხუთი ვაჟიშვილითურთ ამოვიდა იატაკიდან. ყველამ თავი დაუკრა იოანეს და ყველამ რიგრიგობით უთხრა:

— სალამი შენდა, ივანე! აჰა, წარმოვდექ წინაშე შენსა!

შემდეგ თავადი კურლიატევი, თავადი ობოლენსკი და ნიკიტა შერემეტიევი გამოჩნდნენ. მათ სხვაც ბევრი მოჰყვა, იოანეს მიერ დასჯილი ან მოკვდინებული.

დარბაზი მკვდრებით აივსო. ყველანი მდაბლად ხრიდნენ თავს მეფის წინაშე, ყველანი ეუბნებოდნენ:

— სალამი შენდა, სალამი შენდა, ივანე, აჰა წარმოვდექთ წინაშე შენსა!

აი ბერ-მონაზვნები, მოწესე დედაკაცები ამოიმართნენ, ყველანი შავით მოსილნი, ყველანი ფერმიხდილნი და გასისხლიანებულნი.

აი მეომრები გამოჩნდნენ, ყაზანთან რომ ახლდნენ მეფეს.

მათ სხეულებზე საზარელ იარებს გაეხსნა პირი, მაგრამ ისინი ბრძოლაში კი არა, ჯალათის ხელით ჰქონდათ მიყენებული.

აი ტანსაცმელშემოფხრეწილი ქალწულები და ყმაწვილი ცოლებიც წარმოსდგნენ. დედებს ძუძუთა ბავშვები ჰყავდათ ატატებული, ჩვილები იოანესკენ იწვდიდნენ გასისხლიანებულ ფუნჩულა ხელებს და ტიტინებდნენ:

— სალამი შენდა, სალამი შენდა, ივანე, რამეთუ უდანაშაულოდ მოგვისპე სიცოცხლე!

დარბაზი თანდათან გაიჭედა მოჩვენებებით. მეფე უკვე ველარ არჩევდა წარმოსახულს ნამდვილისაგან.

მოჩვენებათა სიტყვები ასმაგ ექოდ მეორდებოდა. მათთან ერთად იოანეს შიგ ყურში ჩაესმოდა სულთბრძოლის ლოცვები და საპანაშვიდო გალობა. მას თმები ყალყზე ედგა.

— სახელითა ღმრთისათა, ცხოველისათა, — წარმოთქვა მან, — თუ ქაჯები ხართ, მავნე სულისგან მოგზავნილნი, — ქვესკნელს შთაინთქით! ხოლო თუ მართლა ჩემგან დასჯილთა სულები ხართ — ღვთის საშინელი სამსჯავროს დღეს დაელოდეთ! ღმერთი განმსჯის მე თქვენს წინაშე!

მკვდრები შეფრთხიალდნენ და იოანეს გარშემო დარიალდნენ, რო-

გორც გრიგალისგან დაფორიაქებული შემოდგომის ფოთლები. უფრო საწყალობლად გაისმა საპანაშვიდო გალობა, წვიმა კვლავ ახმაურდა ფანჯარაზე, და ქარის წივილში მეფეს თითქოს ბუკების მჭექარე ხმა და მომწოდებელი ღაღადისი შემოესმა.

— ივანე, ივანე! ღვთის სამსჯავროზე, ღვთის სამსჯავროზე!

მეფემ ხმამაღლა შეჰყვირა. მესაწოლენი მეზობელი პალატებიდან ხელმწიფის საძინებელში შეცვივდნენ.

— ადექით! — დაიყვირა იოანემ, — რა დროს ძილია! უკანასკნელი დღე ჩამოდგა, უკანასკნელმა ჟამმა ჩამოჰკრა! იჩქარეთ ყველამ ეკლესიაში! მომყევით ყველა!

კარისკაცები დაფაცურდნენ. გაისმა ზარების გუგუნი. ახალჩაძინებულ ოპრიჩნიკებს ნაცნობი რეკვა ჩაესმათ, საწოლებიდან წამოხტნენ და ფუსფუსით შეუდგნენ ჩაცმას.

ბევრი მათგანი ვიაზემსკისთან ილხენდა ამ დროს. ისინი თასებს შეგოსხდომოდნენ და გალაღებულნი მღეროდნენ. ზარების რეკვა რომ გაიგონეს, ერთბაშად წამოხტნენ და შავი ანაფორები გადაიცვეს მდიდრულ ხიფთანებზე, თავზე კი წოწოლა ჩაჩები ჩამოიფხატეს.

მთელი სლობოდა წამოიშალა. ღვთისმშობლის ეკლესია სულ გადანთდა. შეშფოთებული მოსახლეები ჭიშკრებს მიაწყდნენ და დაინახეს, რომ სასახლეში უამრავი ჩირაღი აენთოთ და პალატიდან პალატში დაატარებდნენ. შემდეგ ჩირაღები გრძელ ჯაჭვად წაგრძელდა, და ლიტანია გველივით გაიკლაკნა ხელმწიფის სასახლიდან ღვთის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე.

ყველა ოპრიჩნიკს ჩაჩი ეხურა და შავი ანაფორა ეცვა, ხელში კი თვითეულ მათგანს ჩირაღი ეპყრა. მათი ელვარე შუქი უცნაურად დასთამაშებდა ჩუქურთმოვან სვეტებსა და კედლების კაზმულობას. ქარი ანაფორებს აფრიალებდა, მთვარის ნათელი კი ალთან ერთად ოქროზე, მარგალიტზე და ძვირფას თვლებზე ირეკლებოდა.

წინ მეფე მიაბიჯებდა ბერის სამოსით, გულს იმჯიღავდა და ხმამაღალი ქვითინით ევედრებოდა ღმერთს:

— უფალო შემიწყალე მე ცოდვილი! შემიწყალე, სულმყრალი ძაღლი! შეიწყალე უკეთური ჩემი თავი! განუსვენე, მეუფეო, ჩემგან უსამართლოდ დასჯილთა სულებს!

ტაძრის კარიბჭესთან იოანე ღონემიხდილი დაემხო პირქვე.

ჩირაღების შუქი საფეხურებზე ჩამომჯდარ დედაბერს მისწვდა. მან მოცახცახე ხელი გაუწოდა მეფეს.

— ადექი, ბატონო, — წარმოთქვა გადიამ, — ნუ გეშინია, მე შეგეშველები. დიდი ხანია აქ გელოდები. შევიდეთ, ვანია, ერთად ვილოცოთ!

ორმა ოპრიჩნიკმა მკლავში ხელი შეაშველა მეფეს და წამოაყენა. იოანე ეკლესიაში შევიდა.

ქუჩებში კი სულ ახალ-ახალი მოლიტანიენი მოედინებოდნენ ანთებული ჩირაღებით. მათაც აგრეთვე შავი ანაფორები ეცვათ და ჩაჩები ეხურათ. ტაძრის კარიბჭე ზედიზედ ნთქავდა მოჯარებულ ოპრიჩნიკებს და წმინდანთა ვეება გამოსახულებები აღშფოთებით გადმოსცქეროდნენ მათ ეკლესიის კედლებისა და კამარების სიმაღლიდან.

აქამდე უდრტვინველ ღამის მყუდროებაში რამდენიმე ასეული ხმის გალობა დაირხა და შორს გაისმა ზარების გუგუნი და გაბმული ფსალმუნები.

დილეგებში გამომწყვდეული ტუსაღები ბორკილთა ჟღარუნით წამოხტნენ და სმენად იქცნენ.

— მეფე ციხკრის ლოცვად არის დამდგარი! — თქვეს მათ. — ღმერთო, მოალბე მისი გული, მოწყალება ჩაუნერგე ცოდვილ სულში!

სლობოდელთა სახლებში, დედების გვერდით მძინარი ბალღები ხმაურმა გამოაღვიძა და, შეშინებულებმა, ღრიალი მორთეს.

ზოგი დედა კარგა ხანს ვეღარ აწყნარებდა გაჭირვეულებულ პაწიას.

— გაჩუმდი! — შეუტევდა ბოლოს, — სუ-მეთქი, თორემ მალიუტა გაიგონებს!

მალიუტას ბსენებაზე ბავშვი ხმას კმენდდა, შეშინებული ეკვროდა დედას და ღამის მდუმარებაში კვლავ ოპრიჩნიკთა გალობა და ზარების განუწყვეტელი გუგუნი ისმოდა მხოლოდ.

XII თავი

ცილისწამება

მზე ამოიწვერა, მაგრამ მალიუტას სასისარულო დილა არ გასთენებია. შინ დაბრუნებულს შვილი არ დახვდა სახლში და მიხვდა, რომ მაქსიმმა სამუდამოდ მიატოვა სლობოდა. საშინელი ბრაზი წაეკიდა გრიგორი ლუკიანიჩს. ყოველი მხრით აფრინა მდევრები. მეჯინიბენი, ძილში მყოფთ მაქსიმის წასვლა რომ გამოეპარათ, მაშინვე დილეგში ჩააყრევინა.

შუბლშეჭმუხვნილი, კბილთა ღრჭიალით მიდიოდა უნაგირში მძი-

მედ ჩამჯდარი მალიუტა შარაზე და ფიქრში ვარაუდობდა, მოეხსენებინა თუ დაემალა მეფისთვის მაქსიმის გაქცევა.

უკანიდან ცხენების თქარათქური და მხიარული ხმები შემოესმა. მალიუტამ თავი მიაბრუნა. ბატონიშვილი ბასმანოვისა და ჭაბუკთა ამალის თანხლებით დილის გასეირნებიდან ბრუნდებოდა. ფხეიერი მიწა სულ გაეჟეჟეებინა წვიმას და ცხენები თითქმის საოლავებამდე ეფლობოდნენ ტალახში. მალიუტა რომ დაინახა, ბატონიშვილმა ბედაური გამოაჭენა და ლაფში გაავლო სკურატოვი.

— უმორჩილესი სალამი ბოიარ მალიუტას! — თქვა ბატონიშვილმა და ცხენი შეაჩერა. — სწორედ ახლა შევხვდით შენს მდევრებს. ეტყობა, მწარე დღე დააყენე მაქსიმს, გუდა-ნაბადი რომ აუკრავს და გადახვეწილა; ან იქნებ თვითონ გაგზავნე მოსკოვს ბოიარის ქუდისთვის და მერე გადაიფიქრე?

და ბატონიშვილმა გადაიხარხარა.

მალიუტა, წესისამებრ, ჩამოქვეითდა. იგი თავშიშველი იდგა და გაშლილი ხელისგულით იწმენდდა ლაფით გათხვრილ სახეს. ისე იმზირებოდა, თითქოს შხამიანი თვალებით ბატონიშვილის განგმირვა სურსო.

— ნეტავ ამ ლაფს მაინც რიღასთვის იწმენდს? — ბატონიშვილის საამებლად შენიშნა ბასმანოვმა, — მესმის სხვა ვინმე იყოს, ამას კი არც ემჩნევა!

ბასმანოვი ხმადაბლა ამბობდა ამას, მაგრამ სკურატოვმა გაიგონა მისი ნათქვამი. როცა მთელი ეს დუნდგო ცხენოსნებისა სიცილითა და ხორხოცით აედევნა ბატონიშვილს, მალიუტამ კვლავ დაიხურა ქუდი, ცხენზე შეჯდა და ნაბიჯით წავიდა სასახლისკენ.

„კეთილი! — თქვა გუნებაში, — ცოტა გვადროვეთ, ბატონებო, ცოტა გვადროვეთ!“ და გაფითრებული ბაგეები ღიმილით დაებრიცა, ხოლო გულში, რომელიც შვილის გაქცევით ისედაც უღრინავდა, ნელ-ნელა უმწიფდებოდა წინდაუზედავ შეურაცხმყოფელთადმი ბოროტი შურისძიება.

როცა მალიუტა სასახლეში შევიდა, ხელმწიფე მარტოდმარტო იჯდა თავის სავანებელში. სახე გაფითრებოდა, თვალები წამონთებოდა. შავი ანაფორის მაგიერ ყვითელი, ზოლიანი ახალუხი ეცვა, ცისფერი ჩითის სარჩულიანი. ახალუხს აბრეშუმის გრძელფოჩებიანი რვა შესაკრავი დაუყვებოდა საგულეზე და კალთებზე. კვერთხი და მსხვილი ზურმუხტით დამშვენებული ჩაჩი მაგიდაზე იდო მეფის წინ. ღამის ჩვენებებმა, შეუსვენარმა ლოცვა-მეტანიობამ, უძილობამ თუმც ვერ გამოფიტა იოანეს ძალ-ღონე, მაგრამ საშინლად გააგულისა და გაახელა ის. ყოველივე,

რაც ღამით განიცადა, კვლავ ეშმაკის ხრიკებად მოეჩვენა ამჯერადაც. მეფეს რცხვენოდა თავისი შიშისა.

„ქრისტეს სახელის მტერი, — ფიქრობდა ის, — ჯიუტად გადამდგომია გზაზე და ჩემს ბოროტისმქმნელთ ექომაგება. მაგრამ არ ვაღირსებ ძესა მას ბნელისასა ჩემზე გახარებას! ვერ შემაკრთობს მისი საცთურნი! ვუჩვენებ იმას, რომ ჯერ არ დამსხვილებია მკლავნი ჩემთან სარკინებლად!"

და მეფემ გადაწყვიტა კვლავაც არ დარიდებოდა მოღალატეთა დასჯას და თავის მტარვალთა მოკვდინებას, თუნდაც რომ ათასები ყოფილიყო მათი რიცხვი.

ეს რომ გადაწყვიტა, სათითაოდ გადათვალა ფიქრში თავისი ქვეშევრდომები და ცდილობდა მოღალატეები ეპოვა მათ შორის.

ახლა იოანეს საეჭვოდ ეჩვენებოდა ამ ადამიანების ყოველი გამოხედვა, ყოველი მოძრაობა.

ის თავის გარშემო მყოფთა მიერ ნათქვამ ამა თუ იმ სიტყვას იხსენებდა და შეთქმულებათა გასაღებს ეძებდა ამ სიტყვებში. უახლოეს ნათესავებსაც არ ასცდენია მისი ეჭვიანობა.

როცა მალიუტა შემოვიდა, იოანეს თითქმის სიცხიანივით აბოდებდა, ისეთ ყოფაში იყო.

— ხელმწიფეო, — მცირე დუმილის შემდეგ თქვა სკურატოვმა, — შენ მიბრძანებ წამებით გავათქმევინო კოლიჩევებს მათთან შეთქმული მოღალატენი. ამ ბრძანებას უსიკვდილოდ ავასრულებ, ხელმწიფეო. ყველაფერს ამოვაღერღინებ კოლიჩევებს ტანჯვა-წამებით. ოღონდ მარტო ერთ ამბავს ვერ შევძლებ, მეფეო: ვერ შევძლებ შენი უმთავრესი წინაღმდგომელი გავათქმევინო!

მეფემ გაოცებით შეხედა თავის რჩეულს.

მალიუტას თვალებში რაღაც უჩვეულო ჩაბუდებულიყო.

— ეს, ხელმწიფეო, ისეთი ამბავია, — განაგრძობდა სკურატოვი და ხმა შეეცვალა, — რომ თვალიც ხედავს და ყურიც ისმენს, მაგრამ მის სათქმელად ენა არ მოუბრუნდება კაცს...

მეფე კითხვად ქცეული თვალებით შეჰყურებდა მას.

— აი, შენ, ხელმწიფეო, მაგალითად, უკვე ბევრი მპარავი დასაჯე. მაგრამ ღალატი რუსეთში ჯერამც არ გადაგებულა. ჰოდა, დღეის იქითაც კიდევ ამდენსვე დასჯი, თუნდ ათჯერ მეტსაც, მაგრამ ღალატს მაინც ვერ ამოძირკვავ!

მეფე უსმენდა და ვერაფერს ხვდებოდა.

— იმიტომ ვერ მოერევი ღალატს, ხელმწიფეო, რომ მხოლოდ რო-

კებსა და ტოტვებს ჩეხავ, თვითონ ტანი კი ფესვებიანად ისევ ისე საღ-სალამათი დგას!

მეფე ჯერაც ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ გაათკეცებული ცნობის-მოყვარეობით უსმენდა...

— ხედავ, ხელმწიფეო, არც კი ვიცი, როგორ გითხრა... აი, მაგალი-თად, გაიხსენე, სიკვდილის პირას მყოფი ლოგინად რომ იყავი ჩავარ-ღნილი, ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მოგცეს! ბოიარებმა კი, მძიმედ შექმნილს, შეთქმულება მოგიწყვეს. ჰოდა, იმათ ხომ მაშინ მოთავე ჰყავდათ, ისა, შენივე ძმა ვოლოდიმირ ანდრეიჩი!

„ჰოო! — გაიფიქრა მეფემ, — აი თურმე რას ნიშნავდა წუხანდელი მოჩვენებები! მტერს სურდა გონება დაებნელებინა ჩემთვის, რომ შეში-ნებულს ძმის ზრახვები ვერ შემემუსრა. მაგრამ ვერ მივართვი. არც ძმას დავინდობ!“

— თქვი ბარემ... — მკაცრად უთხრა მალიუტას, — თქვი, რა იცი ვო-ლოდიმირ ანდრეიჩზე!

— არა, ხელმწიფეო, ახლა ვოლოდიმირ ანდრეიჩზე არ მოგახსენებ. ახლა იმას ვერაფერს ვატყობ საიმისოს, რომ რამე სიავე შემოგბედოს. მერე კიდევ, ბოიარებსაც აღარ ეპრიანებათ უკვე იმისი თავი. იმან დიდი ხანია გადაივიწყა შენთვის ძირის თხრა და მეფობის მაძიებლობა. მე ახლა იმაზე არ მოგახსენებ.

— აბა მაშ ვისზე? — გაოცებით ჰკითხა მეფემ და ავადმყოფურად შე-უტოკდა სახის ნაკვთები.

— ხედავ, მეფეო: ვოლოდიმირ ანდრეიჩმა კი გადაიფიქრა სახელ-მწიფოს მღვრევა, მაგრამ ბოიარებმა არ გადაიფიქრეს. ისინი მაინც თა-ვის ქეიფზე არიან: არ გამოგვივიდა ხომ მისი გამეფება, კეთილიო, თქვეს გუნებაში, ახლა ჩვენ...

მალიუტა შეყოყმანდა.

— ჰო, ვის გავამეფებთო? — ჰკითხა მეფემ და თვალებში ცეცხლი წაეკიდა.

მალიუტას ზაფრანის ფერი დაედო.

— ხელმწიფეო! ყველაფრის თქმა კი არ არგია კაცს. ჩემნაირი საწყ-ლებისთვის ისა სჯობს, იფიქროს და იმარჩიელოს, ენას კი კბილი მაგ-რად დააჭიროს.

— ვის გავამეფებთო? — გაუმეორა იოანემ და ფეხზე წამოდგა.

მალიუტა პასუხს აყოვნებდა.

მეფემ საყელოში ჩაავლო მას ორივე ხელი, სახით თავისკენ მიიზი-და და თვალი თვალში გაუყარა.

მალიუტას შიშისგან მუხლები მოეკვეთა.

— ხელმწიფეო, — ხმადაბლა უთხრა მან, — შენ იმას ნუ გაურისხდები, იმას ხომ თვითონ არ უფიქრია!

— თქვი, რა იცი! — ხრინწიანად დაისისინა იოანემ და უფრო მაგრად ჩაბღუჯა მალიუტას საყელო.

— თვითონ ფიქრადაც არ მოუვიდოდა ეს, — განაგრძობდა მალიუტა და თვალს არიდებდა მეფის მზერას, — ჰოდა, მაშასადამე, სხვებმა ჩააგონეს. ვინც ახლოს ჰყავს, იმან ჩააგონა. ჰოდა იმანაც, იმ ცოდვისშვილმა, იფიქრა გუნებაში: დღეს მოხდება თუ ხვალ, რა ბედენაა, სულ ერთია, ბოლო მაინც ეს იქნებაო.

მეფემ უკვე იაზრა რაღაც. უფრო გაფითრდა. თითები მოუსუსტდა და ნელ-ნელა შეეშვა მალიუტას საყელოს.

მალიუტამ სული მოითქვა, სამოსი შეისწორა. მიხვდა, რომ გადამწყვეტი დარტყმის დრო დადგა!

— ხელმწიფეო! — უცებ გაბედულად წარმოთქვა მან, — შორ-შორს ნუ ეძებ ღალატს. შენი წინაღმდგომელი შენს წინავე ზის, შენთან ზიარი აზარფეშიდან სვამს, შენთან ზიარი სინიდან მიირთმევს, შენივ მხრების საფერ სამოსს ატარებს!

სკურატოვი დადუმდა და, მოლოდინად ქცეულმა, გაბედა მეფისთვის მიეპყრო თავისი სისხლიანი თვალები.

მეფეც დადუმდა. ხელები უღონოდ ჩამოეკიდა. ბოლოს და ბოლოს, იგი მიუხვდა მალიუტას.

ამ დროს ეზოში სასიხარულო შეძახილები გაისმა.

სწორედ იმ წუთებში, როცა მეფისა და სკურატოვის საუბარი დაიწყო, სასახლის ეზოში ბატონიშვილი შემოვიდა თავისი ამალით. აქ მას შავი ასეულებისა და გარეთუბნების მოვაჭრე ხალხი ელოდა, რომლებიც მოსკოვიდან ჩამოსულიყვნენ პურ-მარილითა და სათხოვარით.

ბატონიშვილი რომ დაინახეს, ყველანი მუხლებზე დაეცნენ.

— რა სათხოვარით მოსულხართ, მეარშინეებო? — დაუდევრად იკითხა ბატონიშვილმა.

— შენი მუხლების ჭირიმე, ბატონო! — მიუგეს უხუცესებმა, — მოვედით, ჩვენი გასაჭირი შემოვტიროთ შენს მოწყალებას! დაგვიფარე, შეგვიბრალე საწყალი ხალხი! მთლად გვაჩანაგებენ ოპრიჩნიკები, გვიკლებენ ცოლ-შვილიანად!

— უყურე ამ სულელებს! — დამცინავად თქვა ბატონიშვილმა და ბასმანოვს გადახედა. — ამათ თურმე ის მონდომებიათ, ცოლებიცა და საქონელიც მხოლოდ თავისთვის ეგულებოდეთ! ნეტავ რას ჩამოგტირით

ცხვირ-პირი? წადით სახლებში; რაც იყოს, იყოს, შევავედრებ თქვენს ჩერჩეტ თავს მამა-ბატონს!

— შენი მუხლების ჭირიმე, ბატონო! ღმერთმა გიმრავლოს სიცოცხლის დღენი! — შეჰღაღადეს ვაჭრებმა.

ბატონიშვილი ცხენზე იჯდა. გვერდით ბასმანოვი ედგა. მთხოვნელები მუხლებზე იყვნენ დაჩოქილი მის წინაშე. უხუცესს ხელში ოქროს სინი ეჭირა პურ-მარილით.

მალიუტა ყველაფერს ხედავდა ფანჯრიდან.

— ხელმწიფეო, — ჩასჩურჩულა მან მეფეს, — ეტყობა, რომელიმე იმათგანმა ჩააგონა, ვინც ახლა უდგას გვერდით. შეხედე, აი ხალხი უკვე სამეფოდ ლოცავს!

და როგორც ჯადოსანს აშინებს ეშმაკეული ძალა, რომელიც თვითონვე გამოიხმო, ასევე შეაშინა მალიუტაც იმ გამომეტყველებამ, რაც მისმა სიტყვებმა მიაღებინა მეფის სახეს.

იოანეს ადამიანურობის ნატამალიც არ შერჩა სახეზე. ასეთი საშინელი არასოდეს უნახავს იგი მალიუტას.

რამდენიმე წამი გავიდა. უეცრად იოანემ გაიღიმა.

— გრიშა, — უთხრა მეფემ და ორივე ხელი მხრებზე დაადო სკურატოვს, — რაო, რას მეუბნებოდი ახლა? როკებსა და ტოტებს ჩეხავ, ტანი კი საღ-სალამათი დგასო, ხომ? გრიშა, — განაგრძობდა მეფე, თან ტკეპნით გამოთქვამდა თვითეულ სიტყვას და კაცის შემზარავი მესაიდუმლე თვალებით შეჰყურებდა მალიუტას, — მითხარი, ტვირთულობ ღალატის ძირფესვიანად ამოგდებას?

მალიუტას ბოროტმა სიხარულმა დაუბრიცა ტუჩები.

— შენი მოწყალებისთვის ვტვირთულობ, — წაიჩურჩულა მთელი სხეულით აცახცახებულმა.

იოანეს ერთბაშად ეცვალა იერი. ღიმილი გაუქრა, სახეზე გოროზი შეუპოვრობა გამოეხატა და ზედვე შეაციედა. მისი სახე ახლა მარმარილოსგან გამოთლილს ჰგავდა.

— ნულარ აყოვნებ! — მოკვეთილად ბრძანა ხელმწიფემ. — ძეხორციელმა არ უნდა იცოდეს ეს ამბავი. დღეს იგი სანადიროდ იქნება. ჰოდა, დაე დღესვე იპოვონ ტყეში. ხმა დააგდონ, ვითომც ცხენმა ათრია. იცი სად არის წყეული ტბა?

— ვიცი, ხელმწიფეო.

— ჰოდა, იქ იპოვონ! — მეფემ კარზე მიუთითა.

მალიუტა გავიდა და წინკარში შვებით ამოისუნთქა.

მეფე დიდხანს იდგა უძრავად. მერე მძიმე ნაბიჯით მივიდა ხატებთან და მუხლებზე დაემხო მათ წინაშე.

მალიუტას მრავალ მსახურთაგან უმამაცესი და უმარჯვესი მისი ჯილავდარი მატვეი ხომიაკი იყო. მას არ აკრთობდა ფათერაკები, უყვარდა შფოთი და რბევა-თარეში და მხოლოდ თავის ბატონს ჩამორჩებოდა სიმხეცეში. როცა მავანი სოფლის გადაწვა მოუნდებოდათ ან მავანისთვის სიგელის მიგდება, რომლის გამოც მერე ბოიარს სჯიდნენ, როცა მავანის ცოლის გატაცება დასჭირდებოდათ, ყოველთვის ხომიაკს გზავნიდნენ ხოლმე. და ხომიაკიც ბუგავდა სოფლებს, აპარებდა სიგელებს და ერთის ნაცვლად რამდენიმე ცოლს იტაცებდა.

ახლაც ხომიაკს მიაშურა სკურატოვმა. რაზე ბჭობდნენ განმარტოებულნი, არავის გაუგონია. მაგრამ სწორედ იმ დილით, როცა ბატონიშვილის მეძებრები გახელებული ყეფით აყრუებდნენ მოსკოვის შემოგარენს, ხოლო ჩასაფრებულ მონადირეთა მთელი ყურადღება მხოლოდ ნადირის მოლოდინს შეეპყრო და, თვალებად ქცეულნი, არც ფიქრობდნენ იმაზე, რას აკეთებდნენ მათ მეზობლად მათივე ამხანაგები, — ამ დროს უკაცრიელ შარაგზაზე, ნადირობის ასპარეზიდან შორს, თავგამეტებით მიჰქროდნენ ხომიაკი, მალიუტა და მათ შუა ჩამდგარი ხელებგაკრული, უნაგირს მიკრული ვიღაც მესამე მხედარი, რომელსაც სახეშავი ყაბალახით ჰქონდა შებურვილი. ერთ-ერთ მოსახვევთან მათ ოცი შეიარაღებული ოპრიჩნიკი შეუერთდა და ხმაგაუღებლად მიჰყვა უკან.

ამასობაში ნადირობა ჩვეულებისამებრ გრძელდებოდა და არავის შეუმჩნევია ბატონიშვილის არყოფნა, გარდა ორი ჯილავდარისა, რომლებიც ხევში ეყარნენ და სულს ღაფავდნენ დანებით განგმირულნი.

სლობოდიდან ოცდაათიოდე ვერსზე, ულრანი ტყის სიღრმეში, ერთი ლაფიანი, გაუვალი ჭანჭრობი იყო, რომელსაც ხალხი წყეულ ტბას ეძახდა. ბევრს საოცარ რასმე ამბობდნენ ამ ადგილზე. შეშის მჭრელებს ეშინოდათ შებინდებულზე მის სიახლოვეს გავლა. ირწმუნებოდნენ, ზაფხულის ღამეებში წყალზე ჭინკები, ავაზაკების მიერ მოკლულ და წყეულ ტბაში ჩაყრილ უბედურთა სულები, დახტიან და დაკუნტრუშობენო.

დღისით-მზისითაც კი ჭანჭრობი პირქუში იდუმალებით აფრთხობდა კაცს. მღვრიე და შავი წყლიდან უზარმაზარი, ქვემოდან ტოტებშემოძარცული ხეები იყო ამოზრდილი. მათი ორეულები, როგორც დაბინდულ სარკეში, ისე ლივლივებდა წყალში და უცნაურად მიაგავდა მახინჯ ადამიანებსა და არარსებულ ცხოველებს. ჭანჭრობის ახლომახლო ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. დროდადრო გარეული იხვების გუნდი მოფრინდებოდა ხოლმე მის ზედაპირზე საჭყუმპალაოდ. ლელიანში შე-

საბრალისად აკრიახდებოდა ლერწმის ქათამა, ხეების კენწეროებზე შავი ყორანი გადაიფრენდა და შორს გაისმოდა მისი ავბედითი ჩხავილის ექო. ზოგჯერ სადღაც, ძალიან შორს, ნაჯახის კაკუნს, მოჭრილი ხის ლაწანს და წამოქცევის ყრუ გრუხუნსაც გაიგონებდით.

მაგრამ, როცა მზე ხის კენწეროებს მიღმა ჩაცურდებოდა, როცა ჭანჭრობზე გამჭვირვალე ოხშივარი აბოლდებოდა, მაშინ ნაჯახის კაკუნი წყდებოდა და ადრინდელ ხმებს სულ სხვა ბგერები ცვლიდა. ახლა ბაყაყების გულისგამაწვრილებელი ყიყინი იწყებოდა, ჯერ წყნარი და მოკვეთილი, მერე და მერე კი უფრო ხმამაღალი, ერთობლივი, გუნდურად შერთული.

რაც უფრო მძლავრობდა სიბნელე, მით უფრო იჭაჭებოდნენ ქვეწარმავალნი. მათი ყიყინი თითქმის მთლიან, გაბმულ გნიასს წარმოქმნიდა. ყური ნელ-ნელა ეჩვეოდა მას და უკვე არჩევდა მის ხმაურში მგლების შორეულ ყმუილსა და ჭოტის ამაზრზენ კივილს. წყვდიადი თანდათან ძლიერდებოდა; საგნები ადრინდელ სახეს კარგავდნენ და ახალ გარეგნობას იძენდნენ. წყალი, ხეთა ტოტები და ნისლის ზოლები რაღაც მთლიანობად ერწყმოდა ერთიმეორეს. სახეები და ბგერები უცნაურად ირეოდნენ ერთმანეთში და თავგზას უბნევდნენ გაოგნებულ ადამიანს. წყეული ტბა ავი სულების საუფლო ხდებოდა.

სწორედ ამ დაწყევლილი ადგილისკენ მიიჩქაროდნენ, ოღონდ ღამის წყვდიადში კი არა, მზიანი დილით, დაოთხილ ბედაურებზე ამხედრებული მალიუტა და ოპრიჩნიკები.

და სწორედ მაშინ, როცა ისინი გამალებული მიიჩქაროდნენ და დაუზოგავად ერეკებოდნენ გაქაფულ ცხენებს, წყეული ტბის შორიახლოს უკეთური შესახედაობის სხვა მამაცები იკრიბებოდნენ უსიერ ტყეში.

XIII თავი

ვანიუხა პერსტენი და მისი ამხანაგები

ბერმუხებითა და გაუვალი ხერგილით მოზღუდულ მდელოზე რამდენიმე მიწური ქოხი იდგა; მათ შორის კი, წამოქცეულ კუნძებზე, ამობრუნებულ ჯირკვებზე, თივის გროვებსა და ხმელ ფოთლებზე სხვადასხვა ასაკის, ნაირნაირად დამოსილი უამრავი ხალხი იწვა ან იჯდა. ტყის სიღრმიდან განუწყვეტლივ მოეშურებოდნენ შეიარაღებული ვაჟკაცები და ამხანაგებს უერთდებოდნენ. დიდი სიჭრელე ეტყობოდა ამ ბრბოს.

სერმიაგები, ფერიაზები, ზუბუნები, ძონძები, ოქრომკედული მდიდრული სამოსელი დომხალივით ირეოდა ერთმანეთში. ზოგს ხმალი ეკიდა, სხვები კისტანებს ატრიალებდნენ ხელში ან ფართო ბერდიშებს ჩამოყრდნობოდნენ. ბევრი იყო აქ სახენაიარევი, სახედანაოჭებული, თმააჩეჩილი, წვერგაბურძგნული.

ტყედ გავარდნილთა ამქარი გუნდ-გუნდად იყო მოფენილი მდელოზე. შუაგულ მინდორზე ფაფას ხარშავდნენ და ძროხის ხორცს წვავდნენ ხის შამფურებზე. მოტკაცუნე ცეცხლზე ქვაბები ეკიდა; კვამლი მტრედისფერი ღრუბელივით მიიწევდა მაღლა და ნელ-ნელა შორდებოდა მწვანე წყვდიადს, სქელი კედელივით რომ ერტყა მდელოს ყოველ მხრიდან. მზარეულები წარამარა ახველებდნენ, თვალებს ისრესდნენ და პირს არიდებდნენ მხრჩოლავ კვამლს.

ცოტა მოშორებით გრძელწვერა, თმახუჭუჭა ჭაღარა მოხუცი რაღაც ზღაპარს უამბობდა ახალგაზრდებს. ის ფეხზე დამდგარი ლაპარაკობდა, გრძელტარიან ნაჯახზე ჩამოყრდნობილი. მოხუცს ასე უფრო ემარჯვებოდა ლაპარაკი. მას შეეძლო მთელი ტანით გამართულიყო, აქეთ-იქით მიბრუნებულიყო, შესაფერ დროს ნაჯახი აექნია და კიდევაც შეესტვინა მამაცურად. ბიჭები განაბულნი უსმენდნენ მოხუცს. ყურდაცქვეტილნი და პირდაღებულნი შესცქეროდნენ თვალებში. ზოგს მიწაზე მოერთბა ფეხი, ზოგი კუნძზე წამოსკუპებულიყო, ზოგსაც, უბრალოდ, ფეხები გაებოტა და თვალები დაეჭყიტა; მაგრამ უმეტესობა პირქვე გაშხლართულიყო და იდაყვები მიწაზე დაებჯინა, ნიკაპი კი — ხელისგულებზე: ასე უფრო უპრიანია მოსმენაო.

ცოტა იქით ორი ჭკუისკოლოფი თავში მუშტებს უბათქუნებდა ერთმანეთს. თამაშის ეშხი ის იყო, იმ ორში რომელი გამოტყდებოდა, მეტი აღარ შემიძლიაო. მაგრამ არც ერთს არ სურდა დათმობა. ორივე მოწინააღმდეგე უკვე ჭარხალივით გაწითლდა, მაგრამ ტყვიასავით მუშტებს მაინც გრდემლზე დაცემულ ურისავით გაჰქონდა ბრაგვანი მათ თავებზე.

— ბიჭო, ხლოპკო, იქნებ იკმარო, ჰა? — ჰკითხა იმან, რომელიც უფრო სუსტი ჩანდა.

— ვერ მოგართვი, ჩემო ანდრიუშა! თუ გამიჭირდა, უშენოდაც მოვახერხებ თქმას. აი შენ კი გაძახებინებ ვაიდედას!

და მუშტებს კვლავ გაუდიოდა ბრაგაბრუგი.

— უყურეთ, ძმებო, ახლა კი გაგორდება ჩვენი ანდრიუშა, — ამბობდნენ მოსეირენი.

— არა, არ გაგორდება! — ექომაგებოდნენ სხვები. — რა სჭირს მაგას გასაგორებელი, იცოცხლე, კაი კერკეტი თავი აქვს!

— აბა ნახავ, თუ არ გაგორდეს!

მაგრამ ანდრიუშას მართლაც არ სურდა ძირს გაგორება. მან ხრიკი იხმარა და, იმის მაგიერ, რომ კინკრიხოში ჩაერტყა მოცილესთვის, შიგ საფეთქელში ხეთქა მუშტი.

ხლოპკო, როგორც იყო წახრილი, ისევე წაემხო მიწაში.

მოსეირეთა ერთ ნაწილს ხარხარი აუტყდა, მაგრამ უმრავლესობა აღშფოთდა.

— უპატიოსნოდ მოექცა, უპატიოსნოდ! — აყვირდნენ ისინი. — ანდრიუშამ იეშმაკა, ხრიკი იხმარა! ქოთები მაგას!

და ანდრიუშა იქვე მიბეგვეს.

— რომელ ქარს მოჰყოლიხართ, მამაცებო? — ჰკითხა მოხუცმა მეზღაპრემ რამდენიმე ყმაწვილს, რომლებიც ცეცხლს მიუახლოვდნენ და ვაუბედავად აცეცებდნენ თვალებს აქეთ-იქით.

ისინი ერთმა ბრაზიანმა ოტროველამ მოიყვანა, რომელსაც პირფართე დანა ეკიდა წელზე; ბიჭები უიარაღოდ იყვნენ და ახალბედებს ჰგავდნენ.

— ხომ გეყურებათ, შევარდნებო! — მიმართა მათ ბრაზიანმა ოტროველამ, — კორშუნ პაპა გეკითხებათ, რომელ ქარს მოჰყოლიხართო? უპასუხეთ პაპას.

— რომელსა და, ისა, ეგრეა ჩვენი ამბავი. მე თითონ მოსკოვის თემიდან ვარ! — მიუგო ერთმა ყმაწვილთაგანმა ოდნავი ენის ბორძიკით.

— მერე რისთვის გადმოფრენილხარ ბუდიდან? — ჰკითხა კორშუნმა. — ყინვამ დაგსუსხა თუ ცეცხლი შეგენთო?

— ეგრეა, ცეცხლი შემენთო! — უპასუხა ბიჭმა. — როცა ოპრიჩნიკებმა ქოხი ააბრიალეს, მაშინ ჯერ ცეცხლი შემომენთო, მარა ქოხი რომ დაიწვა, მერე კი სუსხმა დამკრა კერადაქცეულს.

— ჰოო, აი თურმე რა მოგსვლია. გატყობ, უჭკუო ჯეელი არ უნდა იყო... აბა, შენ რიღასთვის მოხვედი?

— ეგებ ნათესავები ვიპოვო-მეთქი!

ყაჩაღებს ხარხარი აუტყდათ.

— უყურე ამას, რა მოიგონა. რომელ ნათესავებზე ბოდავ, ბიჭო?

— აი, ოპრიჩნიკებმა მშობელი დედ-მამა რო დამიხოცეს და და-ძმანიც ზედ წააკლეს, მაშინ მომეწყინა მარტოკას ამ ქვეყნად. ჰოდა, ვიფიქრე გუნებაში: მოდი, კეთილ ხალხთან წავალ, ისინი არაფერს დამამადლიან, საჭმელსაც მინაწილებენ და სასმელსაც-მეთქი, ძმობასაც გამიწევენ და მამობასაც-მეთქი! აი ამ ჯეელს გადავეყარე დუქანში, მიეხვდი, თქვენიანი რომ იყო, ჰოდა, ვთხოვე წამოვეყვანე.

— კაი ბიჭი ჩანხარ! — უთხრეს ყაჩაღებმა: — მოდი აქ, ჩვენთან დაჯექი, ერთად გავინაწილოთ ლუკმა, ძმებად გვიგულე ყველანი!

— ეგ კი რაღას დგას, ცხვირჩამოშვებული, თითქოს ვიღაცას ხახამშრალი დაუტოვებიაო? შენ ეი, მტირალავ, ნეტავ რას გეებუტები? არ გვეტყვი, სადაური ხარ?

— კოლომნელი! — ძლივს მოაბრუნა ენა ზორზოხა ყმაწვილმა, სახედაძმარებული რომ იდგა ყველაზე უკან.

— რაო მერე, შენც ოპრიჩნიკებმა გაწყენინეს?

— საცოლე წამართვეს! — უგულოდ და ხმაგაჯანჯლებით უპასუხა ყმაწვილმა.

— აბა ერთი მოგვიყევი, როგორ იყო საქმე?

— რა უნდა მოგიყვეთ! ჩამოიქროლეს და წაიყვანეს!

— ჰოდა, მერე?

— რა მერე? მერე არაფერი!

— როგორ თუ არაფერი! რატომ არ დაიხსენი საცოლე?

— ვინ გაცალა მერე! ჩამოიქროლეს თუ არა, მაშინვე გააქრეს.

— ჰოდა, შენც პირდაღებული უყურებდი, შე დოყლაპიავ?

— არა, მას უკან, რომ გაიქცნენ, ისე გავბრაზდი, ისე, რო ღმერთმა გაშოროს.

ყაჩაღები კვლავ ახარხარდნენ.

— შენ, ჩემო ძმაო, გეტყობა, გვიან ფხიზლდები!

ბიჭი ყეყეჩურად გაიღრიჭა და ხმას არ იღებდა.

— ეი, შენ, ბედოვლათო! — უთხრა ერთმა ყაჩაღმა, — საცოლე თუ წაგართვეს, მაგით ჯერ ქვეყანა არ დაქცეულა, რომ ცხვირ-პირი ჩამოგტიროდეს! მეორეს მონახავ!

ბიჭი პირდაღებული იცქირებოდა და კრინტს არ ძრავდა.

ყაჩაღებს მისი სახე სასეირო ეჩვენათ.

— არ გეყურება? შენ გელაპარაკებიან! — უთხრა ერთმა მათგანმა და ფერდში უბიძგა.

ყმაწვილი დუმდა.

ყაჩაღმა უფრო ძლიერად უბიძგა.

ყმაწვილმა ისე ყეყეჩურად შეხედა მას, რომ კვლავ ხარხარი აუტყდა ყველას.

რამდენიმე კაცი მასთან მივიდა და მუჯლუგუნები წაჰკრეს აქეთ-იქიდან.

ბიჭმა არ იცოდა, გული მოსელოდა თუ რა ექნა, მაგრამ ერთმა სხვებზე ძლიერმა მუჯლუგუნმა ძილქუშური სიმშვიდე დააკარგვინა.

— გეყოფათ ბღლაძუნი! — თქვა მან. — ფქვილის ტომარა გგონივართ თუ როგორაა თქვენი ამბავი? თავი გამანებეთ, გაკბრაზდები!

ყაჩაღები ამაზე მთლად გადაბუირდნენ.

ბიჭს მართლაც უნდოდა გაჯავრებულიყო, მაგრამ სიზარმაცე და ბუნებით მძინარა ზნე უცხრობდნენ სიბრაზეს. ფიქრობდა, არ ღირს ამ უბრალო თავის შექცევაზე გულის მოსვლაო, სხვა რამ საგულისხმო მიზეზს კი გასაბრაზებლად ვერას ხედავდა!

— გაბრაზდი მერე, შე ყეყეჩო! — უთხრეს ყაჩაღებმა, — რატომ არ ბრაზდები?

— აბა ერთი კიდევ გამკარით!

— უყურე ამას, რა გაუმაძღარი ყოფილა! აჰა, ერთიც!

— აბა ერთიც კიდევ, უფრო გემოზედ!

— აი კიდევ ერთიც!

— აბა ახლა დამიდექით! — თქვა უკვე ხუმრობაგაშვებით გაბრაზებულმა ყმაწვილმა.

მან მკლავები დაიკარწახა, ხელისგულებზე დაიფურთხა და ღაერია განურჩევლად მტყუანს და მართალს. ყაჩაღები არ ელოდნენ ასეთ შემოტევას. მასთან ყველაზე ახლოს მდგომნი თვალისდახამხამებაში აყირავდნენ და ისე მიასკდნენ ამხანაგებს, რომ ისინიც მიწაზე გაშხლართეს. ეს ამოდენა დუნდგო ხალხი ცეცხლს მიაწყდა უკან გამხტარი; ქვაბი გადმოვარდა და ფაფა ნაკვერცხლებზე გაიღვარა.

— აბა, აბა, გეყოფა ახლა, გეყოფა, შე ტარტაროზო! გაგიჟდი თუ რა შოგივიდა! შენ გეუბნებიან, გეყოფა ახლა! — უყვიროდნენ ყაჩაღები.

მაგრამ ბიჭს უკვე აღარაფერი ესმოდა. ის გამწარებით იქნევდა მუშტებს მარჯვნივ და მარცხნივ და ყოველ დარტყმაზე აქცევდა თითო ყაჩაღს, ზოგჯერ კი ორსაც ერთად.

— დათვია, ეს ოხერი, ვიღაცაა! — იძახდნენ ისინი, რომლებიც განზე გახტომას ასწრებდნენ.

ბოლოს ყმაწვილი გონს მოეგო, ჩხუბი მიატოვა, მიყრილ-მოყრილი და დამტვრეული ქოთნების გროვას გადახედა და კეფა მოიქექა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „მართლაც, ეს რა მივქარეო!“

— ერიჰა, ძმობილო! — გაიძახოდნენ ყაჩაღები, თან ფეხზე დგებოდნენ და გვერდებს იზელდნენ, — მაშინ რომ დროით გაბრაზებულიყავ, ვერ წაგართმევდნენ იმ შენ საცოლეს! ბიჭოს, უყურეთ ამ ილია მურომელს!

— აბა ახლა შენი სახელიც გვითხარი, ვაჟკაცო! — უთხრა მოხუცმა ყაჩაღმა.

— მიტკა მქვია!

— ჰო-ო, მიტკა გქვია? ყოჩაღ, მიტკა!

— ბარაქალა, მიტკა!

— ბიჭებო! — დაიძახა ერთმა მამაცმა, რომელიც ქოშინით მოვარდა მათთან, — ატამანი კვლავ ვოლგაზე ყაჩაღობის ამბებს ყვება. სუყველამ მიატოვა სიმღერაც, ზღაპრებიც და ატამანს შემოუსხდნენ. ჩქარა წავიდეთ, თორემ ადგილსაც ვეღარ ვიპოვით!

— წავიდეთ, წავიდეთ, ატამანს მოვუსმინოთ! — შესძახეს ყაჩაღებმა.

ვეება მუხის ჩრდილში საშუალო ტანის ბეჭბრტყელი ვაჟკაცი იჯდა კუნძზე. მას ოქრომკედით ნაქარგი მდიდრული ზუბუნი ეცვა, თავზე კი ჩაჩქანი, ანუ რკინის მრგვალი ქუდი ეხურა, სკუფიისმაგვარი. ჩაჩქანზე ზარადი, ანუ ფოლადის ჯაჭვის ბადე იყო ჩამობმული, რომელიც ხმლისგან იცავდა კეფას, კისერსა და ყურებს. ბეჭბრტყელ ვაჟკაცს ხის ტარზე დაგებული, ერთ მხარეს მახვილჭვინტიანი კვერი — ურო ეჭირა ხელში. ამ მოკაზმულობაში ძნელი იყო ჩვენი ძველი ნაცნობის, ვანიუხა პერსტენის ცნობა. მოუსვენარი თვალები აქეთ-იქით დაურბოდა. მოკლედ შეკრეჭილი შავი ულვაშის ქვემოთ ისე უელავდა თეთრი კბილები, იფიქრებდით, მთელ სახეს უშუქებენო.

ყაჩაღები ხმაგაკმენდილნი უსმენდნენ ატამანს.

— ჰოდა ასე, ძმებო, — ამბობდა პერსტენი, — ეგ კიდევ არ არის გასაკვირველი, აღალს გადაუდგე ან დიდკაცი გაძარცვო, როცა ათნი ერთზე მიდიხართ. გასაკვირველი ის იქნებოდა, ერთმა რომ გააჩეროს და გაძარცვოს ორმოცდაათი და თუნდ მეტი კაცი!

— ეგ კი მეტისმეტი მოგივიდა! — გამოეპასუხნენ ყაჩაღები, — იფ, რა ცოტა რამ მოგეგუნება?! იქნებ ისიც თქვა, მე გავაჩერებო?!

— მე ახლა ჩემ თავზე არ ვლაპარაკობ, ისეთ ვაჟკაცს კი დიაღაც ვიცნობ, მარტოკა რომ აჩერებდა აღალებს.

— ეგ ვაჟკაცი, ნეტავ, ის შენი ვოლგელი გოლიათი ხომ არ არის, ჰა?

— სწორედ ის არის. აი, მაგალითად, ერთხელაც იყო, ასტრახანიდან ერთი ბაგირიანი გემი მოირწეოდა ამოღმა დედავოლგაზე. გემზე კი ბლომად ხალხია: ვაჭრები, სულ დარჩეული მამაცები, სიათებით, ხმლებით, გადაღელილი ხიფთანებით, გვერდზე მოგდებული ქუდებით, ჩვენსავით ბიჭად-ბიჭები. ახლა ტვირთს არ იკითხავთ? ოქრო, თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ასტრახანული საქონელი და ათასნაირი რაგინდარა — სუ სავსეა ამეებით და რასაც კაცი მოინატრებს! ჰოდა, მოირწევა გემი, მდინარის ნაპირი კი ჩახრამულია, საბაგირო ბილიკი — ჭვრილი, ხოლო შუა ვოლგაში კუნძულია გაჩხერილი: შიშველი კლდე, თა-

ნაც დინების საპირისპიროდ, იფიქრებ, დანა მოუმარჯვებიაო, ისე აქვს წამოშვერილი ქიმი, ისე წამახული, რომ ღმერთმა გაშოროს.

ჰოდა, შეიტყო ამ ჩემმა მამაცმა, რითაც ღმერთს გამოესტუმრებინა ეს გემი. ხმა არ გაუღია არავისთან, წამოვიდა დილაადრიან, დაუდარაჯდა ბუჩქებში, ელოდება გულარხეინად. გამოხდა საათი, ერთი, მეორე, ხედავს — მოდიან დაძაგრული მეჭაპანეები, თორმეტიოდე კაცი, მწკრივად ჩარიგებულან, თავგადაკლულნი ეწევიან ღვედებს და ხმამაღლა ხვნეშიან ენაგადმოგდებულნი. ჩანს, მსუბუქი არაა გემი, დინებაც სწრაფია და უჭირს ხალხს!

ჰოდა, ეს ჩემი მამაცი დაელოდა, რომ ერთი ორმოცდაათიოდ საჟენზე მაინც გასცდენოდნენ იმ წამახულ კლდეს. მაშინ კი ისკუპა ბუჩქებიდან, დაჰკრა ხმალი ამ შენ ბაგირს და, გაგიხარია, ყველივით გადაჭრა. მეჭაპანეები, როგორც მიდიოდნენ, საბრალოები, ისევე წაერჭვნენ ცხვირით მიწაში. ჰოდა მისდგა ეს ჩემი მამაცი ვის კისტანით, ვის მუშტებით, ვინ კიდევ წამოხტა და, ჰაიდა, მოქუსლა თავქუდმოგლეჯით! დაითრია დინებამ გემი და მიაცურებს უკანვე, პირდაპირ კლდისკენ. შეფუცხუნდნენ ვაჭრები, არც გახსენებიათ ესროლათ ყაჩაღისთვის, მხოლოდ იმას ფიქრობენ, რა გზით ასცდნენ წამახულ კლდეს! ჩემმა მამაცმა კი ამასობაში ერთი ხელი ბაგირს ჩასტაცა, მეორეთი ხეს მოეჭიდა, და გააჩერა გემი.

„ეი, თქვენ, მეარშინეებო, ვაჭრებო! უშიშარო მამაცებო! აბა გადაუძახეთ წყალში ეგ ხმლები და სიათები, ნამუსიანად გთხოვთ, თორემ გაეუშვებ ამ ბაგირს და მერე დაემშვიდობეთ თავსაც და ემაგ ტვირთსაც!“

ვაჭრებმა ერთი პირობა ლულებიც კი დაუღირეს გოლიათს, მაგრამ მაშინვე დაუშვეს, იფიქრეს: ეს რა გამოვა? ეგ რომ მოვკლათ, ბაგირს ვინღა დაიჭერს?

სხვა გზა არ იყო, გადაყარეს იარაღი, ოღონდ ყველამ არა. იფიქრეს: ამოდი ერთი გემბანზე, მამაცო, მაშინ გიჩვენებთ როგორ უნდა ძარცვაო! მაგრამ არც ჩემი გოლიათი იყო ბუზიყლაპია.

„კეთილი, — გასძახის ნაპირიდან, — ძვირფასო ვაჭრუკებო, იარაღი ხომ წავიდა ფსკერზე, ახლა ბარემ თქვენც მიყევით, ვისაც საით გაგეხარდებათ! ესე იგი, სხვანაირად რომ გითხრათ: გადმოეშვით თავდაღმა სუყველანი ემაგ გემიდან!“

ერთი პირობა ვითომ გაჯიუტდნენ ჩვენი ვაჭრები, მაგრამ ამან, ძმებო, ხეს გამოაბა ბაგირი, სიათას სტაცა ხელი და, ერთი და ორი, მისცხო ტყვიები.

მაშინ კი, იცოცხლე, იკადრეს და, რამდენნიც იყვნენ, სულ ტყაპატყუპით გადაცვივდნენ წყალში ბაყაყებივით.

ის კი უყვირის:

„აქეთ ნუ მოცურავთ, იმ ნაპირს მიადექით, თორემ სულ იხვებივით ამოგჟუჟავთ ყველას!“

რაო, ბიჭებო, ყოფილა ვაჟკაცი?

— კაი დაგემართოს! — თქვეს ყაჩაღებმა, — ვაჟკაცი მართლა ეგა ყოფილა! მერე იმ გემს რაღა უყო?

— გემს რაღა უყო? დაიხვია ხელზე ბაგირი, თითქოს ქალალდის ფრანის თამასა ყოფილიყოს, და თავთხელზე ამოათრია გემი.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, პოლკანის ოდენაა ის დალოცვილი, თუ რა?

— არა, პოლკანის ოდენა არ არის. ტანად ჩემოდენაა, მეტი არა, ოღონდ მხრები კი ექნება ჩემზე განიერი!

— შენზე განიერი! ახლა მთლად ნუ აგვიგდებ, კაცო! მაშინ რა გამოდის, ვის ემგვანება, ჰა?

— ვის უნდა ჰგავდეს, ვაჟკაცს ჰგავს: თმაგაბურძგნული, შავწვერა, მხრებში ოდნავ მოხრილი, სახე ისეთი, უმარილოს რომ ეტყვიან, მაგრამ, სამაგიეროდ, თვალებში შეხედავ — და შიში დაგიელის!

— ნება შენია, ატამანო, ისე ლაპარაკობ იმაზე, თითქოს რაღაც საოცრება იყოს, ჩვენ კი მაინცდამაინც არ გვჯერა. რაც გინდა თქვი, და შენზე მამაცი არავინ გვინახავს ჯერ!

— ჩემი მჯობნი არ გინახავთ?! ანკი უმაგისოდაც რა გინახავთ, თქვე შტერებო! ჰოდა, იცოდეთ ახლა მაინც, — გაცხარებით განაგრძობდა ჰერსტენი, — იცოდეთ, რომ მასთან სახსენებელიც არ ვარ! კაცუნა ვარ, საცოდავი კაცუნა, და მეტი არაფერი!

— მერედა, რა ჰქვია იმ შენ გოლიათს?

— მისი სახელი, ძმებო, ერმაკ ტიმოფეევიჩია!

— უყურე შენ, რა სახელი რქმევია! მერე ასე მარტოდმარტო, უძმაკაცებოდ დაეხეტება?

— არა, მარტო რად იქნება! თავისი სანაქებო ბრბოცა ჰყავს და ერთგული იასაულებიც. ოღონდ ესაა, გაურისხდა იმათ მართლმადიდებელი მეფე, თავისი რაზმი გაგზავნა ვოლგაზე და უბრძანა, სახსენებელიც არ დატოვოთ იმათიო, ხოლო ერთი იასაული რომ ყავთ, ივან კოლცო, იმას კი თავი წაჭერით და მოსკოვში ჩამომიტანეთო.

— მერე დაიჭირეს?

— კინაღამ დაიჭირეს მეფის კაცებმა კოლცო, ოღონდ თვალსა და

ხელს შუა გაუძვრა იმათ და ღვთივდანაბად ქვეყანაზე სახეტიალოდ გადაიხვეწა. სად არის ახლა, სვედამწვარი, ღმერთმა უწყის, ოღონდ, მიგრძნობს გული, მალე კვლავ ვოლგაზე გაჩნდება! ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ვოლგაზე, სხვა მხარეს ველარ შეეთვისება!

დადუმდა ატამანი და ფიქრს მიეცა.

ყაჩაღებიც ფიქრში წავიდნენ. ვეება მკერდებზე დაჰქინდრეს შფოთიანი თავები და დადუმებულნი აწვალებდნენ გრძელ ულვაშებსა და გაფარჩხულ წვერებს. ნეტავ რაზე ფიქრობდნენ იმ მდელოზე, ულრანი ტყის გულში შეხიზნული მამაცები? თავიანთ დაღუპულ ყმაწვილკაცობაზე ან იმ დროზე ხომ არა, როცა ჯერაც პატიოსანი მეომრები და მშვიდობიანი მხვნელ-მთესველები იყვნენ? ვერცხლებრ გაღვრილ დედაოლგაზე ან იმ საოცარ გოლიათზე ხომ არა, ვის ვაჟკაცობაზედაც პერსტენი უამბობდათ? თუ, ეს ყოველივე არც ახსოვდათ, და თვალწინ ედგათ ტრიალ მინდორზე ამართული ორად-ორი სვეტი და ზედ გადებული ძელი, რომელზედაც ყველა გავარდნილი, თავზეხელაღებული კაცი ფიქრობდა მაშინ სევდის მძიმე წუთებში?

— ატამანო! — შეჰყვირა ერთმა ყაჩაღმა, რომელმაც პერსტენთან მოირბინა და სულს ძლივს იბრუნებდა ქოშინისგან, — აქედან ასე ხუთიოდ ვერსზე, რიაზანის გზაზე, ოციოდე ცხენოსანი გამოჩნდა, მდიდრული იარაღი ასხიათ, სულ ოქრომკედით უელავთ ხიფთანები! ისეთი ბედაურები და სინიბები ჰყავთ, თითო ასი მანეთი და მეტიც ეღირება!

— საით მიდიან? — ჰკითხა პერსტენმა და წამოხტა.

— აი ეს არის წყეული ტბისკენ გაუხვიეს. დავინახე თუ არა, მაშინვე აქეთკენ მოვკურცხლე, პირდაპირ გადმოვრბოდი ჭაობზე და ტყე-ტყე.

— აბა, ბიჭებო! — შესძახა პერსტენმა, — გეყოფათ ახლა კოდალების სტვენა! ოცი კაცი გაემზადეთ, ჩემთან წამოხვალთ!

— შენ კი, კორშუნ, — ახლა მოხუც ყაჩაღს მიუბრუნდა და განაგრძო მან, — კიდევ ოცი სხვა შეარჩიე, დაბრეცილ მუხასთან ჩასაფრდი და გზა მოუჭერი იმათ, თუ, ვინიცობაა, ჩვენ დავაგვიანეთ. აბა, ცოცხლად აისხით იარაღი!

პერსტენმა კვერი აიქნია და თვალები ააელვარა. ახლა ის მრისხანე მხედართუფროსს ჰგავდა, მისი მორჩილი ლაშქრის წინამძღოლს.

ყაჩაღებმა ერთბაშად გადაივიწყეს ადრინდელი თამამი ქცევა და ახლა უდრტვინველი მორჩილებით ასრულებდნენ მის ნება-სურვილს.

წამის უმალ ორმოცი ავაზაკი გამოეყო ბრბოს და ორ რაზმად გაიყო.

— ეი, მიტკა! — უთხრა კორშუნმა იმ კოლომნელ ყმაწვილს, — აჰა

შენ კომბალი, ჩვენთან წამოდი, და გაიჭაჭე რაც შეგიძლია, იქნებ გაბრაზდე!

მიტკა ბრიყვულად გაიღმიჭა, გულგრილად გამოართვა მოხუცს უშველებელი ხელკეტი, მხარზე მოიგდო და ბლაყუნით მიჰყვა თავის რაზმს დაბრეცილი მუხისკენ.

მეორე რაზმმა კი, პერსტენის წინამძღოლობით, წყეულ ტბას მიაშურა გამალებით, უცნობი მხედრებისთვის გზის მოსაჭრელად.

XIV თავი

სილაჟი

სწორედ იმ დროს, როცა მალიუტასა და ხომიაკს, ოპრიჩნიკთა რაზმის თანხლებით, წყეული ტბისკენ მიჰყავდათ უცნობი, სერებრიანი სუფრას უჯდა, ნება-ნება ცლიდა თასებს და მეგობრულად საუბრობდა გოდუნოვთან.

— ჩემო ბორის, — ეუბნებოდა სერებრიანი, — ნეტავ რა შეემთხვა მეფეს წუხელ? რა იყო, მთელი სლობოდა რომ წამოიშალა შუაღამისას? თუ ასეთი ამბავი ხშირია თქვენთან?

გოდუნოვმა მხრები აიჩეჩა.

— დიდი ხელმწიფე, — თქვა მან, — ხშირად ნანობს თავის ორგულთა სიკვდილით დასჯას და დასტირის მათ, ხშირად ლოცულობს მათი სულის საცხონებლად. ხოლო ღამით რომ გვიხმო ლიტანიაზე, ეგ სულაც არ არის გასაკვირი. თვითონ ვასილი დიდი ამბობს გრიგოლ ნაზიანზელისადმი თავის მეორე ეპისტოლეში: რაიც სხვებისთვის დილა, ღვთისმოსაობასა შინა მაშვრალთათვის შუაღამეო. ღამის სიმყუდროვეში, როცა არც თვალი, არც ყური გულთან ახლოსაც არ აკარებს ავსა და ბოროტს, კაცის გონებას ღმერთთან ყოფნა მართებს.

— ბორის ფიოდორიჩ! მქონია შემთხვევა და მინახავს წინათ, როგორ ლოცულობდა მეფე; მაშინ ასე როდი იყო. ახლა ყველაფერი უკულმართადაა. ამ ოპრიჩნინისაც ვერაფერი გამიგია. ეგენი მონაზენები კი არა, ყაჩაღები არიან. ორიოდე დღეა მოსკოვს დავბრუნდი, მაგრამ უკვე იმდენი სიავკაცე შევიტყვე და ვიხილე, ვერც დაიჯერებ კაცი. როგორც ჩანს, გრძნებით შეკრეს ხელმწიფე. აი, შენ, ჩემო ბორის, ახლოს ხარ მასთან, უყვარხარ კიდეც, რა იქნება, ოპრიჩნინაზე რომ გადაუკრა ერთიორი სიტყვა?

გოდუნოვს ღიმილი მოჰგვარა სერებრიანის გულუბრყვილობამ.

— მეფე ყველასადმი მოწყალეა, — მოჩვენებითი თვინიერებით თქვა მან, — და მეც იმაზე მეტ პატივში ვყავარ, ვიდრე ღირსვარ. რას ემგვანება, ხელმწიფის საქმეთა განსჯა რომ დავიწყო, მეფეს ჭკუის სწავლება რომ შევბედო. ხოლო ოპრიჩნინა კი ძნელი მისახვედრი არ არის: მთელი ქვეყანა ხელმწიფისაა, ჩვენ ყველანი კი მისი დიდობის ქვეშევრდომნი ვართ; რასაც ხელმწიფე თავისთვის მიითვლის, მისია, ხოლო რასაც ჩვენ გვიწყალობებს, ჩვენია; ვისაც თავისთან ყოფნას უბრძანებს, მასთან ახლოს არის, ხოლო ვისაც არ უბრძანებს, მისგან შორს არის. აი ესაა სულ ოპრიჩნინა.

— ჰო, ჩემო ბორის, როცა ასე ლაპარაკობ, კაცი იფიქრებს, უჩვეულო არაფერია ამ ამბავშიო, ნამდვილად კი ასე როდია. ოპრიჩნიკები თათრებზე უარესად არბევენ და აწიოკებენ ზემშჩინას. დაუსჯელად დათარეშობენ. ლამის დაღუპონ მთელი ქვეყანა! გეთქვა ეს მეფისთვის. შენ ნამდვილად დაგიჯერებდა!

— თავადო ნიკიტა, ბევრი ბოროტება ხდება ამ ქვეყნად. ადამიანები იმიტომ კი არ ღუპავენ ერთმანეთს, რომ ერთი ოპრიჩნიკია და მეორე ზემშჩინელი, არამედ იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც ადამიანები არიან! ვთქვათ, ვუთხარი მეფეს; მერე რა გამოვა აქედან? ყველანი მე ამიმხედრდებიან, და თვითონ მეფეც მე შემომწყრება!..

— მერე რა? დაე შემოგწყრეს, სამაგიეროდ, პატიოსნად მოიქცევი, სიმართლეს ეტყვი!

— თავადო! სიმართლის თქმა ადვილია, მაგრამ კაცმა უნდა იცოდე, სად და როგორ თქვა. მეფის ურჩობა რომ დამეწყო, დიდი ხანია აქ აღარ ვიქნებოდი, ხოლო მე რომ არ ვყოფილიყავი, ვინ გიხსნიდა გუშინ თავსაკვეთი კუნძისგან?

— რაც მართალია, მართალია, ჩემო ბორის, ღმერთმა კარგად გამყოფოს, დაღუპვა არ ამცდებოდა უშენოდ!

გოდუნოვმა იფიქრა, ჩემს სიმართლეში დავარწმუნე თავადიო.

— აი, რა, თავადო, — განაგრძო მან, — კარგია სიმართლისთვის დგომა, ოღონდ, ვაი რომ მარტოხელა კაცი ჭამაშიც ბრალია. რას იზამდი, მაგალითად, ორმოცი ქურდი რომ შენს თვალწინ სცემოდა მოსაკლავად უდანაშაულო კაცს?

— რას ვიზამდი? ცხადია, რასაც ვიზამდი: ვიშიშვლებდი ამ ჩემ ხმალს, დავერეოდი ორმოციოვეს და მანამ ვჩეხავდი, სანამ ღმერთს არ მივაბარებდი სულს!

გოდუნოვმა გაკვირვებით შეხედა თავადს.

— ჰოდა, მართლაც მიაბარებდი, თავადო, — უთხრა მან, — მეხუთე, დიდი-დიდი მეათე ქურდზე, დანარჩენები კი მაინც მოკლავდნენ იმ უდანაშაულო კაცს. არა, ისევ ის სჯობს, ხელი არ ახლო იმათ, თავადო; ხოლო როცა მსხვერპლის გაძარცვას შეუდგებიან, მაშინ კი დასძახო: სტეპკომ მიშკაზე მეტი ჩაიჯიბაო და, იცოცხლე, თვითონვე დაღადრიან ყელს ერთი-მეორეს!

სერებრიანის არ მოეწონა მისი პასუხი. გოდუნოვმა შენიშნა ეს და საუბარი სხვა ამბავზე გადაიტანა.

— ოჰო, — თქვა მან, თან ფანჯარაში იცქირებოდა, — ნეტავ ვინ არის კისრისტეხით რომ მოაჭენებს ცხენს? აბა, გაიხედე, თავადო, თუ არ მეშლება, ეგ შენი ჯილავდარი უნდა იყოს?

— არა მგონია! — მიუგო სერებრიანიმ, — ის ამ დილით დამეთხოვა და სალოცავად წავიდა აქედან ოციოდ ვერსზე...

მაგრამ კარგად რომ დააკვირდა ცხენოსანს, თავადმა მართლაც მიხეიჩი შეიცნო. მოხუცს მკვდრისფერი ედო. უბელო ცხენზე იჯდა. ეტყობა, სიჩქარეში უანგარიშოდ მოახტა ზურგზე, ახლა კი წესი და თავაზიანობაც დავიწყებოდა, ისე შემოიჭრა ეზოში და ზედ სადარბაზოს ფანჯრებთან მიაგდო ცხენი.

— ბატონო, ნიკიტა რომანიჩ! — შორიდანვე მოაყვირა მან, — შენ აქ პურ-მარილს შეექცევი, განცხრომაში ხარ, და უბედურება რომ არის ჩვენს თავს, არ იცი? აგერ ახლა, იმ ეკლესიას იქით, მალიუტა სკურატოვს და ხომიაკს გადავეყარე; ცხენებით მოდიოდნენ, შუაში კი გათოკილი მოჰყავდათ, შენ გგონია, ვინ? თვითონ ბატონიშვილი! თვითონ ბატონიშვილი, თავადო! შავი ყაბალახი მოუხვევიათ მისთვის, შეჩვენებულებს, მაგრამ ქარმა მოუფრიალა ის ყაბალახი და, ღმერთო დიდებულო, მაშინვე ვიცანი ბატონიშვილი! თვალებით ისეთნაირად შემომხედა, თითქოს შველას მთხოვსო, მალიუტა კი, მგლის კბილი იმას, მაშინვე მიუხტა და ისევ ჩამოაფხატა ყაბალახი სახეზე!

სერებრიანი ფეხზე წამოიჭრა.

— გესმის, გესმის, ბორის ფიოდოროვიჩ! — შეჰყვირა მან და თვალები დააკვესა. — ახლაც ველოდოთ, როდის დაერევიან ქურდები ერთიმეორეს? — და ის კიბეზე დაეშვა.

— მომეცი ცხენი! — შეჰყვირა და ავშარა გამოსტაცა მიხეიჩს.

— აჰ, ღმერთო მომკალი, — უთხრა მიხეიჩმა, — ეგ ცხენი რა საშენოა, ბატონო, ეგ საჯაგვე ცხენია, უნაგირიც არ ადგას... როგორ იქნება ამნაირი ცხენით მეფესთან წასვლა?..

მაგრამ თავადი უკვე მოეელო ცხენს და, მეფესთან კი არა, მალიუტას კვალზე გაფრინდა...

არის ერთი ძველი სიმღერა, შესაძლოა, იოანეს დროინდელი, რომელიც თავისებურად აღწერს ამ ამბავს:

როცა აგებდნენ ქვა-კირით მოსკოვს,
იწყო მეფობა ხელმწიფე იან ვასილეიჩმა,
მან შეუტია ქალაქ ყაზანსა,
ქალაქ ყაზანსა და ასტრახანსა;
აიღო გზაზე ჩაელით ყაზანი,
ტყვედ ჰყო ხელმწიფე და ლედოფალი;
მოლალატენი გაეუჟა ფსკოვში,
გაეუჟა ფსკოვში და ნოვგოროდში.
მაგრამ როგორღა ამოძირკვავს ღალატს მოსკოვში?
და უთხრა მაშინ მალიუტამ, ავმა სკურლატოვიჩმა:
„ეჰ, ბრალი შენი, ხელმწიფეე ჩემო!
ვერ ამოძირკვავ შენს დღეში ღალატს!
შენი მოქიშპე შენს წინ ნებივრობს,
შენივ ჯამიდან საჭმელს მიირთმევს,
შენივ თასიდან სვამს ღვინოს იგი
და შენს შესაფერ სამოსს ატარებს!“
და ყოველივეს მყის მიხვდა მეფე.
ბატონიშვილზე განრისხდა მაშინ:
„ეჰ, თავადებო, ბოიარებო!
ყრმა ბატონიშვილს წაავლეთ ხელი ქათქათა ხელზე,
ჩაცვით იმას შაეი სამოსი
და მყრალ ჭაობში ჩააგდეთ იგი,
ჩააგდეთ იგი იმ წყეულ ტბაში
და შიგ ჩაჰკალით, ჩაჰკალით სწრაფად!“
ბოიარებმა ვერ გაბედეს და გაიფანტნენ,
და მალიუტამ, ავკაცმა, მარტომ
ყრმა ბატონიშვილს გაუკრა ხელი,
ჩააცეა ტანზე შაეი სამოსი
და გააქროლა იმ მყრალ ჭაობთან,
და მიიყვანა იმ წყეულ ტბასთან.
მაშინ ნიკიტა რომანიჩის მსახური უმალ
შეჯდა საჯაგვე ცხენზე, წყლისმზიდზე,
და მყის ნიკიტა რომანიჩთან მიიჭრა იგი:
„ჰეი, ნიკიტა რომანიჩ, შენ აქ
ხარ განცხრომასა და სმა-ჭამაში,
ის კი არ იცი, უბედურება თავს რომ დაგვატყდა?
ციდან ვარსკვლავი წყდება ბედისა,
ქრება ნათელი ცვილის სანთლისა,
არ გვეჭოლება ბატონიშვილი!“
მაშინ ნიკიტა რომანიჩი მსახურის ცხენზე,
საჯაგვე ცხენზე ამხედრდა სწრაფად,
და გააჭენა იმ ჭაობისკენ,
ქროლვით გასწია იმ წყეულ ტბისკენ.

ღა მალიუტას გააწნა სილა;
„შენ, მალიუტა, მალიუტა სკურლატოვიჩო,
რომ აგიღია, საშენოა განა ეგ ლუკმა? —
ყელს დაგადგება, დაგახრჩობს იგი!“

ეს სიმღერა იქნებ არც შეესაბამებოდეს ნამდვილ ამბებს, მაგრამ, სამაგიეროდ, იმ საუკუნის სულს შეესაბამება. კანტიკუნტად და ბუნდოვნად აღწევდა ხალხის ყურამდე ცნობები იმაზე, რაც მეფის კარზე ან მეფის მახლობელთა წრეში ხდებოდა, მაგრამ იმ დროს, როცა წოდებები ჯერაც არ იყვნენ ზნე-ჩვეულებით გამიჯნულნი და ერთიმეორისგან განთვისებულად არ ცხოვრობდნენ, ეს ცნობები, დამახინჯებულნიც კი, ნამდვილის საზღვრებს არ სცილდებოდნენ და საზოგადო ცხოვრებისა და საზოგადო წარმოდგენების დაღს ატარებდნენ.

მართლაც ისეთი იყავი თუ არა, თავადო ნიკიტა, რანაირიც წარმომიდგენიხარ, — ეს მხოლოდ კრემლის კედლებმა და მოსკოვის გარემოთა საუკუნოვანმა მუხებმა უწყიან! მაგრამ შენ სწორედ ასე წარმომესახე მშვიდი ოცნების საათში, საღამო ჟამს, როცა მინდვრებს წყვდიადი ეუფლებოდა, შორით შფოთიანი დღის ხმაური ცხრებოდა, ხოლო მახლობლად ყოველივე მდუმარებდა და მხოლოდ ქარი დაშრიალებდა ფოთლებში, მხოლოდ კრაზანა დაბზუოდა სიბნელეში. ამ სიმშვიდის ჟამს ნაღველად და ტკივილად მეღვრებოდა სულში სამშობლოს სიყვარული, წყვდიადით დახშული მხედველობის სანაცვლოდ თითქოს რაღაც შინაგანი, საუკუნეთა მანძილების გადამლახველი თვალისჩინი მიჩნდებოდა არსებაში და ცხადად მევლინებოდა ბურუსიდან ჩვენი მწარე და სახელოვანი წარსული. ასეთი წარმომესახე, თავადო ნიკიტა, ცხადად დაგინახე მალიუტას მადევრად ცხენით მიმქროლავი, და მეც მაგ შენს საშინელ დროში გადმოვინაცვლე, რომელშიც არაფერი იყო შეუძლებელი.

დაავიწყდა სერებრიანის, უხმლოდ და უდამბაჩოდ რომ იყო, და არც იმას ნაღვლობდა, საჯაგვე ბერკვიცზე რომ იჯდა. ეჰ, დროს რა ვუთხარ, თორემ ოდესღაც ისიც სანაქებო ბედაური იყო; თითქმის ოც წელს იმსახურა ღირსეულად ომშიცა და ლაშქრობებშიც; მაგრამ სიბერეში მოსვენება მაინც არ ელირსა; მხოლოდ წყალსაზიდრის უღელი, დამპალი თივა და შოლტის ცემა მოიმკა ყველაფრის ჯილდოდ!

ახლა მან გულოვანი მხედარი დაიგულა ზურგზე და ოდინდელი დღეები გაიხსენა, როცა მამაც ვაჟკაცებს დააქროლებდა მრისხანე ბრძოლებში და საუკეთესო ქერით კვებავდნენ, თაფლწყალს ასმევდნენ. ბერკვიცმა წითელი ნესტოები დაბერა, კისერი წაიგრძელა და მალიუტა სკურატოვის კვალზე გაფრინდა.

მალიუტა კი ულრან ტყეში მიჰქრის თავისი ოპრიჩნიკებითურთ. წყეული ტბისკენ აჩქარებს მათ, თან ყაბალახს უსწორებს ბატონიშვილს, რომ ოპრიჩნიკებმა ვერ შეიტყონ, თუ ვინ მიჰყავთ სასიკვდილოდ: ეს რომ შეეტყოთ, მიატოვებდნენ მალიუტას, თავის ტყავს გადაირჩენდნენ. მაგრამ ოპრიჩნიკებს უბრალო ვინმე ჰგონიათ ხომიაკსა და მალიუტას შუა მქროლავი მხედარი და მხოლოდ ის უკვირთ, ასე შორს რომ მიჰყავთ დასასჯელად.

მალიუტა ოპრიჩნიკებს აჩქარებს, ტაიჭებზე წყრება, მათრახით უჭრელებს გაქაფულ ცხენებს ღონიერ გავებს.

— უჰ, თქვე მგლის კერძებო, ქერის ტომრებო! ნეტამც მეფემ არ გადაიფიქროს, ნეტამც მდევრები არ დაგვადევნოს!

ავკაცი მალიუტა ულრან ტყეში მიჰქრის, მაღლიდან ჩიტები გადმოჰყურებენ, კისერწაწვდილნი, თავზე შავი ყორნები დასტრიალებენ — უკვე ახლოს არის წყეული ტბა!

— ჰეი, — ხომიაკს ეუბნება მალიუტა, — მგონი უცხო ნალების თქარა-თქური მოისმის უკან!

— არა, — მიუგებს ხომიაკი, — ჩვენი ცხენების თქარუნი ისმის ტყეში.

და მალიუტა უფრო გაშმაგებული აჩქარებს ოპრიჩნიკებს, უფრო ხშირად სცხებს მათრახს ტაიჭთა ღონიერ გავებს.

— ჰეი, — ეუბნება იგი ხომიაკს, — მგონი ვიღაც მოგვძახის უკან!

— არა, — მიუგებს ხომიაკი, — მხოლოდ ჩვენი ხმის ექო მოგვესმის.

და მალიუტა კვლავ ტაიჭებზე ბრაზობს.

— უჰ, თქვე მგლის კერძებო, ქერის ტომრებო! ნეტამც მდევრები არ დაგვადევნონ!

უეცრად მალიუტას უკანიდან შემოესმა:

— შეჩერდი, გრიგორი ლუკიანიჩ!

სერებრიანი უკვე ზურგში მოჰყვებოდა სკურატოვს. არ უღალატა თავადს საჯაგვე ბერკეიცმა, წყლისმზიდავმა.

— შეჩერდი, მალიუტა! — გაიმეორა სერებრიანიმ, ამასობაში წამოეწია კიდეც და დევკაცის ხელი ლეწა სახეში.

საშინელი იყო თავადის გარტყმა. სილაქმა ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს სიათა გავარდნილიყოს; ტყემ დაიგუგუნა, ხეებს ფოთლები დასცვივდა; ნადირნი შლიგინით შეცვივდნენ ტევრში; თვალებგადმოკარკლული ბუები ფულუროებიდან გამოფრთხიალდნენ; გლეხებმა კი, იმ არემარიდან მოშორებით ლაფნის საძრობად რომ გამოსულიყვნენ, ერთმანეთს გალახედეს და გაკვირვებით თქვეს:

— ოჰო, რამოდენა ლაწანი გაისმა! ნეტავ ბერმუხა ხომ არ გადატყდა წყეულ ტბაზე?

მალიუტა უნაგირიდან გადმოენარცხა. სერებრიანის საბრალო ბერკვიცმა წაიფორხილა, მიწაზე დავარდა და სული განუტევა.

— მალიუტა! — შეჰყვირა თავადმა და ფეხზე წამოხტა, — ეგ საშენო ლუკმა ნუ გგონია! ეგ ლუკმა დაგახრჩობს!

ამის თქმაზე სკურატოვის ხმალს მისწვდა, ქარქაშიდან ამოიტაცა და გაიმაღლა, რომ თავი გაეპო ავკაცისთვის.

უეცრად სერებრიანის თავზე მეორე ხმალმა გაიშხუილა. მატვეი ხომიაკი თავისი ბატონის საშველად მოფრინდა. მალიუტას ჯილავდარი და თავადი ხმალდახმალ შეებნენ ერთმანეთს. სერებრიანის ხმალამოწვდილმა ოპრიჩნიკებმაც შემოუტიეს, მაგრამ ხეებმა და ხერგილმა დაიფარეს თავადი, არ დაანებეს მტერს ერთბაშად შემოხვეოდნენ ირგვლივ.

„ჰაი დედასა, — ფიქრობდა თავადი, თან დარტყმებს იგერიებდა, — ეტყობა, ისე მოვკვდები, ვერ გადავარჩენ ბატონიშვილს! ეჰ, ნახევარ საათს მაინც გამაძლებინებდეს უფალი ღმერთი, ეგებ მშველელიც გამოჩენილიყო საიდანმე!“

ამის გაფიქრება ძლივს მოასწრო, რომ გამაყრუებელი სტვენა გაისმა ტყეში; მას ხმამაღალი ყიჟინით გაეპასუხნენ. ერთი ოპრიჩნიკი, რომელსაც უკვე ხმალი მოეღერებინა სერებრიანისთვის, ზღართანით დავარდა თავგაპობილი, მის გვამზე კი ვანიუხა პერსტენი აიმართა მრისხანედ შემართული გასისხლიანებული კვერით. იმავე წამს ყაჩაღები მგლების ხროვასავით შეესივნენ მალიუტას მსახურებს, და ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს. იცოცხლე, უნდოდა მალიუტას მწყობრად შეეტია თავისიანებით და აეჩეხა მტერი, მაგრამ ვაი რომ საძრაობა არსაით იყო, სულ ტყე და ხერგილი აჩხორილიყო გარშემო. ბევრი ოპრიჩნიკი დაეცა ადგილზევე, მაგრამ სხვები მალე გამოერკვნენ. ჰაი-და! — შეჰყვირეს და გადასათქერად შემოუტიეს მამაც ტყის შვილებს. თვითონ პერსტენი ხელში იყო დაჭრილი და უკვე ადრინდულად ვეღარ ატრიალებდა კვერს. მაგრამ ამ დროს ტყეში კვლავ გაისმა სტვენა.

— გამაგრდით, ბიჭებო! — შესძახა პერსტენმა, — გესმით, კორშუნ პაპა მოდის საშველად!

სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ კორშუნი თავისი რაზმით დააცხრა ოპრიჩნიკებს, და დაიწყო შმაგი ბრძოლა, ჭიდილი, სისხლისღვრა უწყალო და დაუნდობელი.

უჭირდათ მხედრებს ტყეში ქვეითების პირისპირ დგომა. ცხენები

ყალყზე დგებოდნენ, ყირამალა ენარცხებოდნენ და მხედრებსაც ქვეშ იყოლიებდნენ. ილაჯგაწყვეტილი ოპრიჩნიკები სასიკვდილო თავგამეტებით იგერიებდნენ თავდამსხმელთ. ხომიაკის ხმალი გრიგალივით სტვენდა, მის თავს ზემოთ ელვასავით კრთებოდა ფოლადი.

უეცრად მთელი ეს ზედახორა როგორღაც შეიძრა და შეტორტმანდა. ზორზოხა მიტკა ბრბოს მოარღვევედა, პირდაპირ ხომიაკისკენ მოიწევდა და განურჩევლად ანარცხებდა იქით-აქეთ მტერსაც და თავისიანებსაც. მიტკამ თავისი საცოლოს მომტაცებელი იცნო. მან კეტი დაიჟრხელა, მაღლა შემართა და გამეტებით მოუქნია თავის მოძულეს. ხომიაკი უკან გახტა და კეტი ცხენს მოხვდა. თავგახეთქილი ბედაური უსულოდ დავარდა მიწაზე, კეტი კი გადატყდა.

— დამაცა! — თქვა მიტკამ და მთელი სხეულით გადაემხო ხომიაკს, — ახლა ვეღარსად წამიხვალ!

ბრძოლა გარდაწყდა. მტერი უკვე აღარ ჩანდა, ყველა ოპრიჩნიკი შოკლული ეგდო, მხოლოდ მალიუტამ უშველა თავს ფეხმარდი ბედაურით.

ყაჩაღებმა თავისიანებიც მოიკითხეს და ბევრი ვეღარ იხილეს ცოცხალთა შორის. თვითონაც ბევრი ამხანაგი დაჰკარგეს.

— აი... — თქვა პერსტენმა და სახეზე ოფლის მშრალებით მიუახლოვდა სერებრიანის, — აი, თავადო, სად შეგვახვედრა ბედმა!

ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველად გამოჩნდნენ ყაჩაღები, სერებრიანი ბატონიშვილთან მიიჭრა და ბრძოლის ადგილს გაარიდა მისი ცხენი; ბატონიშვილი უნაგირზე იყო მითოკილი. სერებრიანიმ ხმლით გადაჭრა თოკები, ბატონიშვილს ცხენიდან გადმოსვლა უშველა და პირზე აკრული თავსაფარი შეხსნა. სანამ ხოცვა-ჟლეტა გრძელდებოდა, ნიკიტა რომანოვიჩი ნაბიჯზედ არ მოშორებია მას და საკუთარი სხეულით იცავდა.

— ბატონიშვილო, — უთხრა სერებრიანიმ, რაკი დაინახა, რომ ავაზაკები უკვე მკვდრების ძარცვას შეუდგნენ და გაქცეულ ცხენებს გამოუდგნენ დასაჭერად. — ბრძოლა დამთავრდა, შენს ავისმდომლებს მუსრი გაავლეს, მხოლოდ მალიუტამ უშველა თავს, მაგრამ, გული მეუბნება, არც იმას დაადგება კარგი დღე, როცა ხელმწიფე-ბატონი მის მოძებნას ბრძანებს!

ბატონიშვილის სახელის გაგონებაზე პერსტენმა უკან დაიხია.

— როგორ? — წარმოთქვა მან, — ეგ თვითონ ბატონიშვილია? ხელმწიფის ვაჟი? აი თურმე ვისი გადარჩენა გვარგუნა ღმერთმა! აი თურმე ვინ მოჰყავდათ გათოკილი იმ ძაღლებს!

და ატამანი მუხლებში ჩაუვარდა ყმაწვილ იოანეს.

მისი იქ ყოფნის ამბავი სწრაფად მოედო ყაჩაღებს. ყველამ მიატოვა მოკლულთა ჯიბეების ქექვა და მოვიდნენ, რომ თაყვანი ეცათ ბატონიშვილისთვის.

— მადლობელი ვარ თქვენი, კეთილო ხალხო! — ალერსიანად, მისთვის ჩვეული ამპარტავნობის გარეშე თქვა ბატონიშვილმა იოანემ, — ვინც არ უნდა იყოთ, მადლობელი ვარ თქვენი!

— რას ბრძანებ, ხელმწიფეო! — მიუგო პერსტენმა, — ჰაი დედასა, ის რომ მცოდნოდა, შენ მოყავდით, ორმოცს კი არა, ორ ასეულ მამაცს მოვიყვანდი; მაშინ კი ველარ დაგვიძვრებოდა ის სკურლატიჩი; ცოცხალს შევიპყრობდით და შენ თვალწინ ვაჩვენებდით თავის სეირს. თუმცა, დაგვაცა, მგონი მისი ჯილავდარი უნდა გვყავდეს აქ; მე და ის ვაჟბატონი ძველი ნაცნობები ვართ, ჰოდა, ნათქვამია, თუ არ გქონდეს ხავიწიო, პური მარილს დააწეო... ეი, მამაცო, შენ გყავს ის ძაღლი თუ სადაა?

— აქა მყავს! — უპასუხა მიტკამ, რომელიც პირქვე გაწოლილიყო და ზედ დამხობოდა თავის მსხვერპლს.

— მოიყვა ეგ აქ, ნუ გეშინია, ველარსად წაგვივა! თქვენ კი, ძმებო, ერთი კოცონი გააჩაღეთ მაგის დასაკითხად და თოკი მოამზადეთ, ან არადა, კიდევ უკეთესი, ავშარის საბელი შეაჭერით აგერ იმ ცხენს.

მიტკა წამოდგა. მის ქვემოდან ზორბა ჯეელი წამობარბაცდა. მაგრამ როგორც კი სახით ყაჩაღებისკენ მობრუნდა, ყველამ გაოცებით შესძახა:

— ხლოპკო! — გაისმა ყოველი მხრიდან, — ეგ ხომ ხლოპკოა! ერიჰა-ა, ხლოპკო გაუგუდია ოპრიჩნიკის მაგიერ.

მიტკა პირდაღებული შეჰყურებდა მას.

ხლოპკო სულს ძლივს იბრუნებდა.

— ბიჭოს, — ჩაილაპარაკა ბოლოს მიტკამ, — შენ ამომიდეიხარ ქვეშ? რატო ხმა არ ამოიღე, ნეტავი?

— აბა რანაირად ამომეღო ხმა, როცა ზედ ყელზე მაჯექი, შე სელაპო, შენა! ფუი!

— კი, მარა, რატო მომხვდი ხელებში?

— რატო! რატო! იმ ცხენს რომ ლეწე შუბლში, შე დათვო, მისი მხედარი მე გადმომემხო, შენ კი, ბედოვლათო, იმის მაგიერ მე შემჯექი და, არიქა, ოპრიჩნიკი მოვიგდე ხელთო, სიხარულით სულ გამოლენჩდი და კინალამ დამახრჩე!

— უყურე შენ! — თქვა მიტკამ, — რა მომსვლია! — და კეფა მოიქექა.

ყანაღებს ხარხარი აუტყდათ. თვითონ ბატონიშვილსაც გაეღიმა. ხომიაკი ველარსად იპოვეს.

— რაღას ვიზამთ, — თქვა პერსტენმა, — ჩანს, არ დამდგარა ჯერ მისი საათი, საწყენი კია, ღმერთმანი! ეჰ, რაც მოხდა, მოხდა, კიდევ გვაღირსებს ღმერთი მასთან შეხვედრას და მაშინ ველარსად წაგვივა! ახლა კი ნება დამრთე, ხელმწიფეო, გზამდე მიგაცილო ჩემი ბიჭებით. მრცხვენია შენთან, ხელმწიფეო! არც უნდა მღირსებოდა მე, ცუდმად კაცს, შენს მოწყალებასთან ლაპარაკი, მაგრამ აბა სხვა რა გზა არის, უჩემოდ აქედან თავს ვერ გააღწევ!

— აბა, ბიჭებო, — განაგრძობდა პერსტენი, — გაემზადეთ, სამშვიდობოს გავიყვანოთ მისი მეფური მოწყალება. შენ, თავადო, — განაგრძო მან და სერებრიანის მიუბრუნდა, — შენ აგერ ამ ცხენზე შეჯექი, მე კი ჩემთვის, ასე იყოს, ამას ავიყვან. შენ, ძია კორშუნ, მგონი, ფეხით სიარულს ამჯობინებ, შენ კი, მიტკა, მით უმეტესად!

— აბა კი! — თქვა მიტკამ და ფაფარში წაეტანა ერთ-ერთ ცხენს, რომელიც ზორზოხას ხელის წავლებამ გვერდზე გადააქანა. — მეც დავჯდები!

მან უზანგისკენ აიშვირა ფეხი, ერთხანს იცოდვილა მის მოსახელთებლად, მერე ისევ მუცლით შეაბობღდა ტაიჭს, რამდენიმე საჟენი ასე იარა ჩორთით და, ბოლოს, ძლივსძლივობით გადაჯდა უნაგირს.

— აჩუ! — შესძახა გახარებულმა, თან ფეხებს ატლინკავებდა და ზემო-ქვემოთ იქნევდა იდაყვებს.

მთელი ბრბო ბატონიშვილს შემოერტყა გარშემო და ტყიდან დაიძრა.

კარგა ხნის შემდეგ, როცა უკვე მინდორი გამოჩნდა, ხოლო შორით ალექსანდრეს სლობოდის ჭრელაჭრელა სახურავები ალაპლაპდა, პერსტენი შეჩერდა.

— ხელმწიფეო, — თქვა მან და ცხენიდან ჩამოხტა, — აი შენი გზა, შორით კი სლობოდაც მოჩანს. ამას იქით ჩვენ აღარ შევშვენით შენს მეფურ მოწყალებას მხლებლებად. თანაც აგერ, გზაზე, მტვრის კორიანტელი დგება, ალბათ, მხედრიონი გვიახლოვდება. ნახვამდის, ხელმწიფე-ბატონო, ნუ გაგვიწყრები, რას იზამ, ჩვენს უნებურად შეგვახვედრა გამჩენმა ღმერთმა!

— მოითმინე, მამაცო! — უთხრა ბატონიშვილმა, რომელსაც, რაკი საფრთხემ ჩაიარა, კვლავ უბრუნდებოდა ადრინდელი უჯიათი საქციელი. — მოითმინე, მამაცო! ჯერ ეს მითხარი, რომელი ბოიარის გვარისა ხარ, ოქროქსოვილი ზუბუნი რომ ჩაგიცვამს?

— ხელმწიფეო, — მორიდებით უპასუხა პერსტენმა, — ბლომად ვართ

ამ ტყეში უსახელო-უპატიო ბოიარები, ბლომად ვართ უგვარტომო თავადები. ჰოდა, ვიცვამთ იმას, რაც ღმერთმა ჩვენთვის გამოიმეტა!

— მერე არ იცი, განა, — მკაცრად განაგრძო ბატონიშვილმა, — შენნაირ თავადებს მოედნებზე რომ უდგამენ მაღალ სასახლეებს და შენ თვითონაც მაგ ზუბუნად არ ღირხარ? დღეს ჩემთვის ეგ სამსახური არ გაგეწია, იმ მხედრიონს ვუბრძანებდი გაეთოკეთ ყველანი და სლობოდაში ჩამოერეკეთ. მაგრამ დღევანდელი ამბის სამაგიეროდ შენს ავაზაკურ ცოდვათა მიტევებას გპირდები და მამა-ხელმწიფეს შევავედრებ შენს თავს, თუ მონანიებით ეახლები და ქედს დაიდრეკ მის წინაშე.

— მადლობა მაგ ალერსისთვის, ხელმწიფეო, დიდი მადლიერი ვარ შენი; ოღონდ ჯერ არ დამდგარა იმის დრო, მონანიებით ვეახლო მეფეს. მძიმე ცოდვები მაქვს ღვთის წინაშე, დიდი დანაშაული მიმიძღვის ხელმწიფესთან; არა მგონია, მაპატიოს ახლა მეფე-ბატონმა, მაგრამ თუნდაც მაპატიოს, რა ექნა, ამხანაგებს ვერ მივატოვებ!

— ოჰო! — გაიოცა ბატონიშვილმა, — მაშ შენ არ გინდა ქურდობის მიტოვება, როცა თავად გპირდები, ხელმწიფეს შეგავედრებ-მეთქი? ჩანს, შარაგზებზე ხალხის ძარცვა უფრო სარფიანია, ვიდრე პატიოსნად ცხოვრება?

პერსტენმა შავ წვერზე ჩამოისვა ხელი და ეშმაკური ღიმილით გამოაჩინა მოელვარე თეთრი კბილები, რისგანაც მისი ისედაც ნამზეური სახე კიდევ უფრო შავგვრემანი გამოჩნდა.

— ხელმწიფეო! — უთხრა მან. — მისთვის დაძრწის ცხვართან მგელი, მეცხვარეს არ დაეძინოს! მე კი ვერც მხედრულ მწყობრს ვეთვისები და ვერც სავაჭრო საქმეს. ნახვამდის, ხელმწიფეო; ავერ უკვე მტვერიც აქეთ მოიწევს. დროა უკან გავბრუნდეთ. თევზი ღრმა წყალს ეძებს, ჩვენი ძმა კი — საიმედო საფარს!

და პერსტენი ბუჩქებში გაუჩინარდა, თან ცხენიც წაიყვანა. ყაჩაღები ზედიზედ მიიმალნენ ხეებს შორის, ხოლო მარტოდ დარჩენილი ბატონიშვილი და სერებრიანი სლობოდისკენ წავიდნენ და მალე შეხვდნენ ცხენოსანთა რაზმს, რომელიც ბორის გოდუნოვს მოჰყავდა.

რა ყოფაში იყო მეფე მთელი ამ ხნის განმავლობაში? მოვუსმინოთ, რას ამბობს სიმღერა და როგორ გამოხატავს იმ საუკუნის ხალხურ წარმოდგენებს.

ბრძანა ივანემ, მრისხანე მეფემ:
„თქვენ, თავადებო, ბოიარებო,
ჩაიცვით შავი ტანისამოსი,
ციხკრის ლოცვაზე წადით, ისმინეთ

იქ პანაშვიდი ბატონიშვილზე,
ოორემ სუყველას მოგხარშავთ ქვაბში!“
ბოიარები შეიპყრო შიშმა,
ჩაიცვეს შავი ტანისამოსი,
მიდიან ჩქარა, რომ მოისმინონ
იქ პანაშვიდი ბატონიშვილზე.
ამ დროს ნიკიტა რომანოვიჩი
მოვიდა ფერად ტანისამოსით,
თან მოიყვანა ბატონიშვილი
და მოაფარა სამლოცველოს კარს.
და მას შესძახა მრისხანე მეფემ:
„ეჰა, ნიკიტა რომანოვიჩო,
რა ამბავია, ხომ არ დამცინი?
არ იცი, მოწყდა ციდან ვარსკვლავი,
ჩაქრა ნათელი ცვილის სანთლისა,
ალარ მყავს ნორჩი ბატონიშვილი“.
ჰკადრა ნიკიტა რომანოვიჩმა:
„ეჰა, მეფეო, იმედო ჩვენო, ყოველად ძლიერო,
დღეს პანაშვიდი კი არადა, ბატონიშვილის
დღეგრძელობის საგალობელი უნდა ვიმღეროთ!“
ჩაჰკიდა ხელი ფაფუკ ხელზე მან ბატონიშვილს,
ჩაჰკიდა ხელი და მეფის წინ გამოიყვანა.
შესძახა მაშინ მრისხანე მეფემ:
„ეჰა, ნიკიტა რომანოვიჩო,
რა მოგიბოძო კიდევ წყალობა?
თუ ნახეარი სამეფო მოგცე?
ან იქნებ გინდა ოქროს საზინა?“
„ეჰ, მეფეე, ივან ვასილევიჩ, არ მინდა შენი
სამეფო, არცა ოქრო-ვერცხლის დიდი საზინა,
მხოლოდ ავკაცი სკურლატოვიჩი მომეცი ახლა,
ჩავაგდებ იმას იმ მყრალ ჭაობში,
იმ მყრალ ჭაობში — დაწყეველილ ტბაში!“
თქვა მეფემ, ივან ვასილევიჩმა:
„ჰა, მალიუტა ავკაცი, შენა
და რაცა გსურდეს, იგი უყავი!“

ასე ამბობს სიმღერა; მაგრამ ნამდვილად კი ასე არ ყოფილა. მატიანეები გვამცნობენ, რომ მალიუტა კიდევ დიდხანს ჰყავდა პატივში ივან ვასილევიჩს 1565 წლის შემდგომაც. ბევრი რჩეული შეიწირა სხვადასხვა დროს მეფის ეჭვიანობამ. ბასმანოვებიც, გრიაზნოიც, ვიაზემსკიც სიცოცხლეს გამოასალმეს, მაგრამ მალიუტას ერთხელაც არ უწვნევია შერისხვა. მას, ბებერი ონუფრევნას წინასწარმეტყველებისამებრ, ამ ცხოვრებაში არ მიზღვევია სატანჯველი და საპატიო სიკვდილი ერგო.

წმიდა იოსებ ვოლოცკის მონასტრის ჟამნ-გულანში ნათქვამია, მალიუტა, რომლის გვამიც ამ მონასტერშია დაკრძალული, პაიდასთან მოკლეს სახელმწიფო საქმეთა აღსრულებისასო.

რით იმართლა თავი მალიუტამ მეფის წინაშე, ჩვენ არ ვიცით.

შესაძლოა, იოანემ, როცა შეშფოთებული სული დაუცხრა, თავისი რჩეულის მზაკვრობა შემცდარ გულმოდგინებას მიაწერა. ისიც შესაძლოა, რომ მას რაღაც ეჭვი მაინც ჩარჩა ბატონიშვილზე. ასე იყო თუ ისე, სკურატოვი არ აუთვალწუნებია მეფეს, არამედ, პირიქით, ამ დროიდან კიდევ უფრო ძვირფასი შეიქნა იოანესთვის. აქამდე მარტო რუსობას სძულდა მალიუტა, ახლა კი თვითონ ბატონიშვილმაც შეიძულა. აბიერიდან იოანე იყო მალიუტას ერთადერთი საყრდენი. საზოგადო სიძულვილს კი მისი ერთგულების საიმედო თავდებად მიიჩნევდა მეფე.

არც ბასმანოვზე სიტყვის გადაკვრას ჩაუვლია ამაოდ. იოანეს გულში ეჭვი ჩაისახა და თუმცა მაშინვე არ გაუდგამს ფესვები, მაგრამ საკმაოდ გაანელა მერიქიფეთუხუცესისადმი მისი კეთილგანწყობილება, რადგან მეფე არასოდეს არ აპატიებდა იმ ადამიანს, ვისიც ერთხელ მაინც შეშინებია, თუნდაც შემდგომში თვითვე ელიარებინა თავისი შიშის უსაფუძვლობა.

XV თავი

პირზე კოცნის ადათ-წესი

უკვე დროა მოროზოვი გავიხსენოთ. გამჭრიახ ბოიარს არ გამოჰპარვია სერებრიანის სტუმრობისას ელენას შეცბუნება. მართალია, თავდაპირველად ეგონა, რომ ვიაზემსკისთან შეხვედრა იყო ამის მიზეზი, მაგრამ მოგვიანებით ახალი ეჭვი ჩაისახა მის სულში.

თავადს რომ დაემშვიდობა და წინკარამდე მიაცილა, მოროზოვი შინ შემობრუნდა. ჩამოფხატული წარბები მრისხანედ შეჭმუხვნოდა; შუბლი ღრმა ნაოჭებს დაეღარა; ალმური ასდიოდა, სული ეხუთებოდა. „ელენას ახლა სძინავს, — გაიფიქრა მან, — მე აღარ დამელოდება. ცოტას ბაღში გავივლი, ეგებ მოვმკობინდე“.

მოროზოვი გარეთ გავიდა; ბაღში ბნელოდა. მესერს რომ მიუახლოვდა, თეთრი ფერიაზი დალანდა. დრუჟინამ მხედველობა დაძაბა.

უეცრად სასიყვარულო სიტყვები მისწვდა მის ყურთასმენას. მოხუცი შეჩერდა. მან ცოლის ხმა იცნო. მესერს გადაღმა, ვარსკვლავიანი

ცის ფონზე ვიღაც მხედრის ბუნდოვანი ხატება ჩანდა. უცნობი ელენასკენ დაიხარა და რაღაცას ეუბნებოდა. მოროზოვი გაინაბა, მაგრამ ქარის წამოქროლებამ მძლავრად დაარხია ხეთა კენწეროები და თან წარიტაცა უცნობის სიტყვები და ხმა. ვინ იყო ეს მხედარი? ნუთუ ვიაზემსკიმ თავისი შეუპოვრობით მაინც მოინადირა ელენა? გამოუცნობია დიაცის გული! ქალს დღეს ის მოსწონს, რაც გუშინ სძულდა! მაგრამ იქნებ ვიაზემსკი არაფერი შუაშია და სერებრიანიმ დაუნიშნა პაემანი მის ცოლს? ვინ იცის? იქნებ თავადმა, რომელიც შვილივით მიიღო, სწორედ დღეს მიაყენა სისხლიანი შეურაცხყოფა მას, მამამისის საუკეთესო მეგობარს; მას, ვინც მზად იყო საფრთხეში ჩაეგდო საკუთარი სიცოცხლე, ოღონდ მეფის რისხვა აეცდინა მეგობრის შვილისთვის.

„არა, არა, — გაიფიქრა მოროზოვმა, — ეგ არ არის სერებრიანი! ეგ რომელიღაც ოპრიჩნიკია, ახალი რჩეულთაგანი მეფისა. მაგათთვის უცხო არაა შთამომავლობითი ბოიარისთვის ლაფის გადასხმა. მაგრამ, ვაი რომ ცოლიც ვერაგი მყოლია, ცბიერი გველი! განა სიყვარული აკლდა ჩემგან? განა ღვიძლი ქალიშვილივით არ ვანებივრებდი? და განა თავისი ნებით, თავისი სურვილით არ მომთხოვდა? ეგ არ იყო, სულ მადლობად რომ დნებოდა, ცბიერი? ეგ არ იყო, ერთგულებას რომ მეფიცებოდა? არა, დიაცის ერთგულების იმედი ნუ გაქვს, დრუჟინა! დიაცის ერთგულება — მაღალი კოშკი, მუხის კარები და რკინის ურდულია! აჩქარდი, ჩემო დრუჟინა, აჩქარდი, გომბიოს რომ ანდე შენი პატიოსნება! მხურვალე გულმა აგამჩატა მოხუცი კაცი! გაგაცურა შენმა ცოლმა, კეკლუცმა გველმა; სასაცილოდ გახდიან შენ სახელს მოსკოველები!“

ასე ფიქრობდა მოროზოვი და ვარაუდებით იტანჯებოდა. უნდოდა ჯიქურ მივარდნოდა თავლაფდამსხმელებს. მაგრამ მხედარს შეეძლო გაქცეულიყო და დრუჟინა ვერ გაიგებდა მტრის ვინაობას. ისევ ლოდინი ამჯობინა.

თითქოს მის ჯიბრზე, ამ ღამით მოუღლელად ხმაურობდა ქარი, მთვარე კი ღრუბლებიდან არ გამოდიოდა. მოროზოვმა ვერც სახე გაარჩია მხედრისა და ვერც ხმა. მხოლოდ ის გაიგონა, რაც ელენამ უთხრა ცრემლების ფრქვევით:

— სიცოცხლეზე მეტად, ნათელ მზეზე მეტად მიყვარხარ! შენს გარდა არავინ მყვარებია, არც შემიძლია მიყვარდეს და არც შევიყვარებ!

მალე ელენამ გვერდით ჩაუარა მოროზოვს, მაგრამ არც შეუმჩნევია ქმარი. დრუჟინა ფრთხილი ნაბიჯით მიჰყვა უკან.

მეორე დღეს მოროზოვს ოდნავადაც არაფრით გამოუმჟღავნებია, ელენაზე რომ ეჭვიანობდა. ის კვლავაც თავაზიანი და ალერსიანი იყო

შეუღლის მიმართ. მხოლოდ დროდადრო, როცა ქალს არ შეეძლო ამის შემჩნევა, იეიწყებდა მოხუცი სიფრთხილეს, წარბებს ჰყრიდა და რისხვით შეჰყურებდა ელენას. საშინელი ფიქრი ბურღავდა მაშინ მოროზოვის ტვინს. ის ფიქრობდა, რა გზით აღმოეჩინა თავისი თავლაფდამსხმელი.

ოთხიოდე დღე გავიდა. მოროზოვი ძელურ პალატში იჯდა მუხის მაგიდასთან. მაგიდაზე წიგნი ედო, ალისფერ ხავერდგადაკრული ყდით დაკაზმული, ვერცხლის ღილკილოებითა და კუთხედებით. წიგნი გადაშლილი იყო, მაგრამ ბოიარს კითხვა არ ენაღვლებოდა ახლა. მისი თვალები ფერად-ფერად თავკაზმულობებზე და არშიების მცენარეულ ჩუქურთმებზე დაცოცავდა, გონება კი მეუღლის პალატსა და ბაღის მესერს შუა დაბორიალობდა.

წინღღით სერებრიანი დაბრუნდა სლობოდიდან და, შეპირებისამებრ, მოროზოვი მოინახულა.

ელენამ იმ დღეს შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზა და თავისი პალატიდან არ გამოსულა. მოროზოვი ახლაც პატივით დახვდა სტუმრად მოსულ თავად ნიკიტას. მაგრამ, მშვიდობით დაბრუნებას რომ ულოცავდა და გულმოდგინედ მასპინძლობდა, თან გაფაციცებით აკვირდებოდა სახეში და ცდილობდა გამცემლობის ნიშნები ამოეკითხა მის ნაკვთებზე. სერებრიანი ფიქრიანი ჩანდა, მაგრამ ადრინდელივით უბრალო და გულღია იყო. მოროზოვმა ვერაფერი შეატყო თავადს.

აი ამაზედაც ფიქრობდა ახლა მაგიდაზე გადაშლილ წიგნთან მჯდარი ბოიარი.

ამ ფიქრებიდან ოთახში შემოსულმა მსახურმა გამოიყვანა. მოროზოვის მოღრუბლული შუბლი რომ დაინახა, მსახური მოწიწებით შეჩერდა. დრუჟინამ თვალებით ჰკითხა, რა ამბავიაო.

— ბატონო ჩემო! — უთხრა მსახურმა, — მეფის კაცები მოდიან აქეთ. წინ თავადი ვიაზემსკი მოუძღვით; უკვე ახლოს არიან; გვიბრძანებ მივეგებოთ?

სწორედ ამ დროს დაფის ხმაც გაისმა. მეწინავე მხედარი გასანთლული ტყავის მათრახით აჟღერებდა საკრავს, რომ მოსეირენი გაეფანტა და გზა გაეთავისუფლებინა ბატონისათვის.

— ვიაზემსკი მოდის ჩემთან?! — წარმოთქვა მოროზოვმა. — ნეტა ხომ არ გაგიჟებულა? იქნებ გეჩვენება და გზად ჩამვლელია მხოლოდ. გასწი ჭიშკართან და დაელოდე! ჰოდა, თუ აქეთ გადმოუხვია, უთხარი, რომ ჩემი სახლი სამიკიტნო არ არის, რომ ოპრიჩნიკებს არ ვცნობ და მათთან პურ-მარილს არ ვჩვეულვარ! გასწი!

მსახური ყოყმანობდა.

— რაღას უდგეხარ? — ჰკითხა მოროზოვმა.

— ბოიარო, შენი რისხვამც ნუ ამცდენია, მაგრამ ამას ვერ ვეტყვი ვიაზემსკის!

— გასწი! — დაუცაცხანა მოროზოვმა და ფეხი დაუბაკუნა.

— ბოიარო! — მოახსენა სირბილით შემოსულმა მსახურთუფროსმა,— თავადი ვიაზემსკი ოპრიჩნიკებით საცაა ჩვენს ალაყაფს მოადგება! თავადი ამბობს, თვითონ ხელმწიფემ წარმომგზავნაო.

— ხელმწიფემო? ასე გითხრა — ხელმწიფემო? გახსენით ალაყაფის კარები! პურ-მარილი შეაგებეთ ოქროს ლანგარით! შინ არავინ დარჩეს, ყველა ხელმწიფის წარმოგზავნილთ გამოეგებოს!

ამასობაში თანდათან მოახლოვდა დაფის გუგუნ-ჟღარუნი. ოცამდე ოპრიჩნიკი, რომლებსაც ვერცხლით დარახტულ მოხდენილ წაბლა-ულაყზე ამხედრებული აფანასი ვიაზემსკი მოუძღოდა წინ, ნელი რონინით შემოვიდა მოროზოვის კარ-მიდამოში. თავადს თეთრი ატლასის ხიფთანი ეცვა. ღრმად ამოჭრილი საყელოდან ხალათის მარგალიტის ფარღული მოუჩანდა. მარგალიტისავე სამაჯურებს მჭიდროდ მოეხვეჭათ მაჯებთან ხიფთანის ფართო სახელოები, წელზე კი დარდიმანღულად ერტყა ოქროსფოჩებიანი შინდისფერი აბრეშუმის სარტყელი, რომელშიც სახიანი ხელთათმანები იყო ჩაჩრილი აქეთ-იქიდან. შინდისფერი ხავერდის შარვალი ლაზათიანად ჰქონდა ჩატანებული ყვითელ ტარსიკონის წაღებში, რომლის ქუსლებს მოელვარე ვერცხლის კავები ამშვენებდა, ხოლო მარგალიტით მოოჭვილი ყელები ზამბარასებრ იყო ჩაკეცილი წვივებზე. ოქროსფერი აბრეშუმის მსუბუქი მოსასხამი მკერდზე ალმასის ორმაგი საკინძით იყო შებნეული, ხოლო თეთრი ფარჩის ქუდის ალმასის ჯიღა მსუბუქად ირხეოდა მოძრაობისას და მზის სხივებზე ბრწყინავდა. შავი კულულები ქუდიდან ჩამოშლოდა თავადს და მოკლე, ხუჭუჭა წვერში ებლანდებოდა. თხელი ულვაში ზედა ბაგეზე შავ ზოლად კი არა, მხოლოდ მუქ ჩრდილად გადასწოლოდა. ახოვანი და ტანადი ვაჟკაცი იყო ვიაზემსკი; ახალგაზრდა და სასიამოვნო შესახედავი.

იმ დროის დიდკაცთა საზეიმო ჩვეულებისამებრ, თავადის უკან ქვეითად მომავალ მეჯინიბეებს სრულად აკაზმული ექვსი ტაიჭი მოჰყავდათ ლაგმებით. მათგან ერთი შავრა იყო, ერთი ჩალისფერი, ერთი ტრედანა, ხოლო სამი — უზადო თეთრონი. ცხენების თავებზე ფერად-ფერადი ჯიღები ირხეოდა, ქედებზე კი პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ფარჩის ორთუქები და ჩალდარები, ან ნადირის ტყავები ბზინავდა. ექვსივე

ტაიჭი უამრავ ვერცხლის ეჟვანს ან ჭრილებიან ოქროს ბურთულებს მოაჟღარუნებდა. საჟღარუნებლები ერთმანეთთან ხმაშეწყობით იყო შერჩეული და გრძელ მტევნებად ეკიდა საშუბლეების ორთავ მხარეს.

ბოიარ დრუჟინას გამოჩენისთანავე ვიაზემსკი და ოპრიჩნიკები ცხენებიდან ჩამოხდნენ.

მოროზოვს ხელში ოქროს ლანგარი ეჭირა და დინჯად მიაბიჯებდა მათ შესახვედრად, უკან კი ყმა აზნაურები და მსახურები მოჰყვებოდნენ.

— თავადო, — წარმოთქვა მოროზოვმა, — შენ ხელმწიფემ წარმოგგზავნა ჩემთან. ვეშურები მოგეგებო პურითა და მარილით შენცა და შენიანებსაც! — ის ქედდადრეკით მიესალმა თავადს და ჭაღარა თმა თვალებზე ჩამოეშალა.

— ბოიარო, — უპასუხა ვიაზემსკიმ, — დიდმა ხელმწიფემ ინება მისი მეფური ბრძანება გაუწყო: „ბოიარო დრუჟინა! მეფე და დიდი მთავარი ყოვლისა რუსეთისა ივან ვასილევიჩი გაკმარებს წყრომას, შერისხვისგან გათავისუფლებს, გიწყალებს და მიგიტევებს ბრალთა შენთა; დღეის წაღმართ დიდი ხელმწიფე კვლავ შენი მწყალობელია, ბოიარო დრუჟინა, კვალად მოგიბოძებს შენს ადრინდელ პატივ-ღირსებას და გიბრძანებს ოდინდელი ერთგულებით ემსახურო მის დიდობას!“

ეს რომ წარმოთქვა, ვიაზემსკიმ ცალი ხელი სარტყელში გაირჭო, მეორე წვერზე მოისვა, გაიჯგიმა და არწივის თვალები მიაპყრო მოროზოვს პასუხის მოლოდინში.

სანამ თავადი აფანასი ლაპარაკობდა, მოროზოვი მუხლებზე იდგა. ახლა ყმა აზნაურები მხარში შეუდგნენ თავის ბოიარს და წამოაყენეს. ის გაფითრებული იყო.

— დაე ლოცვა-კურთხევა ნუ მოუშალონ წმიდა სამებამ და მოსკოვის საუფლოთმოქმედებმა ჩვენს დიდ ხელმწიფეს! — მთრთოლვარებით წარმოთქვა მან. — დაე ყოველად გულუბვმა და ყოველად მოწყალე ღმერთმა განამრავლოს მისი მეფობის დღენი! შენ როდი მოგელოდი ახლა, თავადო, მაგრამ ხელმწიფის წარმოგზავნილი ხარ და გთხოვ მეწვიო სახლში! მეწვიეთ, ბატონო ოპრიჩნიკებო! ვთხოვ თქვენს მოწყალებას! მე კი წავალ ახლა, სამადლობელო პარაკლისს გადავიხდი, ხოლო მერე თქვენთან დავჯდები გვიან ღამემდე მოსალხენად.

ოპრიჩნიკებს თავპატიჟი არ დაუწყიათ.

მოროზოვმა მსახური მოიხმო:

— ცხენზე შეჯექი, თავად სერებრიანისთან გაფრინდი, მომიკითხე და უთხარი, ბოიარი გთხოვს მასთან იზეიმო დღევანდელი დღე-თქო: მეფემ დიდი წყალობა უყო და შერისხვა ახსნა-თქო!

ეს ბრძანება რომ გასცა და სტუმრებიც სახლში შეაცილა, მოროზოვმა ეზოს გადავლით კარის ეკლესიას მიაშურა. ბოიარს წინ მისი ყმა აზნაურები მიუძღოდნენ, უკან კი მრავალრიცხოვანი მსახური მიაცილებდა. შინ მხოლოდ მსახურთუფროსი და ოპრიჩნიკთა მომსახურებისთვის საჭირო ფარეშნი დარჩნენ.

სტუმრებს სხვადასხვა საუზმეული და ნაყენები მიართვეს, მაგრამ საღილი ჯერ წინ ელოდათ.

მალე სერებრიანიც მოვიდა. მასაც ყმა აზნაურები და მსახურები ახლდნენ, რადგან მაშინ ბოიარის ღირსების შერცხვენად მიიჩნევდნენ საპატიო წვეულებებში მარტოდმარტო ან მცირე ამალით მისელას.

სუფრა უკვე გაწყობილი იყო დიდ დარბაზში, მსახურნი თავ-თავის ადგილას იდგნენ, ყველანი მასპინძელს ელოდნენ.

ბოლოს მოროზოვიც მორჩა პარაკლისს და დარბაზში შემოვიდა. მას ძვირფასი ფარჩის ხიფთანი ემოსა, ხელში კი სიასამურის ქუდი ეჭირა. ჭალარა გრუზა თმა შნოიანად შეეკრიჭა, წვერი საგულდაგულოდ ჩამოევარცხნა. ბოიარი სტუმრებს მიესალმა, სტუმრებმაც სალმით უპასუხეს, და ყველანი სუფრას მიუსხდნენ.

საზეიმო ნადიმი დაიწყო, აწკარუნდა თასები და აზარფეშები, მაგრამ ამასთან ერთად გაისმა სხვა ჟღარუნიც, მხიარული ნადიმისთვის შეუფერებელი. ეს ოპრიჩნიკთა ხიფთანებს ქვეშ უჩინარი აბჯარ-აბგარის ჟღარუნის ხმა იყო.

მაგრამ მოროზოვს არ გაუგონია ეს ავბედითი ჟღარუნი. სხვა ფიქრი დაუფლებოდა ბოიარს. გუმანით გრძნობდა, რომ იმღამინდელი მისი შეურაცხმყოფელი მასთან ილხენდა სუფრაზე და მოროზოვმა, როგორც იქნა, მოიგონა მისი გამჟღავნების ხერხი. დრუჟინას აზრით, ეს ხერხი უტყუარი იყო.

ბევრი თასი დაილია. სტუმრებმა უკვე შესვეს ხელმწიფის სადღეგრძელო, დედოფლისა და მეფის მთელი სახლეულის სადღეგრძელო; ადღეგრძელეს მიტროპოლიტი და მთელი რუსეთის სამღვდელოება; ადღეგრძელეს ვიაზემსკი, სერებრიანი და კეთილი მასპინძელი; შესვეს სტუმრების საპატივცემლოდ, თვითეულისა ცალ-ცალკე. როცა ყველა სადღეგრძელო დაილია, ვიაზემსკი წამოდგა და კიდევ ერთი სასმისი შესთავაზა თანამესუფრეთ. მან ახალგაზრდა დიასახლისი ადღეგრძელა.

მოროზოვიც ამას ელოდა.

— ძვირფასო სტუმრებო, — წარმოთქვა მან, — უხერხულია უდიასახლისოდ დაილიოს დიასახლისის სადღეგრძელო! სთხოვეთ ბოიარინას, —

მსახურებს მიუბრუნდა და განაგრძო მან, — სთხოვეთ ბოიარინას, დაე ჩამოვიდეს და პატივი სცეს ძვირფას სტუმრებს!

— ვაშა, ვაშა! — ახმაურდნენ სტუმრები, — უდიასახლისოდ თაფლსაც სიტკბო აკლია!

მალე ელენაც გამოჩნდა ძვირფასი სარაფნით, ორი მოახლის თანხლებით; ხელში ოქროს სინი ეჭირა, სინზე კი ერთადერთი ფიალა იდგა. სტუმრები წამოდგნენ. მსახურთუფროსმა სამნახადი არყით აავსო ფიალა. ელენამ ბაგე შეახო სასმელს და მაგიდას მიუახლოვდა, რომ სუფრის გარშემო ჩამოეტარებინა სასმისი. ის რიგრიგობით ჩერდებოდა თვითეულ სტუმართან, წელმოხრით ესალმებოდა, უმცროსი წესისამებრ, და სასმისს აწვდიდა. დაცლილ ფიალას მაშინვე ავსებდა მსახურთუფროსი.

როცა ელენამ უკლებლივ ყველა სტუმარს ჩამოუტარა სასმისი, მოროზოვი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩაციებით აკვირდებოდა ცოლს, წამოდგა და სუფრის წევრების ყურადღება ითხოვა.

— ძვირფასო სტუმრებო, — წარმოთქვა მან, — ახლა, გთხოვთ, ძველი რუსული ადათისამებრ დამიფასოთ ოჯახი, პატივი მცეთ მასპინძელს, გთხოვთ, ძვირფასო სტუმრებო, არ იუკადრისოთ და აკოცოთ ჩემს ცოლს! ელენა, საჩინო ადგილზე დადექ და კოცნითვე უპასუხე ყველას, თვითეულს რიგრიგობით!

სტუმრები მადლობას სწირავდნენ მასპინძელს. ელენა ძრწოლვით დადგა ღუმელის გვერდით და თვალები დახარა.

— თავადო, შენ გეკუთვნის პირველი კოცნა! — უთხრა მოროზოვმა ვიაზემსკის.

— არა, არა, ადათს ნუ ეუღალატებთ! — ახმაურდნენ სტუმრები: — პირველად თვითონ მასპინძელმა აკოცოს დიასახლისს! ადათისამებრ მოვიქცეთ, ისე, როგორც წინაპრებს დაუდგენიათ!

— კეთილი, დაე ადათისამებრ იყოს, — თქვა მოროზოვმა, ცოლთან მივიდა და უდაბლესად ეთაყვანა. როცა ერთმანეთს აკოცეს, ელენას ცეცხლი ეკიდა ბაგეზე, ბოიარის ტუჩები კი ყინულივით ცივი იყო.

მოროზოვის შემდეგ ვიაზემსკი მიუახლოვდა ქალს.

მოროზოვი მზერად იქცა.

აფანასი ივანოვიჩს ნაკვერჩხლებივით უელავდა თვალები. მაგრამ ელენას ნაკვთიც არ შერხევია სახეზე. მეუღლის გვერდით, სერებრიანის თვალწინ, მას არ ეშინოდა უტიფარი თავადისა.

„არა, ეგ არ არის“, — გაიფიქრა მოროზოვმა.

ვიაზემსკი უდაბლესად ეთაყვანა ელენას და ბაგეზე ემთხვია. მაგრამ,

რაკი მისი კოცნა იმაზე მეტხანს გაგრძელდა, ვიდრე წესი მოითხოვდა, ქალს წყენა დაეტყო და სახე მოარიდა.

„არა, ეგ არ არის!“ — გუნებაში გაიმეორა მოროზოვმა.

ვიაზემსკის შემდეგ დიასახლისთან რიგრიგობით მივიდა რამდენიმე ოპრანინიკი. ყველანი, დიდი წესისამებრ, მიწიერ თაყვანს სცემდნენ და შეეღეგ კოცნიდნენ ელენას; მაგრამ დრუჟინა ანდრეევიჩმა ვერაფერი ვერ ამოიკითხა ცოლის სახეზე, გარდა შეშფოთებისა. ქალმა რამდენჯერმე შემართა გრძელი წამწამები, მისი თვალები თითქოს შიშით დაეძებდნენ ვიღაცას სტუმართა შორის.

„ის აქ არის!“ — გაიფიქრა მოროზოვმა.

უცებ ელენას თავზარი დაეცა. მისი თვალები ქმრის თვალებს შეეფეთა და, ქალის გულისთვის დამახასიათებელი ალღოთი, უმალ გამოიცნო ბოიარის ფიქრი. ქმრის მძიმე, გაქვავებულმა მზერამ ისე მონუსხა ელენა, რომ აშკარად იგრძნო, ახლა თუ სერებრიანის აკოცებდა, უსათუოდ ვასცემდა თავს. მეხსიერებამ ცხადად წარმოუსახა სერებრიანის პირველად მოსვლისას ბაღის მესერთან მათი შეხვედრის ყველა გარემოება. და მოეჩვენა, რომ თავისი ახლანდელი ყოფაც და მოსალოდნელი ამბორიც იმ დანაშაულებრივი შეხვედრისთვის, იმ დანაშაულებრივი კოცნისთვის მოვლენილი ღვთიური სასჯელი იყო. ელენას გააჟრჟოლა.

— შეუძლოდა ვარ... — წაიჩურჩულა მან, — გამიშვი, დრუჟინა ანდრეიჩ...

— მოითმინე, ელენა, — მშვიდად უთხრა მოროზოვმა, — მოითმინე; ახლა შენი წასვლა არ შეიძლება; ჯერ არ ნახულა, არ გაგონილა ასეთი რამ; წინაპართა ადათ-წესი ბოლომდე უნდა ასრულდეს!

და მოხუცი გამომცდელი თვალებით ბურღავდა ცოლს.

— მუხლები მეკვეთება, ლამის ჩავიკეცო!.. — წარმოთქვა ელენამ.

— რაო? — ჩაჰკითხა მოროზოვმა, თითქოს მისი ნათქვამი ვერ გაიგოო, — სული გეხუთება? არა უშავს! გთხოვთ, ბატონებო, ყურს ნუ ათხოვებთ ცოლს! ბავშვია ჯერაც; მეტისმეტად მორცხვობს, ეუცხოვება ეს ჩვეულება! თანაც სული შეეხუთა ამდენ ხალხში! მიდით, მიდით, ძვირფასო სტუმრებო, მორჩილად გთხოვთ!

„ნეტავ სად არის სერებრიანი, რომ ვერ ვხედავ?“ — გაიფიქრა დრუჟინა ანდრეევიჩმა და სტუმრებს მოავლო თვალი.

თავადი ნიკიტა განზე გამდგარიყო. მას არ გამოჰპარვია, რა უჩვეულო ყურადღებით აკვირდებოდა მოროზოვი ცოლს და მასთან საკოცნელად მისულ თვითეულ სტუმარს. თავადმა შიში და შფოთვა ამოიკითხა ელენას სახეზე. ნიკიტამ, რომელიც ყოველთვის გაბედული იყო, როცა სინ-

ლისის ქენჯნას არ გრძნობდა, ახლა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. შიშობდა, ვაითუ მისვლით კიდევ უფრო შევაკრთო ელენაო; შიშობდა, ვაითუ ფეხის ათრევით ქმარს ეჭვი აღვუძრაო. იმის საშუალება მაინც რომ ჰქონოდა, თუნდ ერთი სიტყვა ეჩურჩულებინა ელენასთვის, გაამხნევებდა ქალს და, შესაძლოა, კვლავ მოაკრებინებდა გამოლეულ ძალ-ღონეს, მაგრამ ელენას სტუმრები ეხვივნენ, ქმარიც თვალს არ აშორებდა; არადა, თავადს რაღაც უნდა ეღონა, რაღაც უნდა გადაეწყვიტა.

სერებრიანი ელენას მიუახლოვდა და ეთაყვანა, მაგრამ აღარ იცოდა, თვალებში ეცქირა, თუ მზერა აერიდებინა ქალისთვის. ამ ყოყმანმა გასცა ნიკიტა რომანოვიჩი. თავის მხრივ, ელენამაც ვეღარ აიტანა სატანჯველი, რაშიც მოროზოვმა ჩააყენა.

ელენას ქარაფშუტობით ან ბიწიერებით არ მოუტყუებია ქმარი. არა, ის თვითონ შეცდა, როცა იფიქრა მოროზოვის შეყვარებას შევძლებო. როცა იმ ღამით, ბაღის მესერთან, თავის სიყვარულში არწმუნებდა სერებრიანის, სიტყვები უნებურად წყდებოდა ბაგეთაგან; ის არც ფიქრობდა სათქმელზე, და მაშინვე რომ დაენახა თავისი ქმარი ზურგსუკან, არც შეყოყმანდებოდა, გულწრფელად გამოუტყდებოდა ყველაფერში. მაგრამ ელენას გული ჰქონდა მხურვალე, თორემ ხასიათით ბეჩავი იყო. სერებრიანისთან იმღამინდელი შეხვედრის მერე მუდმივი სინდისის ქენჯნით იტანჯებოდა. ნიკიტას ხვედრზე წუხილიც სიცოცხლეს უმწარებდა. ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობები უფლეთდა გულს; უნდოდა მუხლებში ჩავარდნოდა ქმარს და პატიება და რჩევა ეთხოვა; მაგრამ დრუჟინა ანდრეიჩის რისხვისა ეშინოდა, იმის ფიქრი აძრწუნებდა, რამე არ დაუშავდეს სერებრიანისო.

ამ ბრძოლამ, ამ ტანჯვამ, ქმრის შიშით ძრწოლვამ, ქმრისა, რომელიც სიკეთესა და ალერსს არ იშურებდა, მაგრამ ულმობელი იყო ყოველივე იმისადმი, რაც მის ღირსებასა და პატიოსნებას ბღალავდა, — ყველაფერმა ამან გამანადგურებლად შეარყია ელენას ძალ-ღონე და მხნეობა. როცა ნიკიტა რომანოვიჩის ტუჩები მის ტუჩებს შეეხო, ელენას ციებიანივით შეაკრთოლა, მუხლები მოეკვეთა, ბაგეთაგან კი უნებლიეთ აღმოხდა:

— ყოველადწმინდა ღვთიშობელო! შემიბრალე!

მოროზოვმა ორივე ხელი შეაშველა ელენას.

— ეჰ! — წარმოთქვა მან, — აი ეს არის ქალის სიმრთელე! შეხედავ, ვარდივით ღაღანებს, მაგრამ ოდნავი სულის ხუთვა და, მორჩა, მუხლები ეკეცება. მაგრამ არაუშავს, გაუვლის! მოდით, მოდით, ძვირფასო სტუმრებო!

მოროზოვს ოდნავ არ შეცვლია არც ხმა, არც ქცევა. ის კვლავინდებურად მშვიდი ჩანდა, კვლავინდებურად თავაზიანი და კეთილმოსურნე იყო.

სერებრიანი საგონებელში ჩავარდა, ვერ მიმხვდარიყო: ჩაწვდა თუ არა მოროზოვი მის საიდუმლოს?

როცა წესის აღსრულებას მორჩნენ და მოახლეებმა ელენა თავის პალატში აიყვანეს, მოროზოვმა კვლავ სუფრასთან მიიწვია სტუმრები.

ბოიარი კვლავაც გულუხვად შეაქცევდა და ალხენდა მეინახეებს და მცირედსაც არაფერს ივიწყებდა იმ ვალდებულებათაგან, რაც მაშინდელ დროში პურმარილიან მასპინძელს მოეთხოვებოდა.

უკვე გვიანი იყო. ღვინომ ხალხი შეახურა, და ოპრიჩნიკთა საუბარში ზოგჯერ რაღაც უცნაურ სიტყვებს გაიგონებდა ხოლმე კაცი.

— თავადო, — თქვა ერთმა მათგანმა და ვიაზემსკისკენ დაიხარა, — უკვე დროა საქმესაც მივხედოთ!

— ჩუმად! — ჩურჩულით მიუგო ვიაზემსკიმ, — ბებერი გაიგონებს!

— გაიგონოს მერე, მაინც ვერაფერს მიხვდება! — ხმამაღლა განაგრძობდა ოპრიჩნიკი მთვრალის ახირებით.

— გაჩუმდი! — გაუმეორა ვიაზემსკიმ.

— გეუბნები, თავადო, დროა-მეთქი! ღმერთმანი, დროა! წავალ ახლა და ნიშანს მივცემ!

და ოპრიჩნიკმა წამოსადგომად გაიწია.

ვიაზემსკიმ მკლავში სტაცა მას ხელი და მერხზე მიალურსმა.

— გონს მოდი, — ყურში ჩასჩურჩულა უდროოდ ახირებულ თანამზრახველს, — თორემ, იცოდე, ამ დანას გაგიყრი ყელში!

— ბიჭოს, შენ კიდევაც იმუქრები?! — შესძახა ოპრიჩნიკმა და სკამიდან წამოდგა, — ამას უყურე! კი ვამბობდი შენზე, კაცი ვერ ენდობა-მეთქი! შენ ხომ ჩვენიანი არა ხარ! ჰაი დედასა, გიჩვენებდით სეირს თქვენ ყველას, თავადებსა და ბოიარებს, ჩვენ ჯამაგირს რომ სულ თქვენა ნთქავთ! დამაცა ერთი, ახლავე ვნახავთ, ვინ რა ბიჭია. მოიშორე მაგ აბჯრიდან ეგ ხიფთანი! ხმალი დააძვრე! ვნახავთ, ვინ რა ბიჭია!

ეს სიტყვები ენის ბორძიკით, საერთო ჟრიამულსა და ხმაურში წარმოითქვა; მაგრამ ზოგმა მათგანმა სერებრიანის ყურამდე მიაღწია და გულისხმაში ჩააგდო თავადი. დრუჟინა ანდრეევიჩს არაფერი არ გაუგონია. მან მხოლოდ ის დაინახა, სტუმრები რომ რაღაცაზე შელაპარაკდნენ და ერთმანეთს ედავებოდნენ.

— ძვირფასო სტუმრებო! — თქვა დრუჟინამ და ფეხზე წამოდგა, — გა-

რეთ უკვე ბნელი ღამეა! ეგებ მოგესვენათ? უკვე დაგებულია ყველა თქვენგანისთვის რბილი ლეიბი და ბუმბულის ბალიში!

ოპრიჩნიკები წამოდგნენ, მასპინძელს მადლობა მოახსენეს, ღამე მშვიდობისა უსურვეს და ეზოში მათთვის მომზადებულ საძილეებისკენ წავიდ-წამოვიდნენ.

სერებრიანიც მასპინძელთან დამშვიდობებას აპირებდა.

მოროზოვმა მკლავში მოჰკიდა ხელი და შეაჩერა ნიკიტა რომანოვიჩი.

— თავადო, — უთხრა ჩურჩულით, — ცოტა ხანს აქ დამელოდე!

მერე სერებრიანი იქვე დასტოვა და ცოლის პალატისკენ გაემართა.

XVI თავი

მოტაცება

სანამ სუფრაზე პურ-მარილს შეექცეოდნენ, სახლის გარშემო რაღაც უჩვეულო ხდებოდა.

ბინდი რომ ჩამოწვა, ოპრიჩნიკებს ნელ-ნელა შემოუერთდნენ კიდევ სხვა ამხანაგებიც. ისინი თითო-თითოდ ჩნდებოდნენ ბაღის მესერთან, ეზოზე მოვლებულ გალავანთან და, ბოლოს, თვით ეზოშიც.

მოროზოვის მსახურებს ყურადღება არ მიუქცევიათ ამ ამბისთვის.

როცა მთლად დაბნელდა, სახლი ოპრიჩნიკებით იყო გარშემორტყმული ყოველი მხრიდან.

ვიაზემსკის ჯილავდარი სუფრიდან ადგა, ვითომც ცხენის დასარწყულებლად. მაგრამ საჯინიბომდე არც მისულა, მის შორიახლოს შედგა, მობრუნდა, აქეთ-იქით მიმოიხედა, ჭიშკართან მივიდა და რაღაც უცნაურად დაუსტვინა. მაშინვე ვიღაც გაჩნდა მის გვერდით.

— ყველანი ხართ? — ჰკითხა ჯილავდარმა.

— ყველანი, — მიუგო უცნობმა.

— რამდენი მოხვედით?

— ორმოცდაათნი.

— კარგია, ნიშანს დაელოდეთ.

— მალე გვაღირსებთ? მოგვბეზრდა ლოდინი.

— ეგ თავადმა იცის. ჰო, მართლა, გეყურება, ხომიაკ, თავადმა ბრძანა, სახლის გადაწვა ან გაძარცვა არავინ გაბედოსო!

— თავადმა ბრძანა! ეგ რა, ჩემი ბატონია?

— ჩანს, ბატონია, რახან გრიგორი ლუკიანიჩმა გიბრძანა მის სამსახურში იყო დღეს.

— სამსახურით კი, ბატონო, ვემსახურები, ოღონდ მარტო მაგას, განა მოროზოვსაც. შეეშველები თავადს ბოიარინას მოტაცებაში, მერე კი, ნურას უკაცრავად, რომ ვინმემ რამე დამიშალოს!

— ფრთხილად, ხომიაკ, თავადი არ ხუმრობს!

— შენ, ჩემო ძმაო, ტვინი ხომ არ გღრძობია? — უთხრა ხომიაკმა და ბოროტად გაიღმიჭა. — თავადმა თავის საქმეს მიხედოს, ჩემი საქმისა კი მე ვიცი. თუ გაჯირითება მომსურვებია, ამასთან ვის რა ხელი აქვს?

სწორედ იმ დროს, როცა ჭიშკართან ეს საუბარი იყო, მოროზოვი, რომელმაც სერებრიანი დარბაზში დატოვა, ელენას პალატში შევიდა.

ბოიარინა ჯერ არ დაწოლილიყო. კოკოშნიკი მოეხადა. სქელი, სანახევროდ ჩამოშლილი ნაწნავი ქათქათა მხრებზე დაჰფენოდა. კაბის საყელო მოეღელა. ელენა გახდას აპირებდა, მაგრამ თავი გვერდზე გადახარა და ბურანში გაეხვია. მისი ფიქრი წარსულში დაფარფატებდა. იგონებდა სერებრიანის გაცნობას, თავის იმედებს, სასოწარკვეთას, მოროზოვის წინადადებას და მისთვის აღთქმულ ფიცს. ცხადად წარმოუდგა კვირაცხოვლობის სამშაბათი, მიცვალებულთა ხსენების დღე, როცა, ჯერ ისევ გაუთხოვარი, დედის საფლავზე გავიდა ობლების ჩვეულებისამებრ, ჯვრის ქვეშ ჯამი დადგა წითელი კვერცხებით, ფიქრში ეამბორებოდა მშობელს „ქრისტე აღსდგას“ ბუტბუტით და სთხოვდა დრუჟინა ანდრეევიჩთან თავისი ქალიშვილის შეუღლება და სიყვარული დაელოცა.

იმ დროს ელენას ეგონა, მოერეოდა პირველ სიყვარულს, ეგონა ბედნიერი იქნებოდა მოროზოვთან; ახლა კი... ელენამ პირზე კოცნის ადათი გაიხსენა, და ცივმა ჟრჟოლვამ დაუარა. მას არც შეუმჩნევია, როდის შემოვიდა მოროზოვი. მკაცრი და ნაღვლიანი სახე ჰქონდა კარის ზღურბლთან შემდგარ დრუჟინას. ბოიარი ერთხანს მდუმარედ შეჰყურებდა ცოლს. ელენა ისე ყმაწვილი იყო, ისე გამოუცდელი, ისე გაუწაფავი ტყუილში, რომ მოროზოვმა უნებლიე სიბრალული იგრძნო მისადმი.

— ელენა! — უთხრა მან, — რატომ შეცბუნდი ადათ-წესის შესრულებისას?

ელენა შეკრთა და შიშით აღსავსე თვალები მიაპყრო ქმარს. უნდოდა მუხლებში ჩავარდნოდა მას და დაუფარავად ეთქვა სიმართლე, მაგრამ იფიქრა, ეგებ ჯერ კიდევ არ აუღია ეჭვი სერებრიანიზეო, და შეეშინდა, ვაითუ მასზე შურისსაძიებლად ავამხედრო ქმარიო.

— რატომ შეცბუნდი? — გაუმეორა მოროზოვმა.

— შეუძლოდ ვიგრძენი თავი... — ჩურჩულით მიუგო ელენამ.

— დიახ. შეუძლოდ იყავი, მაგრამ ჯანით კი არა, სულით. შენი სნეულება სულისმიერია. შენ სულს წარიწყმედ, ელენა!

ქალი ცახცახებდა.

— როცა დღეს დილით, — განაგრძობდა მოროზოვი, — ვიაზემსკი ბუფეტუმრა ოპრიჩნიკებით, მე საღმრთო წერილს ვკითხულობდი. იცი, რა სწერია იქ მოღალატე ცოლებზე?

— ღმერთო ჩემო! — წარმოთქვა ელენამ.

— მე ვკითხულობდი, — განაგრძობდა მოროზოვი, — თუ რა სასჯელი ეკუთვნიეგება მრუშობისთვის...

— უფალო ჩემო! — ემუდარებოდა ელენა, — იყავ მოწყალე, დრუჟინა ანდრეიჩ, შემიბრალე, იმოდენა ცოდვა არა მაქვს, შენ რომ გგონია... მე არ მიღალატნია შენთვის...

მოროზოვმა მრისხანედ შეჰყარა წარბები.

— ნუ ცრუობ, ელენა. ნუ ფარისევლობ. შენს ცოდვას ცბიერი სიტყვით ნუ გაამრავლებ. ჰო, არ გიღალატნია, რადგან, ადამიანს რომ უღალატო, სულ მცირე ხნით მაინც უნდა იყო მისი ერთგული, შენ კი არასოდეს ყოფილხარ ჩემი ერთგული...

— დრუჟინა ანდრეიჩ, შემიბრალე!

— შენ არასოდეს ყოფილხარ ჩემი ერთგული! როცა გვირგვინს გვადგამდნენ, როცა სულის წარმწყმედი სიცრუით ჩემს ჯვარს ემთხვიე, უკვე სხვა გიყვარდა... დიახ, სხვა გიყვარდა! — უკვე ხმაშემაღლებით განაგრძობდა მოროზოვი.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — წაიჩურჩულა ელენამ და სახე ხელებში ჩამალა.

— ელენა! ჰა, ელენა! რატომ არ მითხარი მაშინ, თუ ის გიყვარდა?

ელენა ტიროდა და სიტყვასაც არ სძრავდა საპასუხოდ.

— როცა ეკლესიაში დაგინახე უნუგეშო ობოლი, იმ დღით, ძალით რომ გიპირებდნენ ვიაზემსკიზე გათხოვებას, გადავწყვიტე საძულველი ქმრისგან გადამერჩინე, მაგრამ მინდოდა ფიცით აღგეთქვა, რომ ჩემს ჭალარას არ შეარცხვენდი. რატომ მომეცი მაშინ ის ფიცი? რატომ არ გამიმხილე სიმართლე? სიტყვით ჩემთან იყავი, გულით და ფიქრით კი სხვასთან! რომ მცოდნოდა, სხვა გიყვარდა, განა ვიფიქრებდი შენს შერთვას?! სადმე მივარდნილ მამულში გადაგკარგავდი, მოსკოვიდან შორს, ან მონასტერს შეგაფარებდი, მაგრამ ცოლად კი არ გითხოვდი, ღმერთია მოწამე, არ გითხოვდი! საძულველის ხელში ჩავარდნას გერჩია სიცოცხლე მოეესპო. რატომ სიცოცხლე არ მოისპე? რატომ შეეფარე ჩემს საბელს, როგორც ქვის კედელს, მერე კი მასხრად მიგდებდი შენს საყვა-

რელთან ერთად? ფიქრობდი: მოროზოვი ბებერია, მოროზოვი უძლურია. რა დიდი ამბავია მისი გაბრიყვებაო!

— ოჰ, არა, უფალო ჩემო! — ამოიგმინა ელენამ და მუხლებზე დაეცა, — ეგ არასოდეს მიფიქრია! მაგნაირი ცოდვა ახლოსაც არ გამკარებია გულთან! აზრადაც არ მომსვლია! თანაც, ის ხომ მაშინ ლიტვაში იყო...

სიტყვა ის... რომ გაიგონა, მოროზოვს თვალები აენთო, მაგრამ საკუთარ თავს მოერია და მწარედ ჩაიცინა.

— დიახ. თქვენ მაშინ კი არ დაახლოვდით, არამედ მოგვიანებით, როცა ის დაბრუნდა. თქვენ ღამით დაახლოვდით, ბაღის მესერთან, სწორედ იმ საღამოს, როცა შვილივით მიეიღე და შევიტკბე ის ვაჟბატონი. მითხარი, ელენა, ნუთუ მართლა გეგონათ, ვერ გამოვიცნობდი თქვენს ზრახვებს, ასე იოლად გაგაბრიყვებინებდით თავს, ვერ შევძლებდი მუხანათი ცოლისა და ჩემი მაგინებელის, მისი არშიყის დასჯას? ნუთუ იმ ცინგლიანს ეგონა დაუსჯელად შერჩებოდა ეს სისაძაგლე? განა არ წაუკითხავს იმას, რაც ლევიტელთა წიგნში სწერია: რომელი შეეყოს სხვისა ქმრის ცოლსა, სიკვდილითა მოისრას კაცი იგი მემრუშე და დედაკაციც მრუშობასა შეთხივნული!

ელენამ ძრწოლვით შეხედა ქმარს. მის თვალებში ავისმომასწავებელი გაბედულება ჩაბუდებულიყო.

— დრუჟინა ანდრეიჩ! — შიშით წარმოთქვა მან, — რას აპირებ, ჰა?

მოროზოვმა მოსასხამის ქვემოდან გრძელი დამბაჩა ამოაცურა.

— რას შვრები? — შეჰყვირა ელენამ და უკან დაიხია.

დრუჟინამ ჩაიცინა.

— ნუ გეშინია! — ცივად უთხრა ცოლს, — შენ არ მოგკლავ. სანთელი აიღე, წინ გამიძეხი!

მან დამბაჩა შეათვალიერა და კართან მივიდა. ელენა ადგილიდან არ იძვროდა. მოროზოვმა უკან მიიხედა.

— გამინათე! — მბრძანებლურად გაუმეორა მან.

ამ დროს ეზოდან ხმაური მოისმა. რამდენიმე ხმა ერთად ლაპარაკობდა. მოროზოვის მსახურნი ერთმანეთს უხმობდნენ. ბოიარმა მიაყურადა. ხმაური ძლიერდებოდა. კაცი იფიქრებდა, უამრავი ხალხი შემოცვივდა პალატებშიო. უცებ სროლა გაისმა.

ელენამ წარმოიდგინა, სერებრიანი მოკლეს მოროზოვის ბრძანებითო. აღშფოთებამ ძალ-ღონე დაუბრუნა მას.

— ბოიარო! — შეჰყვირა ელენამ და თვალებში ცეცხლი წაეკიდა, — მე, მე მომკალი! მარტო მე ვარ დამნაშავე!

მაგრამ მოროზოვს ყურადღება არ მიუქცევია ქალისთვის. ის თავწახრილი უსმენდა ხმაურს და სახეზე გაოცება ეხატა.

— მე მომკალი! — სასოწარკვეთით ემუდარებოდა ელენა, — არ მსურს, არ შემიძლია უმისოდ სიცოცხლე! მე მომკალი! მე მოგატყუე, მე გამასხრებდი! მომკალი ბარემ!

მოროზოვმა ელენას შეხედა და, ახლა რომ ვინმეს დაენახა დრუჟინა, გადაწყვეტილად ვერ იტყოდა, რა უფრო სჭარბობდა მის მზერაში: სიბრალული თუ აღშფოთება.

— დრუჟინა ანდრეიჩ! — მოისმა ქვემოდან. — ღალატია! გამცემლობა! ოპრიჩნიკები შენს ცოლთან შემოჭრას ლამობენ! გაფრთხილდი, დრუჟინა ანდრეიჩ!

ეს სერებრიანის ძახილი იყო. მისი ხმა რომ იცნო, ელენა აუწერელი სიხარულით მივარდა კარებს. მოროზოვმა ხელისკვრით მოიშორა ცოლი, საკეტი გადმოსწია და კარი რკინის რაზით გაამაგრა.

კიბეებზე აჩქარებული ნაბიჯების ხმა გაისმა, შემდეგ ხმლების ჩახაჩუხი, მერე ლანძღვა-გინება, შეხლა-შემოხლა, ხმამაღალი შეყვირება და ზღართანი.

კარი ბრახუნმა შეაზანზარა.

— ბოიარო! — ყვიროდა ვიაზემსკი, — გააღე, თორემ სულ ნაფოტებად მოვანიავებ ამ შენს სახლს!

— არ მჯერა, თავადო! — დარბაისლურად გაეხმაურა მოროზოვი. — ჯერ არ ნახულა რუსეთში, სტუმარს მასპინძელი შეერცხვინოს, ძალით შეჭრილიყოს მისი ცოლის სამყოფში; მათრობელა იყო ჩემი თაფლუჭი, თავი გაგიხურა, თავადო, წადი ახლა და გამოიძინე; დილამდე ყველაფერი დაგავიწყდება. ოღონდ მე არ დავივიწყებ, რომ სტუმარი ხარ.

— გააღე! — გაუმეორა თავადმა და კარს მოაწვა.

— აფანასი ივანიჩ! გაიხსენე, ვინცა ხარ! გაიხსენე, რომ ყაჩაღი კი არა, თავადი და ბოიარი ხარ!

— მე ოპრიჩნიკი ვარ! გესმის, ბოიარო, ოპრიჩნიკი ვარ! აღარ გამაჩნია ღირსება და პატიოსნება! შენი ცოლი მიყვარს, შენი ცოლი, გესმის, ბოიარო! არ მეშინია საძრახი საქმის; მთელ მოსკოვს გადავბუგავ, კვამლს გავატან, ელენას კი მაინც ჩავიგდებ ხელში!

უეცრად სახლი გაკაშკაშდა. მოროზოვმა ფანჯრიდან დაინახა, რომ შრამელთა სახურავები იწვოდა. ამავე დროს, გახელებული დარტყმებით შეზანზარებული კარი ლაწანით შემოიმტვრა და ზღურბლზე ვიაზემსკი ვამოჩნდა, ხანძრით გაშუქებული, ხელში ჩაბღუჯული გადამტყდარი ხმლით.

თავადს სულ შემოფხრეწოდა თეთრი ატლასის ტანისამოსი. ზელ-სისსლი ჩამოსდიოდა. ჩანდა, უბრძოლველად არ ამოეღწია ელენას სა-ძინებელში.

მოროზოვმა თითქმის მიბრჯნით ესროლა ვიაზემსკის, მაგრამ ხელ-მა უმტყუნა მოხუცს. ტყვია კარის წირთხლს მოხვდა. თავადი მორო-ზოვს ეძგერა.

დიდხანს არ გაგრძელებულა მათი ჭიდილი.

ხმლის ვადის ძლიერმა ჩარტყმამ მოროზოვი პირქვე დაამხო. ვია-ზემსკიმ ბოიარინასთან მიირბინა; როგორც კი მისი გასისხლიანებული-ხელები ქალის სამოსს შეეხო, ელენამ სასოწარკვეთით შეჰყვირა და-გრძნობა დაჰკარგა. თავადმა ხელში აიტაცა ბოიარინა და სწრაფად და-ეშვა კიბეზე, თან ქალის გაშლილი ნაწნავით საფეხურებს მიხვეტავდა.

ჭიშკართან მას ცხენები ელოდებოდნენ. თავადი უნაგირს მოახტა და-გაფრინდა მკერდზე უსიცოცხლოდ მისვენებული ელენათი, უკან კი ია-რალის ჟღარუნით მიჰყვნენ მისი მსახურნი.

მოროზოვის კარ-მიდამოში ჯოჯოხეთი დატრიალდა. ყველაფერი-ალში იყო გახვეული. ისმოდა მძარცველთა ხმლებით დაჩეხილ შინამსა-ხურთა ღრიალი. მოახლე გოგოები წივილ-კივილით ასკდებოდნენ წინ-და უკან. ხომიაკის ამფსონები სახლს ძარცვავდნენ, ეზოში გამორბოდნენ და ერთად ახვევებდნენ ძვირფას ჭურჭლეულობას, ოქროს ფულებსა და-მდიდრულ ტანსაცმელს. ეზოში, ვერცხლისა და ოქროს გროვასთან, წი-თელხიფთანიანი ხომიაკი იდგა და კმაყოფილი როხროხით ლამის ახ-შობდა ხმაურს, ყვირილსა და ცეცხლის ტკაცატკუცს.

— იფ, რა მხიარულებაა! — ამბობდა და ხელებს იფშვნეტდა. — აი-მესმის ნამდვილი ლხინი!

— ხომიაკ! — დაიყვირა ერთმა ოპრიჩნიკმა, — მსახურებმა მოროზო-ვი მდინარით გააპარეს. გამოუდგეთ თუ მოვეშვათ?

— ჯანდაბაშიც წასულა! ახლა მისთვის არ გვცხელა! ჰეი, თქვენ! ყველანი ეზოში გამოდით, თორემ საცაა გავიგუდებით!

— ხომიაკ! — უთხრა მეორემ, — რას გვიბრძანებ, რა ვუყოთ სერებ-რიანის?

— თითიც არავინ ახლოთ! ყარაულები მიუჩინეთ, რომ წუთითაც არ-მოაცილონ თვალი. პატივით მივიყვანთ მის მოწყალებას ალექსანდრეს-სლობოდაში. ხომ დაინახეთ, რა უღმერთოდ შემოჰკრა თავად აფანასის? რა უღმერთოდ ჩეხავდა ჩვენს ბიჭებს?

— დავინახეთ, დავინახეთ!

— ჰოდა, ხომ დაიფიცებთ ამას ჯვარზე ხელმწიფის წინაშე?

— დავიფიცებთ, დავიფიცებთ! ყველანი ჯვარზე დავიფიცებთ!

— მაშ იცოდეთ, მერე არ გადახვიდეთ პირობას! ახლა კი არავინ გაბედოს მისი წყენინება, მაგრამ შინ რო მივალთ, მოგეცათ ლხენა, გრიგორი ლუკიანიჩმა მოაგონოს მაგას იმდღევანდელი სილაქი, მე კიდევ ის მათრახები!

კიდევ დიდხანს ხმაურობდნენ და ძარცვავდნენ ოპრიჩნიკები მოროზოვის სახლ-კარს, ხოლო როცა მძიმე ნაალაფევით დასაპალნებული ცხენები გზას გაუყენეს, კიდევ დიდხანს ჩანდა მათი წასვლის შემდეგ ხანძრის არილი იმ ადგილზე, სადაც მანამდე მოროზოვის სახლი იდგა; მოსკოვ-მდინარე კი, იქვე ახლოს რომ მიედინებოდა, გათენებამდე მოათამაშებდა გამდნარ ოქროსავით მოლივლივე ცეცხლოვან ჭავლებს.

XVII თავი

სიხსლის შელოცვა

მეზობლად მოსახლეებმა, ოპრიჩნიკების თავდასხმის ამბავი რომ შეიტყვეს და მოროზოვის კარ-მიდამოზე ავარდნილი ხანძრის ალი დაინახეს, სანქაროდ ჩარაზეს ჭიშკრები და ჭრაქები ჩააქრეს.

— ღმერთო! — პირჯვრისწერით ბუტბუტებდნენ ისინი, ვის კარ-მიდამოსაც ჩაუქროლებდა ვიაზემსკი თავისი მსახურებით, — ღმერთო ბოგვხედე, გვაშორე უბედურება!

ხოლო როცა ცხენების თქარათქური მინელდებოდა და უკაცრიელ ქუჩებში ჩაჩუმდებოდა ჯავშნების ჟღარუნი, მოსახლეები შვებით ითქვამდნენ სულს, კვლავ პირჯვარს იწერდნენ და ბუტბუტებდნენ: „დიდება შენდა, ღმერთო! აგვშორდა უბედურება!“

ამასობაში თავადი შეუსვენებლად მიაგელვებდა ცხენს და უკვე საკმაოდ შორს გაუსწრო თავის მსახურებს. მას ფიქრად ჰქონდა გათენებამდე მიეღწია სოფლამდე, სადაც მარქაფა ცხენები ელოდებოდა, იქიდან კი რიაზანში, თავის სამკვიდრო მამულში გადაეყვანა ელენა. მაგრამ ხუთი ვერსიც ძლივს ექნებოდა გავლილი, რომ შენიშნა, თურმე გზას ასცდენოდა.

ამავე დროს ვიაზემსკიმ იგრძნო, რომ აუტანლად უკვნესოდა ნახმლევები, რომელთათვისაც ცხელ გულზე ყურადღება არ მიუქცევია.

— ბოიარინა! — წარმოთქვა მან და ცხენი შეაყენა, — ჩემი ხალხი ჩამოგვრჩა... უნდა შეეიცადოთ!

ელენას ნელ-ნელა უბრუნდებოდა ცნობა. თვალი რომ გაახილა, პირველად შორეული არილი დაინახა, მერე ტყე და შარაგზაც გაარჩია, შემდეგ კი იგრძნო, რომ ცხენის ქედზე იყო გადაწოლილი და ღონიერი მკლავები ჰქონდა შემოსალტული. ნელ-ნელა იმდღევანდელი ამბებიც გაიხსენა, უცებ ვიაზემსკიც იცნო და ელდანაკრავმა შეჰყვირა.

— ბოიარინა, — მწარე ღიმილით უთხრა აფანასიმ. — გეზარები განა? მწყეული ხომ? მე ნუ მწყეული, ელენა დმიტრიევნა! შენი ბედი დასწყევლე! ამაოდ ისურვე ჩემთვის გვერდის ავლა. ვერავინ აიცდენს, რაც მის თავზე მოსასვლელია; ღმერთს გავექეცი და ბედს კი — ვერაო! ჩანს, გაჩენის დღიდან გეწერა ასე, ელენა, რომ მე მრგებოდი!

— თავადო! — ჩაიჩურჩულა ელენამ, რომელიც მთლად ცახცახებდა,— თუ სინდის-ნამუსი გამოგლეკია, შენი ბოიარული ღირსება მაინც გაიხსენე, სირცხვილმა მაინც შეგაწუხოს...

— სადღა მაქვს ღირსება, სადღა მაქვს სირცხვილი! ყველაფერი, ყველაფერი შენ განაცვალე, ელენა დმიტრიევნა!

— თავადო, ღვთის სამსჯავრო გაიხსენე, სულს ნუ წაიწყმედ!

— რაღა დროსია, ბოიარინავ! — სიცილით უპასუხა ვიაზემსკიმ. — წარწყმედილი ვარ უკვე და ეგ არის! იქნებ გგონია, ვინც ისე იხდის პურმარილის სამაგიეროს, როგორც ახლა მე გადავიხადე, ოდესმე მაინც შეძლებს სულის ცხონებას? არა, ბოიარინა! ამ ღამით სამუდამოდ მოვიკეეთე ყველა გზა! გუშინ კიდევ იყო დრო, დღეს კი ყველა იმედი გადავიწურე, არ მიწერია ჩემ შესაჩვენარ საქმეთა მიტევება! და არცა მსურს სამოთხეში ნეტარება უშენოდ, ელენა დმიტრიევნა!

ვიაზემსკის თანდათან ელეოდა ძალ-ღონე. თავადი გრძნობდა თავის დაუძლურებას, მაგრამ ამაოდ მაგრობდა. გონება დაენისლა და ბოდვას მოჰყვა.

— ელენა, — წარმოთქვა მან, — სისხლისგან ვიცლები, ჩემი მსახური კი ჯერაც არ ჩანან... მშველელი ამ ახლომახლო არავინაა; ვაითუ აღსასრულის ჟამი დამიდგა და სადაცაა გადავეგო საუკუნო გეენიაში... შემიყვარე მე ცოდვილი, სულ ცოტა ხნით შემიყვარე... რომ ცუდუბრალოდ არ მივაბარო სული სატანას!.. ელენა! — განაგრძობდა ის და უკანასკნელ ძალას იკრებდა, — შემიყვარე, ჩემი გულის მხიბლავო, სულის წარმწყმედო!..

თავადს უნდოდა სისხლიანი ხელებით მოჰხვეოდა და ჩაჰკონებოდა ქალს, მაგრამ ძალა აღარ ეყო, სადავე ხელიდან გაუვარდა, შებარბაცდა და მიწაზე ჩამოენარცხა. ელენა ფაფარში ჩააფრინდა ცხენს და თავი შეიმაგრა. მხედარი რომ ზურგზე ვეღარ დაიგულა, ბედაური დაფრთხა

და ადგილიდან მოწყდა. ელენამ მისი შეჩერება სცადა, მაგრამ ცხენი გვერდზე მიაწყდა, ტყეს შეერია და ქალიც თან გაიტაცა.

დიდხანს მიჰქროდნენ ბნელ წიწვნარში. ერთ ხანს ელენა წვალობდა, ვგებ როგორმე დავაოკო ცხენიო, მაგრამ მალე მოელალა ხელები, ფაფარში ჩააფრინდა ბედაურს და ღვთის ნებას მიენდო. ცხენი შეუჩერებლად მიჰქროდა. სის როკები კაბაზე ედებოდნენ ელენას, ტოტები სახეს უკაწრავდნენ. როცა მთვარით გადაშუქებულ მდელობზე მიჰქროდა, ეჩვენებოდა, თითქოს რძისფერ ნისლში ალები დახტოდნენ და მაცდურად უხმობდნენ თავისკენ. შორიდან რაღაც ერთფეროვანი ხმაური ჩაესმოდა, რომელიც გამოძახილებით მეორდებოდა. ქაჯის ხარხარი იყო თუ სხვა რამ ხმაური, მაგრამ ბგერები სულ უფრო ხმამაღლა მოისმოდა, შიშით დაზაფრულ ელენას გული ეყინებოდა, და უფრო მაგრად აფრინდებოდა ცხენის ფაფარს. თითქოს მის ჯიბრზეო, ბედაური პირდაპირ იმ ხმაურისკენ მიფრინავდა. აი, რაღაც შუქმა გაიელვა, აი, რაღაც ვერცხლისფერმა მოჩვენებამ თითქოს ფრთები დაიქნია... უეცრად ცხენი შედგა, და ელენას გული შეუღონდა.

მან ბიბინა ბალახზე იგრძნო თავი. ირგვლივ სასიამოვნო სიგრილე იდგა, ჰაერი მცენარეული სურნელებით იყო გაჟღენთილი. ხმაური კვლავ ჩაესმოდა, მაგრამ მასში აღარაფერი იყო შიშის აღმძვრელი. ის ძველთაძველ სიმღერასავით ანანავებდა და სასიამო თვლემას ჰგვრიდა ელენას.

ელენამ ძლივძლივობით გაახილა თვალები. წყლით აბრუნებული უზარმაზარი ბორბალი ხმაურით ტრიალებდა მის თვალწინ და მანანასავით აფრქვევდა გარშემო ცინცხალ შხეფებს. ისინი მთვარის სხივებში ლაპლაპებდნენ და ელენას იმ ალმასის თვლებს მოაგონებდნენ, რომლებითაც გოგოები ამკობდნენ ბაღში, იმ დღით, როცა ნიკიტა რომანოვიჩი დაბრუნდა ლიტვიდან.

„ნეტავ ჩემს ბაღში ხომ არა ვარ? — გაიფიქრა ელენამ. — ნუთუ კვლავ ბაღში გავჩნდი? გოგოებო! პაშენკა! დუნიაშა! სადა ხართ?“

მაგრამ ქალიშვილების ქორფა სახის მაგიერ მოხუცის დანაოჭებული სახე დაიხარა ელენასკენ, თოვლივით ქათქათა წვერი თითქმის სახეზე მოელამუნა.

— ნახე, როგორ დაგიფარა ღმერთმა, ბოიარინა, — წარმოთქვა უცნობმა მოხუცმა, თან ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ელენას ნაკვთებს, — სულ ერთ ბეწოზე მარცხნივ გაეხარა ცხენს და, მორჩა, პირდაპირ ნატბორში ამოყოფდი თავს; მარა არც ცხენია აქაურობის ხამი, —

განაგრძობდა ის თავისთვის, — იცნობს ამ არემარეს; მადლობა ღმერთს, პირველად არ მოდის წისქვილში!

მოხუცის გამოჩენამ კინაღამ შეაშინა ელენა; გაახსენდა, რაც ქაჯებზე გაეგონა, თან უცნობის დანაოჭებულმა სახემ და თეთრმა წვერმაც უცნაურად იმოქმედა მასზე, მაგრამ ბერიკაცის ხმაში რაღაც გულკეთილობა იგრძნობოდა; ერთბაშად ელენა უეცარმა ფიქრმა შეიპყრო და მუხლებში ჩაუვარდა მოხუცს.

— ბაბუ, ბაბუ! — წამოიძახა მან, — მიშველე რამე, დამმალე სადმე!

მეწისქვილემ მაშინვე იაზრა, რა ამბავიც მომხდარიყო: ცხენი, რომლითაც ელენა მოვარდა, ვიაზემსკის ეკუთვნოდა. ყველა ვარაუდით, ეს ქალი ბოიარინა მოროზოვა იყო, სწორედ ის, რომლის მოჯადოებასაც თავადი ემუდარებოდა. მოხუცს არასოდეს ენახა ელენა, მაგრამ ბევრი რამ იცოდა მასზე ვიაზემსკისგან. ამ ქალს არ უყვარს თავადი, ახლა კი შველას ითხოვს; მაშასადამე, ის, როგორც ჩანს, თავადს გამოექცა მისივე ცხენით.

მოხუცმა სწრაფად ივარაუდა გონებაში ყველა ეს გარემოება.

— ღმერთმა მოგხედოს, ბოიარინა! — მიუგო მეწისქვილემ. — აბა, მე რა გიშველო? ნამეტანი ძლიერია თავადი აფანასი ივანიჩი, ხელიც შორს მიუწვდება, დამღუპავს მოხუცს.

ელენამ შიშით შეხედა მეწისქვილეს.

— შენ იცი... — წარმოთქვა მან, — იცი, ვინცა ვარ?

— ეჰ, ცოდნით რა არ ვიცი, ქალბატონო ელენა დმიტრიევნა! რა არ ჩამბუტბუტა წყალმა, რა არ მიჩურჩულეს ხეებმა ჩემ მოსწრებაში. ბევრი რამ ვიცი; ისეთებიც, რომ არ ითქმება!

— ბაბუ, რახან ყველაფერი გცოდნია, მაშ აბა ისიც გეცოდინება, რომ ვიაზემსკი ველარ დაგღუპავს, რომ გზაზე აგდია ახლა, ხმლით დაჩეხილი. მისი კი არ მეშინია, ბაბუ, ოპრიჩნიკებისა და თავადის მსახურებისა მეშინია... ყოვლად წმინდა ღვთიშობელს გაფიცებ, ბაბუ, დამმალე სადმე!

— ოჰ-ოჰ-ოჰ! — მძიმე ხვნეშით წარმოთქვა მოხუცმა, — გზაზე აგდია თავადი აფანასი, ხმლით დაჩეხილი! მარა ხმლით სიკვდილი არ უწერია იმას. წამოდგება თავადი, ცხენით მოფრინდება წისქვილთან და მეტყვის: სად არის ჩემი სულისდგმა ბოიარინა, ჩემი სატრფო, ჩემი მხურვალე გულის მალამო? რა ვუპასუხო მაშინ მე იმას, რით მოვიცილო? იმნაირი კაცი არ არის თავადი, თქმით რამე შეასმენინო. სულ ნაკუწ-ნაკუწ ამკეპავს!

— ბაბუ, აი ჩემი ყელსაბამი! შენ გქონდეს! სხვასაც ბევრს მოგცემ, თუ გადამარჩენ!

მეწისქვილეს თვალები გაუბრწყინდა. მარგალიტის ყელსაბამი გამოართვა ელენას და ხარბად დაუწყო მთვარის შუქზე თვალიერება.

— ქალბატონო, ჩემო თვალისჩინო, — კმაყოფილებით უთხრა მოხუცმა, — დაე ლოცვა-კურთხევა ნუ მოგაკლონ ყოვლად გულუხვმა ღმერთმა და მოსკოვის სასწაულმოქმედებმა! ძნელია ჩემთვის თავადის კაცებისგან შენი გადამალვა, თუ ვინიცობაა აქეთ შემოეხეტნენ! მარა, რახან ასეა, თავს გადავდებ შენ სამსახურად, ეგებ ღმერთმა მომხედოს!

ამის თქმაც ვერ მოასწრო მოხუცმა, რომ ტყეში ცხენების თქარათქური გაისმა.

— მოდიან, მოდიან! — შეპყვირა ელენამ, — ნუ ჩამაგდებ მაგათ ხელში, ბაბუ!

— კეთილი, ქალბატონო, აქეთ მომყევი!

მეწისქვილე ცუხცუხით გაუძღვა ელენას წისქვილისაკენ.

— აქ დაიმალე, ტომრების უკან, — უთხრა მოხუცმა, მერე კარი გაიკეტა და ცხენთან გავარდა.

— აჰ, ღმერთო ჩემო, რა ვიღონო, სად გავაქრო ეს ცხენი, რომ ვერაფერს მიხვდნენ!

მოხუცმა აღვირში ჩაავლო ხელი ბედაურს, წისქვილის იქითა მხარეს წაიყვანა, სადაც საფუტკრე ჰქონდა, და ბუჩქებში მიაბა სკებს უკან.

ამასობაში ცხენების თქარათქური და ადამიანთა ხმები მოახლოვდა. მეწისქვილე ნალიაში ჩაიკეტა და კვარი ჩააქრო.

მალე მდელოზე ვიაზემსკის კაცებიც გამოჩნდნენ. ორი მსახური ქვეითად მოდიოდა და გადაწნულ ტოტებზე უგრძნობლად დასვენებული თავადი მოჰყავდათ. ისინი წისქვილთან შეჩერდნენ.

— ნეტავ სად შემოვეხეტეთ, ხომ არ შეგვეშალა? — იკითხა უფროსმა მხედარმა.

— ცხენი აქეთ გამოიქცა! — უპასუხა მეორემ. — მე თვითონ ვნახე კვალი! თან კიდევ მარჩიელიც ცხოვრობს აქ. ბარემ ნახოს თავადი!

— ძირს დაასვენეთ მისი მოწყალება, ოღონდ ფრთხილად, არ შეაწუხოთ! რაო, სისხლი არ უწყდება?

— არ აძლევს ღმერთი საშველს, — მიუგეს მსახურებმა, — ცოტას მოიხედავს და ისევ გადაიქცევა! რაც გზაში ვართ, ბარე სამჯერ მოუვიდა ასე. ამ მეწისქვილემ თუ არ შეუყენა სისხლი, მორჩა, ველარც ადგება თავადი, წვეთ-წვეთობით დაიცლება!

— ჰოდა, სადაა მერე ის შეჩვენებული, თქვენი ჯადოსანი? გაინძერით, ახლავე აქ გააჩინეთ!

ოპრიჩნიკები წისქვილსა და ნალიას მისცვივდნენ და ბრახუნი ატეხეს. მაგ ბრახაბრუხსა და ყვირილს დიდხანს არავინ გამოხმაურებია. ბოლოს ნალიაში ხველება ეაისმა და გამოჭრილ სამზერში მეწისქვილის თავი გამოჩნდა.

— ვის არ ასვენებს ღმერთი ამ უდროო დროს? — თქვა მოხუცმა ისე ძძიმე ხველებით, თითქოს სული უნდა ამოახველოსო.

— გამოდი, ჯადოსანო, ჩქარა გამოდი, სისხლს შეულოცე! თავადი აფანასი ვიაზემსკი მოვიყვანეთ აგერ ხმლით დაჩეხილი!

— ვინ თავადი? — ისე იკითხა მოხუცმა, თითქოს ყურს აკლია და ვერაფერი გაიგონაო.

— უყურე ამ სამძილას, ამას! კიდევაც რომ კითხულობს: ვინაო? კარი შეამტვრიეთ, ბიჭებო!

— მოიცათ, მარჩენალებო, მოიცათ! თვითონ გამოვალ, კარის შემომტვრევას რა გრჯით? თვითონ გამოვალ!

— აჰა, ახლა ხომ კარგად გაიგონე, შე ყრუანჩელავ, შენა!

— ნუ მიწყენ, ბატონო, — უთხრა მეწისქვილემ, როცა ფუთფუთით გამოძვრა კარში, — მაპატიე, შენ შემოგევლე, ყურს დამაკლდა, ზოგჯერ ერთბაშად ვერც კი ვარჩევ, რას მეუბნებიან! თან კიდევა, ცოდვა გამოტეხილი სჯობია, კარზე და კედელზე ბრახუნი რომ დაიწყეთ, შემეშინდა, თქვენ შემოგევლეთ. ვიფიქრე, ღმერთო მაშორე და, მძარცველები ხომ არ არიან-მეთქი! ეს არემარე ხომ, მარჩენალებო, სულ სავსეა მაგათი ბუდეებითა და ბუნაგებით. სულ შიშსა და გულისხვეთქვაში ხარ კაცი ამ ტყეში, სულ იმის ფიქრში: ვაითუ, ღმერთმა ნუ ქნას და, აქაც შემოეხეტონო!

— კარგი, კარგი, ენად ნუ გაიკრიფე! აქეთ მოდექი, ამას შეხედე: ხედავ, როგორ მოთქრიალებს სისხლი? რას იტყვი, შეაჩერებ?

— აი ვნახოთ, შემოგევლე! უჰ, ეს რა მოსვლია ამ უბედურს! ვინ იყო ის ულმერთო, ასე რო გაუმეტებია? ნახევარი გოჯით ქვემოთ და, გათავდა, საფეთქელსაც გაუპობდა! მარა, მადლობა უფალს, არ გაუწირავს! ერიჰა-ე, ეს რაღაა? მხარი ლამის ძვლამდეა ჩათლილი! ეჰ, ეტყობა, მარჯვე მჩეხავია, ვიღაცაა, ამ დღეში რომ ჩაუგდია მისი მოწყალება!

— შეიძლება სისხლის შეჩერება, მოხუცო?

— გაჭირდება, მარჩენალო, გაჭირდება. ხმალი ხომ შელოცვილი ყოფილა!

— შელოცვილი? გესმით, ბიჭებო, აკი ვამბობდი, შელოცვილია-მეთქი. აბა ისე რანაირად მიჩეხ-მოჩეხდა მარტო თვითონ შვიდ კაცს!

— ჰო-ო! — გამოეპასუხნენ ოპრიჩნიკები, — შელოცვილი ხმალი სჭე-

რია, შეიდლოსან, და რას გააწყობდი იმასთან! თორე სერებრიანი ვინ არი რო შვიდი კაცი აეჩეხა!

მეწისქვილე კი ისმენდა და იმახსოვრებდა ყოველივეს.

— ხომ ხედავთ, როგორ მოთქრიალებს სისხლი! — განაგრძობდა ბოხუცი, — აბა რანაირად შეაჩერებ ამას? ხმალი რო შელოცვილი არ იყოს, კიდევ ჰო, შეაჩერებდა კაცი, მარა ახლა... არა, კაცმა რომ თქვას, ახლაც შეიძლება, მარა ძალიან მეშინია. როგორც კი შელოცვას დავიწყებ, მაშინვე ენა წამერთმევა!

— არა უშავს, შეულოცე!

— იფ! არა უშავს! შენთვის, ჰო, არა უშავს, ჭირიმე, მაგრამ აბა ერთი ის იკითხე, მე რა დღეში ვიქნები!

— ისტომა! — უთხრა ოპრიჩნიკმა ერთ მსახურს, — მოიტა აქ მოროზოვის ოქროებიანი ქისა. აჰა შენ, მოხუცო, ეს ერთი მუჭა ოქრო! თუ შეაჩერებ სისხლს, კიდევ ერთ ამდენს მოგცემ; ვერ შეაჩერებ და — სულს გაგაფრთხობინებ!

— მადლობელი ვარ, ბატონო ჩემო, მადლობელი! წყალობა ნუ მოგაკლონ უფალმა ღმერთმა და ყველაწმინდამ! რახან ასეა, მარჩენალებო, თავს არ დავზოგავ, ვეცდები გიშველოთ გაჭირვებაში. გვერდზე მიდექით, თქვენ შემოგევლეთ, ამ საქმეს უცხო თვალი არ უყვარს!

ოპრიჩნიკები გვერდზე გადგნენ. მეწისქვილე ვიაზემსკისკენ დაიხარა, იარები შეუხვია, „მამაო ჩვენო“ წაიკითხა, მერე კი შუბლზე დაადო ხელი და აბუტბუტდა:

— „ბერიკაცი მოდიოდა წაბლა ცხენითა, ჯირითით და ფრენითა, გზა-შარების, ხევ-ხუვების რბენითა. შენ, დედაო სისხლო ძარღვებისაო, სხეულისაო, შეწყდი ახლა, გეყოს წადენი. ბერიკაცი კიდობანში გამწყვდევს, მოსვენებას, თბილ ბუდეს გაძლევს. როგორც რომ მის ცხენს წყალი დაუშრა, ისევე შენც, დედაო სისხლო, ღარი დაგიშრეს! ცხრა ხატო, ცხრა კლიტოსანო, მომეხმარე, ჰყავ ნება ჩემი! სიტყვა ჩემი მტკიცეა!“

მოხუცის ბუტბუტის კვალობაზე, სისხლის დენა თანდათან დაცხრა და ბოლო სიტყვაზე სულაც შეწყდა. ვიაზემსკიმ ამოიხვნეშა, მაგრამ თვალი არ გაუხელია.

— მოდით, მოკეთეებო, — თქვა მეწისქვილემ, — ახლოს მოდით, ნუ გეშინიათ; შედგა სისხლი, იცოცხლებს თავადი აფანასი; ოღონდ ახლა მე ვერ ვარ კარგად... უკვე ვატყობ, ენა მიშეშდება!

ოპრიჩნიკები თავადს შემოეხვივნენ. მთვარე სახეზე დანათოდა ვია-

ზემსკის, მკვდრისფერ სახეზე, მაგრამ სისხლი უკვე აღარ სდიოდა იარებიდან.

— მართლა შეუდგა, კაცო! უყურე ამ ბეხრეკს, რა ყოფილა!

— აჰა შენ შენი ოქროები! — უთხრა ოპრიჩნიკების უფროსმა მხედარმა. — ოღონდ ამით კიდევ არ მთავრდება ჩვენი ამბავი. მისმინე, მოხუცო. ჩვენ კვალი ვნახეთ და ვიცით, რომ თავადის ცხენი ამ გზით გამოიქცა, იმ ცხენით კი, ეგებ, თვითონ ბოიარინაც აქეთ მოჰქროდა. ჰოდა, თუ დაინახე ისინი, იცოდე, არ დაგვიმალო!

მეწისქვილემ თვალები დაჭყიტა, თითქოს ვერაფერი გაიგოო.

— დაინახე ცხენი და ბოიარინა?

მოხუცი ოდნავ შეყოყმანდა, ეთქვა თუ არა? მაგრამ წამსვე ასე იანგარიშა გონებაში:

„ვიაზემსკი რომ საღ-სალამათი იყოს, მაშინ მისგან ბოიარინას დამალვა, ა-პა-პა, ძალიან საშიში იქნებოდა, მის ხელში გადაცემა კი, იცოცხლე, ხელსაყრელი! მაგრამ გამომჯობინდება ვიაზემსკი თუ ჭირს მოგეჭამს, ეს ღმერთმა უწყის! მოროზოვი კი უსაჩუქროდ არ დატოვებს იმას, ვინც სამსახურს გაუწევს. და თვითონ სერებრიანისაც, ჩანს, სახუმაროდ არ ჰყვარებია ბოიარინა, რაკი ასე უღმერთოდ დაჩეხა თავადი მისი გულისთვის. მაშასადამე, — ფიქრობდა მეწისქვილე, — ვიაზემსკი ახლა ვერაფერს დამიშავებს, სერებრიანი და მოროზოვი კი თავ-თავის მხრივ მადლობას მეტყვიან, თუ ბოიარინას გადავარჩენ“.

ამ ვარაუდმა დაატოვებინა მოხუცს ყოყმანი.

— ყურითაც არ მსმენია, თვალითაც არ მინახავს, მოკეთეებო! — თქვა მან, — არც ვიცი, რომელ ცხენზე, რომელ ბოიარინაზე ლაპარაკობთ!

— ვაი შენი ბრალი, თუ გვატყუებ, მოხუცო!

— შეჩვენებული ვიყო, თუ ვტყუოდე! ციური სასუფეველიც ნუ მღირსებია მაშინ! ა, აქვე დამხრუკოს მეხმა, თუ რამე ვიცოდე ან ცხენზე, ან იმ ბოიარინაზე!

— აბა მაშ მოიტა კვარი, ვნახოთ ერთი, არის თუ არა კვალი სილაზე!

— ახლა რაღა დროსია მაგის ნახვა, კაცო! — გამოედავა ერთი ოპრიჩნიკი. — კიდევაც რომ ყოფილიყო რამე კვალი, უკვე გადათქერეს ჩვენმა ცხენებმა. ახლა ველარაფერს დავინახავთ!

— რახან ასეა, ნახვაც არ ღირს! ნალია გამოაღე, მოხუცო! თავადი გადავიყვანოთ!

— ახლავე, მოკეთეებო, ახლავე, ეჰ, სიბერეს რა ვუთხრა, მარჩენალებო, თორემ გავიქცეოდი ხელათ ფუნდუკში, ლუდსა და არაყს მოგირბენინებდით!

— გაიქცეოდი რა, შინ არა გაქვს?

— არა მაქვს, მოკეთეებო. აბა საიდან, მე საპყარს! არც ღვინო მაქვს, არც შეჭამანდი, არც საკვები თქვენი ცხენებისთვის. აი, ფუნდუკში, გიყვარდეს, იქ ყველაფერი აქვთ. იქ ისეთ ღვინოს გამოგიტანენ, გინდაც მეფეს მიართმევ სუფრაზე. სივიწროვე შეგაწუხებთ ჩემთან, ღირსო ბატონებო, და კბილგასაკრავიც არაფერი მაქვს; მარა თქვენ ხომ ლაშქრის ხალხი ხართ, უვახშმოდაც გაძლებთ რამენაირად! თქვენი ბედაურები კი ბალახს მოწიწკნიან... ოღონდ ცუდი ის არი, ეს ოხერი ბალახი ვერაა აქ მთლად ისეთი... რამდენჯერ ყოფილა, გამოძღება ცხენი და ისე ჩახურდება, ისე გაებერება, დოლივით გაუხდება მუცელი! დაბარბაცდება, დაბარბაცდება და, გასკდება უცებ!

— ეშმაკმა დაგლახვროს, შე წუწურაქა ბებერო, ეგებ ის გინდა, ჩვენი ცხენები მუცლებზე დასკდნენ?

— ღმერთმა ნუ ქნას, მოკეთეებო! ცხენები შეიძლება დავაბათ, რომ ბალახი ვერ მოძოვონ; ერთი ღამე რა გასაჭირია, ისედაც გაძლებენ! თქვენ კი, ბატონებო, უმორჩილესად გთხოვთ, დამაფასოთ ამ ჩემ ნალიაში მობრძანებით. შიგ არც თივაა, არც ჩალა, ტიტველა სოხანეა მარტო. აბა ფუნდუკს კი ვერ შეედრება აქაურობა. ოღონდ, მოსვენებას რომ დაპირებთ, ძილის წინ ლოცვის წაკითხვა არ დაგავიწყდეთ, რო ღამის შიში გააფრთხოთ... თორემ სუ არაწმინდებითაა სავსე აქაურობა!

— აი შე ეშმაკის ნათლიავ, შენა! ჯანდაბას შენი თავიცა და შენი ნალიაც! უყურე რით გვიპირებს გამასპინძლებას! ბიჭებო, წავედით ფუნდუკში!.. შორსაა აქედან, ბებერო?

— ახლოსაა, მოკეთეებო, მთლათ ახლოს. გაყევით აგერ ამ ბილიკს. გზაზე რომ გააღწევთ, მარცხნივ გაუხვიეთ, ასე ერთ ვერსამდე გაიელით, ჰოდა იქვე დაინახავთ ფუნდუკსაც!

— წავედით! — თქვეს ოპრიჩნიკებმა.

ვიაზემსკი ისევ უგონოდ იყო. მსახურებმა ასწიეს თავადი და ფრთხილად წაიყვანეს საკაცით. ოპრიჩნიკები ცხენებზე შესხდნენ და უკან მიჰყვნენ.

როგორც კი შორს დაიგულა მიმავლები და ტყეში ადამიანის ხმა მიწყდა, მოხუცმა წისქვილი გამოაღო.

— ქალბატონო! წავიდნენ! — უთხრა მან. — ნალიაში წამობრძანდი. ეჰ, შე ტკბილო, კაკანათში გაბმულო იადონო, როგორ საწყლად ჩაცუცქებულხარ მაგ ტომრებში! ადექი, ნალიაში წამობრძანდი, ჩემო მტრედო, ოქ ცოტა უკეთ იგრძნობ თავს!

მოხუცმა ნედლი ხავსი დაფინა ნალიის კუთხეში, კვარი აანთო და

ვოლეული თაფლით სავსე ხის ჯამი და პურის ყუა დაუდო წინ ელენას.

— მიირთვი, ნუ მოგერიდება, ქალბატონო, ღმერთმა შეგარგოს! — უთხრა მან და მდაბლად დაუკრა თავი, — ახლავე ღვინოსაც მოგიტან.

მოხუცი წისქვილში გაცუხცუხდა და მოზრდილი დოქი და თიხის ტოლჩა გამოიტანა.

— შენი დღეგრძელობისა იყოს, ქალბატონო!

მოხუცმა, მასპინძლის წესისამებრ, პირველმა დასცალა ტოლჩა. ღვინომ გაამხიარულა ბერიკაცი.

— დალიე, ბოიარინა! — თქვა მან, — ახლა ნურავის შიში ნუ გექნება! ისინი ფუნდუკს ეძებენ! მიაგნებენ თუ ვერ მიაგნებენ, სულ ერთია, უკან აღარ დაბრუნდებიან; იცოცხლე, კაი გზაზე მე ისინი გავუყენე... ხი-ხი! ე-ე, რა არი, შენ შემოგეელე, ღვინოს რომ არ ეკარები? თუმცა, დამაცა, ნურც გაეკარები მაგას! ეგ მთხლეა, ღვინო კი არა! მიაფურთხე მაგას, მე ახლა სხვას მოგიტან!

მოხუცი კვლავ წისქვილში წაცუხცუხდა და ამჯერად იღლიაში ამოჩრილი მათარიცა და ხელში ვერცხლის თასით დაბრუნდა.

— აი ღვინო ამას ჰქვია! — თქვა მეწისქვილემ, თან მათარას პირი გადმოუქცია. — შენი დღეგრძელობისა იყოს, ქალბატონო! ეს ღვინო, ამ თასიანად, ერთმა კეთილმა კაცმა მაჩუქა... პერსტენს ეძახიან... ხი-ხი! აქ ბევრი კეთილი კაცი ცხოვრობს ტყეში: ყველა მეგობრულადაა ჩემთან! მიირთვი, ქალბატონო! რა არი, პირს რომ არ აკარებ ამ გოლეულს? უბრალო გოლეული კი არ არი. ამნაირ გოლეულს, ასი ვერსიც რომ იარო, ვერსად იშოვი. არ იკითხავ, რატომ არ არის უბრალო? იმიტომ, რომ ფუტკრის ამბავში მე მცოდნის მცოდნე ვარ. სხვებს კი არ ვგავარ! მე ნიადაგ ზაფხულს ყველაზე კარგ სკას ჭაობში ვუგდებ წყლის ბატონს: აჰა, შენ, ბატონო, მიირთვი-მეთქი! ხი-ხი! ის კი, ქალბატონო, ღმერთმა ჯანი მისცეს იმას, ჩემს საფუტკრეს მფარველობს. ფუტკარი ხომ ამ დედამიწაზე მისი გაჩენილია. როცა ჭენებით დააგდო ცხენი და ჭაობში გადაუძახა, იმ ცხენიდან მერე ფუტკრებმა იბარტყეს, მეთევზეებმა კი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ბადე ისროლეს და თევზის მაგიერ ფუტკრები ამოიყვანეს... ეჰ, ბოიარინა! რა უგულოდ იციცქნები! აბა ნახე ახლა, თუ არ დაგაყენო მაგ ღვინის დალევის ხასიათზე... ყური მიგდე, ბოიარინა! დღეგრძელი იყოს... ხი-ხი! დღეგრძელი იყოს თავადი... თავადი, ის კი არა, აი ისა, რა ქვია, სერებრიანი! ღმერთმა ჯანზე ამყოფოს, ნახე, რა ულმერთოდ დაჩეხა ისა, რა ქვია, ვიაზემსკი! ახლა კიდე ბოიარი დრუჟინა, ხი-ხი! დღეგრძელი იყოს, ქალბატონო! იყავი ჩემთან დამალული ერთი-ორი დღე, მერე კი ვისთანაც გინდოდეს, იმასთან წადი, გინდა-

დრუჟინა ანდრეიჩთან, გინდა ნიკიტა რომანიჩთან, მე რა მენაღვლებაᲒ შენც იდღეგრძელე, ქალბატონო!

უცნაურად და ტკივილით გაიხმიანეს ელენას გულში მთვრალი მეწისქვილის სიტყვებმა. ამ მოხუცმა თითქოს მის სულში ღრმად დაფლული ფიქრები იცოდა; თითქოს მის გულისთქმას კითხულობდა; კედელში ჩარჭობილი კვარი მკაფიო შუქს ჰფენდა მის დაღარულ სახეს; ნაცრისფერი თვალები სიმთვრალისგან ამღვრეოდა, მაგრამ თითქოს შიგ სულში უცქერდნენ ელენას. ქალმა კვლავ შიში იგრძნო და ხმამაღალი ლოცვა დაიწყო.

— ხი-ხი! — უთხრა მეწისქვილემ, — ილოცე, ილოცე, ბოიარონა! მე მაგისი არ მეშინია... მე ლოცვით ვერ შემაშინებ, საკმევლით ვერ გამაძევებ... თვითონ ვიცი შელოცვაცა და გამოლოცვაც... უბრალო ვინმე კი არ გეგონო... მე წყლის ბატონიც მიცნობს, ტყის ბატონიც... მე ალებიც მიცნობენ... ქაჯებიც... ჭინკებიც... ყველა მიცნობს... მე... მე... აი, გინდა მოვიხმო ეგენი? შიკალუ! ლიკალუ!

— ღმერთო ჩემო! — წაიჩურჩულა ელენამ.

— შიკალუ! ლიკალუ! რაო? არ მოდიან? დამაცადე, ახლავე მოვიყვანᲒ ყველას! ბდუ, ბდუ!

მოხუცი წამოდგა და ბარბაცით და ბუქნა-ბუქნით გავიდა ნალიიდან. შიშით შეძრწუნებულმა ელენამ მაშინვე ჩაიკეტა კარი შიგნიდან. მეწისქვილე კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა თავის თავთან კარს იქით.

— მე ყველა მიცნობს! — იმეორებდა მოხუცი ტრაბახით, მაგრამ უკვე ენის ჩლიფინით, — ტყის ბატონიც... წყლის ბატონიც... ალებიც... ჭინკებიც... უბრალო ვინმე კი არ გეგონოთ!.. მე ყველა მიცნობს! ბდუ, ბდუ!

ისმოდა, როგორ ბუქნაობდა მოხუცი და აბაკუნებდა ფეხებს. მერე მისი ხმა თანდათან მისუსტდა, ის მიწაზე წაწვა, და მალე ხვრინვაც ამოუშვა, რომელიც წისქვილის ბორბლის ხმაურთან ერთად ისმოდა მთელი ღამის განმავლობაში.

XVIII თავი

ძველი ნაცნობი

მოროზოვის სახლ-კარის დარბევის მეორე დღეს შავრა ტაიჭზე ამხედრებული ერთი ჭარმაგი მეომარი უდაბურ ტყეში მიიკვლევდა გზას. ის წარამარა იხდიდა ქუდს და რაღაცას აყურადებდა.

— ჩუმად, გალკა, იკმარე ამდენი ფრუტუნი,—ამბობდა და ტაიჭს ღონიერ კისერზე უთათუნებდა ხელს, — უყურე ამას, რანაირად მოუსვენრობს, არ გაცლის კაცს რამის გაგონებას. ფუი, დასწყევლოს გამჩენმა, ადგილიც ვეღარ მიცვნია! სულ ცაცხვი და თხილნარია ამ არემარეზე, იმ ღამით რომ მოვდიოდი, მაშინ კი, მგონი, წიწვის სუნს ვგრძნობდი!

და მხედარი გზას განაგრძობდა.

— მოიცა, გალკა! — უეცრად წარმოთქვა მან და სადავე მოზიდა, — აი ახლა, მგონი, ისევ მესმის! დამაცა, შე სამგლევ, რა ჯანდაბა აგიტყდა! არა, მართლა მესმის! ეს უკვე ფოთლების შრიალი არაა, ნამდვილად წისქვილის ბორბალი ხმაურობს! ვერ უყურებ, სად მიმალულა! მარა ვერ მოგართვი! ახლა ვეღარსად წამიხვალ, მგლის კბილი შენ და ქორის კლანჭი!

და მიხეიჩმა, თითქოს იმით შეშინებულმა, ახლაც არ ავცდე გზასო, სადავე მიუშვა და ოთხახმით გააქროლა ცხენი ხმაურის მიმართულებით.

— უჰ, მადლობა ღმერთს, — შვებით წარმოთქვა, როცა ხეებს შორის ხავსმოდებული ძელური და მბრუნავი ბორბალი დალანდა, — ძლივს არ მივაგენი?! კინაღამ მთლად გავსავათდი: ხან წინიდან ისმოდა ხმაური, ხან უკნიდან, კაცი ვერაფერს გაუგებდა! აი ესეც წისქვილი! აგე, იმ მხრიდან მოგვიყვანეს მაშინ მე და ბოიარი იმ ყაჩაღებმა. ერიჰა, რა გამოდის ახლა ეს? მაშინ ბორბალი მარჯვენა მხრით იყო, ახლა კი მარცხნიდანაა; მაშინ ნალიას ფანჯარა წისქვილისკენ ჰქონდა, კარი კი ტყისკენ, ხოლო ახლა ფანჯრით ტყისკენ დგას, კარი კი წისქვილისკენ მიუქცევია! ფუ, დალახვროს ღმერთმა, ეს სულ იმ მეწისქვილის ოინებია! ხედავ, როგორ გიხვევს თვალებს! იმიტომაც იყო, მთელი დღე რომ ვეხეტებოდი წაღმა-უკუღმა; ვაი რომ ბატონი მყავს გადასარჩენი, თორემ არასდიდებით არ მოვიდოდი აქ!

მიხეიჩი ცხენიდან ჩამოვიდა, თავისი გალკა იქვე ხეზე მიაბა, ცოტა შიშნაკრავი მიუახლოვდა წისქვილს და კარზე დააკაკუნა.

— მასპინძელო, ჰეი მასპინძელო! — პასუხი არ ისმოდა.

— მასპინძელო, ჰეი მასპინძელო!

წისქვილში დუმილი სუფევდა: მხოლოდ დოლაბების დგანდგარი და სარეკელების რაკარუკი ისმოდა იქიდან.

მიხეიჩი კარს მიაწვა, ეგებ გავაღოო; იგი შიგნიდან იყო ჩაკეტილი.

„ნეტავ რა მოუვიდა, სძინავს თუ მემალება, ეგ ბებერი ტარტაროზი?“ — გაიფიქრა მიხეიჩმა და გამეტებით მისცხო კარს მუშტები და წიხლები. პასუხი არ ისმოდა. მიხეიჩს ბრაზი წაეკიდა.

— ეი შენ, ბებერო! — დაიყვირა ჯილავდარმა, — გამოეთრიე, თორე, იცოდე, ცეცხლს შეეუნთებ ამ შენს წისქვილს!

გაისმა ხველება და კარს ზემოთ დატანებულ პატარა სამზერში თეთრი წვერი და დანაოჭებული სახე გამოჩნდა. ნაოჭებში ღრმად ჩაკარგულიყო ორი მოკიაფე ღიანაცრისფერი თვალი.

მეწისქვილის გამოჩენამ მიხეიჩი შეაცბუნა.

— გამარჯობა, მასპინძელო! — ალერსიანად უთხრა მან.

— ღმერთმა გამარჯვებული გამყოფოს! — მიუგო მეწისქვილემ, — რაზე გარჯილხარ, კეთილო კაცო?

— ვერ მიცანი, მასპინძელო? მე ხომ ამას წინათ ღამე გავათიე აქ თავადთან ერთად.

— თავადთან ერთად? როგორ ვერ გიცანი, გიცანი. რაო, ჩემო ბატონო, რა გაგჭირვებია?

— აბა ეგ რა წესია, მასპინძელო, ჭოტივით შებუზულხარ მაგ ფუღუროში! ან მე შემომიშვი, ან თავად გამოდი; ასე ლაპარაკი რას ემგვანება!

— დაიცა, ჩემო ბატონო, მადროვე ხორბალი ჩავუმატო ხვიმირაში და ახლავე გამოვალ!

„ჰო, აბა, — გაიფიქრა მიხეიჩმა, — ერთი დამანახვა, რანაირ ხორბალს ჩაუმატებ, შე ეშმაკის ნათლიავ, შენა? ალბათ, ურიების ძვლებს უფქვავ სათქვლეფად ალქაჯებს! აქ საფქვავსაც არავინ მოიტანს, ამ დასაკარგავში, აკი ნაურმალებიც სულ ბალახითაა დაფარული!“

— აი, ჩემო ბატონო, მეც აქ ვარ, შენთან, — უთხრა მეწისქვილემ, თან საგულდაგულოდ გამოიკეტა კარი.

— ძლივს არ გამოხვედი?! კაი ხანს კი იჯანჯლე, მასპინძელო.

— რას იზამ, ნათლიმამ, ბაზარში კი არ ვცხოვრობ, ტყეში ვარ. გინდა-არგინდა, ყველას ვერ გაუღებ კარს; რა იცი, რა გულით მოდის: შეხედავ, კაცია, მარა რას გაუგებ, ღვთივ ნაკურთხი პური უდევს უბეში თუ რიყის ქვა!

„უყურე ამ ბუზიყლაპიას! — გაიფიქრა მიხეიჩმა. — ისე ისაწყლებს თავს, ვითომ ავაზაკების ეშინოდეს, მარა, მე რომ მკითხო, არც იქნება ქვეყანაზე ისეთი ქაჯი, ეგ რომ მისი ნათლიმამა არ იყოს!“

— აბა, ბატონო ჩემო, მითხარი, რაში დაგჭირვებივარ? შენ მოჰყევი, მე კი მოგისმენ!

— აი რა, მასპინძელო: უბედურება მოხდა, სიკვდილზე უარესი შეჭირს; შეჩვენებულმა ოპრიჩნიკებმა ჩემი ბატონი შეიპყრეს, ალექსანდრეს სლობოდაში წაიყვანეს გათოკილ-გაკოჭილი; ახლა, ალბათ, საპ-

ყრობილეში ზის, დარდით შეჭმული, გატანჯული და გაწამებული; მარა რისთვის ზის, ერთმა ღმერთმა უწყის, სხვამ არავინ; ერთი ბეწო არაფერი დაუშავებია არც მეფის, არც ღვთის წინაშე; მხოლოდ სიმართლისთვის გამოიღო ხელი, ბოიარ მოროზოვსა და მის ცოლს გამოექომაგა, როცა უკულმართი ოპრიჩნიკები ლხინისა და მხიარულების ჟამს ვერაგულად დაეცნენ დრუჟინას სახლ-კარს და დედაბუდიანად აიკლეს.

მეწისქვილეს უცნაური გამომეტყველება ჩაუდგა თვალებში.

— ოხ-ოხ-ოხ! — თქვა მან, — ცუდი ამბავია, მარჩენალო, ცუდი ამბავი; ვაი რომ ამოდენა მგლის ღმუილი უამბოდ არ გარდაწყდება; ვაი შენი თავადის ბრალი იმ დილეგში, ვაი საწყალი მოროზოვის ბრალი, ყმაწვილი ცოლის დამკარგავისა, ვაი და ვუი ვიაზემსკის სხვისი ცოლის გადამკიდეს!

მიხეიჩი გაოცდა.

— ერიჰაა, შენ რა იცი, ვიაზემსკიმ თუ მოროზოვის ცოლი მოიტაცა? მე ეგ არ მითქვამს შენთვის!

— ეჰ, ნათლიმამ, განა მარტო ის შეიტყობა, რაც ითქმება; ზოგჯერ შორს ტყეში დაიძახებს კუ-კუს, მაგრამ ყურისძირთან გაიგონებ; ბორბალზე წყალი რომ მოწყდება, იცოდე, ას ვერსზედაც ვვალვა დამდგარა და პურის დიდი მოუსავლობა იქნება; ჩვენს ძმას კი, მოხუც კაცს, სხვა რა საქმე აქვს: იჯექი შენთვის წყნარად, უგდე ყური, როგორ იზრდება ბალახი და გულისხმაში ჩაიბეჭდე!

— კაი დაგემართოს, ჰოდა, ეგებ ისიც იცოდე, მასპინძელო, რა ეშველება ჩემს ბატონს? აი მე სულ ვფიქრობდი და ვმგონიაობდი, ისეც და ასეც ვიჭყლიტე ტვინი, მაგრამ ვერაფერი მოვისაზრე. მერე კი ვთქვი, მოდი, იმ კეთილ მოხუცთან წავალ, რჩევას ვკითხავ-მეთქი. თან კიდევ, რაღა დაგიმალო და, სულ ის მამაცი მიტრიალებდა გონებაში, აი შენთან რომ მოგვიყვანა იმ ღამეს. თვითონ დამიბარა მაშინ: თუ შენს ბატონს დავჭირდეო, მითხრა, წისქვილში მიდი და ბერიკაცს სთხოვე, ვანიუხა პერსტენის გზა მიგასწავლოსო, ხოლო მეო, მითხრა, მოხარული ვიქნები ბოიარს ვემსახუროო; მისთვის თავსაც გავწირავო! ჰოდა, აი, მეც მოვედი შენთან, მასპინძელო; მიყავი ღვთის საამური მადლი, მასწავლე, როგორ დავიხსნა ჩემი ბატონი. თუ მასწავლი, იცოდე, თავადი ნიკიტა რომანიჩი არ დაგივიწყებს ამ სიკეთეს, და მე თვითონაც, მე ბედშავი, შენი სამუდამო მსახური ვიქნები.

„ნეტამც მიწამ პირი გიყოს და ბნელს ჩაგიტანოს, შე მგლის კერძო, — ფიქრში დაურთო მიხეიჩმა. — ჰაი დედასა, ვისთან მიხდება მუხლებზე ხოხვა!“

— რახან ასეა, ვცადოთ, ნათლიმამ, რატომაც არა, გაჭირვებულის შველა. ვერ არის საქმე კარგად, რაღა თქმა უნდა, მაგრამ, გაგეგონება, ქოთნები სატაცით ამოაქვთ მხურვალე ცეცხლიდან, ზოგჯერ კი ისედაც ხდება, ჰურის მარცვალი საღ-სალამათი გამოხტება დოლაბს ქვემოდან; ყველაფერი ხდება, ვისაც რა ბედი აქვს!

— ეგ ჰო ეგრეა, მასპინძელო, ბედი თქვი თორემ, კაცს მოზვერიც დაუმაკდება, ხოლო ბედი თუ გაგიწყრა, რწყილიც რქას გაგკრავს, მაგრამ ახლა თავმოდრეკილი გეიდრები, რამე საშველი გამომიძებნო, მასწავლო, როგორ მოვიქცე, რ. ვიღონო?

მეწისქვილემ თავი დახარა, თითქოს ბორბლის ხმას მიუგდო ყურიო. რამდენიმე წუთი გავიდა. მოხუცმა თავი გადააქნია და, მიხეიჩისკენ არც გაუხედავს, ისე დაიწყო ბუტბუტი:

— „ბრუნავს და ბრუნავს ეს ბორბალი, რაც მაღლა იყო, დაბლა იქნება, რაც დაბლა იყო, მაღლა იქნება; შორიდან ზარის რეკვა მომესმის, ვერ გამიგია, ასაფლავებენ ვინმეს, თუ ქორწილს იხდიან; ხოლო ჯვარს ვის დასწერენ, ვის დამარხავენ, არ ისმის, წყალი ხმაურობს, სქელ კვამლში არაფერი ჩანს!

შორიდან ყორნები მოიჩქარიან, მდიდრულ ნადიმზე უხმობენ ერთიმეორეს, ხოლო ვინ უნდა ჰკორტნონ, ვის თვალები დასჩიჩქნონ, თვითონაც ვერ გაუგიათ, მოფრინავენ და ჩხავიან! ნაჯახი ალესილია, ჯალათი მზადაა; თბილი სისხლი ნაკადულებად მოსკდება, მუხის ფიცრებზე ჩაედინება, მოკვეთილი თავები ძირს გაგორდება, ხოლო ვისი თავები, ეს კი არა ჩანს!“

მიხეიჩი დაფრთხა.

— აბა რეებს ამბობ, ბაბუ, თან ისე მოსთქვამ, გეგონება მიცვალებულზე ჰგოდებდე?

მეწისქვილეს თითქოს არც გაუგონია მიხეიჩის ნათქვამი. ის აღარ ლაპარაკობდა, მაგრამ ცხვირში დუდუნებდა რაღაცას. ტუჩებს განუწყვეტლივ ამოძრავებდა, ნაცრისფერ თვალებზე კი ბინდი გადაჰკვროდა, თითქოს ვერაფერს ხედავდა.

— ბაბუ, ჰა, ბაბუ! — და მიხეიჩმა სახელო დაჰქაჩა მოხუცს.

— ჰა? — გამოეხმაურა მეწისქვილე და მიხეიჩს შეხედა, თითქოს მხოლოდ ახლაღა შენიშნაო.

— რას ბუტბუტებ, ბაბუ?

— ეჰ, ნათლიმამ! რაც ყურს ჩაესმის, განა ყველაფერი ენით ითქმება! ახლა კი წადი, შენს გზას დაადექი აგერ ამ ნაძვის ჩადენებაზე. სულ პირდაპირ იარე, ბევრი გადასახვევი შეგხვდება მარჯვნივაც და მარცხნი-

ვაც, მაგრამ შენ არსად გადაუხვიო; ხუთიოდე ვერსს რომ გაივლი, ერთ ქოხს დაინახავ განაპირას, იმ ქოხში ძეხორციელი არავინაა. იქ დაელოდე დაღამებამდე, კეთილი ხალხი მოვა და დანარჩენს მათგან შეიტყობ. აქეთობას კი წისქვილში შემოიარე, საქმე დაგხვდება; ფასკუნჯი შემოფრთხიალდა მახეში; მეფე დალმატს წაუყვან იმას, საჩუქარს კი შუაზე გავიყოფთ!

ეს რომ თქვა, მოხუცს პასუხისთვისაც არ დაუცდია, წისქვილში შევიდა და კარი გაიკეტა.

— ბაბუ! — ყვირილით დაადევნა მიხეიჩმა, — ბარემ გამაგებინე ადამიანურად, რა ხალხზე მელაპარაკები ან რომელ ფასკუნჯზე?

მაგრამ მეწისქვილე აღარ გამოპასუხებია და მიხეიჩმა, თუმც დიდხანს აყურადა, მაინც ველარაფერი გაიგონა, წყლის ჩხრიალისა და ბორბლის ჭრიალის გარდა.

„მგლის კბილი შენა და ქორის კლანჭი! — გაიფიქრა ჯილავდარმა.— უყურე მაგას, სად ოხრობაში მგზავნის! ხუთიოდე ვერსზე ქოხს დავინახავ, დაღამებამდე იქ დაველოდო, მერე კი ეშმაკმა იცის, ვინ მოვა და რას მეტყვის! შენ თვითონ უნდა წაგაცუხცუხოს იქ კაცმა, შე ტარტაროზო! თავადი რომ არა, მე ვიცი, რასაც გიზამდი! უყურე ამას, მართლა ვინ ყოფილა! ფუ შენს კაცობას! წავიდეთ, გალკა, სხვა რა ჩარაა, ვეძებოთ ის ეშმაკის ქოხი!“

მიხეიჩი ცხენზე შეჯდა, შეუსტვინა და ჩორთით წავიდა მეწისქვილისგან ნაჩვენები მიმართულებით.

XIX თავი

რუს კაცს სიკეთე ახსოვს

უკვე დღე იწურებოდა, როცა მიხეიჩმა განმარტოებული ქოხი დაინახა. მთლად შავი და ჩამჭვარტლული, ის სანახევროდ ჩამპალ-გალეულ სოკოს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანის სამყოფს. მზე უკვე ჩავიდა. პატარა მდელოზე მობიბინე მაღალ ბალახს ზოლ-ზოლად ეფინა ნისლი. სასიამოვნოდ გრილოდა. ფრინველები აღარ ჟღურტულებდნენ, მხოლოდ დროდადრო რომელიმე მათგანი წამოიწყებდა ძილისპირულს და, ველარც ამთავრებდა, ისე იძინებდა ტოტებზე. ნელ-ნელა მათი ხმაც მიწყდა და ირგვლივ ჩამომდგარ მდუმარებაში უხილავი ნაკადულის სუსტი რაკრაკი და, დროდადრო, კრაზანების ზუილი ისმოდა მხოლოდ.

— ხედავ, სად შემოვეხეტეთ, — თქვა მიხეიჩმა და იქაურობას მოავლო თვალი, — მართლაც კაცი არ ჭაჭანებს ამ არემარეზე! დავიცდი, ვნახავ ერთი, ვინ გამოჩნდება, რა რჩევას მომცემს? მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას და, ვაითუ ვინმე იმნაირი მოვიდა, რომ... ფუი ეშმაკს! ჯვარი გვწერია ავისა და ბოროტისაგან! ეჰ, იცოცხლე, ავუგებდი წესს ამ მეწისქვილეს, თავადი რომ არ მყავდეს გამოსახსნელი.

მიხეიჩი ცხენიდან ჩამოხტა, პალტოდან დაბორკა თავისი გალკა, აღვირი წაჰყარა და ნებაზე მიუშვა.

— წიწკნე შენთვის ბალახი, — უთხრა გალკას, — მე კი ქოხში შევალ, თუ კარი გამოკეტილი არაა, ვნახავ, წასახემსებელი ხომ არაფერია შიგ! საბუდარი, ეგებ, ვერ არის კაიკაცური, მარა არც შიმშილია კეთილი დეიდა!

მიხეიჩმა ფეხი ჰკრა მოღრეცილ დაბალ კარს; უცნაურად, თითქმის ადამიანის ტირილივით, გაისმა ამ უკაცრიელ მიდამოში მისი გაბმული ჭრიალი. ბოლოს, როცა ის ანჯამებზე შებრუნდა და კედელს მიენარცხა, მიხეიჩი დაიხარა და ქოხში შევიდა. მაშინვე ბნელში აღმოჩნდა და ჩაშმორებული კვამლის სუნმა აუწვა ნესტოები. მან ხელები მოაფათურა, მაგიდას წაეჩეხა, ზედ დაგდებული პურის ყუა მოჰყვა თითებში, და მაშინვე აამუშავა ყბები. კერიასთან მივიდა, ნაცარი გადაქექა, ნაკვერჩხლები იპოვა, წვალებით გააჩაღა და ჯორკოზე მიგდებული კვარი აანთო. ღუმელსა და კედელს შუა ბალახანა იყო გაფიცრული. ზედ ნაირნაირი ტანისამოსი ეყარა, სხვათა შორის, ერთი ისეთი ფარჩის ხიფთანიც, ბოიარსაც რომ დამშვენდებოდა. კედელზე ოქროთი უცხოდ მოზარნიშული ჩაჩქანი ეკიდა. მაგრამ ყველაზე მეტად მიხეიჩის ყურადღება წირთხლზე შედგმულმა ხატმა მიიპყრო. კვამლისგან მთლად გაჭვარტლულმა ამ ხატმა უცნობ მასპინძელთან შეარიგა ის.

მიხეიჩმა რამდენჯერმე გამოისახა პირჯვარი მის წინ, მერე კვარი ჩააქრო, ბალახანაზე აბობღდა, გაიშოტა, ერთხანს იკრუსუნა და ვაჟკაცის ძილს მინებდა. კაი ტკბილ ძილში იყო, როცა ფერდში უეცარმა მუშტისკვრამ ბალახანიდან გადმოისროლა.

— რა ამბავია? — შეჰყვირა მიხეიჩმა, რომელსაც უკვე სოხანეზე დაგდებულს გამოეღვიძა, — ვინაა, მუშტებს რო იქნევს? ჭკუით, თორე...

მის წინ წვერგაბურძგნილი ბოღვერა იდგა, ქამარში გარჭობილი ფართო დანით, და კიდევ უპირებდა მუშტის მოქნევას.

— გასწიე იქით მუშტი! — უთხრა იმას ვიღაც ზორზოხა ჯელემა, რომელსაც ჯერ კარგად არც ამოსწვეროდა ულვაში, — რა დაგიშავა ამან? ჰა? — თან მხარით გვერდზე მიაგდო ამხანაგი, თვითონ კი მიხეიჩს დააცქერდა და თვალები გადმოკარკლა.

— ხედავ, სუ ჭაღარაა! — რაღაცნაირი კრძალვითა და გაოცებით შენიშნა მან.

— მერე შენ ვინ რას გკითხავს, შე სელაპო, რომ ეჩრები! — დაუყვირა იმ პირველმა, — ვინ არი შენი, მამა თუ სიმამრი?

— ვინ არი და, მოხუცია. ხედავ, სუ ჭაღარაა, იმიტომ, რომ მოხუცია. გეუბნები, ხელი არ დააკარო, გავბრაზდები!

ქოხში უწესრიგოდ შემოხვავებულ ხალხს ხარხარი აუტყდა.

— ეი, ხლოპკო, — თქვა ერთმა მათგანმა, — თავს გაუფრთხილდი! შიტკა თუ გაბრაზდა, ვაი შენი ბრალი მაშინ! გირჩევნია გაერიდო, ჩემო ძმაო!

— ჯანდაბას მაგისი თავი! — მიუგო ხლოპკომ და განზე გადგა. — ესეც ჩვენი ყისმათი ყოფილა, რაღა: ვჩხრიკეთ, ვჩხრიკეთ ეს ტყე და დათვი გამოვჩხრიკეთ!

სხვები, სულ ერთთავად იარაღასხმულნი, მიხეიჩს შემოეხვივნენ და არცთუ ალერსიანად შეჰყურებდნენ.

— საიდან მოფრენილხარ, ღამურავ? — ჰკითხა ერთმა მათგანმა და თვალი თვალში გაუყარა.

ამასობაში მიხეიჩი უკვე გონს მოეგო.

„ბიჭოს! — გაიფიქრა მან, — ეგენი ხომ სწორედ ის ხალხია, ვისაც ვეძებდი, ავაზაკები!“

— გამარჯობა თქვენი, კეთილო ხალხო! ვერ მეტყვით, ის სადღაა, ვანიუხა პერსტენს რო ეძახიან?

— მაშ შენ ატამანი გინდა? მერედა, რატომ აქამდე არ თქვი? თავიდანვე ეგრე იტყოდი, და ფერდის ჩაზელასაც გადარჩებოდი!

— აი ატამანიც! — დაურთო მეორემ და ხელით ანიშნა პერსტენზე, რომელიც ის იყო შემოვიდა მოხუც კორშუნთან ერთად.

— ატამანო! — დაიყვირეს ყაჩაღებმა, — აი ვიღაც კაცი მოვიდა, შენ გკითხულობს!

პერსტენმა სწრაფად აათვალიერა მიხეიჩი და მაშინვე იცნო.

— ოჰო, შენა ხარ, ამხანაგო?! — უთხრა მან, — მშვიდობა შენს ეოსვლას! როგორ მყავს მისი მოწყალება ბოიარი, თავს როგორა გრძნობს იმ დღის მერე, ერთად რომ ვაგუნდავებდით მალიუტას ოპრიჩნიკებს? მოგეცა ლხენა, იმათ დღე ვაყარეთ წყეულ ტბასთან! მარტო იმაზე მწყდება გული, რომ მალიუტა გადაგვირჩა და ამ ბედოვლათმა მიტკამ ხომიაკი გაუშვა ხელიდან. იცოცხლე, ვანახვებდი იმათ ორთავეს თავის სეირს! რაო, მგონი სიხარულით აღარ იყო ჩვენი ხელმწიფე, ბატონიშვილი რომ დაინახა! მგონი, აღარც იცოდა, რა წყალობა ეყო თავად ნიკიტასთვის!

— ჰო! — ამოოხვრით უპასუხა მიხეიჩმა, — მეფე კი სწყალობს, მაგრამ მისი ქოფაკი არ სწყალობს! ხელმწიფე-ბატონმა, ღმერთმა ჯანი მისცეს იმას, კი მოხედა მოწყალედ ჩემ ბატონს. ოღონდ, ჩანს, ოპრიჩნიკებს, იმ წყეულებს, ვერ აამა თავადმა, თუმცა, მართალი რომ ითქვას, ანკი რისთვის უნდა ეუყვარდეთ. ჯერ იყო და, მედვედევკაში მათრახებით მივტყიპეთ, მერე იმ წყეულ ტბასთან სილაქი ვლეწეთ მალიუტას, ჰოდა, გუშინ კიდევ, მოსკოვში, კაი გვარიანად ჩეხა ეგენი თავადმა. მაგრამ ის წყეულები, რახან კაცმრავლად იყვნენ, ხროვასავით შეესიენ, დაჯაბნეს, გათოკეს და სლობოდისკენ გაუყენეს. ამ ამბავს კიდევ მოევლებოდა, უსაშველო არაფერია ამაში, მარა ის მალიუტა, ძალლის ნაშობი, უკულმართი ენატანიაა, ბოროტად შეგვასმენს ხელმწიფესთან, ჯავრს იყრის თავადზე სილაქისათვის!

— ჰო-ო, — თქვა პერსტენმა და ჯორკოზე ჩამოჯდა, — მაშ მეფემ არ ჩამოახრჩობინა მალიუტა? როგორ, კაცო? თუმცა, რა ჩვენი საქმეა, მეფემ თავათ იცის, როგორ მოიქცეს. შენ ეს მითხარი, ახლა რას აპირებ?

— აბა რა გითხრა, ბატონო ივან... არც კი ვიცი, როგორ მოგიხსენიო ძეობით...

— უბრალოდ თქვი, ვანიუხა-თქო, მორჩა და გათავდა!

— ჰოდა, ბატონო ვანიუხა, თავათაც არ ვიცი, რა მოვიმოქმედო. ეგებ შენ მოისაზრო რამე, ჰა? ტყუილა ხომ არ უთქვამთ, ერთი ხატის ლოცვა კაცს არ ეყოფაო! მე მარტოკა, აბა, რას გავხდები! მაგრამ, შენც თუ მომეშველები, ეგებ რამე გახერხდეს. აგე, მეწისქვილემაც სხვაგან კი არა, შენთან გამომგზავნა: ატამანთან წადიო, მითხრა, ის დაგეხმარებაო, მეო, მითხრა, იმნაირ ნიშნებს ვხედავ, ამ ამბავში ის ნამეტანი იღბლიანი იქნება და დიდ სიკეთესაც გამორჩებაო! ატამანთან გასწიო, მითხრა!

— მაშ ჩემთან გამოგგზავნა! ნამდვილად ასე გითხრა, ჩემთან მოსულიყავი, ხომ?

— შენთან, ბატონო, შენთან. ატამანთან გასწიო, მითხრა, ჩემგან მოკითხვა გადაეცი და უთხარი უსათუოდ გამოიხსნას თავადიო. მეო, მითხრა, ცხადივით ვხედავ, რომ ამ ამბავში ის დიდ სიკეთეს გამორჩებაო, ნიშნებით ვხედავო, ერთი სიტყვით. ჰოდა, უსათუოდ გამოიხსნას თავადიო! მეო, მითხრა, ამ სამსახურს არ დავიკარგებო! მაგრამ თუ ატამანი არ გამოიხსნის თავადს, მაშინო, მითხრა, რაც კი ამ ქვეყნად ჭირია, ყველაფერი ერთად შეეყრებაო; ბალახის ღეროსავით ჩამოხმებაო; მისი საშველი აღარ იქნებაო, ასე მითხრა!

— ერიჰა-ა! — თქვა პერსტენმა და თავი ჩაპქინდრა, თითქოს მოხუცის სიტყვებმა საგონებელში ჩააგდოო, — ნამდვილად ასე თქვა, ჩამოხმებაო?

— ჰო, ბატონო, ასე მითხრა, ხელებიც შეახმება და ფეხებიცაო; თავზე კიო, მითხრა, იმნაირი სიპილწე გაუჩნდება, ღმერთმა ნუ მოასწროსო!

პერსტენმა თავი აიღო და ჩაციებით დააცქერდა მიხეიჩს.

— მეტი აღარაფერი უთქვამს მეწისქვილეს?

— როგორ არა, ბატონო! — განაგრძო მიხეიჩმა, თან ცერად გაპხელა წვნიანით სავსე ქოთანს, რომელიც ის იყო მაგიდაზე შემოდგეს ყაჩაღებმა და ცხელი ოხშივრით ბნედავდა იქაურობას, — კიდევ ესა თქვა მეწისქვილემ: ატამანს გადაეცი, კარგად გასვას და გაჭამოსო, ისეთი ყადრითო, ვითომც მე თვითონ ვსტუმრებოდეო. ჰოდა, რაც მთავარიაო, მითხრა, თავადი ნიკიტა რომანოვიჩი გამოიხსნასო. აი ასე მითხრა, ბატონო ვანიუშა, მეწისქვილემ.

და მიხეიჩი ქვეშ-ქვეშ გაჰყურებდა ატამანს, ცდილობდა მიმხვდარიყო, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემმა სიტყვებმაო.

მაგრამ პერსტენი კიდევ უფრო ჩააცივდა თვალებით მოხუცს და უცებ გულიანად, უზომო მხიარულებით ახარხარდა.

— ეჰ, შე ძველო, შე ძველო! მაშ მართლა ასე გითხრა მეწისქვილემ, რომ, თუ თავადს არ გამოვიხსნი, მორჩა, ჩემი საშველი აღარ იქნება?

— დიახ, ბატონო, — ოდნავი ენის ბორძიკით უპასუხა ჯილავდარმა,— ხელებიც შეახმება და...

— კაი ეშმაკი ყოფილხარ, ძმობილო! — შეაწყვეტინა პერსტენმა და მხარზე დაჰკრა ხელი, თან სიცილით იგუდებოდა. — ოღონდ, ჩემი გაბრიყვება კი ტყუილად ინდომე! მოდი აქ, ჩვენთან დაჯექი, — დაურთო მან და მაგიდასთან მიიწია, — პურ-მარილზე დაგვეწვიე! აჰა კოვზი, წაივიახშმოთ ბარემ! თავადს კი, თუ რამენაირად მაინც იქნება მისი შველა, შენი ხრიკების გარეშეც დავეხმარები. ოღონდ, რით და როგორ დავეხმარო? თავადი ხომ ციხეში ზის?

— ციხეში, ბატონო.

— იმაში, მოედანზე რომ არის მალიუტას სახლთან?

— სწორედ იმაში იქნება, სხვაგან არსად. ეგ უნდა იყოს ყველაზე მაგარი!

— მერე ვის აქვს მისი კლიტეები? მალიუტას?

— სლობოდაში რომ ვიყავით, მაშინ ვხედავდით ხოლმე ხანდისხან, ტუსაღების საწამებლად ციხეში მიმავალს. კლიტეები მუდამ თან ჰქონდა ხოლმე. ღამით კი მეფესთან მიჰქონდა, მეფე კი, ყველამ იცის, სასთუმალქვეშ ინახავს.

— აი ხომ ხედავ! — თქვა პერსტენმა და კოვზი ქოთანში ჩაჰყო, —

რომელი ქაჯი უშველის შენს თავადს ამ ყოფაში? აბა თვითონ თქვი: რომელი ქაჯი უშველის?

მიხეიჩმა კეფა მოიქექა.

— ხედავ ახლა, რომ ვერაფერს უშველი?

— ვხედავ, — მიუგო ჯილავდარმა და კოვზი ხელიდან გააგდო. — რა-ხან ასეა, მაშ ჩემი სიცოცხლეც აღარ იქნება ამ ქვეყნად! წავალ ჩემს ბა-ტონთან, მეც მასთან დავდებ ამ ბებერ თავს, იმ ქვეყნად მაინც ვემსახუ-რები, რაკი ამ საწუთროში არ მანებებენ!

— კარგი, კარგი, ნუ წამოიწყე ახლა სულთბრძოლის ლოცვა! ჯერ რა იცი, ეგებ სულაც არ არი ციხეში შენი თავადი და სატირალიც არა-ფერი გაქვს; ხოლო თუ ციხეშია, მაშინ გვაცალე ფიქრი, შე კაი კაცო... სლობოდას კარგად ვიცნობ მე. გასულ თვეში დათვით ვიყავი იქ, სასახ-ლეც ვიცი, საგულდაგულოდ შევათვალიერე ყოველი მხრიდან; გუნება-ში ვფიქრობდი: როცა იქნება, გამომადგება-მეთქი!.. მოითმინე, მაცალე ფიქრი...

პერსტენი ჩაფიქრდა.

— ვიპოვე! — უეცრად წამოიძახა მან და ზეზე წამოხტა. — ძია კორ-შუნ! მე და შენ თავადმა გადაგვარჩინა სიკვდილს — ჰოდა, ახლა ჩვენ გა-დავარჩინოთ თავადი; ახლა ჩვენი ჯერია! გინდა წამომყვე ძნელ საქ-მეზე?

მოხუცმა ყაჩაღმა შუბლი შეიკრა და ხუჭუჭა თავი გადააქნია.

— რაო, კორშუნ, იქნებ არ გინდა წამოსვლა?

— აბა რას ამბობ, ატამანო, ხომ არ შეიშალე? ვერ გაიგონე, სად ზის თავადი? ვერ გაიგონე, კლიტეები დღისით მალიუტას რომ აქვს, ღამით კი მეფეს უდევს სასთუმალქვეშ? აბა რას გააწყობ აქ კაცი? მა-ხათზე მჯიღი არ დაიკვრის! განწირულია თავადი, თქმა არ უნდა, განწი-რულია! ჰოდა, ახლა ჩვენც გავიწიროთ მისი გულისთვის? ამით რომ რა-მე ეშველებოდეს, კიდევ ჰო, მარა იმას რაში წაადგება, ჩვენ რომ ტყავი გაგვაძრონ?

— ეგ ჰო ეგრეა, კორშუნ, მაგრამ არც ესაა ტყუილად ნათქვამი: ვა-ლის პატრონს ვალალა აყრიაო! მაშინ რომ თავადს არ გადავერჩინეთ, ახლა სად ვიქნებოდით? სად და, სადმე არყის ხეზე დაკიდებული, დაუ-ბერავდა ქარი და გვაკონწიალებდა აქეთ-იქით! ის კი რა დღეშია ახლა? მგონი, ზის და ფიქრობს გუნებაში: აი, მაშინ მე ვიხსენი ის ბიჭები გან-საცდელისგან, ახლა ისინი მე დამიხსნიანო! მაგრამ ამ გასაჭირში რომ მივატოვებთ და დასასჯელად წაიყვანენ: ფუჰ! — იტყვის, — რა ხალხი ყოფილან, ქურდობა და ძარცვა-გლეჯა შესძლებიათ, სიკეთე კი არ ახ-

სოვთო! იტყვის, უბრალო ხალხის სისხლის დაღვრა მარჯვედ სცოდნიათ, ქრისტიანის გადარჩენა კი არ ენაღვლებათო! მეო, იტყვის, ერთ კეთილ სიტყვასაც არ გავიმეტებ მაგათთვის უფლის წინაშეო! დაე ასე სულწარწყმედილები იყვნენ ამ სოფლადაც და საიქიო ცხოვრებაშიცო! აი რას იტყვის თავადი!

კორშუნმა კიდევ უფრო შეჰყარა წარბები. პირქუშ სახეზე შინაგანი ბრძოლა გამოესახა. შეეტყო, რომ პერსტენმა მარჯვედ შეარხია რომელიღაც მგრძნობიარე სიმი მის გახევებულ გულში.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ბრძოლა. მოხუცმა ხელი ჩაიქნია.

— არა, ძმობილო, — უთხრა მან, — ამაოდ ირჯები; ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო! არ წამოვალ!

— კეთილი, რახან არ გინდა, ძალას ხომ ვერ დაგატან! — უთხრა პერსტენმა. — გათენებას დაველოდოთ, ეგებ სხვა რამ მოვიფიქროთ, ღამე მაკეა და არავინ იცის, თუ დილა რასა შობს! ახლა კი, ბიჭებო, მგონი არ გვაწყენს ცოტა წაძინება! ვისაც შეუძლია, ღმერთს ევედროს, ილოცოს, ვისაც არა და, დაწვეს ბარემ!

ატამანმა ცერად გაჰხედა კორშუნს. ეტყობოდა, მოხუცის რაღაც გულისთქმა იცოდა, რადგან კორშუნი ოდნავ შეკრთა და სხვებს რომ არაფერი შეენიშნათ, ხმამაღლა დაამთქნარა ერთი-ორჯერ, მერე კი რაღაცის გალობა დაიწყო ცხვირში დუდუნით.

ყაჩაღები წამოიშალნენ. ზოგი მაშინვე აბობღდა ბალახანაზე; სხვები კიდევ დიდხანს ლოცულობდნენ ხატის წინ. მათ შორის იყო მიტკაც. ის გულმხურვალედ მეტანიობდა მუხლმოდრეკილი და, მისი ხელობის გამთქმელი ჩაცმულობა და ტანზე ასხმული იარაღი რომ არა, ვერავინ იტყოდა, თუ ყაჩაღი იყო, ისეთი სიკეთე უშუქებდა სახეს.

სულ სხვა იყო ბებერი კორშუნი. როცა ყველანი დაწვნენ, მიხეიჩმა მბჟუტავი კვარის შუქში დაინახა, როგორ ჩამობობღდა მოხუცი საწოლიდან და ხატთან მივიდა. მან რამდენიმეჯერ გადაისახა პირჯვარი, რაღაც წაიბუტბუტა და ბოლოს გულჯავრიანად თქვა:

— არა, არ შემიძლია! მეგონა, დღეს ისე აღარ გამიჭირდებოდა!

კარგა ხანს ესმოდა მიხეიჩს, როგორ შფოთავდა კორშუნი, წარამარა ინაცვლებდა გვერდს, რაღაცას ბუზღუნებდა თავისთვის, მაგრამ ვერ იძინებდა. განთიადის წინ მოხუცმა ატამანი გააღვიძა.

— ატამანო, — უთხრა მან, — ჰა ატამანო!

— რა გინდა, ძიავ?

— რაც იყოს, იყოს, წამოვალ შენთან; გამიძეხი საითაც გსურდეს!

— აკი არ წამოვალო?

— სულ ერთია, მაინც ვერ ვიძინებ, აგერ უკვე მერამდენე ღამეა ძილი არ მეკარება.

— მერე თავის დაძვრენას არ მოინდომებ?

— რაკი ვთქვი მოვდივარ-მეთქი, ესე იგი არ მოვინდომებ!

— მაშ კარგი, ძია კორშუნ, მადლობელი ვარ! ახლა ერთი ამხანაგიც კიდევ, და მეტი არ გვინდა! ნეტავ ღამე მალე გათავდება?

— აგერ უკვე ჩიტები აჟღურტულდნენ.

— ჰოდა, აბა გვეყოფა წოლა, დროა ჩვენც ავდგეთ. მიტკა! — თქვა პერსტენმა და ფერდში წაუმუჯლუგუნა მიტკას.

— ჰა? — მძინარა ხმით შეეპასუხა ყმაწვილი და თვალი გაახილა.

— გინდა ჩვენთან წამოსვლა?

— საითკენ?

— ეგ რა შენი საქმეა? შენ იმას გეკითხებიან, წამოგვყვები მე და პაპა კორშუნს?

— რატო არა? — მთქნარებით უპასუხა მიტკამ და ფეხები ბალახანიდან გადმოჰკიდა.

— აი ამისთვის კი მიყვარხარ. წადი საითაც წაგიყვანენ, იმას კი ნუ კითხულობ, საითკენო! თავიც რო გაგიხეთქონ, შენი საქმე არაა, ეგ ჩვენ გვეცოდინება, შენ კი რა გრჯის? აბა მაშ იცოდე, რახან ჭაპანი აიკიდე, აღარ თქვა მძიმეაო; თავის დაძვრენას მოინდომებ და, დედალს დაგიძახებ!

— ვერ დამიძახებ! — უპასუხა მიტკამ და ფეხსახვევების ამოკვრა დაიწყო.

ყაჩაღები ჩაცმას შეუდგნენ.

რა მოიფიქრა პერსტენმა და იღბლიანად შეასრულა თუ არა თავისი განაზრახი, — ამას მომდევნო თავებიდან შევიტყობთ.

XX თავი

ხუმარები

თავადი ნიკიტა ხელფეხშებორკილი იჯდა კედლებზე ხავსმოდებულ ნესტიან, ღრმა და ბნელ საკანში და სიკვდილს ელოდებოდა. მან დანამდვილებით არ იცოდა, რამდენი დღე იყო, რაც შეიპყრეს, რადგან შუქი არსაიდან აღწევდა ამ ბნელეთში; მაგრამ დროდადრო ეკლესიის ზარე-

ბის რეკვა სწვდებოდა მის სმენას შორიდან და ამ ყრუ, სუსტი გუგუნით გამოთვალა, რომ სამ დღეზე მეტი იყო, რაც ციხეში იჯდა. პურის ნატეხი, რომელიც ძალლივით მიუგდეს, უკვე დიდი ხანია შემოეჭამა, კათხით დადგმული წყალიც რახანია შესვა, და უკვე შიმშილისა და წყურვილისგან ეწამებოდა, რომ უჩვეულო ხმაურმა მიიპყრო მისი ყურადღება. ნიკიტას თავს ზემოთ ბოქლომს აღებდნენ. უცებ დილეგის გარეთა კარმა გაიჭრიალა. მერე ხმაური უფრო ახლოს მოისმა. მეორე ბოქლომმაც დაიჩხარუნა და მეორე კარიც აჭრიალდა. ბოლოს მესამე კარიც გააღეს, და ბნელეთში ჩამომავალი ნაბიჯების ხმა გაისმა. შიგნითა კარის ჭუჭრუტანაში შუქმა გაიელვა, გასაღები ღრჭიალით მობრუნდა, რამდენიმე ურდული გადაიწია, ჟანგიანმა ანჯამებმა დაიკვნესეს და სერებრიანი ჩახჩახა, თვალისმომჭრელმა შუქმა დაბრმავა.

როცა თვალებზე უნებლიეთ აფარებული ხელები დაუშვა, მის წინ მალიუტა სკურატოვი და ბორის გოდუნოვი იდგნენ. მათ თანმხლებ ჯალათს თავს ზემოთ მაღლა შემართული ჟინჟღილი ეჭირა ხელში.

გულხელდაკრეფილი მალიუტა სახეში შეჰყურებდა სერებრიანის და იღიმებოდა, თვალის ბაიები კი თითქოს უპატარავდებოდა და უგანიერდებოდა.

— გამარჯობა, ბატონო თავადო! — ისეთი ხმით წარმოთქვა მან, ჯერ რომ არასდროს გაეგონა ნიკიტას. ეს იყო უჩვეულოდ გაბმულ-შემპარავი და ავბედითად მოღუღუნე ხმა, იმ კატის სისხლმწყურვალი კრუტუნისმაგვარი, რომელიც სათაგურში გაბმული მსხვერპლის წინ ჩაცუცქებულა.

სერებრიანის უნებლიეთ გააჟრჟოლა, მაგრამ გოდუნოვის იქ ყოფნამ სიმშვიდე დაუბრუნა.

— ბორის ფიოდოროვიჩ, — წარმოთქვა მან და პირი შეაქცია მალიუტას, — მადლობელი ვარ შენი, რომ მინახულე, ახლა სიკვდილიც ისე აღარ გამიჭირდება!

და თავადმა შებორკილი ხელი გაუწოდა. მაგრამ გოდუნოვი უკან მიდგა და მის გაყინულ სახეზე ნაკვთიც არ შეტოკებულა სერებრიანისადმი თანაგრძნობით.

თავადმა უღონოდ დაუშვა გაწვდილი ხელი, ბორკილის ჯაჭვმა ჟღარუნი გაიღო.

— არ მეგონა, ბორის ფიოდოროვიჩ, — საყვედურით უთხრა მან, — რომ ხელს მკრავდი. მაშ მხოლოდ იმისთვის მოხვედი, რომ ჩემს დასჯას უყურო?

— მე და გრიგორი ლუკიანოვიჩი, — მშვიდად მიუგო გოდუნოვმა, —

შენს დასაკითხავად მოვედით. ხოლო შენთვის ხელის კვრა რისთვის უნდა დამჭირვებოდა, ვერ გამიგია. არასოდეს მიმიჩნევიხარ ჩემს მახლობლად, ხოლო მაშინ მხოლოდ იმიტომ შევაყოვნე შენი დასჯა, რისი ღირსი დიახაც იყავ, რომ კარგად ვუწყი ჩემი ხელმწიფის გულმოწყალება!

სერებრიანის ტკივილით შეეკუმშა გული, და გოდუნოვის ასერიგად შეცვლა თვით სიკვდილზე უფრო მძიმე ეჩვენა.

— ლმობიერების დრო წავიდა, — გულცივად განაგრძობდა გოდუნოვი, — გახსოვს, რაც ხელმწიფეს შეჰფიცე? მაშ ახლა მის ღვთივკურთხეულ ნებას დაემორჩილე და, თუ ყოველივეს დაუფარავად აღიარებ ჩვენს წინაშე, წამებას აიცდენ, სწრაფი სიკვდილი მოგესჯება... შევუდგეთ ღაკითხვას, გრიგორი ლუკიანოვიჩ!

— დამაცა, ცოტა ხანს დამაცა! — ღიმილით მიუგო მალიუტამ. — მის მოწყალებასთან მე სხვა ამბებიცა მაქვს მოსაკითხი!.. აბა, დაუმოკლე ამას ბორკილი, ფომკა, — უთხრა მან ჯალათს.

ჯალათმა ჟინჟღილი კედელში დატანებულ რკინის რგოლში ჩაარჭო და თითქმის ზედ კედელთან მიუბა ხელები სერებრიანის, ასე რომ, ახლა მათი გატოკებაც არ შეეძლო თავადს.

მაშინ მალიუტა უფრო ახლოს მივიღა ნიკიტასთან და დიდხანს შეჰყურებდა სახეში იმ თავისი აუბედითი ღიმილით.

— ბატონო ჩემო, თავადო ნიკიტა რომანიჩ! — წარმოთქვა მან ბოლოს, — ნუ გამაწბილებ, ნუ მომაკლებ შენს დიდ წყალობას!

მალიუტა მუხლებზე დავარდა და უმდაბლესად ეთაყვანა სერებრიანის.

— ჩვენ, ბატონო თავადო, — დამცინავი მორჩილებით განაგრძობდა ის, — ჩვენ შენი მოწყალების წინაშე საცოდავი ლიფსიტები ვართ; ისეთი დიდი ბოიარი, შენ რომ ხარ, ჯერ არასოდეს დაგვისჯია, არასოდეს გვიწამებია ამ ხელებით! დაკითხვის დაწყებაც ვერ გამიბედნია! ჩვენ ხომ, ბატონო, როგორც ამბობენ, ერთნაირი სისხლი არ გვიდუღს ძარღვებში...

აქ მალიუტა შეჩერდა და იმ ღიმილში უფრო მოუჭარბდა შხამი, თვალებიც უფრო გაუფართოვდა, ბაიებიც უფრო ხშირ-ხშირად აუტოკდა.

— ნება მიბოძე, ბატონო თავადო, — განაგრძობდა ის და ცდილობდა ვედრებით ელაპარაკნა, — ნება მიბოძე, სანამ დაკითხვას შევუდგებოდე, მანამდე, გამბედაობის მოსაკრებად, შენი ბოიარული სისხლი დავინახო!

ეს რომ თქვა, მალიუტამ დანა ამოაცურა ქამრიდან და სერებრიანისთან მიჩოჩდა მუხლებზე ხოხვით.

ნიკიტა უკან მიაწყდა და გოდუნოვს შეაცქერდა.

ბორისს ნაკვთიც არ გატოკებია სახეზე.

— მერე კი... — ხმაშემაღლებით განაგრძო მალიუტამ, — მერე ნება მიბოძე, მე უგვარტომოს, ღვედები აგაჭრა მაგ თავადურ ზურგზე! ნება მიბოძე, შენს ყურმოჭრილ ყმას, ცხენის საოფლედ გაგაძრო ეგ ბოიარული ტყავი! ნება მიბოძე, სულმყრალ მონას, ჩემი ძაღლები გამოეაძღო შენი დიდკაცური ხორცით!

მალიუტას ხმა, ჩვეულებრივად ტლანქი და უხეში, ახლა ტურის კივილს წააგავდა, მოთქმასა და ხარხარს შუა რაღაც საშუალი იყო.

სერებრიანის თმა ყალყზე დაუდგა. როცა მაშინ იოანემ პირველად მიუსაჯა სიკვდილი, ის უშიშრად მიდიოდა თავსაკვეთი ძელურისკენ, მაგრამ აქ, ბნელ დილეგში, ბორკილებით გაკავებულს, შიმშილით გატანჯულს, აღარ ჰყოფნიდა ამ ხმისა და მზერის ატანის ძალა.

მალიუტა ერთ ხანს ტკბებოდა იმ ძრწოლვით, რაც მისმა ქცევამ მოჰგვარა თავადს.

— ბატონო თავადო, — უცებ დაიწივლა მან, დანა გააგდო და ფეხზე წამოიჭრა, — ნება მომეცი, ყოვლის უწინარეს, პატიოსნად დაგიბრუნო ვალი!

მალიუტამ კბილების ღრჭენით შემართა ხელი და გასარტყმელად მოულერა ნიკიტას.

სერებრიანის სისხლი თავში აუვარდა და, აღშფოთებასთან ერთად, ის შემზარავი ზიზღის გრძნობაც მოერია, რომელიც მაშინ გვიპყრობს, როცა რაღაც სიბილწე გვიახლოვდება და სადაცაა უნდა შეგვეხოს.

თავადმა სასოწარკვეთით შეხედა გოდუნოვს.

სწორედ ამ წუთში მალიუტას შემართული ხელი ჰაერში გაიყინა, გოდუნოვისგან გაკავებული.

— გრიგორი ლუკიანოვიჩ, — მშვიდად უთხრა გოდუნოვმა, — შენ რომ ახლა მაგას გაარტყა, ეგ თვითონ შეასკდება კედელს, თავს გაიხეთქავს და დასაკითხავიც აღარავინ გვეყოლება. ვიცნობ, რა კაციცაა ეგ სერებრიანი.

— მოწყდი აქედან! — დაიღრიალა მალიუტამ, — ხელს ნუ მიშლი, გული ვიჯერო მაგის გამასხრებით! სამაგიერო გადავუხადო წყეული ტბისთვის!

— გონს მოდი, გრიგორი ლუკიანოვიჩ! ჩვენ ხელმწიფის წინაშე ვაგებთ პასუხს თავადისათვის!

და გოდუნოვმა ორივე ხელი გაუკავა მალიუტას.

მაგრამ სკურატოვს, სისხლით გახელებული ტყის ნადირივით, უკვე

აღარაფერი აღარ ესმოდა. ის ღრიალითა და წყევლა-კრულვით ეძგერა გოდუნოვს, რომ უკან მიენარცხებინა და თავის მსხვერპლს მივარდნოდა. ამ ჭიდილსა და ძიძგილაობაში რომელიღაც მათგანი ჟინჟღილს წამოედო, ის ძირს დავარდა და გოდუნოვის ფეხქვეშ ჩაქრა.

მალიუტა გონს მოეგო.

— ხელმწიფეს ვეტყვი, — სულშეგუბებით ამოიხრიალა მან, — რომ მის მოღალატეს ექომაგები!

— მე კი ხელმწიფეს ვეტყვი, — უპასუხა გოდუნოვმა, — რომ დაუკითხავად აპირებდი მოღალატის მოკვლას, რადგან მისი ჩვენებისა გეშინია!

მალიუტას რაღაც ღმუილისმაგვარი აღმოხდა და დილეგიდან გავარდა, თან ჯალათიც გაიყოლია.

სანამ ისინი ხელების ფათურით მიბობღავდნენ კიბეზე, სერებრიანიმ იგრძნო, რომ ბორკილი დაუგრძელეს და კვლავ შეუძლია მოძრაობა.

— სასოს ნუ წარიკვეთ, თავადო! — ყურში უჩურჩულა გოდუნოვმა და მაგრად ჩააელო ხელი მაჯაში. — მთავარია დრო მოვიგოთ.

და ბორისი სწრაფად მიჰყვა მალიუტას, მანამდე კი, გასვლისას, კარი გაიკეტა და საგულდაგულოდ გაამაგრა ურდულები.

— გრიგორი ლუკიანოვიჩ, — უთხრა სკურატოვს, როცა გასასვლელთან წამოეწია და ყარაულების თვალწინ მიაწოდა გასაღებები, — შენ საპატიმრო არ დაგიკეტია. ასე არ ვარგა; ვინმე იფიქრებს, თითქოს სერებრიანის თანამდგომი იყო!

იმ დროს, როცა საპყრობილეში ეს ამბავი ხდებოდა, იოანე თავის პალატში იჯღა, პირქუში და უკმაყოფილო. მეფეს ნელ-ნელა დაეუფლა უცნობი გრძნობა. ეს გრძნობა იყო უნებლიე პატივისცემა სერებრიანისადმი, რომლის გაბედული საქციელიც, მართალია, მის თვითმპყრობელურ გულს აღაშფოთებდა, მაგრამ არასგზით არ თავსდებოდა ღალატზე მის პირად წარმოდგენაში. აქამდე იოანე მოწმე იყო ან აშკარა თავნებობისა, რითაც ასე გააშხამეს მისი ყრმობის ხანა ბოიარებმა, ან ზვიადი ქედუდრეკლობისა, რაც, მაგალითად, კურბსკიმ გამოიჩინა, ან კიდევ მონური პირმოთნეობისა, რასაც ახლა იჩენდა მისდამი ყველა, ვინც გარს ეხვია. მაგრამ სერებრიანი არც ერთ ამათგანს არ ეკუთვნოდა. ის, თავისი საუკუნის შვილი, იოანეს უფლებათა ღვთიური ხელშეუხებლობის რწმენას იზიარებდა; გონებით ემორჩილებოდა ამ რწმენას და, რაკი აზროვნებაზე უფრო მოქმედებას იყო ჩვეული, არასოდეს ეურჩებოდა წინაგანზრახვით თვით მეფეს, რომელიც ამ საწუთროში ღვთის ნების აღმსრულებლად მიაჩნდა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ყოველთვის, როცა აშკა-

რა უსამართლობის მოწმე ხდებოდა, თავადს აღშფოთებით უბორგდებოდა სული და მისი თანდაყოლილი პირდაპირობა რწმენით აღიარებულ ქცევის წესებზე იმარჯვებდა. მაშინ სერებრიანი, თავისდა გასაკვირველად და თითქმის შეუმეცნებლადაც, ამ წესების მიუხედავად მოქმედებდა და სინამდვილეში სულაც არ გამოსდიოდა ის, რასაც ისინი ავალდებულებდნენ. სერებრიანის ეს კეთილშობილური არათანმიმდევრულობა ეწინააღმდეგებოდა ადამიანებზე იოანეს შეხედულებებს და საკუთარი ძალის რწმენას ურყევდა მას, რადგან ადამიანთა გულთამხილველად მიაჩნდა თავი. სერებრიანი რომ გულწრფელი იყო, მიამიტად პირდაპირი და პირად გამორჩენაზე ზრუნვის უუნარო, ამას ცხადად გრძნობდა იოანე. მას ესმოდა, რომ სერებრიანი არ მოატყუებდა, რომ ის უფრო გულით მისანდო კაცი იყო, ვიდრე რომელიც გნებავთ ნაფიცი ოპრიჩნიკი, და მისი დაახლოვებისა და საკუთარ იარაღად გამოყენების სურვილი უვლიდა; მაგრამ თან იმასაც გრძნობდა, რომ ეს იარაღი, თავისთავად უტყუარი და საიმედო, შეიძლება მოულოდნელად გასხლტომოდა ხელიდან, და ამგვარი შესაძლებლობის წამიერ გაფიქრებაზეც კი სერებრიანისადმი კეთილგანწყობილება სიძულვილით ეცვლებოდა. მართალია, ჭირვეულად ახირებული გრძნობიერება ზოგჯერ აფიქრებინებდა ხოლმე იოანეს ხელი აეღო სისხლისღვრაზე და მონანიებას დადგომოდა, მაგრამ ეს იშვიათად ემართებოდა; ჩვეულებრივ, ის თავისი უცოდველობის შეგნებით იყო გამსჭვალული, მტკიცედ სჯეროდა თავისი ხელისუფლების ღვთიური წარმომავლობა და გაალმასებული იცავდა მას სხვათა ხელყოფისგან; ხოლო ხელყოფად იოანე მიიჩნევდა სულ მცირე, თვით ფიქრში გამკრთალ გაკიცხვასაც კი. ახლაც ასე მოხდა. მას გულში გაუარა ფიქრმა — მიეტევებინა სერებრიანისთვის, მაგრამ ეს ფიქრი მაშინვე დაავიწყა რწმენამ, რომ თავადი ნიკიტა იმ ადამიანთაგანია, რომლებსაც არ უნდა ითმენდეს სახელმწიფოში.

„ოდეს ცხოვართა ფარას, — გაიფიქრა მან, — სწორს გზაზედ მავალს, გამოერჩეს ცხოვარი ერთი და სხვას გზით ვიდოდეს, მწყემსი ცხოვარსა მას შეცთომილსა განკვეთს ფარისა მისგან და მოაკვდინებს!“ ასე გაიფიქრა იოანემ და გუნებაში გადაწყვიტა კიდევაც სერებრიანის ზვედრი. მისი დასჯა მეორე დღით დანიშნა; მაგრამ ბრძანა ბორკილები შეეხსნათ თავადისთვის და ღვინო და საჭმელი გაუგზავნა მას სეფე სუფრიდან.

ამასთან, შინაგანი ბრძოლით მოგვრილი შთაბეჭდილებები რომ გაეფანტა, მისთვის უჩვეულო შთაბეჭდილებები, რომელთა გამოც რცხვე-

ნოდა კიდეც საკუთარ თავთან, მან ვრცელ მინდვრებზე გასეირნება მოინება და ქორ-შევარდნებით დიდი ნადირობა ბრძანა.

შესანიშნავი დილა იყო. ბაზიერთუხუცესი, უფროსი ბაზიერი, საბაზიეროს შიგამდეგები და ყველა ხარისხის მსახურეულნი, დარახტულ ბედაურებზე ამხედრებულნი, ბრწყინვალედ დამოსილნი, საფუხარებზე შემომჯდარი შევარდნებით, სონღულებითა და კაპოტებით, ადრიანად გაუდგნენ გზას და მინდვრად ელოდნენ ხელმწიფეს.

ტყუილა არ ამბობენ ძველთაგანვე, მინდვრად შექცევა შვებასა გვრის ნაღვლიან გულს, სონღულის ნანადირევი კი საამო მხიარულებით ალაღებს დიღს და პატარასო. ხომ ასე უგუნებოდ იყო მეფე, როცა სლობოდიდან გამოვიდა თავის ოპრიჩნიკებთან ერთად, მაგრამ ბაზიერთა ეს ამოდენა ბრწყინვალე გუნდი რომ დაინახა, სახე გაუხალისდა. გართობის ადგილად ნაკრძალი მდელოები და ოლეები არჩიეს, სლობოდიდან ორიოდ ვერსზე, ვლადიმირის გზაზე.

ბაზიერთუხუცესი, რომელსაც უცხოდ ჰშვენოდა წითელი ხავერდის ოქრომკედით ნაქარგი ხიფთანი და ოქროქსოვილი სამხარიღლიე, ფარჩის თავსარქმელი, ყვითელი წაღები და ლაზათიანი საფუხარი, ცხენიდან ჩამოვიდა და იოანეს მიეახლა უფროსი ბაზიერის თანხლებით. ბაზიერს ხელში ეჭირა თეთრი სონღული, რომელსაც თვალსაფარი ბარტყუულა და ეჟვნები ეკეთა.

ბაზიერთუხუცესი უდაბლესად ეთაყვანა მეფეს და ჰკითხა:

— ხელმწიფეო, ხომ არ დამდგარა გართობის დრო?

— უკვე დროა, — მიუგო იოანემ, — დაიწყე გართობა!

მაშინ ბაზიერთუხუცესმა ოქრომკედით უცხოდ ნაქარგი ძვირფასი საფუხარი მიართვა მეფეს, მერე უფროს ბაზიერს სონღული ჩამოართვა და ხელზე დაუსვა ხელმწიფეს.

— ღირსეულო და ყოვლადქებულო მონადირენო! — ოპრიჩნიკთა ბრბოს მიმართა ბაზიერთუხუცესმა, — გაერთეთ და გაიხარეთ საამური, მშვენიერი და ყოვლად ბრძნული ნადირობით, დაე გაგიქარვდეთ ყოველი დარდი, დაე ილხინოს თქვენმა გულებმა!

მერე ბაზიერებს მიუბრუნდა:

— ქებულო და გამრჯე ბაზიერებო! — თქვა მან, — მიუტიეთ და მოინადირეთ!

მაშინ ბაზიერების ეს ამოდენა ჭრელაჭრელა ბრბო მინდორში მიმოიფანტა. ზოგმა ოლეებს მიაშურა ყიჟინით, ზოგმაც ბუჩქნარებში სარკის ნამსხვრევებიანი მიმობნეულ პატარა ტბებისკენ გაქუსლა ცხენებით.

მალე ლელიანებიდან იხვების გუნდები წამოიშალა და ჰაერში გაიწელა.

მონადირეებმა შევარდნები ააფრინეს. იხვები უკანვე მიაწყდნენ ტბებს, მაგრამ იქ სხვა შევარდნები დახვდნენ და დამფრთხალი ფრინველები ისრებივით გაიფანტნენ აქეთ-იქით.

შევარდნები, გეზელები და ნაირნაირი კაპოეტები, რომლებსაც ბაზიერთა თანაშემწენი ამხნევებდნენ შეძახილებით, უმოწყალოდ ნადირობდნენ იხვებზე, ზოგნი დადევნებით, ზოგნი თავის დავლით, ზოგი კი ჯიქურ უტევდა, ქვასავით მოექანებოდა ზემოდან და ზედ ზურგზე ასკდებოდა დამფრთხალ მსხვერპლს.

ამ დღეს თავი ისახელეს ბედრიაიმაც და სმელიაიმაც, ციმბირულმა კაპოეტებმა, არბასმაც და ანპრასმაც, ველურად ნაზარდმა შევარდნებმა, ხორიაკმაც და ხუდიაკმაც, მალეცმაც და პალეცმაც. იცოცხლე, დღე დაადგათ იმათგან იხვებსაც და როჭოებსაც, რომლებსაც შოლტებით აფრთხობდნენ შამბნარებიდან უმცროსი ბაზიერები. ლამაზი და უცხო სანახავი იყო ნაირნაირი ჯიშის შევარდნების ნავარდი. როჭოები ტრიალ-ტრიალით მოცვივოდნენ ძირს წარამარა. რამდენჯერმე ისედაც მოხდა, რომ იხვები, სხვა საშველი რომ აღარ ჰქონდათ, ფეხებში შეუვარდნენ ცხენებს და მონადირეებმა ცოცხლად შეიპყრეს. თუმცა თვითონაც შეემთხვათ მარცხი. გამოუცდელი გამაიუნი მომწყდარ ქვასავით დაექანა მაღლიდან ბებერი ჟრუნისკენ, რომელიც მთლად დაბლა მიფრინავდა, მკერდით დაასკდა მიწას და იქვე განუტევა სული.

ასტრეცი და სოროდუმი, ყაზანური გავაზები, შორს გაფრინდნენ და, თუმცა დიდხანს უხმობდნენ სტვენით და მტრედების ფრთებიც ბევრი უქნიეს ბაზიერთა თანაშემწეებმა, მაგრამ მაინც გადაიკარგნენ მონადირეთა თვალთაგან.

მაგრამ ყველაზე სახელოვნად და გასაოცრად ნავარდობდა მეფის სონღული, რომელსაც ადრაგანს ეძახდნენ. ის ორჯერ ააფრინა მეფემ და ორჯერვე დიდხანს ლაღობდა ჰაერში, აუცდენლად ლახვრავდა ყველანაირ ფრინველს და, ნავარდით გულნაჯერები, კვლავ მეფის ოქროქსოვილ საფუხარზე ჯდებოდა. მესამეჯერ ადრაგანი ისე გაშმაგდა, რომ მარტო მინდვრის ფრინველებს კი არა, თვით შევარდნებსაც უტევდა, როცა წინდაუხედავად ჩაიფრენდნენ მის სიახლოვეს. შევარდენი სმიშლიაი და შევარდნის კაპოეტი კრუჟოკი მიწას დაასკდნენ მისგან ფრთებდალეწილნი. ამაოდ ცდილობდნენ მეფე და მისი ბაზიერები წითელი მაუდით და ფრინველთა ფრთებით ჩამოეტყუებინათ ადრაგანი. თეთრი სონღული ვრცელ კამარებს ჰკრავდა ცაში, თვალუწვდენ სიმაღლეზე აიჭრებოდა და ელვასავით მოექანებოდა მსხვერპლისკენ; მაგრამ, იმის მაგიერ, რომ

ბოლოს მიწაზე დაშვებულიყო, ყოველი გამარჯვების შემდეგ კვლავ მაღლა ცაში მინავარდობდა და შორს მიფრინავდა.

ბაზიერთუხუცესმა, რაკი დაინახა, ადრაგანის მობრუნების საშველი აღარ იყო, საჩქაროდ მიჰგვარა მეფეს მეორე სონღული. მაგრამ იოანეს ადრაგანი უყვარდა და დანაღელიანდა, საუკეთესო ფრინველი რომ დაეკარგა. მან ბაზიერთუხუცესს ჰკითხა, რომელ რიგითს ევალა ადრაგანის გეშვაო. ბაზიერთუხუცესმა მიუგო, რიგით ტრიშკას ევალაო.

იოანემ ბრძანა ტრიშკა მოეხმოთ. უბედურების მომლოდინე ახალგაზრდა ბაზიერი მთლად გაფითრებული წარსდგა მეფის წინაშე.

— კაცუნავ, — უთხრა მეფემ, — ასე გეშავ შენ სონღულს? მაშ რისთვის გაქვს ეგ სატყუარა, თუ შევარდნის ჩამოტყუება არ შეგიძლია? მისმინე, ტრიშკა, შენთვისვე მომინდვია შენი ხვედრი: თუ ადრაგანს მოიყვან, ისეთ წყალობას გიბოძებ, ვერც ერთი თქვენგანი რომ ვერ ელირსება ვერასოდეს; ხოლო თუ სონღული დაიკარგა, ნუ გაწყრები, ვუბრძანებ ეგ თავი წაგაგდებინონ, — იმიტომაც, რომ შიში იგრძნონ დანარჩენებმა; თორემ კარგა ხანია ვატყობ, ბაზიერთა შორის რიგიანი წყობა არ არის და ლამის მოიშალოს ქორ-შევარდნებით ნადირობა-გართობა!

ბოლო სიტყვებზე იოანემ თვით ბაზიერთუხუცესს გაჰხედა ცერად, ის კი, თავის მხრივ, სულმთლად გაფითრდა, რადგან იცოდა, უამბოდ არ ჩაივლიდა მეფის ალმაცერი შემოხედვა.

ტრიშკა, იმის შიშით, დრო არ დავკარგოო, მაშინვე ცხენს მოახტა და ადრაგანის საძებრად გაფრინდა, ფიქრში კი თავის მფარველ წმინდა ტრიფონს ევედრებოდა, დაკარგული სონღულის გზა-კვალი ეჩვენებინა.

ამასობაში ნადირობა თავის რიგზე გრძელდებოდა. უკვე არა ერთი და ორი საათი ერთობოდა ხელმწიფე, უკვე ბლომად იყო ჩაკრული უნაგირების საწყვეტებში რაგინდარა ნანადირევი, რომ ახალმა სანახაობამ მიიპყრო იოანეს ყურადღება.

ვლადიმირის გზაზე ორი ბრმა მოლასლასებდა: ერთი ასე შუახნისა იქნებოდა, მეორე კი მოხუცი, ჭაღარა გრუზათმიანი და გრძელწვერა იყო. მათ გაცვეთილი თეთრი პერანგები ეცვათ, მხრებზე კი ჯვარედინად ჰქონდათ გადატარებული ტილოები, რომლებზედაც ერთ მხარეს მოწყალების შესაგროვებელი ბოხჩები ეკიდათ, მეორე მხარეს კი — დაკონკილი ხიფთანები, სიცხის გამო გახდილი. დანარჩენი ავლა-დიდება: ბარბითები, ბალალაიკები და პურის თოფრა ერთი ზორზოხა ბიჭისთვის აეკიდებინათ, რომელიც მეგზურად მოყვებოდა მათ. იმ ბრმას, რომელიც უფრო ახალგაზრდა ჩანდა, მეგზურის მხარზე ედო ხელი, თვითონ კი მოხუცს მოაკონწიალებდა. მაგრამ ყმაწვილს, ეტყობა, ნადირობის ცქე-

რამ მოსტაცა გულისყური და დაავიწყდა თავისი ამხანაგები. ბრმები თვალხილულს ჩამორჩნენ. ერთმანეთს აკიდებულნი, ისინი გრძელ ხელჯოხებს აცეცებდნენ მიწაზე და წარამარა ბორძიკობდნენ. მათ ცქერაში ივან ვასილევიჩმა სიცილი ვეღარ შეიკავა. იგი ბრმებს მიუახლოვდა. ამ დროს წინ მომავალ უსინათლოს ფეხი დაუცდა, ტლაპოში ჩავარდა და ამხანაგიც გადაიყოლა. რომ წამოდგნენ, ორივენი მთლად ლაფში იყვნენ ამოსვრილნი, იფურთხებოდნენ და სწყევლიდნენ მეგზურს, რომელიც პირდაღებული აშტერდებოდა თვალისმომჭრელად დამოსილ ოპრიჩნიკებს. მეფე გულიანად იცინოდა.

— ვინა ხართ, მამაცებო? — ჰკითხა მან. — საიდან მოდიხართ, საით გაგიწევიათ?

— შენი გზა ნახე, ვილაცა ხარ! — უპასუხა უმცროსმა ბრმამ და ქუდიც არ მოუხადა, — ბევრის ცოდნა მალე დაგაბერებს, შვილოსან.

— რეგვენო! — დაუცაცხანა ერთმა ოპრიჩნიკმა, — განა ვერ ხედავ, ვინ გიდგას წინ?

— შენ თვითონ რეგვენო! — მიუგო ბრმამ და ჩამქრალი ბაიები გადმოუქაჩა ოპრიჩნიკს. — საიდან უნდა ვხედავდე, თუკი თვალისჩინი დამკარგვია. აი შენ კი — დიახაც უნდა ხედავდე; შენ ოთხზე ორით ნაკლები თვალი გაქვს, ჰოდა ჩემზე შორსაც იყურები და ჩემზე ვრცლადაც; მითხარი, ვინ მიდგას წინ, და მეცოდინება!

მეფემ გაჩუმება უბრძანა ოპრიჩნიკს და ალერსიანად გაუმეორა თავისი კითხვა.

— ჩვენ ხუმარები ვართ, — უპასუხა ბრმამ, — სოფლები და აგარაკები მოვიარეთ, მურომიდან მოვდივართ სლობოდაში, რომ ვიჩალიჩოთ, კეთილი ხალხი გავართოთ, ზოგი ცხენზე ავაბობღოთ, ზოგი მიწაზე ვაფორთხოთ.

— ოჰო! — თქვა მეფემ, რომელსაც მოსწონდა უსინათლოს პასუხები, — მაშ თქვენ მურომელები ხართ, მეფუნთუშეები, ქარიხვეტიები? ერთი ეს მითხარით, კიდევ არიან თქვენთან, მურომში, გოლიათები?

— მაშ როგორ! — სხარტად უპასუხა ბრმამ. — ეგ საქონელი არ გვეღლევა; გვყავს იქ ერთი ძია მიხეი: თმაში დაივლებს ხელს და საქანელასავით დაეკიდება ზედ; გვყავს კიდე დეიდა ულიანა: მარტო ერევა ბუზანკალას.

ოპრიჩნიკებს სიცილი აუტყდათ. მეფე კარგა ხანია არ ყოფილა ასე მხიარულ გუნებაზე.

„აი ნამდვილი ხუმარები, — გაიფიქრა მან, — ზედვე ეტყობათ, რომ აქაურები არ არიან. უკვე თავი მომაბეზრეს ჩემმა მეზღაპრეებმა; სულ

ერთსა და იმავეს ღეჭავენ უთავბოლოდ. ტაკიმასხარებიც ველარ მართობენ. მას აქეთ, რაც იმ ბედოვლათს წინღაუხედავად გავეხუმრე, ყველას ჩემი შიში ჩაუდგა; სასაცილო სიტყვა აღარ ამოსდით პირიდან; თითქოს ჩემი ბრალი იყოს, იმ ტუტუცს რომ მკვიდრად არ ედგა სული სხეულში!" — გესმის, მამაცო: ერთი ეს მითხარ, ზღაპრები თუ იცი?

— გააჩნია, რანაირი ზღაპარია, — მიუგო ბრმამ, — და ვის უყვები. აი, ამასწინებზე სტარიცკის ვოევოდას ვუამბეთ ცანცარა თხის ზღაპარი და თავში საცემად გაგვიხდა საქმე: იმ ოხერ თხად, აბა საიდან უნდა გვცოდნოდა, თვითონ ვოევოდას ცოლი გამოგვივიდა, ჰოდა, ვოევოდამ ბრძანა კისრისტეხით გავეყარეთ სახლიდან და გემოზედაც მივებეგვეთ. ამას იქით აღარ მოვყვებით.

ძნელი ასაწერია, რა ხარხარი აუტყდათ ოპრიჩნიკებს. მეფე გამწყრალი იყო სტარიცკის ვოევოდაზე და ბრმისგან მისი გაკენწვლა, მეტი რომ არ იქნება, ისე მოსწრებული იყო ახლა.

— გესმით, კაცნო, — უთხრა მეფემ, — გასწით სლობოდაში, პირდაპირ სასახლეში მიდით, იქ დაელოდეთ ჩემს დაბრუნებას, თქვით, მეფემ გამოგვგზავნა-თქო. ჰოდა, კარგად გასვან და გაჭამონ, ხოლო როცა შინ მოვალ, თქვენს ზღაპრებს მოვისმენ.

სიტყვა „მეფის" გაგონებაზე ბრმებს ელდა ეცათ.

— მეფე-ბატონო, ჩვენო ხელმწიფევ! — შეჰღაღადეს და მუხლებზე დაცვივდნენ. — ნუ გაგვირისხდები ჩვენი ბრიყვული, ტეტიური სიტყვა-პასუხისთვის! ნუ ბრძანებ თავი მოგვკვეთონ, უცოდნელობით შევცოდეთ შენს მოწყალებას.

მეფემ ჩაიცინა შიშით დაზაფრულ ბრმებზე და კვლავ მინდორს მიაშურა სანადიროდ, უსინათლოები კი თავიანთი მეგზურიანად სლობოდის მიმართულებით წაღოღიალდნენ.

სანამ ოპრიჩნიკების ბრბოს კიდევ შეეძლო მათი დანახვა, ისინი ერთმანეთს არ შორდებოდნენ და წარამარა ბორძიკობდნენ, მაგრამ როგორც კი გზის მოსახარს გასცდნენ და თვალს მიეფარნენ, უმცროსი ბრმა შეჩერდა, ოთხივ მხრივ მიმოიხედა და ამხანაგს უთხრა:

— ჰა, რაო, ძია კორშუნ, იქნებ დაიღალე ამდენი ფორხილით? ამ ჩვენ საქმეს კი ჯერ კაი პირი უჩანს; მაგრამ წინ რა მოგველის ნეტავ? ოჰო, შენ წარბები შეგიჭმუხნია, ძია? ეგებ ნანობ, ამ საქმეს რომ შეები?

— მაგას არა, — მიუგო მოხუცმა ყაჩაღმა, — რახან წამოვედი, მორჩა, თვალი უკან აღარ გამექცევა; მაგრამ თვითონაც ვერ გამიგია, რა მემართება; ისე დამძიმებული მაქვს გული, ჩემს დღეში რომ არ მქონია, ამეკ-

ვიატა ერთი ამბავი და რაზედაც უნდა ეფიქრობდე, მაინც სულ ის მიტ-რიალებს გონებაში, მიბურღავს და მიბურღავს ტვინს!

— მერე რა არის ასეთი, რო ტვინს გიბურღავს?

— ყური მიგდე, ატამანო. აი უკვე ოცი წელია მას მერე, რაც ერთი ნაღველი შემომაფრინდა, შემიჩნდა სულში. მაგრამ ეს ამბავი არავინ იცის არც ვოლგაზე, არც აქ, მოსკოვში; სიტყვაც არ დამცდენია ამაზე ვინმესთან; გულში მაქვს ჩამარხული ჩემი ნაღველი და ასე ვატარებ აგერ უკვე ოცი წელია, თითქოს წისქვილის ქვა მედოს კისერზე; ერ-თხელ, დიდმარხვის დღეებში, მარხვის შენახვაც ეცადე, მინდოდა ყვე-ლაფერი დაუფარავად მეთქვა მღვდლისთვის, მაგრამ ლოცვა ვერ შევძე-ელი — და მარხულობაც მივატოვე. ახლა კი ისევ სულს მიხუთავს ის ნაღველი; მგონია, თუ ამოვთქვამ, შვებას ვიგრძნობ-მეთქი. შენთან ხომ თქმაც ისე ძნელი არ იქნება, როგორც მღვდელთან: შენ ხომ თვითონაც ჩემფერი ხარ.

კორშუნს ღრმა წუხილი დააჩნდა სახეზე. პერსტენი უსმენდა და დუმდა. ორივე ყაჩაღი გზის პირას ჩამოჯდა.

— მიტკა, — უთხრა პერსტენმა მეგზურს, — აბა ერთი ცოტა მოშო-რებით დაჯექი და ოთხი თვალი გამოიბი; თუ ვინმე შენიშნო, ხელით გვანიშნე; იცოდე, არ დაგვიწყდეს: შენ ყრუ და მუნჯი ხარ, სიტყვა არ დაგცდეს!

— კეთილი, — მიუგო მიტკამ, — არ დამცდება!

— ძირძიტა შენს ენას, შე ბოთევ, გაწყვიტე ეგ ხმა! ნურც ჩვენ გვე-ლაპარაკები. შეეჩვიე მუნჯად ყოფნას; თორე სწორედ ვინმესთან დაიყ-როყინებ რამეს და, მაშინ, გათავდა ჩვენი ამბავი, ხელად გამოგვიყვანენ წირვას!

მიტკა ასიოდე ნაბიჯზე გაშორდა მათ, პირქვე გაწვა და იდაყვებით მიწას დაებჯინა, ნიკაპი კი ხელებზე დააყრდნო.

— კაი ბიჭია ჩვენი მიტკა, — თქვა პერსტენმა, რომელიც უკნიდან გაჰყურებდა მიმავალს, — მარა ბოთეა, ვინდა მაგას ელაპარაკე და ვინდა კედელს ცერცვი აყარე, სულ ერთია. წუთით რომ თვალი მოარიდო, მა-შინვე წამოაყრანტალებს რამეს! მაგრამ რას იზამ, სხვებს ისევ ეგა სჯობს; სხვა რო არაფერი, არ ვვიმტყუნებს მაინც; თავსაც დაიცავს და ჩვენც გვიშველის, თუ ვინიცობაა, ღმერთმა ნუ ქნას და, რამე გაგვიჭირ-და. აბა, რაო, ძია, ახლა ველარავინ გაიგონებს ჩვენ ლაპარაკს: მითხარი, რა ნაღველი გაგჩენია! ეჰ, უდროო დროს მოვაკითხა მაგ ვერანამ!

მოხუცმა ყაჩაღმა ხუჭუჭა თავი ჩაჰქინდრა და ხელით შუბლი მოის-რისა. უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ დაწყება უჭირდა.

— ჰოდა, ასე, ატამანო, — უთხრა მან, — საკმაოდ ბევრი ქრისტიანი-შვილი შემოვიმარცხე ჩემს სიცოცხლეში, რაღა თქმა უნდა! ჯეელობი-დანვე შემივარდა გული სისხლიან ხალათზე! მქონია შემთხვევა, ან ვაჭ-რუკანა გაჭირვეულდებოდა, ან დედაკაცი აწიოლდებოდა, ვკრავდი დანას ფერდში — და, მორჩა, გავუყენებდი მოუსავლეთში. ახლაც კი, თუ საქ-მემ მოიტანა ვინმეს გაწირვა, — ხელი არ ამითრთოლდება! თუმცა, რას ვამბობ! შენთან ამის ფიცილი რა საჭიროა; მგონი, შენც საკმაოდ ბევრი გაგიყენებია იმ ქვეყანას; უცხო არ არი ეს ამბავი შენთვის, ხომ ასეა?

— ვთქვათ ასეა, მერე რა? — შესამჩნევი უკმაყოფილებით უპასუხა პერსტენმა.

— ისა, რომ არც შენ და არც მე, ორთავენი, დედაკაცები, კოკობზიკა გოგოები არა ვართ; ბევრი სისხლი გვაწევს სულზე; ჰოდა, ერთი აი ეს მითხარი, ატამანო: თუ დაგმართნია ასე, რომ გაგახსენდება რომელიმე შენი ნამოქმედარი ღა მაშინვე მარწუხიეით მოგეჭიდება რაღაც გულზე, შეგამცივნებს და შეგახურებს მთელ სხეულში, მერმე კი გხრავს და გხრავს ისე, რომ ინატრებ, ნეტავ სულაც არ გავჩენილიყავი ამ ქვეყა-ნაზეო?

— კმარა, ძია, რად გინდა მაგნაირ რამეს რომ მეკითხები, მაგის დრო არ არი ახლა.

— აი, — განაგრძობდა კორშუნი, — ბევრი ჩემი ნამოქმედარი უკვე დამავიწყდა კიდეც, მაგრამ ერთი კი ვერ დავივიწყე. მას აქეთ ოციოდე წელი იქნება, ვოლგაზე ვცხოვრობდით, ცხრა კანჯოთი დაეცურავდით; ატამანად დანილო კოტი გვყავდა ჩვენ; შენი ხსენებაც არ იყო მაშინ; მე უკვე მიცნობდნენ ბანდაში და უკვე მაშინ მეძახდნენ კორშუნს. მდიდარ გემებსაც ვესხმოდით და ნავმისადგომებსაც ვძარცვავდით, ნადავლს კი ყოველთვის თანაბრად ვიყოფდით, ერთცახე ცილობასაც ვერ ითმენდა დანილო კოტი. იტყვი, რაღა უნდა ისურეო კაცმა უკეთესიო? ვცხოვ-რობდით ჩვენ ქეიფზე, ჭამა არ გვაკლდა და ჩაცმა. რო დავიმოსებოდით ფერად-ფერადი ხიფთანებით, დარდიმანდულად მოვიგდებდით ქუდებს, მოვუსვამდით ნიჩბებს და შემოვძახებდით ლაღ სიმღერას, სოფლებსა და ქალაქებში ხალხი ნაპირს აწყდებოდა, არიქა, მამაცები დავინახოთო, მზეჭაბუკების ყურებით დავტკბეთო! ჩვენ კი, გაგიხარია, ვუსვამდით ნიჩ-ბებს და ვმღეროდით თავგადაკლულნი, სიათების ბათქაბუთქით ვაყრუ-ებდით არე-მიდამოს, ლამაზ გოგოებს თვალს ვუპაჭუნებდით. ზოგჯერ კიდევ, შუბებსა და ჰოროლებსაც რომ დავიჭერდით, გეგონებოდა, ჩვენს კანჯოებზე ტყე წამოზრდილაო! კაი ცხოვრება გვქონდა, მაგრამ მაცდუ-ნა ეშმაკმა, შეჩვენებულმა. ერთი დღეც იყო, ვიფიქრე გუნებაში: რათა

და რისთვის? მე ხომ ყველაზე მეტს ვმუშაობ, მაშ ხეირი სხვების თანაბრად რად მხვდება-მეთქი. ჰოდა, ავიჩემე გულში: მარტოკა წავსულიყავი საშოვარზე და ნადავლი არტელში კი არ მიმეცა, ჩემთვის დამეტოვებინა. ჩავიცვი მათხოვარივით, აი, როგორც ახლა, ასე გადავიკიდე თოფრა, ფეხსახვევში დანა გავირჭე და წავხეტიალდი შარაგზაზე — ეგებ ვინმემ ჩამოიაროს-მეთქი. ველოდე დიდხანს, მაგრამ საქმე არა გაქვს? არც აღალი, არც ვაჭარი, არავინ არ ჩანს. ჯავრისგან ლამის გულზე გავსიედე. „კეთილი, ვიძახი გუნებაში, რახან ღმერთი ხეირს არ იმეტებს, ახლა მე მაცალეთ, სულ ერთია, ვინც ჩამოივლის, თუნდაც მშობელი მამა იყოს ჩემი, ფრჩხილებამდე გავფცქვნი-მეთქი!" ეს გავიფიქრე და, ვხედავ, გზაზე ვიღაც ღატაკი დედაკაცი მოდის, რაღაც მოაქვს ხოკერით, ხოკერზე კი ტილო შემოუხვევია. როგორც კი ჩემ გამოსწორ მოაღწია, ბუჩქიდან გამოვხტი. შესდექ-მეთქი, ვეუბნები, დედაკაცო! მოიტა ხოკერი! — ის კი მუხლებში ჩამივარდა: რაც გინდა წაიღე, მაგრამ ხოკერს ხელს ნუ ახლებო! „ოჰო, ვფიქრობ გუნებაში, მაშ შენ, ჩანს, განძი გქონია მანდ დამალული", ჰოდა, ვტაცე ხელი იმ ხოკერს. დედაკაცი კი მოთქვამს, მლანძღავს, ხელზე მკბენს. მე ისედაც ბოღმა მახრჩობდა, დღე რო ცუდუბრალოდ მოვაცდინე, ახლა კი უფრო გავმწარდი. ეშმაკი შემიჯდა ტანში, დანა დავაძრე და ყელში ვატაკე იმ დედაკაცს. ძირს რომ დავარდა, შიშმა ამიტანა. გულისხეთქით გავიქეცი, მაგრამ მალე მოვეგე გონს და უკანვე დავბრუნდი იმ ხოკერისთვის. ვიფიქრე: დედაკაცი ხომ მოვკალი და ხელცარიელი რაღაზე წავიდე-მეთქი! დავავლე ხოკერს ხელი, გახსნა არც მიფიქრია, და შევვარდი ტყეში. ერთხანს ვირბინე, ასე, ძაღლის ყეფის ხმა რომ მიწვდება, იმდენზე, მაგრამ მუხლები მომეკვეთა, ჰოდა ვიფიქრე: დავჯდები, სულს მოვიბრუნებ, თანაც ვნახავ, რა განძი ვიშოვე-მეთქი? გადავხსენი ხოკერი, ვხედავ: თოთო ბავშვი წევს შიგ, ცოცხალმკვდარი, ძლივს სუნთქავს. „უჰ, შე ჭინკავ შენა! — გავიფიქრე. — აი თურმე რატომ არ მანებებდა დედაკაცი ხოკერს! მაშ შენი გულისთვის დავიმძიმე სული ცოდვით, შე შეჩვენებულო?!"

კორშუნს უნდოდა განეგრძო ამბავი, მაგრამ დადუმდა და ჩაფიქრდა.

— მერე რა უყავი იმ ბავშვს? — ჰკითხა ჰერსტენმა.

— რა უნდა მექნა, ძიძად ხომ ვერ დავუდგებოდი? რა ვუყავი? ცხადია, რასაც ვუზამდი!

მოხუცი კვლავ დადუმდა.

— ატამანო, — უეცრად წარმოთქვა მან, — ამ ამბავზე რომ დავფიქრდები, მაშინვე გული ამიკვნესდება. მაგრამ დღეს მაინც, მათხოვარივით რომ გადავიცვი, ისე ცხადად მახსენდება ყველაფერი, ვითომც გუშინ

მომხდარიყოს. და განა მარტო ეს ამბავი! არ ვიცი რისგან, მაგრამ ამ უცაბედად ის დღეებიც გამიცოცხლდა მახსოვრობაში, უკვე რახანია რომ არ მომგონებია. ამბობენ, სასიკეთო ნიშანი არ არი, კაცი რომ ასე უმიზეზოდ დაიწყებს გონებიდან ამოშლილი ამბების მოგონებასო!..

მოხუცმა ღრმად ამოიხვნეშა.

ორივე ყაჩაღი ხმაგაკმენდილი იყო. უცებ მათ თავს ზემოთ ფრთებმა გაიტყლაშუნა, — და წაბლისფერი ძერა თავდაყირა დაენარცხა მოხუცის ფეხებთან. ამავე დროს ჰაერში ლაღად აიჭრა სონღული ადრაგანი და, თავის მსხვერპლთან ჩამოსელაც არ იკადრა, ისე გაფრინდა საითკენღაც.

მიტკამ ხელი დაიქნია. შორს ბაზიერები გამოჩნდნენ.

— ძია! — აჩქარებით უთხრა პერსტენმა, — დაივიწყე წარსული; ჩვენ ხომ ახლა ყაჩაღები არა ვართ, ბრმა მეზღაპრეები ვართ. აი მეფის კაცები მოაჭენებენ აქეთ, საცაა აქ გაჩნდებიან. აბა, ჰე, ძიავ, გაყოჩაღდი, ერთი შენებურად დააყარე მაგათ ნართაულები.

მოხუცმა ყაჩაღმა თავი გადააქნია.

— ეჰ, წასულია ჩემი საქმე, — თქვა მან და მოკლულ ძერაზე ანიშნა. — ეგ მე დამლახვრა თეთრმა სონღულმა. ხედავ, აღარც ჩანს. მომკლა, და თვითონ კი უკვალოდ გაქრა.

პერსტენმა თვალჩაციებით შეხედა მოხუცს და სინანულით მოიქექა კეფა.

— აბა რა გითხრა, ძია, — უთხრა მან, — კაცი ვერ გაგიგებს, რა გემართება ღღეს! ოღონდ მე ძალას არ დაგატან. ამბობენ, კაცის გული მისანიაო. ალბათ, შენც ტყუილა არ გიგრძნობს გული ფათერაკს. დარჩი, მე მარტო წავალ სლობოდაში.

— არა, — უპასუხა კორშუნმა, — მაგისთვის კი არ წამომიწყია ეგ ლაპარაკი. თუ მართლა ის არი ჩემი ყისმათი, რომ სლობოდაში დავდო თავი, დარჩენა ვერაფერს მიშველის. ჩანს, ეგ ქუდბედი დამყვა დაბადებიდან. მე კი აი რისთვის გეუბნები ამას. იცი, ატამანო, ვოლგაზე სოფელი ბოგოროდიცკოე!

— როგორ არ ვიცი, ვიცი, ძია.

— იმ სოფლის მახლობლად, ხუთიოდ ვერსზე, ერთი ადგილი რომაა, პოპოვ კრუგს რომ ეძახიან, ისიც იცი?

— ვიცი.

— იქ რო ბერმუხაა, ისიც თუ გახსოვს?

— მუხაც მახსოვს; ოღონდ აღარ არის ის მუხა, მოჭრეს.

— მუხა კი მოჭრეს, მაგრამ კუნძი დატოვეს.

— მერე რა, რომ დატოვეს?

— აი რა, მე ხომ აწი ველარასოდეს ვნახავ დედა-ვოლგას, შენ კი,

ვინ იცის, ეგეპ კიდევ დაბრუნდე მშობელ მხარეში. ჰოდა, როცა ვოლგაზე იქნები, პოპოვ კრუგს მიაკითხე. ბერმუხის კუნძი მოძებნე. იმ კუნძს რომ მიაგნებ, ოთხმოცდაათის ნახევარი ნაბიჯი გადათვალე მზის დასავლისკენ. ნაბიჯებს რო გადათვლი, მიწა ამოთხარე იმ ალაგას. იქ, — განაგრძო კორშუნმა და ხმას დაუდაბლა, — კაი ხნის წინათ დიდი განძი ჩავფალი მე. ბლომად არის ოქროს კორაბლენიკებიც, თუმნიანებიც, ვერცხლის მანეთიანებიც. თუ იპოვი იმ განძს — სულ შენი იქნება. მე ხომ ხაზინას იმ ქვეყნად ვერ წავიღებ. მაგრამ ზოგჯერ, ღამ-ღამობით, გამახსენდება ხოლმე, რომ იქ პასუხი უნდა ვაგო ყველაფრისთვის, რასაც აქ ვაკეთებდი, და ჟრუანტელი დამიელის ტანში! მადლს მიზამ, ატამანო, თუ პანაშვიდს გადამიხდი, როცა აღარ ვიქნები. ეგ ყველაფერს ემჯობინება. ჰოდა, ფულს ნუ დაზოგავ პანაშვიდისთვის. ბლომად მიეცი მღვდელს; დე, როგორც წესია, ისე გადამიხადოს, ნურაფერს გამოტოვებს. ჩემი სახელი კი, შენც იცი, ამელიანეა. კორშუნს ისე მეძახიან, ბიჭებმა შემარქვეს; ნათლობის სახელი კი ამელიანე მქვია. ჰოდა, მღვდელმაც ამელიანეს მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადოს; შენ კი, იცოდე, ბარაქიანად მიეცი იმას ფული, ნუ დაგენანება, ატამანო; მე მდიდარ ხაზინას გიტოვებ, მთელ სიცოცხლეში გეყოფა!

ჭენებით მოვარდნილმა ბაზიერებმა კორშუნს სიტყვა გააწყვეტინეს.

— ეი, თქვენ, საპყარნო! — დაიყვირა ერთმა მათგანმა, — თქვით, საით გაფრინდა სონღული?

— სიამოვნებით გეტყოდით, მოკეთეებო, — უპასუხა პერსტენმა, — მაგრამ უკვე ორმოცი წელია დავსებული მაქვს თვალი!

— დავსებული? რამ დაგივსო, კაცო?

— რამ და, წავედი ერთხელ მთებში, მინდოდა ქვებზე ლაფანი ამეძრო, ვხედავ — მუხა წამოზრდილა, ფუღუროში შემწვარი წიწილები წიაქობენ. შევძვერი იმ ფუღუროში, მივაძეხი იმ წიწილებს, გავსუქდი, ჰოდა, ველარ გამოვდივარ იქიდან! რაღა მექნა? გავვარდი შინ, ნაჯახი მოვარბენინე, ჩამოვთალე ფუღურო და გამოვძვერი როგორც იქნა; ოღონდ იმის თლაში, ჩანს, ნაფოტები ჩამიცვივდა თვალებში; მას მერე ველარაფერს ვხედავ. ზოგჯერ, წვენს როცა ვხვრეპავ, ყურში ვიჩრი კოვზს; ხოლო ცხვირი რომ მომექავება, ზურგს ვიღლეტ ფხანით.

— ა-ა, ეს თქვენა ხართ, — სიცილით თქვა ბაზიერმა, — ის ბრმები, მეფეს რომ ელაპარაკებოდით! ბოიარები ახლაც თქვენზე სიცილით იგუდებიან. აბა, ბიჭებო, თქვენ იცით ახლა, დღისით ჩვენ გავართეთ ხელმწიფე-ბატონი, თქვენ კი ღამით მოგიწევთ მისი მეფური მოწყალების შექცევა. ამბობენ, მეფეს თქვენი ზღაპრების მოსმენა ნებავსო.

— ღმერთმა კარგად ამყოფოს მისი მეფური მოწყალება, — აიტაცა

კორშუნმა, რომელმაც უეცრად იცვალა ქცევა, — რატომაც არ უნდა მოგვისმინოს! თუ საღამომდე ენა არ ვიღრძეთ, იცოცხლე, დილამდე არ შემოგველევა საფქვავი!

— კეთილი, კეთილი! — უთხრეს ბაზიერებმა, — სხვა დროს გავერთობით თქვენთან. ახლა სონღულის საძებნელად მივდივართ, ამხანაგს უნდა ვუშველოთ. თუ ტრიფონმა ადრაგანი ვერ იპოვა, წასულია მისი საქმე, დარჩება უთავოდ; მეფე-ბატონს ხუმრობა არ უყვარს!

ბაზიერებმა მინდვრისკენ გაქუსლეს.

პერსტენი და კორშუნი კვლავ მიტკას მოეკიდნენ და სლობოდისკენ წაღოღიალდნენ.

პირველ ფუნდუკამდეც არ იყვნენ მისული, რომ ორი მოხეტიალე მესაკრავე დაინახეს. ისინი ბალალაიკებს აჟღრიალებდნენ და მთელი ხმით გაჰკიოდნენ:

მეზობლებთან მხიარული
იყო ჩვენი ერიამული!

როცა ყაჩაღები მათ გაუსწორდნენ, ერთ-ერთი მესაკრავეთაგანი, წითური ოტროველა, რომელსაც ქუდში ფარშავანგის ფრთა გაერჭო, პერსტენისკენ გადმოიხარა.

— უკვე ბარე ხუთი დღეა შენი თავადი ციხეში ზის! — წაუჩურჩულა მან, თან ბალალაიკას აჟღარუნებდა, — ყველაფერი გამოვიკითხე. ხვალ წირვას გამოუყვანენ. დიდ ციხეში ზის, მალიუტას სახლის გადასწორ. საიდან ავაფრინოთ წითელი მამალი?

— აი იქიდან! — მიუგო პერსტენმა და ციხის საპირისპირო მხარეს ანიშნა თვალით.

წითურმა მესაკრავემ ყველა თითი ერთად ჩამოჰკრა ბალალაიკას, პერსტენს პირი შეაქცია, ვითომ არც დავლაპარაკებივარო, და გამყივანი ხმით განაგრძო:

მეზობლებთან მხიარული
იყო ჩვენი ერიამული!

XXI თავი

ზღაპარი

ივან ვასილევიჩი, ნადირობით დაღლილი, ჩვეულებრივზე ადრე განმარტოვდა საწოლ დარბაზში.

მალე მალიუტაც ეახლა ციხის გასაღებებით.

შეკითხვის პასუხად სკურატოვმა მოახსენა მეფეს, ახალი არაფერი მომხდარა დღეს, ხოლო სერებრიანი კი გამოტყდა, რომ მოროზოვის თანამდგომი იყო მოსკოვის ამბავში და შვიდი ოპრიჩნიკი მოკლა, ხოლო ვიაზემსკის თავი გაუჩეხაო.

— მაგრამ, — დაურთო მალიუტამ, — სერებრიანის არ სურს შენი მეფური დიდობისადმი ბოროტ ზრახვებში გამოტყდეს, და არც მოროზოვის გათქმას აპირებს. ცისკრის ლოცვის მერე წამებით დაკითხვას მოვუწყობთ, ხოლო თუ ვერც საქაჯავით და ვერც შანთებით ვერ ვაიძულეთ მოროზოვის გათქმა, მაშინ ლოდინიც აღარ ღირს, მაშინ სჯობს მოვრჩეთ მის ამბავს.

იოანე სდუმდა. მალიუტას უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ საწოლ დარბაზში მოხუცი გადია შემოვიდა.

— ბატონო ჩემო, — უთხრა მან, — ამ დილით შენ ორი ბრმა გამოგზავნე სასახლეში: მეზღაპრეები ვართო, უთქვამთ; აქვე იცდიან, წინკარში.

მეფეს იმ დილანდელი შეხვედრა გაახსენდა და ბრმების შემოყვანა ბრძანა.

— მერე, ვანია, იცნობ შენ იმათ? — ჰკითხა დედაბერმა.

— რად მეკითხები?

— ვითომ მართლა ბრმები არიან?

— რაო? — თქვა იოანემ და მყისვე ეჭვმა შეიპყრო.

— გაიგონე ჩემი სიტყვა, ხელმწიფეო, — განაგრძობდა გადია, — უფრთხილდი მაგ მეზღაპრეებს; გული მეუბნება, რაღაც უკეთურს უნდა აპირებდნენ; უფრთხილდი მაგათ, ვანია, დაიჯერე ჩემი სიტყვა.

— იცი რამე მაგათზე? მითხარი! — უთხრა იოანემ.

— მე ნურაფერს მკითხავ, ვანია. ჩემი ცოდნა სიტყვით არ გამოითქმება: ვგრძნობ, რომ ვიღაც უკეთურები უნდა იყვნენ, ხოლო რატომ ვგრძნობ, ამას ნუ მკითხავ. უმიზეზოდ ჯერ არავინ გამიფრთხილებია. ცხონებულ დედაშენს რომ ჩემთვის დაეჯერებინა, იქნებ ახლაც ცოცხალი ყოფილიყო!

მალიუტამ შიშით გადახედა გადიას.

— რას მომჩერებიხარ? — უთხრა ონუფრევნამ. — შენ მხოლოდ უდანაშაულოების დაღუპვაში ხარ მარჯვე, ავისა და ბოროტის გამოცნობა კი, ჩანს, საშენო საქმე არ არის. ამის ალღო სად გექნება, ქეციანო ქოფაკო!

— ხელმწიფეო, — შესძახა მალიუტამ, — ნება მიბოძე, ჩვენებურად დაეკითხო ეგ ხალხი! მაშინვე გავიგებ, ვინ არიან და ვის მოუგზავნია!

— არ არის საჭირო, — თქვა იოანემ, — მე თვითონ მოვუვლი მაგათ. სად არიან?

— აქვე, ბატონო, კარს უკან, — მიუგო გადიამ, — წინკარში დგანან.

— მალიუტა, ის ჯაჭვის პერანგი ჩამოიღე კედლიდან და აქ მომაწოდე, მერე კი გასწი აქედან, ვითომ შინ წახვედი, ხოლო როცა ისინი შემოვლენ, წინკარში მობრუნდი, მხედრებით ჩასაფრდი კარს უკან. როგორც კი გიხმობთ, მაშინვე შემოცვივდით და შეიპყარით... ონუფრევნა, ეგ კვერთხი მომაწოდე.

მეფე ჯაჭვით შეიმოსა, ზემოდან შავი სტიქარი გადაიცვა, ლოგინზე წამოწვა და სწორედ ის კვერთხი დაიდო გვერდით, რომლითაც ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე ფეხი გაუგმირა თავად კურბსკის მალემსრბოლს.

— აბა, უთხარით შემოვიდნენ! — წარმოთქვა მან.

მალიუტამ გასაღებები სასთუმალქვეშ ამოუდო მეფეს და გადიასთან ერთად გავიდა. ხატის კანდელები მკრთალად ანათებდნენ დარბაზს. მეფე სარეცელზე იწვა. სახეზე მოღლილი კაცის იერი ედო.

— შედით, საპყარნო, — უთხრა მათ გადიამ, — მეფემ ბრძანა!

პერსტენი და კორშუნი ფრთხილი ნაბიჯით, ხელის ცეცებით შეღოღიალდნენ საწოლ დარბაზში.

პერსტენმა თვალის სწრაფი მოვლებით შეათვალიერა იქაურობა.

კარის მარცხენა მხარეს საწოლი ღუმელი იყო; წინა კუთხეში მეფის სარეცელი იდგა; ღუმელსა და სარეცელს შუა კედელში ფანჯარა იყო დატანებული, რომელსაც არასოდეს არ კეტავდნენ დარაბებით, რადგან მეფეს უყვარდა, მზის პირველი სხივები მის საძინებელში რომ აღწევდა. ახლა ამ ფანჯარაში მთვარე იცქირებოდა და ღამის მნათობის ვერცხლად გაღვრილი შუქი ღუმელის ფერად-ფერად შორენკეცებს დასთამაშებდა.

— გამარჯობა თქვენი, ბრმა მურომელო მეფუნთუშეებო, ქარიხვეტიებო! — წარმოთქვა მეფემ, თან ჩუმ-ჩუმად, მაგრამ დაჟინებით აკვირდებოდა სახეში ყაჩაღებს.

— მრავალჟამ გამარჯვება ნუ მოეშალოს შენს მეფურ მოწყალებას! — მიუგეს პერსტენმა და კორშუნმა და უმდაბლესად ეთაყვანენ ხელმწიფეს. — დედაღვთისა იყოს შენი მფარველი, მხსნელი და მწყალობელი, ასე რომ გვიცოდებ კარდაკარ მოხეტიალე, ღვთივდანაბადი ქვეყნის ვერმხილველ ბოგანო, საპყარ ხალხს! წმინდა პეტრე და პავლემ, იოანე ოქროპირმა, კოზმან და დამიანემ, ხუტინის სასწაულმოქმედებმა და ყველაწმინდამ დაგიცვან და დაგიფარონ! უფალმა მოგცეს რასაც ჰვედრი და შესთხოვ! ოქროში ცურვა, გემრიელი ჭამა-სმა და ტკბილი ძილი ნუ მოეშალოს უკუნითი უკუნისამდე! შენს მტრებსა და მოძულეებს კი დღე-

ნიადაგ ასლოკინებდეთ და შიმშილისგან ხდებოდეთ სული! ყოველ ცისმარე დღე მუცლის გვრემა და ერკემლის რქასავით გრეხვა ყოფილიყოს იმათი ხვედრი!

— გმადლობთ, ემადლობთ, საპყარნო! — თქვა იოანემ, თან ყაჩაღების თვალთვალს განაგრძობდა, — რაო, დიდი ხანია რაც დაბრმავდით?

— სიყმაწვილეშივე, მეფე-ბატონო, — მიუგო პერსტენმა, თან თავს ხრიდა და მუხლს იდრეკდა, — ორივენი სიყმაწვილეშივე დავბრმავდით! აღარც გვახსოვს, მზის შუქს როდის ვხედავდით!

— ეგ სიმღერები და ზღაპრები ვილამ გასწავლათ?

— თვითონ უფალმა, ხელმწიფეო, თვითონ უფალმა გვიწყალობა ეგ სიკეთე ძველთაგანვე!

— ეგ როგორ? — ჰკითხა იოანემ.

— ჩვენი მოხუცები გვიამბობენ, — მიუგო პერსტენმა, — და მებარბითენიც ასე მღერიან: ძველად, სულ ძველად იყო ეგ ამბავი, როცა ქრისტე ღმერთი ცად ამაღლდა; მორთეს ტირილი ღატაკებმა, უპოვარებმა, უსინათლოებმა, საპყარებმა, ერთი სიტყვით, მთელი დუნიის ბოგანოებმა: ვაი ჩვენს მოსწრებას, ქრისტე ღმერთო, საით მიფრინავ? ვის იმედზე გვტოვებ საწყალობლებს? ვინღა მოგვხედავს მშიერ-მწყურვალთ? ჰოდა, იესო ქრისტემ, ცათა მეუფემ, უთხრა მაშინ იმ საბრალოებს: „თქვენო, უთხრა, ოქროს მთას მოგცემთ, თაფლოვან მდინარეს მოგცემთ, ბაღნარ ვენახებს, ვაშლით დახუნძლულ ქოჩორა ხეებს მოგცემთო; ჰოდა, იქნებით მაძღრად და ზარხოშად, ჩაცმული და დამოსილიო!“ მაშინ იოანე ღვთისმეტყველი ეუბნება: „ეჰა, შენ, გულმოწყალე მაცხოვარო! ნურც ოქროს მთებს მისცემ მაგათ და ნურც თაფლოვან მდინარეებს, ნურც ბაღნარ ვენახებს და ნურც ვაშლით დახუნძლულ ქოჩორა ხეებს. ვერ უპატრონებენ ბოგანოები მაგ სიკეთეს: ძლიერები, მდიდრები შეესევიან და სულ მისტაცებენ. შენ მაგათ, ქრისტე ღმერთო, ცათა მეუფევ, შენი ღვთისმიერი სახელი მიეცი, ტკბილსასმენელი სიმღერები მიეცი, გარდასულ დროთა და ღვთის კაცების საქებარი დიადი თქმულებები მიეცი. ღატაკები ქვეყანაზე იღოღიალებენ, დიად თქმულებებს დაამღერებენ კარიდან კარად და ყველა გაიმეტებს მაგათთვის გამონაცვალ შარვალ-ხალათს, ყველა გაუწვდის თითო ლუკმას გამოსაკვებად“. მაშინ ასე თქვა ქრისტე ღმერთმა, ცათა მეუფემ: „კეთილი, ისე იყოს, როგორც შენ ამბობ, ივანე! ბარემ, სულ მაგათი იყოს ტკბილსასმენელი სიმღერები, წკრიალა ბარბითები, დიადი თქმულებები; ხოლო, ვინც მაგათ ლუკმას გაუწვდის, ბნელ ღამეში შეიფარებს, იმას სამოთხეში მივცემ ადგილს, იმისთვის ღია იქნება სამოთხის კარიო!“

— ამინ! — თქვა იოანემ, — აბა თქვით, რა ზღაპრები იცით?

— ბევრნაირი ვიცით, ხელმწიფე-ბატონო, ბევრნაირი, ოღონდ გვიბრძანოს შენმა მოწყალებამ და, რასაც ინებებ, იმას გიამბობთ. გნებავს, ერშ ერშოვიჩზე, შჩეტინიკოვის ვაჟიშვილზე მოგიყვები, გნებავს შვიდ სიმეონზე, გველეშაპ გორინიჩზე, ჯადოსნურ ბარბითზე, დობრინია ნიკიტიჩზე, აკუნდინზე...

— კეთილი, — შეაწყვეტინა იოანემ, — მერე მარტო შენ ერთი ჰყვები მაგ ზღაპრებს? მაშ ეგ მოხუცი რიღასთვის მოგყვა?

პერსტენს ახლაღა გაახსენდა, რომ კორშუნი თითქმის სულ მდუმარედ იდგა და, მეზღაპრისთვის არაბუნებრივი მოწყენილობიდან რომ გამოეყვანა მოხუცი, უცბად იცვალა ილეთები და ნართაულებით ლაპარაკი დაიწყო.

— მოხუცი? — თქვა და შეუმჩნეველად დაადგა ფეხი კორშუნს, — ეგა, რა გითხრა, ჩემი ამხანაგია, ამელკა გუდოკი; გრძელწვერაა, ღვთის შეწევნით, მაგრამ ჭკუამოკლეა; სამარხულოს რომ დავივიწყებ და სახსნილოს გუდას მოვაპირქვავებ, ჩემს გუნებაზე ვმიეთ-ვმოეთობ და ენას ვიქავებ, ეგ მე კვერს მიკრავს, მაქეზებს და სტვენით მომყვება, სიტყვას მიქებს და ენას იკვნეტს... ასე არ არის, ძიავ, თეთრწვერავ, ბაჯბაჯა იხვო, ქათმის ჩიჩახვო; ნეტავ გზიდან არ გადავიჩეხოთ!

— ჰაი, ჰაი, რო ეგრეა, — აიტაცა მისი ნათქვამი გონს მოსულმა კორშუნმა, — ჩვენი ფიალა სავსეა წინწანაქარით და, რახან ავავსეთ, უნდა დავცალოთ, სხვა გზა არ არის! აი ასეა, ბიძიკო, მყივანა მამალო, თხუნელას თვალო; გავწიოთ გზაზე, სიარულში გავაღწევთ სადმე!

— ეი ლული ტარარა, ცეკვავს თხა წვერ-ცანცარა! — თქვა პერსტენმა ფეხებზე რწევით, — ცეკვავს თხა წვერ-ცანცარა, ხნავს ბუზი-ნაცარა, ეფროსინე ბებიას კი ყური უწვივის მარცხენა!..

— ეი ლული, ლული! — ჩაურთო კორშუნმა ასევე ფეხებზე რწევით, — ეი ლული, ლული, რიყეზე კიბო გარჩენილა ეული; მაგრამ ფიქრიც არა აქვს, სტვენს არხეინად, მშრალზე დარჩენილი; იცის, მალე ადიდდება წყალი და განსაცდელს დაადგება ჭვალი!

— ეჰ, ხელმწიფე-ბატონო, — დაამთავრა პერსტენმა და მორჩილად ეთაყვანა მეფეს, — ნუ გვიყურებ ცერად, ნუ ხარ გაუცინარი; ეს მხოლოდ წასამღერია, ზღაპარი კი წინ არი!

— კეთილი, — მთქნარებით თქვა იოანემ, — მიყვარს მამაცთა სილაღე; დობრინიას ზღაპარი დაიწყეთ, საპყარნო; ეგებ თქვენ ყურისგდებაში ძილი წამომეპაროს!

პერსტენი კიდევ ერთხელ ეთაყვანა მეფეს, ჩაახველა და დაიწყო:

— „კიევის მთავრის, ვლადიმირის დიდებულ დარბაზში საპატიო სერობა იყო, ნადიმი იყო თავადების, ბოიარების, გულოვანი გოლიათების პატივსაცემად. დღე უკვე საღამოსკენ იყო მიხრილი, ნადიმი — მთავარ ეშხში შესული, რომ, ყველასდა გასაკვირველად, საბრძოლო ბუკის ხმა მოისმა. მაშინ ვლადიმირმა, კიევის მთავარმა, მზენათელმა სვიატოსლავიჩმა ასე წარმოთქვა: „ეჰა, თქვენ, თავადებო, ბოიარებო, უძლეველო გოლიათებო! წარგზავნეთ ორი გულოვანი გოლიათი ამბის მცნობელად: ვინ გაბედა კიევის წინ ლაშქრით დადგომა? ვინ გაბედა მთავარ ვლადიმირის სასახლესთან ბუკის ცემა?“

ვრცელ ეზოში გულფიცხი მამაცები ახმაურდნენ, ფოლადის მახვილებმა დაიჟღარუნა, სადარბაზოს კიბეებზე რკინის გურზების ხათქიხუთქი გაისმა, შეიქნა ცაში ქუდების სროლა. უძლეველი გოლიათები საომრად იკაზმებიან, დარჩეულ ბედაურებზე სხდებიან, გაშლილ ველზე მიიჩქარიან...“

— მოიცა, მოიცა! — განზრახ შეაწყვეტინა იოანემ იმ ვარაუდით, რომ მეზღაპრეს უფრო გულდაჯერებით ეფიქრა, მეფე დიდი გულისყურით მისმენსო, — ეგ ზღაპარი ვიცი. სჯობს აკუნდინზე მიამბო.

— აკუნდინზე? — აბნეულად თქვა პერსტენმა, რადგან გაახსენდა, რომ იმ ზღაპარში შერისხული ნოვგოროდი იყო ნაქები, — აკუნდინის ზღაპარი, ხელმწიფეო, რა საშენოა, ტეტიურია; ეგ ზღაპარი ბრიყვმა ნოვგოროდელმა ტეტიებმა გამოიგონეს; თან კიდევ, მეფეო, მგონი აღარც მახსოვს ეგ აბდაუბდა...

— მოყევი, ბრმავ! — მკაცრად უთხრა იოანემ, — თავიდან ბოლომდე მოყევი, როგორც გამოუთქვამთ, ჰოდა, იცოდე, სიტყვის გამოტოვებაც არ გაბედო!

და მეფემ გუნებაში ჩაიცინა, იმით კმაყოფილმა, რომ ასე სავალალო ყოფაში ჩააყენა მეზღაპრე.

პერსტენი საკუთარ თავზე ჯავრობდა, რა ჩემდა ჭირად შევთავაზე ეს აკუნდინიო, მაგრამ, რაკი არ უწყოდა, რა შეიძლება სცოდნოდა იოანეს ამ ზღაპრისა, გადაწყვიტა მგონიაობა აღარ დაეწყო და დაურიდებლად ეამბნა ყოველივე, როგორც იცოდა.

— „იყო ერთი ძველი ქალაქი, — დაიწყო მან, — ძველი ქალაქი ნოვეგოროდი, და იმ ქალაქ ნოვეგოროდში, გარეთუბანში, ერთი აკუნდინ-მამაცი ცხოვრობდა. ეს აკუნდინი, კაი ვაჟკაცი, არც ლუდსა ხდიდა, არც არაყს ხდიდა, არც ვაჭრობდა; აკუნდინი მეკობრე იყო და ნავებით დანავარდობდა მდინარე ვოლხოვზე. ჰოდა, ერთხელ გამართა თავისი ნავი, ნეკერჩხლის ნიჩბები მუხის ბუდეებს მოარგო და თვითონ ტიმონთან მო-

იკალათა. ნავი მდინარე ვოლხოვს შეუყვა და ბოლოს ერთ ფრიალო ნაპირს მიადგა. ნაპირზე კი სწორედ ამ დროს ერთი მოხეტიალე ბრმა მესაკრავე მოღოღავდა. ბრმა მესაკრავე ქათქათა ხელში ჩაეჭიდა მამაც აკუნდინს, მაღალ ყორღანზე აიყვანა და, როცა ავიდნენ, ასე უთხრა: — აბა, გაჰხედე, კარგო მამაცო, ქალაქ როსტისლავლს, მდინარე ოკაზე, და, რომ გაჰხედავ, მითხარ, რა ხდება იმ ქალაქში, იმ როსტისლავლში? — აკუნდინმა მყისვე გაჰხედა ქალაქ როსტისლავლს, იქ კი დიდზე დიდი განსაცდელი ადგათ: რიაზანის ჭაბუკი მთავრის გლებ ოლეგოვიჩის ქვეშევრდომები შუა ბაზარში დამდგარიყვნენ, უნდოდათ ბრძოლით დაეცვათ ქალაქი, მაგრამ ძალა არ ყოფნიდათ. მდინარე ოკაზე საზარელი ურჩხული, გველეშაპი ტუგარინი მოცურავდა. ის გველეშაპი ტუგარინი სიგრძით ბარე სამასი საჟენი იყო, კუდით მუსრავდა რიაზანის მხედრობას, ქედით ფრიალო ნაპირებს აშვავებდა და, გამძვინვარებული, ძველი ხარკის გადახდას მოითხოვდა. მაშინ ბრმა მესაკრავემ აკუნდინს მოჰკიდა ხელი და ასე მიმართა: — ეჰა, შენ, კარგო მამაცო, მითხარ ვინა ხარ, ვისი შვილი ხარ! — და აკუნდინმაც ასე მიუგო: — ნოვეგოროდელი მამაცი ვარ, აკუნდინ აკუნდინიჩს მეძახიან სახელად.

— ეჰა, შენ მოგელოდი, აკუნდინ აკუნდინიჩ, სრული ოცდაათი წელიწადი და სამი წელი; აჰა, იცანი ბიძაშენი, ღვიძლი ბიძა ზამიატნია პუტიატიჩი; ჩემი ძმა ხომ, აკუნდინ პუტიატიჩი, შენი მშობელი მამა იყო! აჰა, შენ ბასრი მახვილი, მშობელი მამის, აკუნდინ პუტიატიჩის დანატოვარი! — ეს სიტყვები ვერც დაამთავრა, ზამიატნია პუტიატიჩს სიკვდილის ჟამი დაუდგა, ამ საწუთროდან გადასვლა იწყო; და სანამ სული ამოხდებოდა, ასე მოძღვრავდა საყვარელ ძმისშვილს: — ეჰა, შენ, ჩემო სათაყვანო ძმისშვილო, აკუნდინ აკუნდინიჩ! როცა სახელოვან ნოვეგოროდში მიხვიდე, მდაბლად ეთაყვანე და ასე უთხარი, უსათუოდ უთხარი იმას, ნოვუგოროდს: დე ღმერთმა გამყოფოს-თქო, ნოვუგოროდო, სალ კლდესავით უკუნითი უკუნისამდე, შენი შვილები და შენი მოდგმა კი სახელოვნად! დე იყავი-თქო, ნოვუგოროდო, ძალმორჭმული, შენი შვილები და შენი მოდგმა კი სიკეთით და დოვლათით სავსე...“

— კმარა! — ბრაზიანად გააწყვეტინა მეფემ, რომელსაც ამ წუთში სულ გადააავიწყდა, რომ მისი მიზანი მხოლოდ მეზღაპრის თვალთვალი იყო. — სხვა ზღაპარი დაიწყე!

პერსტენი, ვითომც შიშით დამფრთხალი, მუხლებზე დავარდა და პირქვე წაემხო მის წინაშე.

— რომელ ზღაპარს ინებებ, ხელმწიფე-ბატონო? — ჰკითხა მან მოგონილი, ან იქნებ ნამდვილი შიშითაც, — იქნებ კუდიანი დედაბრის ზღა-

პარი გსურს? ან ჩურილა პლენკოვიჩის? ან ივან ოზერის? თუ იმას მიბრძანებ, შენს მოწყალებას რამე საღვთო ვუამბო?

იოანეს გაახსენდა, რომ ბრმები არ უნდა დაეფრთხო, ამიტომ კიდევ ერთხელ დაამთქნარა და უკვე მძინარა ხმით ჰკითხა:

— მერედა, რომელი საღვთო ზღაპარი იცი, საპყარო?

— ღვთის გლახა ალექსიზე, ბატონო, ეგორი მამაცზე, იოსებ მშვენიერზე ან, თუ გნებავს, მტრედის წიგნზე.

— კეთილი, — თქვა იოანემ, რომელსაც, იფიქრებდით, უკვე ეწებება ქუთუთოებიო, — მტრედის წიგნზე მიამბე. ჩვენთვის, ცოდვილებისთვის, სჯობს კიდევაც რამე საღვთო მოვისმინოთ ძილის წინ!

პერსტენმა კიდევ ერთხელ ჩაახველა, წელში გაიმართა და წამღერებით დაიწყო:

— „ერთხელ, ოდესღაც, საშინელი ღრუბლიანი დღე გაათენა უფალმა ღმერთმა; და იმ საშინელ ღრუბლიან დღეს მტრედის წიგნი ჩამოვარდა მაღლა ციდან. იმ მტრედის წიგნთან უმალ შემოკრბა: ორმოცი მეფე და მეუისწული, ორმოცი ხელმწიფე და ხელმწიფისწული, ორმოცი მთავარი და მთავრისწული, ორმოცი მღვდელი და მღვდლისწული, უამრავი ბოიარი, მეომარი ხალხი, მილეთის ხალხი მთელ დუნაიდან, უგვარო ქრისტიანები, მართლმადიდებლები. მათ შორის ხუთი მეფე იყო ყველაზე სახელიანი: ისაია მეფე, ვასილეი მეფე, კოსტიანტინ მეფე, ვოლოდიმერ მეფე ვოლოდიმერიჩი, ჰოდა ბრძენთა ბრძენი მეფე დავით ევსიევიჩი.

ეუბნება მათ ვოლოდიმერ მეფე: — ვინ არის ჩვენ შორის, ძმებო, ისეთი, კითხვა იცოდეს? რომ ეს მტრედის წიგნი წაგვიკითხოს? და ამ ღვთივდანაბადი ქვეყნის ამბავი გვითხრას? გაგვაგებინოს: რისგან გაჩნდა ვარვარა მზე? რისგან გაჩნდა ღამის მნათობი მთვარე? რისგან დაიბადა ურიცხვი ვარსკვლავები? რისგან მოგვევლინა ნათელი განთიადები? რისგან ატყდა მძვინვარე ქარები? რისგან შეიქმნა მრისხანე ღრუბლები? რისგან გაჩნდა ბნელი ღამეები? რისგან მომრავლდა ამ ქვეყნად ამოდენა მილეთის ხალხი? რისგან მოეელინენ ამ ქვეყანას მეფეები? რისგან ჩაისახნენ ბოიარ-მთავრები? რისგან დაიჩეკნენ მართლმადიდებელი გლეხიკაცები?

ამაზე ყველა მეფე დაღუმდა. მაშინ ბრძენთა ბრძენმა მეფემ დავით ევსიევიჩმა მიუგო ყველას: — მე გეტყვით, ძმებო, ამ წიგნის, ამ მტრედის წიგნის ამბავს: ეგ პატარა წიგნი არ არის; მისი სიგრძე ორმოცი საჟენია, სიგანე ოცამდე საჟენი; მაგ წიგნის აწევა რომ მოინდომო, ვერ ასწევ; ხელში დაჭერა რომ ინდომო. ვერ დაიჭერ; ასო-ასო რომ ჩაუყვე

წასაკითხავად, ვერ წაიკითხავ; ფურცელ-ფურცელ რომ გადაშალო, ბოლომდე მაინც ვერ გადაშლი; მაგას ვერავინ ვერ წაიკითხავს. ეგ წიგნი ივანე ღვთისმეტყველმა დაწერა, კითხვით კი ისაია წინასწარმეტყველი კითხულობდა სრულ სამ წელიწადს; კითხულობდა და მხოლოდ სამა ფურცელი ამოიკითხა; მე რომ მაგ წიგნის წაკითხვა ვინდომო — ვერ წავიკითხავ ღვთიურად ნაწერს! წიგნი თვითონ გადაიშალა, ფურცლები თვითონ გადაიფურცლა, სიტყვები თვითონ წაიკითხნენ. მე შიგ ჩაუხედავად გეტყვით, ხელმწიფენო, წაუკითხავად გეტყვით, ძმებო, მაგ წიგნის ამბავს, მახსოვრობით, განაგონით გიამბობთ იმ ძველთაძველ დროზე, როგორც ძველადვე თქმულა და დაუწერიათ.

ვარვარა მზე, ძმებო, ღვთის ნათელი სახისგან გაჩნდა; ღამის მნათობი მთვარე მისი მკერდისგან; ურიცხვი ვარსკვლავები ღვთის თვალებისგან. ნათელი განთიადები მისი შესამოსელისგან; მძვინვარე ქარები — ღვთის სუნთქვაა; მრისხანე ღრუბლები — ღვთის ფიქრებია; ბნელი ღამეები მისი მოსასხამისგანაა! ხალხი-ჯამაათი ამ ქვეყნად ადამისგანაა; ადამის თავისგან მეფენი გაჩნდნენ; მის ნაწილთაგან — თავადები და ბოიარები; მუხლებისგან — მართლმორწმუნე გლეხიკაცები; ადამისგანვეა გაჩენილი დედათა სქესიც!

ყველა მეფემ თავი დადრიკა მის წინაშე: — მადლობელი ვართ, სვენათელო ხელმწიფეო, ბრძენთა ბრძენო, უბრძენესო მეფევ, დავით ევსიევიჩ! შენ ბარემ, სვიანო, ესეც გვითხარი, გაგვაგებინე: — რომელი მეფეა მეფეთა მეფე? რომელი მიწაა მიწათა დედა? რომელი ზღვაა ზღვათა დედა? რომელი მდინარეა მდინარეთა დედა? რომელი მთაა მთათა დედა? რომელი ქალაქია ქალაქთა დედა?“

ეს რომ თქვა, პერსტენმა მალულად შეხედა ივან ვასილევიჩს, რომელსაც, იფიქრებდით, უკვე ძილი ერევაო. დროდადრო მეფე თითქოს გაჭირვებით ახელდა თვალებს და ისევ ხუჭავდა; მაგრამ ყოველ გახელაზე შეუმჩნევლად აპყრობდა მეზღაპრეს გამომცდელ, გამსჭვალავ მზერას.

პერსტენმა თვალი უყო კორშუნს და განაგრძო:

— „მაშინ ბრძენთა ბრძენმა მეფემ, დავით ევსიევიჩმა მიუგო ყველას: — მე, ძმებო, მაგასაც გეტყვით, ახლავე გეტყვით, გაგაგებინებთ. მტრედის წიგნში ასე სწერია: ჩვენთან თეთრი მეფე იქნება მეფეთა მეფე; მას ნათელღებული რჯული სწამს, ნათელღებული და ღვთის მსასოვარი; ის დედაღვთისა ღვთიშობელსა და ერთარსება სამებას აღიარებს; მის წინაშე ყველა ურდომ ქედი დადრიკა, ყველა ხალხი მას დამორჩილდა; მისი მეფური ხელი, კეთილმორწმუნე და ღვთისმოსავი, ყველაზე მორჭმული და სვიანია ამ ქვეყანაზე, და ყველანი თეთრი მეფის წინ და-

იდრეკენ ქედს, რადგან თეთრი მეფე მეფეთ მეფეა! რუსეთის წმინდა მიწა ყველა მიწის დედაა; ამ მიწაზე აგებენ სამოციქულო ეკლესიებს, სამლოცველო საყდრებს, დედა ეკლესიებს — დიდ ტაძრებს. ოკეანე-ზღვა ზღვათა დედაა; მისგან ამოიზარდა დედა ეკლესია — დიდი ტაძარი; იმ ტაძარში განისვენებს რომის პაპის, რომის პაპა კლემენტის წმინდა ნაწილები, ის ზღვა მთელ დედამიწას აკრავს გარშემო; ყველა მდინარე იმ ზღვაში ჩაედინება, ყველა მდინარე ოკეანე-ზღვას უერთდება მდინარე იორდანე მდინარეთა დედაა; დიდებულ დედა-მდინარეში, იმ იორდანეში თვითონ იესო ქრისტემ, ცათა მეუფემ იღო ნათელი. ხოლო თაბორის მთა მთების დედაა; რადგან დიდებულ თაბორის მთაზე ამაღლდა ზეცად თვითონ მაცხოვარი, იესო ქრისტე, და სასწაული აჩვენა თავის მოწაფეთ. ქალაქი იერუსალიმი ქალაქთა დედაა; ის ქალაქი დედამიწის შუაგულში დგას, იმ ქალაქში კი დედა ეკლესია — ტაძარი დგას; იმ ტაძარში უფლის კუბოა დასვენებული, იმ კუბოში კი თვითონ ქრისტეს კვართია დაკრძალული, მის გარშემო გუნდრუკი იკმევა, ჩაუქრობელი წმინდა სანთლები ანთია...“

აქ პერსტენმა კვლავ იოანეს მიაპყრო მზერა. მას თვალები დაეხუჭა, მშვიდად სუნთქავდა. ხელმწიფე, თითქოს, ძილში იყო წასული.

ატამანმა იდაყვი წაჰკრა კორშუნს. მოხუცი წინ წაჩოჩდა ორიოდ ნაბიჯზე. პერსტენი კვლავ ღიღინით განაგრძობდა:

— „ყველა მეფემ თავი დადრიკა მის წინაშე: — მადლობელი ვართ, სვენათელო ხელმწიფეო, ბრძენთა ბრძენო მეფევ, დავით ევსიევიჩ! შენ ბარემ, სვიანო, ესეც გვითხარი: რომელი თევზია თევზების დედა? რომელი ფრინველია ფრინველთა დედა? რომელი მხეცია მხეცთა მეუფე? რომელი ქვაა ქვათა მამა? რომელი ხეა ხეების დედა? რომელი ბალახია ბალახთა დედა?

მაშინ ბრძენთა ბრძენი მეფე ასე მიუგებს: — მე, ძმებო, ახლა მაგასაც გეტყვით: ჩვენთან ვეშაპ-თევზია თევზების დედა; დედამიწა სამ ვეშაპზე დგას; აქლემა სირია ფრინველთა დედა; ის ფრინველი ლურჯ ზღვაზე ცხოვრობს; როცა სირაქლემა შეიფრთხიალებს, მთელი ლურჯი ზღვა აბობოქრდება და ფსკერზე ისტუმრებს სავაჭრო გემებს, ნაფოტებად აქცევს ზღვისპირელთა ხომალდებს. ხოლო როცა, ნაშუალამევს, სირაქლემა ფრთებს შეიქნევს, მაშინ მამლების ყიყლიყო ისმის მთელ დუნიაზე და შუქი მოადგება მთელ დედამიწას...“

პერსტენმა ცერად გაჰხედა იოანეს. მეფეს თვალები ეხუჭა; პირი მძინარესავით გაეღო. ამავე დროს ატამანმა, თითქოს თავისი სიტყვების დასტურად, ფანჯარაში დაინახა, როგორ გაშუქდა უეცრად შორეული

ცეცხლის არილით სასახლის ეკლესია და ახლომახლო ნაგებობათა საბურავები.

მან ფრთხილად უბიძგა კორშუნს, რომელიც კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ივან ვასილევიჩს.

— „ჩვენთან, — განაგრძობდა პერსტენი, — მარტორქა ყველა მხეცთა მეუფეა; იგი ქვესკნელში დადის, როგორც ნათელი მზე ცის ზესკნელში; რქით ბურღავს დედამიწის გულს და ღრმა ბინულებს მოაჩქეფებს იქიდან; მდინარეებსა და მოჩუხჩუხე ღელეებს უჩენს სათავეს; ნაკადულებსა და მდინარეთა ტოტებს უკვლევს კალაპოტს, ადამიანებს სასმელ წყალს აძლევს, სასმელ და დასაბან წყალს. ალათირის ქვა ქვების მამაა; თეთრ ალათირზე თვითონ იესო ქრისტე, ცათა მეუფე, იყო დაბრძანებული, თავის თორმეტ მოციქულს მოძღვრავდა, ქრისტიანულ სჯულს უქადაგებდა; ამ ქვაზე დასწერა მან სარწმუნოება, მთელ დედამიწას მოჰფინა საღვთო წერილი. კვიპაროსის ხე ხეთა დედაა; იმ კვიპაროსის ხისგან იყო გამოჭრილი ძელი პატიოსანი; იმ ძელზე, ჭეშმარიტზე, ჯვარს აცვეს თვითონ იესო ქრისტე, ცათა მეუფე, ორ ქურდთან ერთად, ორ ავაზაკთან. მტირალა ბალახი ბალახთა დედაა. როცა ქრისტე ღმერთი ჯვარზე იყო გაკრული, მაშინ დედაღვთისა ღვთიშობელი თავის შვილთან, ჯვარცმულთან მივიდა; თვალთაგან ცრემლები გადმოსდიოდა, მიწაზე ეწვეთებოდა, და იმ ცრემლებისგან, უწმინდესთაგან, მტირალა ბალახი ჩაისახა და ამოიზარდა; იმ მტირალა ბალახის ფესვებისგან ჩვენთან, რუსეთში, ლამაზ ჯვრებს აკეთებენ, და იმ ჯვრებს ბერ-მონაზონები, კეთილმორწმუნე მამები ატარებენ“.

აქ ივან ვასილევიჩმა ღრმად ამოისუნთქა, მაგრამ თვალი არ გაუხელია. ხანძრის არილი უფრო ძლიერდებოდა. პერსტენს შიში გაუჩნდა, ვაითუ უკვე განგაში ატყდეს და გასაღებების აცლა ვერ მოვასწროთო. მაგრამ თვითონ ვერ ბედავდა ადგილიდან დაძვრას, რომ მეფეს ხმის მიხედვით არ ეგრძნო მისი მოძრაობა, ამიტომ კორშუნს ანიშნა ხანძარზე, მერე მძინარე იოანეზე, და განაგრძო:

— „ყველა მეფემ თავი დადრიკა მის წინაშე: — მადლობელი ვართ, სვენათელო ხელმწიფეო, ბრძენთა ბრძენო, უბრძენესო მეფევ, დავით ევსიევიჩ! შენ კარგად გხსომებია ყველაფერი, ისე ჰყვები, თითქოს კითხულობო! — მაშინ ასე უთხრა ვოლოდიმერ მეფემ: — ეჰა, შენ, უბრძენესო მეფევ, დავით ევსიევიჩ! შენ ბარემ ესეც მითხარი, გამაგებინე: ღამით ძილი გამიტყდა, ცუდად მეძინა, ჩვენება ვნახე: ვითომც ორი მხეცი მოდიოდა, ერთი თეთრი, მეორე რუხი, ჰოდა, შეებნენ ერთმანეთს; ვითომ რუხ მხეცს თეთრი მხეცის მორევნა სურდა. — აი რა უპასუხა უბრძენეს-

შა მეფემ, ბრძენთა ბრძენმა დავით ევსიევიჩმა: — ეჰა, შენ, ვოლოდიმერ მეფევ, ვოლოდიმერ ვოლოდიმეროვიჩ! რაც შენ გინახავს, ორი მხეცი კი არ იყო, ორი მხეცი კი არ ებრძოდა ერთიმეორეს; ეგ ამბავი ჩვენთან იყო, ჩვენს ქვეყანაში, წმინდა რუსეთში: სიმართლე და სიმრუდე შეება ერთიმეორეს; ის თეთრი მხეცი — სიმართლე არის, რუხი მხეცი კი — სიმრუდეა; სიმართლემ სიმრუდე დაჯაბნა, და სიმართლე ღმერთთან ავიდა ზეცაში, სიმრუდე კი ამ ქვეყნად დარჩა; ჰოდა, ვინც სიმართლით იცხოვრებს ამ საწუთროში, სასუფეველს მოიპოვებს ცათა შინა; ხოლო ვინც ამ სოფლად სიმრუდით ივლის, სატანჯველად არის განწირული უკუნითი უკუნისამდე".

ამ დროს იოანეს მსუბუქი ხვრინვა გაისმა. კორშუნმა მეფის სასთუმლისკენ გააპარა ხელი; პერსტენი კი უფრო ახლოს მიდგა ფანჯარასთან, მაგრამ, უეცარი დუმილით რომ არ გაეფრთხო იოანეს ძილი, კვლავ გალობით განაგრძობდა თავის ამბავს:

— „ყველა მეფემ თავი დადრიკა მის წინაშე: — მადლობელი ვართ, სვიანო ხელმწიფევ, უბრძენესო მეფევ, დავით ევსიევიჩ! შენ, სვენათელო, ბარემ ახლა ისიც გვითხარი: რომელი ცოდვა მიეტევება ადამიანს და რომელი არა? აი რა უპასუხა უბრძენესმა მეფემ, ბრძენთა ბრძენმა დავით ევსიევიჩმა: ყველა ცოდვა მიეტევება, ოღონდ სამი ცოდვაა მძიმე მოსანანიებელი: ნათლიდედასთან მრუშობა, მშობელი დედ-მამის შეგინება და..."

ამ დროს მეფემ უეცრად გაახილა თვალი. კორშუნმა სწრაფად მოაცილა ხელი სასთუმალს, მაგრამ უკვე გვიანღა იყო: მისი თვალები იოანეს თვალებს შეეფეთა. ერთ ხანს ორივე გახევებული შეჰყურებდა ერთიმეორეს, თითქოს მეფეცა და ყაჩაღიც ერთნაირად შებოჭა რაღაც მომნუსხველმა ძალამ.

— ბრმებო! — უცებ წარმოთქვა მეფემ და სწრაფად წამოხტა, — მესამე ცოდვაა: როცა ვინმე მათხოვარივით გადაიცვამს და მეფის საწოლში შევა!

ეს რომ თქვა, იოანემ წამახული კვერთხი შემართა და მკერდში აძგერა კორშუნს. ყაჩაღმა ხელი წაავლო კვერთხს, დაბარბაცდა და დაეცა.

— ჰეი! — დაიყვირა მეფემ, თან კვერთხი ამოაძრო კორშუნის მკერდიდან.

ოპრიჩნიკები იარაღის ჟღარუნით შემოცვივდნენ.

— შეიპყარით ორივე! — თქვა იოანემ.

მალიუტა გააკებული ქოფაკივით მივარდა პერსტენს, მაგრამ ატამან-

მა საოცარი სიმარჯვით აძვერა მუშტი გულის კოვზთან, ფეხით გაამტვრია სარკმლის ჩარჩო და ბაღში გადახტა.

— ბაღს შემოერტყით! არ გაუშვათ ყაჩაღი! — დაიღრიალა მალიუტამ, რომელიც ტკივილისგან იკაკვებოდა და ორივე ხელს მუცელზე იჭერდა.

ამასობაში ოპრიჩნიკებმა კორშუნი წამოაყენეს.

იოანე, რომელსაც შავი სტიქარის ქვეშ ჯაჭვის პერანგი უელავდა, ხელში კი კვერთხი უცახცახებდა, მრისხანე მზერით გმირავდა დაჭრილ ყაჩაღს. დამფრთხალ მსახურებს ანთებული სანთლები ეჭირათ. გატეხილი ფანჯრიდან ხანძარი მოჩანდა. სლობოდაში შფოთვა-წრიალი შეიქნა; სადღაც შორს საგანგაშო ზარი გუგუნებდა.

კორშუნი, რომელსაც ოპრიჩნიკები ამოსდგომოდნენ მხარში, წარბშეკმუხნილი და თვალებდახრილი იდგა; მისი პერანგი სისხლის ლაქებით იყო აჭრელებული.

— ბრმავ! — უთხრა მეფემ, — თქვი, ვინა ხარ და რას მიპირებდი?

— დასამალი არაფერი მაქვს! — მიუგო კორშუნმა. — შენი ხაზინის კლიტეები მინდოდა, შენ თვითონ კი არაფერს არ გიპირებდი!

— ვინ შემოგგზავნა ჩემთან? ვინ არიან შენი ამხანაგები?

კორშუნმა უშიშრად შეხედა იოანეს.

— ჩვენო იმედო, მართლმადიდებელო მეფეო! ჩემს ჯელობაში ხშირად ვმღეროდი ხოლმე „ნუ შრიალებ, მშობლიურო მუხნაროს“. ჰოდა, იმ სიმღერაში მეფე ეკითხება უშიშარ მამაცს: ვისთან ერთად ავაზაკობდიო? მამაცი კი ეუბნება: — მე ოთხი ამხანაგი მყავდაო: უპირველესი ამხანაგი ბნელი ღამე იყოო; მეორე ამხანაგი...

— კმარა! — გააწყვეტინა მალიუტამ, — ვნახავთ, მაშინ რაღას იმღერებ, საწამებელზე რომ გაგაკრავთ, პალოზე რომ დაგსვამთ! დალახვროს ეშმაკმა! — განაგრძობდა მალიუტა და კორშუნს აკვირდებოდა, — სადღაც უკვე მინახავს ეს გაჩეჩილი თავი!

კორშუნმა ჩაიცინა და მძიმედ დაუკრა თავი მალიუტას.

— გვინახავს ერთმანეთი, ბატონო მალიუტა სკურლატიჩ, გვინახავს, თუ გაიხსენებ წყეულ ტბას...

— ხომიაკ! — აღარ დააცალა მალიუტამ და თავის ჯილავდარს მიუბრუნდა, — აბა, წაიყვანე ეს მოხუცი, შენებურად გაესაუბრე, სთხოვე, გიამბოს რისთვის მოსულა მის მეფურ მოწყალებასთან. მე თვითონაც ახლავე მოვალ საწამებელში!

— წავიდეთ, ძველო! — უთხრა ხომიაკმა და საყელოში სწვდა კორშუნს, — წავიდეთ, დავსხდეთ მარტოკა მე და შენ, ტკბილად ვიჭუკჭუკოთ!

— მოიცა! — თქვა იოანემ. — შენ, მალიუტა, გაუფრთხილდი ამ მოხუცს; ეგ წამებით არ უნდა მოკვდეს. მე მაგისთვის სამაგალითო სასჯელს მოვიგონებ, ჯერაც არნახულს, გაუგონარს; ისეთ სასჯელს, რომ თვითონ შენც გაგაოცებ, ბამაო პარაკლისიარქო!

— მადლობა მოახსენე მეფეს, შე ძაღლო! — უთხრა მალიუტამ კორშუნს და ხელი წაჰკრა. — როგორც ხედავ, კიდევ გწერებია ერთ ხანს სიცოცხლე. ამაღამ კი მხოლოდ სახსრებს ამოგიბრუნებთ, მეტს არაფერს.

და მან ხომიაკთან ერთად გაიყვანა ყაჩაღი საძინებლიდან.

ამასობაში პერსტენმა საერთო არეულობით ისარგებლა, ბაღის მესერზე გადაძვრა და სულმოუთქმელად მიირბინა მოედანზე, სადაც საპყრობილე იყო. მოედანზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა: მთელი ხალხი ხანძარს მიაწყდა.

პერსტენი ფრთხილად გაჰყვა საპყრობილის კედელს, მაგრამ უცებ რაღაც რბილს წამოჰკრა ფეხი. ძირს დაიხარა და ვიღაცის გვამს შეეხო ხელით.

— ატამანო! — უეცრად წასჩურჩულა სწორედ იმ წითურმა მესაკრავემ, რომელიც დილით გამოელაპარაკა და ახლა კი უჩინარივით ამოიზარდა მის გვერდით: — ეს ყარაული მე მოვკალი დანით! ჩქარა მომეცი გასაღებები, ციხე გავაღოთ და ბარემ მოვრჩეთ ამ საქმეს! ხანძარზე უნდა გავიქცე, ბიჭებს წავეშველო ძარცვაში! კორშუნი სადღაა?

— მეფის ხელში ჩავარდა! — მიუგო პერსტენმა. — სულ წყალში ჩაგვიცვივდა ამდენი წვალება! ბიჭები შეკრიბე და მოეუსვათ აქედან! ჩუმად, ეს ვინაა?

— მე ვარ! — მიუგო მიტკამ და კედელს მოსცილდა.

— გაშორდი აქაურობას, შტერო! თავს უშველე! ყველამ დატოვეთ სლობოდა! დაბრეცილ მუხასთან შეეიკრიბებით!

— მერე თავადი? — გაბმით ჰკითხა მიტკამ.

— შტერო! ვერ გაიგონე? ყველაფერი წყალში ჩაგვიცვივდა! პაპა შეიპყრეს, კლიტეები ვერ ვიშოვეთ!

— მერე ციხე რო არაა დაკეტილი?

— როგორ თუ დაკეტილი არაა? ვინ გააღო?

— ვინ და მე!

— რას ბოდავ, ყეყეჩო! თქვი წესიერად!

— რა უნდა ვთქვა? მივედი, ვხედავ არავინაა; ყარაული მიწაზე აგდია, გაუშხლართია ფეხები; გუნებაში ვთქვი: ვნახო ერთი, რამსიმაგრეა ეს კარები-მეთქი. მივაწექი მხრით და, რას ვხედავ, თავისი ბოქლომიანად ჩამოვარდა ანჯამებიდან!

— დახეთ ამ სულელს! — სიხარულით თქვა პერსტენმა. — ღმერთმანი, მართალია, რომ ამბობენ: მანამ ჭკვიანი მოიფიქრებდა, სულელი ფონს გავიდაო! იფ, შენი სულისა! იფ, შე დოყლაპიავ, შე დოყლაპია ასეთ-ისეთო!

პერსტენმა საფეთქლებში დააკლო ხელები მიტკას და ორივე ლოყა დაუკოცნა, თავის მხრივ მიტკამაც წკლაპუნით მიუშვირა სქელი ტუჩები, მერე კი მშვიდად შეიწმინდა ლოყები სახელოთი.

— აბა, ჰე, გამომყევი, შე მართლა ასეთ-ისეთის შვილო! შენ კი, ბალალაიკავ, აქ მოიცადე. თუ რამე მოხდა, დაგვისტვინე!

პერსტენი ციხეში შევიდა. მიტკაც მის კვალს მიჰყვა.

პირველ კარს იქით კიდევ ორი სხვაც იყო, მაგრამ ისინი ნაკლები სიმაგრისა გამოდგა და უფრო ადვილად დანებდნენ მიტკას გოლიათურ დაწოლას.

— თავადო! — თქვა პერსტენმა, როცა ბნელეთში შევიდა, — ადექი!

სერებრიანიმ იფიქრა, ალბათ მისთვის მოვიდნენ, დასასჯელად წამიყვანონო.

— განა უკვე დილაა? — იკითხა მან, — თუ, შენ, მალიუტა, გათენებამდე ველარ მოგითმენია?

— მე მალიუტა არა ვარ! — მიუგო პერსტენმა. — მე ისა ვარ, ვინც შენ სიკვდილს გადაარჩინე. ადექი, თავადო! ნულარ აყოვნებ. ადექი, მე გაგიყვან სამშვიდობოს!

— ვინა ხარ? — უთხრა სერებრიანიმ, — ვერა ვცნობ შენს ხმას!

— ეგ არც გასაკვირია, ბოიარო; აბა მე ვინა ვარ, რო შენ გახსოვდე! ოღონდ ადექი ჩქარა! ჯანჯალის დრო არ არის ახლა!

სერებრიანი სდუმდა. მან იფიქრა, პერსტენი ალბათ მალიუტას ერთ-ერთი ჯალათთაგანიაო, და მისი სიტყვები დაცინვად მიიჩნია.

— მაშ არ გჯერა ჩემი, თავადო? — წყენით განაგრძობდა ატამანი. — გაიხსენე მედვედევკა, წყეული ტბა გაიხსენე: მე ვანიუხა პერსტენი ვარ!

სერებრიანის სიხარულით აუძგერდა მკერდი. გული აუჩქროლდა, თავისუფლებისა და სიცოცხლის სიყვარულით აუძგერდა. გონებაში რიალით მოეჯარა ტყეები, ველები, ახალი სახელოვანი ბრძოლები და დილის მნათობივით დაუდგა თვალწინ ელენას ნათელი სახე.

თავადი ფეხზე წამოიჭრა და უკვე მზად იყო გაჰყოლოდა პერსტენს, რომ უცებ მეფისთვის აღთქმული ფიცი მოაგონდა და ერთბაშად დაუცხრა აღტკინება.

— არ შემიძლია! — წარმოთქვა მან, — არ შემიძლია შენთან წამოს-

ვლა. მეფეს აღვუთქვი, არსად გაექცე მის ნება-სურვილს და მოთმინებით ველოდო მის სამსჯავროს, სადაც უნდა ვიმყოფებოდე!

— თავადო! — გაოცებით მიუგო პერსტენმა, — მე ახლა შენთან სამასლაათოდ არ მცალია. გარეთ ჩემი ბიჭები გველოდებიან; ყოველი წამი შეიძლება სიცოცხლედ დაგვიჯდეს; ხვალ შენ დაგსჯიან, ჯერ კიდევ არის დრო თავს უშველო; ადექი ახლა, მოგვყევი უკან!

— არ შემიძლია! — პირქუშად გაიმეორა სერებრიანინმ, — მე ჯვარზე შევფიცე ხელმწიფეს და ფიცს ვერ გადავალ!

— ბოიარო! — შეჰყვირა პერსტენმა და სიბრაზისგან ხმა შეეცვალა,— მასხარად მიგდებ თუ რა არი? მე ცეცხლი წავუკიდე სლობოდას შენი გულისთვის, საუკეთესო ძმაკაცი გავწირე შენი გულისთვის, ახლა კიდევ, შენი გულისთვის, ჩვენ ყველამ იქნებ თავიც წავაგოთ, შენ კი დარჩენა გინდა? გასართობად მოვედით აქ თუ რა არი? შენი ტაკიმასხარები ვართ თუ ვინა გგონივართ? ჰაი დედასა, მანახეა ერთი ის თავმოძულებული, ვინც ჩემ გამასხარავებას იფიქრებს! უკანასკნელად გეუბნები, მოდიხარ?

— არა! — გადაწყვეტით უპასუხა ნიკიტამ და ნესტიან მიწაზე დაწვა.

— არა? — გაიმეორა პერსტენმა კბილთა ღრჭენით, — არ მოდიხარ? მაშ იცოდე, ჩემთან არ გაგივა ეგ ახირება! მიტკა, დაითრიე ეგ შენებურად! — იმავე წამს ატამანიც თავადს მივარდა და სარტყელით აუკრა პირი.

— ახლა ვეღარ იჭირვეულებ! — ბრაზიანად თქვა მან.

მიტკამ ორივე ხელით ჩაბუნნა თავადი, პატარა ბავშვივით მოიგდო იღლიაში და ციხიდან გამოაძუნძულა.

— აბა, ჩქარა! წავედით! — თქვა პერსტენმა.

ერთ ქუჩაზე ისინი ოპრიჩნიკებს გადაეყარნენ.

— ვინ მოგყავთ? — ჰკითხეს მათ.

— სლობოდელია, ხანძარზე დირემ დაიტანა! — მიუგო პერსტენმა. — ეგვტერში მიგვყავს!

სლობოდიდან გასვლისას ისინი გუშაგმა შეაჩერა. უნდოდათ გვერდი აევლოთ მისთვის, მაგრამ გუშაგმა ყვირილი დააპირა; პერსტენმა კისტანი უთავაზა და იმ უბედურს კრინტიც არ გაუღია, ისე ჩაიკეცა.

ყაჩაღებს მეტი დაბრკოლება აღარ შეხვედრიათ, და თავადი მშვიდობით გაიყვანეს სლობოდიდან.

XXII თავი

მონასტერი

ჩვენ მაქსიმი ავდრიან ღამეში მივატოვეთ, როცა ალექსანდრეს სლობოდიდან გადიოდა. ბომბორა ბუიანი ყეფით დახტოდა მის ვარშემო და ხარობდა, ჯაჭვის აწყვეტა რომ შეძლო.

მაქსიმმა მშობლიური სახლი ისე მიატოვა, რომ ვერც მოასწრო რაიმეს მოსაზრება, მიზნის არჩევა. მას მხოლოდ ის სურდა, როგორმე გასცლოდა მეფის რჩეულთა საძულველ ცხოვრებას, მათ ბილწ დროსტარებას და დღემუდამ კაცისკვლით შექცევას. საშინელი სლობოდიდან რომ მიდიოდა, მაქსიმმა საკუთარ ბედს მიანდო თავი. ერთხანს ცხენს აჩქარებდა, რომ მამამისის მსახურები ვერ წამოსწეოდნენ, თუ მალიუტა მდევრების დადევნებას იფიქრებდა. მაგრამ მალე მაქსიმმა გადაუხვია სასოფლო გზაზე და წყნარად განაგრძო სვლა.

განთიადისას ჭექა-ქუხილი ჩადგა. აღმოსავლეთი ვარდისფრად გაშუქდა და ახლა მაქსიმი უფრო მკაფიოდ არჩევდა საგნებს. გზის ორთავ მხარეს ქოჩორა მუხები წამოზრდილიყო; მათ შორის თხილნარის ბუჩქები მოჩანდა. სასიამოვნო სიგრილე იდგა; წვიმის წვეთები ხეებზე მოცოცავდა და ზანტად ტყაპუნებდა ფართო ფოთლებზე. მალე ჩიტები აფრთხიალდნენ და აჟღურტულდნენ მწვანეში. ხმელ ხეზე კოდალა ახმაურდა. მუხების კენწეროები ოქროსფრად მოავარაყა ამომავალმა მზემ. ბუნება თანდათან იღვიძებდა, ცოცხლდებოდა, ცხენი უფრო ხალისიანად მიაბიჯებდა. მაქსიმის თვალწინ მშობლიური რუსეთი გადაიშალა; ახლა მას შეეძლო ხალისიანად ესუნთქა მის ლაღ სივრცეში, მაგრამ სევდა შემოაწვა გულზე, უსაზღვრო რუსული სევდა. თავისთავად, უზრახველად წამოეპარა ფიქრი მიტოვებულ დედაზე, თავის მარტოობაზე და კიდევ ბევრ ისეთ რამეზე, რასაც ვერც თვითონ ითვალისწინებდა გარკვევით; ჩაფიქრდა მაქსიმი და, ბურანში წასულს, მკვნესარე სიმღერა მოსწყდა გულიდან.

მომხიბლავია რუსული სიმღერა! სასიმღერო სიტყვები ხშირად უბადრუკია; ისინი მხოლოდ საბაბს შეადგენენ; სიტყვებით კი არა, მხოლოდ ბგერებით გამოითქმება უსასრულო, ღრმა გრძნობა.

მაქსიმი გაჰყურებდა მწვანედ მოხასხასე მიდამოს, ცას, მთელ ამ მზის ქვეშეთს და თავის მწარე ხვედრზე, სანუკვარ თავისუფლებაზე, მშობლიურ მუხნარებზე მღეროდა; თავის მერანს მოუწოდებდა შორს, უცხო მხარეში გადაეხვეწა მხედარი, სადაც უქაროდ ხმება, უყინვებოდ

ითოშება ადამიანი; ქარს ავალებდა მოეკითხა და კრძალვით დაეხარა თავი დედის წინაშე; თვალში მოხვედრილ პირველსავე საგანს ავედრებდა თავს და ალალი გულით ამოთქვამდა ყოველივეს, რაც ფიქრად მოსდიოდა; მაგრამ მისი ხმა სიტყვებზე ბევრად მეტს მეტყველებდა; ვინმეს რომ ეს სიმღერა გაეგონა, სულს აუფორიაქებდა, გულში ჩარჩებოდა და მერე ხშირად მოაგონდებოდა ხოლმე სევდის წუთებში...

ბოლოს, როცა ნაღველი ღრმად გაუჯდა მთელს არსებაში, მაქსიმმა სადავე მძლავრად მოზიდა, ქუდი მარჯვედ მოირგო, მამაცურად შეუსტვინა, ყიჟინა დასცა და ქარივით გააფრინა თავისი მერანი.

მალე წინ თეთრად გამოჩნდა მონასტრის კედლები.

სავანე მუხნარიანი გორაკის ფერდობზე იყო გაშენებული. მუხების სიმწვანესა და ცის სილურჯეში მკაფიოდ გამოირჩეოდა მონასტრის ოქროფერილი გუმბათები და შემკული ჯვრები.

მაქსიმს მონასტრის მსახურთა ცხენოსანი რაზმი შემოხვდა. მუზარადებითა და ჯაჭვის პერანგებით შეჭურვილი მხედრები აუჩქარებლად მოემართებოდნენ და ფსალმუნს გალობდნენ: „შეგიყვარო შენ, უფალო, ძალო ჩემო“. საღვთო სიტყვები რომ გაიგონა, მაქსიმმა ცხენი შეაჩერა, ქუდი მოიხადა და პირჯვარი გადაისახა.

გორაკის ძირში პატარა მდინარე მოჩუხჩუხებდა. ზედ რამდენიმე წისქვილი იყო გამართული და ზანტად ბრუნავდა მათი ბორბლები. მდინარის ნაპირზე ჭრელ-ჭრელ გუნდებად მიმოფანტული ძროხები ძოვდნენ.

მონასტრის გარშემო ისეთი სიმშვიდე სუფევდა, რომ შეიარაღებული რაზმი ზედმეტი ჩანდა. მუხებზე შემომსხდარი ჩიტებიც კი თითქოს ხმადაბლა ჟღურტულებდნენ; ქარიც ფოთლებში განაბულიყო და მხოლოდ ბალახებში მიმალული კუტკალიები ჭრიჭინებდნენ შეუსვენებლად. ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ამ სიმშვიდის დარღვევა გაებედნა ვინმე უკეთურს.

„აი, სად შევისვენებ! — გაიფიქრა მაქსიმმა. — ამ კედლებში გავატარებ რამდენიმე დღეს, სანამ მამაჩემი ძებნას მიატოვებდეს. აღსარებას ვეტყვი წინამძღვარს, გულს გადავუშლი, ეგებ თავშესაფარიც მომცეს ცოტა ხნით“.

მაქსიმი არ შემცდარა. მგზავრს ალერსიანად დახვდა მონასტრის იღუმენი, გრძელი ჭაღარა წვერით მოსილი ღრმა მოხუცი, რომლის თვინიერ თვალებში ამქვეყნიურ ზრუნვათა ნასახიც არ იგრძნობოდა. ორმა მსახურმა დაღლილი ცხენი ჩამოართვა და ეზოში გაატარ-გამოატარა. მესამემ პური და რძე გამოუტანა ბუიანს; ყველანი გულითადი მას-

პინძლებივით ფუსფუსებდნენ მაქსიმის გარშემო. იღუმენმა სადილი შესთავაზა მგზავრს, მაგრამ მაქსიმმა უწინარეს ყოვლისა აღსარების თქმა ისურვა.

მოხუცმა გამომცდელად მიაპყრო ყმაწვილს კეთილი თვალები და სიტყვის უთქმელად გაუძღვა ვრცელი ეზოს გადავლით დაბალი, ერთგუმბათიანი ეკლესიისკენ. ისინი ყვავილებით შემორგულ საფლავთა ჯვრებისა და გრძლად ჩარიგებული სენაკების ჩავლით მიდიოდნენ. გზად შეხვედრილი ბერები მდუმარედ ესალმებოდნენ. საფლავის ქვები ყრუდ გუგუნებდნენ მაქსიმის ნაბიჯებისგან; ქვებს შორის მაღალ ბალახს ამოეღწია და სანახევროდ დაეფარა უდრტვინველი მორჩილების მღაღადებელი წარწერები; ირგვლივ ყველაფერი სიცოცხლის წარმავლობას მოაგონებდა და ლოცვა-ვედრებისა და მსასოოვარი ფიქრისთვის განაწყობდა ადამიანს. ეკლესია, საითკენაც იღუმენს მიჰყავდა მაქსიმი, ძველთა-ძველი მუხებით იყო გარშემორტყმული. მათი ასწლოვანი ტოტები თითქმის მთლად ჩრდილავდა პაწაწინა ტყვიის ჩარჩოებიან ვიწრო, შეეულ სარკმლებს, რომლებშიც დამტვერილი ქარსი იყო ჩასმული. საყდარში რომ შევიდნენ, სიგრილესა და სიბნელეში აღმოჩნდნენ ერთბაშად. მხოლოდ ერთი, სხვებზე ნაკლებ დაჩრდილული სარკმლიდან ჩამოდიოდა შუქის სვეტი და დამრეცად ეცემოდა კედელზე გამოსახულ საშინელ სამსჯავროს. საყდრის დანარჩენი ნაწილი ამის გამო კიდევ უფრო პირქუში ჩანდა; მაგრამ აქა-იქ მაინც კრთოდა ბრჭყვიალა შუქით ქორკანდელების ვერცხლის ბურთულები, ხატების გვირგვინები და მონასტრის დამაარსებელთა, თავად ვოროტინსკთა აკლდამებზე გადასუდრულ შავ ხავერდზე ვერცხლით ნაქარგი ჯვრები, ტროპარები და კონდაკები. კანკელის მცენარეთა ჩუქურთმების ოქროს ვარაყი ალაგ-ალაგ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ნაცარში მღვივარი ნაღვერდალია და საცაა უნდა აბრიალდესო. საყდარში ნესტისა და საკმეველის სუნი იდგა. მაქსიმმა ნელ-ნელა შეაჩვია თვალი ბინდ-ბუნდს და უკვე არჩევდა ტაძრის სხვა წვრილმანებსაც. აღსავლის კარის თავზე მაცხოვარი მოჩანდა ძალნითურთ, ქერუბიმებითა და სერაფიმებით, მათ ზემოთ კი — თექვსმეტი საუფლო დღესასწაული. ვეება ადგილობრივ ხატზე იოანე წინამორბედი ფრთებით იყო გამოსახული, ხელში ლანგარი ეჭირა და ზედ მისივე მოკვეთილი თავი იდო. გვერდით კარებზე ტლანქად და ულაზათოდ ეხატა უძღები შვილის იგავი, სიკვდილისა და სიცოცხლის ცილობა, წმინდანისა და ცოდვილის სულის ამოსვლა. ამ პირქუშმა სურათებმა ღრმად იმოქმედეს მაქსიმზე; ყმაწვილს გონებაში კვლავ გაუცოცხლდა, რასაც სულის დათრგუნვაზე, მშობლებისადმი უცილობელ მორჩილებაზე ჩა-

აგონებდნენ, ყველა მცნება, რომელთა ერთგულებასაც უნერგავდნენ. ის დაეჭვდა, ეგებ მართალი არ ვიყავი, მშობელ მამას რომ გავშორდი მის უნებურადო. მაგრამ სინდისი ეუბნებოდა, მართალი ხარო. ეუბნებოდა და, ამავე დროს, მაინც უშფოთავდა, არ უმშვიდდებოდა. საშინელი სამსჯავროს სურათმა შეაძრწუნა მაქსიმი. ქარი რომ დაუბერავდა, სარკმლიდან შემოღწეული მუხის ფოთლების ჩრდილი მოძრავ ბადესავით დაცოცავდა კედელზე და მაქსიმს ენვენებოდა, ნამდვილ ადამიანთა ოღენად გამოსახული ცოდვილები და ეშმაკები სუნთქავენ და მოძრაობენო.

კრძალულმა შიშმა გაუმსჭვალა გული. მაქსიმი პირქვე დაემხო იღუმენის წინაშე.

— მამაო, — უთხრა მან, — მე ალბათ დიდი ცოდვილი ვარ!

— ილოცე, — თვინიერად მიუგო მოხუცმა, — უსაზღვროა ღვთის გულმოწყალება; მონანიება დიდ შვებას მოგანიჭებს, შვილო ჩემო!

მაქსიმმა ძალა მოიკრიბა.

— მძიმეა ჩემი დანაშაული, — მთრთოლვარე ხმით დაიწყო მან. — მისმინე, მამაო! თქმაც კი შიშით მზარავს: ხელმწიფის სიყვარული დამეშრიტა, ჩემს გულს აღარა სწამს რა მეფისა!

იღუმენმა გაოცებით შეხედა ყმაწვილს.

— ნუ უარმყოფ, მამაო! — განაგრძობდა მაქსიმი. — მომისმინე! დიდხანს ვებრძოდი საკუთარ თავს, დიდხანს ელოცულობდი წმინდა ხატების წინაშე. ჩემს გულში მეფისადმი სიყვარულს ვეძებდი — და მაინც ვერ ვპოვე!

— შვილო ჩემო, — წარმოთქვა იღუმენმა და თანაგრძნობით დააცქერდა მაქსიმს. — ალბათ, სატანის მანქანებამ დაგიბნელა გონება; შენ ცილს სწამებ საკუთარ თავს. არასგზით არ შეიძლება, მეფე გძულდეს. ბევრი მძიმე დამნაშავის აღსარება მიმიღია ამ საყდარში: ეკლესიათა მძარცველებიც მოსულან და კაცისმკვლელებიც, მაგრამ ისეთი არავინ გამოჩენილა, რომ ხელმწიფე არ ჰყვარებოდეს!

მაქსიმი გაფითრდა.

— მაშასადამე, ეკლესიის მძარცველსა და კაცისმკვლელზე უფრო დიდი ცოდვილი ვყოფილვარ! — შესძახა მან. — მამაო, რა მეშველება? მასწავლე, შემაგნებინე, ლამის გული ორად გამეყოს.

მოხუცი მონანიეს შეჰყურებდა და უფრო და უფრო იპყრობდა გაოცება.

მაქსიმის სწორნაკვთოვან სახეზე ბიწიერების ან სიავკაცის ნასახიც არ შეიმჩნეოდა. ყმაწვილს მშვიდი, სათნო სახე ჰქონდა, სიკეთითა და სიმამაცით გამომეტყველი, ერთი იმ რუსულ სახეთაგანი, ახლაც რომ

გვხვდება მოსკოესა და ეოლგას შორის, დიდ გზებს დაშორებულ თემებში, სადაც ჯერაც არ შეუღწევია ქალაქის გავლენას.

— შვილო ჩემო, — განაგრძობდა იღუმენი, — არ მჯერა შენი; ცილს სწამებ საკუთარ თავს. არ მჯერა, რომ გული აიყარე მეფეზე. ეგ არასგზით არ შეიძლება. თავად დაფიქრდი: მეფე მამაზე მეტია ჩვენთვის, მეხუთე მცნება კი მამის პატივისცემას გვავალებს. აბა, მითხარი, შვილო ჩემო, ხომ ერთგული ხარ ამ მცნებისა?

მაქსიმი სდუმდა.

— შვილო ჩემო, შენ პატივს სცემ მამაშენს?

— არა, — ძლივს გასაგებად ამოილუღლუღა მაქსიმმა.

— არა? — გაიმეორა იღუმენმა და უკან მიდგა, თან პირჯვარი გამოისახა. — არც მეფე გიყვარს? არც მამის პატივისმცემელი ხარ? ვინ ხარ ასეთი?

— მე... — თქვა ყრმა ოპრიჩნიკმა, — მე მაქსიმ სკურატოვი ვარ, სკურატოვ-ბელსკის ვაჟიშვილი!

— მალიუტას ვაჟიშვილი?

— დიახ! — თქვა მაქსიმმა და ტირილი წასკდა.

იღუმენს აღარაფერი უთქვამს. ის შეწუხებული იდგა მაქსიმის წინ. ზემოდან უძრავად გადმოსცქეროდნენ სახეპირქუში წმინდანები. საშინელი სამსჯავროს სურათზე გამოსახული ცოდვილები ცისკენ იწვდიდნენ ხელებს საწყალობლად, მაგრამ მათ ვედრებას დუმილი ნთქავდა. ეკლესიის სიმშვიდეს მაქსიმის ქვითინი და კამარებქვეშ შებუდებული მერცხლების ჟღურტული არღვევდა მხოლოდ; ზოგჯერ კი მათ ოდნავ ხმამაღალი სიტყვაც ერთვოდა, რომელიც თავისთვის წყნარად მლოცველ იღუმენს დასცდებოდა ხოლმე დროდადრო.

— შვილო ჩემო, — უთხრა ბოლოს მოხუცმა, — დალაგებით მიამბე ყოველივე, არაფერი დამიმალო: როგორ გადაიყვარე ხელმწიფე?

მაქსიმმა უამბო, თუ როგორ ცხოვრობდა სლობოდაში, რა საუბარი ჰქონდა მამასთან უკანასკნელად და როგორ მიატოვა სახლი იმ ღამითვე.

ის აუჩქარებლად ლაპარაკობდა, სვენებ-სვენებით, და ხშირად იკრებდა ფიქრს, რომ მცირედიც არ დავიწყებოდა და არ დაემალა სულიერი მოძღვრისთვის.

თხრობა რომ დაამთავრა, თავი დახარა და, განაჩენის მოლოდინში, კარგა ხანს ვერ ბედავდა იღუმენისთვის თვალის გამართვას.

— ყველაფერი გამიმხილე, შვილო? — უთხრა იღუმენმა. — კიდევ ხომ არაფერი ამძიმებს შენს სულს? ხომ არაფერი სიავე გაგივლია გულში მეფეზე? რამე შინაგანზრახვა ხომ არ გაგჩენია წმიდა რუსეთზე?

მაქსიმს თვალები წამოენთო.

— მამაო ჩემო, მიჯობს უმალ თავი მომკვეთონ, ვიდრე ისე წავხდე, ხამშობლოს წინააღმდეგ რამე ვიზრახო! მე ის ცოდვა მაქვს, რომ ხელმწიფე არ მიყვარს, ღალატში კი ცოდვილი არ ვარ!

იღუმენმა ოლარი დააფარა მაქსიმს.

— განწმენდილ არს მონა ღვთისა, მაქსიმი! — თქვა მან. — მიეტევნენ ცოდვანი მისნი ნებითი და უნებლიენი!

მშვიდი სიხარული ჩაიღვარა მაქსიმის სულში.

— შვილო ჩემო, — უთხრა იღუმენმა, — შენმა აღსარებამ განგწმინდა შენ. წმიდა ეკლესია ბრალად არ გითვლის, სლობოდა რომ მიატოვე. ყოველ ჩვენგანს აქვს უფლება და მოვალეცაა ცდუნებას ეჯმნას. უფრთხოდე კაცთა მოდგმის მტრის საცთურთაგან მოხიბვლას. უფრთხოდე კურბსკის მაგალითს, რამეთუ აღმატებული რუსი ბოიარი პატივს წაუვიდა და ეშმაკს ებირა! ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა, — ამოოხვრით განაგრძობდა მოხუცი, — ძნელბედობა მოგვივლინა ჩვენს დიდ ცოდვათა გამო. მსჯავრნი და განგებულობანი ღმრთისანი გამოუკვლეველ არიან და კაცნი ვერ განვსჯით მას ჩვენის კაცობრივის ამაობრძნობით. როცა უფალი ღმერთი ესევითარ ჭირსა და ზეგარდმომავალ რისხვას გვიგზავნის, რაღა დაგვრჩენია თვინიერ ლოცვისა და მისი წმიდა ნებისადმი მორჩილებისა? ასეა ახლაც: უწყალო, მრისხანე მეფე მოგვევლინა ჩვენდა მბრძანებლად. არც კი ვუწყით, რისთვის გვსჯის ან რისთვის გვღუპავს, მხოლოდ ის ვუწყით, რომ ღვთისგან არის ჩვენსა ზედა დადგინებული და მორჩილად ვართ ქედდადრეკილი არა ივან ვასილეევიჩის, არამედ მისი მომვლინებელის წინაშე. გავიხსენოთ სიტყვა წინასწარმეტყველისა: „რომელმან ქვეყანამანც განიმართლოს წინაშე ღვთისა, მართლის მქნელი მეფე და მსაჯული განეჩინოს და ყოველი სიკეთე მიეგოს; ხოლო რომელმან ქვეყანამანც შესცოდოს წინაშე ღვთისა, უსამართლო მეფე და მსაჯულნი განეჩინოს და ყოველი ბოროტი მოევლინენ ქვეყანას მას!“ ჩვენთან დარჩი, შვილო ჩემო; იცხოვრე ერთხანს ჩვენ შორის. როცა წასვლის დრო მოგივა, ძმებთან ერთად ვილოცებ, რომ სადაც წახვიდე, ღმერთმა ყველგან წაღმართ გზაზე გატაროს! ახლა კი... — კეთილად განაგრძობდა იღუმენი და ოლარი შეიხსნა, — ახლა სატრაპეზოში წავიდეთ. სულიერი საზრდელის შემდეგ ხორციელზედაც ნუ ვიტყვით უარს. ჩინებული ქარიყლაპია გვაქვს, კარჩხანაც გვაქვს; ჩვენი ხაჭო გასინჯე, შოთხვზე ნახადი თაფლუჭი დალიე ჩვენთან ერთად ხელმწიფისა და ყოვლადუსამღვდელოესი არქიელის სადღეგრძელოდ!

და მოხუცი მეგობრული საუბრით გაუძღვა მაქსიმს სატრაპეზოსკენ.

XXIII თავი

ბზაზე

მშვიდად და ერთფეროვნად მიედინებოდა მონასტრის ცხოვრება.

თავისუფალ დროს ბერ-მონაზვნები ბალახებს აგროვებდნენ და სამკურნალო მალამოებს ამზადებდნენ. სხვები მხატვრობით ერთობოდნენ, კვიპაროსის ჯვრებს ან ხატებს თლიდნენ, ხის ფიალებს ღებავდნენ და ოქროთი ფერავდნენ.

მაქსიმმა შეიყვარა კეთილი ბერები. ვერც ამჩნევდა, როგორ გადიოდა დრო. მაგრამ კვირის თავზე მაინც წასვლა გადაწყვიტა. ჯერ ისევ სლობოდაში ესმოდა მაქსიმს რიაზანის მიწა-წყალზე თათართა ახალი თარეშის ამბები და დიდი ხანია რიაზანელებისკენ მიუწევდა გული, მათთან ერთად მტერთან ბრძოლაში ბედის საცდელად. როცა ეს სურვილი ილუმენს გაანდო, მოხუცი დანაღვლიანდა.

— სად მიგეჩქარება, შვილო ჩემო? — უთხრა მან. — ჩვენ ყველას ეკეყვარხარ, ყველანი შეგეჩვიეთ, ვინ იცის, იქნებ მოგეფინოს ღვთის მაღლი და სამუდამოდ დარჩე აქ! გამიგონე, მაქსიმ, ნუ წახვალ ჩვენგან!

— არ შემიძლია, მამაო! უკვე დიდი ხანია შორი მხრისკენ მიმიხმობს ბედი. დიდი ხანია თათართა მშვილდის ზუილი მესმის, ზოგჯერ კი, ფიქრში წასულს, თითქოს ისარიც ჩამიშხუილებს ყურთან. აი ეს ზუილი, ეს შხუილი მხიბლავს, მამაო, და თავისკენ მიხმობს!

და ილუმენსაც აღარ უცდია მაქსიმის გადარწმუნება, გამოსათხოვარი პარაკლისი გადაუხადა, გზა დაულოცა და ძმანი გულდაწყვეტილნი დაემშვიდობნენ მას.

და, აი, მაქსიმი კვლავ ბედაურზე ზის, მწვანედ მოხასხასე ტყეში მინავარდობს. როგორც ყოველთვის, ბუიანი ახლაც ცხენის გარშემო დახტის და გახარებული შეჰყურებს მაქსიმს. უცებ მან ყეფა ატეხა და წინ ვავარდა. მაქსიმმა უკვე ხმალზე გაიკრა ხელი, უკეთური შეხვედრის მოლოდინში, რომ მოსახვევში ყვითელხიფთანიანი მხედარი გამოჩნდა გულზე ამოქარგული შავი ორთავიანი არწივით.

მხედარი ჩორთით მოდიოდა, მხიარულად უსტვენდა, ჭრელ საფუსარზე კი თეთრი სონღული ესვა, რომელსაც თვალსაფარი ბარტყულა და ეჟვნები ეკეთა.

მაქსიმმა მეფის ერთ-ერთი ბაზიერთაგანი იცნო.

— ტრიფონ! — შეჰყვირა მან.

— მაქსიმ გრიგორიჩ! — მხიარულად უპასუხა ბაზიერმა. — გამარჯო-

ბა, მაქსიმ ვრიგორიჩ! როგორა მყავს შენი მოწყალება? აი თურმე სად ყოფილხარ, ჩვენ კი სლობოდაში ეფიქრობდით, შენს ასავალ-დასავალს ველარ იპოვიდა კაციშვილი! უჰ, როგორ ვაშმაგდა მამაშენი! ღმერთმა დავიფაროს! საშინელი სანახავი იყო! მერე კიდევ ათას რამეს ჰყვებოდნენ მამაშენზე, ბატონიშვილზე და თავად სერებრიანზე. ვერც ვაიგებ კაცი, რომელ ერთს ერწმუნო. მადლობა ღმერთს, კარგია, რომ ვამოჩნდი, მაქსიმ გრიგორიჩ! იცოცხლე, ვაიხარებს დედაშენი!

მაქსიმი უკვე ნანობდა ბაზიერთან შეხვედრას. მაგრამ ტრიფონი კეთილი ბიჭი იყო და მეგობრის ხვაშიადის შენახვაც იცოდა. მაქსიმმა ჰკითხა, სლობოდიდან როდის წამოხვედიო.

— აგერ უკვე ერთი კვირა იქნება, რაც ადრაგანი ვაგვიფრინდა! — უპასუხა ბაზიერმა და ხავის სონღულზე მიუთითა. — ჰო, შენ, მგონი, არც იცი ეს ამბავი, მაქსიმ გრიგორიჩ! ეჰ, იცოცხლე, შიში ვჭამე, მეფე რომ გამიბრაზდა! მაგრამ მომხედა მოწყალე ღმერთმა და წმიდა მოწამე ტრიფონმა! გამოაჩინა ჩემზე თავისი სასწაული!

ბაზიერმა ქუდი მოიხადა და პირჯვარი გამოისახა.

— აბა, მიგდე ყური, მაქსიმ გრიგორიჩ: ამ ერთი კვირის წინათ მეფემ ქორ-შევარდნებით ნადირობა მოიგუნება და მინდვრად გავიდა. ბარე ორჯერ ააფრინა ადრაგანი; ჩემდა ჭირად, მესამე აფრენაზე რაღაც ხუშტურმა მოუარა ადრაგანს. შევარდნებს დაერია, სმიშლიაი და კრუჟოკი ჩამოაგდო და, ჰაიდა, გაფრინდა იმ არემარედან! ათამდე დათვლასაც ვერ მოასწრებდი, რომ უკვე აღარსად ჩანდა. გამოუდექი ცხენით, ეგებ დაეწიო-მეთქი, მაგრამ საქმე არა გაქვს? გაქრა, თითქოს ცამ ჩაყლაპაო. ჰოდა, ბაზიერთუხუცესმა მოახსენა მეფეს, ადრაგანი დაიკარგაო. მეფემ კი ბრძანა, ტრიშკა მომგვარეთ აქაო. ჰოდა, მითხრა, შენა, ტრიშკავ, შენი თავით გამცემ პასუხს ადრაგანისთვისო; მოიყვან — წყალობით მოგხედავ, ვერ მოიყვან და — თავს წაგაცლიო! რა მექნა! მეფე-ბატონმა ხომ ხუმრობა არ იცის! წავედი ადრაგანის საძებნელად: ექვსი დღე ვეწამე, ყელ-კისერზე უკვე ქავილი ვიგრძენი: ვფიქრობ, არ ამცდება თავის წაცლა-მეთქი. ცრემლი მომერია, დიდხანს ვტიროდი და ბოლოს, დარდით ვატანჯულს, ჩამეძინა იმ ტყეში. ჰოდა, ასალი ჩაძინებული ვიყავი, რომ მეზმანა მძინარეს: ხეებს შორის ნათელი გაიღვარა და ტყეში ჟღარუნი გაისმა. ის ჟღარუნი რომ მომესმა, ძილში ვეუბნები ჩემს თავს: ეს ადრაგანის ზანზალაკები ჟღარუნებენ-მეთქი. ვხედავ, ჩემ წინ მთლად ნათელში მცურავი ჭაბუკი მეომარი დგას, თეთრონზე ამხედრებული, ხელზე კი ადრაგანი უზის. „ტრიფონ! — მითხრა მეომარმა, — აქ ნუ ეძებ ადრაგანს. ადექი, მოსკოვს მიაშურე, ლაზარეს სამანებს. იქ ფიჭვი დგას

ერთი, იმ ფიჭვზე ზის ადრაგანი". გამომეღვიძა და, თეითონაც არ ვიცი რისგან, მიეხვდი, რომ ის მეომარი წმინდა მოწამე ტრიფონი იყო. მოვახტი ცხენს და გავფრინდი მოსკოვისკენ. აბა, რა გითხრა, მაქსიმ გრიგორიჩ, დამიჯერებ ვითომ? როგორც კი მივედი იმ სამანებთან, ეხედავ: მართლაც დგას ერთი ფიჭვი, იმ ფიჭვზე კი ჩემი ადრაგანი ზის, მთლად ისე, როგორც წმინდანმა მითხრა!

ბაზიერს ხმა უთრთოდა, თვალთაგან მსხვილი ცრემლები სცვიოდა.

— მაქსიმ, — დაურთო მან და ცრემლები შეიმშრალა, — ახლა თუნდ მთელ საცხოვრებელს გავყიდი ძირისძირობამდე, თუნდ ჩემ თავსაც საუკუნო ყმობაში ჩავიგდებ, მაგრამ სამლოცველოს კი ავაგებ წმინდანის სახელობაზე! ზედ იმ ადგილას ავაგებ, სადაც ადრაგანი ვიპოვე. ხატსაც დავახატვინებ კედელზე, მთლად ისე, როგორც წმინდანი გამომეცხადა: თეთრონზე ამხედრებულს, მაღლა ხელაღმართულს, ზედ შემოსმული თეთრი სონღულით. ჩემს შვილებსა და შვილთაშვილებს ანდერძად დაეუგდებ, მარად მისი მადიდებელნი იყვნენ, პარაკლისები გადაუხადონ და მოხატული სანთლები აუნთონ, რომ არ ინდომა ჩემი გაწირეა, თავსაკვეთი კუნძისგან რომ მიხსნა თეისი მონა! ხედავ, — განაგრძო ბაზიერმა და სონღულს შეხედა: — აი ის, ადრაგანი, საღ-სალამათი! მოდი ერთი ეგ ბარტყუნა მოგხადო! რას ყიპყიპებ? იქნებ განავარდება მოგინდა? არა, ძმობილო, მოითმინე! გეყო რაც იფრინე, აღარ გაგიშვებ!

და ტრიფონი თითით აჯავრებდა სონღულს.

— ამას უყურე, როგორ ბრაზობს! ჩემი დაკორტენა უნდა! თან რამოდენას ყიპყიპებს! ალბათ ერთ ვერსზე გაიგონებს კაცი!

ბაზიერის ნაამბობი გულზე მოსვდა მაქსიმს.

— ბარემ ეს ჩემი შემოწირულებაც აიღე! — უთხრა და პეშვით ჩასცალა ოქროები ტრიფონის ქუდში. — აი ეს მაქვს სულ; მე არ მჭირდება, ხოლო შენ კიდევ ბევრი დაგჭირდება სამლოცველოსთვის.

— ღმერთმა წყალობა ნუ მოგიშალოს, მაქსიმ გრიგორიჩ! ამ ფულებით მარტო სამლოცველოს კი არა, მთელ ეკლესიას ავაშენებ! შინ რომ მივალ, სლობოდაში, პარაკლისს გადავიხდი და სეფისკვერს ვაკვეთინებ შენ სახელობაზე! სამუდამოდ შენი მონა ვიქნები, მაქსიმ გრიგორიჩ! მიბრძანე რაც გსურდეს!

— მისმინე, ტრიფონ. ეს პატარა სამსახური გამიწიე: სლობოდაში რომ მიხვალ, ნურავისთან დაგცდება, მე თუ შემხვდი; სამიოდე დღის შემდეგ კი დედაჩემი ინახულე, უთხარი, ოღონდ მარტო იმას, რომ სხვამ ვერავინ გაიგონოს, შენი შვილი, ღვთის შეწევნით, კარგადაა, მოკითხვას გითვლის-თქო.

— მეტი არაფერი, მაქსიმ გრიგორიჩ?

— კიდევ აი რა, ტრიფონ: მე შორ გზას ვადგავარ. იქნებ, კაი ხანს ვერ დავბრუნდე. ჰოდა, თუ არ შეწუხდები, დროდადრო მიაკითხე ხოლ-მე დედაჩემს და უთხარი: ხალხისგან გავიგონე, რომ შენი შვილი, ღვთის მადლით, კარგადაა და იმაზე ნუ იდარდებ-თქო! ხოლო თუ დედაჩემმა გკითხოს: ვინ ხალხისგან გაიგონეო, ასე უთხარი: მოსკოველებისგან გავიგონე-თქო, იმათთვის კი სხვებს უთქვამთ-თქო, ხოლო თუ ვის უთქვამს, ეგ არ გააგებინო, რომ თავ-ბოლო ვერ შეიტყონ, ოღონდ დედაჩემმა იცოდეს, რომ ცოცხალი ვარ.

— მაშ შენ მართლა არ დაბრუნდები სლობოდაში?

— დავბრუნდები თუ არ დავბრუნდები, ერთმა ღმერთმა უწყის; შენ კი არავისთან დაგცდეს, მე რომ მნახე.

— მაგაში მენდე, კრინტსაც არ დავძრავ ვინმესთან! ოღონდ, თუ მართლა შორ გზას ადგახარ, მაშინ შენს ფულს არ ავიღებ. ღმერთი დამსჯის, ეგ რომ ავიღო.

— აბა მე რაში მჭირდება ფული? ურჯულოთა მიწაზე კი არა ვართ!

— ნება შენია, მაქსიმ გრიგორიჩ, მაგრამ მე კი არა ვარ მაგ ფულის ამღები. შინ რომ მიდიოდე, სხვა ამბავია. ახლა კი, გზად მიმავალს ხომ არ გაგძარცვავ, ვიღაც ავაზაკივით! ნება შენია, თუნდაც დამკლა, არ ავიღებ!

მაქსიმმა მხრები აიჩეჩა და რამდენიმე ოქრო ამოიღო ტრიფონის ქუდიდან.

— რახან შენ არ მიგაქვს, — უთხრა მან, — ეგებ სხვა ვინმემ აიღოს, მე კი არ მჭირდება ეგ ფულები.

ის ბაზიერს დაემშვიდობა და გზა განაგრძო.

მზე უკვე დასავლეთისკენ ჩაეშვა. ხეთა გრძელი ჩრდილები უფრო დაგრძელდა და მდელოებს დაეფინა. მაქსიმს შავი ბუმბერაზივით მოაცილებდა მისივე ჩრდილი. იგი ხან ბალახებზე მოირწეოდა, ხანაც, როცა გზას ტყე შემოადგებოდა, ბუჩქებსა და ხეებზე მიცოცავდა. ბუიანის ჩრდილი უზარმაზარ ზღაპრულ მხეცს მიაგავდა. ნელ-ნელა ბალახებიდან და ხეებიდან ბუიანიც გაქრა, ცხენიცა და მაქსიმიც; ბინდი ჩამოწვა; აქა-იქ ნისლიც დაირწა რძისფრად; ღამის მწერები მიწიდან წამოიშალნენ და ბზუილით შეერიენენ ჰაერს. ტყის გადაღმიდან მთვარე გამოჩნდა; ცაზე, რომელსაც თანდათან ეძალებოდა წყვდიადი, ზედიზედ აენთო ვარსკვლავები; შორს ვერცხლისფრად ალიელვდა თვალუწვდენელი ველი.

სამშობლოვ, ჩემო სამშობლოვ! მეც არაერთგზის გამივლია გვიანი

ღამით შენს უდაბურ ველებზე. უშფოთველად მიაბიჯებდა ცხენი, მაწუხელებისა და დღის პაპანებისგან მოსვენებული; თბილი ნიავი ყვავილებისა და ნედლი თივის სურნელს ჰფენდა არე-მიდამოს და, ოჰ, რა ნეტარებას განვიცდიდი, რა სევდას ვგრძნობდი, რა მწარედ ვფიქრობდი ჩვენს წარსულზე, რა სასოებით ვოცნებობდი მომავალზე... კარგია, კარგი, უკაცრიელ მიდამოებში ღამით ხეტიალი, როცა ცხენით ხან ტყე-ტყე მიირწევი, ხანაც ყანებით, სადავეს მიუშვებ, ვარსკვლავებს შესცქერი და ფიქრს მიენდობი!

უკვე მთელი საათი იქნებოდა, რაც მაქსიმი გზად მოდიოდა, რომ უცებ ბუიანმა დრუნჩი ასწია, ჰაერი დაყნოსა და კუდი ააქიცინა. ქარს კვამლის სუნი მოჰქონდა საიდანღაც. მაქსიმს გაახსენდა, ღამის გასათევზე რომ უნდა ეზრუნა. მან ცხენი ააჩქარა და მალე დაინახა გვერდზე წაფერდებული ქოხი. საკვამური არ ჰქონდა ამ ქოხს. კვამლი პირდაპირ სახურავიდან ამოდიოდა. დაბალ სარკმელში შუქი ბჟუტავდა. შიგნიდან მოსაწყენი ღიღინი მოისმოდა. მაქსიმი სარკმელთან მივიდა და ერთბაშად ეცა თვალში ღარიბული საცხოვრებლის უბადრუკობა. კვარის შუქზე ქოხის მთელი აცლა-დიდება მოჩანდა; ყველაფერი უხეირო და დროჟამისგან გასაცოდავებული იყო. ჭერზე გადებული კოჭიდან ცერად ჩამოშვერილიყო მოქნილი ჭოკი, რომლის ბოლოზეც აკვანი ეკიდა. ოცდაათიოდე წლის ფერმკრთალი, ბეჩავი ქალი აკვანს არწევდა და ხმადაბლა მღეროდა. მის გვერდით თხელწვერა გლეხი იჯდა და, წელში მოკაკული, ლაფნის ქალამნების ამოსხმით იყო გართული. ორი ბავშვი მათ ფეხებთან დაბობღავდა.

მაქსიმს მოეჩვენა, რომ დედაკაცი სიმღერაში მამამისს ახსენებდა. ჯერ იფიქრა, სმენა მატყუებსო, მაგრამ მალე მკაფიოდ გაიგონა მალიუტა სკურატოვის სახელი. მოულოდნელობისგან გაოცებულმა, გაფაციცებით მიუგდო ყური ქალის სიმღერას.

— დაიძინე, შვილო ჩემო! — მღეროდა დედაკაცი.

დაიძინე, შვილო ჩემო,
სანამ ქარი ჩადგებოდეს,
სანამ ბედი დაცხრებოდეს!
ნანა, ნანა, ნანინა,
ნანა, ჩემო პატარავ!
მოგეშორდება მალე ჭირი,
მალე მეფე ბრძანებს — თავი
რომ მოპკვეთონ აე სკურლატოვს!
ნანა, ნანა, ნანინა,
ნანა, ჩემო პატარავ!

მაქსიმს სისხლი მოაწვა სახეში. ის ჩამოქვეითდა და ცხენი ღობეზე ამიაბა.

. . . ქალი მღერას განაგრძობდა:

ვით ფილიპე, წმინდა ბერი,
წმინდა ბერი მოაკვდინა
ავმა ძაღლმა მალიუტამ!
ნანა, ნანა, ნანინა,
ნანა, ჩემო პატარაე!

მაქსიმმა მეტი ვეღარ აიტანა და კარს წიხლი ჰკრა.

ოპრიჩნიკის მდიდრული სამოსისა და ოქროჭედილი ხმლის დანასვაზე მასპინძლებს ელდა ეცათ.

— ვინ ხართ თქვენ? — ჰკითხა მაქსიმმა.

— ბატონო! — მიუგო გლეხმა, თან წელში ოთხად იკეცებოდა მის წინაშე და შიშისგან ენა ებმოდა, — ნუ გაგვირისხდები, შენი ჭირიმე, მე ფედოტი მქვია, ამ ჩემ დედაკაცს კი, ნუ გაგვირისხდები, ბატონო, ჩემ დედაკაცს მარია ჰქვია!

— რით ირჩენთ თავს, კეთილო ხალხო?

— ლაფანს ვაძრობთ ტყეში, შემოგევლე, ქალამნებს ვაცოდვილებთ და საცრებს ვაკეთებთ. ვაჭრები ჩამოივლიან ხოლმე და ყიდულობენ.

— ჩანს, იშვიათად გაკითხავენ ის ვაჭრები?

— იშვიათად, ბატონო, მთლად იშვიათად! ხანდახან, ის კი არა, ხმელა პურიც არ მოგვეძევება. ლამის შიმშილით ან სიტიტვლით დავწყდეთ. ცხენიც აღარა გვყავს, რომ საქონელი ქალაქში ჩავიტანოთ. ბგელმა შეგვიჭამა შარშანწინ.

მაქსიმმა სიბრალულით შეხედა მასპინძელსა და მის დედაკაცს და ოქროს თუმნიანები გადმოაპნია მაგიდაზე.

— ღმერთმა მოგსედოთ, ღატაკებო! — თქვა მან და კარს შეავლო ხელი, რომ გასულიყო.

მასპინძლები მუხლებში ჩაუცვივდნენ.

— ბატონო, ჩვენო გამკითხავო, ის მაინც გვითხარი, ვინა ხარ? შენი ვინაობა მაინც გაგვაგებინე! ვისთვის ვილოცოთ ღვთის წინაშე?

— ჩემთვის კი არა, მალიუტა სკურატოვისთვის ილოცეთ, ღატაკებო. ახლა კი მითხარით, შორსაა აქედან რიაზანის გზა?

— სწორედ ეს არი, ჩვენო შევარდენო, სწორედ ეს არი რიაზანის გზა. ჩვენ ზედ მის გასაყარზე ვცხოვრობთ. პირდაპირ მურომის გზა მიდის, მხარმარცხნივ — ვლადიმირისა, აქეთ კი, მხარმარჯვნივ, რიაზანისა! მაგრამ ნუ წახვალ ახლა, შემოგევლეთ, ნუ წახვალ ახლა, ამ ბნელა-

ში; ნამეტანს დათარეშობენ ამ ბოლო დროს გზებზე. გუშინღამაც ღვინის უშველებელი აღალი გაძარცვეს. ახლა კიდევ, ამბობენ, ისევ გამოჩნდნენ თათრებიო. ჩვენთან გადიღამე, ჩვენო ბატონო, ჩვენო მწყალობელო, ჩვენო შეკარდენო; ღმერთმა გაშოროს, ხიფათი წამისაა!

მაგრამ მაქსიმს არ სურდა იმ ქოხში დარჩენა, სადაც სულ ახლახან წყევლა-კრულვით ახსენებდნენ მამამისს. იგი სხვა თავშესაფრის საძებრად წავიდა.

— ბატონო! — ყვირილით მისძახოდნენ მასპინძლები, — დაბრუნდი, შემოგევლეთ, გაიგონე ჩვენი სიტყვა! ხიფათი არ აგცდება გზაზე ამ ბნელ ღამეში!

მაგრამ მაქსიმმა არ შეისმინა მათი და გზა განაგრძო.

სულ რამდენიმე ვერსი ექნებოდა გავლილი, რომ უცებ ბუიანი ერთ ბნელ ბუჩქს მივარდა და ისე ავად აყეფდა, ისე გახელებით, თითქოს ეიღაც ფარული მტრის სიახლოვე იგრძნოო.

ამაოდ უხმობდა მაქსიმი სტვენა-სტვენით. ბუიანი ბუჩქს აწყდებოდა, აღრენილი, ბალანაშლილი ბრუნდებოდა პატრონთან და კვლავ წინ მიექანებოდა გახელებით.

როცა ვეღარაფერი შეასმინა, გაბეზრებულმა მაქსიმმა ხმალი იშიშველა და პირდაპირ ბუჩქისკენ გააჭენა ცხენი. რამდენიმე კაცი შემართული კომბლებით გამოხტა ბუჩქიდან და წამსვე გაისმა უხეში შეძახილი:

— ჩამოდი ცხენიდან!

— აჰა შენ! — დასძახა მაქსიმმა და ხმალი მოუქნია იმას, რომელიც სხვებზე ახლოს იყო.

ავაზაკი დაბარბაცდა.

— პატივისცემა ახლა იკითხე! — განაგრძობდა მაქსიმი და უნდოდა მეორედ შემოეკრა მისთვის, მაგრამ მოქნეული ხმალი სიბრტყით მოხვდა სხვა ყაჩაღის შემართულ კომბალს და შუაზე გადატყდა.

— ბიჭოს, ერთი ამის აკაზმულობას შეხედეთ! ეგ ხომ ოპრიჩნიკია! ცოცხლად შევიპყროთ, ბიჭებო! — გაისმა იგივე უხეში ხმა.

— მართლაც ოპრიჩნიკია! — აჭყვირდა მეორე. — უპ, რას ვისეირებთ მაგაზე ბიჭებთან!

— რაღა გიჭირს, ხლოპკო! იშოვე საშენო საქმე და ეგ არი!

იმავე წამს ყველანი ერთად მისცვივდნენ მაქსიმს და ცხენიდან გადმოათრიეს.

XXIV თავი

ავაზაკების ჯანყი

იმ ადგილიდან ასე ვერსნახევარზე, სადაც მაქსიმს დაესხნენ, შეიარაღებული ხალხი ძირგაგდებულ ღვინის კასრებს შემოსხდომოდა. თასები და ყრყის ხის ხაპები ხელიდან ხელში გადადიოდა. მოგიზგიზე კოცონების შუქში ტლანქი სახეები, გაბურძგნილი წვერები და ნაირნაირი ტანსაცმელი ხვდებოდა თვალს. აქ ჩვენთვის ნაცნობ სახეებსაც დაინახავდით: ანდრიუშასაც, ვასკასაც, წითურ მესაკრავესაც; მაგრამ მოხუცი კორშუნი არსად ჩანდა. ყაჩაღები ხშირად ახსენებდნენ მას, როცა ხაპებს გადახვრეპდნენ და თასებს დაცლიდნენ.

— ეჰ, — ამბობდა ერთი, — ნეტა რა დღეშია ახლა ჩვენი პაპა?

— ეგ რაღა საკითხავია, — მიუგებდა მეორე, — საწამებელზე ჯიჯგნიან ან, იქნებ, ძელზე აკონწიალებენ.

— ჯიჯგნიან თორემ, ერთბაშად ვინმე არ გაათქმევინონ; განა არ ვიცი, სიტყვასაც ვერ დააცდენინებენ!

— ჰაი, ჰაი, რო ვერ დააცდენინებენ! ეგ გინდაც ასო-ასო აქნან, არ გაგთქვამს!

— ჰაი დედასა, ძალიან საწყენია ბერიკაცის ამბავი! ეს ჩვენი ატამანიც კაი ვინმე ბრძანებულა! თვითონ არხეინადაა, ბერიკაცი კი გაყიდა.

— ერთი შენც, ეგ რა ატამანია! განა ატამანი ეგეთი უნდა, რო ტყუილუბრალოდ დაღუპოს თავისიანები ვიღაც თავადის გულისთვის?

— იცი რა, ეგა და თავადი ძმაკაცები არიან. აი ახლაც, ხომ ხედავთ, ერთ ფაცხაში სხედან. თავადზე ნურაფერს იტყვი, თორემ, ატამანმა თუ გაიგონა, ვაი შენი ბრალი მაშინ!

— თუნდაც გაიგონოს, მერე რა! მე იმას პირშიც ვეტყვი, რომ ეგ ატამანი არ არის. აი კორშუნი, ჰო, ნამდვილი ატამანია! ჰაი დედასა! ალბათ ეკალივით ჩხვლეტდა თვალებში პერსტენს, ჰოდა, ჩააგდო კიდეც იმათ ხელში ძალათი!

— ერიჰა-ა, ბიჭებო, რას იტყვით, იქნებ მართლაც განგებ გაჰყიდა იმან კორშუნი, ჰა?!

ყრუ დრტვინვამ დაუარა ყაჩაღებს.

— განგებ, განგებ გაჰყიდა! — დაუდასტურა ბევრმა მათგანმა.

— გამაგებინეთ, ხალხნო, ეგ თავადი ვინ ოხერია? — იკითხა ერთმა.— რისთვის გვყავს აქა? გამოსასყიდელს ელის ატამანი მაგისთვის თუ რა არი?

— არა, გამოსასყიდს არა! — უპასუხა წითურმა მესაკრავემ. — თავადი, ბიჭებო, მეფემ დაჩაგრა, სიკვდილით დასჯა უნდოდა მაგისი; ჰოდა ეგეც მეფეს გამოექცა და ჩვენთან მოვიდა; ამბობს: მე თვითონ გაგიძღვებით, ბიჭებო, სლობოდისკენო; მე ვიცი ხაზინა საცა დევსო. ოპრიჩნიკებსო, ამბობს, სუ ყელს გამოვჭრით, ხაზინას კი ერთმანეთში გავიყოფთო!

— ბიჭოს! მერე რაღას უცდის, გაგვიძღვეს ბარემ! უკვე მესამე დღეა უქმად ვყრივართ აქ!

— იმიტომ არ მიგვიძღვის, რომ ატამანი გვყავს დედალი!

— არა, ეგრე ნუ იტყვი, პერსტენი დედალი არ არი!

— ჰოდა, თუ დედალი არ არი, ეგ მთლად უარესი. მაშინ ჩვენი გაბრიყვება ჰქონია გუნებაში!

— ეტყობა, — თქვა ვიღაცამ, — იმას უნდა მარტოკამ ჩაიგდოს ხელში მეფის ხაზინა, ჩვენ კი მშრალზე დაგვტოვოს!

— ჰო, ჰო, პერსტენს ჩვენი გაყიდვა უნდა, როგორც კორშუნი გაყიდა!

— ვერ მივართვით! ჩვენთან ეგ არ გაუვა!

— ბერიკაცის გამოხსნას არც ფიქრობს!

— მერე ეგ ვინ არი, რომ მაგას შევყურებდეთ! უმაგისოდაც დაეიხსნით პაპას!

— უმაგისოდაც მოვუვლით ხაზინას; დაე მარტო თავადი გაგვიძღვეს!

— ჰოდა, სწორედ ახლაა მაგის დრო: მეფე, ამბობენ, სალოცავშია წასულიო; სლობოდაში ოპრიჩნიკების ნახევარიც არ დარჩენილა!

— კიდევ გადავწვათ სლობოდა!

— გავჟუჟოთ სლობოდელები!

— ძირს პერსტენი! დაე თავადი გაგვიძღვეს!

— დაე თავადი გაგვიძღვეს! დაე თავადი გაგვიძღვეს! — გაისმა ყოველი მხრიდან.

მეხივით გადაიგრუხუნა ამ სიტყვებმა გუნდიდან გუნდში, სულ განაპირა კოცონებამდე მიაღწია და მთელი ურდო წამოშალა, ააშფოთა. მალე ყველანი იმ ფაცხას შემოეჯარნენ, სადაც პერსტენთან ცხარედ მოდავე სერებრიანი იჯდა.

— ნება შენია, თავადო, — ეუბნებოდა ატამანი, — გინდ გეწყინოს, გინდ არა, მაგრამ გაშვებით, სულ ერთია, არსად გაგიშვებ! იმისთვის არ დამიხსნიხარ ციხიდან, რომ ისევ ჯალათს წაუდო თავი!

— ჩემი უფალი მე თვითონა ვარ! — წყენით მიუგებდა თავადი. — რა გრჯიდა ციხიდან ჩემს დახსნას, თუ ისევ ტყვეობაში ჩამაგდებდი.

— ეჰ, თავადო, დრო დიდი მკურნალია. აცალე, მეფე შეიძლება სხვა ჭკუაზე დადგეს, შეიძლება იმ ქვეყნის ეზას გაუდგეს; აბა, რა იცი, რა მოხდება; ხოლო განსაცდელი რომ გადაივლის, ვინ დაგაკავებს, წადი, ბატონო, საითაც გენებოს. — რას იზამ, — დაუმატა მან, რაკი შეატყო, რომ სერებრიანის უფრო მოერია წყენა, — ჩანს, ბედად გწერებია ამ ქვეყნად კიდევ სიცოცხლე. შენ ფიცხი კაცი ხარ, თავადო, მაგრამ მეც მაგრად ვდგავარ ჩემ ნათქვამზე; ჩანს, ჩვენი საქმე ისე გამოდის, რომ იტყვიან — მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო!

იმავ წამს ზედ ფაცხასთან ყაჩაღების ენიასი გაისმა.

— სლობოდისკენ! სლობოდისკენ! — ყვიროდნენ გამომთვრალი გულადები.

— გადავწვათ სლობოდა!

— გადავბუგოთ იქაურობა!

— კორშუნი დავიხსნათ!

— პაპა დავიხსნათ!

— სარდაფებიდან კასრები გამოვაგოროთ!

— ოქროულობა მოვხვეტოთ!

— ოპრიჩნინა ამოვწყვიტოთ!

— მთელი სლობოდა ამოვწყვიტოთ!

— სადაა თავადი? დაე გაგვიძღვეს!

— დაე თავადი გაგვიძღვეს!

— ხოლო თუ არ სურს, ვერხვზე დავკიდოთ!

— ვერხვზე დავკიდოთ! ვერხვზე დავკიდოთ!

— პერსტენიც იმასთან!

— პერსტენიც ვერხვზე!

პერსტენი ფეხზე წამოიჭრა.

— აი თურმე რას აპირებენ! — თქვა მან. — არ გამიკვირდა?! რახანია ვაყურადებ, ამდენს რას ყაყანებენ-მეთქი. ხედავ, რა ამბავი აქვთ, ოხრის-შვილებს! ახლა მაგათ თვითონ ეშმაკიც ვერ დაამშვიდებს! აბა, თავადო, რა გაეწყობა, შენებურად გამოვიდა; ამას იქით აღარ გაკავებ: ა დათვი და ა კვალიო! გზა ხსნილი გაქვს. გადი მათთან, უთხარი, რომ წაუძღვები სლობოდისკენ!

სერებრიანი გაცეცხლდა.

— რაო, მე წაგიძღვეთ საძარცველად? — თქვა მან. — უმალ ასო-ასო ამქნით, ვიდრე მაგას ეღირსებოდეთ!

— ეჰ, თავადო, მოსაჩვენებლად მაინც შეპირდი. ხომ ხედავ, მთვრალია ხალხი, გათენდება და ჭკუაზე მოვლენ!

— თავადო! — ისმოდა ყვირილი, — შენ გეძახიან, გამოდი!

— გადი, თავადო, — გაუმეორა პერსტენმა, — თორემ ფაცხაში შემოცვივდებიან და უარესი იქნება!

— კეთილი, — უთხრა თავადმა და გასასვლელისკენ წავიდა, — ვნახოთ ერთი, როგორ მაიძულებენ, რომ სლობოდის საძარცვავად ვუწინამძღვრო მაგათ!

— აგე! — დაიყვირეს ყაჩაღებმა, — გამოძვრა!

— გაგვიძეხ სლობოდის ასაკლებად!

— გვიატამანე, თორე ყელზე ყულფი არ აგცდება!

— ეგრე, ეგრე! — ისმოდა ღრიალი.

— მორჩილად გთხოვთ! — ყვიროდნენ სხვები. — ატამანად დაგვიდექი, თორე ხეზე დაგკიდებთ!

— ღმერთმანი, ხეზე დაგკიდებთ!

პერსტენმა კარგად იცოდა სერებრიანის გულფიცხობის ამბავი და, ამ სიტყვების გაგონებაზე, თვითონაც სწრაფად გავიდა ფაცხიდან.

— რა მოგვიეიდათ, ძმებო, — დაიწყო მან, — გაგიჟდით თუ რა არი? რა გაღრიალებთ? გაგიძღვებათ თავადი, საითაც გინდათ; გათენდება დილა, და გაგიძღვებათ; ახლა კი აცალეთ მის მოწყალებას გამოძინება, თქვენც დაისვენეთ, უკვე საკმარისად იმხიარულეთ!

— ნეტავ შენ რაღას გვეუფროსები! — ხრინწიანად წამოიძახა ერთმა. — განა ჩვენი ატამანი ხარ!

— გეყურებათ, ძმებო, — დაიყვირეს სხვებმა, — ამას არ სურს ატამანობა დათმოს.

— ჰოდა, ვერხვზე დავკიდოთ!

— ვერხვზე, ვერხვზე!

პერსტენმა თვალი მოავლო ურდოს და ყველგან მტრულ სახეებს შეხვდა.

— ეჰ, თქვე ბრიყვებო, ბრიყვებო! — თქვა მან. — ვინ მოგახსენათ, რომ თქვენს ატამანობას ვერ ველევი? ვინც გეამებოდეთ, ის დაისვით თავზე, მე კი თვითონაც აღარ მსურს; ფურთხადაც აღარ მიღირხართ!

— ჰოდა კარგი! — დაიყვირა ვილაცამ.

— იცოცხლე, ენა კი უჭრის! — დაურთო მეორემ.

— ფურთხადაც აღარ მიღირხართ! — განაგრძობდა პერსტენი. — განა ცოტაა ამ ქვეყნად თქვენნაირი? დიდი რამეა, თქვენმა მზემ, თქვენი ატამანობა! ოღონდ მოვინდომო და, წავალ ვოლგაზე, ისეთ ბიჭებს შევკრებ, იმათ ფრჩხილადაც არ ეღირებით არც ერთი!

— ვერ მოგართვით, ძმობილო, ეგ საკენკი სხვას დაუყარე. არსადაც

არ გაგიშვებთ; რა ვაცით, ეგებ გაგვყიდო კიდეც, როგორც კორშუნი გაყიდე!

— არ გაგიშვებთ, არ გაგიშვებთ; ჩვენთან დარჩი; ახალ ატამანს დაემორჩილე!

ველურმა შეძახილებმა ჩაახშეს პერსტენის ხმა.

ერთი მთასავით აზვინული ყაჩაღი, რომელსაც ცალ ხელში თასი ეჭირა, სერებრიანის მიუახლოვდა.

— მამილო! — უთხრა მან და მხარზე დაჰკრა ვეება თათი. — მორჩა, შენც ხელი აუქნიე ამ ცხოვრებას, ჩვენი ძმა გახდი; მოდი ძმაკაცურად დავლიოთ და ერთმანეთი გადავკოცნოთ!

ღმერთმა იცის, რას მოიმოქმედებდა სერებრიანი. ალბათ, ხელს აუკრავდა იმ თასზე და გალეშილი ბრბო ასო-ასო დაფლეთდა ნიკიტა რომანოვიჩს, მაგრამ, საბედნიეროდ, სწორედ ამ დროს ამტყდარმა ხმაურმა მიიპყრო ყაჩაღების ყურადღება.

— შეხედეთ, შეხედეთ! — გაისმა აქეთ-იქიდან, — ოპრიჩნიკი შეუპყრიათ! ოპრიჩნიკი მოჰყავთ! შეხედეთ, შეხედეთ!

ტყის სიღრმიდან სამოსშემოფხრეწილი, კომბლებიანი ყაჩაღები მოდიოდნენ. მათ გათოკილი მაქსიმი მოჰყავდათ. ყაჩაღი, რომელსაც მან ხმალი დაჰკრა, მაქსიმის ცხენზე იჯდა. წინ ხლოპკო მოდიოდა სტვენა-სტვენითა და ბუქნაობით. დაჭრილი ბუიანი უკან მოლასლასებდა.

— ჰეი, ძმებო, — მღეროდა ხლოპკო და თითებს ატკაცუნებდა:

ეზოებში ქვრიეთ ესტუმრნენ ყაჩაღები
და ერთმანეთს დაერივნენ ნაჯახებით!..

და ხლოპკო მალაყებს გადადიოდა, ტაშს უკრავდა, ბზრიალასავით ტრიალებდა.

ამის შემხედვარე წითურმა მესაკრავემ ველარ მოითმინა, ბალალაიკას დაავლო ხელი და ბუქნა-ბუქნით გასწია ამხანაგის შესაშველებლად.

ორივემ გამალებით დაიწყო მაქსიმის გარშემო ტლინკაობა და მანჭვა-გრეხა.

— ხედავ ამ ტარტაროზებს! — უთხრა პერსტენმა სერებრიანის. — ეგენი ახლა უბრალოდ კი არ მოკლავენ ამ ოპრიჩნიკს, საშინელი წამებით ამოხდიან სულს; ორივეს ვიცნობ, რა ბიჭებიც არიან: რახან თავი აიწყვიტეს, მორჩა. წასულია საქმე, შავი დღე დაადგება მამაცს!

მართლაც, ოპრიჩნიკის შეპყრობა ნამდვილი დღესასწაული იყო მთელი ბანდისთვის. ახლა ისინი აპირებდნენ მაქსიმზე ეყარათ ჯავრი ყველაფრისთვის, რაც მისი ამხანაგებისგან გადახდენოდათ.

რამდენიმე კაცი, პირწავარდნილი ტყის ნადირი, მაშინვე შეუდგა დასჯის თადარიგს.

ჯერ ოთხი პალო ჩაარჭვეს მიწაში, მერე ზედ ლატანები დაამაგრეს გარდიგარდმო და ლურსმნები გაახურეს.

მაქსიმი მშვიდად შეჰყურებდა ამ სამზადისს. მას არ აშინებდა ტანჯვით სიკვდილი; მხოლოდ იმას ნაღვლობდა, ასე უხმლოდ, ხელებგაკოჭილი რომ უნდა მომკვდარიყო და, საბრძოლო ყიჟინისა და ცხენთა ჭიხვინის ნაცვლად, თავის მტანჯველთა ველური სიმღერა და მთვრალი ხორხოცი უნდა ესმინა სიკვდილის წინ.

„წინათგრძნობამ მიღალატა, — გაიფიქრა მან, — ასეთ დასასრულს არ მოველოდი. მაგრამ რას ვიზამ, ღმერთს ასე უნებებია ჩემთვის. დაე აღსრულდეს მისი განგება!“

ამ ფიქრში მყოფმა, უცებ სერებრიანი შენიშნა, იცნო და მასთან მისელა დააპირა, მაგრამ წითური მესაკრავე საყელოში სწვდა.

— ლოგინი დაგებულია, — უთხრა მან, — ხიფთანი გაიხადე, დაწექი რაღა!

— ხელები შემიხსენით! — მიუგო მაქსიმმა, — ასე პირჯვარს ვერ გადავიწერ!

ხლოპკომ დანის დაქნევით ჩასხიპა თოკები, რომლებითაც ხელები ჰქონდა გაკოჭილი მაქსიმს.

— ილოცე, ოღონდ ჩქარა! — უთხრა მან, ხოლო როცა მაქსიმი ლოცვას მორჩა, ხლოპკომ და წითურმა სამოსი შემოაძარცვეს მას და ფაცა-ფუცით გაუკრეს ხელ-ფეხი ლატანებზე.

ამ დროს სერებრიანი წამოდგა წინ.

— ბიჭებო! — ისეთი ხმით დასჭექა თავადმა, როგორც საბრძოლო მწყობრში იყო ნაჩვევი, — მისმინეთ!

ამ სიტყვებმა ქუხილივით გადაუარა მთელ ბანაკს და, მიუხედავად ხმაურისა და ღრიანცელისა, ყველაზე შორს მყოფ ყაჩაღებამდეც მიაღწია.

— მისმინეთ! — განაგრძობდა თავადი. — მითხარით, ყველას გსურთ თქვენი მოთავე ვიყო? იქნებ არიან თქვენს შორის ისეთებიც, რომ არ ეუნდივარ?

— ერიჰაა, — დაიყვირა ვიღაცამ, — შენ, ვინიცობაა, თავის დაძვრენას ხომ არ აპირებ?!

— შენ, ეი, გეყურება? ჩვენთან ხუმრობა არ გარგია!

— მოგვიცია ატამანობა და ჩაიბარე, თავპატიჟს ნუ დაგვიწყებ!

— შეიფერე პატივი, სანამ თავი მხრებზე გაბია!

— მაშ მომაწოდეთ ატამანის კვერი! — თქვა სერებრიანიმ.

— აი ეგ მესმის! — დასძახეს ყაჩაღებმა. — ჯანჯალსა და გაქირს ეგ გირჩევნია!

თავადს პერსტენის კვერი მიაწოდეს.

სერებრიანი პირდაპირ წითური მესაკრავისკენ წავიდა და მის წინ დადგა.

— ახსენი ოპრიჩნიკი! — უთხრა მან.

წითურმა გაოცებით შეხედა თავადს.

— ახსენი ახლავე! — მკაცრად გაუმეორა სერებრიანიმ.

— ერიჰა! — თქვა წითურმა. — შენ რა, ამის ქომაგი ხარ? ჭკუით იყავ, შვილოსან, გირჩევნია შენ თავს მიხედო!

— წყეულო!—შეჰყვირა თავადმა,—ნუ ყბედობ, როცა მე გიბრძანებ!— ეს რომ თქვა, სერებრიანიმ კვერი მოიქნია და თავი გაუპო წითურს.

მესაკრავემ ამოკვნესაც ვერ მოასწრო, უსულოდ გაგორდა ძირს.

სერებრიანის მოქმედებამ შეაკრთო ყაჩაღები. თავადმა გონს მოსვლა არ აცალა მათ.

— შენ ახსენი! — უთხრა ხლოპკოს და კვერი შემართა მის თავზე.

ხლოპკომ თავადს შეხედა და სწრაფად გაათავისუფლა მაქსიმი.

— ბიჭებო! — განაგრძობდა ნიკიტა, — ეს მამაცი იმათგანი არ არის, ვინც თქვენ გაწყენინათ; მე ვიცნობ ამას; ეგ ოპრიჩნინის ისეთივე მტერია, როგორიც თქვენ ხართ. ღმერთმა ნუ ქნას, ვინმე თქვენგანმა ხელი ახლოს ამას! ახლა კი ზოზინის დრო აღარაა. იარაღი აისხით, ასეულებად დაეწყვეთ, მე გაგიძღვებით!

სერებრიანის მტკიცე ხმამ, მბრძანებლურმა ქცევამ და მოულოდნელმა გაბედულებამ ძლიერ იმოქმედა ყაჩაღებზე.

— ოჰო, — ხმადაბლა თქვეს ზოგიერთებმა, — ეგ, ჩემო ძმაო, არ ხუმრობს!

— ნამდვილი ატამანია! — ამბობდნენ სხვები, — ვინც გინდა, იმას წამოიკიდებს!

— მაგასთან ფხიზლად უნდა იყო, შვილოსან, ენას კბილი დააჭირო! ნახე, როგორ უთავაზა მესაკრავეს!

ასე მსჯელობდნენ ყაჩაღები და უკვე აღარავის მოსდიოდა ფიქრად სერებრიანისთვის მხარზე ხელის დარტყმა ან მისი გადაკოცნა.

— ბარაქალა შენ, თავადო! — ჩაიჩურჩულა პერსტენმა, რომელიც მოწიწებით შეჰყურებდა ნიკიტას. — იფ, გენაცვალე, როგორ მოთოკე ეგეენი! ოღონდ ახლა გონს მოსვლას ნუღარ დააცლი, ბარემ წაიყვანე სლობოდის გზაზე, მერე კი ღმერთი გამოაჩენს რამე საშველს!

დიდ გასაჭირში იყო ჩავარდნილი სერებრიანი. ავაზაკების მოთავეობა რომ იკისრა, ამით მაქსიმი გადაარჩინა და დრო მოიგო; მაგრამ ყველაფერი წყალში გადაიყრებოდა, ამ აბორგებული ხროვის გაძღოლაზე რომ უარი ეთქვა. თავადმა ფიქრში ღმერთს მოუხმო მშველელად და მის ნებას მიენდო.

ავაზაკები კი ამასობაში უკვე ლაშქრობის სამზადისში იყვნენ და მხოლოდ იმას წუხდნენ, რომ ვიღაც ფედკა პოდდუბნი აკლდათ. ის დილითვე წასულიყო სადღაც თავისი რაზმით და ჯერაც არსად ჩანდა.

— აი ფედკაც! — წამოიძახა ვიღაცამ. — აგე, მოდის ბიჭებთან ერთად!

პოდდუბნი ხმელ-ხმელი, კუნთმაგარი ჯელი იყო, ცალთვალა და საზენაიარეი.

ტანთ შემოფხრეწილი ზუბუნი ეცვა. მძიმედ მოაბიჯებდა და სიარულში მუხლები ეკეცებოდა, როგორც მთლად ქანცგაწყვეტილ ადამიანს.

— რაო? — ჰკითხა ერთმა ყაჩაღმა.

— კიდევ ხომ არ გაჩვენეს თამაშა? — დაურთო მეორემ.

— ჩვენ ვერა, და ერთ ვინმეს კი ვუყავით სეირი! — თქვა პოდდუბნიმ და ცეცხლს მიუჯდა. — აი, ბიჭებო, ბევრი ცოდვა მაწვა სულზე, მაგრამ დღეს, მგონი, ნახევარი ჩამოვიბერტყე!

— რა ქენი ასეთი, ფედია?

პოდდუბნი თავის რაზმს მიუბრუნდა:

— ბიჭებო, აბა მოიყვათ აქ ეგ მოენე!

კოცონთან ვიღაც გათოკილი ოტროველა მოიყვანეს. მას ზოლიანი ხიფთანი ეცვა, ვეება თავზე ფარფლამობრუნებული წოწოლა ქუდი ეხურა; ჩაჭყლეტილი ცხვირი, წამოცვენილი ყვრიმალები და წვრილი თვალები მის არარუსულ წარმომავლობას მოწმობდნენ.

პოდდუბნის ერთმა ამხანაგთაგანმა ტყვისთვის ართმეული შუბი და მშვილდ-კაპარჭი მოიტანა.

— ვაი, ეგ ხომ თათარია! — შეჰყვირა ბრბომ.

— თათარია, — გაიმეორა პოდდუბნიმ, — და მერე რა თათარი! ძლივს მოვერიეთ, ისეთი ჯანიანია! მიტკა რომ არა, ნამდვილად წაგვივიდოდა ხელიდან!

— გვიამბე, კაცო, გვიამბე! — დასძახეს ყაჩაღებმა.

— ჰოდა, ასე, ძმებო, ამ დილით რიაზანის გზაზე გავედით, ერთ ვაჭარს გადავუდექით, დავუწყეთ ჩხრეკვა; ის კი გვეუბნება: რაღა უნდა წაიღოთ, ძმებო, როცა აღარაფერი გამაჩნიაო! მეო, გვეუბნება, რიაზანიდან მოვდივარ, იქ მთელი გზა ურჯულო თათრებითაა სავსე, კუდის რი-

კამდე გამფცქვნეს, ოხრებმა, და ისიც აღარ ვიცი, მოსკოვამდე როგორ ჩავაღწიოო.

— უყურეთ მაგ ყაჩაღებს! — თქვა ვიღაცამ.

— მერე იმ ვაჭარს რაღა უყავით? — ჰკითხა მეორემ.

— ერთი უზალთუნი მივეცით საგზაოდ და გავუშვით, — უპასუხა პოდდუბნიმ. — მერე ერთი გლეხიკაცი შემოგვეყარა, გვითხრა, გუშინ თათრები ჩვენს სოფელს შემოესივნენ და მთლად გადაბუგესო. მალე ჩვენ თვითონაც გადავიარეთ უშველებელი ქაშანი: სულ ცოტა, ათასი ცხენის ნავალი მაინც იქნებოდა ის ადგილი. ამასობაში კი სხვა გლეხებიც გამოჩნდნენ დედაკაცებითა და ბალღებით, ტირიან და მოსთქვამენ: ვაი ამ მოსწრებას, ჩვენი სოფელიც გადაწვეს თათრებმა, ეკლესიაც გაძარცვეს, წმინდა ხატები დაჩეხეს, შესამოსელთაგან ჩულები გააკეთესო...

— დახეთ მაგ უწმინდურებს! — შეჰყვირეს ყაჩაღებმა, — არა, რატომ მიწა არ ეწვით ფეხქვეშ მაგ წყეულებს!

— მღვდელიო, — განაგრძობდა პოდდუბნი, — ცხენის კუდზე გამოაბესო...

— მღვდელიო? მერედა რატომ მეხმა არ დალახვრა ეგ ძაღლიშვილები?

— ღმერთმა უწყის!

— მერედა, განა რუს კაცს ხელები შეახმა, რომ საკადრისად ვერ დახვდეს წყეულ თათრებს?

— აი სწორედ ეგ არი, რო ხელები არ ყოფნის; ყველა პოლკი დაშლილია, მარტო გლეხები, დედაკაცები და მოხუცები დარჩნენ; ურჯულოებს კი უხარიათ, მეომრებს რომ ვერსად ხედავენ, დამშლელი რომ არავინ ხვდებათ ამ ჩვენს რუსეთში!

— ეჰ, ვანახებდი მაგათ სეირს!

— მეც ვანახებდი!

— მერე ეგ მოენე როგორღა იშოვეთ?

— აი როგორ. გზაზე ცხენების თქარათქური მოგვესმა, ჰოდა, ბიჭებს ვეუბნები: ბუჩქებში დავიმალოთ, ვნახოთ ერთი, რა ხალხი მოდისმეთქი. დავიმალეთ და ვხედავთ: ოცდაათიოდე ცხენოსანი მოჯირითობს აი ეგეთი ქუდებით თავზე, შუბებით, კაპარჭებით, მშვილდებით. ძმებო, ვეუბნები ბიჭებს, ეგენი ხომ სწორედ ის ჩვენი სანატრელები არიანმეთქი? აფსუს, რომ ცოტანი ვართ, თორე დავუფრთხობდით ახლა ანგელოზებს-მეთქი! უცებ ერთ მათგანს რაღაც ბოხჩა დაუვარდა ძირს. ისიც შეჩერდა და ცხენიდან ჩამოხტა, რომ თავისი ბოღჩა აეღო და მარჯვედ

ჩაეკრა უნაგირში, ამასობაში კი მისი ამხანაგები შორს წავიდნენ. ძმებო, ვეუბნები ბიჭებს, რა იქნება, იმას რომ მივუსტეთ-მეთქი? აბა, შევარდნებო, მომყევით-მეთქი! ვთქვი ესა და, ყველა ერთად დავაფრინდით თათარს. მაგრამ, საქმე არა გაქვს?! ერთი კი შეიბერტყა მხრები და სულ პანტასავით მიგვყარ-მოგვყარა აქეთ-იქით. ისევ მივცვივდით, მაგრამ ისევ მიგვყარ-მოგვყარა და შუბი აიტაცა. მაშინ მიტკა გვეუბნება: გზა მიტიეთ, ძმებო, გვეუბნება, ხელს ნუ შემიშლით! ჩვენც შემოვეცალეთ, ამან კი უცებ შუბი გამოსტაცა თათარს, ქეჩოში დასწვდა და მიწას გაკრა. ჩვენც მაშინვე ხელთათმანი ჩავჩარეთ იმას პირში და ცხვარივით გავთოკეთ.

— ბარაქალა, მიტკა! — თქვეს ყაჩაღებმა.

— ჰო, ეგ, კაცო, ხარსაც დასცემს რქებით! — შენიშნა პოდდუბნიმ.

— ეი, მიტკა! — ჰკითხა ვილაცამ, — მართლა დასცემ ხარს?

— რატო არა! — უპასუხა მიტკამ და გვერდზე გადგა, რათა ლაზლანდარა საუბარს გარიდებოდა.

— ყველა ყველაო, მარა რა ჰქონდა თათარს იმ ბოღჩაში? — იკითხა ხლოპკომ.

— აი, ნახეთ, ბიჭებო!

პოდდუბნიმ ბოღჩა გახსნა და იქიდან შესამოსელის ნაჭერი, ძვირფასად შეჭედილი სანაწილე, ორი-სამი პანაგია და ოქროს ჯვარი ამოიღო.

— უჰ, ეგ ძაღლი, ეგა! — შეჰყვირა მთელმა ბრბომ. — მაშ მაგას ეკლესია გაუძარცვავს?!

სერებრიანიმ ყაჩაღების აღშფოთებით ისარგებლა.

— ბიჭებო! — თქვა მან, — ხედავთ, როგორ გვიგინებს წყეული თათარი ქრისტეს სარწმუნოებას? ხედავთ, როგორ ბილწავს ურჯულოთა მოდგმა წმინდა რუსეთს?! ჰოდა, ბიჭებო, განა ჩვენც ურჯულოები გავხდით? განა ასე უნდა ვითმენდეთ წმინდა ხატების წარყვნას? განა ისე წავხდით, რომ ქრისტეს რჯულის მაგინებლებს რუსეთის სოფლების ცეცხლში დაბუგვა და ჩვენი ძმების გაჟლეტა დავანებოთ?

ბრბოს ყრუ დრტვინვამ დაუარა.

— ბიჭებო, — განაგრძობდა თავადი, — ღვთის წინაშე უცოდველი არავინა ვართ! მაშ, მოდით, გამოვისყიდოთ ჩვენი ცოდვები, დავიმსახუროთ ყოვლადძლიერთან შეცოდებათა მიტევება, ყველამ, ვინც აქ ვართ, ერთობლივ დავცხოთ ეკლესიისა და რუსეთის მტრებს!

სერებრიანის სიტყვამ ძლიერ იმოქმედა მთელ ურდოზე. ვაჟკაცურმა მოწოდებამ ბევრი გახევებული გული შეათბო, ბევრ ჯაგარა მკერდში

შეატოკა სამშობლოს სიყვარული. ხნიერმა ყაჩაღებმა თავი გადააქნიეს ფიქრიანად, ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს. საერთო მითქმა-მოთქმაში ხმამაღალი შეძახილები გაისმა.

— მართალს ამბობს! — თქვა ერთმა. — სხვა კიდევ ჰო, მაგრამ ღვთის ეკლესიებსაც ხომ ვერ დავანებებთ წასაბილწად!

— ჰაი, ჰაი, რომ ვერ დავანებებთ, ვერ დავანებებთ! — გაიმეორა სხვამაც.

— ყველანი სიკვდილის შვილები ვართ! — დაურთო მესამემ. — ჰოდა, სჯობს ისევ ბრძოლაში მოვკვდე, ვიდრე სახრჩობელაზე!

— მართალია! — შეეხმიანა ერთი ხნიერი ყაჩაღი. — ბრძოლის ველზე სიკვდილი სასახელოცაა!

— ეჰ, რაც იყოს, იყოს! — თქვა ერთმა ახალგაზრდა თავზეხელაღებულმა და წინ წამოდგა. — სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე კი წავალ თათრუკებთან საომრად!

— მეც წავალ! მეც! მეც! — შესძახეს სხვებმაც.

— თქვენზე ამბობენ, — განაგრძო სერებრიანიმ, — ღმერთი დაივიწყეს, აღარც სინიდისი შერჩათ, აღარც ნამუსიო. მაშ, დაუმტკიცეთ ახლა ყველას, რომ ცილს გწამებენ, რომ სინდისიც გაქვთ და ნამუსიც! დაუმტკიცეთ, რომ რახან საქმე რუსეთისა და სარწმუნოების დაცვაზე მიდგა, მოისარები ან ოპრიჩნიკები ვერ გაჯობებენ მათ დაცვაში!

— ჰაი, ჰაი, რომ ვერ გვაჯობებენ, ვერ გვაჯობებენ! — ერთხმად შესძახა ყველა ყაჩაღმა.

— არ დავანებებთ სულმყრალებს წმინდა რუსეთის წაბილწვას!

— დავცხოთ უღმერთოებს!

— გაგვიძეხ თათრუკების საჟლეტად!

— გაგვიძეხ, გაგვიძეხ! ვიბრძოლოთ წმინდა სარწმუნოებისთვის!

— ბიჭებო! — თქვა სერებრიანიმ, — თუ ჩვენ კუდით ქვა ვასროლინეთ უწმინდურებს და მეფემ დაინახა, რომ ოპრიჩნიკებზე ნაკლებნი არა ვართ, მაშინ გვაპატიებს კიდეც ჩვენს დანაშაულს, ჰოდა გვეტყვის: აღარ მინდა ამას იქით ოპრიჩნინა; უმისოდაც მყვანან ერთგული მსახურებიო!

— ოღონდ კი თქვას და, — შესძახეს ყაჩაღებმა, — ყველანი თავს დავდებთ მის სამსახურში!

— ჰაი გიდი, განა მეხალისებოდა ავაზაკობა! განა ჩემი ნებით მოვედი აქ! — თქვა ვიღაცამ.

— მე კი მეხალისებოდა? — გამოეპასუხა მეორე.

— მაშ შევეწიროთ, თუ დაგვჭირდა, რუსეთის მიწა-წყალს! — თქვა სერებრიანიმ.

— შევეწიროთ! — გაიმეორეს ყაჩაღებმა.

— რახან ასეა, — განაგრძო თავადმა, — რახან რუსეთის მტრებთან საბრძოლველად მივდივართ, რუსეთის მეფის სადღეგრძელოს დალევაც გვმართებს!

— დავლიოთ!

— მაშ აავსეთ თასები და მეც მომაწოდეთ!

თავადს მაღალი სასმისი მიაწოდეს; ყაჩაღებმა თავისთვის თასები აავსეს.

— დღეგრძელი იყოს დიდი ხელმწიფე, სრულიად რუსეთის მეფე ივან ვასილევიჩი! — წარმოთქვა სერებრიანიმ.

— დღეგრძელი იყოს მეფე! — გაიმეორეს ყაჩაღებმა.

— გაუმარჯოს ჩვენს რუსეთს! — თქვა თავადმა.

— გაუმარჯოს ჩვენს რუსეთს! — გაიმეორეს ყაჩაღებმა.

— დაე მოისრას წმინდა რუსეთისა და მართლმადიდებელი ქრისტიანობის ყველა მოძულე! — განაგრძობდა ნიკიტა რომანოვიჩი.

— დაე მოისრას თათრობა! დაე მოისრან ქრისტეს რჯულის მოძულეები! — გაიძახოდნენ ყაჩაღები.

— გაგვიძეხ თათრების საჟლეტად! დაგვანახე ერთი ის ურჯულოები, ცეცხლში რომ ბუგავენ ჩვენს ეკლესიებს!

— გაგვიძეხ, გაგვიძეხ! — ისმოდა ყოველი მხრიდან.

— კოცონზე დავწვათ ეს თათარი! — შეჰყვირა ვიღაცამ.

— კოცონზე დავწვათ! ცეცხლში დავხრუკოთ! — გაიმეორეს სხვებმაც.

— დაიცათ, ბიჭებო! — თქვა სერებრიანიმ, — ჯერ კარგად უნდა დავკითხოთ ეგ. გვიპასუხე, — ტყვე თათარს მიუბრუნდა თავადი, — ბევრნი ხართ წამოსულნი? სად არის თქვენი ბანაკი?

თათარმა თავი გაიქნია, ვითომ არაფერი მესმისო.

— მოიცა, თავადო, — უთხრა პოდდუბნიმ, — მაგას ჩვენ ამოვადგმევინებთ ენას! ხლოპკო, აბა ერთი მუგუზალი მოიტა აქ. ასე. აბა, რაო, გვეტყვი?

— გითხრამ, ზმობილო! — სიმწრით შეჰყვირა კანდაფუფქულმა თათარმა.

— ჰოდა გვითხარი ბარემ, ბევრნი ხართ?

— ზალიან ბევრი, ზმობილო, ზალიან ბევრი!

— მაინც რამდენი?

— ათი ათასა, ზმობილო; ახლა ათი ათასა, ხვალ კი ასი ათასა მოვიდა!

— მაშ თქვენ მხოლოდ მეწინავენი ხართ? ვინ მოუძღვის ლაშქარს?

— ხანმა მოუზღვის!

— თვითონ ხანი?

— თვითონ არა! ხანმა ხვალ მოვიდა; ახლა შირინის მთავარმა შიხ-მატმა მოვიდა!

— სად არის მისი ბანაკი?

თათარმა კვლავ ანიშნა, არ მესმის, რას მეკითხებიო.

— ეი, ხლოპკო, მოიტა აქ მუგუზალი! — დაუყვირა პოდდუბნიმ.

— ახლოს ხარ ბანაკი, ზმობილო, ახლოს! — აღარ დააყოვნა პასუხი თათარმა. — ათ ვერსზე სოტა იქნება თქონგან, ზმობილო.

— მაშ წაგვიძეხ გზაზე! — უთხრა სერებრიანიმ.

— ვერ საგიზღვე, ზმობილო! ახლა ვერ ისნო გზა! ხვალ ისნო, ზმობილო!

პოდდუბნიმ გახურებული მუგუზალი გათოკილ ხელებთან მიუტანა თათარს.

— მოძებნი გზას?

— მოზებნი, ზმობილო, მოზებნი!

— კეთილი, — თქვა სერებრიანიმ, — ახლა დანაყრდით, ძმებო, ამ თათარსაც აჭამეთ, და მაშინვე გავწიოთ სალაშქროდ. ვანახოთ მტრებს, რას ნიშნავს რუსი კაცის ძალა!

XXV თავი

ბრძოლის საშზადისი

ბანდაში ისეთი ფუსფუსი, რბენა და გნიასი ატყდა, რომ მაქსიმმა სერებრიანისთვის მადლობის თქმაც ვერ მოასწრო. ბოლოს, როცა ავაზაკები მწყობრში ჩადგნენ და ტყიდან დაიძრნენ, მაქსიმი, რომელსაც ცხენიც დაუბრუნეს და იარაღიც მისცეს, თავადს წამოეწია და მხარდამხარ მიჰყვა.

— ნიკიტა რომანიჩ, — უთხრა მან, — შენ დღეს იმ დათვის სამაგიერო სიკეთე მიყავი!

— მაშ როგორ, ჩემო მაქსიმ, — მიუგო სერებრიანიმ, — იმისთვის ვცხოვრობთ ამ ქვეყნად, რომ ერთიმეორეს ვეხმარებოდეთ!

— თავადო, — სიტყვა შეაგება პერსტენმა, რომელიც აგრეთვე სერებრიანის მხარდამხარ მოდიოდა ცხენით, — აი, გიყურებდი დღეს და ვფიქრობდი: ეჰ, აფსუს, რომ ამას ვერ ხედავს ახლა ერთი ქვემოური მამაცი,

რომელიც ვოლგაზე დავტოვე კაი ხანია! თუმცა მდაბიო კაცია, აი თითქმის ჩემნაირი, მაგრამ ნამდვილად შეიყვარებდი იმას, თავადო, და ისიც შეგიყვარებდა! საწყენად ნუ დაგრჩება და ერთმანეთს გავხართ ხასიათით. წმინდა რუსეთზე ლაპარაკი რომ წამოიწყე და თვალებში ცეცხლი წაგეკიდა, მაშინვე ერმაკ ტიმოფეევიჩი გამახსენდა. უყვარს იმას სამშობლო, უზომოდ უყვარს, მერე რა, რო ყაჩაღია. ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, მესირცხვილება ამ ქვეყნად უქმად ყიალი, ნატვრადა მაქვს რამე სამსახური გავუწიო სამშობლოსაო. ეჰ, იცოცხლე, კარგი იქნებოდა ახლა ისიც ჩვენთან მოდიოდეს თათრების საჟლეტად! მარტოკა ღირს მთელ ასეულად. ერთს რომ შესძახებს: მომყეთ, ბიჭებოო! — მორჩა, იფიქრებ, ერთბაშად გავიზარდე, ღონე მომემატაო, და უკვე ველარაფერი ველარ გაკავებს, გარშემო ყველას ზურგზე ბოლს ადენ. შენც იმას ჰგავხარ, ღმერთმანი ჰგავხარ, თავადო; საწყენად არ ვამბობ!

პერსტენი ჩაფიქრდა. სერებრიანის ფრთხილად მიჰყავდა ცხენი და ბნელ შორეთს აკვირდებოდა; მაქსიმი დუმდა. ყრუდ გაისმოდა გზაზე ყაჩაღების ფეხის ხმა; ვარსკვლავიანი ღამე მდუმარედ გადასუდროდა მძინარე დედამიწას. დიდხანს მიაბიჯებდა ბრბო იქითკენ, საითაც ხმალამოწვდილ ხლოპკოსა და პოდდუბნის შუა ჩამდგარი თათარი უჩვენებდათ გზას.

უცებ შორიდან რაღაც უცნაური, წყობილი ბგერები მოისმა.

ეს არც ადამიანის ხმა იყო, არც საყვირის, არც ბარბითისა, ეს იყო ლერწმოვანში მონავარდე ქარის ზუზუნისმაგვარი, თუ მინის ან სიმის წკრიალისმაგვარი რაღაც.

— რა ხმა ისმის? — იკითხა თავადმა და ცხენი შეაჩერა.

პერსტენმა ქუდი მოიხადა და ზედ უნაგირის ტახტამდე წახარა თავი.

— დამაცა, თავადო, ერთი კარგად მივაყურადო!

ბგერები მწყობრად და სევდიანად მოილვრებოდა, ხან ვერცხლივით ჩხრიალა ტალღებად, ხანაც მონანავე ტყის შრიალისდაგვარად — და უცებ მოწყდა, თითქოს ველის ქარმა დაუბერაო!

— მორჩა! — სიცილით თქვა პერსტენმა, — ხედავთ, რა მკერდის პატრონია ვილაც არის! მგონი ნახევარ საათს მაინც უბერავდა სულმოუთქმელად!

— მერედა რა არის ეგ? — ჰკითხა თავადმა.

— ჩ ე ბ უ ზ გ ა! — მიუგო პერსტენმა. — ეგ, როგორა ვთქვა, აი ჩვენებური საყვირის ან სალამურისმაგვარი რაღაცაა. ალბათ, ბაშკირები არიან. მაგათ რას გაუგებ, ამ ხანთან ხომ მთელი მილეთის ვიგინდარაა

შეყრილი: ყაზანელები, ასტრახანელები და მთელი მაგათი ნოღაური სიმყრალე. გესმის, აი ისევ წამოიწყეს.

შორს თითქოს კვლავ დაქროლა გრიგალმა, გაბმულ, ტკბილ-სევდიან რაკრაკად იქცა და რამდენიმე ხნის შემდეგ უეცრად მოწყდა, ცხენის ფრთხვინვასავით.

— აჰა! — თქვა პერსტენმა, — ეს მუხლი უფრო მოკლე გამოუვიდა; ეტყობა, არაქათი გამოელია ძაღლიშვილს.

მაგრამ ახლა სხვა ბგერები გაისმა, გაცილებით უფრო ჟღერადი. კაცი იფიქრებდა, უამრავი პატარა ზარი წკრიალებს შეუსვენებლადო.

— ახლა უკვე ყელი აამუშავეს! — თქვა პერსტენმა. — შორიდან რას არ იფიქრებ კაცი; ეგენი კი სულ ყელით არაკრაკებენ ასე. ხედავ, რანაირად იჭაჭებიან, ოხრისშვილები!

სევდიან, გულისმომწყვლელ ბგერებს მხიარული ხმები ენაცვლებოდა, მაგრამ ეს არ იყო არც რუსული სევდა და არც რუსული სილაღე. ამ ბგერებში ხმიანობდა მომთაბარე ტომის ველური სიდიადე, ჯოგების თქარათქური, მამაცური ლაშქრობები და თარეში, ხალხების ხეტიალი კიდით კიდემდე და უცნობ, თავდაპირველ სამშობლოზე სევდაც.

— თავადო, — თქვა პერსტენმა, — ეტყობა, ახლოს უნდა იყოს მათი ბანაკი; გული მიგრძნობს, ამ გორაკს გადაღმა კოცონებსაც დაინახავს კაცი. მომეცი ნება, წავალ, შევათვალიერებ იქაურობას, მე ნაჩვევი ვარ ამას, ბევრჯერ შევხვედრივარ მაგათ ვოლგაზე; შენ კი მანამდე ბიჭებს ხულს მოათქმევინებ და ბარემ აქაურობასაც შეეჩვევიან.

— გასწი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — უთხრა თავადმა.

პერსტენი ცხენიდან ჩამოხტა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ყაჩაღებმა თავი მოიწესრიგეს, იარაღი შეამოწმეს და მიწაზე დასხდნენ ისე, რომ საბრძოლო რიგი არ დაურღვევიათ. ღრმა მდუმარებას მოეცვა ბანდა. ყველას ესმოდა, რომ საპატიო საქმე წამოიწყეს და აუცილებელი იყო უსიტყვო მორჩილება. შორიდან კვლავ მოისმოდა ჩებუზგის ხმა, მინდორს მთვარე და ვარსკვლავები დაჰნათოდნენ, ირგვლივ საზეიმო სიმშვიდე სუფევდა, და მხოლოდ მობიბინე ვაციწვერას აშფოთებდა ვერცხლის ტალღებად დროდადრო მობერილი მსუბუქი ნიავი.

თითქმის ერთი საათი გავიდა; პერსტენი არსად ჩანდა. თავადს უკვე მოთმინება ელეოდა, მაგრამ უცებ, მისგან სამიოდ ნაბიჯზე, ვიღაც ამოიმართა ბალახებიდან. სერებრიანიმ ხმალზე გაიელო ხელი.

— დამშვიდდი, თავადო, ეს მე ვარ! — წარმოთქვა პერსტენმა და ჩაიცინა. — აი ზუსტად ასე მივუცოცდი თათრებსაც; ყველაფერი შევათვალიერე; ახლა მათ ბანაკს ჩემს ფაცხაზე ნაკლებად არ ვიცნობ. თუ ნებას

დამრთავ, თავადო, ათიოდე მამაცს წავიყვან, ჯოგს დავაფრთხობ და შიშით დავზაფრავ თათრებს; შენ კი მაშინ, თუ ინებებ, ორი მხრიდან დაარტყი იმათ, თან ომახიანი ყიჟინაც დაეც; ჰოდა, თათარი ვიყო, თუ მაგათი ნახევარი მაინც არ გავჟლიტოთ! ამას ისე ვამბობ, ამ ჩვენი ამბის თავმოსაბმელად; ნათქვამია, ღამის საქმეს მისი ოსტატი უკეთ მოუვლისო; ხოლო მზე რო ამოცურდება, მაშინ უკვე შენ თვითონ იცი შენი საქმისა, თავადო, ჩვენ კი მხოლოდ სმენა და გაგონება გვმართებს, სხვა არაფერი!

სერებრიანიმ იცოდა პერსტენის საზრიანობისა და მოხერხებულობის ამბავი და ნება დართო საკუთარი შეხედულებისამებრ ემოქმედა.

— ბიჭებო, — უთხრა პერსტენმა ყაჩაღებს, — ცოტა კი ვაწყენინეთ ერთმანეთს, მაგრამ ვინც ძველი გაიხსენოს, არაკაცი იყოს! იქნება თქვენს შორის ათიოდე მოხალისე, რომ თათრების ბანაკში გამომყვეს?

— ამოირჩიე ვინცა გსურს, — უპასუხეს ყაჩაღებმა, — ყველანი მზად ვართ.

— მადლობელი ვარ თქვენი, ბიჭებო; ჰოდა, რახან პატივი დამდეთ, აი ვინ მიმყავს: მოდექი აქეთ, პოდდუბნი, შენც ამასთან, ხლოპკო, შენცა, დიატელ, შენც, ლესნიკოვ, შენც, რეშეტო, თქვენც სტეპკა, მიშკა, შესტოპერ, ნაკოვალნია, სარანჩა! შენ სადღა მოძვრები, მიტკა? მე შენთვის არ დამიძახნია: დარჩი აქ, თავადთან, ჩვენ საქმეში შენ არ გამოდგები. ხმლები შეიხსენით, ბიჭებო, ცოცვაში ხელს შეგიშლით, ახლა დანებიც გვეყოფა. ოღონდ, ბიჭებო, იცოდეთ, უნდა გამიგონოთ, უჩემოდ ნაბიჯიც არ წადგათ! რახან ნებით მოდიხართ, რასაც გეტყვით, უნდა აასრულოთ. ოდნავადაც რომ გაჯანჯღლდეს რომელიმე, მაშინვე წესს ავუგებ!

— კეთილი, კეთილი! — მიუგეს პერსტენის არჩეულებმა. — როგორც ვეტყვი, ისე მოვიქცევით. რახან წმინდა საქმეზე წასვლა დავთქვით, ნუ გეშინია, არ წავკინკლავდებით!

— ხედავ, თავადო, იმ გორაკს? — განაგრძობდა ატამანი. — იქამდე რომ მიხვალთ, იმათ კოცონებსაც დაინახავთ. გირჩევ — გორაკთან დაიცადოთ, სანამ ჩემ ყიჟინას არ გაიგონებთ. ხოლო როგორც კი ჯოგს დავაფრთხობ და კივილი და ყიჟინა შემოგესმებათ, მაშინ კი დააცხერით ურჯულოებს; წასვლით ვერსად წაგვივლენ: ცხენები ხომ აღარ ეყოლებათ; თანაც ერთი მხრიდან ჩვენ ვიქნებით, მეორიდან კი მდინარეა და ჭაობი.

თავადმა აღუთქვა პერსტენს, რომ ყველაფერს მისი განკარგულებისამებრ აასრულებდა.

ამასობაში ატამანი ათი მამაცითურთ ჩებუზგის ხმას მიჰყვა და მალე ყველანი პალახებში ჩაიკარგნენ. ზოგი იფიქრებდა, მიმავლები იქვე ახლოს ვაყუჩდნენო; მაგრამ მახვილი თვალი შენიშნავდა, რომ იმ ადგილას პალახი ქარისგან დამოუკიდებლად და მის მიმართულებასთან შეუსაბამოდ ირხეოდა.

ნახევარი საათის შემდეგ პერსტენი და მისი ამხანაგები უკვე ახლოს იყვნენ თათრების კიბიტებთან.

ბალახში გაწოლილმა პერსტენმა თავი წამოჰყო.

მისგან ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე კოცონი ენთო და მის შუქზე რამდენიმე ბაშკირელი მოჩანდა. ისინი წრედ შეჯგუფებულიყვნენ და ფეხმორთხმით ისხდნენ. ზოგს ჭრელი ხალათი ეცვა, ზოგს ცხვრის ტყაპუჭი, ზოგსაც აქლემის მაუდის დახეული ხიფთანი. შუბები იქვე ჩაერჭოთ მიწაში და მათი გრძელი ჩრდილები ლამის პერსტენამდე წვდებოდა. რამდენიმე ათასი ცხენი, რომელთაც ბაშკირელები დარაჯობდნენ, შორიახლოს ძოვდა ერთად შეკუჩებული. ასიოდე ნაბიჯზე სხვა კოცონები ენთო და მათ შუქზე უთვალავი ნაბდის კიბიტა მოჩანდა.

ფხიზლად არ დარაჯობდნენ ბაშკირელები თავის რემას. მათ ისე გადმოლახეს მთელი გზა ვოლგიდან რიაზანამდე, რომ არსად წაწყდომიან წინააღმდეგობას; იცოდნენ, რუსთა ლაშქარი დაშლილი რომ იყო და არ ელოდნენ, თუ დამხდური გამოუჩნდებოდათ საიდანმე; მგლებისგან კი ჩებუზგითა და ყრონტით დავიცავთ თავსო, ფიქრობდნენ. და, აი, ოთხ მათგანს პირზე მიებჯინა სამკაულებიან-ჩუქურთმებიანი გრძელი დუდუკი, ვეება მკერდში ქარი ჩაეგუბებინა და თითების თამაშით სულმოუთქმელად აჭყვირებდა საკრავს ქანცის გადალევამდე. სხვები ყივანა ხმით მღეროდნენ და კოცონის შუქში კარგად ჩანდა მეტისმეტი დაძაბვისგან მთლად წამოჭარხლებული, ყვრიმალწამოშვერილი სახეები.

პერსტენი რამდენიმე წუთს სიამოვნებდა ამ სურათის ცქერით და გუნებაში ფიქრობდა: ახლავე მივუხტე დანით ბაშკირელებს და, გონს მოსვლა არ ვაცალო, ისე გამოვჭრა ყელი სუყველას, თუ ჯერ ცხენები გავაფრთხო და მხოლოდ მერე დავერიო მათო.

ერთიცა და მეორეც მაცდუნებელი იყო მამაცისთვის. „იფ, რა ჯოგია! — ფიქრობდა სულგანაბული, — ერთი მარჯვედ რომ დააფრთხო ეგ, მოგეცა ლხენა, სულ შლიგინ-შლიგინით გადათქერავს მაგათ კიბიტებს; ისეთი ალიაქოთი ატყდება, ერთმანეთს ველარ იცნობენ. მაგრამ ეს ოხრისშვილებიც კოხტად სხედან, ნამეტანი კოხტად! იფ, რანაირად გაჰყივიან; შეიძლება ორ ნაბიჯზე მიუცოცდე კაცი!“

და ატამანი ველარ მოერია ბაშკირელებისთვის სისხლიანი სეირის გამართვის ცდუნებას.

— რეშეტო, — ჩასჩურჩულა იქვე გვერდით გატრუნულ ამხანაგს, — ყელი რა დღეში გაქვს? დაჭყივლებას შეძლებ?

— შენ თვითონ რაღა მოგივიდა? — ჩურჩულით გამოეპასუხა რეშეტო.

— რა და, მგონი, ხრინწი შემეპარა ცოტა.

— თუ ეგრეა, დავიჭყივლებ, რატო არა. უკვე დროა?

— დაიცა, ჯერ ადრეა. შენ აი იმ მხრიდან მიუცოცდი ჯოგს, რაც შეიძლება ახლოს; მანამ იცოცე, სანამ ცხენები იგრძნობდნენ მიახლოვებას; ჰოდა, როგორც კი ყურებს დააცქვეტენ, მაშინვე დასჭყივლე, რაც შეგიძლია საზარლად. და პირდაპირ კიბიტებისკენ გამორეკე!

რეშეტომ თავი დაუქნია და ბალახებში გაქრა.

— აბა, ბიჭებო, — დანარჩენ ამხანაგებს უჩურჩულა პერსტენმა, — ცოცვით მომყევით ურჯულოებისკენ, ოღონდ, იცოდეთ, ფრთხილად. ხედავთ, იქ სულ ოციოდე კაცი იქნება, ჩვენ კი ცხრანი ვართ; თვითეული ორ-ორს მოვუვლით, ნე კი ოთხს ვიტოვებ საჩემოდ. რეშეტო რომ დასჭყივლებს, მაშინვე ჩვენც ყველამ ხაფად შევუძახოთ და დავერიოთ ოხრისშვილებს! აბა, მზადა ხართ?

— მზად ვართ! — ჩურჩულით მიუგეს ყაჩაღებმა.

ატამანმა სული მოითქვა, შეემზადა და ნელ-ნელა დაიწყო სარტყელიდან გრძელი დანის ამოცოცება.

XXVI თავი

ძმადგაფიცვა

სანამ თათრების ბანაკთან ეს ამბავი ხდებოდა, იქიდან ნახევარ ვერსზე მყოფი სერებრიანი მოუთმენლად ელოდა დათქმულ ნიშანს.

— თავადო, — უთხრა მაქსიმმა, რომელიც გვერდიდან არ მოშორებია მას მთელი ამ ხნის განმავლობაში, — დიდხანს ლოდინი აღარ მოგვიწევს, მალე ბრძოლა დაიწყება; მზე რომ ამოვა, ბევრი ჩვენგანი უკვე ცოცხალი აღარ იქნება, მე კი ერთი სათხოვარი მქონდა შენთან...

— რა სათხოვარი, ჩემო მაქსიმ?

— დიდი არაფერი, თავადო, მაგრამ არ ვიცი, როგორ გითხრა, გამხელა მრცხვენია...

— მითხარი, ჩემო მაქსიმ, ოღონდ შეგიძლო და, უარს როგორ ეტყვი!

— აი რა, თავადო, უნდა სიმართლე გითხრა გულახდილად! მე გამოპარული ვარ სლობოდიდან, მამაჩემის უნებურად, დედის უკითხავად წამოვედი. ოპრიჩნიკობა ველარ ავიტანე; ისე შემზიზღდა იქაურობა, მერჩია წყალში გადავვარდნილიყავი. მე ერთი ვაჟი ვყავარ დედ-მამას, ბოიარო, ძმა არასოდეს მყოლია. უკვე მეცხრამეტე წელში გადავდექი, მაგრამ, თუ დამიჯერებ, დღემდე არ მყოლია ვინმე გულით მახლობელი. ეულივით მარტოდ-მარტო ვცხოვრობ, უამხანაგოდ, ყველასთვის უცხო. იმათი საფიქრალი მხოლოდ ისაა, რამენაირად სხვა იმსხვერპლონ, რომ თვითონ მოექცნენ პატივში. დღე არ გავა, ვინმე არ აწამონ და არ მოაკვდინონ. თითქმის სულ ეკლესიაში ათენებენ და აღამებენ, ხალხს კი ავაზაკებზე უარესად იმეტებენ სასიკვდილოდ. ოღონდ რაც შეიძლება მეტი ოქრო და მამული იგდონ ხელთ, და თუნდ მთელი რუსეთი წყალს წაუღია! მეფე ხომ ასე უსაშველოდ მრისხანეა, მაგრამ ზოგჯერ ისიც შეისმენს ხოლმე სიმართლეს; იმათ კი არც ერთს არ მოუბრუნდება ენა მართლის სათქმელად! მარტო ის იციან, ყველაფერზე კვერი დაუკრან და ფინიებივით ელაქუცონ, რომ მისი წყალობა ეღირსოთ! არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, თავადო, და რომ დაგინახე, მაშინვე გული გამიხალისდა, თითქოს მოკეთეს შევხვედროდე! არც ვიცოდი, ვინ იყავი, მაგრამ უკვე შემიყვარდი; შენ თვალებიც ისეთი არა გაქვს, როგორც იმათ, და ხმაც სხვანაირად გიჟღერს. აი, გოდუნოვი, მართალი ითქვას, ყველას სჯობია იმათში, მაგრამ შენთან მაინც ვერ მოვა. გიყურებდი, როგორ იდექი, უიარაღო, დათვის პირისპირ; როგორ მოგაწოდა მაშინ ბასმანოვმა, იმ ბოიარის მოწამლის შემდეგ, ღვინის თასი; როგორ მიყავდით თავსაკვეთ მოედანზე; როგორ ელაპარაკებოდი დღეს ავაზაკებს. გიყურებდი და გული სულ შენკენ მომიწევდა, ლამის მოგვარდნოდი და კისერზე შემოგჭდობოდი! ნუ გიკვირს, თავადო, ჩემი ბრიყვული ბოდვა, — დაურთო მაქსიმმა და თვალები დახარა. — მე არ გაძალებ ჩემს მეგობრობას, ვიცი, შენი ტოლი არა ვარ; მაგრამ რა ვქნა, თუ თავს ველარ ვიკავებ; სიტყვები უნებლიეთ ამომდის პირიდან, გული თვითონ მოიწევს შენკენ!

— ჩემო მაქსიმ, — უთხრა ნიკიტა რომანოვიჩმა და ღონივრად ჩამოართვა ხელი, — მეც ღვიძლ ძმასავით შემიყვარდი!

— მადლობელი ვარ, თავადო, მადლობელი! ჰოდა, რახან ასეა, ბარემ ყველაფერი მათქმევინე, რაც გულში მიდევს. შენ, როგორც ვხედავ, არ გეთაკილები. მაშ ნება მომეცი, თავადო, ახლა, ბრძოლის წინ, ძმად გაგეფიცო ძველი ქრისტიანული ადათისამებრ; აი სულ ესაა ჩემი სათხოვა-

რი; ნუ გამირისხდები ამისთვის, თავადო. დანამდვილებით რომ ვიცოდე, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ერთად ყოფნა, მაშინ არ ვიქნებოდი ამის მთხოვნელი; მემახსოვრებოდა, რომ არ შეგფერის ჩემნაირი ძმადნაფიცი; მაგრამ ახლა...

— ღმერთს ნუ არისხებ, მაქსიმ! — სიტყვა შეაწყვეტინა სერებრიანიმ. — ვითომ რატომ არა ხარ ჩემი ძმა? ვიცი, ჩემი გვარი შენსაზე ღირსეულია, მაგრამ ეს როცა დარბაისელთ საკრებულოსა და აზნაურულ რიგობაზე მიდგება საქმე; აქ კი, თათრების პირისპირ, ტრიალს მინდორზე, ჩვენ თანასწორნი ვართ, ჩემო მაქსიმ, და ყველგან თანასწორნი ვართ, სადაც კი ღვთის წინაშე ვდგავართ და არა ხალხისა. დავძმობილდეთ, ჩემო მაქსიმ!

და თავადმა შემკულ ოქროს ძეწკვზე შებმული გულისჯვარი შეიხსნა და მაქსიმს გაუწოდა.

მაქსიმმაც აგრეთვე შეიხსნა აბრეშუმის ყაითანზე შებმული უბრალო, სპილენძის ჯვარი, ეამბორა მას და პირჯვარი გამოისახა.

— აჰა, ეს ჯვარი, ნიკიტა რომანიჩ; ამით დამლოცა დედაჩემმა, როცა ჯერ კიდევ ღარიბად ვცხოვრობდით და პატივში არ ვყავდით ივან ვასილევიჩს. გაუფრთხილდი ამ ჯვარს, ეგ ყველაზე ძვირფასია ჩემთვის.

მაშინ ორივემ კიდევ ერთხელ გადაისახა პირჯვარი, ჯვრები გაცვალეს და ერთმანეთი გადაკოცნეს.

მაქსიმს სახე გაებადრა.

— ახლა შენ ჩემი ძმა ხარ, ნიკიტა რომანიჩ! — სიხარულით თქვა მან. — რაც გინდა მოხდეს, მუდამ შენთან ვიქნები განუყრელად; ვინც შენი მეგობარია, ამიერიდან ჩემი მეგობარიც იქნება; ვინც შენი მტერია, ამიერიდან ჩემი მტერიცაა; დღეის იქით, რაც შენ გეყვარება, მეც ის მეყვარება, რაც შენ გაგარისხებს, მეც რისხვით ამანთებს, შენი ფიქრი ჩემი ფიქრიც იქნება! ამიერიდან სიკვდილსაც ღიმილით შევხვდები და სიცოცხლეც სანაღვლო აღარ მექნება: გვერდით მყავს ძმა, ვისთანაც უნდა ვიცოცხლო, ვისთვისაც უნდა მოვკვდე!

— მაქსიმ, — უთხრა ღრმად აღელვებულმა სერებრიანიმ, — ხედავს ღმერთი, რომ მეც სულითა და გულით გიწამე ძმად; მინდა შენთან ვიყო, სანამ სული მიდგას!

— მადლობელი ვარ, მადლობელი, ძმაო ნიკიტა; ნამდვილად არ გემართებს ჩვენ დაშორება! თუ ღმერთმა ქნა და ცოცხალი დავრჩით, კარგად მოვიფიქროთ, ერთად ვისაზროთ, რა ვიღონოთ სამშობლოსთვის, რით ვემსახუროთ წმინდა რუსეთს! ვერ დავიჯერებ, რომ სულმთლად წახდეს ჩვენი რუსეთი, რომ მეფის სამსახურიც მხოლოდ ოპრიჩნიკობით შეიძლებოდეს და სხვა გზა არ იყოს!

მაქსიმი უჩვეულო გზნებით ლაპარაკობდა, მაგრამ უცებ შეჩერდა და სერებრიანის ჩააკლო ხელი.

შორიდან გულგამგმირავი ჭყივილი მოისმა. თითქოს ჰაერი შეზანზარდა, მიწა იძრაო; თათრების ბანაკიდან შეშფოთებული ყვირილი, გაურკვეველი დრტვინვა დაირხა და სერებრიანისა და მაქსიმის შორიახლოს რამდენიმე ფაფარაშლილმა ცხენმა ჩაიქროლა.

— დროა! — თქვა სერებრიანიმ, უნაგირს მოეკრა და ხმალი იშიშვლა. — აბა, მისმინეთ ახლა, ბიჭებო, ერთმანეთში ნუ აირევით, ნურც აქეთ-იქით გაიფანტებით, თითოეულმა თქვენი ადგილი იცოდეთ! ღვთის შეწევნით, მომყევით მტრისკენ!

ყაჩაღები მარდად წამოხტნენ.

— დროა, დროა! — გაისმა ყველა რიგში. — თავადს ვუსმინოთ!

მთელი დუნდგო სერებრიანის მიჰყვა უკან, ფერდობს შეუდგნენ და სულ მალე გადაიარეს ბორცვი, რომელიც აქამდე მოწინააღმდეგის კოცონებს ფარავდა მათგან.

აქ ახალი, მოულოდნელი სანახაობის ხილვამ ვააოცა ყველანი.

თათართა ბანაკის მარჯვენა მხრიდან ველზე ცეცხლი მოიკლაკნებოდა. მისი უსწორმასწორო ტბორები თანდათან იზრდებოდა, ერთმანეთს ერთვოდა და ულმობლად მოცოცავდა ბანაკისკენ.

— შენი სულისა, პერსტენ! — შეჰყვირეს ყაჩაღებმა. — თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, თქვენი! ხედავთ, ველს ხანძარი გაუჩენეს, ცეცხლი ქარს გამოაყოლეს, პირდაპირ ურჯულო თათრებისკენ!

ხანძარი წარმოუდგენელი სისწრაფით ძლიერდებოდა; ბანაკის მარჯვნივ მთელი ველი ცეცხლის ზღვად იქცა; სულ მალე მისმა ტალღებმა განაპირა კიბიტები ააბრიალა და აწრიალებულ ჭიანჭველების ბუდეს დამსგავსებული ბანაკი გადაანათა.

ცეცხლით დამფრთხალი თათრები უწესრიგოდ გამორბოდნენ პირდაპირ ყაჩაღებისკენ.

— ჰკა მაგათ, ბიჭებო! — დაიქუხა სერებრიანიმ. — წყალში გადაყარეთ, ცეცხლში შერეკეთ!

თავადის საპასუხოდ ერთსულოვანი ყიჟინა გაისმა. ყაჩაღები თათრებს ეკვეთნენ და ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა...

მზე რომ ამოიწვერა, ბრძოლა ისევ გრძელდებოდა, მაგრამ მინდორი თათართა გვამებით იყო მოფენილი.

მტერმა, რომელსაც ერთი მხრიდან ხანძარი, მეორედან კი სერებრიანის რაზმი აეიწროებდა, გონს მოსვლაც ვერ მოასწრო და მდინარის

ჭაობიან ნაპირს მიაწყდა, სადაც ბევრი დაიხრჩო. სხვები ცეცხლის ალში დაიღუპნენ ან კვამლმა გაგუდა. დამფრთხალმა ჯოგმა ადრევე გადაიჯირითა ბანაკზე, კიბიტები გადათქერა და ისე დაარეტიანა თათრები, რომ ისინი ერთმანეთს თელავდნენ და, ცნობადაკარგულნი, თვითვე ჩეხავდნენ ერთიმეორეს. ერთმა ნაწილმა ცეცხლიდან გაღწევა მოასწრო და უწესრიგოდ მიმოიფანტა ველზე. მეორემ კი, რომელიც თვითონ შირინის მურზამ შიხმატმა შეაკოწიწა ძლივძლივობით, მდინარე გადაცურა და გაღმა ნაპირზე გამართა საბრძოლო რიგი. ათასობით ისარი მოზუზუნებდა იქიღან მოზეიმე რუსებისკენ. ყაჩაღები, რომლებსაც მბოლოდ ხელჩართული ბრძოლის იარაღი გააჩნდათ, უკვე ველარაფერს აკლებდნენ ჭაობიანი მდინარით დაცულ მტერს და, ისრების სეტყვით გაწამებულნი, შედრკნენ და აირივნენ.

ამაოდ ცდილობდა სერებრიანი ხვეწნითა და მუქარით მათ შეჩერებას. თათართა რაზმებმა, რომლებმაც მოზუზუნე ისრები ისაფრეს, უკვე მდინარის გადმოცურვაც დაიწყეს და უნდოდათ ზურგიდან დაერტყათ სერებრიანისთვის, რომ უეცრად პერსტენი გაჩნდა თავადის გვერდით. შავგვრემანი სახე მთლად გაფიცხებოდა, ხალათი შემოფხრეწოდა, დანიდან სისხლი მოუწვეთავდა.

— შეჩერდით, ძმებო! შეჩერდით, შეევარდნებო! — დასჭყივლა ყაჩაღებს. — თვალები დაგევსოთ თუ რა? ვერ ხედავთ, საშველად რომ მოდიან?

მართლაც, გაღმა ნაპირს ლაშქარი მოუყვებოდა საბრძოლო მწყობრით; მათი შუბები და ბერდიშები ამომავალ მზის სხივებში ელავდა.

— ეგენი ხომ ისევ თათრები არიან! — თქვა ვიღაცამ.

— თვითონ ხარ თათარი! — აღშფოთებით გამოედავა პერსტენი. — განა ურდო ასე მოდის? სად გინახავს ქვეითად მომავალი თათარი? იმას კი ვერ ხედავთ, წინ რომ მოუძღვით ტრედანა ცხენით? განა იმას თათრული აბჯარი აცვია?

— ქრისტიანები მოდიან! — გაისმა ყაჩაღთა შორის. — შესდექით, ძმებო, შესდექით, ქრისტიანები მოდიან ჩვენს საშველად!

— ხედავ, თავადო, — უთხრა პერსტენმა, — ისე გახელებით აღარ ისვრიან უკვე ის ოხრისშვილები — ჩანს, იაზრეს, რა დღეც მოელით! ახლა ვადროოთ, სანამ ის რაზმი შეებმებოდეს, მერე კი ფონს განახებ, გაღმა ვავიდეთ და გვერდიდან დავარტყათ!

ამასობაში ახალი ლაშქარი თანდათან მოახლოვდა და უკვე შეიძლებოდა მათი შეიარაღებისა და ტანსაცმლის გარჩევა. მათაც თითქმის ისევე ჭრელად ემოსათ, როგორც ყაჩაღებს. მოლაშქრეთა თავებს ზემოთ ხელკეტები ქანაობდა, ცელები და ოროლები აშეერილიყო. ისინი ნაუც-

ბათევად შეიარაღებულ გლეხებს ჰგავდნენ, და მხოლოდ მეწინავეებს ეცვათ ერთფერი ხიფთანები, ხელში კი ბერდიშები და შუბები უელავდათ. მათთანვე მოდიოდა ასიოდე მხედარიც, ასევე ერთფერი ხიფთანებით დამოსილი. ამ ლაშქარს ტანადი ჭაბუკი მოუძღოდა. მოელვარე ჩაფხუტიდან გრძელი ქერა თმა ჩამოშლოდა. მარჯვედ მოათამაშებდა ცხენს და ვერცხლებრ მოლაპლაპე ტრედანა ტაიჭიც ხან ყალყზე დგებოდა, ხან კოხტა, მოზომილი ნაბიჯებით მოგოგავდა და მტერთან შეხვედრის მოლოდინში ჭიხვინებდა.

ისრების ღრუბელი შეეგება ბელადსა და მის ლაშქარს.

ამასობაში სერებრიანიმ თავისი ხალხით ფონი გადაიარა, გაღმა გავიდა და მტრის დუნდგოში შეიჭრა. იმავე დროს მეორე მხრიდან თათრებს ახლად მოსულმა მაშველმა ლაშქარმაც შემოუტია.

უკვე ერთი საათი გავიდა ცხარე ბრძოლაში.

თავადი წამით გამობრუნდა მდინარისკენ, რომ ცხენი დაერწყულებინა და მოსართავები მოენაცვლებინა. მაქსიმმა ძმადნაფიცი დაინახა და ჭენებით გამოსწია მისკენ.

— რას იტყვი, ნიკიტა რომანიჩ, — მხიარულად უთხრა მან, — ჩანს, ღმერთი იცავს კურთხეულ რუსეთს. ნახე, თუ ჩვენ არ ვაჯობოთ!

— ჰო, — მიუგო სერებრიანიმ, — მადლობა აი იმ ბოიარს, სულზე რომ მოგვისწრო საშველად. ხედავ, როგორ ჩეხავს მარჯვნივ და მარცხნივ! ნეტავ ვინ არის? მგონი საღლაც უნდა მენახოს ეგ.

— როგორ, თავადო, ვერ იცანი?

— შენ კი იცნობ განა?

— ეჰ, მე როგორ არ ვიცნობ, ღმერთო ჩემო! ბევრი ცოდვა მიეტევება მაგას დღევანდელი საქმისთვის. შენც იცნობ მაგას, თავადო. ეგ ფედკა ბასმანოვია.

— ბასმანოვი? ეგა?! ნუთუ ის არის?

— სწორედ ის არის. მართლაც ველარ იცნობს კაცი, ისეა გამოცვლილი. რამდენჯერ მინახავს, ვაი სირცხვილო, კაბაგადაცმული, გოგოსავით რომ ცეკვავდა; ახლა კი, ჩანს, ჯავრზე მოსულა: გლეხები და შინამსახურნი შეუკრებია და თათრებთან საბრძოლველად წამოსულა; ალბათ, მაგაშიც გაიღვიძა რუსულმა სულმა. ეგ ძალა მაინც საიდან გაუჩნდა, საკვირველია! თუმცა, რას ვამბობ, აბა როგორ არ შეიცვლება კაცი ამნაირ დღეს! — აღტყინებით განაგრძობდა მაქსიმი და თვალები სიხარულით უელავდა. — დამიჯერებ თუ არა, თავადო, მეც ველარ ვცნობ საკუთარ თავს. სლობოდიდან რომ წამოვედი, სულ ის მეგონა, დიდხანს ველარ ვიცოცხლებდი ამ ქვეყნად. ურჯულოებთან საომრად მიმიწევდა

გული, ოღონდ ის კი არ მქონია გუნებაში, რომ მე დავამარცხებდი. საამისოდ ჩემზე ღირსეულები გამოჩნდებიან-მეთქი, ვფიქრობდი; მე მხოლოდ ის მინდოდა, თათრის ხმლისგან მეპოვა სიკვდილი. ახლა კი სხვა გუნებაზე ვარ; ახლა სიცოცხლე მწყურია! ხომ გესმის, თავადო, როცა ქარი ბრძოლის გუგუნს იტაცებს, როგორ გალობენ ცაში ტოროლები? აი მეც ასე მხიარულად მიგალობს გული! ისეთ ღონესა და ხალისს ვგრძნობ, მთელი საუკუნეც მოკლედ მომეჩვენებოდა. ეჰ, რა არ ვიფიქრე მას აქეთ, რაც ცისკარი ამოშუქდა! და ისე ცხადად, ისე მკაფიოდ ვიგრძენი, კიდევ რამდენი სიკეთე შეიძლება გააკეთო კაცმა სამშობლოში! შენ მეფე წყალობით მოგხედავს; ყოვლად წარმოუდგენელია, არ შეგიწყალოს. ღმერთმანი, შეგიყვარებს კიდეც. ჰოდა, მეც შენთან წამიყვანე; ერთად ვიფიქროთ და გავისარჯოთ, ადაშევისა და სილვესტრიევით. ყველაფერს, ყველაფერს გეტყვი, რაც გულში მიდევს, ახლა კი ნახვამდის, ნიკიტა რომანიჩ, დროა კვლავ იქით გავწიო; ბასმანოვი, მგონი, რკალში მოიმწყვდიეს. თუმცა არაკაცია, მაგრამ მაინც შველა უნდა!

თავადმა თითქმის მამობრივი ზრუნვით შეხედა მაქსიმს.

— თავს გაუფრთხილდი, მაქსიმ, — უთხრა მან, — შლეგივით ნუ მიეძალები ხმლების ჩახაჩუხს; ხედავ, ისედაც სისხლი გდის უკვე!

— ეგ, ალბათ, მტრის სისხლია, — მიუგო მაქსიმმა და მხიარულად შეათვალიერა თავისი ხალათი, — მე ნაკაწრიც არსად მატყვია; შენმა ჯვარმა დამიფარა!

ამ დროს ლელიანში მიმალული თათარი ამოცოცდა ნაპირზე, მშვილდი მოზიდა და მაქსიმისკენ სტყორცნა ისარი.

თათრის დაჭიმულმა მშვილდმა დაიზუზუნა, ლარმა დაიმღერა, ისარმა გაიწუილა და მაქსიმის თეთრი მკერდი დალახვრა, შიგ გულში გაუარა შანთივით ვარვარამ. მაქსიმი უნაგირზე შეტორტმანდა, ცხენის ფაფარს ჩააფრინდა; არ სურს მამაც ჭაბუკს ძირს დაცემა, მაგრამ გასრულდა მისი საათი, ახდა, რაც ბედად ეწერა, და იგი ნესტიან მიწაზე გადმოემხო, ცალი ფეხი კი უზანგში ჩარჩა. დამფრთხალმა ცხენმა ლორთქო მინდორზე აითრია თავისი მხედარი და, აი, მიფრინავს ველზე გულაღმა გაშხლართული, ფართოდ ხელებგაშლილი მაქსიმი, ხუჭუჭი თმებით მიხვეტავს მშობლიურ მიწას, მის უკან კი მინდორზე სისხლის კვალი მიიკლაკნება.

სლობოდაში სამწუხარო ამბავი მივა, ატირდება მაქსიმის დედა, რომ აღარა ჰყავს სანთლის ამნთები თავისი სულის მოსახსენებლად, რომ არავინ ჰყავს, უკანასკნელად დაუხუჭოს მოხუცს თვალები. ატირდება მდუღარე ცრემლით: თავის შვილს კი ვერ დაიბრუნებს!

სლობოდაში სამწუხარო ამბავი მივა, მალიუტა ველურ კბილებს დაახრჭიალებს, ტყვე თათრებს მოუვარდება, ციხეებში ზვინებად დადგამს წასხეპილ თავებს და სისხლის მწყურვალ სულს მოიოხებს: თავის შვილს კი ვერ დაიბრუნებს!

სერებრიანის ბრძოლაც გადაავიწყდა და თათრებიც; ველარ ხედავს, როგორ მიდენის ბასმანოვი ურჯულოებს; როგორ ცელავენ პერსტენი და ყაჩაღები ოტებულ მტერს; თავადი მხოლოდ იმას ხედავს, რომ ცხენი მინდორზე მიათრევს მის ძმადნაფიცს. და სერებრიანი უნაგირს მოევლო, ცხენს გამოენთო, წამოეწია, აღვირში მისწვდა, ძირს ჩამოხტა, მაქსიმი უზანგიდან გაათავისუფლა.

— მაქსიმ, მაქსიმ! — ჩასძახა მუხლებზე ჩაჩოქილმა და თავი წამოუწია, — ხომ ცოცხალი ხარ, ჩემო ძმადნაფიცო? თვალი გაახილე, ხმა გამეცი!

მაქსიმმა დანისლული თვალები გაახილა და თავადისკენ გაიწვდინა ხელები.

— მშვიდობით, ჩემო ძმადნაფიცო! არ გვეღირსა ერთად ცხოვრება. შენ ერთმა მაინც აასრულე, რის გაკეთებაც ორთავეს გვსურდა!

— მაქსიმ, — უთხრა სერებრიანიმ და მომაკვდავის გახურებულ შუბლს ეამბორა, — ანდერძად ხომ არაფერს დამიტოვებ?

— ჩემი უკანასკნელი სალამი გადაეცი დედაჩემს, უთხარი, რომ მის ხსენებაში დაველიე სული...

— ვეტყვი, მაქსიმ, ვეტყვი, — მიუგო სერებრიანიმ, რომელიც ცრემლებს ძლივს იკავებდა.

— ჯვარიც, — განაგრძობდა მაქსიმი, — ის, რომელიც მე მაქვს, მას გადაეცი... ჩემი კი თვითონ ატარე შენი ძმის სახსოვრად...

— საყვარელო ძმაო, — უთხრა სერებრიანიმ, — კიდევ ხომ არაფერს ინახავ გულში? ვისიმე ტრფობა ხომ არ მიგყვება? ნუ გერცხვინება, მაქსიმ, დედის გარდა, კიდევ ვისი დარდი ვაწუხებს?

— ჩემი სამშობლოს დარდი მაწუხებს, კურთხეული რუსეთის დარდი! დედაზე ნაკლებ არ მყვარებია ჩემი ქვეყანა, სხვა ტრფიალება კი არ მქონია!

მაქსიმმა თვალები დახუჭა. სახე უხურდა, სუნთქვა გაუხშირდა.

რამდენიმე წამს ასე იყო, მერე კვლავ თავადს მიაპყრო მზერა.

— ძმაო, — უთხრა მან, — წყალს რომ დამალევინებდე, სულს მოვითქვამდი, კამკამა ცივ წყალს!

მდინარე იქვე იყო; თავადი წამოდგა, ჩაფხუტით წყალი ამოხაპა და მაქსიმს მიაწოდა.

— ახლა თითქოს შვება ვიგრძენი, — თქვა მომაკვდავმა. — აბა ერთი წამომაყენე, მინდა პირჯვარი გადაეისახო!

თაეადმა მაქსიმი წამოაყენა. მან ჩამქრალი მზერა მოავლო მიდამოს, გაქცეული თათრები დაინახა და გაიღიმა.

— ხომ ვამბობდი, ნიკიტა რომანიჩ, ღმერთი ჩვენსკენაა-მეთქი, უყურე, როგორ მიმოფანტულან... მე კი უკვე თვალთ მიბნელდება... ეჰ, არ მინდოდა ახლა სიკვდილი!..

მაქსიმს პირიდან სისხლი წასკდა.

— ღმერთო, შენ მიიბარე სული ჩემი! — ამოთქვა მაქსიმმა და უსულოდ დავარდა მიწაზე.

XXVII თავი

ბასმანოვი

ბასმანოვის ხალხი და ყაჩაღები სერებრიანის შემოეხვიენენ.

თათრებმა მწარე დამარცხება იგემეს, ბევრი მათგანი ტყვედ ჩაბარდა, სხვები გაიქცნენ. მაქსიმს სამარე გაუთხარეს და პატივით დაასაფლაეეს. ამასობაში ბასმანოემა მდინარის პირას თავისი სპარსული კარავი დაადგმევინა, ხილო მისმა მსახურთუფროსმა, ლაშქრის ერთ-ერთმა მეთაურთაგანმა, სერებრიანის მოახსენა, ბოიარი სალამს გიძღვნის და გთხოვს ნუ იუკადრისებ სალაშქრო სადილსო.

ბასმანოვი, უკვე თმადავარცხნილი და სურნელნაპკურები, აბრეშუმის ბალიშებზე წამოწოლილიყო და სარკეში იცქირებოდა, რომელიც მის წინ მუხლებზე ჩაჩოქილ ყმაწვილ ჯილავდარს ეჭირა ხელში. ბასმანოვის გარეგნობა ცბიერების, მედიდურობის, ნებიერი გარყვნილებისა და ლაღი სიმამაცის უცნაური ნარევი იყო; და ამ ნარევში ის არაკეთილმოსურნეობაც იგრძნობოდა, რომელიც მუდამ და ყოველთვის ემჩნეოდა ოპრიჩნიკს ზემშჩინელის დანახვისას. ბასმანოვი გუნებაში ვარაუდობდა, სერებრიანის უნდა ვძულდეო, და ახლაც კი, მასპინძლობის წესის აღსრულებისას, იმაზე ფიქრობდა, როგორ მიეზღო სამაგიერო სტუმრისთვის, თუ ვინიცობაა იგი ამ სიძულვილს აგრძნობინებდა. კარავში შემოსულ სერებრიანის ბასმანოვი თავის დახრით მიესალმა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

— დაჭრილი ხარ, ფიოდორ ალექსეიჩ? — გულუბრყვილოდ ჰკითხა სერებრიანიმ.

— არა, დაჭრილი არა ვარ... — მიუგო ბასმანოვმა, რომელმაც დაცინვად მიიჩნია ეს სიტყვები და გადაწყვიტა ურცხვობით მიეზღო სამაგიერო, — არა, დაჭრილი არა ვარ, ოღონდ ცოტა შევღონდი და, მგონი, სახეც დავიწვი მზეზე; როგორ ფიქრობ, თავადო, — დაურთო მან, თან სარკეში იცქირებოდა და მარგალიტის საყურეებს ისწორებდა, — როგორ ფიქრობ, მალე გადამივა ნამზეური?

სერებრიანინმ არ იცოდა, რა ეპასუხნა.

— აფსუს, — განაგრძობდა ბასმანოვი, — დღეს აბანოში ველარ მოვასწრებთ, ჩემ მამულამდე ბარე ოცდაათიოდე ვერსი იქნება; ხვალ კი, თავადო, გთხოვ მეწვიო, დღევანდელზე უკეთ გიმასპინძლებ, ჩემს მროკველებს გაჩვენებ: სულ საგანგებოდ დარჩეული გოგოები მყავს, ბიჭები კი — ყველაზე უფროსი ოცი წლისაც არ იქნება.

ამას რომ ამბობდა, ბასმანოვი ძლიერად იჩლექდა ენას.

— მადლობელი ვარ, ბოიარო, მე სლობოდაში მივიჩქარი, — ცივად უპასუხა სერებრიანინმ.

— სლობოდაში? მაგრამ, შენ, მგონი, ციხიდან გაიქეცი?

— კი არ გავიქეცი, ფიოდორ ალექსეიჩ, ძალით გამიტაცეს. რახან აღვუთქვი მეფეს, ჩემით არსად წავიდოდი. ჰოდა, ახლა კვლავ მას ვაბარებ ჩემს ბედს.

— შენ, გეტყობა, სახრჩობელა მოგნატრებია? თუმცა რა, კაცია და გუნებაო! აი მე კი აღარ ვიცი, დავბრუნდე თუ არა?

— მაგას რათ ამბობ, ფიოდორ ალექსეიჩ?

— რატომ არ უნდა ვამბობდე, — თქვა ბასმანოვმა სინანულით ან, იქნებ, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ სერებრიანის ნდობა მოეპოვებინა, — თავდაუზოგავად ემსახურები მეფეს, სულს და ხორცს მას ანაცვალებ, ის კი, ვითომ არაფერიაო, ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც გოდუნოვს წამოგასკუპებს თავზე!

— მაგრამ შენ, მგონი, გწყალობს მეფე.

— მწყალობს! აგერ აქამდე ოკოლნიჩობაც არ მაღირსა. ჰოდა, რათა მერე, მე თუ არა ვარ მისი ყურმოჭრილი მონა, მაშ სხვა ვინღაა? ერთბაშად გოდუნოვი არ ემსახუროს ჩემებურად. ეგ თავს უფრთხილდება, აქაოდა ზემშჩინელებმა ცუდი არაფერი იფიქრონ ჩემზეო. — ეი, ბორის, საწამებელში გასწი, ბოიარი დაჰკითხე! — მივდივარ, ხელმწიფევ, ოღონდ ვაითუ გამაცუროს იმან, არა ვარ ამ საქმეს ჩვეული, გრიგორი ლუკიანიჩსაც უბრძანე ჩემთან წამოვიდეს! — ეი, ბორის, ეგერ იმ მაგიდასთან ზემშჩინის ბოიარი ცოტას სვამს, ღვინო მიართვი იმას, გამიგე? — გაგიგე, ხელმწიფევ, ოღონდ იმას რაღაც ეჭვი აქვს ჩემზე, სჯობდა ფედკა

ბასმანოვი გაგეგზავნა! — ფედკა კი არაფერს ირიდებს, საითაც გაგზავნიან, იქით მიდის. ოღონდ კი მეფემ თვალი უყოს — ღვიძლ ძმას შეასმევს სამსალას და არც იკითხავს, რისთვის და რატომო. გახსოვს, მაშინ ივან ვასილევიჩისგან მოკითხული თასი რომ მოგაწოდე? მე მეგონა სამსალიანი იყო ის თასი, ღმერთმანი, ასე მეგონა, თავადო!

სერებრიანიმ ჩაიცინა.

— ახლა ისიც იკითხოს... — განაგრძობდა ბასმანოვი, თითქოს უფრო მეტი თავხედობისთვის წაქეზებული, — ისიც იკითხოს, სად იპოვის ჩემზე ლამაზ მსახურს? გინახავს, თავადო, ვინმე ჩემნაირი წარბების პატრონი? რით არ არის ეს წარბები სიასამურის? ახლა თმები? ერთი შეავლე ხელი, თავადო, მოსინჯე, ნამდვილი აბრეშუმია... ღმერთმანი, აბრეშუმია!

სერებრიანის ზიზღი გამოეხატა სახეზე. ბასმანოვმა შენიშნა ეს და კვლავ თავისებურად განაგრძო, თითქოს სტუმრის გაღიზიანება სურსო:

— ახლა ჩემს ხელებს არ იკითხავ? ნახე, თავადო, რით არ არის ეს ქალწულის ხელი? ოღონდ, დღეს დავიკოჟრე ცოტათი. რას იზამ კაცი, ასეთი ზნე მაქვს, ყველაფერში თავდაუზოგავი ვარ!

— მართლაც თავდაუზოგავი ხარ, — უთხრა სერებრიანიმ, რომელიც უკვე აღშფოთებას ვეღარ იკავებდა. — თუ ყველაფერი მართალია, რასაც შენზე ამბობენ...

— მაინც რას ამბობენ ჩემზე? — აღარ დააცალა ბასმანოვმა და ცბიერად მოჭუტა თვალები.

— კაცმა რომ თქვას, ისიც საკმარისია, რასაც თვითონ ამბობ; ისე კი ლაპარაკობენ, რომ, ღმერთო ნუ მიწყენ, გოგოსავით კაბაგადაცმული ცეკვავ მეფის წინაშე!

ბასმანოვს ალმური წაეკიდა სახეზე, მაგრამ ამჯერადაც მისთვის ჩვეული ურცხვობა მოიშველია.

— მერე რა, — თქვა მან და უდარდელი იერი გამოისახა, — თუ მართლაც ვცეკვავ?

— მაშინ, ნახვამდის, — უთხრა სერებრიანიმ, — მე არათუ შენთან პურის ჭამა, შენი ცქერაც კი მერცხვინება!

— აჰა! — შეჰყვირა ბასმანოვმა და ერთბაშად გაუქრა მოგონილი უდარდელობა, თვალებიც წამოენთო, ენის ჩლექაც გადაავიწყდა, — აჰა! ბოლოს მაინც დაუცდა! კარგად ვიცი, რასაც თქვენ ფიქრობთ ჩემზე! ჰოდა, მართალი თუ გინდა, ჩემდათავად მიმიფურთხებია თქვენთვის სუყველასთვის!

სერებრიანიმ წარბები შეჰყარა და უნებლიეთ ხმლის ვადისკენ წაუ-

ვიდა ხელი, მაგრამ ნიაგონდა, ვისაც ელაპარაკებოდა, და მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— რაო ვითომ, ხმლისკენ რომ გაგირბის ხელი? — განაგრძობდა ბასმანოვი. — მაგით ვერ შემაშინებ, შვილოსან. თუ მეც ხმალი ავიღე, მაშინ ვნახავთ, ვის რა დღე დაადგება ჩვენ ორში!

— მშვიდობით! — უთხრა სერებრიანინმ და კარვის კალთა გადასწია, რომ გასულიყო.

— ყური მიგდე! — შეჰყვირა ბასმანოვმა და ხიფთანის კალთაში სწვდა თავადს, — სხვა ვინმეს რომ შეეხედა ჩემთვის მაგნაირი თვალებით, ღმერთია მოწამე, არ ვაპატიებდი, მაგრამ შენთან ჩხუბი არ მინდა! ერთობ მარჯვედ ჩეხავ თათრებს!

— არც შენ ყოფილხარ ჯაბანი... — გულკეთილად უთხრა სერებრიანინმ, რომელსაც უცებ გაახსენდა, როგორ იბრძოდა ბასმანოვი, და გასასვლელში შეჩერდა, — არც შენ ჩეხავდი ურჯულოებს ჩემზე ნაკლებად. ჰოდა, რა არი, კვლავ მანჭვა-გრეხა რომ მოგინდა, თითქოს ვილაც კოკობზიკა იყო!

ბასმანოვს კვლავ უდარდელი იერი დაედო სახეზე.

— კარგი, ჰო, ნუ ჯავრობ, თავადო! მე განა მუდამ ასეთი ვიყავი; სლობოდაში კი, შენც იცი, ძალაუნებურად დაეჩვევი კაცი ყველაფერს!

— ღმერთს ნუ სცოდავ, ფიოდორ ალექსეიჩ! როცა ცხენზე ზიხარ, ხმალამოწვდილი, გული ხარობს, შენი მაყურებელი; სიმამაცეც გამოიჩინე დღეს, არაფერი სჯობდა შენს ყურებას. ჰოდა, ბარემ დაივიწყე ეგ დიაცური საქციელი, თმა შეიკრიჭე, როგორც ღმერთს უბრძანებია, კიევში ან სოლოვეცში წადი მოსანანიებლად და ქრისტიანი დაბრუნდი მოსკოვს.

— კარგი, ნუ ბრაზობ, ნუ ბრაზობ, ნიკიტა რომანიჩ! დაჯექი, ჩემთან ისადილე, ძაღლი ხომ არა ვარ, მართლა და მართლა, ჩემზე უარესებიც იპოვებიან; ესეც არა, განა ყველაფერი მართალია, რასაც ჩემზე ამბობენ; ხმებს ნუ აჰყვები. ჯავრიან გულზე ზოგჯერ თვითონაც ეუგონებ ხოლმე საკუთარ თავს ზოგ-ზოგ რაღაცებს.

სერებრიანის შვება აგრძნობინა იმან, რომ საშუალება მიეცა უფრო კარგი თვალით შეეხედა ბასმანოვის საქციელისთვის, და სწრაფად ჰკითხა მასპინძელს:

— მაშ დიაცის კაბით შენი ცეკვის ამბავი მოგონილია?

— ეჰ, ნეტავ რას ჩააცივდი ამ დიაცის კაბას! ხომ არ გგონია, მეხალისებოდეს იმისი ჩაცმა! განა არ იცნობ მეფეს? ან ისედაც, წმინდანობას ვაპირებ, თუ რა? უმაგისოდაც, იცოცხლე, ვმარხულობ სლობოდაშ

მის საამებლად; ერთი ციხკრის ლოცვაც არ გამიცდენია; ყოველ ოთხშაბათობითა და პარასკეობით ას-ასჯერ მაინც ვმეტანიობ მუხლმოდრეკილი; მიკვირს, აქამდე შუბლი როგორ არ გავიხეთქე! აბა ერთი შენ გამოსცადე მთელი კვირაობით სტიქარში სიარული და ნახავ მაშინ, თუ გაბეზრებულმა თვითონაც არ გადაიცვა დიაცის კაბა.

— უმალ თავსაკვეთ კუნძზე დავდებდი თავს! — თქვა სერებრიანიმ.

— ვითომ? — დამცინავად წარმოთქვა ბასმანოვმა, ბოროტი მზერა შეავლო თავადს და მინდობილად განაგრძო: — ხომ არ გგონია, ნიკიტა რომანიჩ, მსიამოვნებდეს, მეფის წყალობით უკვე ფიოდორს კი არა, ფედორას რომ მეძახიან? რამე სარგებელი რომ მქონდეს ამისგან, კიდევ ჰო! მაგრამ სარგებელი მთლად მისია, მე კი მხოლოდ შერცხვენა მრჩება! აი თუნდ ამასწინებზე, დოროგომილოვის სლობოდაზე ჩავიარე, გლეხუჭები კი თითს იშვერდნენ ჩემკენ, ხოლო ვიღაცამ კიდეც დაიყრანტალა: „აგე, მეფის ფედორა მოდისო!“ იცოცხლე, დაეედევნე იმათ, მაგრამ გამექცნენ. მივედი მეფესთან, ვეუბნები: ასე და ასეა-მეთქი, ნუ დაანებებ დოროგომილოველებს შენი მონა-მსახურის აბუჩად აგდებას, აგერ ერთმა იმათგანმა უკვე ფედორა დამიძახა-მეთქი. „მერმე ვინ დაგიძახაო?“ — ეგ რომ ვიცოდე, განა შენ შეგაწუხებდი ჩივილით, თვითონვე გამოვლადრიდი-მეთქი ყელს. „მაშ, წადიო, მეუბნება, სიასამურის ბეწვი აიღე ჩემი საჭურჭლედან სათბუნებელისთვისო“. — რა ჭირად მინდა-მეთქი! ჰაი დედასა, გოდუნოვს ალბათ არც აკადრებდი სათბუნებელის ჩაცმას, მე კი აბა რითი ვარ იმაზე ნაკლები-მეთქი? „მაშ რა გსურს, ფედია, რა გიწყალობოო?“ — რა მსურს, და ოკოლნიჩობა მიბოძე, რომ ხალხი პირში ვეღარ მძრახავდეს-მეთქი! „არაო, მეუბნება, ოკოლნიჩობას ვერ ეღირსებიო; შენ ჩემი შემაქცევარი ხარ, გოდუნოვი კი მრჩეველიო; შენ ხაზინა, იმას კი პატივიო. ხოლო დოროგომილოველებმა რომ ფედორა დაგიძახეს, ამისთვის მთელი სადოროგომილოვო ჩემს სამეფო მფლობელობაში გადმოიწეროსო!“ აი რა ფასი აქვს მის შემაქცევარს! თუმცა რა, მას აქეთ, რაც მოსკოვი დავტოვეთ, შექცევაც არ გვღირსებია. სულ ვმარხულობთ და ვლოცულობთ. მოწყენილობით ილაჯგამწყდარმა, სამკვიდრო მამულში დაბრუნება ვთხოვე, მაგრამ იქაც მომბეზრდა. მთელ ცხოვრებას კურდღლებსა და მწყერებზე ნადირობას ხომ ვერ გადააყოლებ კაცი! ღმერთმანი, გამიხარდა კიდეც, თათრების ამბავი რომ მოვიდა. იცოცხლე, კარგად კი დავცხეთ იმათ, ღმერთმანი, კარგად! ტყვეებსაც ბლომად მივრეკავთ მოსკოვს! ჰო, კინაღამ დამავიწყდა ეგ ტყვეები! მშვილდის სროლა თუ იცი, თავადო?

— რათ მეკითხები?

— ისე. ნასადილევს თათარი მივაბათ ასიოდ ნაბიჯზე და გავეჯრბროთ: პირველად რომელი მოვარტყამთ გულში. რაც გულს ასცდება, არ ითვლება. თუ მოკვდა, სხვას მივაბამთ.

სერებრიანის უბოროტო სახე მოეღრუბლა.

— არა, — უთხრა მან, — გათოკილ კაცს მე არ ვესვრი.

— მაშინ გაქცევა ვუბრძანოთ: ვინც პირველი წააქცევს გაქცეულს.

— არც მაგას ვიზამ, და შენც არ დაგანებებ! მადლობა ღმერთს, აქ ალექსანდრეს სლობოდა არ არის!

— არ დამანებებ? — შეჰყვირა ბასმანოვმა და კელავ წამოენთო თვალები, მაგრამ, ეტყობა, გუნებაში არ ჰქონდა ახლა თავადთან ჩხუბი, ამიტომ უეცრად შეიცვალა საქციელი და მხიარულად უთხრა: — ეჰ, თავადო! განა ვერ ხედავ, რომ გეხუმრები? დიაცის კაბის ამბავიც კი დაიჯერე! აი უკვე ნახევარი საათია ვქილიკობ, შენ კი ყველაფერს, რასაც ვამბობ, სიმართლედ მიიჩნევ! ჰოდა, რომ იცოდე, შენზე მეტად მომაძულა თავი სლობოდის ჩვეულებებმა! შენ გგონია, გულზე მახატია გრიაზნოი, ან ვიაზემსკი, ან მალიუტა? ღმერთს გეფიცები, ეკალივით მჩხვლეტს თვალში მაგათი დანახვა! ყური მიგდე, თავადო, — შემპარავად განაგრძო მან, — იცი რას გეტყვი? მოდი, ჯერ მე მადროვე სლობოდაში მიბრუნება, მეფეს შენს პატიებას გამოვთხოვ, ხოლო როცა კელავ მის წყალობას ეღირსები და დაგიახლოვებს, მაშინ შენც გამიწიე სამაგიერო სამსახური. საკმარისია ერთი-ორი სიტყვა უჩურჩულო მეფეს ჯერ ვიაზემსკიზე, მერე მალიუტაზე, მერე კიდევ სხვებზეც, და ნახავ, თუ მარტო მე და შენ არ დავრჩეთ მის სიახლოვეს. ვისზე რა ვუთხრა, იცოცხლე, მე თვითონაც არ შემეშლება, ოღონდ სჯობს ჩემგან კი არა, სხვისგან გაიგონოს. ფიქრი ნუ გაქვს, მე გასწავლი, რა და როგორ ელაპარაკო, მერე თვითონ მეტყვი მადლობას.

უცნაური გრძნობა იპყრობდა ბასმანოვის მაცქერალ სერებრიანის. ამ კაცის სიმამაცე და თავისი სამარცხვინო ცხოვრების გამო ყრუ წუხილი მისდამი თანაგრძნობას უღვიძებდა თავადს. ერთი პირობა ლამის ისიც იფიქრა, აქამდე ბასმანოვი მართლაც ხუმრობდა ან ბოღმისგან ჭორავდა საკუთარ თავსო, მაგრამ ბოლო წინადადებამ, რომელიც, ეტყობა, ხახუმაროდ არ იყო ნათქვამი, ადრინდელი ზიზღი გაუღვიძა სერებრიანის.

— აბა, — თქვა ბასმანოვმა და უტიფრად შეაცქერდა თვალებში, — რას იტყვი, თანაბრად გავინაწილოთ მეფის წყალობა? რას გაჩუმებულხარ, თავადო? იქნებ არ გჯერა ჩემი?

— ფიოდორ ალექსეიჩ... — უთხრა სერებრიანიმ, თან ცდილობდა აღ-

შფოთება დაეოკებინა და რაც შეიძლება თავაზიანი ყოფილიყო მასპინძელთან, — ფიოდორ ალექსეიჩ, რასაც შენ მთავაზობ, ეგ ხომ... აბა როგორ ვითხრა?.. ეგ ხომ...

— პო, რაო? — ჰკითხა ბასმანოვმა.

— ეგ ხომ სიმდაბლეა! — ამოთქვა სერებრიანიმ და გუნებაში გაიფიქრა, რაკი ხმა შევარბილე, ამით ჩემი ნათქვამიც შევალამაზეო.

— სიმდაბლეა! — გაიმეორა ბასმანოვმა და შეეცადა გაოცების ნიღაბში დაემალა ყელს მოწოლილი სიბრაზე. — შენ, ჩემო კარგო, ხომ არ გაიწყდება, ვისზე გელაპარაკები? განა რამე გწამს ვიაზემსკის ან მალიუტასი?

— ღვთის რისხვაც დასტყდომია მაგათ და მთელ ოპრიჩნინასაც! — უთხრა სერებრიანიმ. — ნეტავ მეფემ მათქმევინოს და თვითონ იმათ თვალწინ ვეტყვი დაუფარავად ყველაფერს, რასაც ვფიქრობ და რაც ვიცი, მაგრამ ყურში ჩურჩულს კი არავიზე არ დავუწყებ, მით უმეტეს, შენი რჩევით, ფიოდორ ალექსეიჩ!

შხამიანმა მზერამ დაჰკვესა ბასმანოვის თვალებში.

— მაშ არ ვინდა ჩემთან ვაინაწილო მეფის წყალობა?

— არა, — მიუგო სერებრიანიმ.

ბასმანოვმა თავი ჩაპკიდა, ორივე ხელი ზედ წაივლო და აქეთ-იქით რწევა დაიწყო.

— ვაი შენ, ობოლო ჩემო თავო, ობოლ-ოხერო! — გაბმით წამოიწყო მან, თითქოს მოსთქვამსო, — ობოლი ვარ, ბედშავი, ბედუკულმართი! მას აქეთ, რაც მეფემ გადამიყვარა, ყველა იმის ცდაშია, რამენაირად დამჩაგროს და დამიბრიყვოს! კაცი არ არის ამ ქვეყნად, მომეფეროს, ალერსი გამოიმეტოს, მხოლოდ ფურთხი ემეტებათ ჩემთვის, სხვა არაფერი! ვაი ამ ყოფას, გაუბარელ, უმადურ ყოფას! უკვე მომბეზრდი, ძაღლურო ყოფავ! სარტყელს შევიხსნი, კადონზე გამოვაბამ და ყულფში გავყოფ ამ ბედოვლათ თავს!

სერებრიანი გაოცებით შეჰყურებდა ბასმანოვს, რომელიც ისე მოსთქვამდა და ჰგოდებდა, როგორც მოზარე დედაკაცები მიცვალებულებზე, და მხოლოდ დროდადრო, მალულად, აპარებდა უტიფარ მზერას თავადისკენ, თითქოს იმის შეტყობა სურდა, აბა, რა შთაბეჭდილება მოვახდინეო.

— ფუჰ! — თქვა ბოლოს სერებრიანიმ და გასვლა დააპირა, მაგრამ ბასმანოვი კვლავ კალთაზე წაეპოტინა.

— ჰეი! — დასძახა მან. — მომღერლებს უხმეთ!

კარავში რამდენიმე კაცი შემოილალა. ისინი, ალბათ, გარეთ ელოლე-

ბოდნენ მის დაძახილს. ამ ხალხმა გასასვლელი გადაუღობა სერებრიანის.

— ძმებო, — დაიწყო ბასმანოვმა იმავე მტირალა ხმით, — აბა ერთი სიმღერა დააკვნესეთ, ნაღვლიანი სიმღერა, ისეთი, რომ სული დამიდარდიანოს, ამიფორიაქოს და სხეულს გამაცალოს!

მომღერლებმა გაბმით წამოიწყეს გრძელი, სევდიანი სიმღერა, სულთათანასავით, ბასმანოვი კი ჰანგის აყოლებით ნელ-ნელა ირწეოდა აქეთ-იქით და გაიძახოდა:

— უფრო სევდიანად, უფრო მკვნესარედ! კიდევ უფრო მკვნესარედ, ძმებო! წესი აუგეთ თქვენს ბოიარს, გამოიტირეთ! აი ასე! აი ეგ მომწონს! ბიჭოს, რატომ არ ეცლება, ნეტავ, ეს ჩემი სული ამ ოხერ სხეულს? თუ, ჯერ კიდევ არ დამდგარა მისი საათი? ნუთუ ჯერ კიდევ მიწერია ქვეყნად ჯახირი? ჰოდა, თუ მიწერია, მაშინ ბარემაც ვიჯახირო! თუ დათქმული მაქვს კიდევ სიცოცხლე, ბარემ ვიცოცხლო! საცეკვაო! — უცებ დასჭყივლა მან, ყოველგვარი შემზადების გარეშე, და ამგვარ ფერისცვალებას ნაჩვევმა მომღერლებმაც საცეკვაო დააგუგუნეს. — აბა, ცოცხლად! — ყვიროდა ბასმანოვი, რომელმაც ახლა ვერცხლის სასმისები აიტაცა ორივე ხელში და ერთმანეთს ახლიდა მათ: — უფრო ცოცხლად, შევარდნებო! ცოცხლად-მეთქი, თქვე ეშმაკის ნაშიერებო! მე თქვენ გიჩვენებთ, ყაჩაღებო!

ბასმანოვს სულ შეეცვალა გარეგნობა. დედაკაცური იერის ნასახიც აღარ შერჩა სახეზე. სერებრიანიმ ის მამაცი იცნო, რომელიც დილით სწორედ იქ ეძალებოდა, სადაც უწყალო ხოცვა-ჟლეტა იყო გაჩაღებული, და ფარასავით მიდენიდა ლტოლვილ თათრებს.

— აი ეს უკვე სხვა ამბავია! — ჩაილაპარაკა თავადმა და მოწონებით დაიქნია თავი.

ბასმანოვმა მხიარულად გადმოჰხედა მას.

— შენ კი წელანაც დაიჯერე ჩემი, თავადო! გეგონა, მართლა ვიცრემლებოდი! ეჰ, ნიკიტა რომანიჩ, რა იოლია შენი გაცურება! მაშ, მოდი, ჩვენი გაცნობისა დავლიოთ. თუ ერთად ვიქნებით, ნახავ, რომ ის არა ვარ, რაც შენ გეგონე!

უზრუნველმა ღრეობამ და შმაგმა მხიარულებამ გული აუჩქროლა ნიკიტა რომანოვიჩს. მან თასი ჩამოართვა ბასმანოვს.

— შენსას რას მიხვდება კაცი, ფიოდორ ალექსეიჩ! არც შევხვედრივარ ოდესმე შენნაირს. რა გითხრა, ეგებ, მართლაც კი ხარ იმაზე უკეთესი, როგორიც ჩანხარ. აღარც ვიცი, რა ვიფიქრო შენზე, მაგრამ

ღმერთმა ბრძოლის ველზე შეგვახვედრა ერთმანეთს და რახან ასე მოხდა: შენი დღეგრძელობისა იყოს!

და თავადმა ძირამდე დასცალა თასი.

— ასე, თავადო! ასე, ჩემო სულო და გულო! ხედავს ღმერთი, რომ მიყვარხარ! ახლა ეს ერთი სასმისიც ავწიოთ და რუსთა მიწაზე ყველა თათრის გადაშენების დავლიოთ ბარემ!

სერებრიანი კარგი მსმელი იყო, მაგრამ მეორე სასმისმა გონება დაუბინდა. სასმელი იყო ჩვეულებრივზე უფრო მათრობელა თუ ბასმანოვმა შეურია რამე, ვინ რა იცის, მაგრამ თავადს კი თავბრუ დაესხა; თავბრუ დაესხა და უკვე ველარაფერს ველარ ხედავდა; ყურში კი კვლავ ჩაესმოდა შმაგი სიმღერა, ზედ აყოლებული სტვენა, ფეხების ბაკუნი და ბასმანოვის შეძახილები:

— ცოცხლად, ბიჭებო! გეძინებათ თუ რა დაგემართათ? ვის ასაფლავებთ, ქურდ-ბაცაცებო!

როცა სერებრიანი გონს მოეგო, კვლავ გაისმოდა სიმღერა, მაგრამ თვითონ ფეხზე აღარ იდგა, სპარსულ ბალიშებზე იყო წამომჯდარი თუ წამოწოლილი. ბასმანოვი კი თავისი ჯილავდარის დახმარებით ცდილობდა ქალის კაბა ჩაეცმია მისთვის.

— ჩაიცვი ბარემ შენი ხიფთანი, ბოიარო! — ეუბნებოდა ის, — უკვე აგრილდა, ვაითუ შეგცივდეს!

ამასობაში მომღერლებმა ერთი მუხლი ჩაათავეს და ახლა სულს იბრუნებდნენ.

სერებრიანის ჯერ კიდევ უჭრელდებოდა თვალები, გონებაც მთლად არ დაწმენდოდა, და უკვე აპირებდა კაბის ჩაცმას, რომელიც მართლა ხიფთანი ეგონა ბურანში მყოფს, რომ წამიერ სიჩუმეში გაბმული ყმუილი გაისმა.

— ეს რაღაა? — ბრაზიანად იკითხა ბასმანოვმა.

— ქოფაკი ყმუის სკურატოვის საფლავზე! — უპასუხა ჯილავდარმა, რომელმაც ყმუილის გაგონებისთანავე გაჰყო თავი კარვიდან.

— აბა მომაწოდე მშვილდ-ისარი, მე მაგას ვასწავლი ყმუილს, როცა ჩვენ აქ სტუმართან ვილხენთ.

მაგრამ სკურატოვის ხსენებაზე სერებრიანი მთლად გამოფხიზლდა.

— მოიცა, ფიოდორ ალექსეიჩ, — თქვა მან და წამოდგა, — ეგ მაქსიმის ბუიანია, ხელი არ ახლო; ჩემი ძმადნაფიცის საფლავზე მიხმობს; მეტისმეტად გავერთე შენთან ქეიფით; ნახვამდის, უკვე დროა გზას გავუდგე!

— ბარემ ხიფთანი ჩაგეცვა ჯერ, თავადო!

— საჩეროდ არ შეუკერავთ ეგ, — უთხრა სერებრიანიმ, რომელმაც უკვე გამოიცნო ლიაცის კაბა, ბასმანოვს რომ ეჭირა გამოწვდილ ხელში, — თვითონ აცარე, როგორც აქამდე გიტარებია.

ეს რომ თქვა, პასუხსაც არ დალოდებია, გააფურთხა და კარვიდან ეავიდა.

მიმავალს ბასმანოვის წყევლა-კრულვა, ვინება და ულვთო მუქარა ესმოდა; მაგრამ თავადს ყურადღება არ მიუქცევია მათთვის, მაქსიმის საფლავთან მივიდა, მუხლი მოიყარა, ღმერთს შეავედრა მისი სული, გამოეთხოვა ძმადნაფიცს და ბუიანის თანხლებით მიაშურა ყაჩაღებს, რომლებსაც პერსტენის მეთაურობით უკვე კოცონები აეგიზგიზებინათ და, ცეცხლის პირას მიწოლილებს, ძილისთვის მიეცათ თავი.

XXVIII თავი

განშორება

ირიკრაკა თუ არა, პერსტენმა მაშინვე წამოშალა ბრბო.

— ბიჭებო! — უთხრა ყაჩაღებს, როცა ყველამ მასთან და თავადთან მოიყარა თავი, — აი თქვენთან განშორების საათიც დამიდგა. ნაბვამდის, ბიჭებო! კვლავ ვოლგაზე მივდივარ. ავად ნუ მოიგონებთ, თუ თქვენთვის რამე დამიშავებია.

და პერსტენმა მდაბლად დადრიკა თავი ყაჩაღების წინაშე.

— ატამანო! — ერთხმად ალაპარაკდნენ ტყის შვილები: — ნუ მივატოვებ! აბა სად უნდა წავიდეთ უშენოდ?

— თავადს გაჰყევით, ბიჭებო. გუშინდელი საქმით უკვე გამოისყიდეთ თქვენ-თქვენი დანაშაული; შეგიძლიათ კვლავ იმად იქცეთ, რაც წინათ იყავით; ხოლო თავადი არ მიგატოვებთ თქვენ!

— მამაცებო, — წარმოთქვა სერებრიანიმ, — მე ფიცით აღვუთქვი მეფეს, რომ მის სამართალს არ გავექცეოდი. თქვენც იცით, ჩემი ნებით არ წამოვსულვარ საპყრობილედან. ჰოდა, ახლა ჩემი სიტყვა უნდა ავასრულო, მეფესთან წარვსდგე მის სამსჯავროზე. გსურთ თუ არა ჩემთან წამოსვლა?

— მერმე გვაპატიებს მეფე ჩვენს დანაშაულს? — ჰკითხეს ყაჩაღებმა.

— ეგ ღმერთმა უწყის და სხვამ არავინ; მე კი ტყუილს ვერ გეტყვით. შეიძლება გაპატიოთ, შეიძლება — არა. იფიქრეთ, მოისაუბრეთ ერთმა-

ნეთში და მერე მითხარით, ვის გსურთ წამოსვლა, ვის კიდევ აქ დარჩენა.

ყაჩაღებმა ერთმანეთს გადახედეს, გვერდზე მიდგნენ და ხმადაბალი ბჭობა დაიწყეს. ერთხანს ინურჩულეს და მერე კვლავ სერებრიანისთან დაბრუნდნენ.

— მოვდივართ შენთან, თუ ატამანიც წამოვა!

— არა, ბიჭებო, — თქვა პერსტენმა, — მე თხოვნას ნუ დამიწყებთ. თავადსაც რომ არ გაჰყვეთ, სულ ერთია, ჩვენი გზები გაყრილია. მეყოფა, რაც აქ გავერთე, უკვე დროა სამშობლოში დავბრუნდე. ესეც რომ არა, ჩვენ ცოტათი წავკინკლავდით ერთმანეთში, ერთხელ გაწყვეტილ თოკს კი, როგორც უნდა გადაბა, მაინც კვანძი ექნება. თავადს გაჰყევით, ბიჭებო, ან არადა სხვა ატამანი ამოირჩიეთ; თუმცა არა, მაინც ისა სჯობს. ჩემი რჩევა ისმინოთ და თავადს გაჰყვეთ; ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენი საქმის მერე მეფემ ან ეგ, ან თქვენ არ შეგიწყალოთ!

ყაჩაღებმა კვლავ ბჭობა გამართეს და ხანმოკლე დათათბირების შემდეგ ორ ნაწილად გაიყვნენ. უფრო დიდი ჯგუფი სერებრიანისთან მივიდა.

— გაგვიძეხ! — უთხრეს მათ: — დაე ჩვენც ის დღე გველოდეს, რაც შენ მოგელის!..

— კი მაგრამ სხვები რაღას აპირებენ? — იკითხა თავადმა.

— სხვებმა ხლოპკო აირჩიეს ატამანად; ჩვენ არ გვინდა მასთან დარჩენა!

— იქ ვინც მავნე და უნდილი იყო, ისინი დარჩნენ, — უჩურჩულა თავადს პერსტენმა, — იმათ არც გუშინ გამოუდვიათ თავი ამ ბიჭებივით!

— შენ რაღას იზამ? — უთხრა სერებრიანიმ, — არასდიდებით არ წამოხვალ ჩემთან?

— არა, თავადო, ჩემი ამბავი სხვებისას არ ჰგავს. მე არ მაპატიებს მეფე, მძიმეა მის წინაშე ჩემი ცოდვები. თანაც, რაღა დაგიმალო, და უზომოდ მომენატრა ერმაკ ტიმოფეიჩი: უკვე რამდენი წელიწადია აღარ მინახავს. ნახვამდის, თავადო, ნუ დამძრახავ, კეთილად მომიხსენებდე!

სერებრიანიმ მაგრად ჩამოართვა პერსტენს ხელი და მსურვალედ გადაეხვია მას.

— ნახვამდის, ატამანო, — უთხრა მან, — არ მეთმობა შენი თავი, მწყინს, რომ ვოლგაზე მიდიხარ; ღმერთმანი, სულ სხვანაირი საქმე შეგფერის!

— ვინ იცის, თავადო, — მიუგო პერსტენმა და უშიშარ თვალებში უცნაური გამომეტყველება ჩაუდგა, — ღმერთი მოწყალეა, იქნებ ინებოს და ოდესმე ის აღარ ვიქნე, რაც ახლა ვარ!

ყანაღები ლაშქრობის სამზადისს შეუდგნენ.

მზე რომ ამოიწვერა, მდინარის ნაპირას უკვე აღარ ჩანდა არც ბასმანოვის კარავი, არც მისი ხალხი. ფიოდორმა ჯერ კიდევ ღამით წამოშალა ბანაკი, რათა გუშინდელი გამარჯვების ამბავი პირველად თვითონ მიეტანა მეფისთვის.

ამხანაგებთან დამშვიდობებისას პერსტენმა შენიშნა, რომ მიტკა ამოდგომოდა გვერდით.

— აბა, შენც ნახვამდის, დოყლაპიავ! — მხიარულად უთხრა მან: — გუშინ, იცოცხლე, ოთხი კაცის ოდენად გაისარჯე მეფის სამსახურში, ნამდვილად არ აგცდება ხელმწიფის წყალობა!

მაგრამ მიტკამ, თითქოს რაღაც საგონებელშია ჩავარდნილიო, კეფა მოიქექა.

— ჰა, რაო? — ჰკითხა პერსტენმა.

— არაფერი! — ზანტად მიუგო მიტკამ, თან ერთი ხელით კეფას იქექავდა, მეორეთი კი წელს.

— ჰოდა, თუ არაფერი, მაშინ კიდევ ნახვამდის! — და პერსტენი უკვე გაცლას აპირებდა, რომ მიტკამ, რომელმაც მთელი გამბედაობა მოიკრიბა, ზლაზვნით უთხრა:

— ატამანო, ჰა ატამანო!

— რაო?

— არ მინდა სლობოდაში წასვლა!

— მაშ სად გინდა?

— სადა და შენთან!

— ჩემთან არ შეიძლება; მე ვოლგაზე მივდივარ.

— ჰოდა, მეც ვოლგაზე წამოვალ!

— კი, მაგრამ თავადთან რატომ არ გინდა?

მიტკამ ცალი ფეხი წინ წადგა და, თითქოს ამ კითხვამ თავგზა აუბნიაო, თავის ქალამანს დააშტერა თვალები.

— შენ, ნეტაი, ოპრიჩნიკებისა ხომ არ გეშინია? — დაცინვით ჰკითხა პერსტენმა.

მიტკა ხან კეფას იქექავდა, ხან ფერდებს, ხანაც წელს, მაგრამ პასუხს კი აკვიანებდა.

— ვითომ ჯერ არ გინახავს ისინი? — განაგრძობდა პერსტენი: — ხომ არ შეუჭამიხართ, შე კაი კაცო?

— საცოლე წამართვეს! — უხალისოდ ჩაიდუდუნა მიტკამ.

პერსტენს გაეღიმა.

— უყურეთ ამას, რა გულღრძო ყოფილა! იმათთან ლუკმის გატეხვა არ სურს! რახან ასეა შენი საქმე, აგერ ხლოპკოს მიემხრე!

— არ მინდა! — გადაწყვეტით თქვა მიტკამ: — შენთან მინდა, ვოლვაზე!

— მე ჯერ სხვაგან მივდიეარ, ჩემო ძმაო!

— ჰოდა, მეც სხვაგან წამოვალ!

— აბა სად სხვაგან?

— სად სხვაგან და, სადაც შენ წახვალ!

— ეჰ, ვხედავ, იოლად არ ჩამომეხსნები! მაშ იცოდე, მე ჯერ სლობოდაში უნდა მივიდე!

— რისთვის? — ჰკითხა მიტკამ და თვალები მიაჭყიტა ატამანს.

— რისთვის! რისთვის! — გამოაჯავრა პერსტენმა, რომელსაც უკვე მოთმინება აღარ ჰყოფნიდა: — იმისთვის, რომ შარშან თხილს ვაკნატუნებდი იქ და ნაჭუჭები დამრჩა.

მიტკამ ჯერ კინაღამ გაიოცა, მაგრამ მაშინვე ჩაიცინა და ყურებამდე გაიღრიჭა, ხოლო თვალთა კილოებიდან ისრებივით გაზიდა ნაოჭები საფეთქლებისკენ და სახეზე უზომოდ ეშმაკური იერი დაიდო, თითქოს ის უნდა უთხრას: ცდები, ძმობილო, ასე იოლად ვერ გამასულელებ; კარგად ვიცი, თხილის ნაჭუჭებისთვის კი არა, სხვა რამისთვის რომ მიდიხარ სლობოდაშიო!

მაგრამ მიტკას ეს არ უთქვამს; მან მხოლოდ ერთხელ აჩემებული გაიმეორა ღრეჭით:

— ჰოდა, მეც შენთან წამოვალ!

— აბა რას გახდები კაცი ამასთან! — თქვა პერსტენმა და მხრები აიჩეჩა. — ჩანს, ეგ აღარ ჩამომეხსნება; დე ასე იყოს, წამოდი ჩემთან, შეპენტერავ, ოღონდ მერე ჩემი ბრალი ნუ იქნება, თუ ვინიცობაა ძელზე დაგკიდეს!

— ჰოდა, დამკიდონ! — გულგრილად მიუგო მიტკამ.

— კეთილი და პატიოსანი! აი მაგისთვის მიყვარხარ! აბა, ახლა სწრაფად დაემშვიდობე ამხანაგებს და გავუდგეთ ჩვენს გზას!

მიტკას მძინარა სახეს სიხალისე არ დასტყობია, მაგრამ იგი მაშინვე შეუდგა ამხანაგებთან დამშვიდობებას: ბაჯბაჯით მიდიოდა რიგრიგობით ყველასთან და, სურდათ თუ არ სურდათ, სამ-სამჯერ ლოშნიდა თითოეულს, ზოგს ნებით, ზოგს ძალით, ზოგს დევის მკლავებში ბუბნიდა, ზოგსაც თავზე ტორებს ავლებდა.

— ატამანო, — უთხრა სერებრიანიმ, — მაშ ჩვენ ერთი გზა გვქონია.

— არა, ბოიარო. სადაც მე გავაღწევ, შენ იქ ვერ გაივლი. მე შენზე

ადრე ვიქნები სლობოდაში და, თუ ვინიცობაა შემხვდე კიდეც, არ გამომეცნაურო; თუმცა, ვერ შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს; მე შენს ჩამოსვლამდე წავალ იქიდან; ერთი-ორი პატარა საქმე მაქვს მოსაბოლოებელი, სხვა არაფერი.

სერებრიანიმ იაზრა, რომ პერსტენს რაღაც-რაღაცები ჰქონდა დამალული ან ჩაფლული სლობოდის მიდამოებში, და აღარ ჩასძიებია.

მალე ორი რაზმი გაუდგა ეზას ორი სხვადასხვა მიმართულებით.

უფრო დიდი რაზმი სერებრიანის მიჰყვებოდა მღინარის გაყოლებით მწვანე მდელოზე, რომელსაც ჯერაც მრავლად აჩნდა გუშინდელი ბრძოლის კვალი; რაზმის უკან თავჩაქინრდული და კუდამოძუებული ბუიანი მილასლასებდა. იგი ხშირ-ხშირად მირბოდა სერებრიანისთან, საწყალობლად ყმუოდა და მერე ახალი სამარის ბორცვისკენ ისედებოდა, სანამ ბოლოს მაღალმა ლელიანმა არ დაკარგა იგი თვალთახედვიდან.

მეორე, მცირე რაზმი ხლოპკოს გაჰყვა.

პერსტენი მესამე მხარეს გაუყვა, მის უკან კი აუჩქარებლად, რწევა-რწევით მილაყუნობდა მიტკა.

დაცარიელდა ფართო ველი და ზედ კვლავ ადრინდელმა მდუმარებამ დაისადგურა, თითქოს ბრძოლის ჟრიამულს არც გაეყრუებინოს იქაურობა წინდღით. მხოლოდ აქა-იქ ჩანდა უკვე მშვიდად მობალახე, გამოქცეული თათრული ცხენები და ნახანძრალებზე უწესრიგოდ მიმობნეული აბჯარ-აბგარი. მწვანედ მოხასხასე ნაპირის გაყოლებით, ცის ლაჟვარდში კვლავინდებურად წკრიალ-წკრიალით დანავარდობდნენ ტოროლები, სქელ ლელიანს გადაძახილებით აცოცხლებდნენ მელოტები. ხოლო პატარა ჩიტუნები ჟივჟივით დაფრთხიალებდნენ ლერწმიდან ლერწამზე ან ჭიკჭიკ-გალობით ასკუპდებოდნენ ფრთიან ისრებს, რომლებიც ბრძოლის დროს ჩარჭობოდნენ მიწას და ახლა ისე აშვერილიყვნენ ამ მწვანე მდელობზე, ჭაობის ყვავილებს შორის, თითქოს თვითონაც ყვავილები იყვნენ და აქვე იზარდნენ, ღმერთმა უწყის როდიდან.

XXIX თავი

პირში წადგომა

თათრების დამარცხებიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მეფემ თავის საწოლ დარბაზში იწვია ბასმანოვი, რომელიც ის იყო ეახლა რაზანიდან. იოანემ უკვე დაწვრილებით იცოდა ბრძოლის ამბავი, მაგრამ

ბასმანოვს ეგონა, თვითონ იქნებოდა პირველი მაცნე. ის იმედოვნებდა, სულ თვითონ დაეჩემებინა გამარჯვების მთელი პატივი და გუნებაში ფიქრობდა, ისეთ შთაბეჭდილებას მოვახდენ ჩემი ნაამბობით, რომ მეფე კვლავ წყალობით მომხედავს და ძველებურად დამიახლოვებსო.

ივან ეასილევიჩი ყურადღებით უსმენდა მას, თან კრიალოსანს მარცვლავდა და საჩვენებელ თითზე წამოცმულ ალმასისთვლიან ბეჭედს დაჰყურებდა; მაგრამ როცა ბასმანოვმა ყველაფერი უამბო, კულულები შეარხია და თვითკმაყოფილებით წარმოთქვა:

— რას იტყვი, ხელმწიფეო, მგონი, გავისარჯეთ შენი მოწყალებისთვის!

იოანემ თვალი შეავლო მას და ჩაიცინა.

— თავი არ დაგვიზოგავს, — შემპარავად განაგრძობდა ბასმანოვი, — მაშ შენც ნუ ღაზოგავ, ხელმწიფეო, მეფურ საბოძვარს შენი მსახურისთვის!

— შენ თვითონ რას ისურვებდი, ფედია? — ჰკითხა იოანემ და გულითადი იერი მიიღო.

— აი თუნდაც ოკოლნიჩობა მიბოძე, რომ ხალხი აგრერიგად ველარ მძრახავდეს.

იოანემ თვალი თვალში გაუყარა ბასმანოვს.

— კეთილი, მაგრამ სერებრიანის რაღა ვუბოძო? — მოულოდნელად ჰკითხა მან.

— შენგან შერისხულ ბოიარს? — ჩაჰკითხა ბასმანოვმა, რომელიც მისთვის ჩვეული ურცხვობის ნიღაბში მალავდა შეცბუნებას: — სხვა რა უნდა უწყალობო იმას, სახრჩობელის მეტი? ის ხომ ციხიდან გაიქცა და თავისი ავაზაკებით კინაღამ წაახდინა საქმე. იმას რომ თათრები არ აეფორიაქებინა, ჩვენ იმათ, როგორც მწყერებს, ისე წავადგებოდით და სულ გავჟუჟავდით.

— ვითომ ეგრე იქნებოდა? მე კი მგონია, თათრები უნაგირში ჩაგაკრავდნენ, როგორც მაშინ, გახსოვს? პირველად ხომ არ გემართება ასეთი რამ, ნაცნობი ხილია შენთვის!

— დიახ, ნაცნობი ხილია შენთვის ჭირთა თმენა, — კადნიერად განაგრძო ბასმანოვმა, — ის კი უცნობია, რომ შენგან მადლობას ველირსო. ერთბაშად, გოდუნოვი ან მალიუტა, ან ვიაზემსკი არ გემსახურონ ჩემნაირად, მაგრამ იმათთვის არ გეშურება საბოძვარი.

— აი ეგ კი ჭეშმარიტია, მართლაც ვერ მემსახურებიან შენნაირად: აბა, სად შეუძლიათ იმათ შენსავით ცეკვა!

— მეფე-ბატონო, — უპასუხა ბასმანოვმა, რომელიც უკვე მოთმინები-

დან გამოდიოდა, — თუ აღარ გიყვარვარ, მაშინ ბარემ სულ დამითხოვე!

ბასმანოვს იმედი ჰქონდა, იოანე არ გამიშვებსო; მაგრამ სლობოდაში არყოფნამ, იმის მაგიერ, რომ მისდამი სიყვარული გაეცხოველებინა მეფის გულში, კიდევ უფრო გააგრილა იგი; იოანე ამასობაში შეეჩვია უმისობას, ხოლო სხვა რჩეულებმა, განსაკუთრებით მალიუტამ, რომელსაც ბასმანოვის ამპარტავნება შეურაცხყოფდა, ისარგებლეს მისი არყოფნით და ყველაფერი იღონეს, რომ იოანეს გული აეყარა მასზე.

ბასმანოვის ვარაუდი მცდარი გამოდგა. აშკარა იყო, რომ მეფე მისი განაწყენებით ერთობოდა.

— დაე ეგრე იყოს, — უთხრა მან თვალთმაქცური წუხილით, — თუმც გამიჭირდება უშენოდ, უნუგეშო ობოლს, და სახელმწიფო საქმენიც, ალბათ, ამეწეწება, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს, ვიჯახირებ როგორმე ჩემი ულონო ჭკუით. გასწი, ფედია, ოთხივ მხრივ ხსნილი გაქვს გზა! რაკი არ გინდა, ძალას ვერ დაგატან.

ახლა კი ვეღარ მოერია ბასმანოვი თავის სიბრაზეს: იოანეს ადრინდელი დამოკიდებულებით განებივრებულმა, დაურიდებლად ამოანთხია, რაც გულში ჰქონდა.

— მადლობელი ვარ შენი, ხელმწიფეო, — უთხრა, — მადლობელი ვარ პურ-მარილისთვის! მადლობელი ვარ, ასე უპატიურად რომ მაგდებ შენს მსახურს, წუნკალი ძაღლივით! ყველგან... — წინდაუხედავად დაურთო მან, — ყველგან საქებრად მექნება, ამ ჩვენ რუსეთში, შენი ალერსიანობა! ამიერიდან სხვები გემსახურონ ისე, როგორც ფედორა გემსახურებოდა! ბევრი ცოდვით დავიმძიმე სული შენს სამსახურში, ოღონდ ერთი ცოდვა არ მიტვირთია: ჯადოსნობით არ დამიმძიმებია სული!

ივან ვასილევიჩი ბასმანოვს უსმენდა და გამქირდავად იღიმებოდა, მაგრამ ბოლო სიტყვებმა იერი უცვალა მას.

— ჯადოსნობით? — გაოცებით ჩაჰკითხა ხელმწიფემ და ცხადად შეეტყო, რომ მრისხანება წაეკიდა: — მერე ვინ ჯადოსნობს აქ?

— ვინა და, თუნდაც ის შენი ვიაზემსკი! — მიუგო ბასმანოვმა და წარბიც არ შეუხრია მეფის ჩაციებული მზერის წინაშე. — დიახ, — განაგრძო მან ისე, რომ ოდნავადაც არ კრთებოდა მეფის მრისხანე გამომეტყველებით, — ჩანს, მხოლოდ შენ ერთს ვერ შეგიტყვია მაგის ამბავი. როცა ეგ მოსკოვს ჩადის, ღამ-ღამობით ტყეში დაძვრება, წისქვილში, ჯადოსანთან; ჰოდა, აბა რისთვის უნდა მაგას ჯადო, თუ შენი მეფური მოწყალების მტრობა არ უდევს გულში?

— მერე შენ საიდანღა იცი ეგ? — ჰკითხა მეფემ და გამომცდელი მზერა მიაყინა ბასმანოვს.

ამჯერად ბასმანოვს შიშმა დარია ხელი.

— მე, ხელმწიფეო, მხოლოდ გუშინ შევიტყვე ეს მისიეე მსახურეპისგან, — ნაჩქარევად უთხრა მან: — აღრე რომ გამეგო, მაშინვე მოვახსენებდი შენს მოწყალებას.

მეფე ჩაფიქრდა.

— გასწი, — უთხრა მან ხანმოკლე დუმილის შემდეგ, — მე ამ საქმეს გამოვიძიებ; შენ კი ჯერ ნუ წახვალ სლობოდიდან, ჩემს ბრძანებას დაელოდე.

ბასმანოვი წავიდა. ის კმაყოფილი იყო იმით, რომ მეფის უნდო გულს ეჭვი შეაპარა თავის ერთ-ერთ მოქიშპეზე, მაგრამ ძლიერ შეაფიქრიანა ხელმწიფის გულცივმა მოპყრობამ.

მალე მეფე საწოლიდან მისაღებ დარბაზში გამოვიდა, სავარძელში ჩაჯდა და, ოპრიჩნიკებით გარშემორტყმული, მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ ზემშჩინის ბოიართა მიღებას შეუდგა. მან რიგრიგობით მოისმინა მათი მოხსენებები და, როცა თითოეულს თავ-თავისი უბრძანა, ხოლო ბევრ მათგანს დაწვრილებით ესაუბრა სახელმწიფოს საჭიროებებზე, უცხო ქვეყნებთან ურთიერთობაზე და მომავალში თათართა კვლავ შემოსევის აღსაკვეთ ღონისძიებებზე, იოანემ იკითხა, კიდევ ხომ არავინ ითხოვს მიღებასო.

— ბოიარი დრუჟინა ანდრეევიჩ მოროზოვი, — უპასუხა ერთმა მესუფრემ, — მოწიწებით იდრეკს ქედს შენი მეფური მოწყალების წინაშე და გეაჯება შენს ნათელ თვალთა ხილვა აღირსო.

— მოროზოვი? — თქვა იოანემ: — განა ისევ ცოცხალია? არ დახრუკულა იმ ხანძარში? იღბლიანია, ბებერი ქოფაკი! რა გაეწყობა! მე მას შერისხვა ვაპატიე, დაე შემოვიდეს!

მესუფრე გავიდა; მალე კარისკაცთა გუნდი გაიპო, და დრუჟინა ანდრეევიჩი, რომელსაც ორი ყმა აზნაური ამოსდგომოდა მხრებში, მეფეს მიეახლა და მის წინ მუხლი მოიყარა.

ყველამ მოხუც ბოიარს მიაპყრო მზერა.

ის ფერმიხდილი იყო, საგრძნობლად მოტეხილიყო. შუბლზე ვიაზემსკის ნახმლევი აჩნდა, მაგრამ ჩაცვივნულ თვალებში კვლავ შეუპოვრობა ეხატა, შეყრილ წარბებზე კი ადრინდელი უდრეკი სიჯიუტის ნიშანი აჩნდა.

მეფის კარზე დამკვიდრებული წესის მიუხედავად, მოროზოვს თ ა ლ ხ ი სამოსი ეცვა.

იოანე მოხუცს შეჰყურებდა და ხმას არ იღებდა. ვისაც მეფის თვალებში აზრის ამოცნობა შეეძლო, ის ახლა მასში ფარულ სიძულვილსა

და იმით კმაყოფილებას ამოიკითხავდა, თავის მტერს რომ დამცირებულს ხედავდა; მაგრამ გულუბრყვილო დამკვირვებელი იოანეს გამოჩენილებას კეთილმოსურნედ მიიჩნევდა.

— დრუჟინა ანდრეევის, — ზვიადად, მაგრამ ალერსიანად წარმოთქვა მან, — მე შერისხვა გაკმარე; რატომ ხარ კვლავ თალხ სამოსში?

— ხელმწიფეო, — მიუგო მოროზოვმა, რომელიც ისევ მუხლმოყრილი იდგა მის წინაშე, — დიბა-ფარჩით მორთვა არ შვენის იმას, ვისაც შენმა ოპრიჩნიკებმა სახლ-კარი გადაუწვეს და ცოლი წაჰგვარეს ძალადობით. ხელმწიფეო, — განაგრძო მან მტკიცე ხმით, — ქედდადრეკილი გეაჯები და მოგახსენებ, ჩემი წყენა და შერცხვენა მოჰკითხო შენს შეაბჯარეთუხუცესს აფონკა ვიაზემსკის!

— ადექი, — უთხრა მეფემ, — და დალაევებით მომახსენე შენი სატკივარი. თუ ჩემი კაცთაგანი რომელიმე უკადრისად მოგეპყრა, ბრულად ბოვკითხავ დანაშაულს, თუნდაც ის ჩემი უახლოესთაგანი იყოს.

— ხელმწიფეო, — განაგრძო მოროზოვმა, რომელიც კვლავ მუხლებზე იდგა, — ბრძანე აფონკას უხმონ. დაე ჩემს პირისპირ გასცეს პასუხი შენს მოწყალებას!

— რა მეთქმის, — წარმოთქვა მეფემ თითქოს ოდნავი ფიქრის შემდეგ, — შენი თხოვნა საქმიანია. მოპასუხემ უნდა უწყოდეს, რასაც მომჩივანი ამბობს. უხმეთ ვიაზემსკის. თქვენ კი, — მიმართა მან მოროზოვის აზნაურებს, რომლებიც მოსარიდალ მანძილზე გამდგარიყვნენ, — წამოაყენეთ თქვენი ბოიარი, სკამზე დასვით; დაე მოპასუხეს დაელოდოს!

მოროზოვის სახლზე თავდასხმის დღიდან ორ თვეზე მეტი იყო გასული. ვიაზემსკი უკვე გამომრთელდა ჭრილობებისგან. ის კვლავაც სლობოდაში ცხოვრობდა, მაგრამ, რაკი არაფერი იცოდა ელენასი, რომლის გზა-კვალსაც მისმა ვერც ერთმა მზირმა ვერ მიაკვლია, წინანდელზე უფრო პირქუში გახდა, იშვიათად ჩნდებოდა მეფის კარზე, ხოლო თავის გასამართლებლად ულონობას იმიზეზებდა, აღარც ნადიმებში მონაწილეობდა და ზოგ-ზოგნი შეშლილობის ნიშნებსაც ხედავდნენ მის საქციელში. იოანეს არ მოსწონდა საერთო წირვა-ლოცვისა და შექცევისგან აფანასის განაპირება; მაგრამ, ბოიარინას უილბლო მოტაცების ამბავი რომ იცოდა, ტრფობისგან შეღონებას მიაწერდა თავადის საქციელს და შემწყნარე იყო მის მიმართ. მხოლოდ ბასმანოვთან საუბრის შემდეგ დააფიქრა მეფე ვიაზემსკის ამბავმა. მოროზოვის საჩივარი კი მარჯვე საბაბი იყო ზოგ-ზოგი რამის გასარკვევად. აი რატომ დახვდა ის მოროზოვს უკეთ, ვიდრე კარისკაცები ვარაუდობდნენ.

მალე ვიაზემსკიც მოვიდა. გარეგნულად ისიც საგრძნობლად შეცვლი-

ლიყო. თითქოს რამდენიმე წლით დაბერებულიყო, სახე გაუხეშებოდა და იფიქრებდით, სიცოცხლე ეპოლოდ მოუსვენარ ცეცხლოვან თვალებშიღა შეხიზნებიაო.

— აქ მოდი, ჩემთან, აფონია, — წარმოთქვა მეფემ. — შენც აქ მოდი, დრუჟინა. თქვი, რა საჩივრით მოსულხარ. დაურიდებლად ილაპარაკე, ყველაფერი მიამბე, რა და როგორ იყო.

მორიზოვი მეფეს მიუახლოვდა, ვიაზემსკის გვერდით დადგა და, ზედაც არ შეუხედავს მისთვის, ისე მოახსენა ხელმწიფეს თავლასმის ყველა ეარემოება.

— მართლა ასე იყო თქვენი ამბავი? — იკითხა მეფემ ვიაზემსკის გასაგონად.

— ასე იყო! — თქვა ვიაზემსკიმ, რომელიც გააოცა იოანეს შეკითხვამ, რადგან მეფემ დიდი ხანია იცოდა ყველაფერი.

იოანეს სახე მოექუფრა.

— რამ გაგაბედვინა ამის ჩადენა? — თქვა მან და მკაცრად ლაციქერდა ვიაზემსკის. — განა მე ავაზაკობის ნებას ვაძლევ ჩემს ოპრიჩნიკებს?

— შენ უკვე უწყი, ხელმწიფეო, — უპასუხა მთლად გაოცებულმა ვიაზემსკიმ, — რომ სახლი ჩემი ბრძანებით არ გაუძარცვავთ, ხოლო ბოიარინა რომ გავიტაცე, ამაზე შენი დასტური მქონდა!

— ჩემი დასტური? — სიტყვების ტკეპნით წარმოთქვა მეფემ. — როდის მოგეცი ეგ დასტური?

ახლა კი მიხვდა ვიაზემსკი, რომ ამაოდ ინდომა ივან ვასილევიჩის ვადაკრულ ნათქვამზე, ნადიმის დროს ქარაგმულად ჩამოარაკებულ სიტყვაზე დაყრდნობა, სიტყვაზე, რომელმაც აფიქრებინა, ელენას ძალით გატაცების უფლება მომცესო. მართალია, ჯერ ვერ მიმხვდარიყო, რა მიზეზით გადათქვამდა ახლა მეფე, თვითონვე რომ წააქეზა ამ ნაბიჯის გადასადგმელად, მაგრამ ის კი იაზრა, სხვა გზით უნდა დავიცვა თავიო. ვიაზემსკის სილაჩრით არ გადაუწყვეტია თავის მართლება, არც იმის ფიქრით, საკუთარი სიცოცხლე შეენარჩუნებინა, თუმცა მშვენივრად გრძნობდა, რომ მეფის ჭირეული ზნის გამო შესაძლო იყო მართლაც დიდი განსაცდელი დასტყდომოდა. მაგრამ მას ჯერაც არ გადაეწურა ელენას დასაკუთრების იმედი და ყველა საშუალება გამოსადეგად მიაჩნდა.

— ხელმწიფეო, — თქვა მან, — დამნაშავე ვარ შენს წინაშე, შენ არ მოვიცია ბოიარინას გატაცების დასტური. აი როგორ იყო ჩვენი საქმე. შენ მოსკოვს წარმგზავნე, რომ ბოიარ მოროზოვისთვის შერისხვის პატიება მეუწყებინა, ბოიარს კი, თვითონაც იცი, კარგა ხანია ჩემი მტრო-

ბა აქვს გულში, რადგან ჯერ კიდევ გათხოვებამდე ვიცნობდი მაგის ცოლს. ჰოდა, რაკი მასთან მივედი სახლში, ჩემი დაღუპვა გადაწყვიტა და ნიკიტა სერებრიანის გაენდო. სუფრიდან რომ ავდექით, ეგენი მუხანათურად დაგვესხნენ თავიანთი კაცებით; ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავდით, ბოიარინა მოროზოვამ კი, ქმრის სიავის შიშით, ველარ გაბედა სახლში დარჩენა და მუდარით მთხოვა, თან წამიყვანეო. ის საკუთარი ნებით, თავისი სურვილით წავიყვანე მაგისგან, მაგრამ მძიმედ დაჭრილმა გონი დავკარგე ტყეში და მას აქეთ დღევანდლამდე აღარ ვიცი, საღ გაქრა. ალბათ, ბოიარმა იპოვა და სადღაც ჰყავს გამომწყვდეული ან, იქნებ, სულიც ამოხადა უკვე! ეგ კი არ უნდა ეძიებდეს... — განაგრძო ვიაზემსკიმ და იჭვნეულად აათვალიერა მოროზოვი, — ეგ კი არ უნდა ეძიებდეს სამართალს შერცხვენისთვის. მე თვითონ, ხელმწიფეო, ქედდადრეკილი ვეაჯები შენს მოწყალებას ჩემი დასახიჩრება მოჰკითხოს მოროზოვს, რომელიც ნიკიტა სერებრიანისთან ერთად დამესხა თავს მასთან სტუმრად მისულს!

მეფე არ ელოდა ასეთ აბრუნდს. ვიაზემსკი რომ ცილს სწამებდა ბოიარს, აშკარა იყო, მაგრამ იოანეს რაღაც სხვა ზრახვა ეღო გულში და არც უცდია ამ ცილისწამების მხილება. მოროზოვმა ახლა კი შეხედა თავის მტერს.

— სცრუობ, წყეულო ძაღლო! — წარმოთქვა მან და ზიზღით ჩაათვალიერა ვიაზემსკი თავით ფეხამდე. — უტიფარი სიცრუეა შენი ყოველი სიტყვა; მე კი მზად ვარ ჯვარზე დავიფიცო ჩემი სიმართლე! ხელმწიფეო, უბრძანე ამას, ამ შეჩვენებულს, დამიბრუნოს ჩემი ცოლი, რომელთანაც ქრისტიანული წესითა ვარ ჯვარდაწერილი!

იოანემ ვიაზემსკის შეხედა.

— აბა, რას უპასუხებ ამაზე? — ჰკითხა მან და თავი კვლავ ისე დაიჭირა, როგორც მიუკერძოებელმა მსაჯულმა.

— უკვე გითხარი, ხელმწიფეო, რომ ბოიარინა მისივე თხოვნით წავიყვანე; ხოლო როცა გზაზე სისხლისგან ვიცლებოდი, ჩემმა მსახურებმა უგონოდ მყოფი მიპოვეს ტყეში. არც ცხენი უნახავთ ჩემთან, არც ბოიარინა, მე კი წისქვილში გადამიტანეს, მკითხავთან; სწორედ იმან შემილოცა სისხლი. ამის მეტი არაფერი ვიცი.

ვიაზემსკის არც უფიქრია, თუ წისქვილის ხსენებით იოანეს გულში ჩასახულ ეჭვს გააძლიერებდა და სიმართლედ გამოაჩენდა ბასმანოვის დასმენას; მაგრამ მეფემ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ყურადღებაც არ მიექციოს ამ ამბისთვის, ოღონდ მეხსიერებაში კი ჩაიბეჭდა, რომ შემ-

თხვევის კვალობაზე გამოეყენებინა; მანამდე კი, სანამ ამის დრო არ დამდგარიყო, თავისი ფიქრი მიუკერძოებლობის ნიღბით შესუდრა.

— ხომ გაიგონე? — უთხრა მან ვიაზემსკის: — ბოიარი დრუჟინა მზად არის ჯვარზე დაიფიცოს თავისი სიმართლე! რით აპირებ მის წინაშე თავის მართლებას?

— ბოიარი, რაც თვითონ სურს, იმას ამბობს, — მიუგო ვიაზემსკიმ, რომელმაც გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა დაეცვა თავი, — მაგას ყველაფერი შეუძლია დამწამოს, მე კი ჩემი დასახიჩრება მაქვს მოსაკითხი მაგისთვის და თვითონ დავიფიცებ ჯვარზე ჩემს სიმართლეს.

დარბაზში დრტვინვა დაირხა. ყველა ოპრიჩნიკმა იცოდა თავდასხმის ნამდვილი გარემოებები და, ხომ ასე გამჯდარი ჰქონდათ ძვალ-რბილში ავაზაკობა, მაინც ყველა მათგანი ვერ გაბედავდა ცრუ ფიცილს.

თვითონ იოანეც გააოცა ვიაზემსკის უტიფრობამ, მაგრამ მეფემ ერთბაშად იაზრა, რომ თავადის მეშვეობით შეეძლო საძულველი მოროზოვი დაეღუპა და, ამასთან, მართლმსაჯულადაც მოეჩვენებინა თავი.

— ძმანო! — მიმართა მან დარბაზში მყოფთ: — თქვენ ხართ მოწამე, რომ სიმართლის შეტყობა მსურდა. ჩვეული არ ვარ კაცის განსჯას, თუ მისგან თავის მართლება არ მოვისმინე. მაგრამ ერთსა და იმავე ამბავში ორთავ მხარეს არ შეუძლია ჯვარზე დაფიცება. ერთ-ერთი მოცილე ცრუ იქნება თავის ფიცილში. მე კი, ვითარცა მწყემსი კეთილი, მაშვრალი ჩემთა ცხოვართა სიკეთისათვის, თავს ვერ ვიდებ სულის წარწყმედა დავანებო ვინმე თქვენთაგანს. დაე ღვთის სამართლით განისაჯონ მოროზოვი და ვიაზემსკი. დღეის წაღმართ ათი დღის შემდეგ განსასჯელ ასპარეზს ვუნიშნავ მაგათ, აქვე, სლობოდაში, წითელ მოედანზე. დაე თავ-თავისი მოსარჩლეებითა და ხელქვეითებით წარმოსდგნენ. ვისაც ღმერთი ძლევას არგუნებს, პირნათელიც ის იქნება ჩემს წინაშე, ხოლო ვინც დამარცხდება, თუნდაც ცოცხალი დარჩეს, იქვე ჰპოვებს სიკვდილს ჯალათის ხელით!

იოანეს გადაწყვეტილებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა შეკრებილებზე. ბევრის ფიქრით, ეს სასიკვდილო განაჩენს ნიშნავდა მოროზოვისთვის, რადგან ძნელი დასაჯერებელი იყო, ღრმად მოხუცებულ ბოიარს ჯან-ღონით სავსე ჭაბუკი ვიაზემსკისთვის გაეძლო ორთაბრძოლაში. ყველა მოელოდა, მოროზოვი უარს იტყვის შერკინებაზე ან არადა დაქირავებული მებრძოლის გამოყვანის ნებას ითხოვსო. მაგრამ მოროზოვმა თავი დადრიკა და მშვიდად წარმოთქვა:

— ხელმწიფეო, დაე ისე იყოს, როგორც შენ ბრძანებ! მე მოხუცი და სნეული ვარ, დიდი ხანია აღარ ამისხამს საომარი აბჯარი; მაგრამ

ღვთის სამსჯავროზე ღონე კი არ სძლევს, არამედ სიმართლე! მწამს, რომ ღმერთი მომხედავს, არ მიმატოვებს მართალ საქმეში და ჩემი მტრის სიმტყუვნეს გამოაჩენს შენი მოწყალებისა და ხალხის წინაშე!

მეფის განაჩენი რომ მოისმინა, ვიაზემსკიმ სიხარული იგრძნო და თვალები იმედით წამოენთო; მაგრამ მოროზოვის გულმაგრობამ ცოტათი შეაკრთო. გაახსენდა, რომ, საზოგადო რწმენით, განსასჯელ ბრძოლაში ღმერთი ყოველთვის მართლის შემწეა და უნებლიეთ შეეჭვდა თავის გაბარჯვებაში.

თუმცა, წუთიერი შეკრთომა რომ დაიცხრო, მანაც თავი დაიდრიკა მეფის წინაშე და წარმოთქვა:

— დაე ისე იყოს, როგორც შენ ბრძანებ, ხელმწიფეო!

— გასწით, — თქვა იოანემ, — თქვენ-თქვენი მოსარჩლეები ამოირჩიეთ, ათი დღის შემდეგ კი, მზე რომ ამოვა, ორივენი წითელ მოედანზე გამოდით, და ვაი იმას, ვინც გამტყუნდება!

მეფემ ღრმა იდუმალებით აღსავსე მზერა მოავლო ორთავეს, წამოდგა და საძინებლისკენ გაემართა, მოროზოვი კი ამაყად გავიდა დარბაზიდან თავისი აზნაურების თანხლებით და, მიმავალს, თვალიც არ შეუვლია ოპრიჩნიკებისთვის.

XXX თავი

რჩინის შელოცვა

მეორე დღეს ვიაზემსკი მოსკოვისკენ გაემგზავრა.

სხვა დროს, რა შემთხვევაც არ უნდა ყოფილიყო, აფანასი თავისი მარჯვენისა და სიმამაცის მოიმედე იქნებოდა შერკინების წინ; მაგრამ ახლა საქმე ელენას შეეხებოდა. ორთაბრძოლა ჩვეულებრივი არ იყო; მისი ბედი ღვთის სამართალზე ეკიდა, თავადმა კი იცოდა თავისი სიმტყუვნე და, თუ ჩვეულებრივ შერკინებაში მოროზოვს არაფრად ჩაუგდებდა, სამაგიეროდ, ახლა ღვთის რისხვისა ეშინოდა და იმის ფიქრი აძრწუნებდა, ვაითუ ბრძოლის დროს მარჯვენა გამიშეშდეს ან სულაც წამერთვასო. ამ შიშს ისიც უძლიერებდა, რომ ახლახან მოშუშებული ჭრილობები ჯერაც უკვნესოდა და დროდადრო უღონობასაც გრძნობდა. თავადს სურდა ყველაფერი ეღონა ორთაბრძოლაში გასამარჯვებლად და გაღაწყვიტა მეწისქვილე ენახა, რამე ჯადო გამოერთმია და გრძნებით

მიეცა ისეთი ძალა თავისი ხმლისთვის, რომ წინ ველარავინ დადგომოდა.

დაფიქრებული და აფორიაქებული მიუყვებოდა ტყეს ვიაზემსკი. დროდადრო უნაგირზე იხრებოდა, რომ გვიმრებში ჩაკარგული ბილიკი გაერჩია. ბევრჯერ შეუხვია ხან იქით, ხან აქეთ, ბოლოს შედარებით უკეთ გაკვალულ გზაზე გააღწია, მიიხედ-მოიხედა, ხეებზე შეგულებული ნიშნები იცნო და ცხენი ჩორთით მიუშვა. მალე პორბლის ხმაურიც მოისმა. წისქვილს რომ მიუახლოვდა, თავადმა ამ ხმაურთან ერთად ადამიანის ხმაც გაარჩია. ის შეჩერდა, უნაგირიდან გადმოვიდა, ცხენი თხილნარში დაბა და ფეხით მივიდა წისქვილთან. ზედ ძელურთან ვიღაცის დარახტული ცხენი იდგა. მეწისქვილე მოხდენილი ანაგობის კაცს ელაპარაკებოდა, მაგრამ ვიაზემსკიმ ვერ დაინახა მისი სახე, რადგან უცნობი ზურგით მობრუნდა თავადისკენ და უნაგირზე დასაჯდომად შეემზადა.

— მადლიერი დარჩები, ბოიარო, — ეუბნებოდა იმ კაცს მეწისქვილე და დასტურის ნიშნად უკანტურებდა თავს, — მადლიერი დამრჩები! ისევ წყალობით მოგხედავს მეფე და, ახლავე დამატყდეს მეხი, თუ ვიაზემსკიცა და ყველა შენი ავის მდომელიც არ გატიალდეს! ფიქრი ნუ გაქვს, შხამა ბალახი უბრალო რამე ნუ გგონია, მაგას ვერაკაცი ვერ დაუდგება წინ!

— კეთილი, — მიუგო მოსულმა და ცხენზე შეჯდა, — ოღონდ შენ, ბებერო ტარტაროზო, ჩვენი პირობა არ დაივიწყო: თუ ბედი არ მომიბრუნდა, ძაღლივით მიგახრჩობ!

მისი ხმა ნაცნობი ეჩვენა ვიაზემსკის, მაგრამ ბორბალი ისე ძლიერ ხმაურობდა, ვერ გაარჩია, სახელდობრ ვინ უნდა ყოფილიყო მოლაპარაკე.

— როგორ არ მოგიბრუნდება ბედი, როგორ არ მოგიბრუნდება, ბატონო, — განაგრძობდა მეწისქვილე და მდაბლად ხრიდა თავს, — ოღონდ შენ ეგ შხამა არ შეიხსნა; ხოლო როცა მეფესთან ილაპარაკებ, შიგ თვალებში უყურე, წარბშეუხრელად და მხიარულად; გაბედულად უყურე თვალებში, ბატონო, შიშს ნუ აჩვენებ: სახუმარო ამბებით, ნართაულებით შეიქციე, როგორც ადრეეე შეგიქცევია, და, წყეული ვიყო, თუ ისევ პატივი არ გაღირსოს!

მხედარმა ცხენი მოაბრუნა და ჩორთით ჩაუარა ვიაზემსკის თითქმის ზედ ცხვირწინ, მაგრამ თავადი არც შეუმჩნევია.

თავადმა ბასმანოვი იცნო და ცეცხლი შემოენთო ეჭვიან გულზე. მხოლოდ ელენაზე ფიქრით შეპყრობილმა, გულისყური ველარ მიადევნა

მეწისქვილის ლაპარაკს, მაგრამ, თავისი სახელი რომ შემოესმა, უცბად იფიქრა, ბასმანოვი გამომჩენია მოულოდნელ მოცილედ.

ამასობაში კი მეწისქვილე, რომელმაც თვალით გააცილა ბასმანოვი, ზვინულზე ჩამოჯდა და ოქროს ფულების თვლას შეუდგა. ის ხალისიანად ქირქილებდა და ხელისგულებში აჩხრიალებდა ოქროებს, რომ უცებ ვიღაცის მძიმე ხელი შეეხო მხარზე.

მოხუცი შეკრთა, ზეზე წამოხტა და შიშით კინაღამ გათავდა, როცა თვალებით თავადის კუპრივით თვალებს შეეფეთა.

— რას ყბედობდი, ჯადოსანო, ბასმანოვთან? — ჰკითხა ვიაზემსკიმ.

— ბა... ბა... ბატონო! — წარმოთქვა მეწისქვილემ და იგრძნო, რომ მუხლები ეკვეთებოდა. — ბატონო, თავადო აფანასი ივანიჩ, ხომ მშვიდობით ბრძანდები?

— მითხარი! — შეჰყვირა ვიაზემსკიმ, ყელში სწვდა მეწისქვილეს და ბორბლისკენ წაათრია, — მითხარი, რას ყბედობდით ჩემზე?

და მან ზედ ბელღარზე გადააყუდა მოხუცი.

— შემოგევლე! — დაიკვნესა მეწისქვილემ, — ყველაფერს გეტყვი, მოწყალეო ბატონო, ყველაფერს გეტყვი, შენი ჭირიმე, ოღონდ ახლა სულს ნუ ამომხდი!

— რა უნდოდა შენთან ბასმანოვს?

— ჯადო, ბატონო, ჯადო უნდოდა! მაგრამ მე ხომ ვიცოდი, შენ რომ აქ იყავი, ვიცოდი, რომ ყველაფერი გეყურებოდა, ბატონო; იმიტომაც ვლაპარაკობდი ასე ხმამაღლა, გცოდნოდა, ბასმანოვს შენი მოწყალების დაღუპვა რომ უნდა!

ვიაზემსკიმ საგუბარიდან მოისროლა მეწისქვილე.

მოხუცი მიხვდა, რომ თავადს სიბრაზის პირველმა შემოტევამ გაუარა.

— საშინელი ბრაზიანი ხარ, შემოგევლე! — უთხრა მან და ფეხზე წამოდგა. — ხომ გეუბნები, ვიცოდი-მეთქი, შენი მოწყალება ახლოს რომ იყო; ჯერ კიდევ დილიდან მოგელოდი, ბატონო!

— ჰოდა, რა მინდაო, ბასმანოვმა? — ჰკითხა თავადმა გულდაცხრობით.

ამასობაში მეწისქვილეს უკვე გაუარა ელდამ.

— რა მინდაო და, — დაიწყო მოხუცმა, თან მესაიდუმლე კაცის იერი მიიღო, — ბასმანოვი ამბობს, მეფემ გადამიყვარაო, ვითომ შენ უფრო უყვარხარ ხელმწიფეს და მარტო შენთვის, ჰოდა, ბორის ფიოდოროვიჩ გოდუნოვისა და მალიუტა სკურატოვისთვის იმეტებს ალერსს. ჰოდა, ჩამაცივდა, გინდა თუ არა, შხამა ბალახი მიშოვეო. ასე მითხრა, შხამა

მომეცი, რომ მეფემ წყალობით მომხედოს, ისინი კი შეიძულოს და შერისხოსი! აბა, რას გააწყობ კაცი ამისთანასთან! დანა მომაბჯინა ყელზე, გინდა თუ არა, ახლავე გამიჩინეო; დავას ხომ ვერ დავუწყებდი! ჰოდა, ძიეეცი ფესვი, მარა განა რამედ წაადგება, ბატონო, ერთი რაღაც უმაქნისი ფესვი შევაჩეჩე, ეგებ ცოცხალი მაინც გადავრჩე-მეთქი. აბა, მისმა მზემ, შხამას მიეცემდი სწორედ, რომ შენდა სავალალოდ ეგ შეიყვაროს მეფემ!..

— ჯანდაბას მაგისი თავი! — გულგრილად თქვა თავადმა. — მე რას ვინაღელი უყვარს თუ არ უყვარს ეგ მეფეს! მაგისთვის როდი მოვსულვარ აქ. შეიტყვე რამე ბოიარინასი?

— ვერა, შემოგევლე, ვერაფერი შევიტყვე. აკი შენს მზირებსაც ვუთხარი, შეუძლებელია შეტყობა-მეთქი. თორემ რაღა არ ვიღონე შენი მოწყალებისთვის! ზედიზედ შვიდ ღამეს ბორბალზე ვიყავი დაშტერებული, მაგრამ რა გამოვიდა! ჩავხედავ, გამოჩნდება ბოიარინა, ტყეში მოდის, გვერდით მოხუცი კაცი მოჰყვება; სულ დარდად არი ქცეული საბრალო, ბერიკაცი კი ანუგეშებს; მაგრამ ამის მეტი ვერა და ვერ დავინახე: წყალი იმღვრევა და აღარაფერი ჩანს!

— ბერიკაცი მოჰყვებაო? ვინა, მოროზოვი? თავისი ქმარი?

— არა, ის არ უნდა იყოს: მოროზოვი უფრო წარმოსადეგია, თან კიდევ ტანისამოსსაც სხვანაირს ატარებს. ხოლო ამას უბრალო ხიფთანი აცვია, ბოიარისა კი არა; ჩანს, მდაბიოთაგანია ვიღაც!

ვიაზემსკი ჩაფიქრდა.

— მოხუცო! — თქვა მან უეცრად: — ხმლის შელოცვა იცი?

— რატომაც არ ვიცი, ბატონო, ვიცი. მერედა შენ რისთვის გინდა, თავადო? რომ გაჭრას ხმალმა თუ დაჩლუნგდეს?

— ცხადია, რომ გაჭრას, ოხერმა!

— თორემ ზოგჯერ მტრის ხმალს შეულოცავენ, რომ ჯავშანზე დაჩლუნგდეს ან გადატყდეს...

— მტრის ხმლის შეკვრა კი არა, ჩემსას მინდა შევულოცო. განსასჯელ ასპარეზზე უნდა ვიბრძოლო, ჰოდა, მინდა უსათუოდ მოვკლა ჩემი მოქიშპე. გესმის?

— მესმის, ბატონო, მესმის! როგორ არ მესმის! — და მოხუცმა გუნებაში დაიწყო ფიქრი: „ნეტავი ვის უნდა ებრძოლოს? ვინაა ამისი მტერი? ბასმანოვი ხომ არა? არა მგონია! ამან ახლა აგდებულად ახსენა ის, თავადი კი ისეთი კაცი არ არის, თავისი ხვაშიაღის დამალვა შეძლოს. ნუთუ სერებრიანი?“ მაგრამ მეწისქვილემ მიხეიჩისგან იცოდა, რომ სერებრიანის საპყრობილეში უკრეს თავი, ხოლო ვიაზემსკის მზირები-

სა და პერსტენის ზოგიერთი ამხანაგისგან გაიგონა, რომ თავადი ნიკიტა ავაზაკებმა გაათავისუფლეს და თან წაიყვანეს; მაშასადამე, არც სერებრიანი იყო ის მტერი. ვიღა დარჩა? მხოლოდ ბოიარი მოროზოვი. იმას ცოლის გატაცებისთვის დიაღაც შეეძლო ვიაზემსკის გამოწვევა. მართალია, გვარიანი მოხუცი კია, მაგრამ განსასჯელ შერკინებაში შეიძლება სხვა მებრძოლი დააყენო შენს მაგიერ. „მაშ, ეტყობა, — ივარაუდა მეწისქვილემ, — თავადი ან მოროზოვთან იბრძოლებს, ან მის დაქირავებულთან.“ — ნება მომეცი, ბატონო, — უთხრა მან, — წყალი ამოვხაპო, შენი მოძულე დავინახო!

— რაც გინდა, ის ჰქენი, — ცალყბად უთხრა ვიაზემსკიმ და წამოქცეულ კუნძზე ჩამოჯდა დაფიქრებული.

მეწისქვილემ ბადია გამოიტანა ნალიიდან, ბორბლის ქვემოთ ჩაუშვა, წყლით აავსო და თავადის გვერდით დადგა.

— ეჰ, ეჰ, — თქვა მან, როცა ბადიაზე გადაიხარა და წყალს ჩააშტერდა, — ვხედავ შენს მოძულეს, ბატონო, ოღონდ ვერ გამირჩევია, ვინ უნდა იყოს! ნამეტანი მოხუცებულია... აი ახლა კი შენცა გხედავ, ბატონო, როგორ უახლოვდები იმას...

— რაო მერე? — ჰკითხა ვიაზემსკიმ, რომელიც ამაოდ ცდილობდა ბადიაში რამის დანახვას.

— ანველოზები დგანან მოხუცის შემწედ, — განაგრძობდა მეწისქვილე იდუმალად და თითქოს იმით გაოცებული, რასაც ხედავდა, — ციურნი ძალნი უდგანან შემწედ; გაძნელდება შენი ხმლის შელოცვა!

— ჩემს შემწედ არავინ დგას? — უნებლიე თრთოლვით ჰკითხა თავადმა.

მეწისქვილე უფრო და უფრო დაჟინებით ჩაჰყურებდა ბადიას, თვალები სულმთლად გაუხევდა; იფიქრებდით, ვიაზემსკის გაბრიყვება რომ დაიწყო, ახლა მართლა გააოცა ნამდვილმა ჩვენებამ და რაღაც საშინელება დაუდგა თვალწინო.

— კი, — ჩურჩულით თქვა მან, — შენს მოწყალებასაც ჰყავს დამცველები... ახლა კი ვეღარას ვხედავ, წყალი ჩაშავდა!

მან თავი აიღო, და ვიაზემსკიმ შენიშნა, რომ შუბლზე ხვითქი გადასდიოდა.

— შენცა გყავს დამცველები, ბატონო, — შიშნეულად წაიჩურჩულა მან. — შეიძლება შენი მახვილის შელოცვა.

— აჰა... — უთხრა თავადმა და მძიმე ხმალი ამოიღო ქარქაშიდან, — აჰა, შეულოცე!

მეწისქვილემ სული მოითქვა, ხელებით ორმო ამოაღრმავა, შიგ ხმლის

ვადა ჩასდო, მიწა დატკეპნა და მახვილი წვერაშვერილი დაამაგრა. მერე მის ირგვლივ სიარულს მოჰყვა და თან ხმადაბლა ულოცავდა:

— „ხვალინის ზღვიდან მზე ამოცურდა, ქვით ნაგებ ქალაქის თავზე მთვარე ამოდის და იმ ქალაქში, ქვით ნაგებში, დამბადა მე მშობელმა დედამ. და რომ მბადებდა, ჩამითქვამდა: შვილო ჩემო, ვერც ისარი, ვერც მახვილი ვერ მოგეკაროს, ვერც მორკინალი, ვერც ფალავანი ვერ ეოგერიოს. მშობელმა დედამ ბასრი ხმალი შემაბა წელზე. შენ, ჩემო ხმალო, პირბასრო ხმალო, სულ იბრუნე და იტრიალე, სულ იბრუნე და იტრიალე, როგორც წისქვილის ქვები ბრუნავენ, დაფშვენ-დაფხვენი ყველანაირი ფოლადი — ნაწრთობიცა და უწრთობიც, ყველანაირი რკინა და სპილენძი; გასჭერ, გაჰკვეთე ყველანაირი ხორცი და ძვალი; მტრის მახვილი კი ისე აგსხლტეს, როგორც ქვას ისხლეტს წყლის ზედაპირი, და არც ნაკაწრი, არც ნაკბილარი არ დაგტყობოდეს! შევულოცავ მონა აფანასის, პირბასრ ხმალს ვარტყამ წელზე. ჰეიზე, ჰოიზე, იყავ ჩემსა ნებასა! სიტყვა გასრულდა, ჩემი საქმე ასრულდეს!“

მან ხმალი ამოაძრო, ვადაზე მიწა შემოაბერტყა, ფრთხილად გაწმინდა კალთით და თავადს მიაწოდა:

— აიღე, ბატონო, თავადო აფანასი ივანიჩ. არ გიღალატებს ეს ხმალი, შენი მსახური იქნება, თუ ვინიცობაა შენმა მოძულემ ნაკურთხ წყალში არ ამოავლო თავისი მახვილი!

— თუ ამოავლო?

— რას ვიზამთ, ბატონო! ნაკურთხ წყალთან შელოცვილ რკინას ძალა არა აქვს. თუმცა, დამაცა, მგონი ამასაც ეშველოს რამე. ბარემ ჭაობის ცისფერას მოგცემ, ყელზე შეიბი პარკით, ჰოდა იმით შენს მტერს თვალებს აუხვევ.

— მოიტა ცისფერა! — უთხრა ვიაზემსკიმ.

— ინებე, ბატონო, ინებე; შენი მოწყალებისთვის ცისფერასაც არ დავიშურებ.

მოხუცი კვლავ ნალიაში შებრუნდა და თავადს ჩვარში გამოკრული რაღაც მოუტანა.

— ძვირად კი მიღირს ეგ, — უთხრა მან, თითქოს ენანება ამ ჩვრის ხელიდან გაშვებაო, — ძნელი საშოვარია. თუ უდროო დროს შეაბოტე ამისთვის ჭაობში, ისეთ შიშს გამოსცდი, ღმერთმა გაშოროს!

თავადმა ჩვარში გამოკრული ნივთი გამოართვა და ოქროებიანი ქისა მიუგდო მეწისქვილეს.

— ღმერთმა საბოძვარი ნუ მოაკლოს შენს მოწყალებას! — უთხრა მეწისქვილემ და მდაბლად ეთაყვანა. — ოღონდ, ბატონო, ნება მომეცი ერ-

თი სიტყვაც მოგახსენო. ახლა ასპარეზზე გასვლამდე ნულარ წახვალ ეკლესიაში, ნურც წირვას მოისმენ; თორემ, ფუი ეშმაკს, შელოცვა ასხლტება ხმლის პირს.

ვიაზემსკის არაფერი უპასუხნია და უკვე აპირებდა კიდეც იქით წასვლას, სადაც ცხენი ჰყავდა მიბმული, მაგრამ უცებ შეჩერდა.

— ის თუ შეგიძლია, — უთხრა მან, — დანამდვილებით შეიტყო, ჩვენ ორში ვინ გადარჩება?

მეწისქვილე შეყოყმანდა.

— ცოცხალი, ალბათ, შენ დარჩები, ბატონო! საცა სამართალია, შენ უნდა დარჩე! აკი წინათაც მითქვამს: მახვილით სიკვდილი არ უწერია შენს მოწყალებას!

— კიდევ ჩახედე იმ ბადიას!

— კიდევ ჩახედვა რის მაქნისია, ბატონო, ახლა ველარაფერს დავინახავ, თან წყალიც აიმღვრა უკვე.

— წყალი ხელახლა ამოხაპე, — მბრძანებლურად უთხრა ვიაზემსკიმ.

მეწისქვილე უგუნებოდ დაემორჩილა.

— ჰა, რა ჩანს მანდ? — მოუთმენლად ჰკითხა თავადმა.

მოხუცი შესამჩნევი გულზიზღობით დაიხარა ბადიაზე.

— არც შენ ჩანხარ, ბატონო, არც შენი მოძულე! — წარმოთქვა მან და გაფითრდა. — მოედანი ჩანს, აუარება ხალხია შეყრილი; უამრავი თავია ჩამოცმული მარგილებზე; ცოტა მოშორებით კი კოცონი იფერფლება და ბოძზე კაცის ძვლებია მიჯაჭვული!

— ვისი თავებია მარგილებზე? — ჰკითხა ვიაზემსკიმ, რომელიც ძლივს ერეოდა უნებლიე შიშს.

— ვერ ვხედავ, ბატონო, ისევ აიმღვრა ყველაფერი; მხოლოდ კოცონი ბჟუტავს კიდევ და ვიღაცის ძვლები ჰკიდია ბოძზე!

მეწისქვილემ ძლივს აიღო თავი და, კაცი იფიქრებდა, გაუჭირდა ბადიისთვის თვალის მოწყვეტაო. მოხუცს კრუნჩხვები უვლიდა, საბეზე ოფლი მოსწურწურებდა; ის ოხვრითა და კვნესით მილასლასდა ზვინულამდე და გასავათებული ჩაიკეცა მიწაზე.

ვიაზემსკიმ ცხენი მოძებნა, უნაგირზე შეჯდა და, ფიქრად ქცეული, მოსკოვისკენ გაემართა.

ღვთის სამსჯავრო

ვიაზემსკის არყოფნაში მალიუტას ძნელი საქმე გაუჩინეს. მეფემ უბრძანა თავად აფანასის უახლოესი მსახურები შეეპყრო, დაუნდობლად ეწამებინა და გამოეტეხა, მართლა დადიოდა მათი ბატონი წისქვილში საჯადოსნოდ თუ არა, რამდენჯერ იყო იქ და სახელდობრ რას იზრახავდა ხელმწიფის წინააღმდეგ?

მსახურთა მეტი წილი არაფერში არ გატყდა, მაგრამ ზოგიერთმა ვერ აიტანა წამება და ყველაფერი აღიარა, რასაც კი მალიუტა ჩააგონებდა. ასე, თქვეს, რომ თავადი ხელმწიფის წასახდენად დადიოდა წისქვილში; რომ მის ნაფეხურებს ჩიჩქნიდა და ცეცხლზე სწვავდა მათ; ზოგმა კი ისიც განაცხადა, ვიაზემსკი მთავარ ვლადიმირ ანდრეევიჩის თანამზრახველია და მეფის ტახტზე მისი დასმა სურსო. ხომ ასე უაზრო და შეუსაბამო იყო ეს ყოველივე, მაგრამ დიაკები საგულდაგულოდ იწერდნენ წამებით გატანჯულთა თითოეულ ჩვენებას და მეფეს უკითხავდნენ. სჯეროდა მათი ივან ვასილეევიჩს თუ არა — ღმერთმა უწყის! მაგრამ მან მკაცრად უბრძანა მალიუტას დაემალათ ვიაზემსკისთვის, როცა დაბრუნდებოდა, მისი მსახურების შეპყრობის მიზეზი და ეთქვათ, მეფის საჭურჭლის გაქურდვაში მიიტანეს მაგ ხალხზე ეჭვი და იმიტომ დააკავესო.

მაგრამ მათ ჩვენებებში მაინც ბევრი შეუსაბამობა იყო და იოანემ ბრძანა ბასმანოვი ეხმოთ, რათა მას გაემეორებინა ყველაფერი, რაც, როგორც თვითონ თქვა, ვიაზემსკის მსახურებისგან გაიგონა.

ბასმანოვი ვერ იპოვეს სლობოდაში. ის წინდღით წასულიყო მოსკოვს და მეფე განრისხდა, როგორ გაბედა ჩემს უნებურად სლობოდიდან ფეხის მოცვლაო. მალიუტამ ისარგებლა ამით და თვითონ ბასმანოვზეც შეაპარა ხელმწიფეს ეჭვი.

— ვინ იცის, ხელმწიფეო, — უთხრა სკურატოვმა, — რისთვის ეურჩა შენს მოწყალებას? იქნებ თვითონაც ვიაზემსკის თანამდგომელია და მხოლოდ თვალის ასახვევად დააბეზღა, რომ უფრო მარჯვედ მოგიღოს ბოლო!

მეფემ მალიუტას უბრძანა ჯერ ხმა არ გაეღო ამ ამბავზე და, როცა ბასმანოვი დაბრუნდებოდა, არასგზით არ ეგრძნობინებინა, თუ რამე იცოდნენ მის არყოფნაზე.

ამასობაში განსასჯელი ორთაბრძოლის დღეც დადგა. ხალხი ჯერ

კიდევ მზის ამოსვლამდე მოჯარდა წითელ მოედანზე; ყველა ფანჯარა და სახლების სახურავები მოსეირეებით იყო გამოჭედილი თუ მოფენილი. მომავალი შერკინების ამბავი კარგა ხანია მოედო იმ არემარეს. მორკინალთა სახელოვნებამ მრავალი სოფლიდან და ქალაქიდან მოიზიდა ცნობისმოყვარენი და მოსკოვიდანაც კი მოვიდა ყველა წოდების ხალხი იმის საცქერლად, თუ ვის გაამარჯვებინებდა უფალი ღმერთი ამ საქმეში.

— აბა, ძმობილო, — ეუბნებოდა ერთი კოხტად ჩაცმული მებარბითე თავის ამხანაგს, ზორზოს ყმაწვილს, რომელსაც კეთილი, მაგრამ ბრიყული სახე ჰქონდა, — წინ გამიძეხი, ეგებ შენ მაინც შეძლო ჯაჭვთან გაღწევა. ეჰ, რა ზღვა ხალხი შეყრილა, გენაცვათ! გზა გვიტიეთ, ქრისტიანებო, გაგვატარეთ, ჩვენც დაგვანახეთ, ვლადიმირელებს, ღვთის სამსჯავრო!

მაგრამ მის შეგონებას არავინ უსმენდა. ბრბო ისე შენივთებულიყო, ძალიანაც რომ სდომოდა კაცს, ვერ შეძლებდა გვერდზე მიდგომას.

— ვაჰ, გაინძერი, რომ გეუბნები, შე სელაპო! — გაუმეორა მებარბითემ და ზურგში უბიძგა ამხანაგს. — ნუთუ ვერ შეძლებ გაძრომას?

— რატო ვერ შევძლებ! — ზანტად უპასუხა ზორზოხამ.

ამის თქმაზე მან წინ წაიგდო ვეება მხარი, ღონივრად აამუშავა და, თითქოს რკინის სოლს უმარჯვებსო, ისე მიარღვევდა ბრბოს. გაისმა ყვირილი და ლანძღვა-გინება, მაგრამ ორივე ამხანაგი მაინც წინ მიიკვლევდა გზას და აინუნშიც არ აგდებდა ხალხის ყაყანს.

— მარჯვნივ, მარჯვნივ უსწორე! — ამბობდა უფროსი. — მარცხნივ რას აწვები, ყეყეჩო? იქით შებრუნდი, საცა შუბებია აშვერილი!

ადგილი, რომელზედაც მებარბითე უთითებდა, თვითონ მეფისთვის იყო მომზადებული. იქ შემაღლებული ფიცარნაგი გაეკეთებინათ და ზედ მეწამული ფერის მაუდი დაეფინათ. მაუდზე მეფის საავარძელი იდგა, ხოლო აშვერილი შუბები და ოროლები ფიცარნაგის გარშემო შემოჯარულ ოპრიჩნიკებს ეკუთვნოდა. დანარჩენი ოპრიჩნიკები კი ასპარეზის ირგვლივ შემოჭიმული ჯაჭვის გაყოლებით ჩარიგებულიყვნენ. ისინი ბერდიშებს უღერებდნენ ხალხს, რომ ჯაჭვს გარიდებოდნენ და არ გადმოეთელათ მოედანი, რომელსაც წინასწარ ამზადებდნენ ხოლმე ცხენდაცხენ ან ქვეითად სარკინებლად, მოასპარეზეთა სურვილისამებრ.

მებარბითე და ზორზოხა ბიჭი ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდნენ წინ და, ბოლოს, როგორც იქნა, ასპარეზამდეც გამოაღწიეს.

— სად მოძვრებით! — დაიყვირა ერთმა ოპრიჩნიკმა და ბერდიში მოუღერა მათ.

ყმაწვილმა პირი დააღო და თავგზააბნეული მიუბრუნდა თავის ამხანაგს, მაგრამ იმან ორივე ხელით მოიშველიპა ოქროქსოვილი არშიითა და ფარშავანგის ფრთით დამშვენებული კრაველის ქუდი, წელში გაიღუნა, თავის ქნევას მოჰყვა და ვედრებით უთხრა ოპრიჩნიკს:

— ნება დაგვრთეთ, ღირსეულო ბატონებო, ჩვენც ვუყუროთ, ვლადიმირელმა მებარბითეებმა, ღვთის სამსჯავროს! იმ სიშორიდან, ქალაქ ვოლოდიმირიდან მოვსულვართ! ნება დაგვრთეთ, აქ დავდგეთ, ღირსეულო ბატონებო!

და ცბიერ-პირფერულად მოღიმარი აჩენდა შავს წვერ-ულვაშში ჩამალულ ბროლივით კბილებს.

— ჯანდაბას თქვენი თავი! — თქვა ოპრიჩნიკმა. — უკან, სულ ერთია, ველარ გაძვრებით, იდექით აქ; ოღონდ, იცოდეთ, ფეხი არ წამოდგათ წინ, თორემ მაგ გოგრებს გაგიპობთ!

ჯაჭვმოვლებულ ასპარეზზე ორივე მხარის მოსარჩლეები და ხელქვეითები მიმოდიოდნენ. იქვე იდგნენ ასპარეზობის გამრიგე ბოიარი და ოკოლნიჩი, აგრეთვე ორი დიაკი, რომლებსაც მათთან ერთად უნდა ედევნებინათ თვალყური ორთაბრძოლის წესების დაცვისთვის. ერთ-ერთ დიაკს ვლადიმირ გუსევის სამართლის წიგნი გადაეშალა, ჯერ კიდევ დიდი მთავრის იოან ვასილევიჩ მესამის დროს გამოცემული, და ორთაბრძოლისას მოსალოდნელ შემთხვევებზე ბჭობდა თავის ამხანაგთან.

— „ხოლო თუ ასპარეზობამდე განისჯებიან, — კითხულობდა ის და თითს აყოლებდა ერთ ადგილს სამართლის წიგნში, — მაშინ ასპარეზზე არ იბრძოლებენ, ისე შერიგდებიან...“ — მაგრამ დიაკს ბრბოს შეძახილებმა გააწყვეტინეს სიტყვა:

— მეფე მოდის! მეფე მოდის! — იძახდნენ ყველანი, ღელავდნენ და ქუდებს იხდიდნენ.

უამრავი ოპრიჩნიკით გარშემორტყმული იოანე ასპარეზობის ადგილს მიუახლოვდა, ცხენიდან ჩამოვიდა, ფიცარნაგის საფეხურები აიარა, ხალხს მიესალმა და სავარძელზე დაბრძანდა იმ ადამიანის იერით, რომელიც თავშესაქცევი სანახაობის მოლოდინშია.

მის უკან და აქეთ-იქით ფეხზე მდგარი კარის დიდებულები განლაგდნენ.

ამავე დროს სლობოდის ყველა ეკლესიის ზარებმაც დაიგუგუნა და ჯაჭვმოვლებულ ასპარეზზე საბრძოლოდ შეჭურვილი ვიაზემსკი და მოროზოვი შემოჯირითდნენ ორი საპირისპირო მხრიდან. მოროზოვს ეცვა ფიცროვანი ჯავშანი, ანუ ფოლადის ბეგთარი — მრთელი პოლოტიკი ჯაჭვებით ერთიმეორეზე აკინძული; ჯაჭვის თვლები რიგგამორჩენით

იყო მოვერცხლილი. სამკლავენი, საფუხრენი და საბარკულნი ვერცხლის ვარაყით ბრწყინავდა. თავზე მოვერცხლილ-მოსევადებული მაღალწვერიანი მუზარადი ჰქონდა დარქმული. ზედ მოვლებული ჯაჭვის ბადე ანუ ზარადი მხრებზე ეფინა ბოიარს, ხოლო მკერდთან გადაჯვარედინებული იყო და ვერცხლის მრგვალი ბალთით დამაგრებული. მოსახულ სარტყელზე, რომელიც კაუჭით იყო შეკრული, ფართე დაშნა ეკიდა, რომლის ტარი, ქარქაშის თარანგები და ბუნიკი აგრეთვე ვერცხლისა იყო. უნაგირის მარჯვენა მხარეს, ბოლოთი ქვემოთ, მოოქროვილი ეოგუთი ეკიდა. ეს იარაღი და ღირსების ნიშანი, გარდასულ წლებში ბოიარის განუყრელი თანამგზავრი იყო სახელოვან ბრძოლებში, მაგრამ ახლა, თავისი სიმძიმის გამო, საეჭვოა ვინმეს დაეჭირა მარჯვენაში.

მოროზოვი მკერდფართე, ფორეჯებიან შავ-ამლაყ იაბოზე იჯდა. მას ვერცხლის ბალთებდასხმული შინდისფერი ხავერდის ჩალდარი ეფარა, მოჭედილი საშუბლეს ორთავ მხარეს ვერცხლის სირმებჩაწნული შინდისფერი აბრეშუმის ფოჩები ერხეოდა, ხოლო კისერს ქვემოთ, ზედ მკერდამდე, ასეთივე, ოღონდ უფრო დიდი და ხშირი ფოჩი ეკიდა. აღვირი და სადავე სხვადასხვა სიდიდის ბრტყელი ნაჩუქურთმევი ვერცხლის რგოლებისგან იყო ასხმული.

მწყობრი ნაბიჯით მოირწეოდა ცხენი, ლამაზად ადგამდა ვერცხლის სამუხლეებიან გაბანჯგვლულ ფეხებს, სქელი კისერი მოერკალა და, როცა მოროზოვმა მოწინააღმდეგისგან ხუთიოდ საჟენზე გააჩერა, მოუოშენლად აატოკა თითქმის მიწამდე ჩამოშლილი სქელი, ტალღისებური ფაფარი, ლაგამის ღრღნა დაიწყო და ფიცხად ტორავდა ქვიშას მძლავრი ფლოქვებით, თან ყოველ დარტყმაზე ფართო ნალის ელვარე კბილებს აჩენდა. იფიქრებდით, მძიმე ცხენი ზედგამოჭრილია ახოვანი მხედრისთვისო და მისი თეთრი ფაფარიც კარგად ეხამებოდა ბოიარის ჭაღარა წვერს.

ვიაზემსკი ბევრად უფრო მსუბუქად იყო შეიარაღებული. მას ჯერაც აწუხებდა ამასწინანდელი ჭრილობები და არ ისურვა არც ჯაჭვ-ბეგთარი, არც ბეგთარი, თუმცა ისინი ყველაზე საიმედო ჯავშნად ითვლებოდა. მან მსუბუქი ჯაჭვის პერანგის ჩაცმა ამჯობინა. მისი გულისპირი, კალთა და სამაჯურები პატიოსანი თვლებით ბრწყინავდა. მუზარადის მაგიერ თავადს დაბალი, მოხდენილად მოკვერცხილი ჩაფხუტი ეხურა, რომელსაც გვირგვინზე და ყურებთან ოქროს ზარნიში ამშვენებდა, ხოლო წვერზე ოქროს მავთულების მაღალი ჯიღა უელავდა, იავუნდით სქლად დაწინწკლული და სხივებივით მთრთოლავი. ჩაფხუტს წინიდან ისარივით ჰქონდა ჩამოზრდილი რკინის მოოქროვილი საცხვირე, რო-

მელიც გარდიგარდმო დარტყმისგან იცავდა სახეს; მაგრამ ვიაზემსკის კი არ ჩამოეშვა ისარი, არამედ, მამაცთა ჩვეულებისამებრ, პირიქით, ეაღლა აეზიდა, იაგუნდის ჯიღასთან, ასე რომ, მუქი წვერით მოჩრდილული მისი ფერმკრთალი სახე მთლად დაუცველი იყო, ხოლო ისარი ჩაფხუტში მოხდენილად გარჭობილ ოქროს ფრთას ჰგავდა. ჯაჭვის პერანგზე შემორტყმულ ბალთიან სარტყელზე, რომელსაც ნაირნაირი სამშვენისები, საწკარუნოები და საჩხარუნებლები ამკობდა, პატიოსანი თვლებით მოჭედილი გახრილი ხმალი ეკიდა, სწორედ ის, რომელსაც მეწისქვილემ შეულოცა და რომლის დიდი მოიმედეც იყო ახლა ვიაზემსკი. დაწინწკლული ვერცხლის სამსჭვალებითა და ასეთივე ჭედური კავებით დამშვენებულ იისფერ ხავერდის უნაგირზე ფოლადის პატარა ცული ეკიდა, რომელსაც ტარზე იისფერი ხავერდი და ოქროს თარანგები ჰქონდა შემოჭერილი. ძვირფასი ჯაჭვის პერანგის ქვემოთ თავადს შარვალზე გადმოშეებული ოქროქსოვილი თეთრი აბრეშუმის ხალათი ეცვა, ხოლო ნაღვერდლისფერი ფარჩის შარვალი კი ჩატანებული ჰქონდა მწვანე ტარსიკონის წაღებში, რომელთა სახიანი ყელებიც, საბარკულებით დაუცავი, მუხლებზე იყო ამოჭიმული და მოსახართან და კოჭებთან მარგალიტის თასმებით გადაჭერილი.

ვიაზემსკის ცხენს, ოქროსფერდაკრულ ზერდაგს, თავიდან მოყოლებული კუდამდე უამრავი ვერცხლის ეჟვანი ჰქონდა შებმული. ზურგზე ორთუქის ან ჩალდარის ნაცვლად ჯიქის ტყავი ეფარა. მოსევადებულ საშუბლეზე ოქროს ბუდეებში ჩასმული მსხვილი იაგუნდები უბრწყინავდა. მთის ბედაური დაუნალავი იყო, მაგრამ ხმელ-ხმელ შავ ფეხებზე, საოლავს ქვემოთ, თითო ვერცხლის ეჟვანი უწკარუნებდა.

უკვე კარგა ხანია ისმოდა მოედანზე ბედაურის ხმამაღალი ჭიხვინი. ახლა კი მას თავი შეემართა, ცეცხლოვანი ნესტოები დაებერა, შავი კუდი უკან გაედრიკა და მსუბუქი ნავარდით, თითქმის მიწაზე ფეხის დაუკარებლად, მოემართებოდა მოროზოვის ცხენთან შესაგებებლად; მაგრამ, როცა თავადმა მოწინააღმდეგის შორიახლოს ზინზილებიანი სადავე მოზიდა, ბედაური განზე გახტა და კიდევაც გადაევლებოდა ჯაჭვს, რომ მხედარს არ ემარჯვა და წინანდელ ადგილზე არ მოებრუნებინა იგი. მაშინ ცხენი ყალყზე შედგა, უკანა ფეხებზე დატრიალდა და გულაღმა ამობრუნებას ლამობდა, მაგრამ თავადი უნაგირის ტახტაზე გადმოიხარა, სადავე მიუშვა და წამახვული ყიზილბაშური უზანგები ჰკრა ფერდებში. ბედაურმა კამარა შეჰკრა და ერთბაშად გაქვავდა ადგილზე. მის შავ ფაფარზე ღერიც აღარ ირხეოდა, ჩასისხლული თვალები იქით-აქეთ გაურბოდა და ოქროსფერ ბალანზე ბადესავით უცახცახებდა დაბერილი ძარღვები.

როცა ვიაზემსკი წკრიალ-ჯღარუნითა და ელვა-ბრწყინვით, ოქროსა და ალმასის წვიმანაპკურები შემოჯირითდა ასპარეზზე, ვლადიმირელმა მებარბითემ აღტაცება ვეღარ დაიოკა; მაგრამ მისი გაოცების საბაბი ბედაური უფრო იყო, ვიდრე მხედარი.

— იფ, რა ცხენია! — იძახდა ის, თან ფეხებს აბაკუნებდა და თავზე ივლებდა ხელებს აღტყინებული: — ცხენი ვარო, მაგან უნდა დაიქადნოს! გენაცვა! არც მინახავს ამნაირი ბედაური! ბევრი კაი ცხენი შემხვედრია, მაგრამ ასეთის ნახვა ჯერ არ უღირსებია გამჩენს! „რა დღე დაადგებოდა... — დაურთო მან გუნებაში, — რა დღე დაადგებოდა მაშინ ამ მხედარს, ახლა როგორც არის, ასე რომ გამოჩენილიყო წყეულ ტბაზე!" გესმის შენ, — მხიარულად განაგრძო მან და იდაყვი წაჰკრა ამხანაგს, — გესმის, ბენტერავ, რომელი ცხენი უფრო მოგდის თვალში?

— აი ისა! — მიუგო ზორზოხამ და მოროზოვის ცხენზე ანიშნა თითით.

— ისა? რატომ მაინცდამაინც ის?

— რატო და, უფრო ჯანიერია! — ზანტად მიუგო ყმაწვილმა. მებარბითეს სიცილი წასკდა, მაგრამ ამ დროს გზირების ხმა გაისმა.

— ხალხო და ჯამაათო! ქრისტიანებო! — გაიძახოდნენ ისინი მოედნის სხვადასხვა მხარეს, — იწყება სამსჯავრო ბრძოლა მეფის მეაბჯრეთუხუცეს თავად აფანასი ვიაზემსკისა და ბოიარ დრუჟინა მოროზოვს შორის. უნდა მოჰკითხონ ერთიმეორეს სახელის შერცხვენა, თავდასხმა და დასახიჩრება, ბოიარინა მოროზოვას მოტაცება! ხალხო და ჯამაათო! ქრისტიანებო! ეეედრეთ ყოვლად წმინდა სამებას, მართალ მხარეს არგუნოს ძლევა!

მოედანი გაირინდა. ყველა მაყურებელი პირჯვრის წერას მოჰყვა, ხოლო ასპარეზობის გამრიგე ბოიარი მეფეს წარუდგა, მდაბლად ეთაყვანა და შეეკითხა:

— რას გვიბრძანებ, ხელმწიფეო, ხომ არ დავიწყოთ ღვთის სამსჯავრო?

— დაიწყეთ! — წარმოთქვა იოანემ.

ბოიარი, ოკოლნიჩი, მოსარჩლენი, ხელქვეითნი და ორივე დიაკი კვერდზე გადგნენ.

ბოიარმა ნიშანი მისცა.

მოწინააღმდეგეებმა იარაღი იშიშვლეს.

მეორე ნიშანზე ისინი ჭენებით უნდა დაძრულიყვნენ ერთმანეთისკენ, მაგრამ, ყველასდა გასაკვირველად, ვიაზემსკი უნაგირზე შეტორტმანდა და სადავე გაუვარდა ხელიდან. ის მიწას დაენარცხებოდა, რომ მოსარ-

ჩლე და ხელქვეითი არ მიეარდნოდნენ და ცხენიდან ჩამოსვლაში არ შეშველებოდნენ. მეჯინიბენიც მყისვე იქ გაჩნდნენ და, იმდენი იმარჯვეს, ბედაურისთვის ლაგამში ხელის ჩავლება მოასწრეს.

— წაიყვანეთ ცხენი! — თქვა ვიაზემსკიმ და ჩამქრალი მზერა მოავლო იქაურობას, — ქვეითად ვიასპარეზებ!

რაკი დაინახა, თავადი ცხენიდან გადმოვიდაო, მოროზოვი თვითონაც ჩამოქვეითდა და თავისი იაბო მეჯინიბეებს გადასცა.

მოსარჩლემ მოროზოვს სპილენძის ბალთებიანი დიდი ტყავის ფარი შიაწოდა, რომელიც თადარიგიანად გაემზადებინათ იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა ქვეითად მოუწევდათ შერკინება.

ვიაზემსკისაც მიაწოდა მისმა მოსარჩლემ მოსევადებული, ოქროს ზარნიშიანი და ოქროს ფოჩებიანი ფარი.

მაგრამ თავად აფანასის აღარ ჰქონდა იმის ძალა, რომ ხელზე წამოეცვა ფარი. მას მუხლები მოეკვეთა და ისევ წაიქცეოდა, მაშინვე რომ არ მიშველებოდნენ.

— რა გემართება, თავადო? — ერთხმად მიაძახეს მოსარჩლემ და ხელქვეითმა, თან გაოცებით შეჰყურებდნენ თვალებში: — ღონე მოიკრიბე, თავადო! ასპარეზზე რომ არ დადგე — ეგ იგივეა, მტყუანი დარჩე!

— ჯაჭვი გამხადეთ! — სულის ხუთვით ჩაილაპარაკა ვიაზემსკიმ. — ჯაჭვი გამხადეთ! ლამის დამახრჩოს ოხერმა ჯადომ!

მან ჩაფხუტი წაიძრო, ჯაჭვის პერანგის გულისპირი მოიღელა და ყელზე შებმული ყაითანი მოიგლიჯა, რომელზედაც ჭაობის ცისფერას ღეროებიანი აბრეშუმის ავგაროზი ეკიდა.

— ღმერთმა შეგაჩვენოს, ჯადოსანო! — შეჰყვირა მან და შორს მოისროლა ყაითანი. — ღმერთმა შეგაჩვენოს ჩემი მოტყუებისთვის!

მოროზოვი გაშიშვლებული დაშნით მიუახლოვდა ვიაზემსკის.

— დამნებდი, ძაღლო! — შესძახა მან და დაშნა მოუღერა. — გამოტყდი შენს უკუღმართობაში!

მოსარჩლეები და ხელქვეითები მყისვე იქ გაჩნდნენ და თავადსა და მოროზოვს შუა ჩადგნენ.

— არა! — თქვა ვიაზემსკიმ და ადრინდელი სიბოროტით წამოენთო დანისლული თვალები: — ჯერ ადრეა ჩემი დანებება! შენ, ბებერო ყვავო, გრძნებით წამახდინე! შენ ნაკურთხ წყალში ამოავლე დაშნა! მე ახლა მებრძოლს დავაყენებ ჩემს მაგიერ და მაშინ ვნახავთ, ვინ გამოვა მართალი!

ორივე მხარის მოსარჩლეებს დავა შეექნათ. ერთი ამტკიცებდა, სამ-

სკავრო მოროზოვის სასარგებლოდ დამთავრდაო; მეორე კი იჩემებდა, სამსჯავრო არც შემდგარა, რადგან ბრძოლა არ გამართულაო.

ამასობაში მეფემ ვიაზემსკის მოძრაობა შენიშნა და ბრძანა, თავადისგან მოსროლილი ავგაროზი მომიტანეთო. მან ცნობისმოყვარედ და უნდობლად შეათვალიერა ის და მალიუტა იხმო.

— აჰა, შეინახე, — უჩურჩულა მან, — მანამ მოვკითხავდე! ახლა კი,— ხმამაღლა წარმოთქვა, — ვიაზემსკი მომგვარეთ აქ.

— რაო, აფონია? — წარმოთქვა მეფემ და ორაზროვნად ჩაიცინა, როცა ვიაზემსკი მის წინ შეჩერდა. — თურმე არ შეგძლებია მოროზოვთან გამკლავება?

— ხელმწიფეო, — მიუგო თავადმა, რომელსაც სახე მომაკვდავივით გაფითრებოდა, — ჩემმა მოძულემ გრძნებით წამასდინა! თან კიდევ, მას მერე, რაც გამოვმრთელდი, ერთხელაც არ მცმია აბჯარი. ახლა კი ჭრილობებიც გამეხსნა: ხედავ, როგორ მოთქრიალებს სისხლი ჯაჭვის პერანგიდან! ნება დამრთე, ხელმწიფეო, გზირები ჩამოვატარო, მოხალისე ვიხმო, რომ ჩემს მაგიერ დადგეს ასპარეზზე!

ვიაზემსკის სულმდაბლური თხოვნა წესების საწინააღმდეგო იყო. ვისაც თვითონ არ სურდა ბრძოლა, ადრევე უნდა განეცხადებინა ეს, ხოლო რაკი ასპარეზზე გამოვიდოდა, უკვე აღარ შეიძლებოდა მაგიერის დაყენება. მაგრამ მეფეს მოროზოვის დაღუპვა ედო გულში და შეიწყნარა თავადის თხოვნა.

— ჩამოატარე გზირები, — უთხრა მან, — ეგებ გამოჩნდეს ვინმე შენზე მამაცი! ხოლო თუ არავინ გამოჩნდა, მოროზოვი პირნათელი იქნება, შენ კი ჯალათს გადაგცემ!

ვიაზემსკის თავისი ხელქვეითები შეუდგნენ მხარში და უკან წაიყვანეს, მალე კი მისი ბრძანებით გზირები ჯაჭვის გაყოლებით განრიგდნენ, წინ და უკან სიარულს მოჰყვნენ და ხმამაღლა გაიძახოდნენ:

— სლობოდელებო, მოსკოველებო, ან სხვა თემის კაცნო! ვის სურს ბოიარ მოროზოვთან შერკინება? რომელ თქვენგანს სურს თავად ვიაზემსკისთვის ასპარეზობა? გამოდით, მორკინალებო, გამოდით, ვიაზემსკი დაიცავით!

მაგრამ მოედანი დუმდა და მოხალისეც არავინ ჩანდა.

— გამოდით, მოხალისენო, მამაცო მორკინალებო! — ყვიროდნენ გზირები. — გამოდით! ვინც მოროზოვს დაამარცხებს, იმას თავადი სამკვიდრო მამულებს მისცემს, ხოლო თუ თვითონ მოხალისე დამარცხდა, თავადი საკუთარ ხაზინას უწყალობებს, მთლიანად, რაც გააჩნია!

მოხალისე მაინც არ ჩნდებოდა; ყველამ იცოდა, რომ მოროზოვი პირ-

ნათელი იყო ღვთის წინაშე, და მეფე, მიუხედავად ბოიარ დრუჟინასადმი სიძულვილისა, უკვე აპირებდა მართალ მხარედ მის გამოცხადებას, რომ უცებ შეძახილები გაისმა:

— მოდის მოხალისე! მოდის! — და ჯაჭვმოელებულ ასპარეზზე მატვეი ხომიაკი გამოჩნდა.

— ჰაი-და! — შესძახა მან და ჰაერში ხმალი გააშხუილა. — აბა, მოდი, ბოიარო, მე ვიბრძვი ვიაზემსკისთვის!

ხომიაკის დანახვაზე მოროზოვმა, რომელიც აქამდე მოთმინებით იცდიდა, შიშველ დაშნას დანდობილი, აღშფოთებით მიმართა ასპარეზობის გამრიგეებს:

— დაქირავებულთან არ ვიბრძოლებ! — ამაყად წარმოთქვა მან. — ბოიარ მოროზოვს არ შეეფერის გრიშკა სკურატოვის ჯილავდართან თავის გაყადრება!

ეს რომ თქვა, მახვილი ქარქაშში ჩააგო და იქით მიაშურა, სადაც მეფე იჯდა.

— ხელმწიფეო, — წარმოთქვა მან, — შენ ჩემს მოძულეს ნება მიეცი მაგიერი მებრძოლი გამოიყვანოს; მაშ, მეც დამრთე ნება, დაქირავებული დავუყენო დაქირავებულს, თუ არადა მაშინ ბრძანე, მეფეო, სხვა დროამდე გადაიდოს ეს ორთაბრძოლა.

მართალია, ივან ვასილევიჩს მოროზოვის დაღუპვის უზომო სურვილი ჰქონდა, მაგრამ თხოვნა მეტისმეტად სამართლიანი იყო. მეფემ არ ისურვა ღვთის სამსჯავროზე მიკერძოება დაეწამებინათ მისთვის.

— უხმე გზირებს! — გაბრაზებით უთხრა იოანემ: — ხოლო თუ მოხალისეს ვერ იპოვი, თვითონ იბრძოლე, ან არადა, შენი სიმრუდე ალიარე, და თავსაკვეთ კუნძთან დადექი.

ამასობაში ხომიაკი ჯაჭვის მახლობლად მიმოდიოდა, ხმალს იქნევდა და მაყურებლებს დასცინოდა.

— აბა, — იძახდა ის, — ბლომად კი შეყრილხართ აქ, ყვავებო, მაგრამ მზეჭაბუკი არავინ ჩანს თქვენს შორის. ერთი ვინმე მაინც გამოდით, ეს ჩემი ხმალი გავახალისო, ხელმწიფე გავართო! ჰურის ლეწვაში, ჩანს, მკლავები დაგაწყდათ ქნევით! ღუმელზე გდებით გვერდები დაგბუჟებიათ!

— უჰ, შე ტარტაროზო! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მებარბითემ. — ჰაი, დედასა, გაჩვენებდი ახლა სეირს, ჩემი ხმალი რომ თანა მქონდეს! აბა, კარგად დააკვირდი! — განაგრძო მან და იდაყვი წაჰკრა ამხანაგს: — ვერ იცანი განა?

მაგრამ ყმაწვილს არც გაუგონია, რას ეკითხებოდნენ. მას პირი დაეღო და თვალები მონუსხულივით მიეშტერებინა ხომიაკისთვის.

— რაო? — განაგრძობდა ხომიაკი, — არავინაა თქვენ შორის მოხალისე? ჰეი, თქვენ, მეარშინეებო, მეფუნთუშეებო, მრთველებო, მქსოველებო! ვის გინდათ ჩემთან მკლავის გამოცდა?

— ვისა და, მე! — მოულოდნელად გაისმა ყმაწვილის ხმა. ამის თქმაზე, მან ორივე ხელი დაავლო ჯაჭვს, თავზე გადაიტარა და კინაღამ მოთხარა მუხის ჰალოები, რომლებზედაც ეს ჯაჭვი იყო დამაგრებული.

იგი ასპარეზზე გავიდა და ისე დადგა, თითქოს თვითონვე უკვირს საკუთარი გამბედაობაო: თვალები გადმოკარკლა, პირი დააღო და ხან ხომიაკს შეჰყურებდა, ხან ოპრიჩნიკებს, ხანაც თვითონ მეფეს, მაგრამ კრინტსაც არ ძრავდა.

— ვინა ხარ, ყმაწვილო? — ჰკითხა ასპარეზის გამრიგე ბოიარმა.

— მე-ე? — თქვა მან, ოდნავ დაფიქრდა და ჩაიცინა.

— ვინა ხარ? — გაუმეორა ბოიარმა.

— ვინა და, მიტკა! — უპასუხა გულკეთილად და თითქოს გაოცებითაც, რომ ასეთი კითხვით მიმართავდნენ.

— მადლობელი ვარ შენი, ვაჟკაცო! — უთხრა მოროზოვმა: — მადლობელი ვარ, სიმართლის დაცვა რომ ინდომე. თუ მტერს დამიმარცხებ, არ დავიშურებ შენთვის ხაზინას. მთლად ვერ გაიტაცეს ჩემი ქონება. ღვთის შეწევნით, კიდევა მაქვს იმის შეძლება, ჩემი მებრძოლი დავასაჩუქრო!

ხომიაკმა წყეულ ტბაზე ნახა მიტკა, სადაც ყმაწვილმა კომბლით მოუკლა ცხენი და მასაც მიწაზე მიასრესდა, რომ შეცდომით თავისსავე ამხანაგს არ გადამხობოდა. მაგრამ იმ ზედახორაში ხომიაკმა ვერ გაარჩია მისი სახე და, ისედაც, მიტკას გარეგნობაში არაფერი იყო გამოსარჩევი. ხომიაკმა ვერ იცნო ის.

— რით გინდა ბრძოლა? — ჰკითხა ასპარეზის ზედამხედველმა ბოიარმა, თან ცნობისმოყვარედ შეჰყურებდა ყმაწვილს, რომელსაც არც ჯავშანი ჰქონდა და არც იარაღი.

— რით მინდა? — გაიმეორა მიტკამ, უკან მიბრუნდა და თვალებით დაუწყო ძებნა მებარბითეს, რომ რჩევა ეკითხა მისთვის.

მაგრამ მებარბითეს, ჩანს, ადგილი ეცვალა და მიტკამ, თუმცა კარგა ხანს აცეცა თვალები, ვეღარსად იპოვა თავისი ამხანაგი.

— მაშ ასე, — თქვა ბოიარმა, — აიღე, ბარემ, ხმალი და ჯავშანი და ასპარეზზე დადექი!

მიტკამ დაბნეულად მიმოიხედა გარშემო.

მეფეს საინტერესოდ ეჩვენა მისი ქცევა.

— იარაღი მიეცით მამაცს! — წარმოთქვა მან. — ვნახოთ, რა მებრძოლიცაა!

მიტკას სრული აღჭურვილობა მოუტანეს; მაგრამ მან, თუმც ბევრი იწვალა, ვერასგზით ვერ შეძლო ჯაჭვის პერანგის სახელოებში ხელის გაყოფა, ხოლო ჩაფხუტი ისე პატარა იყო მისთვის, რომ მხოლოდ კინკრიხოზე ჰქონდა შემოდებული.

ასე მორთული მიტკა თავგზააბნეული ტრიალებდა მარჯვნივ თუ მარცხნივ, კვლავ იმ იმედით, ეგებ როგორმე ეპოვა მებარბითე და ეკითხა მისთვის, რა ვიღონოო.

მის შემხედვარე იოანეს გულიანად გაეცინა. მეფის მაგალითს ჯერ ოპრიჩნიკებმა მიბაძეს, მერე კი მაყურებლებმაც.

— რას ხორხოცობთ, თუ იცით? — უკმაყოფილოდ თქვა მიტკამ: — სულ არ მჭირდება ე თქვენი ჩაჩი და რკინის პერანგი. ისედაც დავეჭიდები ამას!

მან ხომიაკს მიაშვირა თითი და ჯავშნის გახდა დაიწყო.

კვლავ ხარხარი გაისმა.

— მაშ, აბა, რით გინდა ბრძოლა? — ჰკითხა ბოიარმა.

მიტკამ კეფა მოიქექა.

— კომბალი არ გაქვთ? — გაბმით იკითხა მან და ოპრიჩნიკებს მიუბრუნდა.

— ვინაა ეს ყეყეჩი? — აყაყანდნენ ისინი: — ნეტავი საიდან გამოტყვრა? ვინ შემოაგდო აქ? ხომ არ გგონია, რეგვენო, გლეხუჭებიეით ჩვენც კომბლებით ვიბრძოდეთ?

მაგრამ იოანეს ართობდა მიტკას საქციელი და არ დაანება ოპრიჩნიკებს მისი გაგდება.

— მიეცით მაგას კეტი, — წარმოთქვა მან, — დაე ისე იბრძოლოს, როგორც ემარჯვება!

ხომიაკი განაწყენდა.

— ხელმწიფეო! ნუ დაანებებ გლეხუჭას შენი მონა-მსახურის გამასხარავებას! — წამოიძახა მან. — მე ერთგულად ვემსახურები ოპრიჩნინაში შენს მეფურ მოწყალებას და ჩემს დღეში კეტით არ მიბრძოლია!

მაგრამ მეფე მხიარულ გუნებაზე იყო.

— შენ ხმლით იასპარეზე, — თქვა მან, — ჯეელმა კი დაე მისებურად იბრძოლოს. მიეცით მაგას კეტი. ვნახოთ, როგორ გამოიდებს თავს გლეხი მოროზოვისთვის!

მაშინ რამდენიმე კომბალი მოიტანეს. მიტკამ აუჩქარებლად შეავლო

ხელი რიგრიგობით ერთს თუ მეორეს, სათითაოდ შეათვალიერა ისინი და, როცა ამრიგად გადასინჯა ყველა, პირდაპირ მეფეს მიუბრუნდა.

— უფრო მაგარი არ გაქვთ? — ზლაზვნით წარმოთქვა მან და კითხვის გამომეტყველი მზერა მიაპყრო ივან ვასილეევიჩს.

— ხელნა მოუტანეთ ამას! — ბრძანა მეფემ, რომელსაც უკვე ამთავითვე ართობდა მოსალოდნელი სანახაობა.

მალე მიტკას ხელში მართლაც გაჩნდა მძიმე ხელნა, რომელიც ოპრიჩნიკებმა სასეიროდ მოაგლიჯეს ბაზარში დაყენებულ ურემს.

— აბა, რას იტყვი, ჯეელო, გამოდგება? — ჰკითხა ივან ვასილეევიჩმა.

— რატო არა! — უპასუხა მიტკამ: — მგონია, გამოდგება. — ეს რომ თქვა, ერთი ბოლოთი აიტაცა ხელნა და სასინჯად მოიქნია ჰაერში ისე მძლავრად, რომ ირგვლივ ქარმა დაიზუზუნა და ისეთი კორიანტელი დადგა, თითქოს ქარბორბალა მოვარდნილიყოს.

— ბიჭოს, ეს ვინ ყოფილა! — ჩაილაპარაკეს ოპრიჩნიკებმა და ერთმანეთს გადახედეს.

მეფე ხომიაკს მიუბრუნდა.

— დადექი! — მბრძანებლურად უთხრა მან და დამცინავად დაურთო: — ვნახო, როგორ დაუძვრები გლეხის კეტს.

ამასობაში მიტკამ მკლავები დაიკარწახა, ხელისგულებზე დაიფურთხა, ხელნა დაიორხელა და ჰაერში დაატრიალა, თან ხომიაკს შეჰყურებდა. ახლა გაუბედაობისა და დაბნეულობის ნასახიც აღარ ეტყობოდა სახეზე.

— აბა, შენ! დადექი, ბარემ! — გაბედულად წარმოთქვა მან. — მე გასწავლი როგორ უნდა საცოლეების მოტაცება!

ხომიაკი, მისთვის უჩვეულო იარაღისა და მიტკას არაჩვეულებრივი ძალ-ღონის გამოისობით, ერთობ დიდ გასაჭირში იყო ჩავარდნილი, მაყურებლები კი, როგორც ჩანდა, ყმაწვილის მხარეს იხრებოდნენ და ზოგ-ზოგნი უკვე სასაცილოდაც იგდებდნენ ხომიაკს.

ჯილავდარის დაბნეულობა ამხიარულებდა მეფეს, მოსალოდნელი ბრძოლა მას ახლა ისეთივე ცნობისმოყვარეობას აღუძრავდა, როგორსაც ტაკიმასხარების წარმოდგენები ან დათვების ჭიდილი.

— დაიწყეთ ბრძოლა! — წარმოთქვა მან, რაკი შეატყო, რომ ხომიაკი ჭოჭმანობდა.

მაშინ მიტკამ ხელნა აიქნია, თავს ზემოთ დაატრიალა და სკუპ-სკუპით იწყო ხომიაკთან მიახლოვება.

ამაოდ ცდილობდა სკურატოვის ჯილავდარი მარჯვე წამის მოხელთებას, რომ ხმლით მისწვდომოდა მიტკას. მას მხოლოდ ისღა დარჩენო-

და, სასწრაფოდ გარიდებოდა ან დაძვრომოდა ხელნას, რომელიც ვეება კამარებს ხაზავდა მიტკას გარშემო და მასთან მიახლოვების მცირე იმედსაც უსპობდა მოპირისპირეს.

მაყურებელთა გულგასახარად და მეფისდა სამხიარულოდ, ხომიაკმა უკანდახევა იკადრა და მხოლოდ იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორმე თავი გადაერჩინა; მაგრამ მიტკა დათვის სიმარჯვით უახლოვდებოდა სკუპ-სკუპით, ხოლო ხელნა ქარიშხალივით ზუზუნებდა მის თავზე.

— მე გასწავლი საცოლეების მოტაცებას! — იძახდა ღა, უკვე სიბრაზით გახელებული, ცდილობდა თავში, ფეხებში ან, სულ ერთია, სადაც მისწვდებოდა, მოერტყა ხომიაკისთვის.

მაყურებლები მოწონების შეძახილებით თანაუგრძნობდნენ მიტკას, ბოლოს კი აღტაცებაშიც მოვიდნენ.

— ეგრე! ეგრე! — ყვიროდა ხალხი და, ეშხში შესულს, მეფის იქ ყოფნაც ავიწყდებოდა. — მისცხე მაგას! ბიჭი ხარ, ბიჭი! გაამარჯვებინე მოროზოვს, მაგრად იდექ სიმართლისთვის!

მაგრამ მიტკა მოროზოვზე როდი ფიქრობდა.

— მე გასწავლი საცოლეების მოტაცებას! — იძახდა ის და თავს ზემოთ ხელნის ტრიალით დასდევდა ხომიაკს, რომელიც ხლაკვნით გაურბოდა იქით თუ აქეთ.

ხელნამ რამდენჯერმე ზუზუნით გადაიქროლა ჯაჭვის გაყოლებით ჩარიგებულ ოპრიჩნიკთა თავებზეც და ბევრ მათგანს სიკვდილი არ ასცდებოდა, რომ არ ემარჯვათ და მიწაზე ჩაჯდომა არ მოესწროთ.

უცებ ყრუ დარტყმის ხმა გაისმა, ხოლო ფერდშელეწილი ხომიაკი რამდენიმე საჟენზე გაფრინდა და მიწას დაასკდა, ხელებგაშლილი.

მოედანი მხიარულმა ყიჟინმა გააყრუა.

მიტკა მაშინვე ზედ გადაემხო ხომიაკს და ყელში ჩააფრინდა ორივე ხელით.

— გეყოფა! გეყოფა ახლა! — დაიყვირეს ოპრიჩნიკებმა. მალიუტა კი ივან ვასილევიჩისკენ დაიხარა და შეშფოთებით უთხრა:

— ხელმწიფეო, ბრძანე გადმოათრიონ ეგ ტარტაროზი! თორემ ხომიაკის ფასი ჩვენ სხვა არავინ გვყავს მთელს ოპრიჩნინაში.

— ფეხებით დაითრიეთ ეგ უტვინო! — დაიყვირა ივან ვასილევიჩმა,— წყალი გადაავლეთ, ოღონდ, ფრთხილად, არ შემოგაკვდეთ!

დიდი ვაი-ვაგლახი გადახდათ ოპრიჩნიკებს, სანამ მიტკას დაითრევდნენ, მაგრამ ხომიაკი უკვე მკვდარი ასწიეს და, როცა ყველას ყურადღება მისმა ჩალურჯებულმა სახემ მიიპყრო, მიტკას ვლადიმირელი მებარ-

ბითე დაუდგა გვერდით, კალთა დაჰქაჩა და ჩურჩულით უთხრა:

— აბა, ბენტერავ, ჩქარა, უკან მომყევი! თავს უშველე!

და ორივენი ხალხის ბრბოში გაუჩინარდნენ.

XXXII თავი

ვიაზემსკის ავგაროზი

ივან ვასილევიჩმა ბრძანა მოროზოვი მოეხმოთ მასთან.

მოედანი კვლავ გაყუჩდა. ყველამ მოლოდინად ქცეული მზერა მიაპყრო მეფეს და სული განაბა.

— ბოიარო დრუჟინა! — ზეიმურად წარმოთქვა იოანემ და სავარძლიდან წამოდგა: — შენ ღვთის სამსჯავროს გაგამართლა ჩემს წინაშე. უფალმა ღმერთმა, მტერსა ზედა ძლევის ბოძებით, გამოაჩინა შენი სიმართლე, და არც მე მოგაკლებ ჩემს წყალობას. სლობოდიდან ნურსად წახვალ ჩემს უბრძანებლად. მაგრამ ეს, — პირქუშად განაგრძო იოანემ, — მხოლოდ ნახევარია ჩვენი საქმისა. უმთავრესი სასამართლო ჯერაც წინ გველის. ვიაზემსკი მომგვარეთ აქ.

როცა თავადი აფანასი მის წინ წარმოდგა, მეფე დიდხანს შეჰყურებდა მას არაფრისმთქმელი თვალებით.

— აფონია, — წარმოთქვა მან ბოლოს, — შენ უწყი, რომ ჩემი სიტყვა მტკიცეა და უცვალებელი. მე გავარიგე, ვინც თქვენ ორში, პირადად ან დაქირავებული მებრძოლის სახით, დამარცხდება ღვთის სამსჯავროზე, სიკვდილით დაისჯება-მეთქი. შენი მებრძოლი დამარცხდა, აფონია!

— რა გაეწყობა, — გულმტკიცედ უპასუხა ვიაზემსკიმ, — უბრძანე, თავი მომკვეთონ, ხელმწიფეო!

იოანეს უცნაურმა ღიმილმა გაუელვა ბაგეებზე.

— თავი მოგკვეთონ, სხვა არაფერი? — ბრაზიანად წარმოთქვა მან. — შენ გგონია, მხოლოდ თავს წაგაცლიან? ალბათ, მართლა ასე იქნებოდა, მარტო მოროზოვის წინაშე რომ გქონოდა დანაშაული, მაგრამ შენ სხვა სიმრუდე და უწმინდურებაც უნდა მოგკითხოთ. მალიუტა, მომაწოდე მაგის ავგაროზი!

და, როცა მალიუტამ ვიაზემსკის ყაითანი გაუწოდა, იოანემ თითის წვერებით აიღო ის და მაღლა ასწია.

— ეს რა არის? — ჰკითხა მან და რისხვით ჩააშტერდა ვიაზემსკის შიგ თვალებში.

თავადი პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ მეფემ ხმის ამოღებაც არ დააცალა.

— ცბიერო მონავ! — მრისხანედ წარმოთქვა იოანემ და მის შემყურე ხალხს ციემა ურჟოლვამ დაუარა ძარღვებში: — ცბიერო მონავ! მე შენ ჩემს ტახტთან დაგიახლოვე; აგაღზევე და წყალობით აგავსე; შენ კი რა გააკეთე?! მაგ მყრალს გულში, ვით ასპიტმა, ჩემი დაღუპვა, შენი მეფის დაღუპვა განიზრახე, გრძნეულებით მოინდომე ჩემი წახდენა და, ალბათ, კიდეც ამიტომ მეაჯებოდი ოპრიჩნინაში ჩაწერას. რა არს ოპრიჩნინა? — განაგრძო იოანემ, გარშემო მოავლო. მზერა და ხმას შეუმაღლა, რომ ყველას გაეგონა მისი ნათქვამი. — მე, ვითარც უფალი სავენახისა, უფალი ღმრთისგან ვარ დადგინებული ჩემს ხალხსა ზედა, რათა ვიქმოდე ვენახსა ჩემსა. მაგრამ ჩემმა ბოიარებმა, დარბაისლებმა და მრჩევლებმა არ ისურვეს დამხმარებოდნენ და ჩემი დაღუპვა განიზრახეს; მაშინ მე წარვტაცე მათ ვენახი ჩემი და სხვათ ქვეყნის მოქმედთ გადავეცი. და ესე არს ოპრიჩნინა! ვისაც მოვუხმე, მათ არ ინებეს მწვეოდნენ ნადიმსა ჩემსა, და მაშინ მონანი ჩემნი წარვავლინე მებოძირთა გზათასა და მოვუწოდე, რამეთუ შეკრიბონ ყოველი, რაოდენიცა ჰპოვონ. და ესე კვლავ არს ოპრიჩნინა! ახლა გეკითხებით ყველას: რისი ღირსია მეინახე, რომელი მოვიდა ნადიმსა შინა, გარნა არა ჰმოსიეს სამოსელი საქორწინე? რას ამბობს მასზე ჩვენი წმინდა სახარება — სამღვთო წერილი? „შეუკრენით მაგას ხელნი და ფერხნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა: მუნ იყო ტირილი და ღრჭენა კბილთაი!“

ასე ამბობდა იოანე და ხალხი მდუმარედ ისმენდა სახარების ამ იგავს, რომელსაც ასე უკუღმართად იშველიებდა ახლა ხელმწიფე. არავინ თანაუგრძნობდა ვიაზემსკის, მაგრამ ყველა ღრმად იყო შეძრწუნებული მეფის ერთ-ერთი ძლიერი რჩეულთაგანის უეცარი დაცემით.

არც ერთ ოპრიჩნიკს არ გაუბედნია ან არ სურდა ვიაზემსკის დასაცავად სიტყვის დაძერა. ყველა თავზარდაცემული იყო. მხოლოდ მალიუტას მხეცურ თვალებში არ იდგა შიში, იგი მზად იყო თუნდაც ახლავე შედგომოდა მეფის ბრძანების აღსრულებას; და კიდევ ბასმანოვის სახეს ეხატა ბოროტი სიხარული, თუმცა ის გულგრილობის ნიღაბით ცდილობდა მის დაფარვას.

ვიაზემსკიმ უმაქნისად მიიჩნია თავის მართლება. ის კარგად იცნობდა იოანეს და გადაწყვიტა მოთმინებით გადაეტანა მოსალოდნელი ტანჯვა-წამება. თავადს მტკიცედ და ღირსეულად ეჭირა თავი.

— წაიყვანეთ! — წარმოთქვა მეფემ. — მე მაგას ისეთივე სასჯელს გადავუწყვეტ, როგორსაც იმ ავაზაკს, ჩემს საწოლ დარბაზში რომ შემო-

აღწია და ახლა თავის მისაგებელს ელოდება. ჯადოსანი კი, ვისაც ეგ გაენდო, მოძებნეთ და სლობოდაში ჩამოიყვანეთ. დაე საწამებელში დაკითხვით მოგვცეს ახალი ჩვენება. დიდ არს სიბოროტე უკეთურისა მაცდურისა ამა სოფლისა, — განაგრძობდა იოანე ზეციისკენ თვალაპყრობილი; — იგი, ვითარცა ლომი მყვირალი, მიმოვალს გარშემო ჩემსა და ეძიებს, ვითარცა შთანმთქას, და ჩემ სინკლიტს შინაც პოულობს გულმოდგინე მსახურთა თვისთა. მაგრამ მე ღვთის მოწყალებას ვარ მინდობილი და, ყოვლადძლიერი უფლის შეწევნით, არ ვაღირსებ ღალატს, რომ რუსეთში ფესვი გაიდგას!

იოანე ფიცარნაგიდან ჩამოვიდა, ცხენზე შეჯდა და, მდუმარე ოპრიჩნიკთა ამალით გარშემორტყმული, სასახლისკენ გაემართა.

მალიუტა, რომელსაც ხელში თოკი ეჭირა, ვიაზემსკის მიუახლოვდა.

— ნუ მიწყენ, თავადო! — გამქირდავად უთხრა, თან ზურგსუკან უგრეხდა ხელებს: — მე ვინ რას მკითხავს, საცოდავ მონას! რაც მიბრძანეს, იმას ვასრულებ!

ეს რომ უთხრა, ვიაზემსკი მცველებს გადასცა და საპყრობილესკენ გაუყენა.

ხალხი ნელ-ნელა დაიძრა წასასვლელად. ზოგნი მდუმარედ მიაბიჯებდნენ, ზოგნიც ჩურჩულით მსჯელობდნენ მომხდარ ამბავზე და მალე მთლად დაცარიელდა ჯერ კიდევ ახლახან ხალხმრავალი მოედანი.

XXXIII თავი

ბასმანოვის ავგაროზი

ვიაზემსკის დაკითხვა მოუწყეს, მაგრამ ვერავითარი წამებით ვერ დააცდენინეს ვერც ერთი სიტყვა. გასაკვირველი სულის სიმედგრით, ხმაგაკმენდილი იტანდა არაადამიანურ წამებას, რითაც მალიუტა ხელმწიფის საწინააღმდეგო ზრახვებში მის გამოტეხას ცდილობდა. სიამაყის, ზიზღისა და იმის გამო, რომ სიცოცხლე აღარაფრად უღირდა, მას ბასმანოვის ცილისწამების შემსუბუქებაც არ უცდია და არ დაუმალავს, რომ სწორედ მას შეხვდა წისქვილში.

მეფის ბრძანებით მეწისქვილეც შეიპყრეს და საიდუმლოდ ჩამოიყვანეს სლობოდაში, მაგრამ საწამებლად ჯერ არ გამოჰყავდათ.

ბასმანოვმა თავისი შესმენის წარმატება შხამა ბალახის ძალას მიაწერა. ის მუდამ თან ატარებდა ავგაროზს და იმიტომაც უფრო ირწმუნა

მისი ჯადოსნური ძალა, რომ იოანე ოდნავ ეჭვსაც არ ამჟღავნებდა და, თუმცა კვლავინდებურად დასცინოდა ბასმანოვს, მაგრამ საკმაოდ ალერსიანი იყო მისდამი.

რაკი თავისი ერთ-ერთი მოქიშპე დაღუპა და ისიც დაინახა, რომ ივან ვასილევიჩი კვლავ მოწყალედ აპყრობდა მზერას, ბასმანოვი, რომელსაც ეჭვადაც არ გაუვლია, თუ მეწისქვილე უკვე სლობოდის საპყრობილეში იჯდა, კიდევ უფრო გაამპარტავანდა. ჯადოსანის დარიგებისამებრ, ის წარბსაც არ უხრიდა მეფის შემოხედვას, დაურიდებლად ხუმრობდა მასთან და კადნიერად მიუგებდა დაცინვაზე.

ივან ვასილევიჩი მოთმინებით იტანდა მის საქციელს.

და, აი, ერთხელ, როცა თავის უახლოეს რჩეულებთან ერთად, მათ რიცხვში ორივე ბასმანოვითურთ, ჩვეულებისამებრ მოგზაურობდა სამეფოს მოსახილველად, იოანემ მეზობელ მონასტერში შეიარა და დილის წირვა მოისმინა, ხოლო შემდეგ წინამძღვრის სენაკში შევიდა და პატივი დასდო მოძღვარს, მასპინძლობა გაეწია მეფისთვის.

იოანე სკამზე იჯდა ხატების ქვემოთ; რჩეულნი, გარდა სკურატოვისა, რომელიც ამჯერად სლობოდაში დასტოვა მეფემ, კედლებთან იდგნენ, იღუმენი კი მოწიწებით იდრეკდა ქედს მეფის წინაშე და სუფრაზე აწყობდა თაფლის პურებს, ნაირნაირ მურაბებს, რძიან ჯამებს და ახალთ-ახალ კვერცხებს.

მეფე მშვენიერ გუნებაზე იყო; არც ერთ კერძს არ ტოვებდა გაუსინჯავს, მოწყალედ ხუმრობდა და სულის საცხონებელი საუბრით იქცევდა შეინახეებს. ბასმანოვთან ჩვეულებრივზე უფრო ალერსიანი იყო და ამან კიდევ უფრო დააჯერა ფიოდორი შხამას უტყუარ ძალაში.

ამ დროს გალავანს გადაღმით ცხენის თქარათქური გაისმა.

— ფედია, — უთხრა იოანემ, — გახედე ერთი, ნახე ვინ მოვიდა?

ბასმანოვმა კართან მისვლაც ვერ მოასწრო, რომ იგი გაიღო და ზღურბლზე გრიგორი სკურატოვი გამოჩნდა.

მალიუტას იდუმალი იერი ედო სახეზე, მის თვალებში კაცი ბოროტ სიხარულს ამოიკითხავდა.

— შემოდი, ლუკიანიჩ! — სალმიანად უთხრა მეფემ: — რა ამბით მოსულხარ?

მალიუტამ ზღურბლზე გადმოაბიჯა, მეფეს თვალებით გამოელაპარაკა და ხატის წინ პირჯვრის წერას მოჰყვა.

— საიდან მობეედი? — ჰკითხა იოანემ ისე, თითქოს სულაც არ ჰქონდა ახლა მისი მოლოდინიო.

მაგრამ მალიუტა არ ჩქარობდა პასუხის მიცემას. ის ჯერ მეფეს ეთაყვანა, მერე კი იღუმენს მიუახლოვდა.

— დამლოცე, მამაო! — უთხრა და ქედი დაიდრიკა მის წინაშე, თან ფიოდორ ბასმანოვს გაჰხედა ცერად, რისგანაც იმას უცებ ავი წინათგრძნობით შეუქანდა გული.

— საიდან მოხვედი? — გაუმეორა იოანემ და მალულად ჩაუკრა თვალი სკურატოვს.

— საპყრობილედან, ხელმწიფეო, ჯადოსანს ვაწამებდი.

— ჰოდა, რაო მერე? — ჰკითხა მეფემ და ბასმანოვს შეავლო თვალი.

— ბუტბუტებს რაღაცას; ვერაფერს გაუგებ კაცი, მხოლოდ ეს ერთი გავუგეთ წესიერად, როცა მენჯის ძვლების მტვრევა დავუწყეთ: „მარტო ვიაზემსკი არ დადიოდა ჩემთანო, ფიოდორ ალექსეევიჩ ბასმანოვიც დადიოდაო, იმან თილისმაც კი წაიღო ჩემგან ამასწინებზე და ის თილისმა ახლა ყელზე ჰკიდიაო“.

და მალიუტამ ცერად გაჰხედა ბასმანოვს.

ბასმანოვს ნირი ეცვალა. სითაეზედის ნატამალიც აღარ შერჩა.

— ხელმწიფე-ბატონო, — თქვა მან და მთელი თავისი სიმხნეეე მოიკრიბა, რომ მშვიდად მოეჩვენებინა თავი, — ის ალბათ იმისთვის მდებს შარს, შენს მეფურ მოწყალებასთან რომ გავთქვი!

— ხოლო როცა ფეხისგულებიც დავუხრუკეთ, — განაგრძობდა მალიუტა, — მაშინ იმაშიც გამოტყდა, იმ თილისმით ბასმანოვს ხელმწიფის წახდენა უნდოდაო.

იოანე ჩაციებით დააცქერდა ბასმანოვს, რომელსაც რეტი დაასხა მისმა მზერამ.

— მეფე-ბატონო! — წარმოთქვა მან: — ყურს ნუ ათხოვებ იმ მეწისქვილის რატრატს! მე რომ იმას სიახლოვეს გავკარებოდი, მაშინ განა შენთან დავასმენდი?

— მაგასაც ვნახავთ. აბა ეგ ხიფთანი შეიხსენი, მაჩვენე, რა გკიდია ყელზე?

— აბა რა მექნება, ჯვარისა და ხატის მეტი, ხელმწიფეო? — წარმოთქვა ბასმანოვმა ისე, რომ სიმტკიცის ნასახიც აღარ ერია ხმაში.

— ხიფთანი შეიხსენი! — გაუმეორა ივან ვასილევიჩმა.

ბასმანოვმა ცახცახით შეიხსნა სამოსის ზედა ღილები.

— ინებე, — თქვა მან და პაწია ხატებასხმული ძეწკვი გაუწოდა იოანეს.

მაგრამ მეფემ, ძეწკვის გარდა, აბრეშუმის ყაითანსაც შეასწრო თვალი ბასმანოვის ყელზე.

— ეგ რაღაა? — ჰკითხა იოანემ, თან თვითონვე შეუხსნა საყელოზე იაგუნდის საკინძი და ავგაროზიანი ყაითანი ამოაცურა მისი პერანგიდან.

— ეგ, — ჩაილაპარაკა ბასმანოვმა და თავგანწირვით მოიკრიბა უკანასკნელი სულის მხნეობა, — ეგ, ხელმწიფეო... დედაჩემის ლოცვა-კურთხევაა.

— ეგ ლოცვა-კურთხევაც ვნახოთ! — იოანემ გრიაზნოის გადასცა ავგაროზი. — აბა, გაარღვიე ეგ, ვასიუკ.

გრიაზნოიმ დანით გამოარღვია პარკუჭის პირი, შიგ ჩაკერებული ტილოს ნაჭერი გახსნა და რაღაც გადმოაპნია მაგიდაზე.

— აბა, რა არის ეს? — ჰკითხა მეფემ; ამ სიტყვებზე ყველანი მაგიდაზე წაიხარნენ და ცნობისმოყვარედ დააცქერდნენ გომბეშოს ძვლებში არეულ რაღაც ფესვებს.

იღუმენმა პირჯვარი გადაისახა.

— ამით დაგლოცა დედაშენმა? — დამცინავად ჰკითხა ივან ვასილევიჩმა.

ბასმანოვი მუხლებზე დავარდა.

— მომიტევე, ხელმწიფეო, შენს უღირს მონას! — შიშით შეჰყვირა მან. — რაკი ვხედავდი, აღარ გიყვარდი, გული მიკვდებოდა და, შენი წყალობა რომ კვლავ მღირსებოდა, ეს ჯადო გამოვთხოვე მეწისქვილეს. ეგ შხამა ბალახია, ხელმწიფეო! მეწისქვილემ იმისთვის მომცა, რომ კვლავ შეგყვარებოდა შენი მონა, შინაგანზრახვა კი შენს მომართ, ხედავს ღმერთი, არ მქონია!

— მაშ ეგ გომბეშოს ძვლები რისთვის გინდოდა? — ჰკითხა იოანემ და შეეტყო, რომ ტკბებოდა ბასმანოვის სასოწარკვეთილებით, ვისმა კადნიერებამაც დიდი ხანია თავი მოაბეზრა.

— ძვლები თუ ერია, არც ვიცოდი, ხელმწიფეო, ხედავს ღმერთი, არც ვიცოდი!

ივან ვასილევიჩი მალიუტას მიუბრუნდა.

— მაშ, შენ ამბობ, — უთხრა მან, — რომ ჯადოსანი ფედკას ადებს ხელს; თითქოს ფედკა ჩემს წასახდენად მისულა მასთან, ხომ?

— ასე ამბობს, ხელმწიფეო! — და მალიუტამ ტუჩები დაბრიცა, იმით გახარებულმა, რომ განსაცდელში ხედავდა თავის ძველ მტერს.

— აბა, რა გითხრა, ფედიუშა, — მქირდავი ღიმილით განაგრძო მეფემ, — სხვა რა ჩარაა, პირისპირ უნდა წაგაყენოთ ჯადოსანთან. ის უკვე დაჰკითხეს; ახლა ბარემ შენც გამოსცადე წამება, თორემ იტყვიან: მეფე

მხოლოდ ზემშჩინელებს აწამებს, თავის ოპრიჩნიკებს კი უფრთხილდებაო.

ბასმანოვი მუხლებში ჩაუვარდა იოანეს.

— ჩემო მზეო, მანათობელო! — შეჰღრიალა მან და ხიფთანის კალთებში ჩააფრინდა მეფეს: — ჩემო თვალისჩინო, ხელმწიფე-ბატონო, ნუ დამღუპავ, ჩემო მზეო, ჩემო მთვარეო, ჩემო შევარდენო, სიქადულო და სასოებავ! გაიხსენე, რა ერთგულად გმსახურებდი, შენს ნება-სურვილს რომ არასდროს არ ვეურჩებოდი!

იოანემ ზურგი შეაქცია მას.

სასოწარკვეთილი ბასმანოვი მამამისს მივარდა.

— მამაჩემო! — შეჰღრიალა მან; — ევედრე მეფეს, სიცოცხლე აჩუქოს თავის მონას! დაე ამას იქით სარაფანი კი არა, მასხარას სამოსი ჩამაცვას ბარემ! სიხარულით ვემსახურები ხუმარად მის მეფურ მოწყალებას!

მაგრამ ალექსეი ბასმანოვისთვის ერთნაირად უცხო იყო მშობლიური გრძნობაც და ადამიანური სიბრალულიც. მას ეშინოდა, ვაითუ შვილისადმი თანაგრძნობით თვითონაც დავიტეხო მეფის რისხვაო.

— გამშორდი, — უთხრა და ხელი ჰკრა ფიოდორს, — გამშორდი, უკეთურო! ვისაც მეფისთვის არ უცემს გული, იმას ვერც შვილად ვიწამებ! გასწი, საითაც მისი მეფური მოწყალება გიბრძანებს!

— წმიდაო იღუმენო... — აღრიალდა ბასმანოვი და მუხლებზე ხოხვით წაღოღიალდა იღუმენისკენ, — წმიდაო იღუმენო, შენ მაინც ევედრე ხელმწიფეს ჩემთვის!

მაგრამ იღუმენს თვითონაც კაცის ფერი აღარ ედო, თვალებით მიწას დაშტერებოდა და მთელი სხეული უცახცახებდა.

— ჩამოეხსენი მამა იღუმენს! — ცივად უთხრა იოანემ. — თუ საჭირო იქნა, ეგ მერე პანაშვიდს გადაიხდის შენი სულის მოსახსენებლად.

ბასმანოვმა მავედრებელი მზერა მოავლო იქაურობას, მაგრამ მხოლოდ მტრულ ან დამფრთხალ თვალებს წააწყდა ყველგან.

მაშინ მას უცებ ეცვალა გული.

ის მიხვდა, რომ ველარსად გაექცეოდა წამებას, რომელიც ისევე სასტიკი იყო, როგორიც სიკვდილით დასჯა, და, ჩვეულებრივ, ასედაც ბოლოვდებოდა; მიხვდა, რომ დასაკარგავი აღარაფერი ჰქონდა, და ამის შეგნებამ მხნეობა დაუბრუნა.

ბასმანოვი ფეხზე წამოდგა, წელში გაიმართა, ხელი სარტყელში გაირჭო და თავხედური ღიმილით მიაცქერდა ივან ვასილევიჩს.

— ხელმწიფე-ბატონო! — კადნიერად უთხრა და თავი აიქნია, რომ

აწეწილი კულულები შეესწორებინა: — ხელმწიფე-ბატონო! შენი ბრძანებით წამებისა და სიკვდილის გზაზე მივდივარ. მაშ, ნება დამრთე, უკანასკნელი მადლობა გითხრა იმ ალერსისთვის, რაც შენ ჩემთვის გიღირსებია! შენდა მომართ არავითარი შინაგანზრახვა არ გამკარებია, ცოდვები კი მე და შენ საზიარო გვაქვს! როცა დასასჯელად წამიყვანენ, ყველაფერს გამოუკლებლად ჩამოვმარცვლავ ხალხის წინაშე! შენ კი, მამა იღუმენო, ისმინე ახლა ფედკა ბასმანოვის აღსარება!..

მაგრამ მას სიტყვის გაგრძელება აღარ დაანებეს. ოპრიჩნიკებმა და თვითონ ალექსეი ბასმანოვმა სენაკიდან ეზოში გააცუხცუხეს იგი, ხოლო მალიუტამ ცხენზე შესვა, უკვე გათოკილი, და მაშინვე სლობოდისკენ გაუყენა.

— თვითონ ხედავ, მამაო, — უთხრა იოანემ იღუმენს, — რამდენი აშკარა თუ ფარული მტერი მყავს გარშემო! ილოცე ჩემთვის, უღირსისთვის, რომ უფალმა ღმერთმა კეთილი ბოლო მოპმადლოს ჩემს წამოწყებებს, რომ მისი ლოცვა-კურთხევით ამოვძირკვო, მრავალცოდვილმა, ღალატის ფესვი!

მეფე წამოდგა, ხატების წინ პირჯვარი გამოისახა და იღუმენთან მივიდა ლოცვა-კურთხევის მისაღებად.

იღუმენმა და ძმათა კრებულმა ცახცახით გააცილეს ის გალავნის გარეთ, სადაც მეფის მეჯინიბენი მდიდრულად აღკაზმული ცხენებით ელოდნენ მის გაპობრძანებას; და, აი, მეფე და მისი ასაბია უკვე კარგა ხანია მტვრის ღრუბელში მიიმალა, აღარც ცხენთა ნალების თქარათქური მოისმოდა, მაგრამ მონაზვნები კი ისევ ისე უძრავად იდგნენ, თვალები ძირს დაეხარათ და თავის აწევასაც ვერ ბედავდნენ.

XXXIV თავი

ხუმარას ხიფთანი

სწორედ იმ დილით მოროზოვს, რომელიც იოანეს ბრძანებისამებრ სლობოდაში დარჩა, ორმა მესუფრემ მოაკითხა და მეფის სუფრაზე მიწვევა აუწყა.

როცა დრუჟინა ანდრეევიჩი სასახლეში მივიდა, პალატები უკვე ოპრიჩნიკებს აევსოთ, სუფრები გაეწყოთ, ბრწყინვალედ დამოსილ მსახურებს საუზმეული გამოჰქონდათ.

ბოიარმა იქაურობა მოათვალიერა, თავის გარდა ვერც ერთი ზემშჩინელი ვერ დაინახა წვეულთა შორის და მიხვდა, რომ მეფეს განსაკუთრებული პატივი დაედო მისთვის.

აი, სასახლის ზარებმა დაიგუგუნეს, ბუკებმა დასჭექეს და დარბაზში მოწყალედ მოღიმარი ივან ვასილევიჩი შემობრძანდა. მას ჩუდის არქიმანდრიტი ლევკი, ვასილი გრიაზნოი, ალექსეი ბასმანოვი, ბორის გოდუნოვი და მალიუტა სკურატოვი ახლდნენ თან.

როცა წვეულნი მდაბლად ეთაყვანნენ და თვითონაც სალამი ჩამოარიგა, მეფე თავის ტაბლას მიუჯდა და ყველანი ხარისხისდა მიხედვით შემოუსხდნენ მის მაგიდას. მხოლოდ ერთი თავისუფალი ადგილიღა დარჩა გოდუნოვის შემდეგ.

— დაჯექი, ბოიარო დრუჟინა! — ალერსიანად უთხრა მეფემ და თავისუფალ ადგილზე მიუთითა.

მოროზოვს სახე წამოენთო.

— ხელმწიფეო, — უპასუხა მან, — მოროზოვი თავის ჩვევებს არ უღალატებს; როგორც მიელია ჩემს სიცოცხლეში, სიკვდილამდე ისევე ვიქნები. უკვე მოხუცი ვარ საიმისოდ, ხელმწიფეო, რომ ახალი წესები შევითვისო. გნებავს კვლავ შემრისხე, კვლავ გამაძევე შენს თვალთაგან, — მაგრამ გოდუნოვის შემდეგ არ დავჯდები!

ყველამ გაოცებით გადახედა ერთიმეორეს. მაგრამ მეფე თითქოს ელოდა ასეთ პასუხს. მას კვლავ მშვიდი იერი შერჩა სახეზე.

— ბორის, — უთხრა მან გოდუნოვს, — მალე ორი წელი იქნება მას აქეთ, რაც ბოიარი დრუჟინა ასეთივე პასუხისთვის შენს სამსჯავროს გადმოვაბარე. მაგრამ, ჩანს, უკვე დროა ხელი ავიღო ჩემს ჩვევებზე. როგორც ვატყობ, ამიერიდან უკვე ზემშჩინელები იქნებიან ჩვენი უფროსნი და მბრძანებლები! როგორც ვატყობ, უკვე ჩემს ქოხშიც აღარ მქონია რამე უფლება! ალბათ, ისევ მომიწევს მე საწყალობელს გუდანაბადის აკვრა და ჩემი ჯამაათიანად სადმე შორს გადაკარგვა! ნამდვილად გამაძევებენ აქედან, გლახაკ-მესტვირეს, კარიდან კარად მოხეტიალეს, როგორც მოსკოვიდან გამომაძევეს!

— ხელმწიფეო, — თვინიერად უთხრა გოდუნოვმა, რომელსაც მოროზოვის შველა ეწადა, — ჩვენ არ ვარგივართ იმის განმსჯელად, ვინ რის ღირსია. ამის განმსჯელი მხოლოდ შენა ხარ. მაგრამ ძველი ხალხი მტკიცედ ადგას ძველ ადათებს და შენც ნუ გაურისხდები ბოიარს, რომ აზნაურული რიგობა ახსოვს. თუ ნებას დამრთავ, ხელმწიფეო, მე დავჯდები მოროზოვის შემდეგ; შენს სუფრასთან ყველა ადგილი ღირსეულია!

იგი ისე შეტოკდა, თითქოს წამოდგომას აპირებსო, მაგრამ იოანემ თვალით ანიშნა, ადგილზე მჯდარიყო.

— ბოიარს ჭეშმარიტად სიბერე სჭირს! — გულცივად თქვა მან და აშკარა ურჩობის წინაშე მისმა აღუშფოთრობამ მოლოდინით აღავსო დარბაზში მყოფნი. ყველა გრძნობდა, რომ რაღაც უჩვეულო უნდა მომხდარიყო, მაგრამ იმას კი ვერავინ ხვდებოდა, როგორ გამოვლინდებოდა მეფის მრისხანება, რომლის მოახლოებასაც მისი სახის ძლივს შესამჩნევი, შორეულ მნათობთა ციალის მსგავსი კრუნჩხვა-ცახცახი ააშკარავებდა.

ყველა სუნთქვაშეკრული, გულშეჭირვებული იყო, როგორც მოახლოებული ქარიშხლის წინ.

— დიახ, — მშვიდად განაგრძობდა იოანე, — ბოიარს ჭეშმარიტად სიბერე სჭირს, მაგრამ გონება კი მისი ასაკისთვის უჩვეულოდ საღი აქვს. ძალიან უყვარს ხუმრობა. მე თვითონაც მიყვარს ხუმრობა და, როცა საზრუნავისა და წირვა-ლოცვისგან მოვიცლი ხოლმე, არ გავურბივარ მხიარულებას. მაგრამ მას აქეთ, რაც ჩემი ხუმარა ნოგტევი გარდაიცვალა, აღარავინ მყავს გამრთობი და შემაქცევარი. ხოლო დრუჟინას, როგორც ვხედავ, გულით სწადია ეს ხელობა; მე კი აღვუთქვი, წყალობას არ მოგაკლებ-მეთქი, ჰოდა, ამიტომ ჩემი პირველი ხუმარას პატივი მინდა ვუბოძო ახლა. ნოგტევის ხიფთანი მოგვართვით აქ და ბოიარს ჩააცვით!

მეფეს უფრო ჩქარ-ჩქარა დაუწყო ტოკვა სახის კუნთებმა, მაგრამ მისი ხმა კვლავ მშვიდად ჟღერდა.

მოროზოვი შეხდაკრულივით იდგა. ალმურმოდებული პირისახე გაუფითრდა, სისხლი გაეყინა, თვალები წამოენთო, ხოლო წარბები ჯერ აუტოკდა, მერე კი შეეჭმუხნა ისე მრისხანედ, რომ ივან ვასილევიჩის გვერდითაც კი შემზარავი გამოჩნდა მისი იერი. იგი თავის ყურებს არ უჯერებდა; ვერ ერწმუნებინა, თუ მართლა აპირებდა მეფე საქვეყნოდ შეერცხვინა ის, მოროზოვი, ზვიადი ბოიარი, რომლის დამსახურება და ოდინდელი სიმამაცეც დიდი ხანია საყოველთაოდ იყო ცნობილი.

ის ხმაგაკმენდილი იდგა და გახევებული, კითხვადქცეული თვალებით შეჰყურებდა იოანეს, თითქოს ულოდა, საცაა გონს მოეგება მეფე და უკანვე დაიბრუნებს თავის ნათქვამსო. მაგრამ ამ დროს, მეფის ნიშანზე, ვასილ გრიაზნოი წამოდგა სუფრიდან და მოროზოვისკენ გაემართა. მას დიბა-ფარჩისა და უხეში მაუდის ჭრელაჭრელა ხიფთანი ეჭირა გაწვდილ ხელებში. ხიფთანზე უამრავი კონკი ეკერა და ზანზალაკები ჟღარუნებდა.

— ჩაიცვი, ბოიარო! — უთხრა გრიაზნოიმ. — დიდმა ხელმწიფემ თავისი აწ გარდაცვლილი ხუმარას — ნოგტევის ეს ხიფთანი გიბოძა შენ!

— შორს ჩემგან! — შესძახა მოროზოვმა და ხელისკვრით მოიშორა გრიაზნოი; — ახლოსაც არ გამეკარო, შე წყეულო, ბოიარ მოროზოვს, ვის წინაპრებსაც მეძაღლეებად და შინაყმებად მსახურებდნენ შენი მამანი!

ეს რომ თქვა, იგი იოანეს მიუბრუნდა და აღშფოთებისგან მთრთოლვარე ხმით მიმართა:

— ხელმწიფეო, უკან წაიღე შენი სიტყვა! ბრძანე, სიკვდილით დამსაჯონ! ჩემი სიცოცხლე შენს ხელთაა, გინდ მომკალ და გინდ დამარჩენ, მაგრამ ჩემს ღირსებას და პატიოსნებას კი ძეხორციელი ვერ შეეხება!

ივან ვასილევიჩმა ოპრიჩნიკებს გადახედა.

— ხომ მართალი ვთქვი, დრუჟინას ხუმრობა უყვარს-მეთქი? გესმით, რას ამბობს? თურმე უფლება არ მქონია ხიფთანი ვუბოძო ჩემს ბოიარს!

— ხელმწიფეო, — განაგრძო მოროზოვმა, — სახელითა ღმრთისათა, უფლისა ჩვენისა, გევედრები, უკან წაიღე შენი სიტყვა! დაბადებულიც არ იყავი, რომ ცხონებული მამაშენი წყალობას არ მაკლებდა, როცა მე, ხაბარ სიმსკისთან ერთად, ჩუვაშები და ჩერემისები დავამარცხე სვიაგაზე, როცა ოდოევსკისა და მსტისლავსკის მხარდამხარ მდგომმა ყირიმელი ბატონიშვილი ვაოტე ოკიდან და მარბიელი თათრებისგან ვიხსენი მოსკოვი! ბევრჯერ დავჭრილვარ, ბევრი სისხლი დამიქცევია მამისშენისა და შენს სამსახურში, ხელმწიფეო! თავს არ ვზოგავდი არც ბრძოლის ველზე, არც ბოიართა დუმაში, შუისკებსა და ბელსკებს შენთვისა და შენი მშობელი დედისთვის ვედავებოდი ჯერ ისევ მაშინ, როცა უასაკო ბალღი იყავი! ერთადერთი, რასაც მუდამ ვუფრთხილდებოდი, ჩემი ღირსება და სახელი იყო, სხვა არაფერი, და ისე გავლიე ცხოვრების დღენი, არც დავანებე ვინმეს მისი შებღალვა; ნუთუ ახლა შენ შეარცხვენ ჩემს ჭაღარას? ნუთუ შენ დაამცირებ ასე მწარედ შენი მშობელის ერთგულ მსახურს? ბრძანე დამსაჯონ, ხელმწიფეო, ბრძანე ჯალათმა მომკვეთოს თავი, და სიხარულით წავალ საწამებლად, როგორც წინათ საბრძოლველად მივდიოდი!

ყველანი სდუმდნენ, მოროზოვის ძლიერი სიტყვით გაოგნებულნი; მაგრამ საერთო დუმილში იოანეს ხმა გაისმა:

— კმარა ყბედობა! — მრისხანედ წარმოთქვა მან და, უკვე დაცინვით კი არა, აშკარა სიბრაზით განაგრძო, — შენი ბრიყვული ლაპარაკი ცხად-

ყოფს, ბებერო, რომ დიღებული ხუმარა იქნები. ჩაიცვი მასხარას სამოსი! ჰეი, თქვენ! — ოპრიჩნიკებს მიუბრუნდა და განაგრძო მეფემ, — დაეხმარეთ ბოიარს; ეგ დაჩვეულია, რომ სხვები ემსახურებოდნენ.

მოროზოვი რომ მორჩილად შეხვედროდა ამ ამბავს ან მუხლებში ჩავარდნოდა მეფეს და დამამცირებლად შევედრებოდა პატიებას, ვინ იცის, ივან ვასილევიჩს ეგებ ლმობიერება გამოეჩინა. მაგრამ მოროზოვს უზომოდ ზვიადი იერი ედო, ხმაც უზომოდ მტკიცე და გაბედული ჰქონდა; თვით მის თხოვნაშიც შეუპოვრობა მოისმოდა და იოანეს არ შეეძლო ამის ატანა. მას დაუძლეველი სიძულვილი ჰქონდა ყველა ძლიერი ბუნების კაცისა და სწორედ ეს იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ სულ ასლასხან ასე ანგარიშმიუცემლად გასწირა ვიაზემსკი, რომლის თვითრჯულ ხასიათსაც კარგად იცნობდა იოანე.

ოპრიჩნიკებმა უმალ შემოაძარცვეს მოროზოვს ზედა სამოსი და ზანზალაკებიანი ხიფთანი ჩააცვეს.

მას შემდეგ, რაც იოანემ ბოლოს აკადრა, მოროზოვმა ამაოდ ჩათვალა ურჩობა. ბოიარმა ადროვა ოპრიჩნიკებს, რომ ხიფთანი ჩაეცმიათ მისთვის, და მდუმარედ იდგა, სანამ ისინი სიცილ-ხორხოცით ასწორებდნენ და ქაჩავდნენ მის ტანზე ახალ სამოსს. მოროზოვი მთლად ფიქრად იქცა. იგი მთელი თავისი გრძნობა-გონებით საკუთარ არსებაში ჩაღრმავდა.

— ეჰ, ქუდი კი დაგავიწყდათ? — თქვა გრიაზნოიმ და ჭრელი ჩაჩი ჩამოაფხატა მოროზოვს, მერე კი უკან გადგა და, წელში გამტყდარი, უმდაბლესად ეთაყვანა ბოიარს.

— დრუჟინა ადნრეიჩ! — უთხრა მან: — მოწიწებით გეთაყვანებით და გილოცავთ ახალ თანამდებობას! გაგვართე და შეგვაქციე, როგორც ცხონებული ნოგტევი გვართობდა!

მაშინ მოროზოვმა თავი ასწია და თვალი მოავლო შეკრებილთ.

— კეთილი და პატიოსანი! — ხმამაღლა და მტკიცედ წარმოთქვა მან: — ვლებულობ მეფის ახალ წყალობას. ბოიარ მოროზოვს არ შეჰფეროდა გოდუნოვის გვერდით დაჯდომა; მაგრამ მეფის ხუმარას მართებს კიდევაც მეფის სუფრაზე გრიაზნოებისა და ბასმანოვების მხარდამხარ ყოფნა. აბა, მიიწ-მოიწით, გაგრიებო! ადგილი დაუთმეთ ახალ ტაკიმასხარას! გაატარეთ ხუმარა და ისმინეთ ყველამ, როგორ გაართობს ივან ვასილევიჩს!

მოროზოვმა მბრძანებლურად აიქნია ხელი და ოპრიჩნიკებმა თავისდაუნებურად უტიეს გზა.

ბოიარი ზანზალაკების ჟღარუნით მივიდა მაგიდასთან და იოანეს

პირისპირ დაეშვა მერხზე ისეთი მედიდურობით, თითქოს ხუმარას ჭრელაჭრელა ხიფთანი კი არა, დიდებული სამეფო მანტია სცმოდეს.

— აბა, რით გაგართო, ხელმწიფეო? — ჰკითხა მან, მკლავები მაგიდაზე შემოაწყო და შიგ თვალებში შეაცქერდა ივან ვასილევიჩს. — ერთობ უცნაურად ახირებული გართობა დაგჩემდა, კაცი ველარაფრით გაგაკვირვებს! რალანაირი ხუმრობა არ გავიგონეთ რუსეთში მას აქეთ, რაც შენ ხელმწიფობ! ჯერაც ყმაწვილი იყავი, რომ უკვე გართობას მიჰყავი ხელი და ცხენით თქერავდი ხალხს ქუჩებში; მაშინაც ერთობოდი, როცა ნადირობისას მეძაღლეებს ასო-ასო ააქნევინე თავადი შუისკი; შენთვის ისიც გართობა იყო, როცა ფსკოველთა წარმოგზავნილნი თვალცრემლიანნი მოვიდნენ, რომ შენს ნაცვალზე შემოეჩივლათ, შენ კი ბრძანე წვერ-ულვაში დაეტრუსათ მათთვის მდუღარე კუპრით!

ოპრიჩნიკებმა ადგილიდან წამოხტომა დააპირეს, რომ ხროვასავით შესეოდნენ მოროზოვს; მაგრამ მეფემ ანიშნა, მშვიდად მსხდარიყვნენ.

— მაგრამ, — განაგრძობდა მოროზოვი, — ეს ყველაფერი ბავშვური ცელქობა იყო; ჰოდა, მალე მოგბეზრდა. მაშინ სახელოვან დიდებულთა ბერად აღკვეცას მიჰყავი ხელი, მათ ცოლებსა და ასულებს კი თავლაფს ასხამდი შენს გასართობად. მაგრამ ესეც მოგწყინდა. მაშინ შენს საუკეთესო მსახურებს დარიე ხელი და ტანჯვა-წამებით უღებდი ბოლოს. ამან უფრო გაგართო და გაგახალისა, ოღონდ დიდხანს ვერც ამით შეიქციე თავი. სულ ხომ ხალხზე და ბოიარებზე არ ვიავკაცებ, მოდი ახლა ქრისტეს ეკლესიასაც გავამასხრებო, თქვი გუნებაში! ჰოდა, შეჰყარე თუ სადმე იყო სამიკიტნოებში ნათრევი არაკაცები, წუნკალი ვიგინდარები, ბერის ანაფორით დამოსე ისინი, თვითონაც ბერივით შეიმოსე და დაიწყე გართობა: დღისით ხალხის კვლა, ღამით კი აკათისტოს გალობა. შენ თვითონ, სისხლით გათხვრილი, კიდეც გალობდი, ზარებსაც რეკდი და ლამის წირვაც აგესრულებინა. ეს ყველაზე მხიარული გასართობი გამოდგა; ამნაირს, შენს მეტი, ვერა კაცი ძეხორციელი ვერ მოიფიქრებდა!

— რალა გითხრა ამის მეტი, ხელმწიფეო? კიდევ რით გაგიხალისო გული? ჰო, ბარემ ამ ერთსაც გეტყვი: სანამ შენ ამ შენი ოპრიჩნინით ნიღაბაკრული ჩარფუზანობ, ცისკრის ზარებს რეკავ და სისხლით ითვრები, დასავლეთიდან ჟიგიმონტი შემოგიტევს, ჩრდილოეთიდან გერმანელები და ჩუდელნი მოგესევიან, ხოლო სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ხანი წამოვა შენს შესამუსრად. მოსკოვს ურდო შემოესევა და აღარსად გეყოლება ვოევოდები, რომ წმინდა ეკლესიას მცველად დაუდგნენ! ცეცხლის ალში გაეხვევა ღვთის ტაძრები წმინდა ნაწილებითურთ, კვლავ მობრუნდება ბათო ყაენის დროება და ჟამიანობა. შენ კი, სრული-

ად რუსეთის მეფე, მორჩილად დაიდრეკ ქედს ხანის წინაშე და, მუხლებზე მდგარი, მის უზანგებს დაუწყებ ლოკვას!

მოროზოვი დადუმდა.

არავინ ცდილა სიტყვა გაეწყვეტინებინა მისთვის; ყველა სუნთქვაშეკრული შეჰყურებდა ბოიარს. მეფე წინ იყო გადმობრილი და საბეგაფითრებული, თვალანთებული, პირზე დორბლმომდგარი უსმენდა მოროზოვს. იოანე კრუნჩხვაშეყრილივით ჩაჰფრენოდა სავარძლის სამკლავეებს და იფიქრებდით, მხოლოდ იმას ცდილობს, ერთი სიტყვაც არ გამორჩეს მოროზოვისა, რომ სათითაოდ ჩაიბეჭდოს ისინი მეხსიერებაში და მერე გამორჩეული სატანჯველით მიუზღოს თვითეულისთვისო.

ყველა ოპრიჩნიკი გაფითრებული იყო; ვერავინ ბედავდა მეფისკენ გახედვას. გოდუნოვმა თვალები დახარა და სუნთქვაც კი შეიკრა, რომ ეისიმე ყურაღღება არ მიეპყრო. თვით მალიუტაც შეცბუნებული იყო.

უცებ გრიაზნოიმ დანა იშიშვლა, იოანესთან მიირბინა და აღელვებით უთხრა, თან მოროზოვისკენ იშვერდა ხელს:

— ნება მომეცი, ხელმწიფეო, ხმა გაეუწყვიტო!

— არ გაბედო! — თითქმის ჩურჩულით ამოიხრიალა მღელვარებისგან სულშეგუბებულმა მეფემ: — ადროვე მის მოწყალებას ბოლომდე გვითხრას თავისი სათქმელი!

მოროზოვმა ამაყად მოავლო თვალი იქაურობას.

— კიდევ გსურს ხუმრობა, ხელმწიფეო? ინებე, კვლავაც გავართობ! შენს ერთგულ მსახურთაგან კიდევ გყავდა შემორჩენილი ერთი, ძველი გვარის ბოიარი; მაგრამ დრომდე თავს იკავებდი მისი დასჯისგან, კაცმა არ იცის, იმის გამო, რომ ღვთის რისხვისა გეშინოდა, თუ იმიტომ, რომ აქამდე ვერ მოიგონე ღირსეული სასჯელი მისთვის. შენგან შორს ცხოვრობდა ის ბოიარი, შერისხული, და დიახაც შეგეძლო მისი გადავიწყება; მაგრამ შენ, ხელმწიფეო, არავის ივიწყებ! ჰოდა, აი, ერთ მშვენიერ დღეს ის შენი წყეული ვიაზემსკი მიუგზავნე იმას სახლ-კარის გადასაბუგად და ცოლის გასატაცებლად. ხოლო როცა შენთან მოვიდა და ვიაზემსკისთვის დანაშაულის მოკითხვა გთხოვა, მაშინ გართობა მოგეგუნება და ასპარეზზე დააყენე ორივე, რადგან გეგონა, ვიაზემსკი წესს აუგებდა შენს ძველ მსახურს. მაგრამ ღმერთმა არ ინება მისი გაწირვა და გამოაჩინა მისი სიმართლე.

მაშინ რაღა მოიმოქმედე შენ, ხელმწიფეო? მაშინ... — თრთოლვით ვანაგრძო მოროზოვმა და მის სამოსზე ზანზალაკები აჟღრიალდა, — მაშინ იფიქრე, ჯერ არ კმარა, რაც ჩემს მსახურს აქამდე ჭირი ვაწვნიეო, და გადაწყვიტე არგაგონილი, არნახული უმსგავსობით დაგემცრო მისი ღირსება!

მაშინ!.. — შესძახა მოროზოვმა, მაგიდას ხელი ჰკრა და ფეხზე წამოდგა, — მაშინ შენ, ხელმწიფეო, ხუმარას ხიფთანი გადააცვი ბოიარ მოროზოვს და უბრძანე მას, ტულისა და მოსკოვის გადამრჩენელს, მასხარაობით გაერთე შენს თახსირ ღვთის გარეგნებთან ერთად!

მრისხანე შესახედავი იყო მზცოვანი ვოევოდა მდუმარე ოპრიჩნიკთა შორის. ხუმარას საპოსს უკვე ველარავინ ამჩნევდა მის ტანზე. ხშირ წარბებს ქვემოთ ელვებს აკვესებდა გაალმასებული თვალები. თეთრი წვერი დიდებულად ეფინა მკერდზე, რომელიც ბევრჯერ დალახვრულა მტრის მახვილით, მაგრამ ახლა ფერად-ფერადი ნაჭრებით იყო აჭრელებული; აღშფოთებული გამოხედვა კი იმდენ ადამიანურ ღირსებას, ისეთ დიდბუნებოვნებას გაგრძნობინებდათ, რომ მასთან შედარებით იოანე კაცუნა ჩანდა.

— ხელმწიფეო, — განაგრძო მოროზოვმა და ხმას შეუმაღლა, — შენი ახალი ხუმარა შენს წინაშე დგის. ახლა მის ბოლო ხუმრობასაც დაუგდე ყური! სანამ შენ ცოცხლობ, ბაგენი რუსი ხალხისა შიშით არის დადუმებული; მაგრამ გადაივლის შენი მხეცური ხელმწიფება და შენს საქმეთა მხოლოდ მოგონებაღა დარჩება ამ ქვეყანაზე, შენი სახელი კი საუკუნო წყევლა-კრულვისთვის გადავა თაობიდან თაობაში, სანამ ღვთის საშინელი სამსჯავროს დღე დადგებოდეს! და მაშინ შენგან მოკვდინებულთა ასეულნი და ათასეულნი, ურიცხვი მამანი და დედანი, ბალღნი და მოხუცებულნი, შენგან ტანჯულთა და გაუბედურებულთა სრული კრებული, უკლებლივ ყველა ღვთის წინაშე წარსდგება და მხურვალედ შეჰღაღადებს შენს მტარვალობას! იმ საშინელ დღეს მეც წარვსდგები საუკუნო მსაჯულის წინ, აი ასე შემოსილი, და უკანვე გამოვითხოვ ჩემს ღირსებას, რაიც შენ მიმტაცე ამ საწუთროში! მაშინ გვერდით აღარ გეყოლებიან შენი თახსირი ღვთის გარეგნები, რომ მღაღადებელთა ბაგენი დაადუმო, მსაჯული გაიგონებს ჩვენს ვედრებას და შთაგაგდებს ცეცხლსა მას საუკუნოსა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთა!

მოროზოვი დადუმდა, ზიზღით მოავლო თვალი მეფის რჩეულებს, ზურგი აქცია მათ და დინჯად მიაშურა გასასვლელს.

არავის უფიქრია მისი შეჩერება. მოროზოვმა ამაყად ჩაუარა მაგიდებს და, როცა მისი ზანზალაკების ჟღარუნიც მიწყდა, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ გაოგნებული ოპრიჩნიკები; მალიუტა კი ფეხზე წამოდგა და ივან ვასილევიჩს უთხრა:

— რას გვიბრძანებ, ხელმწიფეო, ახლავე მოვუღოთ ბოლო, თუ ჯერ საპყრობილეში ჩავაგდოთ?

— საპყრობილეში! — წარმოთქვა იოანემ და სული მოითქვა, — ფრთხილად მოეპყარით! ასვით და აჭამეთ! საწამებლად ნუ გაიყვანთ, რომ ნაადრევად არ ჩაძაღლდეს: იცოდე, მხრებზე თავი აღარ შეგრჩება, მაგას რომ რამე დაპართო!

საღამოს მეფე საგანგებოდ ეთათბირა მალიუტას.

კოლიჩევები, რომლებიც უკვე დიდი ხანია ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული და ბევრი წამება გამოიარეს მალიუტასგან, ნაწილობრივ უკვე აღიარებდნენ მათთვის შეწამებულ ღალატში დამნაშავეობას, ნაწილობრივ კი, იოანეს აზრით, უკვე საკმაოდ იყვნენ მხილებულნი მეგობრებისა და მსახურებისგან, რომლებიც წამებას ვეღარ იტანდნენ და ცრუ ჩვენებებს იძლეოდნენ.

მათ გარდა, კიდევ ბევრი სხვაც იყო ჩათრეული ამ საქმეში. ეს უბედურნი, რომლებიც მეფის ბრძანებით შეიპყრეს და უწყალოდ აწამებდნენ ზოგს მოსკოვში, ზოგსაც სლობოდაში, თავის მხრივ, სხვებსაც მრავლად ასახელებდნენ, ასე რომ, წამებულთა რიცხვი დღითი დღე მატულობდა და, ბოლოს, სამას კაცამდე გაიზარდა.

მეფემ, რომელსაც ძვირად ულირდა უცხო სახელმწიფოების აზრი, ამჯობინა იმხანად მოსკოვს მყოფი ლიტვის ელჩების გამგზავრებას დალოდებოდა და ყველა სიკვდილმისჯილი ერთად მოეკვდინებინა წინასწარ დანიშნულ დღეს; ხოლო ამ სისხლისღვრის ზემოქმედება რომ უფრო შემაძრწუნებელი ყოფილიყო და შიშით დაეთრგუნა მეამბოხენი მომავალშიც, დასჯა მოსკოვს უნდა აღსრულებულიყო, მთელი ხალხის თვალწინ.

მეფემ გადაწყვიტა ამ დღით დაესაჯა, აგრეთვე, ვიაზემსკიცა და ბასმანოვიც. მეწისქვილეს, როგორც გრძნეულს, კოცონზე დაწვა დაუდეს სასჯელად, ხოლო კორშუნს კი, რომელმაც მეფის საძინებელში შეპარვა გაბედა და რომელსაც აქამდე უფრთხილდებოდნენ საზეიმო შემთხვევისთვის, იოანე განსაკუთრებულ, ჯერ გაუგონარ სატანჯველს უმზადებდა. ასეთივე ხვედრისთვის გასწირა მან მოროზოვიც.

ამ ერთობლივი დასჯის წვრილმანებზე მეფე გვიან ღამემდე საუბრობდა და მამლებმა უკვე მეორედ იყივლეს, როცა მალიუტა გაუშვა, თვითონ კი თავის სახატეში განმარტოვდა.

სიკვდილით დასჯა

ლიტვის ელჩები რომ გაემგზავრნენ და განზრახული საზეიმო დასჯის წინადღე გათენდა, მოსკოველებმა ძრწოლვით დაინახეს მისი სამზადისი.

დიდ სავაჭრო მოედანზე, კიტაი-გოროდის შუაგულში, უამრავი სახრჩობელა აღმართეს. მათ შორის რამდენიმე ფიცარნაგი იდგა თავსაკვეთი კუნძებით. ცოტა მოშორებით ბოძებზე გადებული კადონი მოჩანდა და ზედ ვეება რკინის ქვაბი ეკიდა. თავსაკვეთებს იქით კენტად აემართათ ბოძი, რომელზედაც ბორკილები იყო მიმაგრებული, ხოლო ბოძის გარშემო კოცონის დასანთებ ფიჩხსა და შეშას აზვინებდნენ მუშაკაცები. სახრჩობელებს შორის რაღაც უცნობი იარაღები ეწყო, რომელთა დანახვაც ხალხს გუმანით ახვედრებდა რაღაც საშინელს და წინდაწინვე უკვნესებდა გულს.

სავაჭროდ მოსული ხალხი დაფრთხა ამ სანახაობით და ნელ-ნელა გაიკრიბა ბაზრიდან. მარტო მოედანი კი არა, ახლომახლო ქუჩებიც დაცარიელდა. მცხოვრებლები სახლებში გამოიკეტნენ და ჩურჩულით ლაპარაკობდნენ მოსალოდნელ ამბავზე. მთელ მოსკოვში დაირხა ხმა საშინელი სამზადისის შესახებ და ყველგან მკვდრულმა სიჩუმემ დაისადგურა. დუქნები გამოიკეტა და ქუჩებშიც აღარავინ ჩნდებოდა, გარდა თითო-ოროლა თქარათქურით ჩამოქროლილი მალემსრბოლისა, რომლებსაც დროდადრო გზავნიდნენ ბრძანებებით არბატიდან, სადაც იოანე იყო დავანებული თავის საყვარელ კოშკში. კიტაი-გოროდში უკვე აღარ ისმოდა სხვა ხმა, გარდა ხუროების ნაჯახთა ჩახაჩუხისა და სამუშაოების ზედამხედველ ოპრიჩნიკთა ლაპარაკისა.

როცა ღამე ჩამოდგა, ეს ხმებიც მიყუჩდა და კიტაი-გოროდის ქონგურებიანი კედლების გადაღმა ამოცურებულმა მთვარემ მქრქალ შუქში გაჰხვია უკაცრიელი მოედანი და ზედ აჩხორილი მარგილები და სახრჩობელები. ერთი ფანჯარაც არსად ჩანდა გაშუქებული; ყველა დარაბა ჩაგმანული იყო, მხოლოდ აქა-იქ ბჟუტავდა უღონოდ ეკლესიების გარეთა ხატების კანდელები. მაგრამ ძილი არავის ეკარებოდა ამ ღამით; ყველა ლოცულობდა და გათენებას ელოდებოდა.

ბოლოს საბედისწერო დილაც გათენდა და ცაში ყვავ-ყორნებისა და ჭილყვავების ძლიერი ჩხავილი გაისმა. ონავრებს ეგრძნოთ, რომ სულ მალე სისხლი უნდა დაღვრილიყო და ყოველი მხრიდან მოფრინავდნენ

კიტაი-გოროდისკენ, გუნდ-გუნდად კრავდნენ კამარას მოედნის თავზე და შავ მწკრივებად სხდებოდნენ ეკლესიების ჯვრებზე, სახურავების ბიბილოებსა და ნაწიბურებზე და თვით სახრჩობელების კადონებზედაც.

სიჩუმეში დაირებისა და დაფდაფების შორეული ხმა დაირხა. ეს ხმა ნელ-ნელა უახლოვდებოდა მოედანს და, ბოლოს, ხუთ მწკრივად მომავალ ცხენოსან ოპრიჩნიკთა რაზმიც გამოჩნდა. წინ მესაკრავენი მოდიოდნენ, რომ ხალხი გაეფანტათ და გზა გაეკვლიათ ხელმწიფისთვის, მაგრამ ისინი ცუდუბრალოდ არხევდნენ დაირებს და აგრიალებდნენ დაფდაფებს ლითონის ბურთულიანი ჩხირებით: ძეხორციელი არსად ჩანდა იმ არემარეზე.

ოპრიჩნიკთა შემდეგ თვითონ მეფე ივან ვასილევიჩი მოათამაშებდა ცხენს, საზეიმოდ მორთულ-შეჭურვილი, უნაგირზე მიკრული კაპარჭითა და ზურგზე მოგდებული ოქროფერილი მშვილდით. მის მუზარადს ამშვენებდა დეისუსი, ანუ მინანქარზე გამოყვანილი მაცხოვრისა და მის ორთავ მხარეს ღვთისმშობლის, იოანე წინამორბედისა და სხვადასხვა წმინდანთა გამოსახულებები. ასალი უნაგირის ქვეშ პატიოსანი თვლებით ბრწყინავდა, სამკერდულზე კი შავრა ბედაურს ზინზილის ნაცვლად ძაღლის თავი უკონწიალებდა.

მეფეს იოანე ბატონიშვილი მოჰყვებოდა მხარდამხარ, უკან კი სამ მწკრივად ჩარიგებულ უახლოეს კარისკაცთა ამალა მოაცილებდა. კარისკაცთა შემდეგ სამას კაცზე მეტი სიკვდილმისჯილი მოლასლასებდა. ბორკილებით ხელ-ფეხ გაკრულთ, წამებით გატანჯულთ, უჭირდათ ბიჯის წადგმა, მაგრამ ოპრიჩნიკები ძალით მოერეკებოდნენ მათ.

მსვლელობას მხედარ-ცხენოსანთა მრავალრიცხოვანი რაზმი აბოლოვებდა.

როცა ეს ამოდენა ქარავანი კიტაი-გოროდში შევიდა, მთელი ლაშქარი ჩამოქვეითდა და სახრჩობელებთან განლაგდა, იოანემ, რომელიც კვლავ ცხენზე იჯდა, იქაურობას მოავლო თვალი და გაოცებულმა დაინახა, რომ მოედანზე ერთი მაყურებელიც არ მოსულიყო.

— შეჰყარეთ ხალხი! — უთხრა მან ოპრიჩნიკებს. — დაე, ნურავის შეეშინდება! აუწყეთ მოსკოველთ, რომ მეფე თავის მოღალატეებს სჯის, ბრალის არმქონეთ კი შეწყალებას აღუთქვამს!

მალე მოედანზე ხალხმა იწყო თავმოყრა, დარაბები გამოიღო და ფანჯრებში ფერდაკარგული, დამფრთხალი სახეები გამოჩნდა.

ამასობაში ქვაბქვეშ შენთებული კოცონი აგიზგიზდა და თავსაკვეთ ფიცარნაგებზე ჯალათები ავიდნენ.

ივან ვასილევიჩმა ბრძანა ამოერჩიათ რამდენიმე სიკვდილმისჯილი, რომლებიც დიდი დამნაშავენი არ იყვნენ და წინ გამოეყვანათ.

— კაცნო! — უთხრა იოანემ მათ ხმამაღლა და მკაფიოდ, რომ მოედანზე ყველას გაეგონა მისი სიტყვები: — თქვენ ჩემს მოღალატეებთან მეგობრობითა და ავანჩაენობით მათივე ღირსი სასჯელი დაიმსახურეთ; მაგრამ მე, თქვენი სულის წარწყმედის გამო გულანაკვნესმა და მწუხარებასა შინა მყოფმა, გადავწყვიტე მიგიტევოთ ბრალნი თქვენნი და სიცოცხლე გიბოძოთ, რათა მონანიებით გამოისყიდოთ დანაშაული და ილოცოთ ჩემთვის, უღირსისთვის!

მეფემ ნიშანი მისცა და შეწყალებულნი გვერდზე გაიყვანეს.

— მოსკოველნო! — თქვა მაშინ იოანემ: — ახლა თქვენ სიკვდილით დასჯასა და წამებას იხილავთ; მაგრამ ვსჯი ოდენ ბოროტის მოქმედთ, რომელთაც სურდათ მტრების საჯიჯგნად გაეყიდათ სახელმწიფო! ცრემლდამდინარი ვწირავ მათ ხორციელი სატანჯველისთვის, რამეთუ მე ვარ მსაჯული, უფლის მიერ დადგინებული განსასჯელად ჩემი ხალხისა! ჩემს სამართალში კი წვეთიც არ არის მიკერძოების, რამეთუ ვით აბრაამი, თავის შვილზე რომ შემართა დანა, მეც ჩემს უახლოესთ ვიმეტებ მსხვერპლად! დაე ეს სისხლი ჩემს მტერთ და ორგულთ მოეკითხოთ!

მაშინ სიკვდილით დასასჯელთა გუნდიდან პირველად ბოიარი მოროზოვი გამოიყვანეს.

იოანემ, სიშმაგის პირველ შემოტევაზე, უსაშინელესი წამება გადაუწყვიტა დრუჟინას; მაგრამ, გუნება-განწყობილების უცნაური ცვალებადობის გამოისობით ან, იქნებ, ბოიარისადმი მოსკოველთა საყოველთაო სიყვარულის მიზეზითაც, დასჯის წინადღით შეცვალა თავისი განკარგულება და უფრო ლმობიერი სიკვდილი დაუდგინა მას.

ხელმწიფის დუმის დიაკვნ, როელიც ფიცარნაგთან იდგა, გრძელი გრაგნილი გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:

— ყოფილო ბოიარო დრუჟინა! შენ ქადილით იმუქრებოდი შფოთი ჩამოგეგდო სახელმწიფოში, ყირიმის ხანი და ლიტვის მეფე ჟიგიმონტი შემოგესია და სხვა მრავალი ჭირი და განსაცდელი დაგეტეხა რუსეთისთვის. შენვე გაკადნიერდი და გესლიანი, კბენია სიტყვებით ლანძღე ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი სრულიად რუსეთისა, სცადე საურჩოდ აგეშფოთებინა კეთილნი მსახურნი მისნი. შენ სიკვდილზე უარესი გვემა-წამება დაიმსახურე; მაგრამ დიდმა ხელმწიფემ, ახსოვს რა შენი უწინდელი სიმამაცენი, შენზედ გულმტკივნეულმან, ბრძანა სხვებისგან გამორჩეულად და სხვა სატანჯველთა განუცდელად დაგსაჯოს სწრაფი

სიკვდილით — თავი მოგკვეთოს, ხოლო შენი ქონება და მამული თავის სამეფო მფლობელობაში არ გადმოსწეროს!

მოროზოვმა, რომელიც უკვე ფიცარნაგზე იყო ასული, პირჯვარი გამოისახა.

— უბრალო და უცოდველი ვარ ღვთისა და ხელმწიფის წინაშე, — მშვიდად მიუგო მან, — დაე სული ჩემი უფალმა ღმერთმა იესო ქრისტემ მიიბაროს, ხელმწიფეს კი მხოლოდ ერთ წყალობას ვთხოვ. ჩემს შემდგომ რაც ავლა-დიდება დარჩება ჩემი, დაე სამ ნაწილად გაიყოს: ერთი წილი ღვთის ეკლესიებისთვის და ჩემი სულის მოსახსენებლად იყოს; მეორე გლახაკთა და არას მქონეთ დაურიგდეს; მესამე კი ჩემს ერთგულ მსახურთ და ყმებს გაუნაწილდეს; ხოლო ჩემს კაბალაში მყოფთ და მონებს სამუდამოდ ვათავისუფლებ! დაქვრივებულ მეუღლეს კი შეცოდებას მივუტევებ და, ვისაც ისურვებს, მას მისთხოვდეს!

ეს რომ თქვა, მოროზოვმა კიდევ ერთხელ გამოისახა პირჯვარი და თავსაკვეთ კუნძზე დადო თავი.

გაისმა ყრუ დარტყმა, დრუჟინა ანდრეევიჩის თავი ძირს გაგორდა და ფიცარნაგი წითლად შეიღება მისი კეთილშობილი სისხლით.

შემდეგ ოპრიჩნიკებმა, ხალხისდა გასაოცრად, დასასჯელად გამოიყვანეს ხელმწიფის მეაბჯრეთუხუცესი თავადი ვიაზემსკი, მერიქიფეთუხუცესი ფიოდორ ბასმანოვი და მამაჰისი ალექსეი, რომელიც ფიოდორმა დააბეზღა წამებისას.

— მოსკოველნო! — წარმოთქვა იოანემ და მსჯავრდადებულებზე მიუთითა: — ესენი, ვისაც აქ ხედავთ, ჩემი და თქვენი ბოროტისმოქმედნი არიან! ამათ ჯვარზე ფიცილი გადაივიწყეს და ჩემი სახელით ძალადობდნენ, ხალხს იკლებდნენ, იმ ხალხს, ვის ქომაგადაც თვითონ იყვნენ ჩემს მიერ დაყენებულნი. ახლა თითოეულ მათგანს ღირსეულად მიეზღვება მათ საქმეთათვის!

ვიაზემსკისა და ორივე ბასმანოვს, როგორც მეფის ნდობის გამცრუებელთ, სასტიკი წამებით სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი.

დიაკმა მათ წაუკითხა, რომ ბრალად ედოთ ერძნეულებით მეფის წახდენის შინაგანზრახვა, სახელმწიფოს მტრებთან დანაშაულებრივი ურთიერთობა და იოანეს სახელით ხალხის რბევა-შევიწროება.

როცა ჯალათებმა ფიოდორ ბასმანოვს ჩაავლეს ხელი და ფიცარნაგზე აიყვანეს, ის მაყურებლებს მიუბრუნდა და დაიყვირა:

— ხალხო და ჯამაათო, ქრისტიანებო! სიკვდილის წინ მინდა ჩემი ცოდვები მოვინანიო! მინდა ყველამ იცოდეთ ჩემი აღსარება! მისმინეთ, ქრისტიანებო...

მაგრამ მალიუტამ, რომელიც მის უკან იდგა, სიტყვის განგრძობა აღარ აცალა. ხმლის მარჯვე მოქნეეთ თავი წაასხიპა ფიოდორს სწორედ იმ წამს, როცა იგი თავისი აღსარების დაწყებას აპირებდა.

ბასმანოვის გასისხლიანებული გვამი ფიცარნაგზე დავარდა ზღარბანით, წასხეპილი თავი კი საყურეების წკარუნით შეუგორდა ფეხებში მეფის ცხენს, რომელიც გვერდზე გახტა, ფრუტუნს მოჰყვა და ცერად აპარებდა მისკენ დამფრთხალ თვალს. თავისი უკანასკნელი თავხედობით ბასმანოვმა აიცდინა საშინელი გვემა-წამება, რომელიც მას ელოდა.

მამამისი ალექსეი და თავადი ვიაზემსკი ვერ ეღირსნენ ასეთ ბედნიერებას. ისინი ავაზაკ კორშუნთან ერთად აიყვანეს ფიცარნაგზე, სადაც საშინელი იარაღებით წამება ელოდათ. ამავე დროს მოხუცი მეწისქვილე კოცონისკენ წაათრიეს და ბოძზე მიაბეს.

ვიაზემსკი, რომელსაც, წამებით გატანჯულს, ფეხზე დგომის ღონეც აღარ ჰქონდა და მხრებში ამომდგარი ჯალათები შველოდნენ, ნადირივით ავლებდა მზერას იქაურობას. მის თვალებში არც შიში იხატებოდა, არც სინანული. ბოძზე მიკრული მეწისქვილე და მის გარშემო უკვე მხრჩოლავი კვამლის ბოლქვები რომ დაინახა, თავადს ერთბაშად გაახსენდა მოხუცის უკანასკნელი სიტყვები, როცა ის, ხმლის შელოცვის მერე, წყლით სავსე ბადიას ჩასცქეროდა; გაახსენდა, აგრეთვე, ის ჩვენებაც, რაც წისქვილში ნახა, როცა მთვარიან ღამით გაფაციცებული ჩაჰყურებდა წყალს მოხმაურე ბორბლის ქვეშ და ცდილობდა თავისი მომავალი ეხილა, მაგრამ მხოლოდ ის დაინახა, როგორ ჩამუქდა წყალი მეწამულისფრად, თითქოს სისხლივით, და ამოძრავდა კბილანა ხერხები, გადაიხსნა და ჩაიწმახნა რკინის მარწუხები...

მეწისქვილემ ვერ შენიშნა ვიაზემსკი. თავის საფიქრალში ჩაღრმავებული, ის რაღაცას ლუღლუღებდა ცსვირში და ჯკუაარეულივით ბუქნაობდა ბორკილების ჟღარუნით.

— შიკალუ! ლიკალუ! — ამბობდა მოხუცი: — მდიდრულ ნადიმზე ყორნები მოფრინდნენ! ბორბალი აბრუნდა, დაბრუნდა! რაც მაღლა იყო, ის ძირს მოექცა! შიგადამ! დაჰქროლე, ქარო, წისქვილიდან, ჩემს მტრებს ეძგერე! კულა! კულა! კოცონი დაანიავე, ცეცხლი ჩაფშუკე!

და, მართლაც, თითქოს ჯადოსიტყვის ძალას ემორჩილებაო, მოედანზე ქარმა დაუბერა, მაგრამ, კოცონის ჩაქრობის ნაცვლად, მან ქვემოდან შენთებული ფიჩხი გააჩაღა და მეწისქვილე ხმელი შეშიდან ავარდნილ ალში შთაინთქა.

— შიგადამ! კულა! კულა! — კიდევ ერთხელ მოისმა კვამლის ღრუბლიდან მისი ხმა და უცებ დადუმდა მოგიზგიზე კოცონის ტკაცატკუცში.

კორშუნის გარეგნობა თითქმის სულ ვერ შეეცვალა ვერც წამებას, ვერც დილეგში დიდხანს გდებას. ძლიერი ბუნების წყალობით მან გაუძლო დაუსრულებელ დაკითხვებს, მაგრამ სახეზე კი ცვლილება დაეტყო. იერი უფრო რბილი გაუხდა; თვალებში მშვიდი გამომეტყველება ჩაუდგა.

იმ ღამიდან მოკიდებული, რაც მეფის საძინებელში შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს, უკვე აღარ სტანჯავდა სინდისის ქენჯნა. მოსალოდნელი სიკვდილით დასჯა ოდესღაც ჩადენილ ბოროტებათა გამოსყიდვად მიიჩნია თავიდანვე და, დამპალ თივაზე წამოწოლილმა, როგორც იქნა, მშვიდად დაიძინა პირველად ამდენი ხნის შემდეგ.

დიაკნა კორშუნის დანაშაული და მოსალოდნელი სასჯელი წაუკითხა ხალხს.

ფიცარნაგზე ასულმა კორშუნმა ეკლესიების გუმბათებს მიაპყრო თვალი, პირჯვარი გამოისახა და უდაბლესი თაყვანი სცა ხალხს, რიგრიგობით მოედნის ოთხსავ მხარეს.

— მომიტევეთ, ხალხნო, მართლმადიდებელნო! — თქვა მან. — მომიტევეთ ჩემი ცოდო-ბრალი, ძარცვა-გლეჯა, ქურდობა, კაცის კვლა! მომიტევეთ ყოველივე, რაც თქვენს წინაშე შემიცოდავს! ჩემს ცოდვათათვის მე ღირსი ვარ სიკვდილის სატანჯველისა, შემინდეთ ჩემი დანაშაულნი, ხალხნო, მართლმადიდებელნო!

ეს თქვა, ჯალათებისკენ შებრუნდა და თვითონვე გაჰყო ხელები მისთვის მოამზადებულ მარყუჟებში.

— პა, მიმაბით ბარემ! — თქვა მან, ხუჭუჭა თავი აიქნია და ამის მეტად სიტყვაც აღარ დასცდენია.

მაშინ, იოანეს ნიშანზე, დიაკი ღანარჩენ სიკვდილმისჯილებს მიუბრუნდა და წაუკითხა მათ, რომ ბრალად ედოთ ხელმწიფის წინააღმდეგ შეთქმულება, ლიტვის მეფისთვის ნოვგოროდისა და ფსკოვის გადაცემის შინაგანზრახვა და თურქეთის სულთანთან დანაშაულებრივი ურთიერთობა.

მათ სხვადასხვა სატანჯველი ელოდათ — ვის სახრჩობელებთან, ვის მდულარე ქვაბთან, ვის კიდევ დასჯის სხვა იარაღებთან.

ხალხმა ხმამაღალი ლოცვა დაიწყო.

— ღმერთო დიდებულო, ღმერთო დიდებულო! — გაისმოდა მოედანზე: — შეიწყალე ეს უბედურები, ღმერთო! დროზე მიიბარე ამათი სული!

— ილოცეთ ჩვენთვის, წმინდა მოწამენო! — ყვიროდა ზოგი. — ჩვენც მოგვიხსენიეთ, როცა სასუფეველში დაემკვიდრებით!

ოპრიჩნიკებმა, ეს ხმები რომ ჩაეხშოთ, ხმამაღლა შეჰყიჟინეს:

— ჰაიდა! ჰაიდა! დაე მოისრან ხელმწიფის მტრები!

მაგრამ უცებ ბრბო შეტორტმანდა, ყველამ ერთ მხარეს იბრუნა თავი და გაისმა შეძახილები:

— ნეტარი მოდის! შეხედეთ! ნეტარი მოდის!

მოედნის ბოლოში ორმოციოდე წლის წვერმეჩხერი, ფერმკრთალი, ფეხშიშველი, ტილოს პერანგამარა კაცი გამოჩნდა. მას გასაოცრად თვინიერი სახე ჰქონდა, ტუჩებზე კი უცნაური, ბავშვურად კეთილი ღიმილი დასთამაშებდა.

მისი სახე მკვეთრად გამოირჩეოდა მოედანზე თავშეყრილი ხალხის შეძრწუნებულ, დამფრთხალ ან მხეცურ სახეთაგან და მისმა გამოჩენამ ძლიერ იმოქმედა ყველაზე. მოედანი გაირინდა, დასჯა შეწყვიტეს.

ყველა იცნობდა ნეტარს, მაგრამ ჯერ არავის ენახა მის სახეზე ისეთი გამომეტყველება, როგორც დღეს ჰქონდა. მოღიმარი ბაგეები უჩვეულოდ ებრიცებოდა და კრუნჩხვიანივით უტოკავდა, თითქოს მის ბუნებით თვინიერებას სხვა, უცხო გრძნობა ებრძვისო.

წინ წამოხრილი ნეტარი ტანზე ასხმული ჯაჭვებისა და რკინის ჯვრების ჟღარუნით მოიკვლევდა გზას მის წინ გარღვეულ ბრბოში და პირდაპირ იოანესკენ მოემართებოდა.

— ივაშკო! ივაშკო! — შორიდანვე ყვიროდა ის, თან კრიალოსანს მარცვლავდა და იღიმებოდა: — ივაშკო! მე დაგავიწყდი, მე!

მის დანახვაზე იოანემ ცხენის შებრუნება და მოშორებით ვადგომა დააპირა, მაგრამ სალოსი უკვე მის გვერდით იდგა.

— აბა, შემოხედე ნეტარს! — უთხრა მან და ლაგამში სწვდა მეფის ცხენს. — რატომ არ ბრძანებ, ნეტარიც დასაჯონ? რით არის ვასია სხვებზე ნაკლები?

— ნეტავი შენ! — თქვა მეფემ, თან მუჭით ოქროს ფულები ამოიღო სარტყელზე შებმული ქისიდან. — აჰა, ვასია, წადი, ჩემთვის ილოცე!

ნეტარმა პეშვი შეუშვირა ოქროებს, მაგრამ მაშინვე უკან დაიქნია ხელები და ფული მიწაზე დაცვივდა.

— ვაი, ვაი! ხელები დამფუფქა! — დაიყვირა, თან სულს უბერავდა თითებს და ჰაერში ასავსავებდა: — რატომ გაახურე ცეცხლში ეს ფულები? რატომ გაახურე ჯოჯოხეთის ცეცხლში?

— წადი, ვასია! — მოუთმენლად გაუმეორა იოანემ: — თავი დაგვანებე, შენ აქ არაფერი გესაქმება!

— არა, არა! მე სწორედ აქ მაქვს საქმე, წამებულებთან! ბარემ მეც დამადგი წამებულის გვირგვინი! რატომ მივიწყებ? რისთვის მჩაგრავ? მეც მომეცი ისეთი გვირგვინი, სხვებს რომ ურიგებ!

— წადი ახლა, წადი! — უკვე გაბრაზებით უთხრა ივან ვასილეიჩმა.

— არ წავალ! — ჯიუტად წარმოთქვა სალოსმა და ცხენის მოსართაველებს ჩააფრინდა, მაგრამ უცებ სიცილი ასტეხა, იოანეს მიაშვირა თითი და წამოიწყო: — შეხედეთ, შეხედეთ! ეს რა გამოსვლია ამას შუბლზე? რა გაქვს ეგ, ივაშკო? რქები გაქვს შუბლზე! თხის რქები გამოგსვლია! და თავიც ძაღლისა გამოგბმია.

იოანეს თვალები წამოენთო.

— შორს ჩემგან, გადარეულო! — შეჰყვირა მან, გვერდით მდგომ ოპრიჩნიკს შუბი წაჰგლიჯა და სალოსს მოუღერა.

ხალხს აღშფოთების ძახილი აღმოხდა.

— ხელი არ ახლო! — გაისმა ბრბოში. — ხელი არ ახლო ნეტარს! ჩვენს თავზე სრული უფალი ხარ, ნეტარს კი ხელი არ ახლო!

მაგრამ სალოსი კვლავინდებურად იღიმებოდა, ნახევრადბავშვურად, ნახევრადგიჟურად.

— განმგმირე, საულ მეფევ! — ამბობდა და გვერდზე იხვეჭდა გულზე ღაკიდებულ ჯვრებს. — განმგმირე აი აქ, შიგ გულში! მე რითი ვარ ამ წმინდანებზე უღირსი? მეც გამისტუმრე ზეციურ სასუფეველში! იქნებ გშურს, ჩვენთან ყოფნა რომ არ გეღირსება, საულ მეფევ, ჰეროდე მეფევ, ჯოჯოხეთის მეფევ?

იოანეს შუბი აუძაგძაგდა ხელში. კიდევ წამი და — იგი გულს გაუპობდა სალოსს, მაგრამ ხალხის ახალმა შეძახილებმა გააშეშა ჰაერში. მეფემ ნებისყოფა დაძაბა და თავს მოერია, მაგრამ ქარიშხალს გზა უნდა ეპოვა.

პირზე ქაფმორეულმა, თვალანთებულმა და შუბშემართულმა იოანემ ქუსლები შემოჰკრა ცხენს და ისე შმაგად მოსწყვიტა ადგილიდან, რომ ბედაურს ნაპერწკლები გასცვივდა ნალებზე. მეფე სიკვდილმისჯილთა ბრბოს მიაწყდა და შუბით განგმირა პირველივე, ვინც ხელში მოჰყვა.

სანამ იოანე ნელი სვლით ბრუნდებოდა თავის ადგილზე, ძირს დახრილი წვერგასისხლიანებული შუბით, ოპრიჩნიკებმა მოასწრეს ნეტარის გარიდება იმ არემარიდან.

მეფემ ხელი აიქნია, და ჯალათებმა კვლავ განაგრძეს თავისი საქმე.

იოანეს გაფითრებული სახე წამოუწითლდა; თვალები კაკლისოდენა გაუხდა, შუბლზე ლურჯად დაებურცა ძარღვები და ნესტოები დაებერა...

ბოლოს, როცა მტარვალობით გაძღა, ცხენი მოაბრუნა და მოედნის გარშემოვლით ეაეცალა იქაურობას, სისხლით შესვრილი და თავისი გა-

სისხლიანებული ლაშქრით გარშემორტყმული. ეკლესიების ჯვრებზე და სახურავების ქიმებზე ჩამომსხდარმა ყვავ-ყორნებმა ზედიზედ დაიქნიეს ფრთები და ერთმანეთის მიყოლებით მოაშურეს უმოწყალოდ დაჯიჯგნილ-დაფლეთილ სხეულთა გროვებს და სახრჩობელებზე დაკონწიალებულ უსულო გვამებს.

ბორის გოდუნოვი ამ დღეს არ იყო მეფის თანმხლებთა შორის. მან, ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე, თავს იდო მოსკოვიდან ლიტვის ელჩების გაცილება.

ამ სასაკლაოს გამართვის მეორე დღეს მოედანი გაასუფთავეს, დასჯილთა გვამები კრემლის თხრილთან მიზიდეს და შიგ ჩაყარეს.

შემდგომში მოსკოვის მოქალაქეებმა იქ რამდენიმე ხის ეკლესია ააგეს, ძ ვ ლ ე ბ ს ა დ ა ს ი ს ხ ლ ს ა ზ ე დ ა, როგორც ძველი მატიანეები ამბობენ.

წლები გავიდა; საშინელი დასჯის შთაბეჭდილება წარიხოცა სალხის მეხსიერებიდან, მაგრამ კრემლის თხრილის გაყოლებით კიდევ დიდხანს იდგა ის უბრალო ეკლესიები და სალოცავად მოსულ ხალხს შეეძლო ესმინა იმათი სულის მოსახსენებელი პანაშვიდები, ვინც მეფისა და დიდი მთავრის იოან ვასილევიჩ ᲘᲔᲝᲗᲮᲘᲡ ბრძანებით აწამეს და მოაკვდინეს.

XXXVI თ ა ვ ი

ᲡᲚᲝᲑᲝᲓᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

მოსკოვს რომ შიშის ზარი დასცა, მეფემ ისურვა მოწყალე და დიდსულოვან მსაჯულად სჩვენებოდა ხალხს. მისი ბრძანებით დილეგები გახსნეს და ერთბაშად გაათავისუფლეს ტუსაღები, რომლებსაც უკვე გადაწურული ჰქონდათ შეწყალების იმედი. ზოგიერთს იოანემ საჩუქარიც გაუგზავნა. კაცი იფიქრებდა, მის არსებაში რახანია მბორგავი და დიდხანს მღვივარი სიშმაგე უკანასკნელ სისხლისღვრად აბობოქრდა და ისე ამოისუნთქა მისი სულიდან, როგორც ვარვარა ლავა ცეცხლმფრქვევი მთიდანო. ფიქრი და გონება დაუცხრა, ყველგან და ყველაფერში ღალატის ჩხრეკა მიატოვა.

უბრალო სისხლის დათხევის შემდეგ ყოველთვის როდი ეუფლებოდა იოანეს სინდისის ქენჯნა. ეს სხვა გარემოებებზედაც იყო დამოკიდებული. ზეციური სასწაულები, უეცარი მეხისტეხა, საზოგადო ჟამიანობა შიშით აძრწუნებდა მას, გრძნობიერ წარმოსახვას უფორიაქებდა და

ზოგჯერ ხალხის წინაშე მონანიებას აიძულებდა; მაგრამ როცა არც სასწაულები ხდებოდა, არც შიმშილობა, არც ხანძრები, მისი შინაგანი ხმა სდუმდა და სინიდისი სთვლემდა. ასევე, ახლაც, იოანე სულიერად უდრტვინველი იყო. ჩაღენილ მკვლელობათა შემდეგ ის რაღაცნაირ კმაყოფილებასა და სიმშვიდეს გრძნობდა, როგორც კარგად დანაყრებული ნაშიმშილევი კაცი. სლობოდისკენ გამობრუნებულმა მეფემ, უფრო ჩვეულებისა და მიღებული წესის გავლენით, ვიდრე გულის ძახილით, რამდენიმე დღე სამების ლავრაში დაჰყო სალოცავად.

მის წინამცველად მომავალი ქეშიკები უშურველად უყრიდნენ ვერცხლის ფულს გზაზ შეხვედრილ მათხოვრებს, ხოლო ლავრიდან წამოსვლისას იოანემ უბვი შეწირულება დაუტოვა არქიმანდრიტს თავისი სადღეგრძელო პარაკლისების გადასახდელად.

ამ დროს კი სლობოდაში ისეთი ამბავი მზადდებოდა, რომლის მოლოდინიც არავის ჰქონდა.

გოდუნოვი, რომელიც წინასწარ გამოგზავნეს სლობოდაში, რათა ხელმწიფის საზეიმო დახვედრის თადარიგი დაეჭირა, უკვე მორჩა საქმეს და ახლა თავის ძელურ ქოხში იჯდა მუხის მაგიდას დანდობილი, ხელზე თავდაყრდნობილი. ის ფიქრობდა ბოლო დღეების ამბებზე, სიკვდილით დასჯაზე, რომელსაც მოხერხებულად გაერიდა, მრისხანე მეფის უცნაურ ზნეზე და ოპრიჩნინის საქმეებში გაურევლად მისი წყალობის შენარჩუნების ხერხებზე, რომ შემოსულმა მსახურმა მოახსენა — წინკარში თავადი ნიკიტა რომანოვიჩ სერებრიანი ველოდებაო.

ამ სახელის ხსენებაზე გოდუნოვი გაოცებით წამოდგა სკამიდან.

სერებრიანი ხელმწიფისგან შერისხული დამნაშავე იყო, სიკვდილმისჯილი. ის ციხიდან გაიქცა და მასთან ყოველგვარი ურთიერთობა შეიძლება სიცოცხლედ დასჯდომოდა ბორისს. მაგრამ სტუმრად მოსული თავადის შემოპატიჟებაზე უარის თქმა ან მეფის ხელში მისი გადაცემა უღირსი საქციელი იქნებოდა. გოდუნოვი კი არ ჩაიღენდა ასეთ საქციელს იმის შიშით, რომ ხალხის ნდობა არ დაეკარგა, ნდობა, რომელსაც ყველაზე მეტად უფრთხილდებოდა. ამავე დროს მას გაახსენდა, რომ მეფე ახლა მოწყალე გუნებაზე იყო, და მყისვე მოისაზრა როგორ მოქცეულიყო ამ შემთხვევაში.

ის არ გასულა წინკარში სერებრიანის შესაგებებლად, მაგრამ ბრძანა. დაუყოვნებლივ შემოეყვანათ სტუმარი. გარეშე შემსწრე ამ ამბისა არავინ იყო და გოდუნოვმა გუნებაში გადაწყვიტა, რაკი უარს არ ეუბნებოდა მასპინძლობაზე, ბარემ არც გულგრილობა ეგრძნობინებინა სტუმრისთვის და ხელგაშლით დახვედროდა მას.

— გამარჯობა, თავადო, — უთხრა და გადაეხვია სერებრიანის, — გთხოვ, დაბრძანდე; რა ამბავია, რამ გაგაბედვინა სლობოდაში დაბრუნება ნიკიტა რომანიჩ? მაგრამ ჯერ ნება მომეცი გაგიმასპინძლდე, თორემ შენ, როგორც გატყობ, დაღლილი ხარ ნამგზავრზე.

გოდუნოვის განკარგულებით სუფრა გაშალეს და ღვინო გამოიტანეს აზარფეშებით.

— მითხარი, თავადო, — მზრუნველად ჰკითხა გოდუნოვმა, — დაგინახა ვინმემ, ჩემთან რომ მოდიოდი?

— არ ვიცი, — გულუბრყვილოდ მიუგო სერებრიანიმ, — იქნებ დამინახეს კიდეც; მე არავის ვემალებოდი, პირდაპირ მოვადექი შენს დარბაზს. ვიცი, რომ არც შენ გეხატება გულზე ოპრიჩნინა.

გოდუნოვი შეიჭმუხნა.

— ჩემო ბორის, — გულდანდობით დაურთო სერებრიანიმ, — მე განა მარტო ვარ: ჩემთან ერთად ორასამდე ყაჩაღიც მოვიდა რიაზანიდან.

— რას მეუბნები, თავადო? — წამოიძახა გოდუნოვმა.

— ისინი, — განაგრძობდა სერებრიანი, — საგუშაგოს მახლობლად დარჩნენ. ჩვენ ყველანი ერთად ვბარდებით ხელმწიფეს; დაე ყველანი დაგვსაჯოს ან შეგვიწყალოს, როგორც თვითონ ნებავს!

— გავიგე, თავადო, გავიგე, რა დღეც აყარე მაგ ლაშქრით თათრებს; მაგრამ შენ თუ იცი, რა ამბავი დატრიალდა მას მერე მოსკოვში?

— ვიცი, — მიუგო სერებრიანიმ და მოიღუშა, — აქეთ რომ მოვდიოდი, სულ ვფიქრობდი: მორჩა, დათვლილია ოპრიჩნინის დღეები-მეთქი, თქვენ კი აქ ადრინდელზე უარეს ამბებში ხართ. დაე ღმერთმა მიუტევოს ხელმწიფეს! შენ კი ცოდვას ჩადიხარ, ბორის ფიოდორიჩ, რომ მხოლოდ სდუმხარ და შეჰყურებ ყველაფერ ამას!

— ეჰ, თავადო, შენ, ვხედავ, იგივე დარჩი, რაც წინათ იყავი! აბა რა უნდა მეთქვა ხელმწიფისთვის? შეისმენდა ჩემს ნათქვამს, თუ რა?

— თუნდაც არ შეესმინა, მერე რა, — ჯიუტად გამოედავა სერებრიანი, — შენ მაინც თქმა გმართებდა. აბა ვიღასგან უნდა შეიტყოს იმან სიმართლე, თუ შენგან არა?

— მერედა, შენ გგონია, არ იცის იმან სიმართლე? შენ გგონია, მართლა სჯერა იმ დასმენებისა, რომელთა მიზეზითაც მოაკვდინა ამდენი ხალხი?

და, ეს რომ თქვა, გოდუნოვმა კინაღამ ენაზე იკბინა, მაგრამ გაახსენდა, სერებრიანის რომ ელაპარაკებოდა, მისი ალალმართალი სახე კი გამცემლობაში დაეჭვების ოდნავ საბაბსაც არ აძლევდა ადამიანს.

— არა, — ხმადაბლა განაგრძო მან, — ტყუილა მადანაშაულებ, თავა-

დო. მეფე იმათ სჯის, ვისი ჯავრიც სჭირს, მის გულს კი ჩვენ ვერაფერს დავუშლით. „გული მეფისა ხელთა შინა ღმრთისათა არსო“, გვეუბნება საღვთო წერილი. აი, მოროზოვმა სცადა მასთან პირში მთქმელობა; მერე რა გამოვიდა? მოროზოვი სიკვდილით დასაჯეს, სხვებს კი ამით საშველი არ დასდგომია. მაგრამ შენ, ნიკიტა რომანიჩ, ჩანს, არაფრად გიღირს შენი თავი, თორემ მოსკოვს გამართული სისხლისღვრის მცნობელი, როგორ არ შეუშინდი სლობოდაში მოსვლას?

მოროზოვის ხსენებაზე სერებრიანიმ ამოიხვნეშა. მას უყვარდა დრუჟინა ანდრეევიჩი, თუმცა სწორედ ბოიარმა წაართვა მას ბედნიერება.

— რას ვიზამთ, ჩემო ბორის, — მიუგო მან გოდუნოვს, — რაც ჩვენს თავზე მოსასვლელია, იმას, სულ ერთია, ვერსად წავუვალთ! და, მართალი გითხრა, ეს ძაღლუმადური სიცოცხლეც მომბეზრდა უკვე; აბა რა სახალისო ცხოვრება ჩვენა გვაქვს ახლა რუსეთში!

— გამიგონე, თავადო, შენ თვითონ არ უფრთხილდები საკუთარ თავს; ჩანს, ასეთი ბუნება გქონია; მაგრამ ღმერთი გყავს მფარველი. რა არ იღონე აგერ ეს ერთი ხანია, რომ ყულფში წაგეყო თავი, მაგრამ მაინც საღ-სალამათი დარჩი. ეტყობა, არ გიწერია ცუდუბრალოდ თავის წაგება. ამ ერთი კვირის წინათ რომ დაბრუნებულიყავი, არ ვიცი, რა ყოფაში ჩავარდებოდი; ახლა კი, მგონი, არის რაღაც იმედი, ოღონდ ნუ იჩქარებ ივან ვასილევიჩთან გამოჩენას; ჯერ მე მადროვე მისი ნახვა.

— მადლობელი ვარ შენი, ბორის ფიოდოროვიჩ; ოღონდ ჩემთვის ჭაინცდამაინც ნუ გაირჯები; მაგრამ თუ ყაჩაღებს იხსნი როგორმე ვასაჭირისგან, მართლაც კარგს იზამ. ისინი თუმცა ცუდმადი ხალხია, მაგრამ თავისი ცოდვები კაცურად გამოისყიდეს!

გოდუნოვმა გაოცებით შეხედა ნიკიტას. მისთვის ჯერაც უჩვეულო იყო თავადის უბრალოება და საკუთარი სიცოცხლისადმი მისი გულგრილობა არაბუნებრივი ეჩვენა.

— რა მოგდის, თავადო, — ჰკითხა მან, — იმედი ხომ არ გადაგეწურა, რომ ასე ააღე ხელი სიცოცხლეს?

— ალბათ მაგისგანაც, რომ იმედი გადამეწურა. აბა რისთვისღა იცოცხლოს კაცმა ახლა? იცი რა, ბორის, ზოგჯერ ჩემდაუნებურად კურბსკი ამეკვიატება გონებაში; ვფიქრობ იმაზე და მე თვითონაც შიში მზარავს: ლამის მეც დავკრა ფეხი, მივატოვო სამშობლო და ლიახებთან გადავიხვეწო, თურომ ისინი ჩვენი მტრები არ იყვნენ.

— აი მეც მანდა ვარ, თავადო! ახლა ჩვენ ისეთი დროების შემსწრე ვართ, მხოლოდ ორი გზაღა დაგვრჩენია: ან ისე მოვიქცეთ, როგორც კურბსკი და სამუდამოდ გადავიხვეწოთ სამშობლოდან, ან არადა, ისე, რო-

გორც მე — მეფესთან დავრჩეთ და მისი წყალობა მოვიპოვოთ. შენ კი არც იქითა ხარ, არც აქეთ; არც მეფისგან გარბიხარ და არც მეფესთან დგახარ; ასე არ შეიძლება, თავადო; ორში ერთი უნდა ირჩიო. რაკი რუსეთში დარჩენას ამჯობინებ, მაშასადამე, მეფის ნებასაც უნდა დაემორჩილო. ხოლო თუ ვინიცობაა იმან შეგიყვარა, მაშინ, ეგებ, თვითონაც აიყაროს გული ოპრიჩნინაზე. აი, სიტყვაზე, ჩვენ ორნი რომ ვყოფილიყავით მის სიახლოვეს, მხარში ამოვუდგებოდით ერთმანეთს; დღეს ეე გადავუკრავდი სიტყვას, ხვალ შენ; ჰოდა, რაღაც მაინც ჩარჩებოდა გულში; ხომ გაგიგონია, წვეთი წყალი, თუ მუდამ ერთ ადგილზე ეცემა, ქვას გახვრეტსო. ძალით კი, თავადო, ვერაფერს გახდები!

— ეგ რომ მეფე არ იყოს, — პირქუშად წარმოთქვა სერებრიანიმ, — მე ვიცი, რასაც ვიზამდი; ახლა კი თვითონაც ველარ მივმხვდარვარ, რა გზას დავადგე; მის წინააღმდეგ წასვლას ღმერთი გვიკრძალავს, მისი თანამდგომობა კი არ შემიძლია; ნაკუწ-ნაკუწადაც რომ დამკეპოს, სულ ერთია, ოპრიჩნინასთან მაინც ვერ შემარიგებს!

— მოთმინება იქონიე, თავადო, სასოს ნუ წარიკვეთ. გაიხსენე, რასაც მაშინ გეუბნებოდი. თავი დავანებოთ ოპრიჩნიკებს; ნუ დავიწყებთ მეფის ურჩობას; ისინი თვითონ გამოსჭრიან ყელს ერთიმეორეს! აი სამი მოთავეთაგანი უკვე აღარ ჰყავთ: აღარც მამა-შვილი ბასმანოვები, აღარც ვიაზემსკი. ადროვე ცოტა, ნიკიტა რომანოვიჩ, და მთელი ოპრიჩნინა უჩვენოდაც ერთმანეთს დაჭამს!

— მანამდე კი რა ექნათ? — უთხრა სერებრიანიმ.

— მანამდე... — უპასუხა გოდუნოვმა, რომელმაც ამჯობინა ერთბაშად არ დაეძალებინა ის აზრები, რომელთა შთაგონებაც სერებრიანისთვის უნდოდა, — მანამდე კი, თუ ვინიცობაა წყალობით მოგხედა მეფემ, შეგიძლია კვლავ თათრებს ეომო; ისინი კი, იცოცხლე, ლოდინით არ დაგველიან!

სერებრიანის გონებაში ძნელად თავსდებოდა ერთბაშად ორი შთაბეჭდილება და თათრებზე გალაშქრების იმედმა დროებით გადაავიწყა გულს მოწოლილი ნაღველი.

— ჰო, — წარმოთქვა მან, — მეტი მართლაც აღარაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ თათრები ვჟუჟოთ! აი, მათ სტუმრობას რომ არ დაველოდოთ და ჩვენ თვითონ დავარტყათ ერთბაშად ყველა პოლკით ყირიმს, თან კაზაკებიც მოვიშველიოთ, მაშინ, მგონი, ყირიმსაც ავიღებდით!

ამის გაფიქრებამ ისეთი კმაყოფილება აგრძნობინა, რომ თავადმა კიდევაც ჩაიცინა.

გოდუნოვი ახლა ციხიდან გატაცებაზე და რიაზანის ხოცვა-ულეტაზე

გამოესაუბრა სტუმარს. უკვე საღამოვდებოდა, ისინი კი კვლავინდებურად ისხდნენ, აზარფეშებს სცლიდნენ და საუბრობდნენ.

ბოლოს სერებრიანი წამოდგა.

— ნახვამდის, ბოიარო, — ;თხრა მან, — გამიგრძელდა სტუმრობა, სადაცაა დაღამდება კიდეც!

— სად მიდიხარ, თავადო? დარჩი ჩემთან, გადიღამე; ხვალ მეფე ჩამოვა და ბარემ შენს ამბავსაც მოვახსენებ.

— არ შემიძლია, ბორის ფიოდოროვიჩ, დროა ჩემებს მივხედო! მეშინია, ვაითუ რამე ხიფათი შეიმთხვიონ. მეფე რომ სლობოდაში იყოს, პირდაპირ წარვსდგებოდით მის წინაშე მონანიებით და, ბარემ, მომხდარიყო, რაც ღმერთსა ნებავს; აქური სულმყრალებისგან კი ფათერაკს ვერ აიცდენ კაცი. თუმცა ჩვენ მყუდრო ალაგას, შიგ ტყეში, გავჩერდით, მაგრამ მაინც შესაძლებელია რომელიმე მზვერავი რაზმი წამოგვეფეთოს!

— აბა, ნახვამდის, ნიკიტა რომანიჩ! ოღონდ იცოდე, თვალში არ წაეჩხირო ახლა მეფეს, მოითმინე, სანამ ჩემი კაცი მოგაკითხავდეს.

— არა, მოიცა, მანდეთ ნუ, აქეთ წამოღი, თავადო, — დაურთო გოდუნოვმა, რაკი დაინახა, რომ სერებრიანი სადარბაზო დერეფნისკენ გაემართა; ამ სიტყვებზე, მან ხელი გამოსდო თავადს და უკანა კარამდე მიაცილა.

— ნახვამდის, თავადო, — გაიმეორა და სერებრიანის გადაეხვია, — ღმერთს წყალობა არ დაელევა, იქნებ შენს საქმესაც დააყენოს საშველი!

გოდუნოვი დაელოდა, რომ თავადი ცხენზე შემჯდარიყო და, როცა ის უკანა ჭიშკრით გავიდა გზაზე, შინ შემობრუნდა იმით ერთობ კმაყოფილი, რომ სერებრიანიმ უარი უთხრა შეპატიჟებაზე და მასთან არ დარჩა ღამის სათევად.

მეორე დილას მეფე ისეთი ზარ-ზეიმით შემოვიდა სლობოდაში, თითქოს დიდი გამარჯვება მოეპოვებინოს. ოპრიჩნიკებმა „ჰაიდა! ჰაიდას!“ ძახილით მოაცილეს ის საგუშაგოდან თვით სასახლემდე.

მხოლოდ ბებერი გადია დახვდა იოანეს წყევლა-კრულვით.

— შე ნადირო! — უთხრა ონუფრეენამ, როცა მეფე წინგარდაზე ამოვიდა: — ნეტავ როგორ გიძლებს დედამიწა, შე მხეცო, ხორცით გაუმაძღარო! სისხლით ყარხარ, შე სულთამხუთავო! რა პირით გაბედე წვიდა სერგის ლავრაში მისვლა მას მერე, რაც მოსკოვში მოიმოქმედე? ღმერთი დაგმეხავს, შე წყეულო, შენს ეშმაკეულ ამქართან ერთად!

მაგრამ ამჯერად გადიას შეგონებებმა ოდნავადაც ვერ შეაკრთეს მეფე. გარეთ არც ჭექა-ქუხილი იყო, არც ქარიშხალი. მზე დიდებულად

ჩახჩახებდა უღრუბლო ცაზე და სასახლის ჭრელაჭრელა კოშკურებსა და უცხოდ ნახელავ გუმბათებზე ხალისიანად ლივლივებდა საღებავები და ვარაყები. იოანეს სიტყვაც არ დაუძრავს, ისე ჩაუარა დედაბერს და გასწია სამეფო პალატებისკენ.

— მოიცა, მოიცა! — განაგრძობდა გადია, თან მიმავალს გაჰყურებდა და იატაკზე აბაკუნებდა თავის ჯოხს: — ღმერთი დამეხავს შენს ციხე-კოშკს, სულერთიანად გადაბუგავს შენს ცოდო-ბრალიან სლობოდას!

და დედაბერი ყანყალით გაემართა თავისი პალატისკენ, თან ბრაზიანი თვალებით გმირავდა მეფის კარისკაცებს, რომლებიც უნებლიე ცრუმორწმუნეობრივი შიშით ერიდებოდნენ გზიდან.

იმავე დღეს, ნასადილევს, გოდუნოვი, რომელმაც შეატყო, რომ მეფე მხიარული და კმაყოფილი იყო და, ჩვეულების მიუხედავად, მოსვენებას აპირებდა, უკან გაჰყვა იოანეს განსასვენებელში. ივან ვასილევიჩის კეთილგანწყობილება ამის უფლებას აძლევდა გოდუნოვს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისეთი რამ ჰქონდა მოსახსენებელი, რაიც ყველას გასაგონად არ უნდა თქმულიყო.

მეფის განსასვენებელში ორი საწოლი იდგა: ერთი უქვეშაგებო იყო, შიშველა ფიცრები, რომელზედაც ივან ვასილევიჩი ხორცის საგვემად წვებოდა, სულიერი შფოთვისა და მწარე სინანულის წუთებში; მეორე უფრო ფართო იყო და ზედ რბილი ცხვრის ტყავები, ბუმბულის ლეიბი და აბრეშუმის ბალიშები ეგო. მასზე მეფე მაშინ ისვენებდა, როცა არაფერი უშფოთებდა ფიქრს. თუმცა, ასეთი რამ იშვიათობა იყო და ეს საწოლიც უმეტეს წილად ხელუხლებელი იდგა.

კარგად უნდა გყოლოდა შესწავლილი ივან ვასილევიჩი, რომ შეუმცდარად გამოგეცნო მისი ნამდვილი გუნება-განწყობილება. სინდისის ქენჯნის დროს მეფე ყოველთვის როდი იყო იმ ხასიათზე, რომ ლმობიერება გამოეჩინა. ხშირად თავის სულიერ ტანჯვას იგი სატანის მძლავრებას მიაწერდა, — აქაოდა, ეშმაკი ცდილობს ღალატის დევნაზე ამაღებინოს ხელიო, — და მაშინ, ნაცვლად იმისა, რომ გული მოელბო, მხურვალე ლოცვა-ვედრებითა და მეტანიობით გართული, კიდევ უფრო მეტ სიავკაცეს სჩადიოდა მაცდურის ჯიბრზე. ასევე, იოანეს სახეზე გამოხატული მშვიდი იერიც ყოველთვის როდი იყო მისი შინაგანი უშფოთველობის უტყუარი ნიშანი. ხშირად ეს მხოლოდ ნიღაბი იყო და მეფეს, რომელსაც საოცრად გამჭრიახი გონება და სხვათა ფიქრის გამოცნობის იშვიათი უნარი ჰქონდა, ზოგჯერ უყვარდა კიდეც მასთან მოსაუბრეთა ვარაუდების გაცრუება და მოულოდნელი რისხვით მათი დაზაფვრა სწორედ იმ დროს, როცა მისგან წყალობას ელოდებოდნენ.

მაგრამ გოდუნოვმა კარგა ხანია ზედმიწევნით შეისწავლა მეფის ჭირვეული ზნე-ხასიათი და უჩვეულო ალღოთი კითხულობდა მის სახეზე სხვებისთვის თვალშეუვლებ ცვლილებებს, შეუმცდარად ხვდებოდა მათ მნიშვნელობას.

ბორისი დაელოდა, რომ იოანე ბუმბულის სარეცელზე წამოწოლილიყო, და რაკი დაღლილობის მეტი ვერაფერი შენიშნა მის ნაკვთებზე, მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ უთხრა:

— იცი თუ არა, ხელმწიფეო, შენგან შერისხული რომ მოიძებნა?

— რომელი? — მთქნარებით ჰკითხა იოანემ.

— ნიკიტა სერებრიანი, სწორედ ის, შენი ორგული ვიაზემსკი ხმლით რომ დაჩეხა და საპყრობილეში იჯდა ამისთვის.

— აჰა! — თქვა იოანემ. — გაბმულა ბეღურა მახეში! ვინ შეიპყრო?

— არავინ, ხელმწიფეო. თვითონ მოვიდა და ის ავაზაკებიც თან მოიყვანა, რომლებმაც მისი წინამძღოლობით თათრები დაამარცხეს რიაზანთან. ისინი სერებრიანისთან ერთად მოვიდნენ, რომ მონანიებით ჩაბარდნენ შენს მეფურ მოწყალებას.

— ჩანს, გონს მოსულან! — თქვა იოანემ. — რაო მერე, ნახე იგი?

— ვნახე, ხელმწიფეო; პირდაპირ ჩემთან მოვიდა; ეგონა, შენი მოწყალება სლობოდაში იყო და მთხოვა, მისი ამბავი მომეხსენებინა შენთვის. მინდოდა დამეპატიმრებინა, მაგრამ ვიფიქრე — ვაითუ გრიგორი ლუკიანიჩმა იწყინოს, გოდუნოვი ჩემ საქმეში რად ერევაო; სერებრიანი კი არსად არ წავა, რაკი თვითონ მოვიდა მონანიედ შენს წინაშე.

გოდუნოვი თამამად ლაპარაკობდა, შუბლგახსნილი, ოდნავი დაბნეულობაც არ ეტყობოდა, თითქოს არც სიეშმაკე გააჩნია, არც სერებრიანისადმი თანაგრძნობის ნატამალიო. როცა წინადღით უკანა კარში გააცილა თავადი, იმ განზრახვით კი არ მოიქცა ასე, რომ მეფისგან დაემალა მისი სტუმრობა (ეს ერთობ საშიში ნაბიჯი იქნებოდა), არამედ იმიტომ, რომ ვინმეს ენა არ მიეტანა იოანესთვის და, როგორც პირველ მაცნეს, თვით გოდუნოვის წინააღმდეგ არ განეწყო მეფე. ვიაზემსკიზე სიტყვის გადაკვრა კი, რამაც დასჯილი თავადის მტრად გამოაჩინა სერებრიანი, წინასწარ მოიფიქრა და გაიაზრა ბორისმა.

მეფემ კიდევ ერთხელ დაამთქნარა, მაგრამ პასუხი არ უთქვამს, და გოდუნოვმა, რომელიც გაფაციცებით აკვირდებოდა მისი სახის თითოეულ ნაკვთს, მცირე ნიშანიც ვერ ამოიკითხა მათზე აშკარა ან ფარული სიბრაზისა. პირიქით, შენიშნა, რომ მეფე აამა სერებრიანის განზრახვამ მის ნება-სურვილზე მიენდო თავისი ბედი.

იოანეს, სისხლს რომ ღვრიდა და ძრწოლვით აცახცახებდა ყველას,

ამავე დროს ისიც სურდა, სამართლიანი და გულმოწყალე მეფის სახელი ჰქონოდა ხალხში; მის მტარვალობას ყოველთვის მკაცრი მართლმსაჯულების საძოსი ებურა და მეფის დიდსულოვნებისადმი ნდობა მით უფრო საამო იყო მისთვის, რომ ასეთ ნდობას იშვიათად ავლენდა ვინმე.

გოდუნო

მებარბითეებადაც, მათხოვრებადაც, დათვების დამტარებლებადაც. ზოგიერთი იმ ხანძრის მონაწილეც იყო, რომელიც პერსტენისა და კორშუნის საშველად დააგიზგიზეს სლობოდაში, როცა ისინი სერებრიანის გასათავისუფლებლად მოვიდნენ. ბევრი ნაცნობი სახე ერია მათში, მაგრამ ბევრიც არ ჩანდა. არ ჩანდნენ ისინი, რომლებიც რუსეთის მიწაწყლის დასაცავად იბრძოდნენ და რიაზანის ველებმა მიიბარა ახლახანს, არც ისინი, რომლებმაც გამარჯვების შემდეგ ველარ დათმეს მოხეტიალე ცხოვრების სილალე და არ მოისურვეს მეფის წინაშე მონანიებით თავის დადრეკა. არც პერსტენი, არც მიტკა, არც წითური მესაკრავე, არც პაპა კორშუნი არ იყო ახლა მათ შორის. პერსტენი, რომელიც განსასჯელი ორთაბრძოლის დღეს გამოჩნდა სლობოდაში უკანასკნელად, ღმერთმა უწყის საით გადაიკარგა; მიტკაც მასთან ერთად გაქრა იმ არემარიდან; მესაკრავე ჯერ კიდევ ადრე შემოაკვდა სერებრიანის, ხოლო კორშუნს კი ახლა ქოფაკები ჯიჯგნიდნენ და ყვავ-ყორნები კორტნიდნენ კრემლის კედელთან.

უკვე ორი საათი იქნებოდა, რაც მეფის მოლოდინში იყვნენ თავჩაქინდრული მამაცები და ფიქრადაც არ მოსდიოდათ, თუ ხელმწიფე ზედ სადარბაზო შესასვლელის თავზე გამოჭრილი პაწია სარკმლიდან უთვალთვალებდა მათ. არც ერთი მათგანი არ ძრავდა კრინტს ამხანაგთან ან იქვე გვერდით გამდგარ სერებრიანისთან გამოსალაპარაკებლად, ყველანი ჩაფიქრებული იდგნენ და ყურადღებასაც არ აქცევდნენ ჭიშკრებთან და კუტიკარებთან გამოფენილ უამრავ ხალხს. ცნობისმოყვარეთა შორის ხელმწიფის გადიაც ერია. დედაბერი კიბისთავზე იდგა, ჯოხს დაყრდნობილი, და, იოანეს გამოჩენის მოლოდინში, უსიცოცხლო თვალებით გაჰყურებდა იქაურობას, იქნებ იმის ფიქრითაც, რომ თავისი აქ ყოფნით ახალი სისასტიკის ჩადენა არ დაენებებინა ხელმწიფისთვის.

როცა, თავის სამალავ სარკმელს მოფარებულმა, გული იჯერა ამ შერისხულთა ცქერით და ბოლომდე დატკბა იმის ფიქრით, რომ ახლა ისინი სიკვდილ-სიცოცხლის შუა იდგნენ და, ალბათ, ლოდივით ჰქონდათ გული დამძიმებული, ივან ვასილევიჩი უცებ გამოჩნდა კიბისთავზე რამდენიმე მესუფრის თანხლებით. მეფეს ძვირფასი სტაკერა ემოსა და ნაჩუქურთმევი კვერთხი ეჭირა ხელში.

მეფე რომ დაინახეს, ყანაღები მუხლებზე დაეცნენ და თავი დადრიკეს მის წინაშე.

იოანე ერთ ხანს მდუმარედ იდგა.

— გამარჯობა თქვენი, კონკიაჟღარუნებო! — წარმოთქვა მან ბოლოს, მერე კი სერებრიანის გადახედა და დაურთო: — შენ რისოვის გინებია სლობოდაში მოსვლა? დილეგი ხომ არ მოგნატრებია?

— ხელმწიფეო, — რიდით უპასუხა სერებრიანიმ, — დილეგიდან ჩემი ნებით არ წავსულვარ; ძალით წამიყვანეს ავაზაკებმა. მათვე დაამარცხეს შირინის მურზა შიხმატი, რაც შენს მოწყალებას, ალბათ, უკვე მოეხსენება. ერთად ვურტყით თათრებს და ახლაც ერთად ვბარდებით შენს ნება-სურვილს; დაგვსაჯე ან შეგვიწყალე, როგორც შენი მეფური მოწყალება განსჯის!

— მაშ თქვენ ამის გულისთვის მოხვედით მაშინ სლობოდაში? — ჰკითხა იოანემ ყაჩაღებს. — მერედა, საიდან იცნობთ ამას?

— მეფევ-ბატონო, — გაუბედავად უპასუხეს ყაჩაღებმა, — მაგან ჩვენი ატამანი გადაარჩინა, როცა იმას ჩამოხრჩობას უპირებდნენ მედვედევკაში. ჰოდა, სწორედ ატამანმა გაიტაცა ეგ ციხიდან!

— მედვედევკაში? — თქვა იოანემ და ჩაიცინა. — ესე იგი, როცა ხომიაკი და მისი რაზმი გაამათრახე? ეგ ამბავი მახსოვს. მაშინ გაპატიე ეგ პირველი დანაშაული, ხოლო დილეგში კი, ჩვენი პირობისამებრ, ახალი დანაშაულისთვის ჩაგსვეს, როცა ჩემს ხალხს დაესხი მოროზოვთან. ამაზე რაღას იტყვი?

სერებრიანი პასუხის თქმას აპირებდა, მაგრამ გადიამ დაასწრო მას.

— იკმარე ახლა მაგისი შეცოდებების ჩხრეკვა! — გაჯავრებით უთხრა დედაბერმა იოანეს. — წყალობით უნდა აავსო თავადი, ურჯულოები რომ დაგიმარცხა, ქრისტეს ეკლესია რომ დაიცვა, შენ კი ამის მაგიერ სულ ომას ჩაჰკირკიტებ, როგორმე დანაშაული გამოუჩხრიკო. არ გეყო, რაც მოსკოვში ცოდობრალი დაატრიალე, შე მგელო, შენა?

— გაჩუმდი, დედაბერო! — მკაცრად უთხრა იოანემ. — ისღა მაკლია, ახლა დედაკაცებმაც დამიწყოთ ჭკუის სწავლება!

მაგრამ, ონუფრევნაზე განაწყენებულმა, მაინც აღარ ინდომა მისი გაღიზიანება, პირი შეაქცია სერებრიანის და მუხლებზე დაჩოქილ ყაჩაღებს მიმართა:

— სად არის თქვენი ატამანი, სათოკეებო? დაე წინ წამოდგეს.

ყაჩაღების მაგიერ თვითონ სერებრიანიმ უპასუხა მეფეს.

— ამათი ატამანი აქ არ არის, ხელმწიფეო. ის რიაზანის ბრძოლის დამთავრებისთანავე წავიდა სადღაც. ვურჩევდი ჩვენთან წამოსვლას, მაგრამ არ ისურვა.

— არ ისურვა! — გაიმეორა იოანემ. — გული მიგრძნობს, სწორედ ეგ ატამანი უნდა იყოს ის ბრმა, მოხუცთან ერთად რომ შემოძვრა ჩემს საძინებელში. მაშ იცოდეთ, კონკიაჟღარუნებო! თქვენს ატამანს მოვაძებნინებ და ვბრძანებ სარზე დააგონ!

— აი ნახავ, — ჩაიბუზღუნა გადიამ, — თუ შენ თვითონ იმ ქვეყნად სარზე არ დაგაგონ ტარტაროზებმა!

მაგრამ მეფემ ისე დაიჭირა თავი, თითქოს არც გაუგონია დედაბრის სიტყვებიო, და წარბშეუხრელად განაგრძო თავისი სიტყვა, თან თვალი არ მოუწყვეტია ყაჩაღებისთვის:

— ხოლო თქვენ კი, იმისათვის, რომ თქვენით მოენდეთ ჩემს ნებასურვილს, არ გაგაწბილებთ და, რაც იყოს იყოს, შეგიწყალებთ. გამოუგორეთ ამათ ხუთი კასრი თაფლუჭი ეზოში! ჰა, რაო? კმაყოფილი ხარ, გამოჩერჩეტებულო დედაბერო?

გადიამ ტუჩები ააცმაცუნა.

— დღეგრძელი იყოს ჩვენი მეფე! — შესძახეს ყაჩაღებმა. — შენი მსახურები ვიქნებით, ხელმწიფე-ბატონო! თავს განაცვალებთ და ამ პატიებას კი დავიმსახურებთ!

— მიეცით ამათ, — განაგრძობდა იოანე, — თითო რიგიანი ხიფთანი და თითო უზალთუნი კაცზე. მე ამათ ოპრიჩნინაში გავამწესებ. გსურთ, სათოკეებო, ოპრიჩნიკებად მემსახუროთ?

ზოგიერთი ყაჩაღი შეყოყმანდა, მაგრამ მეტმა წილმა შესძახა:

— სიხარულით გემსახურებით, მეფეე-ბატონო, სადაც შენი მოწყალება გვიბრძანებს!

— როგორ ფიქრობ, — კმაყოფილი გამომეტყველებით უთხრა იოანემ სერებრიანის, — გამოდგებიან ესენი მხედრულ მწყობრში?

— მხედრულ მწყობრში დიახაც გამოდგებიან, — უპასუხა თავადმა. — ოღონდ, ხელმწიფეო, ნუ ბრძანებ ოპრიჩნინაში ამათ გამწესებას!

მეფემ იფიქრა, სერებრიანი ასეთი პატივის ღირსად არ თვლის ყაჩაღებსო.

— როცა შეწყალებას აღვუთქვამ ვისმე, — ზეიმურად წარმოთქვა მან, — მე არ მჩვევია სანახევროდ შეწყალება!

— აბა ეგ რაღა შეწყალებაა, ხელმწიფეო! — უნებლიეთ აღმოხდა სერებრიანის.

იოანემ გაოცებით შეხედა თავადს.

— ამ ხალხმა... — ოდნავი ენის ბორძიკით განაგრძო სერებრიანიმ, — ამ ხალხმა, ხელმწიფეო, კეთილი საქმე გააკეთა; ეგენი რომ არა, ვინ იცის, თათრები ალბათ რიაზანსაც დალაშქრავდნენ!

— ჰოდა, რატომ არ უნდა იყოს ეს ხალხი ოპრიჩნინაში? — ჰკითხა იოანემ, თან თვალებით გმირავდა სერებრიანის.

— იმიტომ, ხელმწიფეო, — ამოთქვა თავადმა, რომელიც ამაოდ ცდილობდა უფრო რიგიანი გამოთქმების შერჩევას, — იმიტომ, ხელმწიფეო,

რომ ესენი, მართალია, ავაზაკები არიან, მაგრამ შენს ტარტაროზებს მაინც სჯობნიან!

სერებრიანის ამ მოულოდნელმა და უნებლიე გაბედულებამ საგონებელში ჩააგდო იოანე. მან გაიხსენა, რომ ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა თავადი ასე გულღიად და პირდაპირ ლაპარაკს უბედავდა. მაგრამ, ამავე დროს, სერებრიანიმ არაფრად ჩააგდო ის ამბავი, რომ სიკვდილი ჰქონდა მისჯილი და საკუთარი ნებით დაბრუნდა სლობოდაში, რათა მეფეს შეჰბარებოდა. ასე რომ, ჭირვეულობას ვერ შესწამებდი თავადს, და ბოლოს ყოყმანობდა, როგორ მიეღო ეს კადნიერი პასუხი, მაგრამ ამ დროს ვიღაც უცხო კაცმა მიიპყრო მისი ყურადღება.

ყაჩაღების ბრბოში მალვით შემოერია ვიღაც უცხო, სამოციოდე წლის, სუფთად ჩაცმული მოხუცი და ცდილობდა მეფისდა შეუმჩნევლად მიეპყრო სერებრიანის ყურადღება. წინა რიგს ამოფარებულმა უცნობმა უკვე რამდენჯერმე გამოაპარა ხელი, რომ ხიფთანის კალთაში სწვდომოდა თავადს, მაგრამ ვერ ახერხებდა ამას და კვლავ ყაჩაღების ზურგსუკან იმალებოდა.

— ვინაა ის ვირთხა? — იკითხა მეფემ და უცნობს მიაშვირა ხელი.

მაგრამ მოხუცი სწრაფად მიიმალა ბრბოში.

— მიდექ-მოდექით, ხალხნო! — თქვა იოანემ: — აქ მომგვარეთ ის მამაცი, უკან რომ იმალება!

რამდენიმე ოპრიჩნიკმა ბრბო გაარღვია და დამნაშავე გამოათრია.

— ვინა ხარ, მოხუცო? — ჰკითხა იოანემ და ეჭვით დააცქერდა უცნობს.

— ეგ ჩემი ჯილავდარია, ხელმწიფეო! — აჩქარებით უთხრა სერებრიანიმ, რომელმაც ახლაღა დაინახა მოხუცი მიხეიჩი: — მაგას მას აქეთ არ ვუნახივარ, რაც...

— სწორია, სწორი, ხელმწიფე-ბატონო! — დაუდასტურა მიხეიჩმა, რომელსაც შიშისა და სიხარულისგან ენა ებმოდა: — მართლის თქმას ნებულობს მისი მოწყალება თავადი!.. ჩვენ იმ დღის მერე აღარ გვინახავს ერთმანეთი, რაც მისი მოწყალება დაატუსაღეს. ნება მომეცი, მეფევ-ბატონო, ახლა მაინც შევხედო ჩემს ბოიარს! დიდება ღმერთს, ნიკიტა რომანიჩ! უკვე ვფიქრობდი, მეტად აღარ მეღირსებოდა შენი დანახვა!

— რა უნდა გეთქვა თავადისთვის? — ჰკითხა მეფემ, რომელიც კვლავ უნდობლად შეჰყურებდა მიხეიჩს. — რატომ იმალებოდი ყაჩაღების ზურგსუკან?

— შიშის გამოისობით, ხელმწიფე-ბატონო ივან ვასილევიჩ, შენი ოპრიჩნიკების შიშის გამოისობით! ეგენი ხომ, თვითონაც იცი... ეგენი ხომ, ხელმწიფეო, ყველანი ისეთი ხალხია...

და მიხეიჩმა ენაზე იკბინა.

— როგორი ხალხია? — ჰკითხა იოანემ, თან ცდილობდა მოწყალედ ეცქირა მოხუცისთვის. — თქვი, მოხუცო, ნუ გერიდება, როგორი ხალხია ჩემი ოპრიჩნიკები?

მიხეიჩმა მეფეს შეავლო თვალი და დამშვიდდა.

— როგორი და, ლიტვაში ლაშქრობამდე თვალითაც რომ არ გვინახავს, ბატონო! — უცებ წარმოთქვა მან, ხელმწიფის მოწყალე გამომეტყველებით გამხნევებულმა. — ყველრებით არ ვამბობ, და ვერ არიან სანდო ხალხი, მგლის კბილი და ქორის კლანჭი მაგათ!

მეფე ჩაციებით დააცქერდა მიხეიჩს, იმით გაოცებული, რომ მსახური თავის ბატონს არ ჩამორჩებოდა გულახდილობაში.

— აბა, რას აჭყეტავ თვალებს ძაგ ადამიანიშვილს? — უთხრა გადიამ. — შეჭმას ხომ არ უპირებ? განა მართალს არ გეუბნება? განა უნახავს ვინმეს აქამდე რუსეთში ტარტარიზები?

მიხეიჩმა გაიხარა, მხარდამჭერი რომ გამოუჩნდა.

— ეგრეა, ბებო, ეგრე! — თქვა მან. — სწორედ მაგათგან დაიწყო ყველა სიგლახე რუსეთში! სწორედ მაგათ უმარეს ბოიარს! ნუ გჯერა მაგათი, ხელმწიფეო, ნუ გჯერა! ძაღლის დრუნჩი ჰკიდიათ ცხენებზე და თვითონაც ძაღლებივით ულრინავთ ენა! ჩემი ბატონი მუდამ ერთგულად გემსახურებოდა, სულ იმ ვიაზემსკიმ და ხომიაკმა მოსდეს შარი. აი, ბებომაც მართალი თქვა, მაგათნაირი ტყიურები არც კი გვსმენია წმინდა რუსეთში!

და მიხეიჩი უფრო ახლოს მიდგა სერებრიანისთან, თან გარშემო მყოფ ოპრიჩნიკებისკენ აცეცებდა თვალებს. აქაოდა, თუმცა მგლები კიხართ, მაგრამ ახლა მაინც ვერ შემჭამთო!

როცა მეფე წინვარდაზე გამოვიდა, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა გუნებაში ყაჩაღების პატიება. ოღონდ უნდოდა საგონებელში ჰყოლოდა ისინი ცოტა ხანს მაინც. ასე რომ, გადიას შეგონებები ახლა სულაც არ იყო დროული. პირიქით, მათ კინაღამ გააღიზიანეს იოანე. მაგრამ, საბედნიეროდ, მეფე ახლა გულმოწყალე ხასიათზე იყო და, იმის მაგივრად, რომ ბრაზი წაჰკიდებოდა, ხუმრობის გუნებაზე დადგა. იოანემ უეცრად მოიფიქრა ოინი ეყო ონუფრევნასთვის და დაემცირებინა ის კარისკაცთა თვალში, თან სერებრიანის ჯილავდარიც გაემასხარავებინა.

— მაშ შენ არ გიყვარს ოპრიჩნინა? — გულითადად ჰკითხა მან მიხეიჩს.

— აბა ვის უყვარს იგი, ხელმწიფე-ბატონო? იმ საათიდანვე, რაც ლიტვიდან დავბრუნდით, სულ მისგან ატყდება განსაცდელი და ფათერა-

კები ჩემს ბოიარს, ეგენი რომ არა, ღმერთო შემინდე, ეგ კაციჭამიები, ჩემი ბატონი ახლაც ადრინდელ პატივში ეყოლებოდა შენს მეფურ მოწყალებას.

და მიხეიჩმა კვლავ მფრთხალად გაჰხედა მეფის ქეშიკებს, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა: „ეჰ, მგლის კბილი და ქორის კლანჭი თქვენ! თუნდაც სული გამაფრთხობინოთ, ჩემს ბატონს მაინც გავაპატიოსნებ მეფის წინაშე!“

— კარგი ჯილავდარი გყოლია! — უთხრა მეფემ სერებრიანის. — ნეტავი ჩემს მსახურებსაც ასე უცემდეთ გული ჩემთვის! დიდი ხანია შენთან არის?

— ოო, მე, ბატონო ივან ვასილევიჩ, — აიტაცა მიხეიჩმა, მეფის შექებით მთლად გამხნევებულმა, — მე ჯერ კიდევ იმ ხნიდან ვემსახურები თავადს, როცა ეგ ბალღი იყო; სულკურთხეულ მამამაგისსაც მე ვემსახურებოდი, მამაჩემი კიდევ მაგის პაპას ემსახურებოდა, და ჩემი შვილებიც, ნეტავი მყავდნენ და, მაგისი შვილების მსახურები იქნებოდნენ!

— განა არ გყავს შვილიკოები, მოხუცო? — კიდევ უფრო მოწყალედ ჰკითხა იოანემ.

— ორი ვაჟიშვილი მყავდა, ბატონო, და ორივენი უფალმა წამართვა. შენს სახელმწიფო საქმეზე დადვეს თავი პოლოცკთან, როცა ჩვენ ნიკიტა რომანიჩთან და თავად პრონსკისთან ერთად პოლოცკს ვათავისუფლებდით. უფროს ვაჟს, ვასილის, მტრის ლიახმა გამოუქროლა და თავი გაუპო მახვილით, ხოლო უმცროსს, სტეფანეს, სიათით გაუგმირეს გული, შიგ ბეჭქვეშ გაუტარეს ტყვია, აი ამდენზე მარცხენა ძუძუს ზემოთ.

და მიხეიჩმა თითით აჩვენა თავის მკერდზე ადგილი, სადაც ტყვია მოხვდა სტეფანეს.

— აფსუს! — ჩაილაპარაკა იოანემ და თავი გაიქნია, თითქოს დიდად შეაწუხა მიხეიჩის შვილების ამბავმაო: — რას იზამ, მოხუცო, გულს ნუ გაიტეხ, ისინი თუ ღმერთმა წაიყვანა, ახლა სხვებს გაიჩენ!

— აბა საიდან გავიჩენ, ბატონო? ჩემი დედაკაცი ცოცხალი აღარა მყავს, სახელოდან კი ახალ შვილებს ვერ გამობერტყავ!

— არა უშავს, — თქვა მეფემ, თითქოს ჯილავდარის ნუგეშისცემა უნდაო, — ღმერთი მოგხედავს, კიდევ იპოვი სხვა დედაკაცს!

მიხეიჩი არცთუ მცირედ სიამოვნებდა მეფესთან საუბრით.

— ეგ სიკეთე რა დიდი საძებარია, — ღმეჭით უპასუხა მან, — ოღონდ მაინცდამაინც არ ვიკლავ თავს დედაკაცებისთვის, ხელმწიფე-ბატონო, თან კიდევ ჩემი ხნის კაცს აღარც შეშვენის მაგნაირი საქმით შექცევა!

— დედაკაციც არის და დედაკაციც, — შენიშნა იოანემ და სათბუნებელში დაავლო ხელი ონუფრევნას: — აი შენ ცოლიკო! — უთხრა მან და წინ გამოათრია გადია. — წაიყვანე, მოხუცო, იცხოვრე ამასთან სიამტკბილობით და შვილებიც დაისიე რამდენიც გენებოს!

ოპრიჩნიკები მიხვდნენ მეფის ხუმრობას და გულიანად ახარხარდნენ, მიხეიჩმა კი გაოცებული მზერა მიაპყრო მეფეს, იქნებ მანაც გაიცინოსო, მაგრამ იოანეს სახეზე ღიმილის ნასახიც ვერ დაინახა.

გადიას უსიცოცხლო თვალებს ცეცხლი წაეკიდა.

— შე ურცხვო! — დაუცაცხანა მან იოანეს. — ღვთის გარეგანო! მე შენ გიჩვენებ ჩემს გამასხარავებას! შე ურცხვო, ფუი! ნამუსგარეცხილო უღმერთოვ!

დედაბერმა ჯოხი დააბაკუნა იატაკზე და კიდევ უფრო გულმოსულად ააცმაცუნა ბაგეები, ცხვირი კი გაულურჯდა.

— კარგი ახლა, ნუ ინაზები, ბებიკო, — უთხრა მეფემ, — მე შენ ნანატრი საქმრო გამოგირჩიე; ალერსს არ მოგაკლებს, საჩუქრებით აგავსებს, ჭკუაზე მოგიყვანს! ქორწილს კი დღესვე გავმართავთ, მწუხრის ლოცვას როგორც მოვრჩებით! აბა, როგორია შენი ცოლიკო, ბებერო?

— ნუ გამწირავ, ხელმწიფე-ბატონო! — ამოთქვა მიხეიჩმა, შიშისგან მთლად თავგზააბნეულმა.

— რაო? იქნებ თვალში არ მოგდის ეს დედაკაცი?

— რა თვალში მოსასვლელი ეგ არის, ბატონო! — ამოიგმინა მიხეიჩმა და უკან დაიხია.

— შეეჩვევი — შეგიყვარდება! — თქვა იოანემ. — მე კი გულუხვად გავამზითვებ ამ ქალს!

მიხეიჩმა თავზარდაცემით შეხედა ონუფრევნას, რომლისთვისაც ჯერაც არ შეეშვა ხელი მეფეს.

— ბატონო ივან ვასილევიჩ, — უცებ შესძახა მან და მუხლებზე დავარდა, — უბრძანე თავი წამაგდებინონ, ოღონდ ამნაირი თაელაფის დასხმას ნუ ინებებ! უმალ ჯალათის ლუკმა გავხდები, ვინმემ მის მოწყალებას შევირთავდე, მგლის კბილი და ქორის კლანჭი მაგას!

ივან ვასილევიჩი ერთ ხანს ხმას არ იღებდა და უცებ გულიანად ახარხარდა.

— რა გაეწყობა, — თქვა მან ბოლოს, როცა სული მოითქვა და ხელი უშვა ონუფრევნას, რომელიც მაშინვე გაეცალა წყევლა-კრულვითა და ფურთხებ-ფურთხებით, — ჩემი მხრივ პატივი მოგაგეთ, ხარჯისგან კი ღმერთმა დამიფარა! მე თქვენი ბედნიერება მინდოდა, მაგრამ გვირგვინს ძალით ვერ დაგადგამთ! კვლავაც ემსახურე შენს ბოიარს, მოხუცო, შენ

კი, ნიკიტა, მომიახლოვდი. მიპატიებია შენოვის ეს მეორე დანაშაულიც. ამ ჩამოკონკილებს კი ოპრიჩნინაში არ გავამწესებ. ჩემს მამაცებს ვაითუ ეწყინოთ კიდეც. დე ყიზდრას წავიდნენ, სადარაჯო პოლკში. თუ თათრებზე ერჩით გული, იქ არ დაუძვირდებათ იმათი ნახვა. შენ კი, — განაგრძო მან ვამორჩეულად მოწყალე ხმით, მისთვის ჩვეულებრივი დამცინავი კილოს გამოურევლად, თან მხარზე ჩამოადო ხელი სერებრიანის, — შენ ჩემთან დარჩი. მე შეგარიგებ ოპრიჩნინასთან. როცა უფრო ახლოს გაგვიცნობ, მაშინ აღარ გვიუცხოვებ. თათრების რბევა კარგი საქმეა, მაგრამ ჩემი მტრები მხოლოდ თათრები როდი არიან; მათზე უარესებიც მყვანან. ჰოდა, ისწავლე ამ ორგულების კბილებით დაღრღნა და ცოცხით გახვეტა.

და მეფემ მხარზე მოუთათუნა ხელი სერებრიანის.

— ნიკიტა, — კეთილმოწყალედ დაურთო მეფემ და კვლავ მხარზე ჩამოადო ხელი თავადს, — შენ გულმართალი კაცი ხარ და ცბიერება არ გჩვევია; მე კი სწორედ ასეთი მსახურები მინდა რომ მყავდეს. ჩაეწერე ოპრიჩნინაში; მოღალატე ვიაზემსკის ადგილს გიბოძებ! შენი მჯერა, შენ არ გამყიდი!

ყველა ოპრიჩნიკმა შურით შეხედა სერებრიანის; ისინი უკვე ახალ, ამომავალ ვარსკვლავს ხედავდნენ მასში და, ვინც მოშორებით იდგა იოანესგან, ჩურჩულიც შექმნეს ერთმანეთში იმით უკმაყოფილოებმა, რომ მეფეს არაფრად მიაჩნია მათი დამსახურება და სურს შევრდომებული გარისხული, შთამომავლობით ბოიარი, ძველი გვარის დიდებული დაასვას თავზე ერთგულ მსახურებს.

მაგრამ სერებრიანის გული დაუმძიმა იოანეს სიტყვებმა.

— ხელმწიფეო, — თქვა მან და ძალა დაატანა თავს, — მადლობას მოგახსენებ წყალობისთვის; მაგრამ სჯობს მეც სადარაჯო პოლკში გამგზავნო. აქ ვერაფერს გარგებთ, სლობოდის ჩვეები უცხოა ჩემთვის, იქ კი მანამ ვემსახურები შენს მოწყალებას, სანამ ძალა მეყოფა!

— ოჰო! — თქვა იოანემ და ხელი მოაშორა სერებრიანის მხარს: — ესე იგი, ჩვენ არ ვსურვართ მის თავადურ მოწყალებას! ჩანს, ქურდებთან ყოფნა უფრო საპატიო ყოფილა, ვიდრე ჩემი მეაბჯრეთუხუცესობა! რა გაეწყობა, — დაცინვით განაგრძო მან, — მე არავის ვაძალებ ჩემს მეგობრობას და არც ძალით ვაკავებ ვინმეს. რაკი ერთმანეთს შეჩვევიხართ, ბარემ ერთადაც იმსახურეთ. კეთილი მგზავრობა, ყაჩაღების ვოევოდავ!

ეს რომ თქვა, მეფემ ზიზღით შეხედა სერებრიანის, ზურგი შეაქცია მას და სასახლეში შებრძანდა.

XXXVIII თავი

სლობოდეიდან გამგზავრება

გოდუნოვმა სერებრიანის შესთავაზა მისი სტუმარი ყოფილიყო სალაშქროდ გამგზავრებამდე. ამჯერად ეს წინადადება გულით იყო შეთავაზებული, რადგან ბორისმა, რომელიც მეფის თითოეულ სიტყვას და თითოეულ მოძრაობას აკვირდებოდა, დაასკვნა, რომ ქუხილმა უკვე გადაიარა, რომ ამიერიდან იოანე აღარაფერს ავნებდა ნიკიტას და მხოლოდ მისდამი გულცივობას დასჯერდებოდა.

მაქსიმისთვის მიცემული პირობა რომ შეესრულებინა, სერებრიანი მეფის სასახლის ეზოდან პირდაპირ თავისი ძმადნაფიცის დედასთან გაეგზართა და მაქსიმის ჯვარი გადასცა მას. მალიუტა შინ არ იყო. მოხუცმა ღედამ უკვე იცოდა შვილის სიკვდილის ამბავი და სერებრიანი მახლობელივით მიიღო; მაგრამ, როცა თავადმა დავალება შეასრულა და დაემშვიდობა, ქალმა, ქმრის დაბრუნების შიშით, ვერ გაბედა მისი შეპატიჟება და მხოლოდ წინგარდამდე გამოაცილა ლოცვა-კურთხევით.

საღამოს, როცა გოდუნოვმა მოსასვენებლად დასტოვა სერებრიანი და ძილი ნებისა უსურვა, მიხეიჩმა ფართოდ გაუხსნა სადინარი თავის სიხარულს.

— მადლობა ღმერთს, ბოიარო, — თქვა მან, — ბოლოს მაინც დამიდგა სალხინო დღე ამდენი წვალების მერე! მას აქეთ, რაც შეგიპყრეს, ნიკიტა რომანიჩ, თითქოს მზის ნათელსაც ვეღარ ვხედავ! სულ მოსკოვსა და სლობოდაში დავწანწალებ, ეგებ შენს ამბავს მოვკრა ყური-მეთქი. როგორც კი გავიგონე დღეს, ყაჩაღებთან ერთად დაბრუნდა თავადიო, მაშინვე თავქუდმოგლეჯით გამოვქანდი სასახლის ეზოსკენ; მარა, ვხედავ, მეფე უკვე კიბისთავზე დგას! რაღა მექნა, შევერიე ყაჩაღებში და ძრომა-ძრომით გამოვაღწიე შენამდე, ჰოდა, ვეღარ მოვითმინე, დავიწყე ხელის ფათური, მინდოდა როგორმე ხიფთანის კალთაში წაგპოტინებოდი, მაგრამ მეფემ შემასწრო თვალი ამ დღეში მყოფს. იცოცხლე, შიში ვჭამე! ჩემს დღეში არ დამავიწყდება! ორ პარაკლისს გადავიხდი ხვალ: ერთს შენს სადღეგრძელობოდ, მეორეს კი — იმ კუდიანისგან რომ დამიხსნა ღმერთმა, ჩემი თაველაფდასხმა რომ არ ინება!

და მიხეიჩმა წამოიწყო გრძელი ამბავი იმაზე, თუ რა შეემთხვა მოროზოვის სახლ-კარის დარბევის შემდეგ, როგორ მოინახულა პერსტენი, მერე კი კვლავ წისქვილში მიბრუნდა, იქ ელენა დმიტრიევნა იპოვა და იკისრა მისი წაყვანა ქმრის სამკვიდრო მამულში, საღაც თვითონ მოროზოვი გააპარეს მისმა მსახურებმა ხანძრის დროს.

სერებრიანი თმენაგადალეული ისმენდა მიხეიჩის უთავბოლოდ გაჭიანურებულ ლაპარაკს.

— მე ხომ, ნიკიტა რომანიჩ, — ამბობდა მოხუცი, — მე ხომ ბრმა არა ვარ, მართალია, ხმას არ ვიღებ, მაგრამ ყველაფერს ვხედავ. გამოგიტყდები, ბატონო, ნამეტანი არ მომწონდა, დრუჟინა ანდრეიჩთან რომ დადიოდი. ამ ამბავს კეთილი ბოლო არ ექნება-მეთქი, ვფიქრობდი, თან, მართალი გითხრა, მრცხვენოდა კიდეც შენს გამო, მასთან ერთად რომ უჯექი სუფრას და ერთი აზარფეშიდან სვამდი. შენ, ბატონო, გესმის ჩემი ნათქვამი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, თვითონ არცა ხარ დამნაშავე ამაში; ვინ რა იცის, რანაირად ჩაუძვრება ეგ ოხერი ადამიანს! მარა მის წინაშე მაინც ცოდვა იყო ეგ. ახლა კი, ცხადია, სხვა ამბავია; ახლა ქალს აღარავინ ჰყავს პასუხის მომკითხველი, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს იმას! თან კიდევ, ნამეტანი ახალგაზრდაა ის მტრედუნია, ცოდოა ქვრივად რომ დარჩეს!

— ნურაფერს მყვედრი, მიხეიჩ, — უკმაყოფილოდ უთხრა სერებრიანიმ, — შენ ის მითხარი, სად არის ახლა ბოიარინა და რა იცი მისი?

— მათქმევინე, ბატონო, სული ნუ მიგდის; მაცალე, ყველაფერს დალაგებით მოგახსენებ. აი, შენ ხარ ჩემი ბატონი, იმ ავაზაკებისგან ისევ წისქვილში რომ მიებრუნდი, მეწისქვილე მეუბნება: ფასკუნჯი შემოფრინდა ჩემთანო; მეფე დალმატთან წაიყვანეო! ჯერ ვერც მივხვდი, ნეტავ რა ფასკუნჯზე, ვინ დალმატზე რატრატებს ეს მოხუცი-მეთქი; მარა, მერე, როცა ბოიარინა დამანახვა, მერე კი ვიაზრე, რომ იმაზე მიარაკებდა! ჰოდა, გავუდექით ჩვენ, მე და ბოიარინა, დრუჟინა ანდრეიჩის სამკვიდრო მამულისკენ. პირველად არა უშავდა, მოდიოდა თავისთვის წყნარად, თვალებდახრილი; მერე ნელ-ნელა ამოიდგა ენა, ქმრის ამბავი გამომკითხა; მერე კი, ბატონო, იქითურიო, აქეთურიო და შენი ამბავიც იკითხა. ოღონდ, პირდაპირ კი არა, ისე, ვითომც, სხვათა შორის, ცალყბად. მოგეხსენება დედაკაცის ზნე! მეც ყველაფერი ვუამბე, რაც ვიცოდი, ის კი, საბრალო, ადრინდელზე უფრო დანაღვლიანდა, თავი ჩაჰქინდრა და, მთელი გზა ისე გავლიეთ, ენა აღარ დაუძრავს. მარა მამულს რომ დავუახლოვდით, ასე ათიოდე ვერსი იქნებოდა დარჩენილი, ვხედავ, წუხილი დაიწყო. რა არის, ქალბატონო, რამ შეგაწუხა-მეთქი? იმას კი, ბატონო, ცრემლი წასკდა. რაღას ვიზამდი, დავუწყე ნუგეშისცემა. „ნუ ნაღვლობ, ვეუბნები, ბოიარინა, დრუჟინა ანდრეიჩი ცოცხალია-მეთქი!“ ის კი, დრუჟინა ანდრეიჩის ხსენებაზე, უფრო მწარედ ატირდა. ვუყურებ გაოგნებული და აღარ ვიცი, რაღა ვუთხრა. „თავადი ნიკიტა რომანიჩიც, ვეუბნები, ცოხეში კია, მაგრამ, ეტყობა, ისიც ცოცხალი უნდა იყოს-მეთ-

ქი!“ თვითონაც აღარ ვიცოდი, ბატონო, რა მეთქვა მისთვის; ვგრძნობ, რომ იმას არ ვეუბნები, რაც საჭიროა, მაგრამ რაღაცა მაინც უნდა მეთქვა. მაგრამ შენ გახსენე თუ არა, ბატონო, უცებ, ვხედავ, ცხენი დააყენა საბრალომ. „არა, ძიაო, მეუბნება, არ შემიძლია მამულში დაბრუნებაო!“ — „რას ამბობ, ბოიარინა, მაშ სად უნდა წახვიდე-მეთქი?“ — „ძიაო, მეუბნება, მოოქროვილი ჯვრები რომ მოჩანს ტყის გადაღმა, ხეღავ იმათო?“ — „ვხედავ, ქალბატონო-მეთქი“. — „ისაო, მეუბნება, დედათა მონასტერიაო; მე ვიცნობ იმ ჯვრებს, იქ მიმიყვანეო!“ მინდა რამენაირად დავიძვრინო თავი, რა არ მოვიმიზეზე, მაგრამ შენც არ მომიკვდე, აიჩემა: მიმიყვანე და მიმიყვანეო! „მე ერთ კვირას დავიცდი იქ, ვილოცებ, მერე კი დრუჟინა ანდრეიჩს შევატყობინებ ჩემს ამბავსო; ის გამოგზავნის გამცილებლებსო!“ რაღას ვიზამდი, მივიყვანე იქამდე, ბატონო; ჰოდა, იქვე დავტოვე იღუმენის ხელში.

— შორს არის ის მონასტერი? — ჰკითხა სერებრიანიმ.

— წისქვილიდან ორმოციოდე ვერსზე იყო, ბატონო; მოსკოვიდან, მგონი, უფრო შორს იქნება. თუმცა, რაღა მაგის თვლა გვინდა, გზა სწორედ იქითა გვაქვს, თუ ჟიზდრაზე წავალთ.

— მიხეიჩ! — უთხრა სერებრიანიმ, — გამიწიე სამსახური. მე დილამდე ვერ წავალ აქედან: ჩემმა ხალხმა ჯვარზე უნდა შეჰფიცოს მეფეს. მაგრამ შენ ამ ღამითვე გასწი, მარქაფა ცხენიც გაიყოლიე, ნუ დაზოგავ ნურც თავს, ნურც ცხენებს; ბოიარინა ინახულე და ყველაფერი უამბე; შეიპირე, რომ მიმიღოს, რომ არაფერი გადაწყვიტოს ჩემს უნახავად!

— მესმის, ბატონო, მესმის; შენ, ვინიცობაა, იმისი შიში ხომ არა გაქვს, რომ მოლოზნად შედგეს? ეგ არ მოხდება, ბატონო. გაივლის ეს ერთი წელი, იგლოვებს ქალი, ცხადია; უამისობა არ იქნება; აბა როგორ არ იგლოვებს დრუჟინა ანდრეიჩს, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს იმას! მერე კი, ნახავ აგერ, ქორწილსაც გავმართავთ. აბა, ჩვენი დღე და მოსწრება სულ ჭირსა და განსაცდელში ხომ არ ვიქნებით, ბატონო!

მიხეიჩი იმ ღამითვე გაემგზავრა მონასტერში, სერებრიანი კი გარიჟრაჟზე ადგა და გოდუნოვთან შეევიდა გამოსამშვიდობებლად.

ბორისი უკვე დაბრუნებულიყო ცისკრის ლოცვიდან, რომელსაც ჩვეულებრივ, მეფესთან ერთად ისმენდა.

— რა გეჩქარებოდა, უთენია რომ ამდგარხარ, თავადო? — ჰკითხა სტუმარს, — ადრე ადგომა ჩვენ გვმართებს, სლობოდელებს, შენ კი შეგეძლო კარგად გამოგეძინა გუშინდელი ამბის მერე. იქნებ ვერ მოისვენე ჩემთან?

მაგრამ გოდუნოვის მახვილი მზერა ცხადყოფდა, რომ იცოდა თავადის უძილობის მიზეზი.

ის ამბავი, რომ ბორისი გულთბილად, წრფელი თანაგრძნობით ეპყრობოდა, ამდენ სიკეთეს უშვრებოდა და, რაც მთავარია, არაფრით არ ჰგავდა მეფის სხვა კარისკაცებს, მასთან საძმო-სამეგობროდ განაწყობდა სერებრიანის. თავადი ელენას სიყვარულში გამოუტყდა ბორისს.

— ეგ ყველაფერი უკვე დიდი ხანია ვიცი, თავადო! — ღიმილით უთხრა გოდუნოვმა. — ამას ჯერ კიდევ სლობოდაში შენი პირველად მოსელისას მივხვდი, როცა შევნიშნე, რა თვალებით უყურებდი ვიაზემსკის. ხოლო როცა განზრახ ჩამოგიგდე სიტყვა მოროზოვზე, უხალისოდ ლაპარაკობდი მასზე, თუმცა მეგობრულად კი იყავით ერთმანეთთან. შენ, თავადო, სულ არ იცი გულისნადების დამალვა. რასაც გაიფიქრებ, მაშინვე ყველაფერი სახეზე დაგეხატება. და, საერთოდაც, მეტისმეტად გულმართალი ლაპარაკი იცი, ნიკიტა რომანიჩ, ნუ მიწყენ სიმართლეს. გუშინ შემაშინა შენმა საქციელმა და ვჯავრობდი კიდევაც შენზე, ასე დაურიდებლად რომ ეუბნებოდი მეფეს, ოპრიჩნინაში ყოფნა არ მსურსო.

— მაშ რა უნდა მეთქვა, ბორის ფიოდორიჩ?

— მადლობა უნდა გეთქვა მეფისთვის და მისი წყალობა მიგეღო.

— ხუმრობ, ჩემო ბორის, თუ მართლა მეუბნები მაგას? ასეთ წყალობაზე როგორ უნდა მეთქვა მადლობა მეფისთვის? შენ თვითონ განა სწერიხარ ოპრიჩნინაში?

— ჩემი ამბავი სხვა არის, თავადო. მე ვიცი, რასაც ვაკეთებ. მე მეფეს არ ვეურჩები; ის თვითონაც არ ისურვებს ჩემს ჩაწერას; ისე მიჭირავს თავი მის წინაშე. შენ კი, ვიაზემსკის ადგილი რომ მიგეღო, მეფის მეაბჯრეთუხუცესობა გეტვირთა და ივან ვასილევიჩს დაახლოვებოდი, ამით მთელ ქვეყანას გაუწევდი სამსახურს. ჩვენ, მე და შენ, მხარში ამოვუდგებოდით ერთმანეთს და ოპრიჩნინას, ალბათ, ძირს გამოვუთხრიდით!

— არა, ჩემო ბორის, ვერ შევძლებდი მე მაგას. აკი თვითონ მეუბნები, ყველაფერი სახეზე გაწერიაო.

— იმიტომ, რომ არ გსურს თავს ძალა დაატანო, თავადო. შენ რომ საკუთარი პირდაპირობის მოთოკვა გადაწყვიტო და თუნდაც მოსაჩვენებლად შეხვიდე ოპრიჩნინაში, მაშინ, ეჰ, რას არ გავაკეთებდით მე და შენ ერთად! თორემ ისე, აბა შემხედე, რა დღეში ვარ! მარტო მე ერთი ვახლი თავს ამათ, როგორც ქარიყლაპია ყინულს; ყველასი უნდა მეშინოდეს, ყოველი სიტყვა უნდა მოვზომო; ზოგჯერ ლამის თავს რეტი დამესხას! ხოლო ორნი რომ ვიყოთ მეფის გვერდით, მაშინ ძალაც გაგვი-

ორკეცდებოდა. შენისთანები თითზე ჩამოსათვლელნი არიან, თავადო. გულახდილად გეტყვი: პირველი შეხვედრიდანვე შენი მოიმედე ვიყავი!

— არ გამოვდგები მაგ საქმისთვის, ჩემო ბორის. ბევრჯერ ვცადე სხვა ზნის ხალხთან ხასიათის შეწყობა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. აი შენ კი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შენ ჭიპი გაქვს მოჭრილი ამ საქმეში. მართალი გითხრა, პირველად არც მსიამოვნებდა გულში, ზოგჯერ ერთს რომ ფიქრობ და სხვას ლაპარაკობ; მაგრამ ახლა კი ვხედავ, საითაც უმიზნებ, და ვხვდები, რომ შენებურად მოქცევა სჯობს. მე კი, ძალიანაც მოვინდომო, არაფერი გამომივა; ღმერთმა არ მომცა მაგის უნარი. თუმცა, ახლა ანკი რის მაქნისია ამაზე ლაპარაკი! თავათ იცი, მეფე, ჩემივე თხოვნით, სადარაჯო პოლკში მაგზავნის.

— ეგ არაფერია, თავადო. შენ კიდევ დაამარცხებ თათრებს, მეფე კიდევ მოგიხმობს თავის მოწყალე თვალთა წინაშე. მეაბჯრეთუხუცესობას, რაღა თქმა უნდა, ველარ ელირსები, მაგრამ, ოპრიჩნინას თუ ინდომებ, ჩაგწერს. მაგრამ კიდევაც რომ აღარ შეგემთხვევა თათრების დამარცხება, სულ ერთია, მაინც ჩამოხვალ მოსკოვს, როცა ელენა დმიტრიევნას გლოვის დრო გაუვა. იმის შიში ნუ გექნება, რომ მოლოზნად შედგეს: ეს არ მოხდება, ნიკიტა რომანიჩ; მე შენზე უკეთ ვიცნობ ადამიანის გულს; სიყვარულით არ მისთხოვებია ის მოროზოვს და სულაც არ ეგუნებება ახლა მოლოზნად შედგომა. ოღონდ, ადროვე, სისხლი დაუცხრეს და ცრემლი შეიშროს; მე კი, თუ ისურვებ, მაყრად დაგიდგები.

— მადლობელი ვარ შენი, ბორის ფიოდორიჩ, მადლობელი ვარ. კიდევაც მრცხვენია, უკვე ამდენი სიკეთე მიყავი და მე კი ვერაფრით გადაგიხადე სამაგიერო. შენი გულისთვის, არც დავფიქრდებოდი, ისე წავიდოდი საწამებლად ან ბრძოლის ველზე თავის გასაწირად. ოპრიჩნინაში კი ნუ მიმიხმობ, და მეფის გვერდით ჩემი ყოფნაც არ შეიძლება. ამისთვის ან მთლად უნდა დაივიწყოს კაცმა სინდის-ნამუსი, ან არადა შენი უნარი ჰქონდეს. მე კი ცუდუბრალოდ უნდა ვიცრუო და ვითვალთმაქცო. ღმერთმა ყველას თავისი ნიჭი გაუჩინა, ჩემო ბორის: შევარდენი შევარდნულად დაფრინავს, გედი — გედურად; მთავარია, კაცი მართალი იყოს.

— მაშ შენ აღარ ჯავრობ ჩემზე, თავადო, სწორ გზას რომ არ მიყვები და შემოსავლელებით სიარულს ვამჯობინებ?

— ცოდვას ჩავიდენდი, შენ რომ რამეში დაგადანაშაულო, ბორის ფიოდოროვიჩ. ჩემზე აღარას ვიტყვი; მაგრამ რამდენი სიკეთე უყავი სხვებს! და ჩემს ბიჭებსაც უშენოდ, მართალი გითხრა, ცუდი დღე დაად-

გებოდათ. ტყუილად არ არის, რომ ხალხს შენი სიყვარული აქვს. ყველა შენი მოიმედეა; მთელი ქვეყანა უკვე შენ გაპყრობს თვალს!

გოდუნოვს მსუბუქმა სიწითლემ დაუარა შავგვრემან სახეზე და თვალებში კმაყოფილებამ გაუელვა. თავის საქციელთან და მოქმედების გეზთან ისეთი ადამიანის შერიგება, როგორადაც სერებრიანი მიაჩნდა, არცთუ მცირე ზეიმი იყო მისთვის და ეს თავისი შთამგონებელი ძალის საზომად მიიჩნია ბორის ფიოდოროვიჩმა.

— ჩემის მხრივაც მადლობა მომიხსენებია შენთვის, თავადო, — უთხრა მან. — მხოლოდ ერთსა გთხოვ: რახან არ გსურს დამეხმარო, ეს მაინც აღმითქვი, — როცა ჩემს აუგს გაიგონებ, ნუ ირწმუნებ იმ ხმებს და დაუფარავად უთხარი ჩემს ცილისმწამებლებს ყველაფერი, რაც ჩემზე იცი!

— მაგისთვის ნურც შეიწუხებ თავს, ჩემო ბორის! შენი აუგის თქმას კი არა, გაფიქრებასაც არავის დავანებებ. ჩემი ყაჩაღები უკვე ახლა ლოცულობენ შენი დღეგრძელობისთვის, ხოლო თუ სამშობლოში დაბრუნდნენ, მაშინ ხომ ყველა თავისიანსაც ამას დაავალებენ! ოღონდ, ღმერთმა შენ ნურაფერი გაგიჭირვოს.

— უფალი იცავს სათნოებას შინა მავალთა!—თქვა გოდუნოვმა დაკრძალვით დახარა თვალები.—თუმცა ყველაფერი მისი წმინდა ნებაა! მაშ, ნახვამდის, თავადო; მალე ნახვამდის; აბა შენ იცი, თუ ქორწილში არ დამივიწყებ.

ისინი მეგობრულად გადაეხვივნენ ერთმანეთს და ნიკიტა რომანიჩს გული გაუხალისდა. თავადი შეეჩვია იმის ფიქრს, რომ გოდუნოვის ვარაუდები იშვიათად ცრუვდებოდა, და ელენას გამო ამასწინანდელი შიში გაუქრა.

მალე ის გზას გაუდგა თავისი ქვეითი რაზმით; მაგრამ სლობოდიდან გასვლაც ვერ მოასწრეს, რომ ერთ ამბავს შეესწრნენ, რომელიც იმ დროის წარმოდგენებით ავის მომასწავებელი ნიშანი იყო.

ერთი ეკლესიის მახლობლად რაზმი აწრიალებული მათხოვრების ბრბომ შეაყოვნა. ისინი ტაძრის კარიბჭესთან შექუჩებულიყვნენ, ქუჩა ჩაეხერგათ და, ეტყობა, უხვ მოწყალებას ელოდნენ ეკლესიაში მყოფი ვიღაც დიდკაცისგან.

სერებრიანიმ, რომელიც ფრთხილად მიიწევდა წინ, რომ გვერდზე მიდგომა ეცლია ბრბოსთვის, საპანაშვიდო გალობა გაიგონა და იკითხა, ვის იგლოვენო. მას უპასუხეს — გრიგორი ლუკიანოვიჩ სკურატოვ-ბელსკის აღაპი აქვს თათრებთან ბრძოლაში მოკლული ვაჟიშვილის მოსახსენებლადო. ამ დროს შემზარავი კივილი მოისმა და გულშეღონებული მოხუცი ქალი გამოასვენეს ეკლესიიდან; ჩამომდნარი სახე ცრემლებით

ჰქონდა დალბობილი, ჭაღარა თმა კი უწესრიგოდ ჩამოშლოდა ხაერდის თავსაბურველიდან. ეს ქალი მაქსიმის დედა იყო. წინგარდაზე შავებში ჩაცმული მალიუტა გამოჩნდა და მისი თვალები სერებრიანის თვალებს შეეფეთა; მაგრამ მალიუტას ამჯერად აღარ ეტყობოდა ჩვეული სიმხეცე. იგი როგორღაც გაშტერებული იყო, უაზროდ და ჩლუნგად გამოიყურებოდა. მან ბრძანა სტოვაზე დაესვენებინათ მოხუცი და კვლავ ეკლესიაში შებრუნდა პანაშვიდის სასმენად, ქუდმოხდილმა ყაჩაღებმა და სერებრიანიმ კი პირჯვრის წერით ჩაუარეს ტაძარს და მიმავლებს ესმოდათ, როგორ ირხეოდა ეკლესიაში ზეიმურად და გაბმით: „განუსვენე წმინდათა თანა!"

ამ ნაღვლიანმა გალობამ და მაქსიმზე ფიქრმა გული დაუმძიმა სერებრიანის, მაგრამ გოდუნოვის ნუგეშიანი სიტყვები გაახსენდა და მალე გაუნელდა პანაშვიდის შემაღონებელი შთაბეჭდილება. მოსახვევთან, საიდანაც გზა ბურვილ ტყეში შედიოდა, მან ალექსანდრეს სლობოდისკენ მიიხედა და, როცა იოანეს სასახლის მოოქროვილი გუმბათები თვალთაგან მიეფარა, შვება იგრძნო, თითქოს მძიმე ლოდი მოსწყდა გულიდანო.

საამო, მზიანი დილა იყო. ყოფილი ყაჩაღები, კარგად ჩაცმულნი და შეიარაღებულნი, მწყობრი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ სერებრიანის და მის თანმხლებ მხედრებს. ზღვა სიმწვანე ეხვია მათ ყოველი მხრიდან. სერებრიანის ცხენი, ლაღი და დაუდგრომელი, გზადაგზა აკვნეტდა ფოთლებს ძირს დაშვებულ ხეთა ტოტებს; ბუიანი კი, რომელიც მაქსიმის სიკვდილის შემდეგ ნაბიჯზეც აღარ შორდებოდა თავადს, წინ-წინ მირბოდა და დროდადრო მაღლა იშვერდა გაბანჯგვლულ დრუნჩს, რომ ქარი დაეყნოსა, ან არადა გვერდზე იღრეცდა თავს და ფხიზლად ცქვეტდა ყურებს, როცა ტყეში რამე შორეული ხმა დაირხეოდა.

XXXIX თავი

უკანასკნელი პაემანი

სერებრიანიმ რამდენიმე დღე იარა თავისი რაზმით. ერთ-ერთ ღამის სათევთან, საიდანაც დედათა მონასტრისკენ გადასახვევი იწყებოდა, მან თავისი ხალხი დასტოვა და მარტოდმარტო გაემგზავრა მიხეიჩის შესაგებებლად, რომელმაც ბოიარინასგან პასუხის მოტანა აღუთქვა.

მთელი ღამე შეუსვენებლად იარა ნიკიტამ. განთიადისას, როცა ერთ

ეზაკვარედინს უახლოვდებოდა, უკვე მისუსტებული კოცონი და მის მახლობლად ჩამომჯდარი მიხეიჩი დაინახა. შორიახლოს მშვიდად ძოვდნენ ბალახს უნაგირიანი ცხენები.

ცხენის თქარათქური რომ გაიგონა, მიხეიჩი ფეხზე წამოხტა.

— ბატონო, თავადო ნიკიტა რომანიჩ! — შეპყვირა მან, როცა სერებრიანი იცნო: — ნუღარ მიდიხარ იქით, ბატონო! უკან დაბრუნდი, იქ აღარაფერი გესაქმება შენ!

— რა მოხდა? — ჰკითხა სერებრიანიმ და გული შეუქანდა.

— ყველაფერი გათავდა, ბატონო! ღმერთს ჩვენთვის ბედნიერება არ მოუსურია.

სერებრიანი ცხენიდან ჩამოხტა.

— მითხარი, — წარმოთქვა მან, — რა მოუვიდა ბოიარინას?

მიხეიჩი დუმდა.

— რა მოუვიდა ელენა დმიტრიევნას? — შიშის თრთოლვით გაიმეორა სერებრიანიმ.

— უკვე აღარ არის ელენა დმიტრიევნა, ბატონო! — პირქუშად თქვა მიხეიჩმა. — ის ახლა და ევდოკიაა!

სერებრიანი დაბარბაცდა და ხეს მიეყრდნო.

მიხეიჩი ნაღვლიანად შეჰყურებდა თავადს.

— რა გაეწყობა ნიკიტა რომანიჩ! ჩანს, ღმერთს ასე ნებავს. ჩანს, უბედურ დღეზე ვყოფილვართ დაბადებული!

— მიამბე ყველაფერი! — თქვა სერებრიანიმ და სიმხნევე მოიკრიბა. — ნუ შემიცოდებ! როდის აღიკვეცა ბოიარინა?

— როცა დრუჟინა ანდრეიჩის დასჯის ამბავი შეიტყო, ბატონო; როცა მონასტერში აღაპის წიგნი მიიღეს ყველა დასჯილის გვარითა და მეფის ბრძანებით — მათი სულის მოსახსენებლად ელოცათ; მე რომ მიველ, სწორედ იმის წინადღით.

— თუ ნახე ბოიარინა?

— ვნახე, ბატონო.

სერებრიანის უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ შეძლო.

— სულ ცოტა ხნით ვნახე, — დაურთო მიხეიჩმა, — პირველად არც უნდოდა ჩემი დანახვა.

— რა დაგაბარა ჩემთან? — ძლიეს ამოთქვა სერებრიანიმ.

— რომ მისთვის ილოცო, ბატონო.

— მეტი არაფერი?

— არაფერი, ბატონო.

— მიხეიჩ! — წარმოთქვა თავადმა ხანმოკლე დუმილის შემდეგ: — მიმიყვანე მონასტერში; უნდა დავემშვიდობო ბოიარინას...

მოხუცმა თავი გააქნია უარის ნიშნად.

— რაღად გინდა მისი ნახვა, ბატონო? ნულარ შეაწუხებ ამიერიდან; ახლა იგი, კაცმა რომ თქვას, წმინდანივითაა. ისევ ისა სჯობს რაზმში დავბრუნდეთ და პირდაპირ ჟიზდრას მივაშუროთ!

— არ შემიძლია! — უთხრა სერებრიანიმ.

მიხეიჩმა კვლავ თავი გადაიქნია და თავისი ერთ-ერთი ცხენი მიჰგვარა თავადს.

— აბა მაშინ ამაზე შეჯექი, — უთხრა მან და ამოიხვნეშა, — შენი მთლად გაქაფულია.

ისინი მდუმარედ დაადგნენ მონასტრის გზას.

გზა სულ ტყე-ტყე მიემართებოდა. მალე წყლის რაკრაკი გაისმა და სქელ სიმწვანეში ვერცხლისფრად გამოკრთა ნაკადული, რომელიც ლელიანში მოჩუხჩუხებდა.

— ცნობ ამ ადგილს, თავადო? — ნაღვლიანად ჰკითხა მიხეიჩმა.

სერებრიანიმ თავი ასწია და ახალი ნახანძრალი დაინახა. ალაგ-ალაგ მიწა ორიოდე დღის გადათხრილი მოჩანდა, ხოლო შენობის ნანგრევები და დამტვრეული წყლის ბორბალი ამბობდნენ, რომ აქ წისქვილი მდგარა.

— ეგ მაშინდელი ამბავია, ჯადოსანი რომ შეიპყრეს, — შენიშნა მიხეიჩმა, — იმ უკულმართებმა მისი სადგომიც დაანიავეს; ეგონათ, განძს იპოვიდნენ აქ, მგლის კბილი და ქორის კლანჭი იმათ!

სერებრიანიმ დაბნეული მზერა მოავლო ნახანძრალს და მათ მდუმარედ განაგრძეს გზა.

რამდენიმე საათის შემდეგ ტყე შეთხელდა. ხეებს შორის თეთრად დაილანდა ქვიტკირის გალავანი და გაკაფულ მდელოზე მონასტერი გამოჩნდა. ის, სხვა სავანეთა მსგავსად, არ იდგა ზეგანზე. გისოსიანი ვიწრო სარკმლებიდან არ ჩანდა ვრცელი სამონასტრო ადგილ-მამული და მზერა ოთხივ მხრივ ეგზიანებოდა ფიჭვების შემოძარცულ ტანსა და ბნელ სიმწვანეს, რომელიც მჭიდროდ შემოსალტვოდა გალავანს. მთელი არემარე ირგვლივ უდაბური და სევდიანი იყო; მონასტერი, ეტყობა, ღარიბ სავანეთა რიცხვს ეკუთვნოდა.

ცხენოსნები ჩამოქვეითდნენ და კუტიკარზე დააკაკუნეს.

რამდენიმე წუთი გავიდა; გასალებების ჟღარუნი მოისმა.

— დიდება უფალსა ღმერთსა ჩვენსა, იესო ქრისტეს! — წყნარად წარმოთქვა მიხეიჩმა.

— აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ! — გამოეპასუხა მეკარე მოლოზანი და კუტიკარი გამოაღო. — ვინ გნებავთ, ხელმწიფენო?

— დაი ევდოკია, — ხმადაბლა წარმოთქვა მიხეიჩმა, რომ ამ სახელის ხსენებით სულის იარა არ აეკვნესებინა თავისი ბატონისთვის. — შენ მიცნობ მე, ღირსო დედაო; მე ახლახან ვიყავი აქ.

— არა, ხელმწიფეო, არ გიცნობ; მე მხოლოდ დღეს დამაყენეს მეკარედ, ჩემამდე კი დაი აგნია იყო...

და მოლოზანმა ფრთხილად შეავლო თვალი მოსულთ.

— არა უშავს, დედაო, — განაგრძო მიხეიჩმა, — შემოგვიშვი. მოახსენე იღუმენს, თავადი ნიკიტა სერებრიანი გეახლა-თქო.

მეკარე მოლოზანმა მფრთხალად აათვალიერა სერებრიანი, უკან მიდგა და კუტიკარი გამოიკეტა.

მიხეიჩს ესმოდა, აჩქარებით რომ გაშორდა დედაკაცი გალავანს და ბუტბუტებდა: „უფალო შეგვიწყალე, ღმერთო მოგვხედე მოწყალე თვალით!“

„ნეტავ რა ამბავია? — გაიფიქრა ჯილავდარმა: — რატომ ეშინია ამ დედაკაცს ჩემი ბოიარის?“

მან თავადს შეხედა და მიხვდა, რომ მეკარე მოლოზანი მისმა დამტვერილმა საჭურველმა, ეკალ-ბარდებით დაფხრეწილმა სამოსელმა და შეშფოთებულმა გამომეტყველებამ დააფრთხო. და, მართლაც, სერებრიანის გარეგნობა ისე შეცვლილიყო, რომ ალბათ თვითონ მიხეიჩიც ვერ იცნობდა თავის ბატონს, მასთან ერთად რომ არ მოსულიყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გაისმა მეკარის ნაბიჯების ხმა.

— ნუ გვიწყენთ, ხელმწიფენო, — კუტიკარს უკნიდან წარმოთქვა მან ენის ბორძიკით, — ახლა იღუმენს არ შეუძლია თქვენი მიღება; სჯობს ხვალ მოხვიდეთ, ცისკრის ლოცვის მერე!

— მე ვერ მოვიცდი! — შეჰყვირა სერებრიანიმ, წიხლი ჰკრა კუტიკარს, საკეტები შეგლიჯა და გალავანში შევიდა.

მის წინ იღუმენი იდგა, თითქმის ისევე გაფითრებული, როგორც თვითონ სერებრიანი.

— სახელითა ღვთისათა, მაცხოვრისა ჩვენისა, — წარმოთქვა მან მთრთოლვარე ხმით, — შეჩერდით! ვიცი, რისთვისაც მოსულხარ აქ... მაგრამ ღმერთი არ გაპატიებს კაცისკვლას და უდანაშაულო სისხლს შენვე მოგკითხავს!

— ღირსო დედაო! — მიუგო სერებრიანიმ, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რა აშინებდა იღუმენს, გაოცებას კი მეტისმეტი მღელვარებისგან ვერ ახერხებდა: — ღირსო დედაო, შემიშვი და ევდოკიასთან! ნება მომე-

ცი მხოლოდ თვალი შევავლო! მხოლოდ იმის ნება მომეცი, დავემშვიდობო!

— დაემშვიდობო? — გაიმეორა იღუმენმა: — შენ მართლა მასთან დამშვიდობება გინდა, სხვა არაფერი?

— ოღონდ მასთან დამშვიდობების ნება დამრთე, ღირსო დედაო, და მთელ ჩემს ქონებას შენს მონასტერს შემოვწირავ!

იღუმენმა უნდობლად შეხედა მას.

— შენ ძალით შემოიჭერი მონასტერში, — თქვა წინამძღვარმა, — შენ თავადად მოგაქვს თავი, მაგრამ ღმერთმა უწყის, ვინ ხარ, ღმერთმა უწყის, რისთვის მოხვედი... კარგად ვიცი, რომ ახლა ოპრიჩნიკები დაძრწიან წმინდა მონასტრებში და ამას წინათ მოსკოვს დასჯილ მოწამეთა ცოლებსა და ასულებს კლავენ!.. დაი ევდოკია სიკვდილით დასჯილი ბოიარის მეუღლე იყო...

— მე ოპრიჩნიკი არა ვარ! — შეჰყვირა სერებრიანინმ: — თვითონ დავანთხევდი ჩემს სისხლს უკანასკნელ წვეთამდე ბოიარ მოროზოვისთვის! შემიშვი ბოიარინასთან, ღირსო დედაო, შემიშვი მასთან!

ეტყობა, სიმართლე და გულწრფელობა დაიწერა სერებრიანის სახეზე. იღუმენი დამშვიდდა და თანაგძნობით შეხედა თავადს.

— ეჰ, შევცოდე თურმე შენს წინაშე! — თქვა მან. — მაგრამ, დიდება ქრისტე ღმერთსა და ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს, ვხედავ ახლა, რომ შევმცდარვარ. დიდება ქრისტე მაცხოვარს, ყოვლად დაუსაბამო სამებასა და ყველაწმინდას, რომ ოპრიჩნიკი არა ხარ! გული გამიხეთქა მეკარე მოლოზანმა; იმას ვფიქრობდი, რამენაირად დრო მომეგო, დაი ევდოკია გადამემალა! მძიმე წლები დაგვიდგა, ხელმწიფეო! ღვთის სავანეებშიც ველარ აფარებენ თავს შერისხულები. დიდება შენდა, ღმერთო, რომ შევცდი! თუ შენ მოროზოვების მეგობარი ან ნათესავი ხარ, მე წაგიძღვები ევდოკიასთან. აქეთ გამომყევი, ბოიარო, იმ საძვალესკენ; მისი სენაკი შიგ ბაღშია.

იღუმენმა თავადი ბაღზე გადავლით წაიყვანა განმარტოებული სენაკისკენ, რომელსაც სქლად ნაზარდი ასკილი და ჩიტავაშლა ჰქონდა შემორგული გარეშემო. აქ, მერხზე, შესასვლელის წინ, ელენა იჯდა შავი სამოსითა და საბურველით. ხშირ ნეკერჩხლებში გამოღწეული ჩამავალი მზის სხივები ნათლის სვეტივით ადგა საბრალოს და ოქროსფრად ავარაყებდა მის თავს ზემოთ ხეთა ჭკნობაშეპარულ ტოტებს. ზაფხულის მიწურული იყო; ასკილს უკანასკნელი ყვავილები სცვიოდა; მოლოზნის შავი სამოსი მათი ალისფერი ფურცლებით იყო მოფენილი. ნაღვლიანად შეჰყურებდა ელენა ნეკერჩხლის მოფარფატე ყვითელი ფოთლების ერთ-

ფეროვან ცვენას და მხოლოდ მოახლოვებული ნაბიჯების ხმამ შეაწყვეტინა ფიქრი. მან თავი ასწია, წინამძღვარი იცნო და წამოდგა, რომ მიგებებოდა, მაგრამ უეცრად ნიკიტა რომანოვიჩი დაინახა, უღონოდ შეჰყვირა, გულზე იტაცა ხელი და ღონემიხდილი დაეშვა მერხზე.

— ნუ გეშინია, შვილო ჩემო! — ალერსიანად უთხრა ილუმენმა. — ეს შენი ნაცნობი ბოიარია, შენი ცხონებული მეუღლის მეგობარი, შენთან გამოსამშვიდობებლად მოვიდა!

ელენას ხმა არ ამოუღია. ის მხოლოდ ცახცახებდა და თითქოს შიშით შეჰყურებდა თავადს. დიდხანს ორივენი სდუმდნენ.

— აი... — ამოთქვა ბოლოს სერებრიანიმ, — აი როგორ შევხვდით ერთმანეთს!

— სხვანაირად ჩვენი შეხვედრა აღარ შეიძლებოდა!.. — ძლივს გასაგონად თქვა ელენამ.

— რატომ არ დამელოდე, ელენა დმიტრიევნა? — უთხრა სერებრიანიმ.

— შენ რომ დაგლოდებოდი, — წაიჩურჩულა მან, — ძალა აღარ მეყოფოდა... შენ არ დამანებებდი ამას... ისედაც ბევრი ცოდვა მადევს, ნიკიტა რომანიჩ...

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. სერებრიანის ძლიერად უცემდა გული.

— ელენა დმიტრიევნა! — თქვა მან მღელვარებისგან ჩაწყვეტილი ხმით: — მე სამუდამოდ უნდა გამოგეთხოვო, სამუდამოდ, ელენა დმიტრიევნა... ნუ მეტყვი უარს, უკანასკნელად შემახედე შენი სახისთვის... გამხადე ღირსი, უკანასკნელად დავინახო შენი თვალები... ეგ საბურველი მოიშორე, ელენა!

ელენამ ჩამომდნარი ხელებით აიწია შავი ქსოვილი, სახის ზედა ნახევარს რომ უფარავდა, და ცრემლებით დაწითლებული მშვიდი თვალები გამოაჩინა. თავადს გული აუჩქროლა ნაცნობმა თვინიერმა მზერამ, რომელიც უძილო ღამეებსა და სულიერ ტანჯვას დაენისლა.

— მშვიდობით, ელენა! — შეჰყვირა მან და პირქვე დაემხო მის წინაშე: — მშვიდობით სამუდამოდ! ეგებ ღმერთმა შემაძლებინოს და გადავიწყო, რომ შეგვეძლო ბედნიერი ვყოფილიყავით!

— არა, ნიკიტა რომანიჩ! — ნაღვლიანად თქვა ელენამ, — ჩვენ არ გვიწერია ბედნიერება. დრუჟინა ანდრეიჩის სისხლი იქნებოდა ჩამდგარი ბედნიერებასა და ჩვენს შუა. ჩემი გულისთვის ის შერისხვასაც არ შეუშინდა, მე კი შევცოდე მის წინაშე. ჩემი ბრალია მისი სიკვდილი! არა, ნიკიტა რომანიჩ, ჩვენ არ ვიქნებოდით ბედნიერები. ანკი ვინღაა ახლა ბედნიერი?

— ანკი ვინღაა ახლა ბედნიერი! — გაიმეორა სერებრიანიმ, — ღმერთი არ სწყალობს წმინდა რუსეთს; მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ სიცოცხლეშივე მოგვიწევდა სამუდამოდ განშორება!

— სამუდამოდ არა, ნიკიტა რომანიჩ, — ნაღვლიანად გაიღიმა ელენამ, — მხოლოდ აქ, ამ საწუთროში. და ასედაც უნდა მომხდარიყო. საძრახისიც იქნებოდა მხოლოდ ჩვენ ორის მოლხენით ყოფნა, როცა მთელი ქვეყანა კვნესის და ჰგოდებს ულმობელი ჟამთა სიავით სასომიხდილი!

— რატომ... რატომ ამცდა თათრის მახვილი! — პირქუშად თქვა სერებრიანიმ, — რატომ არ დამსაჯა ხელმწიფემ, როცა მის ნება-სურვილს ჩავბარდი! რაღა დამრჩენია ამ ქვეყნად სანუგეშო?

— ზიდე ჯვარი შენი, ნიკიტა რომანიჩ, როგორც მე ჩემს ჯვარს ვზიდავ. შენი ხვედრი ჩემსაზე მსუბუქია. შენ სამშობლოს დაცვა მაინც შეგიძლია, მე კი მხოლოდ ისღა დამრჩენია, შენთვის ვილოცო და ჩემი ცოდვა დავიტირო!

— რომელი სამშობლო? სად არის ჩვენი სამშობლო! — შეჰყვირა სერებრიანიმ. — ვისგან დავიცვათ ის? თათრები კი არა, მეფე ღუპავს სამშობლოს! აღარ ვიცი, რა ვიფიქრო, ელენა დმიტრიევნა... შენ ერთი მინათებდი კიდევ გონებას; ახლა კი ყველაფერი ბნელმა მოიცვა ჩემს წინაშე; უკვე ვეღარ ვხედავ, სად სიცრუეა, სად სიმართლე. თუ რამ კეთილია, სულ იღუპება, ყველგან ბოროტი მძლავრობს! ხშირად, ელენა დმიტრიევნა, კურბსკი მახსენდებოდა უნებლიეთ და თავიდან ვიცილებდი ამ ცოდვილ ფიქრებს, სანამ კიდევ მქონდა ცხოვრების მიზანი, სანამ კიდევ გამაჩნდა ძალა; მაგრამ ახლა უკვე აღარა მაქვს მიზანი, ძალა კი მთლად გამომელია... გონება მერევა...

— ღმერთმა გაგანათლოს, ნიკიტა რომანიჩ! ნუთუ იმის გამო, რომ შენი ბედნიერება დაიღუპა, მტრად მოეკიდები ხელმწიფეს, ზურგს შეაქცევ მთელ ქვეყანას, რომელიც მორჩილად დგას მის წინაშე ქედდადრეკილი? გაიხსენე, რომ ღმერთმა ჩვენ განსაცდელში ჩაგვაყენა, რათა იმ ქვეყანას ერთმანეთთან შეხვედრა შევძლოთ! გაიხსენე მთელი შენი ცხოვრება და ნუ ეცრუები შენსავე თავს, ნიკიტა რომანიჩ!

სერებრიანიმ თავი დახარა. გულს შემონთებული აღშფოთება დაუცხრა და ერთბაშად მოაგონდა მოვალეობის მკაცრი მცნებები, რომელთა სულისკვეთებითაც იყო აღზრდილი და რომლებსაც შეუბღალავად ერთგულებდა აქამდე, თუმცა ყოველთვის არ ჰყოფნიდა მათდამი დამორჩილების ძალა.

— ზიდე ჯვარი შენი, ნიკიტა რომანიჩ! — გაიმეორა ელენამ. — წადი, სადაც მეფე გიბრძანებს. ოპრიჩნინაში ჩაწერაზე შენ უარი თქვი და სინ-

დისი შეუბღალავი გაქვს. მაშ წადი რუსეთის მიწა-წყლის მტრებთან საომრად; მე კი დღენიადაგ ვილოცებ ორივესთვის, ვიდრე სული ამომხდებოდეს!

— მშვიდობით, ელენა, მშვიდობით, დაო ჩემო! — შესძახა სერებრიანიმ და ქალთან მიიჭრა.

ელენამ მშვიდი თვალები მიაგება მის სასოწარკვეთილ მზერას, ძმასავით მოეხვია და სამჯერ აკოცა უშიშრად და შეუცბუნებლად; რადგან ამ გამოსათხოვარ ამბორში უკვე აღარ ერია ის გრძნობა, რომელმაც ორი თვის წინათ, მოროზოვის ბაღის მესერთან, მისდაუნებურად და შეუმეცნებლად მოაქცია ის თავადის მკლავებში.

— მშვიდობით! — გაიმეორა ელენამ, საბურველი ჩამოიფარა და აჩქარებით მიაშურა თავის სენაკს.

უკვე მწუხრის ლოცვის ზარებს ჩამოჰკრეს. სერებრიანი დიდხანს გაჰყურებდა ელენას. მას არ ესმოდა, რას ელაპარაკებოდა წინამძღვარი, არც ის უგრძვნია, როგორ გამოსდო მან ხელი და გალავნამდე გამოაცილა. მდუმარედ შეჯდა ნიკიტა ცხენზე. მდუმარედ გამობრუნდა უკან მიხეიჩთან ერთად ხშირი ფიჭვნარით. მონასტრის ზარის გუგუნმა გამოიყვანა ის გარინდებიდან და მხოლოდ ახლა შეიგნო თავისი უბედურების მთელი სიმძიმე. გულს უფლეთდა ეს გუგუნი, მაგრამ მაინც სიყვარულით აყურადებდა მას, თითქოს მასში ელენას უკანასკნელი დამშვიდობება მოესმისო და, როცა თანაბარი რეკვა ნელ-ნელა შორეულ გუგუნად შენივთდა, ბოლოს კი მთლად მიილია საღამოს ჰაერში, თავადს მოეჩვენა, რომ მის ცხოვრებას ყოველივე მშობლიური მოსწყდა და ცივი, უიმედო მარტოობა შემოეხვია ყოველი მხრიდან.

მეორე დღეს სერებრიანის რაზმი კვლავ გაუდგა გზას და სულ უფრო და უფრო ღრმად შედიოდა ბურვილ კორომებში, რომლებიც მოკლე-მოკლე გადასარბენებით უერთდებოდნენ ბრიანსკის უღრან ტყეს. თავადი წინ მიუძღოდა რაზმს, მიხეიჩი კი მოსარიდალ მანძილზე მოჰყვებოდა უკან და კრინტის დაძვრასაც ვერ ბედავდა, რომ მისი დუმილი არ დაერღვია.

სერებრიანი თავჩაქინდრული მიუყვებოდა გზას და, უამური ფიქრებით, სასოწარმკვეთი უიმედობით გულდამძიმებულს, შორეული გარიჟრაჟის ნათელივით მიუძღოდა ერთი მანუგეშებელი გრძნობა. ეს იყო იმის შეგნება, რომ შეძლებისამებრ პატიოსნად მოიხადა ქვეყნის წინაშე თავისი ვალი, რომ მართალი გზით იარა ამქვეყნად და ერთხელაც არ გაუმრუდებია ეს გზა წინაგანზრახვით. ნათელივით მიუძღოდა ეს უძვირფასესი გრძნობა, რომელიც მძიმე ნაღველისა და უბედურების ჟამს

ხელშეუვალ სიმღიდრესავით ცოცხლობს პატიოსანი კაცის გულში და რომლის წინაშეც ყველა ამქვეყნიური სიკეთე, ყველაფერი, რაც მოკვდავთა ვნებათღელვის მიზანს შეადგენს, — ამაო და ფუჭი გარჯაა!

მხოლოდ ამის შეგნება აძლევდა სერებრიანის ძალას, გაეძლო ცხოვრებისთვის, ხოლო როცა ელენასთან გამოთხოვების ყველა გარემოებას იხსენებდა და მის თითოეულ სიტყვას იმეორებდა, სევდიან ნუგეშს ჰპოვებდა იმის ფიქრში, რომ ამ ძნელბედობის ჟამს, როცა მართლაც საძრახისი იქნებოდა მოლხენით ყოფნა, ზურგი არ შეაქცია თავის თვისტომთ და მათთან ერთად ეზიდებოდა თავის წილ საზოგადო ჟამიანობას.

ახლა გოდუნოვის სიტყვებიც გაცოცხლდა მის მეხსიერებაში და თავადმა მწარედ ჩაიცინა იმის მოგონებაზე, თუ რა თავდაჯერებით ამბობდა გოდუნოვი, კარგად ვიცნობ ადამიანის გულსო. „ჩანს, — გაიფიქრა მან, — ყველაფრის გამოცნობა არ შეძლებია ბორის ფიოდორიჩს! სახელმწიფო საქმეებში და ივან ვასილევიჩის გულში ის არ შეცდება; მან წინასწარ იცის, რას იტყვის მალიუტა, რას მოიმოქმედებს მავანი და მავანი ოპრიჩნიკი; მაგრამ იმათი გრძნობები, ვინც პირად გამორჩენას არ ეძებს, — წყვდიადია მისთვის!“

სერებრიანის მაქსიმი გაახსენდა უნებლიეთ და გაიფიქრა, გოდუნოვივით არ განსჯიდა ჩემი ძმადნაფიცი. ის არ ეტყოდა: ელენა სიყვარულით არ მისთხოვებია მოროზოვს, ელენა შენ დაგელოდებაო! ის ეტყოდა: იჩქარე, ძმაო! წამსაც ნუ დაკარგავ; გაქაფე ცხენი და შეაკავე შენი სატრფო, სანამ ღრო არის!

და ძმადნაფიცზე ფიქრისას თავად ნიკიტას კიდევ უფრო უნუგეშოდ წარმოესახა თავისი მარტოობა, რადგან იცოდა, რომ უკვე ველარავის შეხვდებოდა მაქსიმივით მახლობელს, აღარავინ ეყოლებოდა მაქსიმივით მოზიარე და შემავსებელი თავისი სულისა, ველარავინ დაეხმარებოდა ბევრი ისეთი რამის გარკვევაში, რასაც თვითონ ბუნდოვნად გრძნობდა უმწიკვლო გულში, მაგრამ, მოვლენათა ღელვაში, ვერ შეძლო მკაფიო სახედ გამოეკვეთა.

მისი ცხოვრება კვლავაც თავისი გზით, თავისი რიგით წაედინება, მაგრამ არც იკითხავს, ეთვისება თუ არა თავადის საუკეთესო მისწრაფებანი მის მძიმე მოთხოვნებს და, ვინ რა იცის, ცხოვრებამ იქნებ კიდევ დიდხანს ხლართოს თავისი ჭრელი ქსელი, სადაც თითოეულ წვრილმანს, ცალკე აღებულს, გასაგები აზრი არა აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა მოვლენა უწყვეტ ჯაჭვად არის გადაბმული ერთმანეთზე და მკაცრი თანამიმდევრობით გამომდინარეობს ურთიერთისგან.

სერებრიანიმ თავი ჩაჰქინდრა, სადაევ გააგდო და მშვიდად განაგ-

რძო გზა უსიერ ფიჭვნარში, რომელიც ისევე პირქუში იყო, როგორც თვითონ მისი ფიქრები. უკაცრიელი ტევრის მდუმარებას ყაჩაღების მწყობრი ნაბიჯი არღვევდა მხოლოდ. ტყის გარეული ბინადრები, ციყვები და ხეძრომიები, რომლებსაც ამ უდაბურებაში ჯერაც არ გამოეცადათ ადამიანის შიში, მეომართა დანახვაზე არც ფიქრობდნენ დამალვას და ცნობისმოყვარედ გადმოსცქეროდნენ მიმავლებს. ხეთა ხავსიან ქერქებს ჩაბლაუჭებული ჭრელი კოდალები ლამაზ თავებს აბრუნებდნენ ამ უცხო არსებებისკენ და კვლავ განაგრძობდნენ ხმელ ხეებზე ნისკარტის კაკუნს.

ერთ-ერთი მეომარი, ბუნების ზეიმურობით გულაჩქროლებული, ხმადაბლა და გაბმით ამღერდა; მას ნელ-ნელა სხვებიც აჰყვნენ და მალე ყველა ხმა მწყობრ გუნდად შენივთდა, ლაღად მოზვირთდა და მძლავრ ტალღებად დაირხა ხეთა გაუვალი საფარით დაბურულ ტევრში...

აქ შეიძლებოდა დაგვესრულებინა ეს სევდიანი ამბავი, მაგრამ უთქმელი დაგვრჩა, რა ბედი ეწიათ ჩვენს სხვა ნაცნობებს, რომლებიც, შესაძლოა, სერებრიანისთან ერთად ინაწილებენ მკითხველის გულისყურს. თვითონ ნიკიტა სერებრიანის ამბავს ერთხელ კიდევ გავიგონებთ ჩვენი მოთხრობის დასასრულს; მაგრამ ამისთვის ჩვიდმეტი მძიმე წელიწადი უნდა გამოვტოვოთ და იმ სახელოვანი დღეების მოსკოვში გადავინაცვლოთ, როცა ციმბირი დავიპყარით.

XL თავი

ერმაკის ელჩები

დიდი დრო გავიდა იმ დღიდან, რაც სერებრიანიმ სლობოდა მიატოვა შეწყალებულ ავაზაკთა რაზმითურთ. ბევრი რამ შეიცვალა მას მერე რუსეთში. მაგრამ იოანე კვლავინდებურად ხან ეჭვებად იქცეოდა და უწყალოდ სჯიდა ყველაზე ღირსეულ, ყველაზე სახელოვან მამულიშვილებს; ხანაც გონს ეგებოდა და საჯაროდ ინანიებდა თავის სიავკაცეს, თან უხვ შეწირულობებსა და მოკვდინებულთა სახელებით სავსე გრძელ ალაპის წიგნებს გზავნიდა მონასტრებში და ბრძანებდა მათი სულის მოსახსენებლად ელოცათ. მეფის ადრინდელ რჩეულთაგან აღარავინ დარჩენილა ცოცხალი. უმთავრესი მათგანი, მალიუტა სკურატოვი, რომელსაც ერთხელაც არ უწვნევია შერისხვა, სულ ბოლოს მოკლეს პაიდის,

ანუ ვაისენშტაინის გარემოცვისას, ლივონიაში, და იოანემ მის პატივსაცემად კოცონზე დასწვა ყველა გერმანელი და შვედი ტყვე.

ასობით და ათასობით რუსმა საბოლოოდ გადაიწურა უკეთესი დროების დადგომის ყოველგვარი იმედი და, თმენის ილაჯგამწყდარმა, ბრბოებად მიაშურა ლიტვასა და პოლონეთს.

მხოლოდ ერთი ბედნიერი ამბავი მოხდა ამ წლებში: იოანე მიხვდა, რა უსარგებლოც იყო ორ ნაწილად ქვეყნის გაყოფა, რომელთაგან უმცირესი უმეტესს სტანჯავდა, და გოდუნოვის ჩაგონებით მოსპო საძულველი ოპრიჩნინა. მეფე მოსკოვს დაბრუნდა. ალექსანდრეს სლობოდის საშინელი სასახლე კი სამუდამოდ გაუკაცრიელდა.

ამასობაში ბევრი უბედურება დაატყდა რუსეთს. ქალაქებსა და სოფლებს შიმშილი და ჭირი აპარტახებდა. ჩვენს საზღვრებში რამდენჯერმე შემოიჭრა ხანი და ერთ-ერთი თავდასხმის დროს სულერთიანად გადაბუგა მოსკოვის გარეუბნები და თვით ქალაქის უმეტესი ნაწილი. ჩრდილოეთიდან შვედები არ გვასვენებდნენ; სტეფან ბატორმა, რომელიც ჟიგიმონტის შემდეგ აირჩია სეიმმა, ლიტვის ომი განაახლა და, მიუხედავად ჩვენი ჯარების სიმამაცისა, თავისი სარისტიანობით დაგვჯაბნა და პირწმინდად წარგვტაცა ყველა სამფლობელო, რაც დასავლეთით გვქონდა.

იოანე ბატონიშვილმა, თუმცა პირწავარდნილი მამამისი იყო მტარვალობაში, მაგრამ ამჯერად სახელმწიფოს დამცრობა იგრძნო და ჯარი სთხოვა მეფეს ბატორზე გასალაშქრებლად. იოანემ იფიქრა, ტახტიდან ჩემი ჩამოგდება განუზრახავსო და ბატონიშვილი, რომელიც ოდესღაც სერებრიანიმ გადაარჩინა წყეულ ტბაზე, ამჯერად უკვე ვეღარ ასცდა ულმობელ სიკვდილს. გააფთრებულმა მამამ წამახვული კვერთხით განგმირა იგი. ამბობენ, გოდუნოვი შუაში ჩაუხტა მამა-შვილს და, მეფისგან საშინლად დაჭრილი, მხოლოდ პერმელი სტუმრის სტროგანოვის დასტაქრული ხელოვნების წყალობით გადარჩა ცოცხალიო.

ამ მკვლელობის შემდეგ იოანემ, რომელიც მწარე სასოწარკვეთამ შეიპყრო, დუმა შეჰყარა, მონასტერში წასვლას ვაპირებო, გამოუცხადა ბოიარებს და ბრძანა სხვა მეფის არჩევას შედგომოდნენ. მაგრამ მერე მაინც შეისმინა ბოიართა დაჟინებული თხოვნა, ტახტზე დარჩენას დათანხმდა და მხოლოდ მონანიებასა და უხვ შეწირულობებს დასჯერდა; ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ მიჰყო ხელი მტარვალობას. ასე, როგორც ოდებორნი წერს, მან ორი ათას სამასი კაცი მოაკვდინა იმისთვის, რომ სხვადასხვა სიმაგრეები ჩააბარეს მტერს, თუმცა თვითონ ბატორსაც აოცებდა ამ ხალხის სიმამაცე.

თავის სამფლობელოთა ზედიზედ დაკარგვამ, ყოველი მხრიდან მტრებისგან შევიწროვებამ, სახელმწიფოს შინაგანი მოშლილობის ცქერამ იოანეს სასტიკად შეულახა სიამაყე და ეს მტანჯველი გრძნობა მის ქცევასა და გარეგნობასაც დაეტყო. მეფეს დაუდევრად ეცვა, ახოვანი ტანი მოეღუნა, თვალები ჩაუქრა, ქვედა ყბა ბერიკაციით ჩამოუვარდა და მხოლოდ სხვების დასანახავად იკრებდა მხნეობას, ამაყად იჭერდა თავს და ეჭვით აკვირდებოდა გარშემო მყოფთ, ხომ არავინ მამჩნევს სულის სიძაბუნესო. ასეთ წუთებში ის გაცილებით უფრო საშინელი იყო, ვიდრე თავისი დიდების დღეებში. მოსკოვი არასდროს ყოფილა უნუგეშობითა და შიშით ისე დათრგუნვილი, როგორც იმ ხანებში.

ამ ძნელბედობის ჟამს მოულოდნელი ცნობა მოვიდა უკიდურესი აღმოსავლეთიდან და ყველა გაამხნევა, საყოველთაო მწუხარება სიხარულად შეატრიალა.

კამის შორეული ნაპირებიდან დიდვაჭარი სტროგანოვები ეწვივნენ მოსკოვს. ეს სტროგანოვები, სწორედ იმ სტუმრის ნათესავები, რომელმაც გოდუნოვი გამოამრთელა, მეფის წყალობის სიგელებით ფლობდნენ პერმის მხარის ცარიელ მიწებს და მთავრებივით ცხოვრობდნენ იქ, პერმის მეფისნაცვლებისგან დამოუკიდებლად. მათ საკუთარი გამგებლობა და საკუთარი მხედრობა ჰყავდათ და მხოლოდ ის ევალებოდათ, რომ ციმბირის ველური ხალხებისგან, ჩვენი ახალი და საეჭვო მოხარკეებისგან, დაეცვათ საზღვრები. თავიანთ ძელურ ციხე-სიმაგრეებზე ქუჩუმ ხანის ხშირი თავდასხმებით შეწუხებულმა სტროგანოვებმა ბოლოს გადაწყვიტეს ურალის ქედი გადაელახათ და თვითონ დაელაშქრათ მტრის მიწა-წყალი. ხოლო ეს საქმე რომ უფრო წარმატებით განეხორციელებინათ, ყაჩაღთა, ანუ როგორც ისინი თვითონ ეძახდნენ საკუთარ თავს, კაზაკთა რამდენიმე ატამანს მიმართეს, რომლებიც იმ ხანებში ვოლგასა და დონზე თარეშობდნენ თავისი ბანდებით. ამ ატამანთა შორის უმთავრესნი იყვნენ ერმაკ ტიმოფეევი და ივან კოლცო, რომელსაც ოდესღაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ სასწაულებრივად დაუძვრა მეფის მოისარებს და კარგა ხანს უგზო-უკვლოდ იყო გადაკარგული. როცა სტროგანოვების საბოძვარი და სიგელი მიუვიდათ, რომლითაც მათ სასახელო და საპატიო საქმეზე იხმობდნენ, ერმაკმა და კოლცომ სამ სხვა ატამანთან ერთად თავიანთი დროშა აღმართეს ვოლგაზე, მამაც ტყის შვილთა რაზმი შეკრიბეს და სტროგანოვებს წარუდგნენ. სწრაფად დატვირთეს ორმოცი ორჩხომელა საგზლითა და იარაღით, პარაკლისი გადაიხადეს და მცირერიცხოვანი რაზმი, რომელსაც ერმაკი ვოევოდობდა, მხიარული სიმღერებით შეჰყვა მდინარე ჩუსოვაიას ურალის უდაბური

მთებისკენ. რაზმი გზადაგზა იმორჩილებდა მტრულ ტომებს, ხმელეთით მიათრევდა თავის ნავებს ერთი მდინარიდან მეორეზე და ასე მიაღწია ირტიშის ნაპირებს, სადაც დაამარცხა და დაატყვევა ციმბირის მთავარი ვოევოდა მამედყული და დაიპყრო ქალაქი სიბირი, რომელიც ირტიშის მაღალ ნაპირზე იყო გაშენებული. ერმაკი არც ამას დასჯერდა, უფრო შორს წავიდა, მთელი მხარე დაიმორჩილა მდინარე ობამდე და დამარცხებული ხალხები თავის გასისხლიანებულ მახვილს ამთხვია სრულიად რუსეთის მეფის ივან ვასილევიჩის წინაშე მორჩილების ნიშნად. მხოლოდ მაშინ აცნობა მოპოვებული გამარჯვების ამბავი სტროგანოვებს, ხოლო თავისი საყვარელი ატამანი ივან კოლცო კი მოსკოვს გაგზავნა დიდ ხელმწიფესთან ქედდადრეკით წარსადგომად და მისთვის ახალი სამეფოს მისაძღვნელად.

აი ამ სასიხარულო ამბით ჩამოვიდნენ სტროგანოვები იოანესთან, ხოლო სულ მალე ერმაკის ელჩებმაც ჩამოაღწიეს.

ქალაქში აუწერელი სიხარული სუფევდა. ყველა ეკლესიაში პარაკლისებს იხდიდნენ, ყველა ზარი რეკდა, როგორც ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე. მეფემ ალერსით შეიტკბო სტროგანოვები და საზეიმო მიღება დაუნიშნა ივან კოლცოს.

ივან ვასილევიჩი კრემლის დიდ დარბაზში იჯდა ტახტზე თავისი მეფური სიდიადის მთელი ბრწყინვალეებით გარემოსილი, თავზე მონომახის ქუდი ეხურა, ტანთ კი ხატებითა და პატიოსანი თვლებით დამშვენებული ოქროქსოვილი ანაფორა ემოსა. მის მხარმარჯვნივ ბატონიშვილი ფიოდორი იდგა, მხარმარცხნივ კი — ბორის გოდუნოვი. ტახტის გარშემო და შემოსასვლელებთან რინდები იდგნენ ვერცხლით მოსირმულ თეთრ ატლასის ხიფთანებში გამოწყობილნი, მხრებზე მიყრდნობილი მოსახული ცულებით. მთელი დარბაზი თავადებითა და ბოიარებით იყო სავსე.

სტროგანოვების მიერ ჩამოტანილი ამბით გამხნევებული იოანე უკვე აღარ გამოიყურებოდა ისე პირქუშად, მის ბაგეებზე ღიმილიც კი ჩნდებოდა ხოლმე, როცა გოდუნოვს გამოელაპარაკებოდა ერთი-ორი სიტყვით. მაგრამ სახე ძლიერ მობერებოდა, ნაოჭები უფრო გაღრმავებოდა, თავზე თმა კანტიკუნტად შერჩენოდა, წვერი კი სულმთლად გასცვენოდა.

ბორის გოდუნოვი ბოლო წლებში სწრაფად აღზევდა; ის უკვე ცოლისძმა იყო ფიოდორ ბატონიშვილისა, რომელსაც მისი და ირინა მისთხოვდა, და ახლა საჯინიბოთა ბოიარის ფრიად მაღალი ხარისხი ჰქონდა. იმასაც ამბობდნენ, მეფე ივან ვასილევიჩმა, იმისთვის, რომ ყველას

ეგრძნო, რაოდენ მახლობელი იყო მისი გულისთვის გოდუნოვი და პატარძალი, ერთხელ სამი თითი შემართა მაღლა, ხოლო მეორე ხელი რიგ-რიგობით შეახო მათ და წარმოთქვა:

„ეს ფიოდორია, ეს ირინა, ეს ბორისი; და როგორც ერთნაირად ეტკინებოდა ჩემს ხელს ამ თითთაგან რომელიმეს მოკვეთა, სწორედ ასე ერთნაირად დაამძიმებდა ჩემს გულს ამ სამთაგან ერთი რომელიმე საყვარელი შვილის დაკარგვა“.

ასეთ უჩვეულო წყალობას არც გაუმედიდურებია, არც გაუამპარტავნებია გოდუნოვი. ის კვლავაც მოკრძალებული, ყველასთან თავაზიანი, სიტყვა-პასუხში თავდაჭერილი იყო და მხოლოდ მიხრა-მოხრაში დაეტყო მეტი სიდარბაისლე და ის უშფოთველი სიზვიადე, რაც მის მაღალ მდგომარეობას შეჰფეროდა.

თუმცა, თავისი ზნეობრივი ღირსებების შეუბღალავად არ მიუღწევია გოდუნოვს ასეთი გავლენისა და ესოდენი პატივისათვის. ყოველთვის ვერ შველოდა ბოიარს თავისი მოქნილი ჭკუა და ბუნება, რომ იმ საქმეებს გარიდებოდა, რასაც მისი სინდისი არ იწონებდა. ასე, რაკი მალიუტას სახით ფრიად ძლიერ მეტოქეს ხედავდა, ხოლო იოანეს თვალში მისი დამცრობის ყოველი იმედი გადაიწურა, ბორისმა ახლო მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მასთან და, კიდევ უფრო მტკიცედ დაახლოების მიზნით, მისი ქალიშვილი დაისვა ცოლად. ოც წელიწადს ისეთი მეფის ტახტთან ყოფნა, როგორიც ივანე მრისხანე იყო, უკვალოდ ვერ ჩაივლიდა ბორის გოდუნოვისთვის, და მასში უკვე მოხდა ის საკვალო ფერისცვალება, რამაც, თანამედროვეთა აზრით, ბოროტმოქმედად აქცია ადამიანი, რომელსაც ფრიად მაღალი თვისებები ჰქონდა მომადლებული ბუნებისგან.

ფიოდორ ბატონიშვილის შემყურე კაცი უსათუოდ იფიქრებდა, რომ უღონო იყო ის ხელები, რომელთაც იოანეს სიკვდილის შემდგომ უნდა ემართათ სახელმწიფო. მის კეთილ, მაგრამ უსიცოცხლო სახეს ოდნავი ნიშანწყალიც არ ეტყობოდა გონებრივი ან სულიერი ძალისა. ის უკვე ორი წელია ცოლიანი იყო, მაგრამ გამომეტყველება კვლავაც ბავშვური შერჩა. ტანდაბალსა და ანაგობით დონდლოს, სახე ფერმკრთალი და შეშუპებული ჰქონდა. თანაც, გამუდმებით იღიმებოდა და გაუბედავი და დამფრთხალი კაცის თვალებით გამოიყურებოდა. ტყუილა არ დადიოდა ხმები, რომ მეფე, რომელიც ნანობდა უფროსი ვაჟის დაკარგვას, ზოგჯერ ეტყოდა ხოლმე ფიოდორს: „ნეტავი რამ გაგაჩინა ბატონიშვილად, ფედია, შენ ეკლესიის მნათედ უნდა დაბადებულიყავი!“

„მაგრამ ღმერთი მწყალობელია, — ფიქრობდა ბევრი, — დაე უღონო

იყოს ბატონიშვილი; სამაგიეროდ, არც მამამისს, არც უფროს ძმას არ ვამოემგვანა! ისე კი თავისი ცოლისძმა დაეხმარება, ბორის გოდუნოვი. ეგ არავის დაანებებს სახელმწიფოს დაძაბუნებას!"

უცებ ბუკებმა დასჭექეს, ზარებმა დაიგუგუნეს და სასახლეში შეკრებილმა კარისკაცებმა ერთბაშად შეწყვიტეს ჩურჩული. დარბაზში ერმაკის მოციქულები შემოვიდნენ. მათ წინ ექვსი მესუფრე მოუძღოდათ, უკან კი ფეხდაფეხ შემოჰყვნენ მაქსიმ და ნიკიტა სტროგანოვები თავიანთ ბიძა სემიონითურთ. სულ ბოლოს ძვირფასი ბეწვეული, უცნაური ჭურჭლეულობა და აუარებელი უცხოდ ნახელავი, თვალით უნახავი იარაღი მოჰქონდათ.

ივან კოლცო, რომელიც ელჩების თავში მოაბიჯებდა, ორმოცდაათიოდე წლის ვაჟკაცი იყო, ტანად საშუალო, მკვრივი აღნაგობისა. მას ცოცხალი, გამჭრიახი თვალები ჰქონდა და მსუბუქად შეჭაღარავებული შავი, სქელი, მაგრამ მოკლე წვერი უმშვენებდა სახეს.

— დიდო ხელმწიფევ! — წარმოთქვა მან და ტახტის საფეხურებს მიუახლოვდა: — შენი კაზაკთა ატამანი ერმაკ ტიმოფეევი და, მასთან ერთად, შენგან შერისხული ყველა ვოლგელი კაზაკი, რომლებსაც შენი მეფური მოწყალებისგან სიკვდილი აქვთ მისჯილი, თავიანთი დანაშაულის გამოსყიდვას შეეცადნენ და ქედდადრეკილნი მოგიძღვნიან ახალ სამეფოს. შეჰმატე, დიდო ხელმწიფეო, შენგან დაპყრობილ ყაზანისა და ასტრახანის სამეფოებს ბარემ ეს ციმბირისაც, ვიდრემდე უფალი ღმერთი ქვეყნიერების დგომას ინებებს!

ეს რომ თქვა, კოლცო ამხანაგებთან ერთად მუხლებზე დაეცა და მდაბლად დადრიკა თავი.

— ადექით, ჩემო კეთილო მსახურნო! — თქვა იოანემ. — ვინც ძველი გაიხსენოს, თვალიმც წავარდეს, ის ადრინდელი შერისხვა კი, ჩათვალეთ, რომ წყალობად მოგიბრუნდათ ამიერიდან. ჩემთან მოდი, ივან!

და მეფემ ხელი გაიწოდა მისკენ, კოლცო კი წამოდგა და, ტახტის მეწამულისფერ საფეხურს რომ არ შეხებოდა ფეხით, ჯერ თავისი კრაველის ქუდი დააგდო მასზე, ცალი ფეხი დაადგა ზედ, წინ წაიხარა და ხელზე ეამბორა იოანეს, რომელმაც ხელი მოჰხვია მას და თავზე აკოცა.

— მადლობას ვწირავ ყოვლადძლიერ და ყოვლად დაუსაბამო სამებას, — თქვა მეფემ და ზეცად აღაპყრო თვალნი, — ახლა კი ვხედავ ყოვლისშემძლე ღვთის განგების გარდმოვლინებას, რადგან სწორედ იმ

დროს, ოდეს მტერნი მმძლავრობენ და უახლოესი მსახურნიც კი განმ-ძვინვარებით იზრახავენ ჩემს დაღუპვას, ყოვლადმოწყალე ღმერთმა უწ-მინდურთა ზედა ვამარჯვება და ჩემს სახელმწიფოთა სახელოვანი გამ-რავლება მიწყალობა!

ეს რომ თქვა, მოზეიმე მზერა მოავლო ბოიარებს და მუქარით და-ატანა:

— ვიდრე უფალი ღმერთი ჩვენს თანა არს, ჩვენსა ზედა ვერავის ხე-ლეწიფების! ვისაც ყურნი აქვს სასმენლად, დაე ესმოდეს!

მაგრამ ამავე დროს იგრძნო, რომ ტყუილუბრალოდ შეხამავდა საერ-თო სიხარულს, და კოლცოს მიუბრუნდა, თან წუთის წინ მუქარით გა-მომზირალ თვალებში მოწყალე გამომეტყველება ჩაიყენა.

— რაო, გსიამოვნებს მოსკოვს ყოფნა? გინახავს სადმე ასეთი სასახ-ლეები და ეკლესიები? თუ უკვე ნამყოფი ხარ აქ?

კოლცომ კრძალვით, თან როგორღაც ეშმაკურად ჩაიღიმა და ქათქა-თა კბილებმა თითქოს გაუნათეს შავგვრემანი, ნამზეური სახე.

— აბა სად ვნახავდით ჩემისთანა ბეჩავები ასეთ სასწაულებს! — თქვა და მორჩილად აიჩეჩა მხრები. — ძილშიც არ დაგვსიზმრებია ამნაირი წნულ-ჩუქურთმები, დიდო ხელმწიფევ! ვცხოვრობთ ჩვენთვის ვოლგაზე გლეხურად, მოსკოვზე მხოლოდ ყურმოკვრით თუ გავიგონებთ რამეს, ამ მხარეში კი ფეხიც არ დაგვიდგამს არასოდეს!

— იცხოვრე აქ ერთ ხანს, — კეთილმოწყალედ უთხრა იოანემ, — ვუბ-რძანებ სანაქებოდ გიმასპინძლონ. ერმაკის სიგელი კი წავიკითხეთ და შევისმინეთ და უკვე ვუბრძანეთ თავად ბოლხოვსკისა და ივან გლუხოვს ხუთასი მოისარით წამოვიდნენ თქვენს დასახმარებლად.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, — უპასუხა კოლცომ და მდაბლად ეთაყვანა, — ოღონდ, ცოტა ხომ არ იქნება ეგ, დიდო ხელმწიფევ?

იოანე გააოცა კოლცოს გაბედულებამ.

— ბიჭოს, დახეთ ამ შეუპოვარს! — თქვა მან და მკაცრად დააცქერდა ატამანს. — ეგებ ისიც ბრძანო, მეც თქვენს საშველად გამოვეშურო? შენ გგონია, სხვა საზრუნავი აღარა მაქვს, თქვენი ციმბირის მეტი? ხალხი ხანთან და ლიტვასთან საომრად მჭირდება. დასჯერდი, რასაც გაძლე-ვენ, უკან მიბრუნებულმა კი გზადაგზა მოკრიბე მოხალისენი. ბევრია ახ-ლა რუსეთში ყველანაირი ბოგანო. ჰოდა, იმის მაგიერ, რომ დღენიადაგ ლუკმაპურის თხოვნით გამაბეზრონ, დაე იმ ახალ მიწებზე წავიდნენ და იქ დასახლდნენ! ვოლოგდის არქიელსაც მივწერეთ, ათი ხუცესი წარ-მოგზავნოს თქვენთან წირვა-ლოცვისა და ყოველი საეკლესიო წესის აღსასრულებლად.

— მაგისთვისაც მადლობას მოვახსენებთ შენს მეფურ მოწყალებას, — მიუგო კოლცომ და კიდევ ერთხელ ეთაყვანა. — ეგ კეთილი საქმეა; ოღონდ, რახან სიკეთეს გვიშვრები, ნუ დაიშურებ, დიდო ხელმწიფეო, და ხუცების გარდა, ბარემ იარაღიც მოგვეცი რამდენიც არ გეზოგებოდეს, და ცეცხლსასროლი წამალიც ხვავრიელად!

— არც მაგაზე დაგტოვებთ გულნაკლულს. ეგ უკვე ნაბრძანები აქვს ჩემგან ბოლოხოვსკის.

— თან კიდევ ტან-ფეხიც ნამეტანი შემოგვაცვდა, — შეაპარა კოლცომ და პირფერული ღიმილით აიჩეჩა მხრები.

— რაო, ციმბირის გზებზე აღარავინ გხვდებათ გასამარცვავი? — თქვა იოანემ, ატამანის აბეზარობით უკმაყოფილომ: — შენ, როგორც ვხედავ, თქვენი სახმარ-საყოფის არც ერთი მუხლი არ გავიწყდება, ოღონდ ჩვენც უკვე ვიფიქრეთ ჩვენის სუსტი ჭკუით ზოგ-ზოგ რამეზე: ტანსაცმლით სტროგანოვები დაგმოსავენ; მე კი სამეფო ჯამაგირი დავუწესე მეუფროსე და რიგით კაცებს. ხოლო შენ თვითონ რომ შეუმოსელი არ დამრჩე, ბატონო მრჩეველო, ჩემი ქურქი მიბოძებია შენთვის!

მეფის ნიშანზე ორმა მესუფრემ სტავრაგადაკერებული ძვირფასი ქურქი მოიტანა და ივან კოლცოს ჩააცვა:

— ენა რომ მჭრელი გაქვს, კარგად ვხედავ, — უთხრა იოანემ, — მაგრამ ხმალი თუ გაქვს, ნეტავი, მჭრელი?

— სამდურაეი არ ეთქმოდა, დიდო ხელმწიფეე, ოღონდ ცოტათი დააცვდა ფხა ციმბირელთა თავებზე!

— ჩემს საბჯრეში აირჩიე ხმალი, რომელიც თვითონ მოგივა თვალში; იცოდე, გულით მოწონებული ამოირჩიე, ყველაზე ლამაზი. თუმცა, შენ, არა მგონია, თავპატიჟი დაიწყო!

ატამანს სიხარულით გაუბრწყინდა თვალები.

— დიდო ხელმწიფეე! — წამოიძახა მან: — შენ ბევრი წყალობა გვიყავი, მაგრამ ეს ყველაზე უმეტესია! ცოდვას ვიზამდი, თავპატიჟი რომ დამეწყო შენს საჩუქარზე! ისეთ ხმალს ავარჩევ შენს საბჯრეში, რომ მისი ბადალი არსად იყოს! ოღონდ, — მცირე ფიქრის შემდეგ დაურთო მან, — რახან შენი ხმალი არ გეშურება, სჯობს, ხელმწიფეო, ნება დამრთო ერმოლაი ტიმოფეევიჩს გადავცე ის შენი მეფური დიდებულების სახელით!

— იმისთვის ნუ სწუხარ, ჩვენ არც ის დაგვავიწყდება. ხოლო თუ იმის შიში გაქვს, ვაითუ მე ვერ ვაამო მის მოწყალებას, მაშინ ორი ხმალი აირჩიე — ერთი შენთვის და მეორე ერმაკისათვის.

— დიდება შენს სახელს, ხელმწიფეო! — აღტაცებით შესძახა კოლ-

ცომ. — იცოცხლე, ამ ორი ხმლით ჩვენ გავისარჯოთ შენს სამსახურში!

— მაგრამ მარტო ხმლები არ კმარა, — განაგრძო იოანემ. — თქვენ საიმედო ჯავშანიც გჭირდებათ. შენთვის არ გაჭირდება გამოძებნა, ტანზე მოგარგებთ და ისე შეგირჩევთ, ერმაკის სარგო კი ვაითუ ვერ მოვზომოთ თვალდათვალ. მაინც რამსიმაღლე იქნება ის?

— ასე, ჩემსიმაღლე იქნება, ხელმწიფეო, ოღონდ უფრო მხარბეჭიანი, აი, თუნდაც ამ მამაცივით, — მიუგო კოლცომ და თავის ერთ-ერთ ამხანაგს მიუბრუნდა, ზორზოხა ვაჟკაცს, რომელიც, მას შემდეგ, რაც სულ ახლახან იარაღის ვეება კონა შემოიტანა და იატაკზე დაახვავა, ატამანის უკან იდგა პირდაღებული და გაოცებით აშტერებდა თვალებს ხან მეფის ოქროქსოვილ სამოსელს, ხან ტახტის გარშემო მდგომი რინდების მორთულობას. ერთ-ერთ მათგანს ჰკითხა კიდევაც ნამალავად, ყველანი ბატონიშვილები ხომ არა ხართო, მაგრამ რინდამ ისე მკაცრად გადმოხედა, რომ ზორზოხას აღარც უცდია კითხვის გამეორება.

— დიდი ჯავშანი მოიტანეთ აქ, — თქვა მეფემ, — არწივიანი, სულ პირველი რომ ჰკიდია საბჯრეში. ბარემ ახლავე მივაზომოთ ამ თვალდაჭყეტილს.

მსახურებმა სულ მალე შემოიტანეს მძიმე ჯაჭვის პერანგი, რომელსაც სამკლავეებსა და კალთებზე სპილენძის რგოლები ჰქონდა მოვლებული, მკერდსა და ზურგზე კი ოქროს ორთავიანი არწივები უბზინავდა.

ჯავშანი სანაქებოდ იყო ნახელავი და მის დანახვაზე ყველა მოწონებით აჩურჩულდა.

— აბა ჩაიცვი, სელაპო! — თქვა მეფემ.

ზორზოხამ მორჩილად გაყო თავი ჯავშანში, მაგრამ, რამდენი არ ეწვალა, მაინც ვერ ჩამოიცვა და ნახევრამდეც ძლივს ჩაჩურთა ხელები სახელოებში.

მის შემყურე იოანეს დიდი ხნის წინათ დავიწყებული რომელიღაც მოგონება გაუკრთა გონებაში.

— კმარა, — თქვა კოლცომ, რომელიც მზრუნველად ადევნებდა თვალს ზორზოხას: — გეყოფა ახლა მეფის ჯავშნის ქაჩვა! შენი ამბავი რომ ვიცი, იქნებ გაგლიჯო კიდეც, დათვო! ხელმწიფევ, — განაგრძო მან, — დიდებული ჯავშანია და ზედგამოჭრილი იქნება ერმოლაი ტიმოფეევიჩისთვის; ეგ კი იმიტომ ვერ გატეულა შიგ, რომ მუშტები უშლის. ამოდენა მუშტები არც კი აქვს ვინმეს, ამის მეტს!

— აბა ერთი დამანახე შენი მუშტი! — უთხრა მეფემ და ცნობისმოყვარედ დააცქერდა ზორზოხას.

მაგრამ ის დაბნეული შეჰყურებდა იოანეს, თითქოს ვერ გაიგო მისი ბრძანებაო.

— არ გესმის, ყეყეჩო? — გაუმეორა კოლცომ, — აჩვენე მუშტი მის მეფურ მოწყალებას!

— მერე მაგან რო თავი მომჭრას ამისთვის? — ზოზინით მიუგო მან და ბრიყვულ სახეზე შიში დააჩნდა.

მეფემ გაიცინა, დანარჩენებმა კი ძლივს შეიკავეს სიცილი.

— ეჰ, შე სულელო, სულელო! — სინანულით თქვა კოლცომ. — აქამდისაც სულელი იყავი და არც ახლა მოგმატებია ჭკუა!

ეს რომ თქვა, ზორზოხა ჯაკშნიდან გამოაძვრინა, ტახტთან მიათრია და მეფეს მისი ვეება ხელის მტევანი აჩვენა, რომელიც დათვის თათს უფრო ჰგავდა, ვიდრე კაცის ხელს.

— ნუ გვიწყენ, დიდო ხელმწიფეე, ამის სიხეპრეს. ამან ლაპარაკი იცის ბრიყვული, თორემ ისე კაი ვაჟკაცია. ბატონიშვილი მამედყული ამან დაატყვევა ამ ხელებით.

— რა ჰქვია მაგას? — ჰკითხა იოანემ, რომელიც სულ უფრო და უფრო ჩაციებით აკვირდებოდა ზორზოხას.

— რა მქვია და მიტკა! — გულუბრყვილოდ მიუგო მან.

— დამაცა! — თქვა იოანემ, რომელმაც ერთბაშად იცნო მიტკა: — შენ, ნეტავი, ის მამაცი ხომ არა ხარ, მოროზოვისთვის რომ იბრძოლე სლობოდაში და მატვეი ხომიაკი მოკალი ხელნათი?

მიტკა ბრიყვულად გაიღრიჭა.

— მე შენ, ჭკუისკოლოფო, პირველად ვერ გიცანი, ახლა კი მაგონდება შენი ცხვირ-პირი.

— მე კიდე მაშინათვე გიცანი! — მიუგო მიტკამ კმაყოფილი გამომეტყველებით: — შენ მაღალ ჯორკოზე იჯექი ზედ ასპარეზთან!

ამჯერად ყველამ გულიანად გაიცინა.

— მადლობელი ვარ შენი, — უთხრა იოანემ, — რომ არ დაგავიწყდა ჩემისთანა პატარა კაცი. მაინც როგორ დაატყვევე მამედყული?

— ზედ გადავემხე! — გულგრილად მიუგო მიტკამ, რომელსაც ვერ გაეგო, რა შეუჩნდა ამ ხალხს, რომ ყველა ასე ხარხარებდა.

— ჰოო, — თქვა იოანემ, თან მიტკას შეჰყურებდა, — როცა ამოდენა კუნძი მოგიქვეშიებს, მართლაც ძნელია თავის დაძვრენა. მახსოვს, როგორ გაჭყლიტა ამან ხომიაკი. რატომ წახვედი მაშინ ასპარეზიდან? ან ის როგორღა მოხდა, რომ სლობოდიდან ციმბირში ამოყავი თავი?

ატამანმა ფრთხილად წაუმუჯლუგუნა მიტკას, რომ არაფერი წამოსცდენოდა, მაგრამ მან უკუღმა გაიგო ეს ნიშანი.

— როგორ და, აი ამან წამიყვანა ასპარეზიდან! — თქვა მან და ატამანს დაასო თითი.

— მაგან წაგიყვანა? — წარმოთქვა მეფემ და გაოცებით დააცქერდა კოლცოს. — მაშ რად მითხარი... — განაგრძო მან, თან თვალს არ აცილებდა ატამანს, — რად მითხარი, პირველად ვარ ამ მხარეშიო? დამაცა ერთი, ძმობილო, დამაცა, მე და შენ, მგონი, ძველი ნაცნობები უნდა ვიყოთ. შენ ხომ არა ხარ ის მეზღაპრე, ოდესღაც მტრედის წიგნზე რო? მიამბობდი? კი, ნამდვილად შენა ხარ, გიცანი კიდევაც. სერებრიანიც ხომ შენ გაიტაცე მაშინ საპყრობილედან. აბა ერთი მოგვახსენე, ღვთის გლახავ, რანაირად დაგიბრუნდა თვალისჩინი მას მერე? რომელი სალოცავები მოიარე? რომელ სასწაულმოქმედ ნაწილებს ემთხვიე?

ამას რომ ამბობდა, მეფე გამსჭვალავი, მომლოდინე მზერით გმირავდა კოლცოს და ტკბებოდა მისი დაბნეულობით.

კოლცომ თვალები დახარა.

— კეთილი, — თქვა ბოლოს მეფემ, — რაც იყო, იყო; რაკი დრომ გაიარა, ჭირმაც გადაიარა; ჰოდა, ჩვენც ნუღარ გავიხსენებთ იმ ჭირს. მხოლოდ ეს გამაგებინე, რიაზანის ამბის მერე რატომ არ ისურვე სხვა ქურდებთან ერთად ჩემს წინაშე მონანიედ ქედის დადრეკა?

— დიდო ხელმწიფევ, — უპასუხა კოლცომ და მთელი თავისი სულის მხნეობა მოიკრიბა, — მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი შენი დიდი წყალობის ღირსი. სირცხვილით ვერ გავბედე მაგ თვალებს დავნახვებოდი; ჰოდა, როცა თავადი ნიკიტა შენთან წამოუძღვა ამხანაგებს, მე კვლავ ვოლგაზე დავბრუნდი, ერმაკ ტიმოფეევიჩთან, იმ იმედით, ეგებ ღმერთმა რამე ახალი სამსახური შემაძლებინოს ხელმწიფისთვის-მეთქი!

— მანამდე კი ჩემს ხაზინას იტაცებდი ხომალდებიდან და მოსკოვს მომავალ ყიზილბაშ ელჩებს ძარცვავდი გზებზე?

ივან ვასილევიჩის გამომეტყველება დამცინავი უფრო იყო, ვიდრე მრისხანე. ვანიუხა პერსტენის, ანუ ივან კოლცოს, კადნიერი მცდელობის დროიდან ჩვიდმეტი წელი გავიდა, მეფის გულში კი ასე დიდხანს არ ბუდობდა ხოლმე ღვარძლი, თუ ის მისი პირადი თავმოყვარეობის უშუალო შეურაცხყოფით არ იყო გაღვივებული.

კოლცომ სხვა ვერაფერი ამოიკითხა იოანეს სახეზე, გარდა უწყინარი სურვილისა, თავი გაერთო დაბნეული ნაყაჩაღარის გაქილიკებით. ამ გუნება-განწყობილებაზე მყოფი მეფე რომ არ გაეწბილებინა, მან თავი დახარა და კეფა მოიქექა, ცბიერ ბაგეებზე კი ძლივს იკავებდა ოდნავ შესამჩნევ ღიმილს.

— რაღა არ შემხვედრია, დიდო ხელმწიფევ! — ხმადაბლა წარმოთქვა მან: — დამნაშავე ვართ შენი მოწყალების წინაშე!

— კეთილი, — თქვა იოანემ, — შენ და ერმაკმა სრულად გამოისყიდეთ თქვენ-თქვენი დანაშაული და წარსული უკვე საბოლოოდ გადავივიწყე, მაგრამ წინათ რომ ჩამვარდნოდი ხელში, მაშინ კი, ნუ გეწყინება, ვერ გადამირჩებოდი!..

კოლცომ გაჩუმება არჩია, გუნებაში კი გაიფიქრა: „სწორედ მაგიტომ არ ჩაგბარდი მაშინ მონანიებით, დიდო ხელმწიფევ“.

— ჰო, მართლა, აბა მადროვე, — განაგრძო იოანემ, — მგონი შენი ძმაკაციც აქ უნდა იყოს!

— ჰეი! — თქვა მან კარისკაცთა გასაგონად: — აქ ხომ არ არის ის ყაჩაღების ვოევოდა... აი ისა, რა ჰქვია? მიკიტა სერებრიანი?

კარისკაცებმა ჩურჩული შექმნეს, ადგილზე ტოკვა დაიწყეს, მაგრამ ხმას არავინ ძრავდა საპასუხოდ.

— გესმით? — გაიმეორა იოანემ და ხმა შეიმაღლა: — მე გეკითხებით, აქ ხომ არ არის ის მიკიტა, ჟიზდრას წასვლა რომ გამოგვთხოვა ქურდებთან სასამსახუროდ?

მეფის განმეორებით შეკითხვაზე კარისკაცთა რიგებს ერთი მოხუცი ბოიარი გამოეყო, რომელიც კალუგაში ვოევოდობდა ოდესღაც.

— ხელმწიფევ, — თქვა მან და მდაბლად ეთაყვანა იოანეს, — ის, ვისაც შენ კითხულობ, აქ არ არის. იგი იმავე წელს, როცა ჟიზდრას ჩავიდა, უკვე ჩვიდმეტი წელიწადი იქნება მას აქეთ, თათრებმა მოკლეს, და მთელი რაზმიც მასთან ერთად შეაკვდა ურჯულოს.

— მართლა? — თქვა იოანემ: — მე კი არც ვიცოდი ეგ ამბავი!.. რა გაეწყობა, — განაგრძო მან და კოლცოს მიუბრუნდა, — ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო. მე კი მინდოდა შენ და ის შემეხვედრებინეთ და მენახა, როგორ გადაკოცნიდით ერთმანეთს!

ატამანს სახე დაუნაღვლიანდა.

— გენანება, განა, ამხანაგი? — დამცინავად ჰკითხა იოანემ.

— მენანება, ხელმწიფეო! — მიუგო კოლცომ, თუმცა იცოდა, რომ ასეთი გულახდილობით შეიძლება გაებრაზებინა მეფე.

— ჰო, რა თქმა უნდა, — ზიზღით თქვა იოანემ, — აბა სხვანაირად როგორ იქნება: გული გულსა ცნობს და სული სულს!

მართლა არ იცოდა იოანემ სერებრიანის სიკვდილის ამბავი თუ განზრახ მოიქცა ასე, რომ ყველას ეგრძნო, რა მცირედ უღირდა ისინი, ვინც მის წყალობას არ ეძიებდა, ღმერთმა უწყის. ხოლო, თუ მართლა მხოლოდ ახლა შეიტყო ნიკიტას ხვედრი, მაინც ვერ იტყოდით გადაწყ-

ვეტით, შეეანანა მისი დაღუპვა, თუ არა; ყოველ შემთხვევაში, სახეზე ოდნავი სინანულიც არ დამჩნევია. ის, ეტყობა, ისევე გულგრილი დარჩა, როგორც ამ პასუხის გაგონებამდე იყო.

— დარჩი აქ ერთ ხანს, — უთხრა მან ივან კოლცოს, — ხოლო როცა ბოლხოვსკის წამოსვლის დრო დადგება, შენც მასთან ერთად გაბრუნდი იუგორებთან... ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ბოლხოვსკის გვაროვნული შტო რიურიკისგან მომდინარეობს. ამ დიდგვაროვანი მთავრების მორჯულება კი ადვილი როდია; ის კი არა, მგონი, ჩემთანაც მოინდომონ გვაროვნობაში გამოჯიბრება! ყველა მათგანი როდი ითხოვს, იმ მიკიტასავით, ავაზაკებთან წასვლას. ჰოდა, იმას რომ საწყენად არ ექნეს კაზაკთა ატამანის ხელქვეითობა, ამთავითვე ვწყალობ ერმაკს ციმბირის მთავრის პატივს! შჩელკალოვ, — უთხრა მან შორიახლოს მდგომ დუმის დიაკს, — გაუმზადე ერმაკს წყალობის სიგელი, რომ მან ციმბირის მთელს მიწა-წყალზე ივოევოდოს, ხოლო მამედყული კი მოსკოვს წარმოგზავნოს გაძლიერებული ყარაულით. ჰო, ამ გახსენებაზე, ბარემ სტროგანოვებსაც დაუწერე სიგელი, რომ კეთილი ნამსახურობისა და გარჯილობისთვის ვწყალობ: სემიონს დიდ და მცირე სოლს ვოლგაზე, ხოლო ნიკიტასა და მაქსიმს ყველა იქაურ ქალაქსა და ციხე-სიმაგრეში უბაჟოდ ვაჭრობის პატივს.

სტროგანოვებმა მდაბალი თაყვანი სცეს მეფეს.

— რომელი თქვენგანი იყო, — უეცრად იკითხა იოანემ, — ბორისი რომ გამოამრთელა იმ ხანებში, როცა იგი კვერთხით დავჭერი?

— ჩემი უფროსი ძმა იყო, ხელმწიფეო, გრიგორი ანიკინი, — მიუგო სემიონ სტროგანოვმა. — ის, ღვთის ნებით, შარშან მიიცვალა.

— ანიკინი კი არა, ანიკიევიჩი, — თქვა მეფემ და ბოლო მარცვალზე გააკეთა მახვილი, — მე ჯერ კიდევ მაშინ ვუბრძანე იმას სტუმრის უზედაესად დგომა და სრული მამის სახელით მოხსენიება. და თქვენც ყველას გავალდებულებთ ვ ი ჩ ა დ დაიწეროთ და ამიერიდან სტუმრებში კი აღარ ირიცხებოდეთ, არამედ წარჩინებულებში!

მეფემ ერმაკისგან მოძღვნილი ნაირნაირი ბეწვეულისა და სხვა საჩუქრების თვალიერება დაიწყო და გაისტუმრა ივან კოლცო, თან დამშვიდობებისას რამდენჯერმე შეეხუმრა მოწყალედ.

მალე დანარჩენი წვეულნიც გაიკრიბნენ დარბაზიდან.

იმ დღეს კოლცოს და, მასთან ერთად, სტროგანოვებს, ბორის გოდუნოვმა გაუმართა სადილი ხალხმრავალ სუფრასთან.

მას შემდეგ, რაც ჩვეულებისამებრ დალიეს მეფის, ბატონიშვილის, მეფის მთელი სახლეულისა და მისი მაღალუსამღვდელოესობა მიტრო-

პოლიტის სადღეგრძელოები, გოდუნოვმა ოქროს აზარფეშა ასწია და ერმაკ ტიმოფეევიჩისა და ყველა მისი ერთგული ამხანაგის სადღეგრძელო შესთავაზა თანამესუფრეთ.

— დაე მრავალჟამიერ იდღეგრძელონ რუსეთის სადიდებლად! — შესძახეს სტუმრებმა, ფეხზე წამოდგნენ და თავი დადრიკეს ივან კოლცოს წინაშე.

— მოწიწებით ვიდრეკთ ქედს შენს წინაშე მთელი მართლმადიდებელი ქვეყნიერების სახელით, — უთხრა გოდუნოვმა და მდაბლად ეთაყვანა, — ხოლო შენი სახით კი ერმაკ ტიმოფეევიჩის წინაშეც ყველა თავადისა და ბოიარის, ყველა მოვაჭრე ხალხის, სულერთიანად მთელი რუსობის სახელით! მიიღე მთელი ჩვენი ქვეყნის უსაზღვრო თაყვანისცემა, ესოდენ დიდი სამსახური რომ გაუწიეთ მას!

— დაე ცოცხლობდეს თქვენი სახელი... — შესძახეს სტუმრებმა, — დაე ცოცხლობდეს ჩვენს შვილებსა და შვილთა შვილებში, ჩვენს შორეულ შთამომავლებში მარადჟამ სადიდებლად, სათაყვანოდ და სამაგალითოდ, სალოცავად და გზის მანათებლად!

ატამანი სუფრიდან წამოდგა, რომ მადლობა მოეხსენებინა ესოდენი პატივისთვის, მაგრამ მეტყველი სახე უეცრად შეეცვალა სულიერი მღელვარებისგან, ბაგეები აუთრთოლდა, ხოლო შეუპოვარ თვალებზე, შესაძლოა პირველად თავის სიცოცხლეში, ცრემლი მოადგა.

— დღეგრძელი იყოს რუსეთი! — წყნარად წარმოთქვა მან, თავის დაკვრით მოახსენა მადლობა თანამესუფრეთ და კვლავ ადგილზე დაჯდა ისე, რომ სიტყვაც აღარ დაუძრავს.

გოდუნოვმა სთხოვა ატამანს, გვიამბე რამე ციმბირში ლაშქრობისას შენამთხვევიო, და კოლცოც გატაცებით შეუდგა თხრობას, მაგრამ საკუთარ თავზე კი არა, მხოლოდ ერმაკზე, მის საარაკო ღონესა და სიმამაცეზე, მის ურყევ სამართლიანობასა და ქრისტიანულ ლმობიერებაზე, რასაც იჩენდა დამარცხებულთა მიმართ მუდამ და ყოველთვის.

— აი ამ ლმობიერებით, — დააბოლოვა კოლცომ, — ერმაკ ტიმოფეევიჩმა, მგონი, უფრო მეტი მოიხვეჭა, ვინემ თავისი ხმლით. როგორც კი დავიპყრობთ იმათ მავან და მავან ციხეს, გინდ ქალაქს, ის მაშინვე მიეალერსება იქაურებს, საჩუქრებსაც კი უწყალობებს. ხოლო როცა მამედყული შევიპყარით, ღმერთმანი, აღარც იცოდა, რა პატივი ეცა მისთვის. თავისი ქურქი გაიხადა და ბატონიშვილს ჩააცვა. ჰოდა, მთელ მხარეს მოედო ხმა, ერმაკის ქვეშევრდომობა მძიმე უღელი არ არისო; ბეკრი იქაური მთავრუკა მაშინვე თავისი ფეხით მოვიდა მასთან და იასაყი მოართვეს. მხიარულად ვცხოვრობდით ჩვენ ციმბირში, — განაგრძობდა

ატამანი, — შპოლოდ ერთი რამ მქონდა სანაღვლოდ: თავადი ნიკიტა სერებრიანი რომ არ იყო ჩვენთან; თვითონაც გულით მოეწონებოდა იქაური ამბები და ჩვენც, მის მხარდამხარ, უფრო გაგვიადვილდებოდა საქმე. შენ, ბორის ფიოდოროვიჩ, მგონი, მეგობრობდი თავადს. მაშ, ნება შომეცი მისი ხსოვნის სადღეგრძელო შევსვა!

— ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! — ამოოხვრით თქვა გოდუნოვმა, რომლისთვისაც დიდი ამბავი არ იყო თანაგრძნობა გამოეხატა ადამიანისადმი, ვისაც ასე დიდ პატივს სცემდა მისი სტუმარი: — ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, — გაიმეორა მან და სასმისი ააკსო: — ხშირად ვიგონებ ხოლმე იმას!

— საუკუნო ხსოვნა იყოს მისი! — თქვა კოლცომ, სასმისი დასცალა, თავი ჩაჰქინდრა და ჩაფიქრდა.

კიდევ დიდხანს საუბრობდნენ სუფრასთან, ხოლო როცა სადილს შორჩნენ, გოდუნოვმა, შინ გაშვების ნაცვლად, სთხოვა სტუმრებს ჯერ დაესვენათ, მერე კი ბარემ მასთან გაეტარებინათ ის დღე საღამომდე. გულუხვად გამოჰქონდათ ხან ერთი, ხან მეორე ნუგბარ-ნუგბარი პირის დასაგემოვნებლად, საუბრობდნენ აქეთურზე თუ იქითურზე და მხოლოდ მაშინ დაიშალნენ სტუმრები, ბორისის გულითადი მასპინძლობით მოხიბლულნი, როცა გვიან საღამოს უკვე მერამდენედ ჩამოიარეს წესრიგის მეთვალყურე იასაულებმა ნაცნობი ძახილით — მორჩენილიყენენ ვახშმობას და ჩაექროთ სინათლე.

* *

სამ საუკუნეზე მეტი გავიდა აღწერილი ამბების შემდეგ და კანტიკუნტი მოგონებებიღა შემორჩა რუსეთს იმ დროებაზე. კიდევ ბოგინობს ხალხში თქმულებები მრისხანე მეფის სიზვიადეზე, ფუფუნება-განცხრომასა და სიავკაცეზე, კიდევ გაისმის აქა-იქ სიმღერები ბატონიშვილის სასიკვდილოდ გაწირვაზე, მარბიელი თათრებისგან მოსკოვის არაერთგზის დალაშქვრაზე და ციმბირის დაპყრობაზე ერმაკ ტიმოფეევიჩის მიერ, რომლის გამოსახულებებსაც, ალბათ მსგავსების უქონელთ, ახლაც ნახავს კაცი თითქმის ყველა ციმბირელის ქოხში; მაგრამ ამ თქმულებებში, სიმღერებსა და გადმოცემებში — სიმართლე და მონაგონი ერთმანეთშია არეული და ისინი ბუნდოვანების რიდეში ჰხვევენ ნამდვილ მოვლენებს, თითქოს ბურუსიდან გამოაკრთობენ მათ და სარბიელს უქმნიან ჩვენს წარმოსახვას ნებისმიერად აღადგინოს ეს ბუნდოვანი სახეები.

იმ მეფობის გარეგნულ მხარეზე უფრო დანამდვილებით ლაპარაკობენ თითო-ოროლა შემორჩენილი ნაგებობები, როგორიცაა ვასილი ნეტარის ტაძარი, რომლის ფერადოვანი გუმბათებითა და სახოვანი კოშკურებით შეგვიძლია წარმოვისახოთ ალექსანდრეს სლობოდაში იოანეს სასახლის უცნაური ხუროთმოძღვრება, ან თუნდაც ტრიფონ ნაპრუდნის ეკლესია, ბუტირისა და ჯვრის სადარაჯოებს შუა, რომელიც ბაზიერმა ტრიფონმა ააგო აღთქმისამებრ და რომელშიც ახლაც ჩანს თეთრ ცხენზე გამოსახული წმინდანი საფუხარზე შემოსმული სონღულით[1].

ალექსანდრეს სლობოდა, იქიდან მეფე ივან ვასილევიჩის წასვლის შემდეგ, ყველასგან მივიწყებული იდგა, როგორც მისი ავკაცური ღვთისმოსავობის პირქუში ძეგლი, და მხოლოდ ერთხელ გამოცოცხლდა, ისიც სულ მცირე ხნით. თვითმარქვია მეფეების შფოთიან წლებში ახალგაზრდა მხედართუფროსმა თავადმა მიხაილ ვასილევიჩ სკოპინ-შუისკიმ, რომელსაც შვედი გენერალი დელაგარდი ჰყავდა მოკავშირედ, მის მტკიცე კედლებში გაამაგრა თავისი სამხედრო ძალები და იქიდან აიძულა პოლონელი ვოევოდა საპეგა ხელი აეღო სამების ლავრის ხანგრძლივ გარემოცვაზე.

შემდგომში, გვიამბობს გადმოცემა, ერთ მკაცრ ზამთარში, იანვრის თვეში, ალექსანდრეს სლობოდას, მოსახლეთა თავზარდასაცემად, შავი ღრუბელი წამოადგა, ზედ სასაბლეზე ჩამოწვა და საშინელ მეხად დაატყდა თავზე, რისგანაც ცეცხლის ენებად აბრიალდა კოშკურები და ფერფლად იქცა მთელი სლობოდა. კვალიც აღარ დარჩენილა ფუფუნების, გარყვნილების, მკვლელობებისა და მკრეხელურ ღვთისმსახურებათა ამ საბუდარისგან...

დაე, ღვთის შეწევნით, ჩვენც ამოგვეშალოს ჩვენი გულიდან უკანასკნელი კვალი იმ საშინელი დროისა, რომლის გავლენა, როგორც მემკვიდრეობითი სნეულება, კიდევ დიდხანს მოჰყვებოდა ჩვენს ცხოვრებას თაობიდან თაობაში! მივუტევოთ მეფე იოანეს ცოდო-ბრალიან აჩრდილს, რადგან მხოლოდ თვითონ არ არის თავისი მეფობისთვის პასუხის მტვირთველი; მხოლოდ მას ერთს არ შეუქმნია თავისი თვითნებობა და საწამებლები, სიკვდილით დასჯა და მაბეზღარობა, მოვალეობად და

---

[1] მას აქვთ, რაც ეს დაიწერა, ტრიფონ ნაპრუდნის ეკლესია ისე ვადაკეთეს, ვეღარც იცნობთ. ვარედან ეკვდერები მოაშენეს, შიგნით კი ხელაბლა მოხატეს და შელესეს თანადროულ კომოენებაზე. ეს ყოველივე, როგორც მედავითნეები განმარტავენ, კ ე თ ი ლ ი ს მ ყ ო ფ ე ლ ქ ვ ე ლ ი ს მ ო ქ მ ე დ თ ა შეწირულობების ნაყოფია. (ავტორის შენიშვნა).

ჩვევად რომ დამკვიდრდა. ეს აღმაშფოთებელი მოვლენები უწინარესი დროებისგან იყო შემზადებული და ქვეყანამ, რომელიც იმდენად გაირყვნა, რომ შეეძლო აღუშფოთებლად ეცქირა მათთვის, თვითონვე წარმოშვა და სრულჰყო იოანე, მსგავსად იმისა, როგორც დაცემის ხანის მონურად სულდამცრობილი რომაელები ქმნიდნენ ტიბერიუსებს, ნერონებსა და კალიგულებს.

ჩვენი რუსული ღამის უნუგეშო ცაზე არცთუ იშვიათად ჩნდებოდნენ ხოლმე, მოკაშკაშე ვარსკვლავებივით, ვასილი ნეტარის, თავად რეპნინის, მოროზოვის თუ სერებრიანის მსგავსი ადამიანები, მაგრამ, ისევე როგორც თვით ვარსკვლავები, ისინი უღონო იყვნენ გაეფანტათ მისი წყვდიადი, რადგან ცალ-ცალკე კაშკაშებდნენ და არც ერთსულოვნება, არც საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა არ გააჩნდათ. მაშ, მივუტევოთ ივან ვასილევიჩის ცოდო-ბრალიან აჩრდილს, მაგრამ კეთილად მოვიხსენიოთ ისინი, რომლებმაც, მიუხედავად მის მბრძანებლობაში ყოფნისა, მაინც არ მიატოვეს სიკეთის გზა, რადგან ძნელია არ გადაგვარდეს კაცი ისეთ უკუღმართ დროში, როცა ყველა მცნება შებილწულია, როცა სიმდაბლეს სათნოებად ნათლავენ, მუხანათობა კანონ-წესად მკვიდრდება, ხოლო თვითონ პატიოსნებას და ადამიანურ ღირსებას მოვალეობის დანაშაულებრივ დარღვევად მიიჩნევენ! მშვიდად განისვენეთ, ღირსნო მამულიშვილნო! წუთისოფლის ჭაპანს რომ სწევდით, თქვენ ხარკს უხდიდით თქვენს საუკუნეს, ღვთის რისხვის მოვლინებად მიიჩნევდით მრისხანე მეფეს და მოთმინებით იტანდით მას; მაგრამ თქვენ სწორი გზით მიდიოდით და არც შერისხვის, არც სიკვდილის არ გეშინოდათ; და თქვენს ცხოვრებას ამაოდ არ ჩაუვლია, რადგან ამ ქვეყნად არაფერი არ იკარგება, თითოეული საქმე, თითოეული სიტყვა, თითოეული აზრი ხესავით აღმოცენდება და იზრდება; და მრავალ კეთილს და ბოროტს, რაც გამოუცნობ მოვლენასავით არსებობს ახლაც რუსეთის სინამდვილეში, გარდასულის ღრმა და ბნელ წიაღში აქვს ჩამალული თავისი ფესვები.

1840-იანი წლების დასასრული — 1861.

ა. კ. ტოლსტოი

ალექსი კონსტანტინეს ძე ტოლსტოის მრავალმხრივ და უაღრესად ორიგინალურ შემოქმედებას საპატიო ადგილი უკავია რუსული კლასიკური ლიტერატურის ისტორიაში. თავის დროზე ა. კ. ტოლსტოი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი იყო თავის სამშობლოში და არც დღეს არის დავიწყებული. მისი საუკეთესო ნაწარმოებები ახლაც ცოცხლობენ და აღელვებენ მკითხველს. საკმარისია ითქვას, რომ ა. ტოლსტოის ნაწერებით გატაცებული იყვნენ ახალგაზრდობაში ვალერი ბრიუსოვი და ალექსანდრე ბლოკი, ხოლო ვლადიმერ მაიაკოვსკის, როგორც ჩუკოვსკი ამბობს, „ზეპირად ახსოვდა მისი ყოველი სტრიქონი“ და უყვარდა მისი დეკლამირება.

ა. ტოლსტოი არის თვალსაჩინო ლირიკოსი, ავტორი ბევრი მღელვარე პოეტური ნაწარმოებისა, რომლებიც დღესაც სიამოვნებით იკითხება. მისი ლირიკის ნახევარზე მეტი სასიმღერო მელოდიებად აქციეს გამოჩენილმა რუსმა კომპოზიტორებმა, ისეთებმა, როგორიც იყვნენ რიმსკი-კორსაკოვი, მუსორგსკი, ბალაკირევი, რუბინშტეინი, ტანეევი, რახმანინოვი და სხვები. „ტოლსტოი სასიმღერო ტექსტების უშრეტი წყაროა. ის ერთი იმ პოეტთაგანია, რომელთადმიც ყველაზე დიდ სიმპათიას ვგრძნობ,“ — წერდა მასზე ა. ჩაიკოვსკი; დიდი წვლილი შეიტანა ა. ტოლსტოიმ რუსული ეპიკური პოეზიის განვითარებაში. მისი ბალადები და ბილინები („ვასილი შიბანოვი“, „ვეველეშაპი ტუგარინი“, „თავადი მიხაილო რეპნინი“, „სადკო“ და სხვ.) XIX საუკუნის რუსული პოეზიის საგულისხმო მოვლენაა; ფართოდაა ცნობილი ა. ტოლსტოის დრამატული ტრილოგია — „ივანე მრისხანის სიკვდილი“, „მეფე ფიოდორ იოანოვიჩი“ და „მეფე ბორისი“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამათგან „მეფე ფიოდორ იოანოვიჩი,“ რომელსაც ვ. გ. კოროლენკომ რუსული დრამატურგიის ობოლი მარგალიტი უწოდა. ეს პიესა დიდხანს იდგმებოდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე და ერთ-ერთ უშესანიშნაველ მოვლენად იქცა მის ისტორიაში; ყოველივე ამასთან ერთად, ა. ტოლსტოი თავის ბიძაშვილებთან — ა. მ. და ვ. მ. ჟემჩუჟნიკოველებთან — ერთად არის ავტორი ფართოდ გახმაურებული პაროდიებისა, რომლებიც კოზმა პრუტკოვის ციკლის სახელითაა ცნობილი.

ჩვენში, საქართველოში, ალექსი კონსტანტინეს ძე ტოლსტოის სახელი ჯერ კიდევ ამ ათიოდე წლის წინათ თითქმის უცნობი იყო მკითხველებისთვის. მაგრამ ახლა უკვე მისი რამდენიმე ნაწარმოებია ქართულად თარგმნილი. 1969 წელს პირველად გამოიცა ქართულ ენაზე წინამდებარე რომანი — „თავადი სერებრიანი“. 1974 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში წარმატებით დაიდგა მწერლის ცნობილი პიესა „ივანე მრისხანის სიკვდილი“. სულ ახლახან კი ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა მშობლიურ ენაზე გაეცნო მწერლის პოეტური შემოქმედების ზოგიერთი ნიმუში (ბალადები და ლირიკული ლექსები „ეოვეოდ სტა-

რიცკი", „თავადი მახაილო რეპნინი", „ილია მურომეცი", „მაჭანკლობა", „ჰოი, ლურჯო მაჩიტებო" და სხვ.), რომლებიც შესანიშნავად თარგმნა პოეტმა მურმან ლებანიძემ[1].

ა. კ. ტოლსტოი დაიბადა 1817 წელს, 24 აგვისტოს, პეტერბურგში. მისი ბაბუა დედის მხრიდან იყო უბრწყინვალესი დიდებული, ეკატერინე მეორის სენატორი და ალექსანდრე პირველის სახალხო განათლების მინისტრი — გრაფი ა. კ. რაზუმოვსკი. ხოლო უკრაინის უკანასკნელი გეტმანი კირილე რაზუმოვსკი მომავალი პოეტის დიდი პაპა იყო.

მამას არავითარი ამაგი არ მიუძღვის მომავალი პოეტის წინაშე: ბავშვის დაბადების შემდეგ მშობლები მალე გასცილდნენ ერთმანეთს და დედამ თავისი პირმშო ჩერნიგოვის გუბერნიაში, სოფ. კრასნი როგში წაიყვანა. აქ, სამხრეთ უკრაინაში, დედის მაწყალში გაატარა მან ბავშვობა.

როცა ათი წლისა შეიქნა, დედამ და ბიძამ — იმ დროს საკმაოდ ცნობილმა პროზაიკოსმა ა. პეროვსკიმ — ბიჭი საზღვარგარეთ წაიყვანეს. ამ მოგზაურობის დროს მათ ვაიმარში გოეთე ინახულეს. რამდენიმე წლის შემდეგ ბავშვს იტალიაც მოატარეს.

1834 წელს ტოლსტოი „სტუდენტად" მიიყვანეს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის არქივში. „არქივის ყმაწვილებს", რომლებიც არისტოკრატიული ოჯახებიდან იყვნენ, ძველი დოკუმენტების გარჩევა და აღწერა ევალებოდათ. 1837 წლის დასაწყისიდან ტოლსტოი რუსეთის მისიაში მსახურობდა მაინის ფრანკფურტში, ხოლო 1840 წელს საიმპერიო კანცელარიის მეორე განყოფილებაში გადაიყვანეს. 1843 წელს მან მეუის კარის კამერ-იუნკერის წოდება მიიღო.

ლამაზი, ზრდილი, უცხო ენების მშვენივრად მცოდნე და ნაკითხი ახალგაზრდა, რომელიც ამასთან ისე ღონიერიც იყო, რომ წნელივით გრეხდა ცეცხლის საჩხრეკელს, სამსახურის შემდეგ მხიარულად ატარებდა დროს მაღალ საზოგადოებაში, რომლის ცხოვრებაც ძალიან იზიდავდა ახალგაზრდობაში. მაგრამ ამავე დროს იგი ლიტერატურასაც არ ივიწყებდა და სერიოზულად ემზადებოდა სამწერლო მოღვაწეობისთვის. ლიტერატურისადმი ინტერესი მას ჯერ კიდევ ბავშვობაში გაეღვიძა. „უკვე ექვსი წლიდან, — წერდა ა. ტოლსტოი ერთ-ერთ მეგობარს, — დავიწყე ქაღალდის ჯღაბნა და ლექსების წერა — ისე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჩვენი საუკეთესო პოეტების ზოგიერთმა ნაწარმოებმა... ვტკბებოდი ნაირგვარი რიტმების მუსიკით და ვცდილობდი ამეთვისებინა მათი ტექნიკა". ყმაწვილის მთავარი გზის გამკვლევი და დამრიგებელი იყო ბიძამისი, რომელიც დაუზარებლად ზრუნავდა დისშვილის ესთეტიკური გემოვნების განვითარებისთვის და მის პირველ ლექსებს თავის მეგობრებს უკითხავდა.

1841 წლის მაისში ა. ტოლსტოი პირველად გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე, როცა ცალკე წიგნად გამოსცა ფანტასტიკური მოთხრობა „ვამპირი", რომელიც საკმაოდ კარგად შეაფასა ბ. ბელინსკიმ. ამის შემდეგ, ორმოციანი წლების მანძილზე, მას ბევრი ალარაფერი დაუბეჭდავს, მაგრამ უკვე მაშინ ჩაიფიქრა ისტორიული რომანი „თავადი სერებრიანი", ამ წლებშივე შექმნა ბევრი შესანიშნავი ლირიკული ლექსი და ბალადა, რომლებსაც მხოლოდ თავის მეგობრებსა და ნაცნობებს უკითხავდა, ბეჭდურად კი გაცილებით გვიან გამოაქვეყნა.

1850 წელს ტოლსტოი მიავლინეს სენატორ დავიდოვთან, რომელსაც კალუგის გუ-

---

[1] იხ. კრებული „რუსი მგოსნები", გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1975.

ბერნიის რევიზია ჰქონდა დავალებული. პოეტმა ნახევარი წელი გაატარა კალუგაში და აქ გაეცნო გოგოლს, რომელიც გუბერნატორის მეუღლის დიდი მეგობარი იყო.

ორმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში გამოჩნდა ლიტერატურულ სარბიელზე კოზმა პრუტკოვის სახელი. ეს უბრალო ფსევდონიმი კი არ იყო, არამედ ტოლსტოისა და მისი ბიძაშვილების — ალექსი და ელადიმერ ჟემჩუჟნიკოვების მიერ შექმნილი სატირული ნიღაბი ნიკოლოზ პირველის ეპოქის ბრიყვი და თავშეყვარებული ბიუროკრატისა. კოზმა პრუტკოვის სახელით ისინი წერდნენ ლექსებს, პატარა პიესებს, აფორიზმებსა და ანეკდოტებს, რომლებშიც გარემომცველი სინამდვილისა და ლიტერატურის მახინჯ მოვლენებს დასცინოდნენ და ამით ნიკოლოზ პირველის რეაქციისადმი თავისებურ ოპოზიციურ განწყობილებებს გამოხატავდნენ. ასე, 1851 წლის იანვარში დაიდგა ტოლსტოისა და ალექსი ჟემჩუჟნიკოვის კომედია „ფანტაზია“, პრუტკოვის ციკლის ერთ-ერთი ნაწარმოები, რუსულ სცენაზე გაბატონებული უშინაარსო ვოდევილების წინააღმდეგ მიმართული პაროდია. ნიკოლოზ პირველი, რომელიც ესწრებოდა სპექტაკლს, დიდად გაანაწყენა კომედიამ და აკრძალა მისი სცენაზე წარმოდგენა.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ა. ტოლსტოი დაუახლოვდა ტურგენევს, ხოლო როცა ეს უკანასკნელი გოგოლის გარდაცვალების გამო დაწერილი ნეკროლოგის გამოქვეყნებისთვის დააპატიმრეს და პოლიციის მეთვალყურეობით გაასახლეს მშობლიურ სოფელში, ენერგიულად დაეხმარა მას გადასახლებიდან განთავისუფლებაში. ამავე ხანებში ვაეცნო ტოლსტოი ნეკრასოვსა და ჟურნალ „სოვრემენიკის“ წრეს. 1854 წელს, დიდი ხნის შესვენების მერე, მისი გვარი კვლავ გამოჩნდა ჟურნალების ფურცლებზე. „სოვრემენიკში“ დაიბეჭდა მისი ზოგიერთი ლექსი და პრუტკოვის ციკლის რამდენიმე ნაწარმოები.

ყირიმის ომის დროს ტოლსტოიმ ჯერ პარტიზანული რაზმის შექმნა დააპირა, მერე კი მსროლელთა პოლკში ჩაირიცხა ოფიცრად, მაგრამ ტიფი შეეყარა და ომში მონაწილეობა არ მიუღია. ომის დამთავრების შემდეგ, ალექსანდრე მეორის კორონაციის დღეს, ტოლსტოი ფლიგელ-ადიუტანტად იქნა დანიშნული.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარი ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია ტოლსტოის პოეტურ შემოქმედებაში. ამ წლებშია დაწერილი მისი ლირიკული ლექსების დაახლოებით მესამედი. პოეტი ყველა სქელ ჟურნალში ბეჭდავდა მათ.

1857 წლიდან ა. ტოლსტოი თანდათან ჩამოშორდა „სოვრემენიკის“ რედაქციას, რომელშიც ამ დროისთვის ჩერნიშევსკი იკავებდა ხელმძღვანელ როლს. „ჩვენ სხვადასხვა გზა გვაქვსო“, — წერდა იგი ცოლს. სამაგიეროდ, ამ პერიოდში ის სლავიანოფილებს დაუახლოვდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ დარწმუნდა, რომ არც მათთან ჰქონდა „ერთი გზა“. იგი ჩამოშორდა სლავიანოფილებსაც და შემდგომში ხშირად დასცინოდა მათს უსერხემლო თეორიებს. „ხომიაკოვის სლავიანოფილობისგან გულის რევა მემართება, როცა ის დასაელეთზე მაღლა გვაყენებს ჩვენი მართლმადიდებლობის მიზეზით“, — წერდა ტოლსტოი.

როგორც ფლიგელ-ადიუტანტს, ტოლსტოის ხშირად უხდებოდა მეფის კარზე ყოფნა. მაგრამ იგი სულ უფრო და უფრო ვეღარ იტანდა ჩინოვნიკის როლს. 1856 წელს დაწერილ ერთ-ერთ სახუმარო ლექსში მან ასე გამოხატა თავისი განწყობილება:

Исполнен вечным идеалом,
Я не служить рожден, а петь!
Не дай, мне, Феб, быть генералом,
Не дай безвинно поглупеть!

ჯერ კიღეე ფლიგელ-ადიუტანტად დანიშვნისას სცადა ტოლსტოიმ ამ თანამდებობაზე უარის თქმა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მხოლოდ 1856 წელს შეძლო მან უვადო შვებულების მიღება, ხოლო 1861 წელს კი — სამსახურიდან გადადგომა.

გადადგომის შემდეგ მწერალი სოფელში გადასახლდა. ის ცხოვრობდა პეტერბურგის მახლობლად თავის მამულში, მერე კი უფრო ხშირად დედაქალაქიდან შორეულ კრასნი როგში, სადაც ბავშვობის წლები გაატარა და აღიზარდა. პეტერბურგში ის მხოლოდ დროდადრო ჩადიოდა.

სასახლეში ყოფნისას ტოლსტოი მუდამ იმას ცდილობდა, რომ უშიშრად ეთქვა სიმართლე მეფისთვის და არა ერთხელ დაიცვა რეპრესიებისა და დევნისაგან მწერლები. იგი ენერგიულად ზრუნავდა გადასახლებაში მყოფი ტარას შევჩენკოს განთავისუფლებისთვის, დეხმარა ტურგენევს, რომელსაც დასჯას უპირებდნენ ემიგრაციაში მყოფ გერცენსა და ოგარიოვთან ურთიერთობისთვის, ხოლო 1864 წელს ჩერნიშევსკის ბედის შემსუბუქებაც სცადა. ალექსანდრე მეორეს, როცა მან ჰკითხა, რა კეთდება ლიტერატურაშიო, ტოლსტოიმ დაურიდებლად უთხრა — „რუსულმა ლიტერატურამ შავები ჩაიცვა ჩერნიშევსკის უსამართლოდ დასჯის გამოო“.

ტოლსტოი გულისხმიერი, კეთილშობილი და პირდაპირი ადამიანი იყო. იგი არასდროს არ მოქმედებდა ქვეყნ გრძნობებით, დამოუკიდებელი ხასიათითა და საქციელით გამოირჩეოდა და ორგანულად ვერ იტანდა პირფერებს, მაამებლებსა და კარიერისტებს. ტოლსტოის ვერაკინ აიძულებდა ისეთ საქციელს, რაც მის რწმენასა და შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდა.

სამოცდაანი წლების დასაწყისში მან დაბეჭდა დრამატული პოემა „დონ ჟუანი“ და რომანი „თავადი სერებრიანი“, მერე კი დაწერა თავისი ცნობილი ტრილოგია, რომელმაც უბრწყინვალესი ადგილი დაიკავა რუსული დრამატურგიისა და რუსული სცენის ისტორიაში.

სამოციანი წლების შუა ხანებში მისი ჯანმრთელობა შეირყა. მწერალს საშინლად აწუხებდა ასტმა, გულის ხუთვა, ნევრალგია, თავის ტკივილი. იგი ყოველწლიურად დადიოდა სამკურნალოდ საზღვარგარეთ, მაგრამ არაფერი შველოდა. 1875 წლის 28 სექტემბერს ა. ტოლსტოი გარდაიცვალა.

ა. ტოლსტოი არ თანაუგრძნობდა სამოციანი წლების რევოლუციურ იდეებს, სამოციანელთა პოლიტიკურ იდეოლოგიას, მათს შეხედულებებს ლიტერატურასა და მის საზოგადოებრივ ფუნქციებზე, მაგრამ არც მოწინააღმდეგე რეაქციულ ბანკთან ჰქონია მას რამე საერთო. პირიქით, ის ორგანულად ვერ იტანდა მისი თანამედროვე მმართველი წრეების ბიუროკრატიზმსა და სახელმწიფო იდეოლოგიას და სასტიკად დასცინოდა მინისტრებსა და უმაღლესი ბიუროკრატიის სხვა წარმომადგენლებს, აღშფოთებით ლაპარაკობდა მეფის ჟანდარმერიის საქმიანობასა და ცენზურის თვითნებობაზე, თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულ პოლიტიკასა და მისი ქომაგების ზოოლოგიურ ნაციონალიზმზე.

თანამედროვეთა დამოკიდებულება მწერლისადმი ერთნაირი არ იყო. „იმ დროს, როცა ჟურნალები რეტროგრადის სახელით მკიცხავენ, — სინანულით წერდა ის 1874 წელს, — ხელისუფლება რევოლუციონერად მიმიჩნევს...“ რა თქმა უნდა, ტოლსტოი არც ერთი იყო და არც მეორე. მას არ გაუკეთებია მკაფიო არჩევანი ორ მებრძოლ ბანკს შორის, რთული და წინააღმდეგობრივი საზოგადოებრივი პოზიცია ეკავა და, როგორც სამართლიანად მოუთითებენ, ფაქტიურად თვითმპყრობელური დესპოტიზმისადმი არის-

ტოკრატიულ ოპოზიციაზე შორს არ წასულა, თუმცა ეს ოპოზიცია საკმაოდ მწვავე იყო, იმდენად მწვავე, რომ პოლიციური სახელმწიფოს, ბიუროკრატიის თვითნებობის, ძალადობისა და ყოველივე იმის მხილება, რაც ადამიანის ღირსებას თელავდა და შეურაცხყოფდა, მისი მთელი შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა. ეს თემა ჟღერს მის შესანიშნავ ბალადებში; ეს თემაა მავისტრალური მის ცნობილ ღრამატულ ტრილოგიაში და, ბოლოს, რომან „თავად სერებრიანიშიც“.

ტოლსტოი ხშირად მიმართავდა ისტორიას, მასში პოულობდა თემებს თავისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებისთვის. ისტორიულ წარსულში ეძებდა თავისი შეხედულებების დადასტურებასა და დასაბუთებას. ხოლო რადგან მწერალი ღრმად გულწრფელი, შემოქმედებითად პატიოსანი, მხურვალედ დინტერესებული, აღტაცებული ან აღშფოთებული იყო იმით, რაზედაც წერდა, ბუნებრივია, მის ნაწარმოებებში, მიუხედავად იმისა, რომ ა. ტოლსტოი საერთოდ „წმინდა ხელოვნების“ პოზიციებზე იდგა, მკაფიოდ იგრძნობოდა თანამედროეობის მწვავე პრობლემები, ცხადი მოქალაქეობრივი ტენდენცია. სწორედ ამ ტენდენციით არის, უწინარეს ყოველისა, საინტერესო და ღირსშესანიშნავი მისი „თავადი სერებრიანი“.

რომანში ტოლსტოი ივანე მრისხანეს ხატავს, როგორც ბოროტი საწყისის სიმბოლოს რუსეთის ისტორიაში, ბიუროკრატიული სახელმწიფოს ფუძემდებელს. მის ეპოქასა და თვით მეფის პიროვნებაში მწერალი ხედავს მარცელებს ბევრი ისეთი მოვლენისას, რომლებიც მის თანამედროვე რუსულ სინამდვილეს განაპირობებდნენ. მწერალი გვიზიარებს მღელვარე ფიქრებს ივანე მრისხანის ტირანიის წარმოშობის, მისი პოლიტიკური და ეთიკური შეღეგების შესახებ, ხატავს იმ ეპოქაში გაბატონებული შიშის, უმწეობისა და მონური თვინიერების მძიმე ატმოსფეროს, ცხადად გვაგრძნობინებს რაოდენ შეურაცხყოფს და ამდაბლებს ადამიანის ღირსებას ძალადობა და უსამართლობა. მაგრამ როცა ამ რომანს ეცნობოდა, მკითხველს ისიც ახსენდებოდა, რომ მსგავსი ამბები ნიკოლოზ პირველის თვითმპყრობელური ტერორის მძვინვარების პერიოდშიც ხდებოდა რუსეთში და, ამრიგად, თავისთავად იმსჭვალებოდა ფიქრით, რომ წარსულის მოვლენები XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვისაც აქტუალური იყო.

„თავადი სერებრიანი“ გამოსვლისთანავე ერთხმად აითვალისწუნა ყველა მიმართულების რუსულმა კრიტიკამ. იგი ვერავითარ ღირსებას ვერ ხედავდა მასში და „მკრთალ რომანს“, „საერთოდ არაისტორიულ რომანს“, „ალაგ-ალაგ ოსტატურ, მაგრამ უპირატესად ხელოვნურ თხზულებას“ უწოდებდა ამ ნაწარმოებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომანმა გამოსვლისთანავე მოიპოვა უდიდესი პოპულარობა, განსაკუთრებით მკითხველთა დაბალ ფენებში. ეს ამბავი ძალიან აბრაზებდა კრიტიკას, რომელიც თავდაპირველად „ცუდ გემოვნებას“ აბრალებდა მკითხველთა მასას, უფრო მოგვიანებით კი ღვარძლიანად წერდა (რეაქციული ჟურნალის ფურცლებზე): „შეიძლება გიყვარდეს უბრალო ხალხი, შეიძლება თანაუგრძნო მის მძიმე ხვედრს, მაგრამ არა გვგონია ისიც შეიძლებოდეს, რომ მასში ლიტერატურული მსაჯული დაინახო“. ამ უნებლიე აღვარებიდან საკმაოდ ცხადია, რომ ტოლსტოის ეს ვითომდა „მკრთალი რომანი“ აშკარად პოლიტიკური ხასიათის ვნებებს აღვიძებდა თვითმპყრობელურ რუსეთში, ეს კი მისი უდავო გამარჯვება იყო. რომანი ბარე სამოცდათჯერ გამოიცა სრულად თუ შემოკლებით, ახალგაზრდობისთვის თუ „სახალხო“ გამოცემების სახით, მრავალჯერ იქნა ინსცენირებული და ოპერის ლიბრეტოდაც გამოიყენეს.

რა თქმა უნდა, სწორი არ იქნება ამ რომანის მნიშვნელობის გაზვიადება, მას უღაუოდ გააჩნია არსებითი ნაკლოვანებები, როგორც მხატვრულ ქმნილებას. კერძოდ, რომანში საკმაოდ იგრძნობა სენტიმენტალური მელოდრამის ნიშნები, თეატრალურ-დეკორაციული სამკაულები, აშკარად სტილიზებულია და მხატვრულად დაუსრულებელი ნიკიტა სერებრიანინი, ელენა მოროზოვას და ზოგიერთი სხვა პერსონაჟის სახეები და ა. შ. მაგრამ რომანი მაინც იზიდავს მკითხველს და ამის მიზეზია არა იმდენად მისი ოსტატური კომპოზიცია და დიდად საინტერესო ფაბულა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისი კეთილშობილური ტენდენცია და მწერლის ღრმა მოქალაქეობრივი გულწრფელობა, მისი ჰუმანიზმი. მკითხველი გულით იზიარებს იმ განაჩენს, რომლითაც ეს წიგნი სამარცხვინო ბოძზე აკრავს ბოროტებასა და მტარვალობას, მონურ ქედმოხრასა და პირმოთნეობას, ბოროტებისადმი გულგრილობას, ყოველივეს, რაც სულიერად ამახინჯებს და აშორიშორებს ადამიანებს.

ᲗᲝᲗᲐ ᲡᲣᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ

შენიშვნები

რომანი „თავადი სერებრიანი“ პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „რუსკი ვესტნიკში“ 1862 წელს.

რომანის წერა ა. კ. ტოლსტოიმ ჯერ კიდევ 1840-იანი წლების დასასრულს დაიწყო, მაგრამ მალე მიანება თავი ამ სიუჟეტის დამუშავებას და მხოლოდ 1850-იანი წლების დასასრულს მიუბრუნდა მას. 1856 წლის ბოლოს „თავადი სერებრიანი“ დაწერილი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებდა ავტორს. რომანი საბოლოოდ დასრულდა მხოლოდ 1862 წლის გაზაფხულზე, ხოლო 1862 წლის ივლისში ავტორმა ხელნაწერი დასაბეჭდად გადასცა ჟურნალ „რუსკი ვესტნიკს“ იმ პირობით, რომ მასში „არც ერთი სიტყვა არ შეეცვალა ან არ ამოეშალა ცენზურას“.

ისტორიული წყაროებიდან, რომლებითაც სარგებლობდა ტოლსტოი რომანზე მუშაობისას, ძირითადი იყო ცნობილი რუსი ისტორიკოსის ნ. მ. კარამზინის ფუნდამენტური თორმეტტომიანი შრომა — „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“, რომელსაც ემყარება როგორც პუშკინის „ბორის გოდუნოვი“, ასევე გასული საუკუნის 30 — 50-იანი წლების რუსული ისტორიული ბელეტრისტიკის ნაწარმოებთა უმრავლესობა.

კარამზინის ნაშრომიდან აიღო ტოლსტოიმ არა მარტო მთელი ფაქტიური ჩონჩხი, არამედ, აგრეთვე, ბევრი ცალკეული ეპიზოდიც (ალექსანდრეს სლობოდაში მეფის გამგზავრებისა და ოპრიჩნინის დაწესების ამბავი, ალექსანდრეს სლობოდისა და მეფის სასახლეში გამართული ნადიმის აღწერა, დათვთან ჭიდილის სცენა, სიკვდილით დასჯის სურათი, ციმბირის დაპყრობის ამბავი და ა. შ.). რიგ შემთხვევაში რომანის ქსოვილში ჩართულია მხოლოდ ოდნავ შეცვლილი ტექსტი კარამზინისა.

გაცილებით მეტია იმ წყაროების რიცხვი, რომელთაგანაც ამოკრიბა მან ყოფითი, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური დეტალები და ფოლკლორული მასალა, რომლებიც უხვადაა გამოყენებული რომანში. ეფიქრობთ, ქართველი მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება იმის ცოდნა, თუ რა წყაროები იყო ეს, თუნდაც იმისთვის, რომ გაითვალისწინოს, რა მდიდარი მასალა იყო მწერლის განკარგულებაში, როცა ისტორიული თემის დამუშავებას პკიდებდა ხელს. ასე, ზოგიერთი ადათ-ჩვეა, ზღაპარი, სიმღერა, შელოცვა და ა. შ. აღებულია ი. პ. სახაროვის კრებულებიდან: „რუსი ხალხის თქმულებები“, „რუსი ხალხის სიმღერები“ და „რუსული ხალხური ზღაპრები“; რომანის ზოგიერთი ეპიზოდის მასალა ამოკრეფილია ა. ე. ტერეშჩენკოს ნაშრომიდან „რუსი ხალხის ყოფა“; დანარჩენ წყაროებს თვითონ ტოლსტოი ჩამოთვლის მოგეიანებით „ტრაგედია „ივანე მრისხანის სიკვდილის“ სცენაზე დადგმის

პროექტში“, რომელშიც მითითებულია: ფ. გ. სოლნცევის „რუსეთის სახელმწიფოს სიძველენი“, „რუსეთის ჯარების ტანსაცმლისა და შეიარაღების ისტორიული აღწერა, შედგენილი... ა. ვ. ვისკოვატოვის მიერ“, ი. ე. ზაბელინის მონოგრაფია „რუსეთის მეფეების ოჯახური ყოფა“ და ნ. ი. კოსტომაროვის „ველიკორუსი ხალხის ოჯახური ცხოვრება და ჩვეულები XVI—XVII საუკუნეებში“.

ბუნებრივია, რომ შუა საუკუნეების რუსეთის ზნეობრივ-რელიგიური წარმოდგენების აღწერისას ტოლსტოი მიმართავს სახარებასა და ბიბლიას. კერძოდ, ციტატებს მათგან ხშირად იყენებენ საუბარში ივანე მრისხანე და „თავად სერებრიანის“ სხვა პერსონაჟები.

რომანში ისტორიულ პერსონაჟებთან ერთად მოქმედებენ გამოგონილნიც; გამოგონილ პერსონაჟებსა და სიტუაციებს ემყარება სიუჟეტის მთელი სასიყვარულო ხაზი. ამ გამოგონილ პერსონაჟებს, ყოველ შემთხვევაში, უმთავრესებს მაინც, ისტორიული გვარები აქვთ მიცემული (სერებრიანი, მოროზოვი).

ტოლსტოის რომანის საფუძველზე მრავალი ინსცენირება დაიწერა. ამ ინსცენირებებიდან ზოგიერთი სულაც აკრძალეს, ხოლო ზოგი ნებადართულ იქნა მხოლოდ საიმპერატორო, და არა პროვინციული ან სახალხო თეატრებისთვის; ბევრი ნებადართული იყო შემოკლებებით; მაგრამ ნებადართულ ინსცენირებებიდანაც კი ყველა არ დადგმულა სცენაზე.

1888 წ. ვარშავის საცენზურო კომიტეტმა აკრძალა პოლონეთის მოსახლეობაში „თავად სერებრიანის“ პოლონური თარგმანის გავრცელება.

გვ. 5. ...ვიაზემსკისა და ორიეე ბასმანოვის სიკვდილით დასჯა... — ვიაზემსკი ათანასე ივანეს ძე, თავადი — ოპრიჩნინის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მეფის მეაბჯრეთუხუცესი. ეკუთვნოდა შთამომავლობით ბოიართა უმაღლეს წრეს. 1570 წლის ზაფხულში, „ნოვგოროდის ღალატთან“ დაკავშირებით, შერისხულ იქნა.

ბასმანოვები — მამა და შვილი. ალექსი დანიელის ძე — ბოიარი და ოკოლნიჩი, ყაზანის, ნარვის, პოლოცკის აღების მონაწილე, ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ოპრიჩნიკი; თეოდორე ალექსის ძე — მეფესთან დაახლოებული პირი. ნოვგოროდზე გალაშქრების შემდეგ, 1570 წ., ბასმანოვებს ღალატი დაბრალეს და ზოგი ცნობით — სიკვდილით დასაჯეს, სხვა ცნობებით კი — ბელოზერსკში გადაასახლეს და იქ გარდაიცვალნენ.

...რაც სილვესტრისა და ადაშევის დამხობას მოყვა... — სილვესტრი ღა ადაშევი — ეგრეთ წოდებული „რჩეული რადის“ (ივანე მრისხანესთან დაახლოებულთა წრის) უთვალსაჩინოესი წევრები, რომლებიც ქვეყნის არაოფიციალური მმართველები იყვნენ 1547—1560 წწ. პერიოდში; სილვესტრი — კრემლის ხარების ტაძრის დეკანოზი, ივანე მრისხანის სულიერი მამა, რომელიც უდიდესი გავლენით სარგებლობდა მეფეზე. „რჩეული რადის“ დამხობის შემდეგ, 1560 წ., ბერად აღკვეცეს ბელოზერსკის მონასტერში, მოგვიანებით კი დედოფალ ანასტასიას მოწამლაში დასდეს ბრალი და სოლოვეცის მონასტერში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა კიდევაც; ადაშევი ალექსი თეოდორეს ძე — სახელმწიფო მოღვაწე, ვოევოდა და დიპლომატი; 1560

წლის ზაფხულში შერისხულ იქნა, დაპატიმრეს და მალე გარდაიცვალა ქალაქ ლიეონიის იურიევში.

...ბევრის მეტყველია თვითონ იოანეს დახასიათებისთვის... — იგულისხმება ივანე IV მრისხანე (დაბ. 1530 წ. 25 აგვისტოს — გარდ. 1584 წ. 18 მარტს). — 1533 წლიდან — დიდი მთავარი, ხოლო 1547 წლიდან — „მეფე და დიდი მთავარი სრულიად რუსეთისა" („რუსეთის მეფე" თავდაპირველად ძისმა პაპამ, ივანე III უწოდა თავის თავს, მაგრამ ივანე მრისხანემ ოფიციალურად დაირქვა ეს ტიტული და საზეიმოდ ეკურთხა კიდეც კრემლის მიძინების ტაძარში).

გვ. 7. დასაბამითგან სოფლისა შვიდი ათას სამოცდაცამეტ, ანუ ქრისტეს შობით 1565 წელს... — 1700 წლის 1 იანვრამდე რუსეთში მიღებული იყო წელთაღრიცხვა „დასაბამითგან სოფლისა", რაც, თანასმად ბიბლიური ლეგენდისა, მოსდა 5508 წელს ქრისტეს დაბადებამდე, ე. ი. ახალი ერის დასაწყისამდე.

ბოიარი — მსხვილი მიწათმფლობელი, ფეოდალური საზოგადოების უმაღლესი წრის წარმომადგენელი რუსეთსა და რუმინეთში; მე-15 საუკუნის რუსეთში — აგრეთვე კარისკაცთა უმაღლესი ჩინი, რომელიც ბოიართა დუმაში (საკრებულოში) მონაწილეობის უფლებას იძლეოდა. ბოიარობის წოდება გააუქმა პეტრე პირველმა, რომელმაც 1711 წელს მოსპო „ბოიართა დუმა" და მის ნაცვლად შექმნა სენატი.

...თავადმა ნიკიტა რომანოვიჩ სერებრიანიმ — თუმცა რომანის მთავარი ვმირი გამოგონილი პერსონაჟია, მაინც საინტერესოა ზოგი ცნობა თავად სერებრიანებზე, როგორც XVI საუკუნეში უწოდებდნენ თავად ობოლენსკების გვარის ზოგიერთ წარმომადგენელს. პირველი, ვინც „სერებრიანის" ზედწოდებას ატარებდა, იყო სიმონ დიმიტრის ძე (გარდ. 1535), რომელმაც ორი ვაჟი დატოვა — პეტრე და ვასილი. ისინი მეფის კარზე იზრდებოდნენ და მონაწილეობდნენ ივანე მრისხანის ლაშქრობებში (ყაზანის აღებაში, ლიეონიის ომში, პოლოცკზე ლაშქრობაში 1563 წ.). პეტრე სიმონის ძე სერებრიანი („მამაცი და მდიდარი კაცი", კურბსკის სიტყვებით) 1570 წ. ზაფხულში მოკლეს მეფის ბრძანებით (ერთ-ერთი ცნობით, პ. სერებრიანის სახლს მოსკოვში ალყა შემოარტყა ათას ხუთასმა ოპრიჩნიკმა და მოისარმა და იერიშით აიღო, რის შემდეგაც თავადი ალექსანდრეს სლობოდაში ჩაიყვანეს და იქ თავი მოკვეთეს).

ვასილ სიმონის ძე სერებრიანი 1565 წ. მონაწილეობდა პოლონელებთან საზავო მოლაპარაკებაში; სიგელს, რომელშიც ლაპარაკია ომის განგრძობაზე, მისი ხელმოწერა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ თავად პეტრე და ვასილ სერებრიანების ბიოგრაფიებს ზოგიერთი მსგავსება აქვს რომანის გმირის ბიოგრაფიასთან, რუს ლიტერატურათმცოდნეთა აზრით, მაინც არ შეიძლება მათი მიჩნევა ნიკიტა სერებრიანის ისტორიულ პროტოტიპებად.

ეიგიმონტი — პოლონეთის მეფე და ლიტვის დიდი მთავარი სიგიზმუნდ II ავგუსტუსი (1520 — 1572).

...დიაკი — თანამდებობის პირი, მდივან-მწიგნობარი, რომელსაც ევალებოდა ამა თუ იმ უწყების (ეგრეთ წოდებული „პრიკაზის", ანუ დღევანდელი

სამინისტროს) საქმეთა წარმოება; აგრეთვე, მეფის ბიუროკრატიის ერთ-ერთი უმაღლესი წარმომადგენელი XVI — XVII საუკუნეებში, „პრიკაზის“ ან სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოს ხელმძღვანელი.

...ხეიმი — წოდებრივ-წარმომადგენლობითი დაწესებულება ფეოდალურ პოლონეთში.

გვ. 8. ...ვილნო — ლიტვის დედაქალაქის (ვილნიუსის) ადრინდელი სახელწოდება. იმ პერიოდში ლიტვის დიდი სამთავრო და პოლონეთის სამეფო ვაერთიანებული იყო.

გვ. 9. აგრაფინობა — ქრისტიანული დღესასწაული, წმინდა მოწამე აგრაფინას დღე, რომელიც მოდიოდა ივანე ნათლისმცემლის დღესასწაულის, ე. წ. ივანობის წინდღით, 23 ივნისს (ძვ. სტილით).

გვ. 10. ხონდული — ყველაზე ძვირფასი მონადირე ფრინველი, საშუალო სიდიდისა, შეკარდნისებრთა ოჯახის წარმომადგენელი; იგი არასოდეს არ იტაცებს ნადავლს მიწიდან, არც ჰაერში არ იჭერს მას, არამედ ზემოდან ვარდნით უტევს და ნისკარტით, ბწკალით უმტვრევს ფრთას სახსართან.

...ზვინული — აქ: ქოხის გარე კედლების გაყოლებით შემოყრილი მიწა დასათბობად.

...თაფლუჭი — მათრობელა სასმელი, რომელსაც ამზადებდნენ თაფლის, წყლის, სვიის თესლებისა და სანელებლებისაგან; თუ მას გამოხდიდნენ ქენკროვანებთან ერთად, მაშინ ღებულობდნენ ქენკროვან თაფლუჭებს: ჟოლოსას, ალუბლისას და ა. შ.

...ოპრიჩნინა — ივანე მრისხანის მეფობისას: სახელმწიფოს ნაწილი, სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მდიდარი და მჯიდროდ დასახლებული ტერიტორია, საიდანაც გასახლებულ იქნენ მსხვილი ფეოდალები — ბოიარები, — და რომელიც უშუალოდ მეფის მართებლობაში იმყოფებოდა, მისი დასაყრდენი იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნისათვის ბრძოლაში; ოპრიჩნინა ეწოდებოდა აგრეთვე ამ პერიოდის სპეციალურ მეფის ჯარს.

ოპრიჩნინის წარმოქმნას ჩვეულებრივ უკავშირებენ (და რომანშიც ასეა მოთხრობილი) ივანე მრისხანის მოულოდნელ გამგზავრებას ალექსანდრეს სლობოდაში 1564 წლის 3 დეკემბერს. მართალია, ეს მოჩვენებითი „ტახტიდან გადადგომა“ ნამდვილად შეიძლება ოპრიჩნინის დაწესების ოფიციალურ თარიღად მივიჩნიოთ, მაგრამ მისი ფორმირება დაიწყო უფრო ადრე, როცა მოიხმეს „ყველა ქალაქიდან“ მსახურეული ხალხი, რომლებმაც ოპრიჩნინის ბირთვი წარმოქმნეს და თან გაჰყვნენ მეფეს ალექსანდრეს სლობოდაში.

...ზემშჩინა — ძველ რუსეთში ასე ეწოდებოდა სამოქალაქო მოსახლეობას; ივანე მრისხანის დროს კი — ეს იყო სახელმწიფოს ნაწილი, უმთავრესად განაპირა რაიონები, რომელიც ბოიარების მართებლობაში გამოჰყო მეფემ, ოპრიჩნინისაგან განსხვავებით.

გვ. 11. ...ახეულების... მამასახლისები — გლეხთაგან არჩეული თანამდებობის პირნი, ქეხები, რომლებიც საპოლიციო ზედამხედველთა მოვალეობას ასრულებდნენ და სოფლის სასამართლოს განაგებდნენ; გუბების მამასახლისები — ხისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლენი „გუბის“ — სასამართლო ოკრუგის — მასშტაბით მოსკოვის სახელმწიფოში.

გვ. 18. ბურლაკები — არტელად გაერთიანებული მუშები, რომლებსაც ბაგირით დაჰყავდთ გემები მდინარეებზე დინების საპირისპირო მიმართულებით.

გვ. 20. ჯერხნობით ვანიუშა პერსტენი ვარ — „პერსტენი“ რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის — ივან კოლცოს — შერქმეული გვარია; რუსული „პერსტენ“ ქართულად „თელიან ბეჭედს“ ნიშნავს.

გვ. 21. ყოველ ქუჩაზე ხარიხების შესხნა რომ გაგვაწყალებდა? — მოსკოვში ღამით თავისუფალი მიმოსვლა აკრძალული იყო და ქუჩები გადღობილი იყო ხარიხებით — ჯვარედინად შეკრულ პალოებზე გადებული ძელით.

...თანაც ხწორედ ახლა, ივან კუპალას დღესასწაულის წინაღამით. — კუპალა — ასე უწოდებდნენ რუსეთში იოანე ნათლისმცემელს, რადგან რუსი ხალხის წარმოსახვაში ქრისტიანული ნათლისღება ასოცირებულ იქნა ბანობასთან („კუპანიე“ — აქედან „კუპალა“); რუსული ხალხური ცრურწმენით, ღამე, რომელსაც მოსდევს იოანე ნათლისმცემლის შობის დღე, ე. ი. ივანობა (ძვ. სტილით 24 ივნისი — ახ. სტ. 7 ივლისი), — გრძნეულობებისა და სხვადასხვა უცნაური მოვლენების დროა.

გვ. 23. შურმოლკა ქუდი — ქუდი, რომელიც ხშირად იხსენიება რუსულ ზღაპრებსა და სიმღერებში.

გვ. 24. გრიაზნოები — მრავალშტოვანი, მაგრამ უჩინო აზნაურული გვარი, რომელსაც ეკუთვნოდა რამდენიმე თვალსაჩინო ოპრიჩნიკი.

სკურატოვი — მალიუტა-გრიგოლ ლუკიანეს ძე სკურატოვ-ბელსკი, ოპრიჩნინის ლუმის აზნაური, ივანე მრისხანის ერთ-ერთი უახლოესთაგანი და განსაკუთრებით სანდო პირი, მასობრივი სიკვდილით დასჯის ხელმძღვანელი და მრავალი სასიკვდილო განაჩენის ამსრულებელი. ხალხის მეხსიერებაში, რუსულ ფოლკლორში მალიუტას სახელი დიდხანს დარჩა მტარვალობის სინონიმად.

გვ. 26. ოქროს გრიენები მოჩანს! — აქ: ოქროს სამკაული, ვადასახსნელი შედალიონი, ყელზე ჩამოსაკიდი; იგივე იყო, რაც ახლა ორდენი: მეფე, ჩვეულებრივად, განსაკუთრებული დამსახურებისათვის ოქროს გრიენით ასაჩუქრებდა ხოლმე თავის ამა თუ იმ მსახურს.

გვ. 28. იაუზა და ნეგლინაია — მდინარეები.

კიტაი-გოროდი — მოსკოვის უძველესი გარეთუბანი, ვაჭარ-ხელოსანთა რაიონი, რომელიც კრემლის მახლობლად წამოიზარდა. მე-16 ს-ში კიტაიგოროდმა თანდათანობით დაკარგა მხოლოდ და მხოლოდ ვაჭრულ-ხელოსნური დანიშნულება, ივანე მრისხანის დროს აქ სახელმწიფო დაწესებულებათა შენობებიც აგეს. მისი სახელწოდების წარმოშობის საკითხი ახლაც სადავოა.

...ღვთიისშობლის ტაძარი — ტაძარი მოსკოვში, წითელ მოედანზე, რომელიც აგებულ იქნა 1555 — 1560 წწ.-ში. ახლა ცნობილია ვასილი ნეტარის ტაძრის სახელით.

...ყაზანის აღების აღსანიშნავად — იგულისხმება ქალაქ ყაზანის აღება და ყაზანის სახანოს მიერთება რუსეთთან 1552 წელს.

გვ. 29. ოკოლნიჩი — ერთ-ერთი უმაღლესი ჩინი მეფის კარზე მოსკოვის სახელმწიფოში.

გვ. 32. არა მარტო ვიაზემსკი დაუსვა წინ, არამედ გოდუნოვიც... —

XVII ს-ის ბოლომდე მოსკოვის სახელმწიფოში, თანახმად დამკვიდრებული ჩვეულებისა, სხდომებზე, საზეიმო ცერემონიებზე და ნადიმებზე ადგილს იკავებდნენ გვარის სიძველისა და დიდებულების მკაცრი შესაბამისობით: რაც უფრო ძველი გვარისა იყო ესა თუ ის დიდებული, მით უფრო ახლოს ჯდებოდა მეფესთან.

...ბოროზოვი ბორის ფიოდორიჩის სამსჯავროს გადასცა... — სასჯელის ერთ-ერთი ფორმა ძველად: დამნაშავე ვალდებული იყო დმცირებით ეთხოვა პატიება იმისთვის, ვის ხელშიც გადასცეს, ან არადა დისჯებოდა ისე, როგორც ეს უკანასკნელი მოისურვებდა.

...კისერხმალკიდებული — ქედდადრეკილი, პატიების მთხოვნელი.

...დადიოდა... ფლასით მოსილი — შერისხული ბოიარები თმას იზრდიდნენ და ფლასს — სამგლოვიარო თალხ სამოსელს იცვამდნენ.

გვ. 33. ბალჩუგზე — ქუჩა მოსკოვ-მდინარის ნაპირზე, ეგრეთ წოდებულ „ზამოსკვორეჩიეში“, სადაც ბონდის ხიდი იყო, რომლითაც კიტაი-გოროდისა და კრემლის კედლებთან გადმოდიოდნენ.

გვ. 34. დიდი პოლკიდან — დიდი პოლკი — მთავარი ძალები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი უბნები ეკავათ. ავტორს მხედველობაში აქვს დიდი პოლკი, რომელიც ლიტვაში იდგა, საიდანაც სერებრიანი დაბრუნდა.

გვ. 37. ბელტების მერხი — ბელტებით, ბალახიანი მიწის ნაჭრებით დაფენილი მერხი.

...კოკოშნიკი — ძველებური, უპირატესად ჩრდილორუსული, ქალის თავსაბურველი, ქართული ჩიხტისმაგვარი, — შუბლზე გასაკეთებელი სამკაულებიანი რკალი ან მარაო.

...წმინდანის ხატი... პერანგიანი! — ლითონის (სპილენძის, ვერცხლის ან, იშვიათად, ოქროსი) ჭედური საფარველი, რომელიც მთლიანად აქვს გადაკრული ხატს და მხოლოდ სახისა და ხელის მტევნების ადგილას არის ამოჭრილი.

...„ოჰ, ნეტავი ყინვა ვარდებს არ აზრობდეს...“ — რუსული ხალხური სიმღერა.

გვ. 38. „პანტელეი-ბატონი დადის ეზოში...“ — რუსული ხალხური სიმღერა.

გვ. 40. ამაღლების სწორზე... — აღდგომის შემდეგ რიცხვით მეშვიდე ხუთშაბათს, ე. ი. ამაღლების სწორზე, რუსეთში აღნიშნავდნენ ქრისტიანულ ხალხურ დღესასწაულს გარდაცვლილთა სულების თაყვანსაცემად, ეგრეთ წოდებულ „სემიკს“, როცა ირთვებოდნენ არყის ხის ტოტებით, ფერხულს აბამდნენ, მარჩიელობდნენ და ა. შ.

ივანე კუპალას დღესასწაულზე... ჩადუნებიდან შორს იტყუებენ ადამიანებს... — იგულისხმება რუსული ხალხური ცრურწმენა, რომ ჩადუნა ჰყვავის მხოლოდ ერთხელ, სულ ერთი წამით, ივანობის წინა ღამეს. სასწაულებრივი ყვავილის მოწყვეტა ერთობ ძნელია, მით უფრო, ამას ხელს უშლის მავნე ძალა. სამაგიეროდ, იმას, ვინც მის მოწყვეტას შეძლებს, ყველა სურვილი უსრულდება.

ალების კვირიაკე — სული წმინდის მოფენის წინა დღე.

გვ. 41. ახლა შობის დღეები არ არის! — შობა — რელიგიური დღესასწაულია ქრისტეს დაბადების აღსანიშნავად (25 დეკემბერი ძვ. სტილით), შო-

ბის დღეებში (25 დეკემბრიდან 7 იანვრამდე ძვ. სტილით) აკრძალული იყო ქორწინება და, საერთოდ, სამეიჯნურო ურთიერთობა.

გვ. 43. შორენკეცის საწოლი — შორენკეცი — ჭრელი აგური; რუსეთში, სადაც ზამთარში მაგარი ყინვები იცის, ჩვეულებრივ, ისე აგებდნენ ღუმელს, რომ მისი ერთი ფრთა საწოლად გამოეყენებინათ (გახურებული აგური დიდხანს ინარჩუნებს სითბოს).

გვ. 47. თავადი ობოლენსკი-ოვჩინა — ბოიარი. იგი წაეკიდა ფიოდორ ბასმანოვს და ამ უკანასკნელმა მეფესთან დაბეზღა. ნდიმზე დიმიტრი ოვჩინას შეასვეს თაფლუჭი დიდი თასით, რის შემდეგაც მეფემ სარდაფში ჩაგზავნა, სადაც მეძალლეებმა დახრჩვეს.

ბოიარი მიხაილო რეპნინი — ძველი თავადური გვარის წარმომადგენელი. 1558 წლიდან იყო ლივონიის ვოევოდა. კურბსკის ნამბობით, მეფემ სასახლეში მიიწვია მასკარადზე და ძალით გაუკეთა ნიღაბი, რომელიც რეპნინმა მოიგლიჯა და ფეხებით გათელა. რამდენიმე დღის შემდეგ მეფის ბრძანებით იგი მოკლეს ეკლესიაში.

თხემ-ადგილზე... — შემაღლებული ადგილი, სადაც სიკვდილით სჯიდნენ დამნაშავეებს, ან კიდევ საჯაროდ აცხადებდნენ მეფის ბრძანებებს.

...ეზედავ, დიდი შფოთვა-წრიალია გარეთ. — 1564 წლის 3 დეკემბერს ივანე IV ოჯახითა და აზნაურთა შეიარაღებული რაზმით მოსკოვიდან გაემგზავრა ალექსანდრეს სლობოდაში და გზიდან შემოთვალა, რომ ტახტზე უარს ამბობდა.

გვ. 48. საგანგიოთა მოხელენი — მმართველობის ამა თუ იმ დარგის საგანგებლო დაწესებულებათა, საბრძანებლო უწყებათა ანუ, როგორც დღეს ვეძახით, სამინისტროთა მოხელენი.

ყოველადუსამღვდელოესობა — მოსკოვის მიტროპოლიტი.

დუმა — ბოიართა საკრებულო მოსკოვის რუსეთში.

სლობოდა — ძველ რუსეთში: დიდი სოფელი, რომელშიც თავისუფალი მოსახლეობა ცხოვრობდა; ასევე ეწოდებოდა აგრეთვე, ქალაქის მეზობელ დასახლებას, გარეუბანს.

გვ. 50. ბორის გოდუნოვი (1552 — 1605) — დიდებულთა გვარის წარმომადგენელი, რომელიც ივანე მრისხანის სამეფო კარზე აღიზარდა; ცოლად ჰყავდა მალიუტას ქალიშვილი. შემდეგში — ოპრიჩნინის აქტიური მოღვაწე, თეოდორე ივანეს ძის დროს სახელმწიფოს ფაქტიური გამგებელი; 1598 წ. არჩეულ იქნა მეფედ.

გვ. 51. რიაზანის მიწა-წყალზე ყირიმელთა თავდასხმები... — იგულისხმება ყირიმის ხანის დეველეთ-გირეის ამაოხრებელი თავდასხმები მოსკოვის სახელმწიფოს სამხრეთ მხარეებზე. ეს თავდასხმები, რომელთა მიზანიც იყო რუსეთზე ლიტველთა შემოტევის მხარდაჭერა, იძულებულს ხდიდა მოსკოვს ერთდროულად ორ ფრონტზე ეწარმოებინა ბრძოლა.

ლიტველებთან ომის ამბებს ეკითხებოდა... — ლაპარაკია პოლონეთისა და ლიტვის დიდი სამთავროს წინააღმდეგ საომარ მოქმედებაზე (რაც 1558 — 1583 წწ. ლივონიის ომის ნაწილს შეადგენდა), რომლის მიზანიც იყო რუსეთთან ბალტიისპირეთის შემოერთება და ბალტიის ზღვაზე გასვლა.

მწარედ პკიცხავდა კურბსკის მტერთან გაქცევისათვის. — ანდრეა მიხე-

ილის ძე კურბსკი (1528 — 1583), თავადი, პოლიტიკური მოღვაწე, „რჩეული რადის“ წევრი, კონსერვატიული ბოიარების იდეოლოგი, არისტოკრატული მონარქიის მომხრე. თავი გამოიჩინა როგორც მხედართუფროსმა ყაზანის აღებისას და ლივონიის ომში ბრძოლების დროს; 1560 წლიდან—მთავარსარდალი ლივონიაში. 1564 წ. 30 აპრილს კურბსკი პოლონეთში გაიქცა ლივონიის იურიევიდან და იმავე წელს სარდლობდა პოლონელთა ერთ-ერთ არმიას, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებდა. დაწერა ცნობილი ოთხი მამხილებელი „მიმართვა“ იოანე მეოთხისადმი.

გვ. 53. როგორც ჭრმა იგი მხურვალე საკირედან... — იგულისხმება გაურცელებული ბიბლიური ლეგენდა სამ იუდეელ ბიჭუნაზე, რომლებიც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა წაიყვანა და ქალდეის სკოლებში აღიზარდნენ. კერპების თაყვანისცემაზე უარის თქმისათვის ისინი გახურებულ საკირეში ჩაყარეს, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩნენ.

გვ. 55. ხამების ლავრა — მონასტერი, რომელიც დაახლოებით 1340 წ. იქნა დაარსებული. უკვე XV ს-ში მონასტერი იქცა უმსხვილეს ფეოდალმიწათმფლობელად და უმნიშვნელოვანეს პუნქტად მოსკოვის დაცვის სისტემაში. 1540 — 1550 წწ.-ში მონასტრის ირგვლივ ააგეს ქვითკირის კედელი, რამაც სიმაგრედ აქცია იგი.

კორაბლენიკი — ძველებური ოქროს ან ვერცხლის მონეტა (ინგლისური ან ფრანგული) ხომალდისა და ვარდის გამოსახულებით.

გვ. 56. „სლობოდა“, რომელიც ძველად „თავისუფლებას“ ნიშნავდა — რუსული „სლობოდა“ იგივეა, რაც „სვობოდა“ (თავისუფლება).

...ჩვენი მეისტორიე — ნ. მ. კარამზინი, ცნობილი რუსი ისტორიკოსი.

გვ. 57. კელარი — ბერი, რომელიც განაგებდა სამონასტრო მეურნეობას და მონასტრის საერთო საქმეებს.

პარაკლისიარქი — დაბალი ჩინის ბერ-მონაზონი, მნათე, ეკლესიაში სანთლებისა და კანდელების ამანთებელი ხატების წინ.

გვ. 61. აღაპის წიგნი — წიგნი, რომელშიც აღნიშნულია ეკლესიის ან მონასტრის შემომწირველთა სახელები, აგრეთვე ის, რაც შემოსწირეს, და მოხსენიების წესი; ივანე მრისხანემ ბრძანა აღაპის წიგნებში ჩაეწერათ სიკვდილით დასჯილნი, „ოპრიჩნინის მიერ მოკვდინებულნი“, და მათ მოსახსენებლად მდიდარ შეწირულობებს უგზავნიდა ეკლესია-მონასტრებს. ერთ-ერთ ასეთ წიგნში ჩამოთვლილია 720 გვარი და სახელი. ხშირად არის ასეთი ჩანაწერებიც: „გუშინ უგლიში მოკვდინებული 19 კაცი მართლმადიდებელი ქრისტიანი“; „ნოვგოროდში მოკვდინებული 15 დედაკაცი, ამბობენ, კუდიანები იყვნენო“. ასეთი ჩანაწერები იოანეს აღაპის წიგნებში იმდენად ხშირია, რომ ამგვარი საერთო შენიშვნაც აქვთ ხოლმე დართული: „ხოლო სადაც სწერია 10 ან 20, ან 50, ისინიც მოიხსენიეთ; შენ, უფალო, თვითონ იცი მათი სახელები...“.

აღაპის წიგნებში არის ჩანაწერები, რომ „ნოვგოროდში გაგზავნილმა მალიუტამ მოაკვდინა 1490 კაცი“, 190 ფსკოველი ცოლებითა და შვილებით შეიპყრეს და მოკლეს მოსკოვისაკენ გზად მომავლებმა, 30 კაცი დაწვეს ტორჟოკში, ხოლო „ბუჟეცკის ვერხში მოკლეს 65 კაცი, 12 კაცს ხელი მოაჭრეს...“

შესუფრე — („სტოლნიკ“) — მოსკოვის რუსეთში: ბოიარზე ერთი საუბუ-რით დაბლა მდგომი კარის დიდებული; თავდაპირველად: კარისკაცი, რომე-ლიც მეფის ან მთავრის სუფრას უწევდა მომსახურებას.

გვ. 62. სუზდალი — ერთ-ერთი უძველესი რუსული ქალაქი მოსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დედაქალაქი ფეოდალური რუსეთის ერთ-ერთი უძ-ლიერესი სუზდალის სამთავროსი, რომელიც XV ს-ში საბოლოოდ შეუერთდა მოსკოვის დიდ სამთავროს.

...ორშუქეღ დარბაზში... — სამყოფში, რომელსაც ორ მწკრივად აქვს ფან-ჯრები დატანებული (საპირისპირო კედლებზე ან ერთ-ერთ კედელზე ერთი-მეორის ზემოთ).

გვ. 65. რინდა — მეფის მცველი, საჭურველმტვირთველი.

გვ. 66. ჩუდი — ძველ რუსეთში: ფინური ტომების საერთო სახელწოდება.

გვ. 67. ნიკიტა-სტა — სასახლეში გამართულ ნადიმზე მეფისგან მოკითხულ აზარფეშას ან თასს რომ აწვდიდნენ დიდებულ ბოიარს, მის სახელს წარმოთ-ქვამდნენ „სტა“-ს ან „სუ“-ს დართვით. მაგალითად, თუ მისი სახელი იყო ვასილი — „ვასილი-სტა! დიდი ხელმწიფე თასსა გწყალობს“. ის მიიღებდა მოსაკითხს, დასცლიდა ფეხზე წამომდგარი და თავვანს სცემდა ხელმწიფეს, ხოლო მიმრთმევი მოახსენებდა მეფეს: „ვასილი-სტამ შესვა თასი, თავვანსა გცემს“. თუ ეს ბოიარი უფრო ნაკლები დიდებული იყო, მაშინ უწოდებდნენ „ვასილი-სუ“.

გვ. 68. დოლომანი — გრძელი ზედა სამოსი, ფოლაქებით გაწყობილი და მოსირმული.

გვ. 69. ხოლოვეცის მონასტერი — უმსხვილესი რუსული მონასტერი ჩრდი-ლოეთში. წარმოიშვა 1430-იან წლებში კუნძულ სოლოვეცზე, თეთრ ზღვაში. XVI ს-ის შუა წლებში დიდი ფეოდალური მამულების მფლობელი და მთელი ზღვისპირეთის ეკონომიური და კულტურული ცენტრი გახდა.

გვ. 70. კუნტუში — მამაკაცის ზედა სამოსი, ზოგჯერ ბეწვით გაწყობილი, მოსირმული, ყურთმაჯებიანი.

გვ. 78. რომელთა აღიღინ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ — ფრაზა მა-თეს სახარებიდან.

გვ. 82. ოქროსძეწკვიანი გრივნა უწყალობოს შენმა მეფურმა ხელმა. — **იხ. 26-ე გვერდის შენიშვნა.**

გვ. 83. აბა ესერა მე და ყრმანი ჩემნი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან! — **სიტყვები ბიბლიიდან, ისაია წინასწარმეტყველის წიგნიდან, რომლებსაც მართლა წარმოთქვამდა იოანე მრისხანე.**

ვითარცა რაქელ სტიროდა შვილთა თვისთა. — **იგულისხმება ბიბლიური ამბავი პატრიარქ იაკობის ცოლზე; მისი ერთ-ერთი შვილი უფროსმა ძმებმა მონად გაპყიდეს.**

გვ. 84. ტაჯაგანები — ტარიანი მათრახი სამი ან ოთხი ღეროთი.

გვ. 86. კოლიჩევები — მრავალრიცხოვანი და განშტოებული ბოიარული ოჯახი, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელიც, ფილიპე, 1566 წ. მიტროპო-ლიტი გახდა და აშკარად გამოდიოდა ოპრიჩნინისა და იოანე მრისხანის სიძ-ხეცეთა წინააღმდეგ, რითაც შერისხვა დაიმსახურა. კოლიჩევი მალულად მოკლა მალიუტამ 1569 წ., დაიღუპა ამ ოჯახის ბევრი სხვა წევრიც (აღაპის

წიგნებში ჩაწერილია ოცამდე კოლიჩევი, სხვადასხვა დროს სიკვდილით დასჯილნი და მოკლულნი). რომანში კოლიჩევების საქმის გამოძიება გადმოტანილია 1563 წლისათვის; ნამდვილად კი იგი გაცილებით უფრო გვიან წარმოებდა (1563 წ. ფილიპე ჯერ ისევ სოლოვეცის მონასტრის იღუმენი იყო).

გვ. 91. დიდი მთავარი ვასილ იოანოვიჩი — (1479 — 1533) — 1505 — 1533 წლებში მოსკოვის დიდი მთავარი, ივანე მრისხანის მამა.

ელენა გლინსკაია — ვასილ მესამის მეორე ცოლი (1526 წლიდან), ივანე მრისხანის დედა; ქმრის სიკვდილის შემდეგ, 1533 — 1538 წლებში, — სახელმწიფოს გამგებელი.

გვ. 92. შუისკები და ბელსკები — ვასილ მესამისა და ელენა გლინსკაიას მმართველობის პერიოდში მეთაურობდნენ ბოიართა ოპოზიციას, რომელიც დიდი მთავრის ხელისუფლებისა და ცენტრალიზაციის იდეის წინააღმდეგ იარძოდა. გლინსკაიას სიკვდილის შემდეგ (არსებობს ვარაუდი, რომ იგი მოწამლეს) შუისკებსა და ბელსკებს შორის დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რომელიც დასაწყისში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. 1542 წ. იანვარში ბელსკის მოკვლამ შუისკებს საშუალება მისცა უპირატესი ეავლენა მოეპოვებინათ, ვიდრე ანდრეი მიხელის ძე შუისკი არ გარდაიცვალა (1543 წ. დეკემბერი).

თავადი ტელეპნევი — ივანე თევდორეს ძე ტელეპნევ-ოჩინა-ობოლენსკი — მედროვე ელენა გლინსკაიასი, მისი მთავარი მრჩეველი და „საჯინიბოთა ბოიარი". გლინსკაიას უეცარი სიკვდილიდან ერთი კვირის შემდეგ დილეგში ჩააგდეს, სადაც შიმშილით გარდაიცვალა.

გვ. 94. სბიტენი — რუსეთში ფართოდ გავრცელებული ცხელი სასმელი, რომელსაც ხდიდნენ თაფლის, წყლისა და ცხარე სანელებლებისაგან.

გვ. 96. დანილა ადაშევი — ძმა ალექსი ადაშევისა, 1559 წლიდან — ოკოლნიჩი, „რჩეული რადის" დაცემის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

გვ. 97. თავადი კურლიატევი — თავადი დიმიტრი კურლიატევი, 1562 წ. ოქტომბერში „დიდ მოღალატურ საქმეთა გამო" მონასტერში გაამწესეს და იქ მოკლეს.

შერემეტიევი — ნიკიტა ვასილის ძე, — ვოევოდა, მოკლეს ცრუ ბეზღვების ნიადაგზე 1563 თუ 1564 წელს. არსებობს გადმოცემა, რომ იგი მეფის თვალწინ მოკლეს და რომ მეფემ ბრძანა ხელ-ფეხი მოეჭრათ მოკლულისათვის და მისი ცოლისათვის გაეგზავნათ.

გვ. 102. სიკვდილის პირას მყოფი ლოგინად რომ იყავი ჩავარდნილი... — იგულისხმება სამდღიანი ბოიართა „აჯანყება", რომელიც 1553 წლის მარტში მოხდა: მძიმედ დაავადებულმა ივანე მრისხანემ ბოიარებს უბრძანა „ჯვარზე მთხვეოდნენ" მის მემკვიდრეს, მცირეწლოვან ვაჟს დიმიტრის, მაგრამ ბოიართა უმრავლესობამ თავდაპირველად უარი თქვა დამორჩილებოდა ამ ბრძანებას.

ვოლოდიმირ ანდრეიჩი — მთავარი ვლადიმერ ანდრიას ძე სტარიცკი (1533 — 1569), ივანე მრისხანის ბიძაშვილი. 1563 წ. ვლადიმერი და მისი დედა ეფროსინე გადაასახლეს. დედამისი მალე წყალში დახრჩვეს, ხოლო ვლადიმერ ანდრიას ძე ვაჟიშვილებითურთ სიკვდილით დასაჯეს ალექსანდრეს სლობოდაში 1569 წ.

გვ. 103. შავი ასეულებისა და გარეთუბნების... — შავი ასეულები — დაბალი წოდება, მდაბიოები; შავი გარეთუბნები — ქალაქების ის გარეთუბნები, რომელთა მოსახლეობაც („თეთრი" გარეთუბნებისაგან განსხვავებით) დამოკიდებული იყო არა საერო და სასულიერო ფეოდალებზე, არამედ ხაზინაზე.

გვ. 107. ხერმიაგი — უხეში, შეუღებავი მაუდი; აგრეთვე მისგან შეკერილი ხიფთანი.

ფერიაზი — მამაკაცის გრძელკალთებიანი სამოსი, გრძელსახელოებიანი და უსაყელო, რომელსაც უპირატესად ხიფთანს ზემოთ იცვამდნენ.

ზუბუნი — რუსი გლეხის ხიფთანი უხეში, სქელი მაუდისა, ჩვეულებრივ უსაყელო.

კიტანი — ძველებური იარაღი: აქვს მოკლე ტარი, რომელზედაც მოკლე თასმით ან ძეწკვით შებმულია ლითონის ბურთული.

ბერდიში — ძველებური რუსული ხელცული, აფთი: გრძელტარიანი ფართო ნაჯახი, რომლის პირიც ნახევარმთვარის ფორმისაა.

გვ. 108. კორშუნ პაპა... — მეტსახელია. რუსული „კორშუნ" ქართულად ნიშნავს „ძერას".

გვ 110. ილია მურომელი — რუსული ბილინების უმთავრესი გოლიათი, რომელზედაც ყველაზე მეტი სიუჟეტია შექმნილი.

გვ. 111. ასტრახანული ხაქონელი... — უმთავრესად საიუველირო ნაკეთობები ინდური და სპარსული წარმოშობისა, რომლებიც ასტრახანის გზით შემოჰქონდათ რუსეთში.

ხაბაგირო ბილიკი — სანაოსნო მდინარეების სანაპირო ზოლი, რომელსაც მოპყვებოდნენ ბურლაკები, როცა ბაგირით მიაცურებდნენ ხომალდებს.

გვ. 113. პოლკანი — ლეგენდარული გოლიათი, „საცრება", რუსული ზღაპრებისა და ბილინების გმირი; ზედწოდება იმ არსებებისა, რომლებსაც არაჩვეულებრივი ღონე აქვთ.

ერმაკ ტიმოფეევიჩი — არის ვარაუდი, რომ ერმაკი შერქმეული სახელია ურალელი კაზაკის ვასილ ტიმოთეს ძე ალიონინისა.

გვ. 115. ვასილი დიდი (329 — 378) და გრიგოლ ნაზიანზელი (328 — 390) — ბიზანტიელი ღვთისმეტყველები.

გვ. 117. ხაჯაგეე — გამწევი, სატვირთე, გასაბმელი.

გვ. 118. „როცა აგებდნენ ქვა-კირით მოსკოვს..." — ყველაზე გავრცელებული რუსული ხალხური ისტორიული სიმღერა XVI ს-სა.

გვ. 127. წმინდა იოსებ ვოლოცკის მონასტერი — დაარსებულია 1479 წ. მოსკოვის დასავლეთით ას ოცდაათ კილომეტრზე, ახლანდელი ქ. ვოლოკოლამსკის მახლობლად. XVI ს-ში ამ მონასტერს ერცელი მამულები ჰქონდა და თვალსაჩინო როლს ასრულებდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჟამნ-გულანი — ჟამნი — ზოგიერთ საეკლესიო ლოცვათა (მწუხრის, ცისკრისა და სხვ.) კრებული; გულანი — კრებული, რომელშიც თავმოყრილია ყველა საღვთისმსახურო წიგნი, რაც კი მორწმუნეთ სჭირდებათ და რომელთაც კითხულობენ წლის განმავლობაში. გულანები უზარმაზარი წიგნებია — სისქითაც და ფორმატითაც, მათი ხელში დაჭერა შეუძლებელია. მათი შეკვეთა

ან შეძენა მხოლოდ მდიდარ ეკლესია-მონასტრებს შეეძლო; ჟამნ-გულანი — გულანის შემოკლებული რედაქცია, რომელიც შეიცავს ჟამნს და მოკლე სეინაქსარულ ცნობებს, ე. ი. მოკლე მოთხრობებს წმინდანთა ცხოვრებაზე ან დღესასწაულებზე.

პაიდახთან მოკლეს სახელმწიფო საქმეთა აღსრულებისასო. — მალიუტა სკურატოვი მონაწილეობდა შვედების წინააღმდეგ ლაშქრობაში და ქალაქ პაიდის (ვაისენშტაინის) გარემოცვაში კუნძულ საარემაზე. მოკლეს იერიშის დროს 1573 წ. 1 იანვარს. მეფემ მალიუტას მოსახსენიებლად მაშინდელი დროისათვის უდიდესი ფულადი შეწირულება გაიღო — 150 მანეთი, ხოლო მალიუტას ქვრივმა კი მეფისაგან სამუდამო ფულადი პენსია მიიღო (ერთადერთი შემთხვევა XVI ს-ში).

გვ. 128. შთამომავლობითი ბოიარისთვის — ძველი, დიდებული გვარის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც რამდენიმე თაობის განმავლობაში ირიცხებოდნენ ბოიარებად.

გვ. 129. მცენარეულ ჩუქურთმებზე — მდიდარი მცენარეული ორნამენტი, რომელიც გავრცელებული იყო XVI — XVII სს-ში საიუველირო ხელოვნებაში, წიგნების დაკაზმვასა და ა. შ.

გვ. 130. ჩალდარი — ცხენის აკაზმულობა, რომელიც ღარავდა ზურგს, მკერდსა და ფერდებს და შედგებოდა მაუდზე ან ხავერდზე დაკერებული ლითონის ბალთებისაგან.

გვ. 131. ყმა აზნაურები — აქ: ახალგაზრდა ვაჟები ღარიბ აზნაურთაგან, რომლებიც დიდებული ბოიარების სრულ კმაყოფაზე ცხოვრობდნენ და მათ ემსახურებოდნენ.

გვ. 133 და 134. უმცროსი წესისამებრ; დიდი წესისამებრ — ე. ი. წელმოხრით ან მიწამდე თავის დახრით მისალმება. სხვათა შორის, ძველ საქართველოშიც სცოდნიათ უმცროსი და დიდი წესის გარჩევა. მაგალითად, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, XIV საუკუნის ცნობილ საისტორიო ძეგლში, ერთგან სწერია: „დარბაზობა, ვითარცა მეფეს ეპრიანოს: დიდის წესითა, და თუ უმცროსითა, ვითარცა წესი იყოს, იქნას“ („ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1965, გვ. 81).

გვ. 138. კვირაცხოვლობის სამშაბათი — აღდგომის შემდეგ პირველი კვირის (ახალ კვირის) სამშაბათი ქრისტიანულ ეკლესიას მიჩნეული აქვს მიცვალებულთა ხსენების დღედ — ეგრეთ წოდებულ საფლავთა კურთხევის დღედ.

გვ. 140. ლევიტელთა წიგნში... — ბიბლიის მესამე წიგნი; შეიცავს ქრისტიანობისწინა რელიგიის წეს-ჩვეულებათა დაწვრილებით აღწერას და მდიდარ მასალას იუდეველი ხალხის ცხოვრებასა და ყოფაზე.

გვ. 149. „ბერიკაცი მოდიოდა...“ — რუსული ხალხური შელოცვა, რომლის ტექსტსაც ავტორი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს.

გვ. 171. საბაზიეროს შიგამდეგები — მოხელეები, რომლებიც თვალყურს აღევნებდნენ სანადირო ფრინველების მოვლასა და კვებას.

საფუხარი — აქ: ტყავის ხელთათმანი.

გვ. 174. მურომი — ძველი რუსული ქალაქი მოსკოვის აღმოსავლეთით, მდ. ოკაზე. იყო დედაქალაქი მურომის სამთავროსი, რომელიც მე-14 ს-ის დასასრულს შეუერთდა მოსკოვის დიდ სამთავროს.

კიდევ არიან... მურომში გოლიათები? — ამ კითხვას რომ აძლევს, მეფე გულისხმობს ილია მურომელს (იხ. 110-ე გვ.-ის შენიშვნა).

გვ. 177 კოტი — შერქმეული გვარია, რაც ჩვეულებრივი იყო ყაჩაღებისთვის. ქართულად ნიშნავს ხვად კატას.

გვ. 179. ეგ მე დამლახვრა თეთრმა სონღულმა. — კორშუნი, როგორც განმარტებულია 108-ე გვერდის შენიშვნაში, ქართულად არის ძერა. ადრეგანმაც ძერა ჩამოაგდო. ამიტომაც ამბობს მოხუცი ყაჩაღი, რომელსაც „კორშუნს“ ეძახიან, მე დამლახვრა სონღულმაო.

გვ. 181. „შეზობლებთან მხიარული...“ — რუსული ხალხური სიმღერა.

გვ. 182. საქაჯავი — ჭაბრაკი, მოსაჭერი ხრახნილი, იყენებდნენ საწამებლად.

გვ. 183. ფეხი გაუგმირა თავად კურბსკის მალემხრბოლს — იგულისხმება კურბსკის მსახური ვასილ შიბანოვი, რომელსაც იხსენიებს ივანე მრისხანე კურბსკისადმი თავის „პირველ წერილში“. ზოგი წყაროს მიხედვით, შიბანოვი კურბსკის გაქცევის შემდეგ იურიევში შეიპყრეს და მოსკოვში ჩამოიყვანეს; სხვა წყაროებით — იგი მოსკოვში ჩამოვიდა და წითელ მოედანზე კურბსკის წერილი გადასცა მეფეს. ამ წერილის კითხვის დროს ივანე მრისხანემ წამახეული კვერთხი ჩასცა ფეხში შიბანოვს და ფეხისგულამდე გაუტარა.

გვ. 185. ეი ლული, ლული... — გადაკეთებულია, ქართული „ალიალალო, ჰარიალალოს“ მსგავსად, სიტყვიდან „ალილეა“ („აქებდეთ ღმერთსა“), რომელიც საეკლესიო მღვდელმსახურებაში სხვადასხვა ლოცვას დაერთვის ბოლოს — ზოგს სამჯერ, ზოგს — შვიდჯერ და მეტჯერ.

გვ. 186. „კიევის მთავრის, ვლადიმირის დიდებულ დარბაზში...“ — დასაწყისი ზღაპრისა დობრინია ნიკიტიჩზე. რომანში მოცემულია ზღაპრის ტექსტიდან სიტყვასიტყვით ამოკრეფილი ხუთი ნაწყვეტის კომპოზიცია.

შერისხული ნოვგოროდი... — 1570 წლიდან, მას შემდეგ, რაც ივანე მრისხანემ სადამსჯელო ლაშქრობა განახორციელა ნოვგოროდში „ღალატის ამოსაძირკვავად“, ნოვგოროდის მოსახლეობა მეფის წინაშე დამნაშავედ, მისგან შერისხულად იყო მიჩნეული.

მეკობრე იყო — მეკობრეები, ანუ ეგრეთ წოდებული „უშკუინიკები“ ნაეებით ლაშქრავდნენ შორეულ ზღვისპირეთსა და ურალის ქედის რაიონებს. უშკუინიკების ლაშქრობები ერთ-ერთი გზა იყო ჩრდილოეთში ნოვგოროდელების ჩასახლებისა.

გვ. 187. მოხეტიალე ბრმა მესაკრავე, გეელეშაპი ტუგარინი, ზამიატნია პუტიატიჩი — რუსული ბილინური ეპოსის პერსონაჟები.

გვ. 188. ალექსი ღვთის გლახა, ეგორი მამაცი, იოსებ მშვენიერი — რუსული ხალხური თქმულებების გმირები.

მტრედის წიგნი — რუსული ხალხური თქმულება, რომელიც მრავალი ვარიანტითაა ცნობილი. ტექსტი, რომელსაც პერსტენი ჰყვება, არის თქმულების რამდენიმე ვარიანტის კონტამინაცია.

გვ. 191. ალათირის ქვა — სასწაულებრივი ქვა, რომელიც იხსენიება რუსულ ზღაპრებში; ალბათ, ქ ა რ ვ ა, მისი ბერძნული სახელწოდება „ელექტრონი“ თათრული წარმოთქმით.

გვ. 193. „ბუ შრიალებ, მშობლიურო მუხნარო“ — ფართოდ გავრცელებული რუსული ხალხური სიმღერა. ა. ს. პუშკინმა იგი პუგაჩოვს ათქმევინა თავის „კაპიტანის ქალიშვილში“.

გვ. 199. თავად ეოროტინსკთა... — ბოიარები და ეოეოდები, რომლებიც მეფემ შერისხა და ვადასახლებაში გარდაიცვალნენ ბელოზერსკის მონასტერში.

ტროპარი — საეკლესიო საგალობელი ლექსი რაიმე დღესასწაულის აღსანიშნავად ან ამა თუ იმ წმინდანის პატივსაცემად.

კონდაკი — მოკლე საეკლესიო საგალობელი მაცხოვრის, ღვთისმშობლის ან წმინდანის სადიდებლად; აგრეთვე, საეკლესიო წიგნი, რომელიც ამ საგალობელს შეიცავს.

მაცხოვარი მოჩანდა ძალნითურთ, ქერუბიმებითა და სერაფიმებით, მათ ზემოთ კი — თექვსმეტი საუფლო დღესასწაული — ქრისტიანული ეკლესია ანგელოსებს ჰყოფს ცხრა დასად, ანუ ხარისხად. ძალნი, ქერუბიმები და სერაფიმები არიან შესაბამისად მესამე, მეექვსე და მეშვიდე ხარისხის ანგელოსები; საუფლო დღესასწაული — ასე ეწოდება ქარაგმას, რომელიც საუფლო სიტყვების თავზეა დასმული ეკლესიების კედლების წარწერებში.

ადგილობრივ ხატზე — კანკელის ქვედა (ადგილობრივ) რიგში ათავსებდნენ იმ ხატებს, რომელთაც ყველაზე მეტად სცემდნენ პატივს აღნიშნულ ტაძარში თუ მონასტერში.

გვ. 204. მოსკოვს შიაშურე, ლაზარეს სამანებს... — იგულისხმება სამეფო მიწები მაშინდელი მოსკოვის ფარგლებს გარეთ, სამების ლავრასა და ალექსანდრეს სლობოდისკენ მიმავალ გზაზე (ამჟამად ტრიფონოვსკაიას ქუჩის რაიონი). ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში ინახება ხატი ყოფილ ლაზარეს სამანებში მდებარე ტრიფონის ეკლესიიდან; ამ ხატის სიუჟეტი დაკავშირებულია იმ ლეგენდასთან, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ გადაურჩა ივანე მეოთხის რისხვას მისი ახალგაზრდა ბაზიერი, შემდგომში ბოიარი — ტრიფონ პატრიკეევი. სწორედ ეს ლეგენდა უდევს საფუძვლად ამ ეპიზოდს.

გვ. 207. „დაიძინე, შვილო ჩემო...“ — პირველი ხუთი სტრიქონი ამ ნანინასი ხალხურია, დანარჩენი ტექსტი სიმღერისა თვითონ ტოლსტოის ეკუთვნის.

გვ. 218. ქაშანი — მინდორზე და თოვლზე გაქელილი გზა.

გვ. 219. პანაგია — მკერდის სამკაული (უფრო ხშირად ხატის სახით), რომელსაც კისერზე ჩამოცმული ძეწკვით ატარებდნენ; სასულიერო პირთა ღირსების ნიშანი.

გვ. 222. შირინის მთავარი შიხმატი! — შირინის მთავრები — ყირიმის ხანის უძლიერესი ვასალები, რომლებიც ვრცელ ტერიტორიებს ფლობდნენ ყირიმში.

გვ. 222. ქვემოური — ქვემო ვოლგელი.

გვ. 224. ნოღაელები — ჩრდილო კავკასიაში (კასპიისპირეთის ტრამალებში, დაღესტანში და სხვ.) მცხოვრები თურქული მოდგმის ხალხები.

საბრძოლო რიგი არ დაურღვევიათ... — აქ უზუსტობაა: გზაზე სალაშქრო მწყობრით მოძრაობდნენ, საბრძოლო რიგებად კი ბრძოლის წინ ეწყობოდნენ.

გვ. 225. დიატელ, რეშეტო, შესტოპერ, ნაკოვალნია, სარანჩა — შერქმეული მეტსახელებია, ქართულად იქნება შესაბამისად: კოდალა, საცერა, გოგუთა, გრდემლა, კალია.

გვ. 226. კიბიტა — ძველად: ჩარდახიანი სამგზაერო ურემი, ეტლი; მოძრავი, გადასატანი საცხოვრებელი მომთაბარე ხალხებისა.

გვ. 252. მეაბჯრეთუხუცესი — მეფის კარის მაღალი თანამდებობის პირი, მეფის საიარაღო ხაზინის უფროსი.

გვ. 261. „ხვალინის ზღვიდან მზე ამოცურდა...“ — ხვალინის ზღვა — კასპიის ზღვის ძველი რუსული სახელწოდება (ქართველები ძველად მას გ ურ გ ა ნ ი ს ზღვას ეძახდნენ);

გვ. 263. მის ნაფეხურებს ჩიჩქნიდა და ცეცხლზე ხწვავდა — ძველი ცრურწმენა, გრძნეულება: ამოჭრიდნენ დანით მიწას ან ამოფხეკდნენ იატაკს იმის ნაფეხურზე, ვისი წახდენაც სურდათ, და ამ ნაფეხურს შეულოცავდნენ, გრძნებით შეკრავდნენ.

გვ. 265. ელადიმირ გუსევის სამართლის წიგნი — კანონთა კრებული, გამოცემული ივანე მესამის მიერ 1497 წელს.

პოლოტიკი — „რკინის ფიცარი ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავი“ (საბა); „სამკერდე ჯავშანი“ (დ. ჩუბინაშვილი).

გვ. 266. საფუხრენი — აქ: ჯაჭვის კიდურთსაფარი, რომელიც თითქმის მთელ ხელს ფარავდა და მხოლოდ თითის წვერებს ტოვებდა დაუცველს.

თარანგები — ლითონის სალტეები, რომლებიც ამაგრებენ ქარქაშს; ხშირად მათ ამზადებდნენ ძვირფასი ლითონებისაგან და ალამაზებდნენ; თარანგებს უკეთებდნენ რგოლებს, რომლებითაც ყაწიმზე ჰკიდებდნენ ხმალს.

გვ. 267. ყიზილბაშური — სპარსეთში ან მასთან მოსაზღვრე აზერბაიჯანის ნაწილში დამზადებული.

გვ. 277. მე, ვითარცა უფალი საკენახისა... — იოანეს ეს მონოლოგი აგებულია სახარების ცნობილ იგავებზე (მათე XXI, 33 — 41; XXII, 1 — 13). ზოგან იგი თავის სიტყვაში მარჯვედ ურთავს სახარების ცალკეულ ფრაზებს, ზოგან კი ზუსტ ციტირებას მიმართავს.

გვ. 278. დიდ არს სიბოროტე უკეთურისა მაცდურისა ამა სოფლისა... იგი, ვითარცა ლომი მყვირალი, მიმოვალს გარშემო ნემსა და ეძიებს, ვითარცა შთანმოქა... — ოდნავ პერიფრაზირებული ციტირება პეტრე მოციქულის „კათოლიკე ეპისტოლედან“ (V, 8).

სინკლიტი — უმაღლესი ჩინოსნების კრებული.

გვ. 283. ასაბია — თანამდგომები, ამხანაგები, მხლებლები.

გვ. 284. აზნაურული რიგობა — მოსკოვის სახელმწიფოში არსებული სისტემა მსახურეული ხალხის ყოველწლიური დანიშვნისა უმაღლეს სამხედრო და სახელმწიფო თანამდებობებზე. ეს დანიშვნები იწერებოდა ეგრეთ წოდებულ „რიგობის წიგნებში“ და რიგობის პრიკაზის, ე. ი. სამინისტროს გამგებლობაში იყო.

გვ. 286. ხაბარ სიმსკისთან ერთად ჩუვაშები და ჩერემისები დავაშარცხე სვიაგაზე... — ლაპარაკია ივანე ვასილის ძე ხაბაროვ-სიმსკიზე (ობრაზცოვზე), მდიდარ ბოიარსა და ვოევოდზე ვასილ III-ის დროს; 1524 წ. გა-

ზაუხულზე, როცა დიდი პოლკის ვოევოდა იყო ყაზანზე ლაშქრობისას, ხაბაროვ-სიმსკიმ დაამარცხა მოწინააღმდეგე მდ. სვიაგის ნაპირზე. გარდაიცვალა 1534 წ.

როცა... ყირიმელი ბატონიშვილი ვაოტე ოკიდან... — ლაპარაკია ყირიმელი ბატონიშვილის — ისლამის — თავდასხმის მოგერიებაზე 1537 წლის სექტემბერში.

გვ. 288. როცა ნადირობისას მეძაღლეებს ასთ-ასთ ააქნევინე თავადი შუისკი; — ლაპარაკია ივანე მრისხანის ბავშვობის პერიოდის ბოიართა ოპოზიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის თავად ა. მ. შუისკის მოკვლის ცნობილ ეპიზოდზე. 1543 წლის დეკემბერში ცამეტი წლის ივანე მეოთხემ „რაკი აღარ შეეძლო იმის მოთმენა, რომ ბოიარები ეურჩებოდნენ და თვითნებობდნენ... ბრძანა შეეპყროთ მათი თავკაცი თავადი ანდრია შუისკი და გადაეცათ მეძაღლეთათვის, ხოლო მეძაღლეებმა წაიყვანეს და მოკლეს...“

აკათიხტოს გალობა — დაუჯდომელი, საკვერცხელი შესხმა, რომლის შესრულებისას არ შეიძლებოდა დაჯდომა.

გვ. 293. სამას კაცზე მეტი სიკვდილმისჯილი — მასობრივი სიკვდილით დასჯა უფრო გვიანდელი ამბავია. განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა მას 1570 წ., ნოვგოროდში დამსჯელი ექსპედიციისა და მოსკოვში „ღალატის ამოძირკვის“ პერიოდში. ყველაზე დიდი სიკვდილით დასჯა, როცა მოსკოვში, წითელ მოედანზე, ორას კაცზე მეტი მოაკვდინეს ოთხ საათში, შედგა 1570 წლის 25 ივლისს. ტოლსტოი სწორედ ამ დასჯის აღწერას ემყარება, მოროზოვს კი იმ სიტყვებს ალაპარაკებს, რაც დიაკმა ივან ეისკოვატოვმა წარმოთქვა ეშაფოტზე.

გვ. 294. ვით აბრაამი, თავის შვილზე რომ შეშართა დანა... — ბიბლიური ლეგენდის თანახმად, პატრიარქ აბრამს იმისათვის, რომ გამოეცადათ ღვთისადმი მისი რწმენა, ებრძანა საკუთარი ხელით მიეტანა მსხვერპლად ერთადერთი ვაჟიშვილი. აბრამი უყოყმანოდ დაემორჩილა ამ ბრძანებას, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ანგელოსმა შეაჩერა დანაშემართული მამის ხელი და გადაარჩინა ბავშვი.

გვ. 298. მოედნის ბოლოში... — მთელი ეს ეპიზოდი ემყარება ნამდვილ ფაქტს ივანე მრისხანის შეხვედრისა ნეტართან ფსკოვში 1570 წ.

გვ. 299. საულ მეფე — ბიბლიური პერსონაჟი, პირველი მეფე ებრაელებისა; თავისი მეფობის მეორე ნახევარში, როცა ღმერთმა უარყო იგი, საული უკიდურესად მკაცრი გახდა და არაერთხელ შეეცადა ტახტზე თავისი მემკვიდრის — მეფე დავითის მოკვლას.

ჰეროდე — იუდეველთა მეფე (I ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე), უწყალო და სისხლისმსმელი დესპოტი. მისი სახელი მტანჯველისა და მტარვალის სინონიმად იქცა.

გვ. 314. დადვეს თავი პოლოცკთან... — იგულისხმება რუსეთის ჯარების მიერ პოლოცკის გარემოცვა და აღება 1562 — 1563 წწ.

გვ. 316. დე ჟიზრდას წავიდნენ, სადარაჯო პოლკში. — მოსკოვის სახელმწიფოს სამხრეთ სანაპიროებზე თათართა თავდასხმებისაგან თავდასაცავად იდგნენ ეგრეთ წოდებული „სადარაჯო პოლკები“; ჟიზრდა მათი განლაგების ერთ-ერთი პუნქტი იყო.

გვ. 323. სტოვა — მიშენებული კამარა ღერეფანიეთ ეკლესიის შესავალს წინ, ეკლესიის კარიბჭე.

გვ. 332. იმ სახელოვანი ღღეების მოსკოვში გადავინაცვლოთ, როცა ციმბირი დავიპყარით. — რუსეთმა ციმბირი დაიპყრო 1582 წელს; მაგრამ მე-40 თავში აღწერილი ამბები განეკუთვნება 1583 წელს.

გვ. 333. გოდუნოვის ჩაგონებით მოსპო საძულველი ოპრიჩნინა — გოდუნოვის როლს ოპრიჩნინის ლიკვიდაციაში აეტორი ერთობ აზვიადებს.

გადაბუგა მოსკოვის გარეთუბნები — იგულისხმება ყირიმის ხანის დაულეთ-გირეის ამაოხრებელი თავდასხმა მოსკოზე 1571 წ. მაისში.

ჩრდილოეთიდან შვედები არ გვასვენებდნენ... — ლიეონნის ომის დასასრულს შვედებმა ისარგებლეს პოლონეთ-ლიტვის ჯარების წარმატებებით, რუსეთის წინააღმდეგ შეტევა წამოიწყეს და ფინეთის ყურის თითქმის მთელი სანაპირო და ბალტიისპირეთის მნიშვნელოვანი ტერიტორია დაიპყრეს.

სტეფან ბატორი — პოლონეთის მეფე 1576 — 1586 წწ., რომელმაც 1579 — 1581 წწ. საომარი მოქმედება წამოიწყო მოსკოვის სახელმწიფოს წინააღმდეგ. 1582 წ. 15 იანვარს დაიდო ზავი ათი წლით, რომლის თანახმადაც ივანე მრისხანე იძულებული შეიქნა უარი ეთქვა ყველა იმ ტერიტორიაზე, რაც ბალტიისპირეთში ჰქონდა დაპყრობილი.

გაფთრებულმა მამამ წამახული კეერთხით განგმირა იგი. — ივანე მრისხანემ თავისი ვაჟიშვილი ივანე მოკლა ალექსანდრეს სლობოდაში 1571 წლის 19 ნოემბერს.

სტუმარი — უცხო ქვეყნელი ან სხვა ქალაქელი ვაჭარი, რომელიც თავისი სამშობლო კუთხის ვარეთ ცხოვრობს და ვაჭრობს.

ოდებორნი პავლე (ვარდ. 1604) — გერმანელი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი, სამეფო კარის პასტორი (მღვდელი) რიგაში, აეტორი წიგნისა ივანე მრისხანეზე.

გვ. 334. ...პერმის მხარის... — ასე ეწოდებოდა რუსულ მატიანეებში ურალის დასავლეთით, მდინარეების — კამის, ვიჩეგდასა და პეჩორის აუზებშა მდებარე ტერიტორიებს, რომლებიც დასახლებული იყო კომის ხალხით.

ქუჩუმ ხანი — ციმბირის სახანოს უკანასკნელი ხანი. 1581 წ. დამარცხდა ერმაკის რაზმთან ბრძოლაში და მიატოვა თავისი დედაქალაქი ყაშლიყი; განაგრძობდა წინააღმდეგობას 1598 წლამდე. შემდეგ კი, საბოლოოდ განდგურებული, შუა აზიაში გაიქცა და იქ გარდაიცვალა.

გვ. 335. მამეღყული — ციმბირელი ბატონიშვილი, ქუჩუმ ხანის ძმა. 1582 წ. ერმაკის რაზმი, რომელიც მდინარეების ტურისა და ტობოლის გაყოლებით მიიწევდა, ირტიშამდე მივიდა და იმავე წლის ოქტომბრის დასასრულს ქუჩუმის სატასტო ქალაქ ყაშლიყს მიადგა. სატასტოსთან ბრძოლაში მამეღყული დამარცხდა და სტეპში მიიმალა. სწორედ ეს მომენტი ითვლება „ციმბირის დაპყრობად“.

გვ. 337. მაქსიმ და ნიკიტა სტროგანოვები თაეიანთი ბიძა სემიონითურო — რუსი დიდვაჭრები და მეწარმეები, რომლებიც XVI და XVII სს-ში ურალისა და ციმბირის აქტიურ კოლონიზაციას ახორციელებდნენ და დიდ შეღავათებს იღებდნენ სახელმწიფოსაგან (იმდენად დიდს, რომ 1572 წ. საკუთარი ლაშ-

ქრის შექმნის უფლებაც მისცეს). მაქსიმ იაკობის ძე და ნიკიტა გრიგოლის ძე სტროგანოვები — ბიძაშვილები იყვნენ, სიმონ ანიკის ძე — მათი ბიძა.

ვვ. 338. ვოლოგდა — ძველი რუსული ქალაქი, მოსკოვის ჩრდილოეთით, მდ. ვოლოგდაზე (32 კმ-ზე იმ ადგილიდან, სადაც იგი მდ. სუხონას ერთვის), მნიშვნელოვანი სატრანზიტო პუნქტი რუსეთის სახელმწიფოს ცენტრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიებისაკენ, ციმბირისა და დასავლეთ ევროპისაკენ; ეს ქალაქი წარმოადგენდა, აგრეთვე, მოსკოველი და უცხოელი ვაჭრების საქონლის საწყობს.

ვვ. 344. იუგორებთან... — ასე ეძახდნენ რუსები ძველად იმიერ-ურალის იმ ნაწილს, რომელიც ხანტებისა და მანსების ტომებითაა დასახლებული.

რიურიკი — ვარიაგთა დრუჟინის ნახევრადლეგენდარული ბელადი, მატიანეების გადმოცემით — რუსეთის უძლიერესი მთავრების — რიურიკოვიჩების — დინასტიის წინაპარი. მატიანეში ნათქვამია, რომ თავდაპირველად რიურიკი მთავრობდა ლადოგაში, ხოლო 862 წელს მან თაეისი დრუჟინით დაიპყრო ნოვგოროდი.

შჩელკალოვი ანდრეი (გარდ. 1598) — დუმის დიაკი, ერთ-ერთი უმსხვილესი წარმომადგენელი მეფის ბიუროკრატიისა ივანე მრისხანის დროს, რომელსაც კოლოსალური პოლიტიკური გავლენა ჰქონდა მოპოვებული როგორც რიგობის, შემდეგ კი საელჩო პრიკაზების მეთაურს. გოდუნოვის მიერ „თვითნებობისთვის“ გადაყენებული, მალე გარდაცვალა ბერად აღკვეცილი.

გავალდებულებთ ვიჩად დაიწეროთ... — მამის სახელზე ნაწილაკ „ვიჩის“ დართვის უფლება მეფის დიდ წყალობად ითვლებოდა და განსაკუთრებული გვარიშვილობის ან დიდი პირადი დამსახურების აღიარებას მოწმობდა.

გვ. 345. იასაკი — ბეგარა (უფრო ხშირად ბეწვეულით), რომელსაც ეოლგისპირეთისა და ციმბირის ხალხებს აწერდნენ.

გვ. 347. ტრიფონ ნაპრუდნის ეკლესია — იხ. შენიშვნა 249-ე გვერდისა. მოსკოვის მახლობლად, სამეფო სოფელ ნაპრუდნიში, მდ. სინიჩკას ნაპირას აგებული ეს ეკლესია ამჟამადაც შემორჩენილია (თუმცა მნიშვნელოვნად არის გადაკეთებული) და წარმოადგენს თეთრი ქვის ერთ-ერთ უძველეს ნაგებობას მოსკოვში, უბურჯო ტაძრის ნიმუშს, რომელიც ნოვგოროდ-ფსკოვის ხუროთმოძღვრების გავლენის კვალს ატარებს.

სკოპინ-შუისკი მიხეილ ვასილის ძე (1587 — 1610) — ახალგაზრდა ნიჭიერი მხედართუფროსი, რომელიც 1609 — 1610 წწ. სათავეში ჩაუდგა რუსებისა და შვედების გაერთიანებული ძალების ლაშქრობას ნოვგოროდიდან მოსკოვზე, რომელიც ალყაშემორტყმული იყო ცრუ-დიმიტრი მეორის („ტუშინოელი ქურდის“) ჯარებით. სკოპინ-შუისკის არმიამ ხანგრძლივი გარემოცვისაგან გაათავისუფლა სამების ლავრა და 1610 წ. 12 მარტს საზეიმო მარშით შეეიდა მოსკოვში. აზნაურები სკოპინ-შუისკის რუსეთის ტახტის კანდიდატად მიიჩნევდნენ. მაგრამ 1610 წ. აპრილში იგი მოულოდნელად ავად გახდა და გარდაცვალა, — როგორც ვარაუდობენ, ბოიარებმა მოწამლეს.

დელაგარდი იაკობ პონტუსი (1583 — 1652) — შვედი გენერალი, გრაფი, სარდლობდა შვედების არმიას, რომელმაც სკოპინ-შუისკის ლაშქართან ერთად, წამოვიდა რა ნოვგოროდიდან, გარემოცვისაგან გაათავისუფლა სამების ლავრა და მოსკოვი.

საპეგა იან პეტრი (1569 — 1611) — პოლონელი მაგნატი, რუსეთში ინტერვენციის აქტიური მონაწილე, ცრუ-დიმიტრი მეორის მხარდამჭერი. 1608 წ. სექტემბრიდან 1610 წ. იანვრამდე საპეგას ლაშქარს ალყა ჰქონდა შემორტყმული სამების ლავრაზე.

...ხელი აეღო სამების ლავრის... გარემოცვაზე. — სამების მონასტერი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო მოსკოვის მისადგომებისა ჩრდილოეთიდან. მტრისგან ალყაშემორტყმული ლავრა გმირულად იცავდა თავს თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში. ლავრის თავდაცვაში აქტიურად მონაწილეობდა ახლომახლო მიდამოების გლეხი მოსახლეობა. 1610 წ. 12 იანვარს ლავრა განთავისუფლებულ იქნა გარემოცვისგან მის დამცველთა და მ. ვ. სკოპინ-შუისკის მეთაურობით მოსული მაშველი ლაშქრის ერთობლივი მოქმედების მეოხებით.

...ფერფლად იქცა მთელი სლობოდა — XVII ს-ის დასაწყისში ალექსანდრეს სლობოდა სულერთიანად გადაიბუგა საშინელი ხანძრით, რომლისგანაც გადარჩა მხოლოდ ქვის ტაძრის ნაგებობები და სამრეკლო. ხანძრის შემდეგ სლობოდის ტერიტორია გაუდაბურდა, და მხოლოდ 1651 წ. იქნა იქ დაარსებული მონასტერი.

გვ. 348. ტიბერიუსი (42 წ. ჩვ. ერამდე — 37 წ. ახ. წელთაღრ.), ნერონი (37 — 68 ჩვ. წელთაღრ.). კალიგულა (12 — 41 ჩვ. წელთაღრ.) — რომაელი იმპერატორები, რომელთაც სახელი გაითქვეს თავიანთი სისასტიკითა და დესპოტიზმით.

შ ი ნ ა ა რ ს ი

		ბ3·
პირველი რუსული გამოცემის წინასიტყვაობა		5
I	თ ა ვ ი. ოპრიჩნიკები	7
II	თ ა ვ ი. ახალი ამხანაგები	17
III	თ ა ვ ი. ჯადოსნობა	22
IV	თ ა ვ ი. დრუჟინა ანდრეევიჩი და მისი მეუღლე	28
V	თ ა ვ ი. შეხვედრა	36
VI	თ ა ვ ი. მიღება .	43
VII	თ ა ვ ი. ალექსანდრეს სლობოდა	55
VIII	თ ა ვ ი. ნადიმი	62
IX	თ ა ვ ი. საბსჯავრო	75
X	თ ა ვ ი. მამა და შვილი	86
XI	თ ა ვ ი. ღამის ლიტანია	91
XII	თ ა ვ ი. ცილისწამება	99
XIII	თ ა ვ ი. ვანიუხა პერსტენი და მისი ამხანაგები	106
XIV	თ ა ვ ი. სილაქი . .	115
XV	თ ა ვ ი. პირზე კოცნის ადათ-წესი	127
XVI	თ ა ვ ი. მოტაცება	137
XVII	თ ა ვ ი. სისხლის შელოცვა	143
XVIII	თ ა ვ ი. ძველი ნაცნობი .	153
XIX	თ ა ვ ი. რუს კაცს სიკეთე ახსოვს	158
XX	თ ა ვ ი. ხუმარები	165
XXI	თ ა ვ ი. ზღაპარი	181
XXII	თ ა ვ ი. მონასტერი	197
XXIII	თ ა ვ ი. გზაზე . .	203
XXIV	თ ა ვ ი. ავაზაკების ჯანყი	210
XXV	თ ა ვ ი. ბრძოლის სამზადისი	222
XXVI	თ ა ვ ი. ძმადგაფიცვა	227
XXVII	თ ა ვ ი. ბასმანოვი	235
XXVIII	თ ა ვ ი. განშორება .	244
XXIX	თ ა ვ ი. პირში წადგომა	248
XXX	თ ა ვ ი. რკინის შელოცვა	256
XXXI	თ ა ვ ი. ღვთის სამსჯაერო	263
XXXII	თ ა ვ ი. ვიაზემსკის ავგაროზი	276
XXXIII	თ ა ვ ი. ბასმანოვის ავგაროზი	278

XXXIV თავი. ხუმარას ხიფთანი 283
XXXV თავი. სიკვდილით დასჯა . 292
XXXVI თავი. სლობოდაში დაბრუნება . 300
XXXVII თავი. პატიება . . . 308
XXXVIII თავი. სლობოდიდან გამგზავრება 317
XXXIX თავი. უკანასკნელი პაემანი 323
XL თავი. ერმაკის ელჩები 332
ა. კ. ტოლსტოი 349
შენიშვნები 355